The picture nearly complied to his requirements several times in the months that followed, but never wholly. Finally, after a year and a half of continuous struggle, it was almost completed; then followed a few hours of violent disaffection; the canvas was pulled off the frame and discarded. After that three other related pictures were begun (and these have since been finished) (Rosenberg 1972: 124-125). A few weeks later, the art historian Meyer Schapiro visited De Kooning's Greenwich Village studio and asked to see the abandoned painting. It was brought out and re-examined. Later it was put back on the frame, and after some additional changes was declared finished, i.e., not to be destroyed. This was mid-June, 1952. When the canvas was mounted on a permanent stretcher prior to being taken to the Janis Gallery (where De Kooning is having a one man show this month, which includes *Woman*), another alteration was made. Then *Woman* escaped by truck from its creator. The painting's energetic and lucid surfaces, its resoundingly affirmative presence, give little indication of a vacillating, Hamlet-like history. *Woman* appears inevitable, like a myth that needed but a quick name to become universally applicable. But like any myth, its emergence was long, difficult and (to use one of the artist's favorite adjectives) mysterious.

References:

Brown, Milton W. "Abstract Expressionism: The Heroic Generation". *American Art*, New York: Harry N. Abrams, Inc., Publishers, 1979.

Cummings, Paul, Jörn Merkert and Claire Stoullig. *Willem de Kooning: Drawings Paintings Sculpture*, New York: Whitney Museum of American Art, in association with Munich: Prestel-Verlag, and New York and London: W.W. Norton and Co. 1983.

Hess, Thomas B. "Four Pictures by de Kooning at Canberra", *Art and Australia* vol. 14 nos 3 & 4, 4 January - April 1997.

Hunter, Sam and John Jacobus, "Action Painting: The Heroic Generation". *American Art of the 20th Century*, New York: Harry N. Abrams, Inc., Publishers, 1973.

Lloyd, Michael and Michael Desmond. *European and American Paintings and Sculptures 1870–1970 in the Australian National Gallery*, Canberra: Australian National Gallery, 1992.

Rosenberg, Harold. "Interview with de Kooning", *Artnews*, vol. 71 no. 5, September 1972.

Yard, Sally. "Willem de Kooning's Women", *Arts Magazine*, vol. 53 no. 3, November 1982.

ირმა ბაგრატიონი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

rezi me

უილიამ დე კუნინგის ამერიკული აბსტრაქტულ-ექსპრესიონისტული ფერწერის ესთეტიკური გააზრებისთვის

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეძღვნება აბსტრაქტული ექსპრესიონისტული ხელოვნების ძირითად ესთეტიკურ ასპექტებს ამერიკული ხელოვნების ავანგარდული მიმდინარეობის – აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ცნობილი წარმომადგენლის უილიამ დე კუნინგის ფერწერული ტილოების ესთეტიკური ანალიზის ფონზე. გარდა ამისა, მოხსენებაში განხილულია უილიამ დე კუნინგის შემოქმედებითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დეტალები, მის მიერ „ღია ფერადი ველის“ უნიკალური სახვითი ტექნიკის შექმნის საინტერესო ნიუანსები და 21-ე საუკუნის ხელოვნების სააუქციონო სამყაროში მისი მხატვრული მემკვიდრეობის შეფასების ამსახველი ფაქტები.

სტატიაში აღნიშნულია, რომ უილიამ დე კუნინგის როგორც აბსტრაქტული ექსპრესიონისტის შემოქმედება არ ეფუძნება თეორიულ პლატფორმას, იგი უმთავრესად ფერითი სრულყოფილების ინტუიტიური ძიებების განხორციელებაა. ფერი მასთან როგორც სულიერი თვითგამოხატვის, ისე სამყაროს მიმართ ესთეტიკური დამოკიდებულების გამოსახვის უმთავრესი საშუალება ხდება. უილიამ დე კუნინგის ნონფიგურატიული ხელოვნების ნაწარმოების აღქმისას განსაკუთრებით მნიშვნელობს ესთეტიკური ემოციის თვითღირებულება, ემოციისა, რომელიც ჩნდება ფერითი ჰარმონიის ზემოქმედებით.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ესთეტიკის მთავარი საკითხი – ხელოვნების მიმართება სინამდვილესთან – უილიამ დე კუ-

ნინგის აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მიხედვით სრულიად თავისებურადაა გადაწყვეტილი. უილიამ დე კუნინგი ცდილობს ხაზთა, სიბრტყეთა, ფორმათა და ფერთა მხატვრული კომბინაციების მეშვეობით დაამკვიდროს სრულიად ახლებური – როგორც თავისთავად ფერწერული ზედაპირის, ასევე თავად ხელოვნების ნაწარმოების შექმნის პროცესის – სილამაზე. ხელოვნების ასეთი გაგების შედეგად დე კუნინგისეული ფერწერა სცილდება ტრადიციული ესთეტიკის საზღვრებს და გადის წმინდა ესთეტიზმის სფეროში, სადაც მხატვრული მოდელირების პრინციპი ნებისმიერი შემოქმედებითი აქტივობის საფუძველშია მოცემული.

როგორც სტატიაში ირკვევა, უილიამ დე კუნინგი სიცოცხლეშივე გახდა XX საუკუნის მოდერნიზმის კლასიკური განხორციელება. თავის პირველსავე პერსონალურ გამოფენაზე, 1940 წელს, ნიუ-იორკის „ამ საუკუნის ხელოვნების გალერეაში“ მან მთლიანად უარყო კავშირი საგნობრივ სინამდვილესთან, მას სურდა ფერებით გამოეხატა მხოლოდ თავისი მდგომარეობა.

სტატიაში ირკვევა, რომ 50-იანი წლების დასაწყისში უილიამ დე კუნინგი განაგრძობდა „ქალების“ სერიას, თუმცა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნონფიგურატიულ ტექნიკას, ფერის სრულ თავისუფლებას. რამდენადაც აბსტრაქტულ ექსპრესიონისტულ ცნობიერებაში რეალურ საგანთა გამოხატვა ახშობს ფერის საკუთრივ ესთეტიკურ ჟღერადობას, იმდენად, უილიამ დე კუნინგის აზრით, აუცილებელია ფერწერა „გაინმინდოს“ ბუნებრივი და საგნობრივი ფორმებისგან, გახდეს დენადი, მოძრავი, მუსიკალური; ფერმა უნდა გამოხატოს სულის ყველაზე ფაქიზი ნიუანსები, რაციონალისტურად მოუხელთებელი ყოფიერების საზღვრები. შესაბამისად, იქმნება, ირაციონალური სამყაროს ლირიზმით სავსე, ფერადი ლაქებისა და ნაცხებისაგან კაზმული თავისუფალი რიტმული კომპოზიციები. შემოქმედებითი ექსპერიმენტების შედეგად აბსტრაქტული

ექსპრესიონისტის შეფასება ფერს განიხილავს როგორც ემოციათა მდიდარი სპექტრის გამოხატულებას, დროისა და სივრცის გარეშე არსებულს. ასე მკვიდრდება ახალი, საგნობრიობის მბრძანებლობისგან განთავისუფლების განცდის სიმბოლოურად გამომხატველი სილამაზე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ უილიამ დე კუნინგის შემოქმედების შესახებ პუბლიკაციები ჯერ კიდევ მისი პირველი გამოფენის შემდეგ გამოჩნდა და მას შემდეგ მათი რიცხვი გამუდმებით იზრდებოდა. დე კუნინგის მიმართ ინტერესი არ შენელებულა მისი გარდაცვალების შემდეგაც, პირიქით: მასზე დაინერა „ამერიკული საგა“, გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „უილიამ დე კუნინგი: სიყვარული და სიკვდილი ლონგ აილენდზე“, გაკეთდა მისი ბიოგრაფიის ეკრანიზაცია ჰოლივუდში; და ბოლოს, რაც ყველაზე შთამბეჭდავია: რამდენიმე წლის წინ “Sotheby”-ის სააუქციონო სახლში უილიამ დე კუნინგის ცნობილი მხატვრული ტილო „ქალი ნომერი 3“ გაიყიდა 72, 4 მლნ. დოლარად (ტილო შეიძინა ცნობილმა ფილანთროპმა დეივიდ როკფელერმა) და ომის შემდგომი პერიოდის სააუქციონო გაყიდვების ფასების რეკორდი მოხსნა.

სტატიის ავტორი დაასკვნის, რომ უილიამ დე კუნინგის აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მხატვრული ენა ხასიათობრივად ამერიკულ მხატვრულ მოვლენას ქმნის და მას წმინდა ამერიკული ფესვები აქვს.

ლუკა დვალისძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

უსამშობლო ხალხის ბრძოლია ედუარდ ჭეილის ფილიპ ნოლანისა და ჯონსტანტინე გამსახურდიას ფარსმან სპარსის მიხედვით

მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი მაგალითია იმისა, როცა დროითი და სივრცითი დაშორების მიუხედავად ერთი და იგივე ან სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ შემოქმედთა ეროვნულ-საკაცობრიო მრწამსი, გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი რეალობების გამო, თითქმის იდენტურია. შესაბამისად, ყოველივე ეს, პერსონაჟთა ხასიათებისა და ადამიანურ-ცხოვრებისეული კრედოს ყოველგვარი შეგნებული ხელოვნური ლიტერატურული „კულტივირების“ გარეშე, დიდ მსგავსება-თანხვედრილობაში ვლინდება. ამ მხრივ საინტერესოა მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელი მწერლის, ედუარდ ჭეილის ნოველის „უსამშობლო კაცის“ მთავარი პერსონაჟის, ფილიპ ნოლანისა და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ყოველმხრივ დეგრადირებული კონდოციერის, ფარსმან სპარსის, იდუმალი, შეუცნობელი პიროვნების ფსიქო-ფიზიკური პორტრეტები.

ედუარდ ჭეილი, როგორც თავისუფალი ქვეყნის შვილი, ცენზურის არტახებისგან შეუზღუდავი შემოქმედი, უშუალო თვითმხილველი და ხშირად მონაწილეც იყო საესავი სამშობლოს, ამერიკის, მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და საომარი ბატალიებისა. ცნობილი ფაქტია, რომ ქვეყანამ ყველა ეს განსაცდელი ღირსეულად გამოიარა. სხვადასხვა მეთოდებით მნიშვნელოვნად გააფართოვა ქვეყნის ტერიტორია. ამდენად სავსებით ბუნებრი-

ვი და კანონზომიერია ის ფაქტი, რომ მწერალი აიდეალებს და მიეტრფის ისეთ პიროვნებას, რომელიც ყოველგვარი ანგარე-ბისა და ჭოჭმანის გარეშე ბოლომდე უშურველად ემსახურე-ბა თავის სათაყვანო მშობელ ქვეყანას. ედუარდ ჰეილი ასე-ვე უზომოდ აფასებს ყველა იმ პიროვნებას, რომელმაც თავისი ახალგაზრდული ასაკისა თუ გამოუცდელობის გამო უნებლიედ შეცოდა სამშობლოს წინაშე, მაგრამ გულწრფელად მოინანია და შემდეგ სხვებს მისცა მაგალითი თუ როგორ უნდა მოეუაროთ, ვემსახუროთა და ვუერთგულოთ ამქვეყნიურ უზენაეს რეალო-ბას – სამშობლოს.

კონსტანტინე გამსახურდიამ მეოცე საუკუნის 30-იანი წლე-ბის ბოლოს, როცა ქართული რომანისტიკის ერთ-ერთი შედეგ-რი „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოაქვეყნა, აპოგეას მიღწეული სახელმწიფო-საცენზურო რეპრესიული მანქანის მხრიდან ხი-ფათის მიუხედავად, ყოველი ჭეშმარიტი მკითხველისათვის ად-ვილად ამოსაცნობი შიფრით, ყველასთვის სათვალსაჩინო გა-ხადა, რომ ფარსმან სპარსის მსგავსი, ეროვნულ-სახენაშლილი და სხვა პიროვნების სულიერ-მამულიშვილური მრწამსისადმი ნიჰილისტურად განწყობილი და იქედნურად მოქირქილე ადა-მიანები ფიზიკურ-სულიერი დეგრადაციისა და მარტოობა-მიუ-საფრობისთვის არიან განწირულნი.

ედუარდ ჰეილის უსამშობლო კაცი მწერლის თანამედროვეა. ავტორის ღრმა რწმენით ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი სამშობ-ლოს მიმართ ისეთი გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული, რო-გორც ეს ჰქონდა ერთ დროს უსამშობლო, პოლიტიკურად დე-ზორიენტირებულ ცდომილს, მაგრამ ახლა უკვე მონანიებულ, სამშობლოზე გულმხურვალედ, თავდავინწყებით შეყვარებულ საზღვაო ოფიცერს – ფილიპ ნოლანს.

კონსტანტინე გამსახურდიამ თავის პერსონაჟს, უსამშობლო კაცს, ფარსმან სპარსს, სამოქმედო არეალად მეთერთმეტე სა-უკუნის პირველი ნახევარი მიუმიჯნა-განუსაზღვრა, თუმცა ყო-ველი დროის მკითხველისათვის ნათელია, რომ კომუნისტური

მმართველობის ეპოქაში ხელისუფლების მიერ წახალისებული ეროვნებასა და სამშობლოზე უარის თქმა, სწრაფვა ე. წ. მსოფლიო მოქალაქეობისკენ ფიზიკურ და მორალურ სახეს აკარგვინებდა ადამიანს. ქართული სიბრძნე-შეგონების შესაბამისად ღამურას მდგომარეობაში აგდებდა მას.

ედუარდ ჰეილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში წარმოჩენილი სამშობლოს მოღალატე და სამშობლოზე უარის მთქმელი უსამშობლო პერსონაჟები, ნიჭიერ შემოქმედთა ღრმა რწმენით, ყველა დროში ყველაზე ტრაგიკული ბედის მატარებელი ადამიანები არიან.

ედუარდ ჰეილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ფილიპ ნოლანი იზრდებოდა „იმდროინდელი დასავლეთის მხარეში“, „ესპანური შეთქმულების“, „ორლეანის შეთქმულების“ და კიდევ სხვა შეთქმულებების წიაღში. ცნობილი ფაქტია, რომ ამერიკის ათვისების პირველი პერიოდიდან მოყოლებული ეს კუთხე, გარკვეული რეალობიდან გამომდინარე, ითვლებოდა „ველურ დასავლეთად“. მწერლის თქმით, ნოლანის საახლობლოში „მაღალ საზოგადოებას წარმოადგენდა ესპანელი ოფიცერი ან ფრანგი ვაჭარი ორლეანიდან ... ერთი სიტყვით, „შეერთებული შტატები“ ნოლანისთვის ძნელად წარმოსადგენი რეალობა იყო. მიუხედავად ამ კუთხის მცხოვრებთა ერთი დიდი ნაწილის პროტესტანტული განწყობილებისა „ფილიპ ნოლანი გახლდათ უებრო ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც მსახურობდა „დასავლეთის ლეგიონში“. იგი იყო მხიარული, მამაცი და გონიერი ახალგაზრდა, რომელიც სხვა ოფიცრებისგან გამოარჩია იმ დროს სამხედროებში პოპულარულმა აარონ ბარმა, რომელმაც 1805 წელს „გაბედული ექსპედიცია განახორციელა ნიუ-ორლეანისაკენ.“ სწორედ ამ პერიოდში გაიცნო ბარმა სხვა სამხედროებისგან გამორჩეული ნოლანი და, როგორც მწერალი მიუთითებს, ჩაითრია „სახელმწიფოს ლალატში.“ შეთქმულება მალე გამომჟღავნდა და სხვა მაღალი ჩინის ოფიცრებთან ერთად „რამდენიმე პოლკოვნიკი, ერთი მაიორი და ლეიტენანტი ნოლანი“ სამხედ-

რო სასამართლოს წინაშე წარსდგა. მრავალი ქვეყნის სამწუხარო ტრადიცია აქაც განმეორდა – „დიდი თევზები გაუსხლტნენ მსჯავრს.“სამაგიეროდ ნოლანს დანაშაული დაუმტკიცდა, თუმცა იგი „ბრწყინვალე არამზადისაგან“ (მწერლის ტერმინი. – ლ.დ.) აარონ ბარისაგან ცდუნებული, თავის ანტიამერიკულ საქმიანობას სამართლიანად თვლიდა. დამნაშავედ ცნობისა და მონანიების არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა, პირიქით, მოსამართლის შეკითხვაზე – „ხომ არ გსურთ რაიმე თქვათ იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველთვის ერთგული იყავით შეერთებული შტატებისაო, ... ნოლანმა გააფთრებით იყვირა: „ემშაკმა დაწყევლოს თქვენი შეერთებული შტატები. ღმერთო ჩემო, არასოდეს გამაგონო შეერთებული შტატების სახელი.“

სასამართლოს სხდომის მონაწილენი შეაძრწუნა ნოლანის პასუხმა და სხდომის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა მორგანმა პატიმრის თხოვნის შესაბამისი უცნაური, ფრიად ორიგინალური, მაგრამ, ვფიქრობთ, სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო: თუ შეერთებული შტატების პრეზიდენტიც თანახმა იქნებოდა და დასტურს მისცემდა, მსჯავრდებულს აღარასოდეს აღარ უნდა გაეგონა სახელი შეერთებული შტატებისა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, „ქვეყნის პრეზიდენტი დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ფილიპ ნოლანი მოათავსეს სამხედრო გემზე, რომელიც ხანგრძლივ კრუიზში უნდა წასულიყო, ხოლო როცა გემი უკან, სამშობლოსკენ გამოემართებოდა, ნოლანს გადასვამდნენ სხვა გემზე, რომელიც ასევე დიდი ხნით მიემართებოდა ზღვაზე სამორიგეოდ. გემის ოფიცრები და პირადი შემადგენლობა მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ პატიმართან არავის ეხსენებინა შეერთებული შტატების სახელი; უფრო მეტიც, მას პრესასაც აწვდიდნენ, მაგრამ სადაც ტაბუდადებული მასალები იყო დაბეჭდილი, ის გვერდები გადახაზული, ხოლო სიტყვები ამოჭრილი იყო. ეს შეზღუდვა ვრცელდებოდა წიგნებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზეც. ფილიპ ნოლანის ეს

ტრაგედია დაიწყო 1807 წლის 23 სექტემბრიდან და გაგრძელდა მის გარდაცვალებამდე 1863 წლის 11 მაისამდე.

ალბათ ძნელია გონიერი ადამიანისთვის იმაზე მეტი სასჯელის დაკისრება, ვიდრე მთელი ხანგრძლივი, გნებავთ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, თავისი სამშობლოსა და უახლოესი ადამიანების შესახებ ვერავითარი ინფორმაცია ვერ მიიღოს. სრულ, საღ ჭკუა-გონებაზე მყოფი ადამიანისთვის, ვფიქრობთ, ამაზე დიდი სასჯელი არ არსებობს. თუმცა უცნაურ სასჯელმისჯილი ნოლანი გემზე გამოირჩეოდა საოცარი სიმშვიდით, ნესრიგიანობით, ნაკითხობით. ხელს უწყობდა ახალგაზრდა ჯარისკაცებს, სურვილის შემთხვევაში, მიეღოთ განათლება და საფუძვლიანად დაუფლებოდნენ სამხედრო საქმეს. უფრო მეტიც, ერთ საბრძოლო ეპიზოდში ნოლანმა გმირობაც კი ჩაიდინა, მაშინ, როცა შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდი ბრიტანულ კრეისერს შეებრძოლა. მონინააღმდეგის გემიდან გამოსროლილმა ჭურვმა ამერიკელთა სამხედრო გემის საარტილერიო დანაყოფი თითქმის მთლიანად გაანადგურა, მაგრამ გამოჩნდა ყოფილი არტილერისტი, ფილიპ ნოლანი, რომელმაც გადარჩენილ ჯარისკაცებს უნარიანად და უშიშრად უმეთაურა. შესაბამისად საზღვაო ბრძოლა ამერიკელთა გამარჯვებით დამთავრდა. ნოლანს მაღლობა კი გადაუხადეს, მაგრამ სასჯელი მაინც არ შეუმსუბუქეს. მწერალი ზომიერი ირონიით აღნიშნავს, რომ თითქოს ყველას დაავიწყდა ოკეანეში დაკარგული, უმძიმეს სასჯელმისჯილი უსამშობლო კაცი. შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა, რომელიც ზერელედ მიუდგება მხატვრული ტექსტით მინოდებულ ამბავს, იფიქროს, მხოლოდ სამშობლოსა და ახლობლების ხსენების აკრძალვისა, სხვა მხრივ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ნოლანი არცთუ ურიგოდ იგრძნობდა თავს გემზეო. ეს ასე სრულებით არ გახლავთ. მართალია, ფილიპ ნოლანი გემზე ყოფნისას ღიად არ გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას მკაცრი სასჯელის გამო, პირიქით, ერთი შეხედვით ბედს მინდობილ, უპრეტენზიო ადამიანის შთაბეჭდილებას უფრო

ტოვებდა, მაგრამ როცა მისი გარდაცვალების შემდეგ ოფიცრებმა მოინახულეს ნოლანის კაიუტა, ისინი განცვიფრებულნი დარჩნენ იმით, თუ როგორ ყვარებია გულის სიღრმეში თავისი დაკარგული სამშობლო უსამშობლო კაცს. მიუხედავად აკრძალვებისა, მას მაინც მოუხერხებია და მოუძიებია სამშობლოსთან ასოციაციით დაკავშირებული საგნები და ნივთები. თავისი ფანტაზიით დაუხატავს შტატების რუკა, რომელიც გულუბრყვილო ბავშვის ნამოქმედარს უფრო ჰგავდა, მაგრამ ამავედროულად უტყუარი მტკიცება იყო იმისა, რომ ნოლანს ერთი წუთითაც არ დავიწყებია თავისი სამშობლო, მაგრამ პირად დარდსა და ტკივილს ღიად არასდროს არ გამოხატავდა.

ნოლანს რომ თავისი სამშობლო არასოდეს დავიწყებია, განსაკუთრებით კარგად ჩანს ერთ ეპიზოდში: ნეაპოლის ყურეში ხანგრძლივი დროით შეჩერებულ გემზე დიდი მეჯლისი მოაწყვეს. ოფიცრები, რომლებიც უკვე დიდი ხანია იცნობდნენ ნოლანს, პატივს სცემდნენ მას მისი განათლებისა და გულისხმიერების გამო, ისიც ჩართეს მეჯლისში. შემთხვევით, გემზე მყოფი სამოქალაქო პირებიდან, ერთ-ერთი ქალბატონი, ნოლანის ძველი ნაცნობი აღმოჩნდა. მსჯავრდებულმა ნოლანმა გადაწყვიტა ცეკვის დროს ესარგებლა შემთხვევით და ქალბატონისგან მიეღო ინფორმაცია შორეული სამშობლოს შესახებ. შეკითხვაზე „მისის გრეფ, სამშობლოდან რაღა ისმის?“ საქმის არსში გარკვეულმა ქალბატონმა უკმეხად და დაურიდებლად მიახალა პირში სიმართლე: „სამშობლოდან? მისტერ ნოლან, მე მგონი, თქვენ სწორედ ის კაცი ბრძანდებით, სამშობლოს სახელის გაგონებაც რომ არ ისურვა“ (ათი ამერიკელი ... 2004: 62). წამის წინ თითქოს ბედნიერი ნოლანი, ისევ ყველასაგან იზოლირებული, მიუსაფარი და მარტო აღმოჩნდა. ამ ეპიზოდის წაკითხვისას უნებლიეთ გახსენდება ილიას სიტყვები: „ხოლო მის გულში თუ რა ნაღველი დუღდა, წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“. თუ რა ტკივილი, დარდი და ნაღველი დუღდა ფილიპ ნოლანის გულში, ამის წარმოდგენა მკითხველს ნამდვილად არ გაუჭირდება.

ამ პატარა თხზულების შეფასებისას უპირობოდ უნდა დავეთანხმეთ ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს რ. ჩხეიძეს, რომელიც წერს: „უსამშობლო კაცი“ ის ქმნილებაა, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ნოველათა ანთოლოგიების შედგენის დროსაც არ უნდა გამოგვრჩეს.“ (ათი ამერიკელი 2004:3). „უსამშობლო კაცი“ მართლაც გამორჩეულთა შორისაც კი გამორჩეული ნაწარმოებია. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოსთანა, მართლაც უფლისგან რჩეულ, თუმცა მცირერიცხოვან ქვეყანას, რომელსაც მუდმივად უამრავი მტერი ესეოდა და, შესაბამისად, დამპყრობლები ათასგვარი ხრიკებით არცთუ იშვიათად ახერხებდა თვითონ ქვეყნის შიგნით მოენახა სამშობლოს გამყიდველი კონდოტიერი, უსამშობლო კაცი, დიდი ქვეყნის საინტერესო მწერლის მრავალმხრივ საყურადღებო ეს თხზულება ბევრითაა სათვალყურგულსაჩინო. პირველი ქართული დიდებული მხატვრული ძეგლი „შუმანიკის ნამებაც“ ხომ ერთიანი გოდება, ნუხილი და შეჩვენებაა საკუთარი ქვეყნის მოღალატე ვარსკენ პიტიახშისა. საერთოდ სიტყვაკაზმული ქართული მწერლობის, ქართული ზეპირსიტყვიერების და ისტორიისათვის ყოველთვის გამორჩეული თემა იყო და არის სამშობლოს უანგაროდ მსახურების იდეა. შესაბამისად, დაგმობილ-შეჩვენებული იყო ქვეყნის მოღალატე ყოველი ადამიანი. უპირობოდ უნდა დავეთანხმეთ რ. ჩხეიძეს, რომელიც წერს: „აქ გაშიშვლებულა ისეთი ღრმა შრე და ნახნაგი სამშობლოსთან მიმართებისა, ისეთი ორიგინალურობითაა გახსნილი გრძნობის დაფარული ინტიმი და სულიერი ჭიდილის ფილოსოფია, ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში დაისაჭიროებს წიგნიერი საზოგადოება, მით უფრო ისეთი ქვეყანა და ისეთ საბედისწერო ჟამს ჩვენ რომ მოვქცეულვართ“.
(ათი ამერიკელი 2004:4).

ვფიქრობთ, კ. გამსახურდიას საინტერესო, მაგრამ ყოველმხრივ დეგრადირებული უსამშობლო პერსონაჟი ფარსმან სპარსი ბევრი რამით ჰგავს ფილიპ ნოლანს, თუმცა ასევე ბევრი სახასიათო შტრიხითაც განსხვავდება მისგან, რაც სავსებით ბუ-

ნებრივია. საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულმა ნოლანმა სიკვდილის წინ მოინანია და დალოცა თავისი ნატრული სამშობლო: „ამ გემზე და საერთოდ ამერიკაში – ღმერთმა აკურთხოს იგი – არ მოიძებნება კაცი, ჩემზე მეტად რომ იყოს ერთგული სამშობლოსი.“ შეიძლება ითქვას, ნოლანისგან განსხვავებით ფარსმან სპარსი ბოლომდე გადაგვარებული, უჯიათო ადამიანია. მრავალი უზნეობის ჩამდენი ფარსმანი სიბერეშიც კი არ გრძნობს უხერხულობას და შესაბამისად არც მონანიების სურვილს ამჟღავნებს. ფარსმანისა და ფილიპ ნოლანის ცხოვრების დაისი არამარტო განსხვავებულია, არამედ რადიკალურად ურთიერთსაპირისპირო. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ორივე მწერლის, ედუარდ ჰეილისა და კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შექმნილი პერსონაჟები უაღრესად ცხოვრებისეულია. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ყოველ დროში გვხვდებოდნენ და ახლაც, ვფიქრობთ, მოჭარბებულად არიან მშობელი ქვეყნის ორგული ადამიანები. როგორც დღევანდელი ცხოვრებისეული რეალობა ადასტურებს, ასეთი ადამიანების რიცხვის ზრდას მომავალში უნდა ველოდოთ კიდევ, რამეთუ ე. წ. მსოფლიო მოქალაქეობისკენ სწრაფვა და უკულმა გაგებული ხალხური სიბრძნე – სადაც კარგად ვიცხოვრებ, ჩემი სამშობლო იქაა, დღეს როგორც არასდროს ძალაშია. იგი, სამწუხაროდ, ახალ „მასებს“ იკრებს და იმატებს. უდავოდ შეუცვლელია ქართველ კეთილშობილთა კოჰორტის დიდებული წარმომადგენლის, რაფიელ ერისთავის სიტყვები „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...“, ან ივანე ჯავახიშვილის გენიალურად მარტივი და ტევადი ფრაზა – მშვენიერი რამაა სამშობლოს სიყვარული. და თუ ღირსეული პიროვნება ზემოხსენებულ ფრაზებში დავანებულ ქვეყნის მამებრ არ მოიქცევა, მაშინ ისინი ფილიპ ნოლანისა და ფარსმან სპარსის მსგავსად გარდაცვალებამდე სიკვდილისთვის განწირული არიან. საზოგადოების ასეთი დეგრადირებული წევრები ჩვენ შეიძლება შევადაროთ სიკეთისა და ადამიანური ემოციისგან დაცლილ მკვდარცოცხალ არსებებს.

ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული ქვეყნების ამ ორ შესანიშნავ მწერალს, როგორც ჩანს, დიდად აწუხებდა ადამიანში ადამიანურობის დეგრადაცია, დეჰუმანიზაციის პრობლემა, მარადიული საცდური, რომელიც ამქვეყნიური მატერიალურის მონად ხდის ყოველ სულმოკლე ადამიანს. ალბათ ამიტომაც კონსტანტინე გამსახურდია საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ფარსმანი „წინაპარია საქართველოს ისტორიის მანძილზე წარმოშობილ უსამშობლო კონდოტიერებისა.“ ფარსმან სპარსის იქედნესეული ბუნება საინტერესოდ შეაფასა ა. ნიკოლეიშვილმა: „ფარსმანის, როგორც კონდოტიერის, გაყიდული და უსამშობლო კაცის მხატვრული სახის შექმნა უსათუოდ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მწერლის მძაფრი შინაგანი დაპირისპირება, არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ცნობილი მსგავსი ბიოგრაფიის ადამიანებთან, არამედ თავად ავტორის დროინდელ დიდ ქართველ 'ინტერნაციონალებთან'“ (ნიკოლეიშვილი 2002: 275).

ედუარდ ჰეილის მხატვრულად და იდეურად სრულყოფილი ეს ნოველა, ყოველგვარი შიფრების, ალეგორიებისა და ქვეტექსტური ამოსახსნელების გარეშე, დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ყოველ მკითხველს და ასევე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დიდაქტიკურად მარადიული საწაღმართო ენერგიით დამუხტავს მის ცნობიერებას. შესაბამისად ტერიტორიულად დიდი მანძილით დაშორების მიუხედავად, ეს ორი ნიჭიერი, გამორჩეული მწერლური ხელწერის ქართველი და ამერიკელი შემოქმედი ამჟღავნებს დიდ სულიერ ესთეტიკურ და იდეურ ნათესაობას.

დამოწმებანი

ათი ამერიკელი. თბილისი: მერანი, 2004. (შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო როსტომ ჩხეიძემ)

ნიკოლეიშვილი, ა. XX საუკუნის ქართული მწერლობა. ქუთაისი, 2002.

LUKA DVALISHVILI

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

EDWARD HALE'S PHILIP NOLAN AND KONSTANTINE GAMSAKHURDIA'S PARSMAN THE PERSIAN: TRAGEDY OF THE MAN WITHOUT A COUNTRYE

SUMMARY

The article compares tragic fates of two fictional characters _ Philip Nolan from Edward Hale's short story *The Mann Without a Country* and Parsman the Persian from Konstantine Gamsakhurdia's historical novel *The Right Hand of the Grand Master*. The author convincingly demonstrates that despite many differences in these characters and settings, both protagonists have one thing in common: they have lost their homeland, their native roots and therefore their fates are tragic.

მირიან აბანოიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

რიზომა და ამერიკა

ჟილ დელიოზისა და ფელიქს გვატარის ნიგნში “ანტიოიდი-პოსი: კაპიტალიზმი და შიზოფრენია” მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამერიკის თემას. ეს კარგად ჩანს ამ ნიგნის ყველაზე ცნობილ თავში, სადაც რიზომის კონცეფციაა გადმოცემული. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა რიზომის შთაგონების ერთ-ერთი წყაროა, თუმცა ბოლომდე მათი გაიგივება არ იქნება გამართლებული. განვიხილოთ რიზომის ნიშან-თვისებები, რათა გამოვკვეთოთ მსგავსება და განსხვავება.

დასავლური კულტურისათვის დელიოზისა და გვატარის მიხედვით სამყაროს სახე წარმოადგენს ხეს, უფრო ზუსტად, ფესვი ხე-სამყაროს სახეა. ასეთია კლასიკური ნიგნი – ჩინებულად ორგანიზებული, მნიშვნელობის მქონე და სუბიექტური (ნიგნის შრეები). ნიგნი, როგორც ხელოვნება, ბაძავს ბუნებას. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხერხებით იგი დასრულებულს ხდის იმას, რასაც ბუნება აღარ, ან ვეღარ აკეთებს. ნიგნის კანონი ასახვის კანონია. „ერთი“ ხდება ორი. მაგრამ ბუნება ასე არ მოქმედებს. თავად ფესვები აქ უფრო მრავალრიცხოვანი, პერიფერიული და სფეროსებური „არადიქტომიური“ განტოტვილობით ღეროებადაა განტოტვილი.

ბინარული ლოგიკა ხე-ფესვის სულიერი რეალობაა. თვით ისეთი „მონინავე“ დისციპლინაც კი, როგორც ლინგვისტიკაა, ხე-ფესვის ფუნდამენტურ ხატს იცავს, კლასიკური აზროვნების ტყვეობაში რჩება (ასე მაგალითად, ჩომსკი და სინტაგმური ხე, რომელიც ს წერტილში იწყება და შემდეგ დიხტომიურად ვითარდება), ბინარული ლოგიკა და ორმნიშვნელოვანი ურთიერთობები ფსიქონალიზში ისევ ბატონობს (მანიის ხე ფროიდთან

შრებერის ინტერპრეტაციებში). ასევეა ლინგვისტიკაში, სტრუქტურალიზმში და თვით ინფორმატიკაშიც.

სისტემა-ფესვი ანუ ფუნჯისებური ფესვი წიგნის მეორე სახეა, რომელშიც ჩვენი თანამედროვეობა სიამოვნებით აცხადებს თავის თავს. აქ მთავარი ფესვი ამოკვეთილი ან საფუძვლამდე დანგრეულია. ბუნებრივი რეალობა (ამ შემთხვევაში მთავარი ფესვის) ვლინდება ამოკვეთილობაში, თუმცა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მისი ერთიანობა მაინც შენარჩუნებულია. ყოველთვის, როცა მრავლობითობა სტრუქტურაში მოექცევა, მისი ზრდა თავსებადობის კანონის შესუსტებით კომპენსირდება. მთლიანობის (ერთიანობის) ბებიქალები აქ ანგელოზთა შემქმნელებად გვევლინებიან. დოცტორეს ანგელიცი – რადგან უმაღლეს, ანგელოზურ ერთიანობას ამტკიცებენ. ჯოისის სიტყვები – „მრავლობითი ფესვებით“ მოლაპარაკენი არ არღვევს სიტყვის ან ენის ხაზობრივ ერთიანობას. ნიცშეს აფორიზმები ცოდნის ველის ხაზობრივ ერთიანობას მარადიული დაბრუნების ციკლური ერთიანობით ინარჩუნებენ, რაც გაუზიარებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუნჯისებური კონა-სისტემა ფაქტობრივად ისევ დუალიზმს უკავშირდება სუბიექტის და ობიექტის გადახლართულობით, ისევე როგორც ბუნებრივი და სულიერი რეალობისა. ერთიანობა ობიექტში მაშინაც შენარჩუნებულია, როდესაც სუბიექტში ერთიანობის ახალი ტიპი იმარჯვებს. სამყარომ დაკარგა ლერძი, სუბიექტს დიხოტომიის შექმნა უკვე აღარ შეუძლია, თუმცა მან უფრო მაღალ ერთიანობასთან – ამბივალენტობის და ზედეტერმინებულობის ერთიანობასთან მისასვლელი მონახა. მიაგნო განზომილებას, რომელიც ობიექტის განზომილებას სრულყოფილს ხდის. სამყარო ქაოსად გადაიქცა, თუმცა წიგნი კვლავ სამყაროს სახედ ყოფნას განაგრძობს: ქაოსმოსფესვი ნაცვლად კოსმოსი ფესვისა. წიგნის მისტიფიკაცია მით უფრო ტოტალურია, რაც უფრო ფრაგმენტულია.

რიზომა, როგორც მიწის ქვეშ ჩაზრდილი ღერო, რადიკალურად განსხვავდება ძირებისა და ფესვებისაგან. რიზომა – ეს

ბოლქვები და ტუბერებია. ფესვიანი მცენარეები რიზომორფულები შეიძლება იყვნენ სხვა მხრივაც: დელიოზი და გვატარი კითხვას რადიკალურად სვამენ – საერთოდ ბოტანიკა ხომ არ არის თავისი სპეციფიკით რიზომორფული? „თვით ცხოველები, რომლებიც ჯოგებად ცხოვრობენ, რიზომორფულები არიან, ვირთხები ასევე რიზომებია. მათი სოროები და ბუნაგებიც რიზომატულებია, თუკი მთელ ცხოვრებას მივიღებთ მხედველობაში: ჭამა, გადაადგილება, გამრავლება და დაშორება. თავისთავად რიზომას ასევე განსხვავებული ფორმები აქვს, მისი ზედაპირული განტოტვილობრიობიდან დაწყებული ბოლქვებსა და ტუბერებში კონკრეტულ განხორციელებამდე. ვირთხები მუდმივად ქვეშ უძვრებიან ერთმანეთს. რიზომა აერთიანებს ყველაზე კარგს და ყველაზე ცუდს: კარტოფილს და სარეველას, ცხოველურს და მცენარეულს, ის მცოცავი სარეველა“ (ებანოიძე 2009: 61).

დელიოზი და გვატარი ჩამოთვლიან რიზომის რამდენიმე მთავარ თვისებას. 1. და 2. პრინციპები – კავშირი და ჰეტეროგენურობა: განსხვავებით ხისგან ან ფესვისგან, რომლებიც წერტილს და წესრიგს მთლიანობაში აფიქსირებენ, რიზომის ნებისმიერი წერტილი შეიძლება და ყველა სხვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხომსკის აზრით, ლინგვისტური ხე ს წერტილში იწყება და დიხოტომიურად ვითარდება. რიზომაში კი პირიქითაა; აუცილებელი არაა ნებისმიერმა ხაზმა ლინგვისტურ ხაზამდე მიგვიყვანოს: ნებისმიერი ტიპის სემიოტიკური რგოლები აქ კოდირების სრულიად სხვადასხვა საშუალებებთანაა დაკავშირებული – ბიოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ა.შ. ჯაჭვებს მოძრაობაში მოჰყავთ არა მხოლოდ განსხვავებულ ნიშანთა წესრიგები, არამედ ასევე საგანთა სტატუსი, შეუძლებელია ნიშანთა წესრიგებსა და ამ ნიშანთა ობიექტების წესრიგებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება, რადგან მეტყველების კოლექტიური მექანიზმები უშუალოდ მანქანურ მონყობილობებში მუშაობენ. მაშინაც კი როცა ლინგვისტიკა თვალსაჩინოებით

შემოიფარგლება და ენაზე საერთოდ არ ფიქრობს, ის მაინც დისკურსის, განსაკუთრებული სოციალური სახის მექანიზმებისა და ძალაუფლების ტიპების წარმოების სფეროში იკეტება. გრამატიკული გამართულობა და სისწორე ხომსკისა – კატეგორიალური სიმბოლო ს, რომელმაც ყველა ფრაზა დაიქვემდებარა, უპირველეს ყოვლისა ძალაუფლების მარკერს წარმოადგენს, მხოლოდ ამის შემდეგ კი – სინტაქსურ მარკერს: შენ ააგებ გრამატიკულად სწორ ფრაზას, გამოყოფ გამონათქვამში ნომინალურ სინტაგმას და ვერბალურ სინტაგმას (პირველი დიხოტომია...). რიზომა უკვე აღარ აკავშირებს სემიოტიკურ რგოლებს, ძალაუფლებრივი ორგანიზაციების ფენომენებს, რომლებიც მიემართებიან ხელოვნებას, მეცნიერებებს, სოციალურ ბრძოლას. სემიოტიკური რგოლი ტუბერს ჰგავს, რომელიც მოღვაწეობის ყველაზე განსხვავებულ სახეებს აერთიანებს – ლინგვისტური, ალქმითი, ბაძვითი, ჟესტიკულაციური, შემეცნებითი: თავისთვის აღებული ენა, მისი უნივერსალობები არ არსებობს: ჩვენ მხოლოდ დიალექტების, მეტყველებების, ჟარგონების, სპეციალური ენების შეჯიბრებას ვხედავთ. იდეალური მთქმელი-გამგონე, ისევე, როგორც ჰომოგენური ენობრივი საზოგადოება, არ არსებობს. ვაინრაიხის გამოთქმით, ენა „რეალობაა, თავისი არსით ჰეტეროგენური.“ არ არსებობს დედაენა, არის მხოლოდ ენის ძალაუფლება, რომელიც პოლიტიკურ სიმრავლეზე ბატონობს.

3. მრავლობითობის პრინციპი: მრავლობითობას არც ობიექტი არ ჰყავს, არც სუბიექტი, მხოლოდ დეტერმინაციები, სიდიდეები, განზომილებები, რომელთაც არსებითი ცვლილებების გარეშე გადიდება არ შეუძლიათ (შეერთების კანონი გადაჯვარედინებულია მრავლობითობასთან). „თოჯინა ძაფებზე, როგორც რიზომა ან მრავლობითობა, ემორჩილება არა არტისტის ან დემონსტრატორის ახირებას, არამედ მრავლობით ნერვიულ დაბოლოებებს, რომლებიც თავის მხრივ, სხვა განზომილების შესაბამისად, სხვა თოჯინას ქმნიან. მექანიზმი წარმოადგენს სწორედ ასეთ გადაკვეთას რამდენიმე განზომილებისა სიმრავ-

ლემი, რომელიც ამ კავშირების რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ აუცილებლად იცვლება“ (ებანოიძე 2009: 65).

რიზომაში წერტილი ან პოზიცია არაა იგივე, რაც გვაქვს სტრუქტურაში, ხეში, ფესვში, მხოლოდ ხაზები და არხები. როდესაც გლენ გულდი რომელიმე ნაწყვეტის შესრულები-სას ტემპს ზრდის, მხოლოდ მისი ვირტუოზობის ბრალი არაა: ის მუსიკალურ წერტილებს ხაზებში გარდაქმნის, იგი ზრდის მთლიანობას. ამიტომ აღარაა რაოდენობა უნივერსალური ცნე-ბა, რომელსაც შეუძლია ელემენტები რომელიღაც განზომილე-ბაში გაზომოს მათი ადგილის მიხედვით. ერთიანობის ცნება მაშინ გამოჩნდება, როდესაც მრავლობითობაში სუბიექტივაცი-ის პროცესი იწყება ან ძალაუფლება იპყრობს აღსანიშნს: იგივე ეხება ღერძულ ერთიანობას, რომელიც ქმნის ელემენტებს ან ობიექტის წერტილებს შორის ორმნიშვნელოვანი ურთიერთობე-ბის ერთობლიობას, ან ერთიანობას, რომელიც სუბიექტში დი-ფერენციაციული ბინარული ლოგიკის კანონების შესაბამისად იყოფა.

დელიოზისა და გვატარის მიხედვით, „ამიერიდან ჩვენ ხე-ებზე, ფესვებზე ან ძირებზე აღარ უნდა ვიფიქროთ... მთელი ხისსახოვანი კულტურა ბიოლოგიიდან ლინგვისტიკამდე მათზეა დამყარებული. პირიქით, არაა არაფერი იმაზე უფრო მშვენიე-რი, საყვარელი, პოლიტიკური, ვიდრე მინისქვეშა ღეროები და მინის ზედა ფესვები, გარსი და რიზომა. ამსტერდამი ქალაქია, ასე ვთქვათ, არაძირძველი, არამედ ქალაქი-რიზომა თავისი არ-ხებით-ღეროებით, სადაც მანქანური კონვერციული ომის კავ-შირებით სარგებლიანობა ძალიან დიდ სიგიჟესთან შერწყმულა“ (ებანოიძე 2009: 69).

საინტერესოა, როგორ დაიმორჩილა ხემ მთელი დასავლური სამყარო და დასავლური აზროვნება ბოტანიკიდან ბიოლოგიამ-დე, ანატომია, გნოსეოლოგია, თეოლოგია, ონტოლოგია, მთელი ფილოსოფია... ფესვი-საფუძველი, Gorund, roots და foundations.

დასავლეთი ტყესთან და ტყის გაჩეხვასთან განსაკუთრებით

მჭიდროდაა დაკავშირებული. ტყისგან ბრძოლით მოპოვებული ველები ნარგავებითა და მარცვლეულით ივსებოდა, რომლებიც ხის მსგავსი კულტურის ხაზის მიზანს წარმოადგენენ. თავის მხრივ, გაშლილ ნასვენ ველებზე განვითარებული მეცხოველეობა ირჩევს ხაზებს, რომლებიც ხისმაგვარ ცხოველებს აყალიბებენ. აღმოსავლეთი – სრულიად სხვა რამეა: კავშირი ბალთან და ტრამალეტან (სხვა შემთხვევაში უდაბნოსა და ოაზისთან) უფრო ძლიერია, ვიდრე ტყესა და ველთან; ესაა ბოლქვების, ბურდების, ხენდროების კულტურა, რომლებიც ინდივიდის გარეშე ვითარდებიან; სპეციალიზირებული მესაქონლეობის დახურულ სივრცეებში უკანდახევა ან მომთაბარეების ტრამალში გაძევება. დასავლეთი სასოფლო-სამეურნეო ხაზის კულტურაა, ინდივიდთა დიდი რაოდენობის მიერ არჩეული; აღმოსავლეთი – ნაყოფისა და ბოსტნეულის კულტურა ადამიანთა არც თუ ისე დიდი რაოდენობისა, ფართო გამაზე მიუთითებს. ხომ არ არსებობს აღმოსავლეთში, კერძოდ ოკეანეთში რაიმე რიზომატული მოდელის მსგავსი, რომელიც ყოველმხრივ სანინალმდევო იქნებოდა ხის დასავლური მოდელისა? ოდრიკური სწორედ აქ ხედავს მორალსა და ტრანსცენდენტური ფილოსოფიის განსხვავების წყაროს, რაც ღირებულია დასავლეთში და ფილოსოფიის იმანენტური აღმოსავლეთში: „ღმერთი, რომელიც თესავს და თიბავს და ღმერთი, რომელიც მარხავს და თზრის. ტრანსცენდენტულობა – წმინდა ევროპული ავადმყოფობაა. და მუსიკაც მიწისა სხვადასხვაა. და არც სექსუალობაა ერთნაირი: მარცვლეული მცენარეები სექსუალობას გამრავლების მოდელს უქვემდებარებენ, აერთებენ რა ორ სქესს; რიზომა კი ათავისუფლებს სექსუალობას არა მხოლოდ გამრავლებასთან მიმართებაში, არამედ თავად სქესობრივი გამრავლების უნარს. ჩვენს სხეულში ხეა ჩარჭობილი. მან თავად სქესი აქცია ფენებად და გააგულქვავა. ჩვენ დავკარგეთ რიზომა, ანუ ბალახი“ (ებანოიძე 2009: 73). ჰენრი მილერი: „ჩინეთი მავნე ბალახია კაცობრიობის კომბოსტოს კვალზე. სარეველა ადამიანთა

ლონისძიებების ნემეზიდაა. ყველა მოაზრებადი არსებითობე-
ბიდან, რომლებსაც ვაკუთვნებთ მცენარეებს, ცხოველებს ან
ვარსკვლავებს, იგი შესაძლოა ყველაზე ცუდი ბალახია, რომე-
ლიც ამასთან ყველაზე ბრძნულ არსებობას ეწევა. მართალია,
ბალახებიდან ყვავილები არ გამოდიან, არც ავიამზიდები, არც
მთიანი ქადაგებები... მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, იგი იმ ბალა-
ხად რჩება, რომელმაც საბოლოო სიტყვა უნდა თქვას. საბო-
ლოო ანგარიშით, ყველაფერი ჩინურ სახელმწიფოსთან ბრუნ-
დება. ამას ისტორიკოსები ჩვეულებისამებრ შუასაუკუნეობრივ
სიბნელეს უწოდებენ. სხვა გამოსავალი არაა, გარდა ბალახი-
სა... ბალახი იზრდება დიდ დაუმუშავებელ სივრცეებზე. ავსებს
სიცარიელეებს. იგი იზრდება სხვათა შორის და შუა. ყვავილი
ლამაზია, კომბოსტო სასარგებლოა, ყაყაჩო სიგიჟეს გვაძლევს,
მაგრამ ბალახი – ეს სისავსეა, ეს მორალია“ (ეზანოიძე 2009:
76). რომელ ჩინეთზე ლაპარაკობს მილერი: ძველზე, თანამედ-
როვეზე, გამოგონილზე თუ კიდევ რომელიმე სხვაზე, რომელიც
მოძრავი რუკის ნაწილს დაიკავებდა, კითხვას სვამენ ანტიოი-
დიზოსის ავტორები. ამის შემდეგ გადადიან ამერიკის თემაზე:
„დროა, ადგილი დაუთმობთ ამერიკას. რასაკვირველია, იგი ხის
ბატონობისა და ფესვების ძებნისგან თავისუფალი არაა. ეს ჩანს
თუნდაც ლიტერატურით, ნაციონალური იდენტურობის ძიებით,
ამას გარდა, წარმოშობით და ევროპული გენეალოგიით. თუ-
კი დავტოვებთ, რაც გამოვლინდა და ვლინდება (მნიშვნელო-
ვანს), ყველაფერი ეს ამერიკული რიზომიდან გამოვიდა: ბიტ-
ნიკები, ანდერგრაუნდი, მინის ქვეშა გადასასვლელები, ბანდები
და განგსტერები, თანმიმდევრული ბიძგები გარე სამყაროსთან
და მჭიდრო კავშირი. ამერიკული და ევროპული წიგნის გან-
სხვავება დაუფარავია, მაშინაც კი როცა ამერიკელი ხეებსაა
გამოკიდებული. განსხვავება თვით წიგნის მცნებაშია. 'ბალა-
ხის ფოთლები'. ამერიკაშიც სხვადასხვა მიმართულებებია: აღ-
მოსავლეთში ხის მსგავსების ძებნა და მიხრწნილ სამყაროსთან
დაბრუნება, რიზომატული დასავლეთი თავისი უგვარტომო ინ-

დიელებით, მოხეტიალე საზღვრებით. მთელი 'რუკა' ამერიკული დასავლეთისა, სადაც თვით ხეებს რიზომის ფორმა აქვთ. ამერიკამ ყველა მიმართულებები აურია. მან გადაიტანა თავისი აღმოსავლეთი დასავლეთში, თითქოს მინა სწორედ ამერიკაში გახდა მრგვალი; მისი დასავლეთი აღმოსავლეთზეა მიდგმული..." (ებანოიძე 2009: 75).

ამერიკელი მომღერალი პატი სმიტი ამერიკელი დანდისტის ბიბლიას ახმოვანებს: ნუ ეძებთ ფესვებს, ეძებთ არხები. დადგა თუ არა დრო აქ ორ (სამ ან მეტ) ბიუროკრატიაზე ვილაპარაკოთ? „დასავლური ბიუროკრატია: მისი აგრარული ფესვები, წყაროები, ველები, ხეები და მათი საზღვრითი როლი, უდიდესი წერილები ვილჰელმ დამპყრობლისა, ფეოდალიზმი, საფრანგეთის მეფეთა პოლიტიკა, სახელმწიფოს დაფუძნება, მინის სივრცეთა საომრად გადაკეთება, სასამართლო პროცესი და ცოლქმრული ურთიერთობა. საფრანგეთის მეფეებმა არჩევანი შროშანზე შეაჩერეს, რამდენადაც ამ მცენარეს ღრმა ფესვები გვერდებზე აქვს ამოსული. რაიმე მსგავსს ვხედავთ აღმოსავლეთში? ადვილია მთელი აღმოსავლეთი რიზომაზე და იმანენტურობაზე დავიყვანოთ, მაგრამ სახელმწიფო აქ არ მოქმედებს წინასწარ ჩამოყალიბებულ, გახევებულ და გაფესვიანებულ კლასებზე დაფუძნებული ხისსახოვანი სქემით, ეს არხების ბიუროკრატიაა, სადაც სახელმწიფო, როგორც წარმმართველ, ასევე წარმართულ კლასებს ადებს. დესპოტი მათში ნაკადის მსგავსია და არა წყაროსი.... ბუდას ხე იქცევა რიზომად; მათს ნაკადი და ლუის ხე. აქ შუამავლად ამერიკა გამოდგება“ (ებანოიძე 2009: 78).

ამერიკა შინაგანი ჩახშობისა და განადგურების (არა მარტო ინდიელებისა და ფერმერების და სხვების), იმავდროულად გარედან მიგრაციების ხარჯზე ვითარდება. დედაქალაქის ნაკადი უსაზღვრო არხს ქმნის, ძალაუფლების რიცხვს საზღვრავს, ასევე ყველა იმათ, ვინც შეიძლება გადაადგილდეს ძალაუფლებისა და ფულის ამ ნაკადში (აქ იღებს დასაბამს მითი-რეალობა უპოვარზე, რომელიც მილიარდელი ხდება, რათა კვლავ უპოვარად

გადაიქცეს); ეს ყველაფერი ამერიკაში ერთიანდება – ხე და არხე, ფესვი და რიზომა ერთდროულად. არ არსებობს უნივერსალური, თავის თავში განვითარებადი კაპიტალიზმი. კაპიტალიზმი გაჩნდა ყველა ფორმაციის გადაკვეთისას. თავისი ბუნებით იგი ყოველთვის ნეო-კაპიტალიზმია.

ავტორები აღიარებენ, რომ მთელი ამ გეოგრაფიული გადანაწილებით არასწორ გზაზე ვდგავართ. თუმცა ჩიხი? საით მიემართებით? საიდან მოხვედით? სად გინდათ წასვლა? – უსარგებლო კითხვებია. გაასუფთავო დაფა, მიხვიდე ან დაბრუნდე არარასთან, ეძებო საწყისები, საფუძველი – ყველაფერი ეს თავს გვახვევს ცრუ წარმოდგენას მოგზაურობაზე და მოძრაობაზე (მეთოდოლოგიური, პედაგოგიური, ალყვანებით-შესავლითი, სიმბოლური და ა.შ.), მაგრამ კლაისტი, ლენცი ან ბიუხნერი მოგზაურობენ სხვაგვარად, მოჰყავთ მოძრაობაში, მიდიან შუაგულისკენ, შუაგულის გავლით, გასვლით და გამოსვლით, დაუნყებლად და დაუსრულებლად. ეს რიზომატული აზრი ამერიკულმა და ნაწილობრივ ინგლისურმა ლიტერატურამაც აღმოაჩინა, შეძლო გაეგლო „შორის“, აღედგინა „და“-ს ლოგიკა, გადაეტრიალებინა ონტოლოგია, აერია საფუძველი, გაეუქმებინა დასასრული და დასაწყისი. მათ გამოუვიდათ პრაგმატიკის შექმნა. „შუაში“ სულაც არაა საშუალო სიდიდე, პირიქით, ესაა ადგილი, სადაც ყველაფერი იღებს სიჩქარეს. საგანთა შუაში არ აღნიშნავს ლოკალიზებულ ურთიერთობებს, რომელსაც ერთიდან მეორესთან მივყავართ და პირიქით, ეს პერპენდიკულარული მიმართულებაა, გარდიგარდმო მოძრაობა, რომელსაც მოსდევს როგორც ერთი, ისე მეორე, იკრებს მათ, ეს ნაკადული დასაწყისისა და დასასრულის გარეშე, ორივე მდინარის ძირგამომთხრელი და შუა (გულ)ში სიჩქარის მომპოვებელი.

დამოწმებანი

ებანოიძე, მ. კლასიკის კვლევა არაკლასიკურის ეპოქაში. ქუთაისი, 2009.

Deleuze, Gilles and Félix Guattari. *A Thousand Plateaus: Capitalism and Schizophrenia*. Trans. Brian Massumi. Vol. 2, London and New York: Continuum, 2004.

Guattari, Félix. *Chaosophy*. Sylvère Lotringer (ed.), *Semiotext(e)/Foreign Agents Series*, New York: Semiotext(e), 1996.

MIRIAN EBANOIDZE

Akaki Tsereteli State University, Professor

RHIZOMA AND AMERICA SUMMARY

Deleuze and Guattari use the terms “rhizome” and “rhizomatic” to describe theory and research that allows for multiple, non-hierarchical entry and rejects representation and interpretation. A rhizome works with planar and trans-species connections, while an arborescent model works with vertical and linear connections. Their use of the “orchid and the wasp” is taken from the biological concept, in which two different species interact together to form a unity that is multiple in itself. As a model for culture, the rhizome resists the organizational structure of the root-tree system along chronological lines. A rhizome, on the other hand, is characterized by ‘ceaselessly established connections between semiotic chains, organizations of power, and circumstances relative to the arts, sciences, and social struggles. Rather than narrativize history and culture, the rhizome presents history and culture as a map or wide array of attractions and influences with no specific origin or genesis, for a ‘rhizome has no beginning or end; it is always in the middle, between

things, interbeing, intermezzo.’ The planar movement of the rhizome resists chronology and organization, instead favoring a nomadic system of growth and propagation.

The important role in Rhizome is playing the model of America, which is represented by hipster movements, bands and gangsters, undergrounds, flow of capital. ‘Leaves of grass’ is a very characteristic symbol in the history of American literature, as a synthetic image of rooted and rhizomatic.

დარაჯან გელაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

მზიური გელაძე

ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ინალუზიური განათლების აქტუალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ანტიკური სამყარო ქადაგებდა „მშვენიერი სხეულის“ კულტს. გამეფებული იყო მოსაზრება, რომ „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“, ამიტომ ერთგვარი სკულპტურული ხედვა იყო დამკვიდრებული და ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც რაიმე სახის ფიზიკური შეზღუდვა, განსხვავებულობა ცოდვად ითვლებოდა. ამიტომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები განიცდიდნენ დისკრიმინაციის უდიდეს ფორმებს და ყველასგან გარიყულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“ – ამ დებულების ტრფობა კარგად ჩანს ანტიკურ სკულპტურებშიც, სადაც იდეალური სხეულის გამოქანდაკება ითვლებოდა ყველაზე დიდ და უნიკალურ ხელოვნებად. ასეთი მიდგომა ნერგავდა მოსაზრებას, რის მიხედვითაც კარგი იყო ის, რაც საამო იყო საცქერლად, ხოლო რის დანახვასაც არ შეეძლო აღფრთოვანებაში მოეყვანა მნახველი, გახლდა ნაწილი ბოროტებისა. ანტიკურ ქალაქ სახელმწიფო სპარტაში კიდევ უფრო სასტიკი გამოვლინება ჰქონდა ყოველივე ამას და ფიზიკური შეზღუდულობით დაბადებული ადამიანი იმთავითვე იწირებოდა სიკვდილისათვის. ასეთი ბავშვები უფსკრულ „აპოთეგში“ – პოულობდნენ „უკვდავებას“.

XIX საუკუნის საზოგადოება ინვალიდობის მქონე პირების უმრავლესობას უყურებდა შემდეგი თვალით: „მათ დაიმსახურეს საკუთარი სიდუხჭირე“, სახელმწიფო კი მათ მხოლოდ მცირე-

ოდენ კომპენსაციებს უყოფდა. ასეთ პირობებში ინვალიდობის მქონე პირები სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდნენ მედიკოსებზე.

XIX-XX საუკუნეებში არსებობდა არაერთი სპეცსკოლა და ინტერნატი, რაც არ აძლევდა ინვალიდობის მქონე პირს იმის საშუალებას, რომ ეცხოვრა და ესწავლა სხვა დანარჩენი საზოგადოების გვერდით. მათ არ ჰქონდათ უფლება ეტარებინათ საზოგადოების სრულფასოვანი წევრის სტატუსი (ბავშვთა უფლებების კონვენცია 1989: 8).

ინკლუზიური განათლების აქტუალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გახმაურებული პროცესით კოლუმბიის ოლქის სასამართლოში — „მილზი ეროვნული განათლების განყოფილების წინააღმდეგ“. ეს იყო კლასიკური სარჩელი ფიზიკური და გონებრივი შეზღუდვის, ფსიქიკური დაავადების მქონე ბავშვების სახელით, რომელთაც ვაშინგტონში არ ლეზულობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ან იძულებულნი ხდებოდნენ გასულიყვენ სკოლებიდან მათი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის გამო. იმ დროისათვის ვაშინგტონში დაახლოებით 20000 ასეთი ბავშვი იყო. მოსარჩელედ გამოვიდნენ სამართლისა და სოციალური პოლიტიკის ცენტრი და დამცველთა და სამართლებრივი დახმარების ასოციაცია, რომლებმაც დაასაბუთეს სარჩელი კოლუმბიის ოლქის კანონებით და იმ ნორმებით, რომელნიც უზრუნველყოფენ „საყოველთაო განათლებას“ ანუ განათლების უფლებას ყველა ბავშვისათვის. ასევე ეყრდნობოდნენ კონსტიტუციით განმტკიცებული თანასწორობის პრინციპს, რომლის თანახმად, განათლების უფლება არის ძირითადი უფლება, რომელიც არ შეიძლება ბავშვს წაერთვას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ამის შემდეგ კოლუმბიის ოლქში უფრო და უფრო მეტი შშმ ბავშვი სწავლობდა ჩვეულებრივ სკოლაში, ხოლო სპეციალური სკოლები იხურებოდა. დაფინანსება ძირითადად ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან (Hopkins 2013: 14, 20).

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა იმ პერიოდის საგანმანათლებლო სისტემაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომისიის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ (16 დან 20 წლამდე ასაკის შშმ ახალგაზრდები) აჩვენა სკოლებში არსებული დისკრიმინაციის ფართო სპექტრი, კერძოდ: 25%25 განიცდის დისკრიმინაციას; 34%25 არ იღებს სათანადო დახმარებას მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალისაგან; 40%25 თავს გარიყულად გრძნობს; 38%25 განიცდის დამამცირებელ დამოკიდებულებას და გამოხდომებს სხვა მონაწილეებისაგან. საქმის ამგვარი ვითარება აიხსნა შემდეგით: ეს არ იყო მოულოდნელი, ინკლუზიური სკოლებისაგან განსხვავებით ინტეგრირებულ სკოლებში ბავშვები ხშირად აწყდებიან წინააღმდეგობებს ცოდნის მიღებაში, რადგან მათგან მოითხოვენ აზროვნების ისეთივე დონესა და ტემპს, როგორც დანარჩენებისაგან; შშმ ბავშვები აწყდებიან არაადექვატურ დამოკიდებულებას მასწავლებლებისაგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი ადგილი არ არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ან არ აქვთ ასეთ ბავშვებთან მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; შშმ ბავშვებს ქედმაღლურად ეპყრობიან თანატოლებიც, რომელთა სტერეოტიპული აზროვნებისა და ცრურწმენების შესაცვლელად ნაკლებეფექტურად ზრუნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მთლიანად საზოგადოება; უარყოფით როლს ასრულებს მშობლების გადაჭარბებული მზრუნველობა და მეურვეობა; ბავშვებს პრობლემებს უქმნის გამოცდების ჩატარებისა და შეფასების არსებული პრაქტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს მათ განსხვავებულ საჭიროებებს, ამ საჭიროებების გაუთვალისწინებლად აგებული სასწავლო დანესებულებების შენობების ფიზიკური შეუღწევადობა, ადაპტირებული კომუნიკაციის საშუალებების (ბრაილის შრიფტი, აუდიოფირები, ფესტებისა და სიმბოლოების ენა) არარსებობა.

შშმ პირებმა გააცნობიერეს, რომ მათ ინვალიდობას განსაზღვრავს არამხოლოდ ფიზიკური და გონებრივი შეზღუდვები,

არამედ საზოგადოების მიერ შექმნილი ბარიერები. შესაბამისად, მათ გააცნობიერეს, რომ აუცილებელია მთელი სისტემის შეცვლა, რათა დაძლეულ იქნას წინააღმდეგობები და ყველას მიეცეს შესაძლებლობა ჩაერთოს სკოლის აკადემიურ და სოციალურ ცხოვრებაში. სწორედ ამან განაპირობა ინტეგრირებულიდან ინკლუზიურ განათლებაზე გადასვლის აუცილებლობა. ინკლუზიური განათლება აღიარებს მიდგომას, რომ საზოგადოების ყველა წევრი განსხვავებულია, მაგრამ მათ შეუძლიათ ერთად ცხოვრება, მიუხედავად განსხვავებულობისა. იმისათვის, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად ხდებოდეს მისი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაც, აუცილებელია ბავშვი ადეკვატურად იყოს ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იღებდეს მონაწილეობას სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, იქნება ეს პარკში გასეირნება, კინოში წასვლა, თუ სხვა. ბავშვის სოციალური უნარების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის გზით.

ინკლუზიური საზოგადოება ღია საზოგადოებაა, მისთვის მიუღებელია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, იგი მიისწრაფვის შეიქმნას პირობები პიროვნების თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციისათვის. შშმ პირის ინკლუზია საზოგადოებაში პირდაპირ კავშირშია მიდგომებთან, ანუ მოდელთან, რომელსაც სახელმწიფო, საზოგადოება ირჩევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის არსი დაკავშირებულია ამა თუ იმ ეპოქის, ამა თუ იმ საზოგადოების სულიერ ფასეულობებთან და მის ავ-კარგს განსაზღვრავს ის, თუ რა ადგილი უჭირავს მათში ადამიანის ღირსებას (Johnsen 2001: 4,7).

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით („კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ“, მოქმედებს 2002 წლიდან) ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას და მის თანამშრომელს ევალება მოეპყრან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ისევე, როგორც სხვა

ბავშვებს, განახორციელონ აუცილებელი ცვლილებები თავიანთ საქმიანობაში და საგანმანათლებლო პროგრამებში იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ კანონის შესწორებულ ვერსიას ხელი მოეწერა 2004 წლის 3 დეკემბერს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ და ძალაში შევიდა 2005 წლის 1 ივლისს. კანონის თანახმად, ყველა შტატმა უნდა შეიმუშაოს და აამოქმედოს მექანიზმები, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვების ერთად სწავლება, ხოლო სპეციალური განათლება, განცალკევებით სწავლება ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვა სახით სეგრეგირება ჩვეულებრივი საგანმანათლებლო სივრციდან მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაავადების ფორმა და ხარისხი ისეთია, რომ ჩვეულებრივ კლასებში ხარისხიანი განათლების მიღება შეუძლებელია დამატებითი საშუალებებისა და მომსახურების გამოყენებითაც კი. კანონის თანახმად, დამხმარე საშუალებები, მომსახურებები და სხვა მხარდაჭერი ღონისძიებები, რომელიც ხორციელდება ჩვეულებრივ კლასებში, ან განათლებასთან დაკავშირებული სხვა ნორმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს საშუალებას უქმნის განათლება მიიღონ სხვა ბავშვებთან ერთად მაქსიმალურად შესაძლებელ დონეზე (Johnsen 2001: 4,5).

სტატისტიკური მონაცემებით, აშშ-ში ბავშვების დაახლოებით 20%25-ს აქვს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები (ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში. დაახლოებით 15%25-ს აქვს ათვისების პრობლემა. შშმ პირთა დისკრიმინაციის შესახებ კანონის თანახმად ბავშვს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, თუ ის აწყდება პრობლემებს სასწავლო პროცესში და სჭირდება ისეთი განსაკუთრებული რესურსები და მომსახურებები, რომელიც, როგორც წესი, არ სჭირდება მის თანატოლებს. ბავშვის საჭიროებების გამოვლენის პროცესი საკმაოდ დეტალური და მრავლისმომცველია და მასში სხვადას-

ხვა პროფილის სპეციალისტებია ჩართული. ამ პროცესისათვის საჭიროა: სკოლისა და განათლების სფეროს მრჩეველის ანგარიში; ფსიქოლოგის ანგარიში; ექიმის ან სხვა სპეციალისტის ანგარიში, რომლის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება ბავშვი; მშობლების ანგარიში; და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ბავშვის აზრი.

შშმ პირთა დისკრიმინაციის შესახებ კანონის თანახმად ყველა შშმ ბავშვს შეიძლება არ ქონდეს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები. ასეთია, მაგალითად, ასთმით ან დიაბეტით დაავადებული ბავშვი, რომელსაც არა აქვს განსაკუთრებული საჭიროებები, მაგრამ ექვემდებარება კანონს დისკრიმინაციის შესახებ (www.savethechildren.org, [http://www.cec. pe ped.org](http://www.cec.pe ped.org)).

2000 წლის ზაფხულში კანადაში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კანადის რეალობა, მიუხედავად მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრებისა განათლების სფეროში, ჯერ ისევ შორსაა ამ იდეალური სისტემისაგან. რესპოდენტთა და ექსპერტთა აზრით, სპეციფიკური განათლების მომსახურების უზრუნველყოფა ჯერ კიდევ განვითარების შუალედურ საფეხურზეა: სასკოლო სისტემა მეტნაკლებად უზრუნველყოფს ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვებს, მაგრამ ადექვატურ საგანმანათლებლო მომსახურებას მოკლებულნი არიან მენტალური შეზღუდვის, მათ შორის ყურადღების დეფიციტის ან ჰიპერაქტიურობის პრობლემის მქონე ბავშვები; ქვეყანა განიცდის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით განათლების მასწავლებლების, მათი დამხმარეებისა და ასისტენტების კადრების დეფიციტს, არასაკმარისია ოკუპაციური თერაპიის სპეციალისტებისა და სკოლის ფსიქოლოგების რაოდენობა; კვლავ განსხვავებული რჩება დიდ ქალაქებსა და პროვინციებში მცხოვრები ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებათა დაკმაყოფილების დონე; სპეციფიკური განათლების დაფინანსება ერთ სულ მოსახლეზე ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა, მაგრამ ეს საკმარისი არაა ყველა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ადექვატური მომსახურებით უზრუნველყოფისათვის; პროვინციების დაფინანსების სისტემის სირთულის გამო ზოგიერთ პროვინციაში საერთოდ შეუძლებელია ამ კატეგორიის ბავშვების დაფინანსება, მაგ., ონტარიოში მკაცრი სახელმძღვანელო პრინციპები უფრო ართულებს დახმარების მიღებას სპეციფიკური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის. ამავე დროს სწორედ დაფინანსების სიმწირე იწვევს სპეციფიკური განათლების მასწავლებლებისა და ასისტენტების განთესვას. კანადაში არის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მომზადებას სკოლისათვის, და ასევე სკოლამდელ აღზრდას (<http://www.edweek.org/index.html>, <http://www.dec-spied.org/journals.html>).

აშშ-ში მშობლების დამოკიდებულება

აშშ-ში შშმ ბავშვების სულ უფრო და უფრო მეტი მშობელი გამოთქვამს ერთობლივი სწავლების სურვილს სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სეგრეგაციის ნაცვლად. ამ აზრს ემხრობა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. 2001 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომისიის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა: 95%25 თვლის, რომ შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ განათლების მიღების ისეთივე შესაძლებლობა, როგორც სხვებს; 66%25 მიიჩნევს, რომ შშმ ბავშვები უნდა სწავლობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათ თანატოლებთან ერთად. ქვეყანაში არსებობს **ტექნიკური დახმარებისა და განაწილების ქსელი**, რომელიც შექმნილია სპეციფიკური განათლების პროგრამების ოფისის მიერ და ემსახურება შშმ მოსწავლეების განსაკუთრებით დაბალი ფენის წარმომადგენელთა საჭიროებების მოგვარებას და დაკავშირებას განსაკუთრებული განათლების ტექნიკური დახმარების ეროვნულ წყაროებთან.

დამოწმებანი

ბავშვთა უფლებების კონვენცია, გაერო, 1989.

Hopkins, Johns. *Johns Hopkins Medicine: Symptome des Down-Syndroms bei Mäusen kuriert*. Wirkstoff lässt Kleinhirns normal wachsen und hebt Lerndefizite auf. In: scinexx.de, 5. September 2013. (Als Quelle gibt dieser Artikel doi: 10.1126/scitranslmed.3005983 an).

Johnsen, Berit H. “Special Needs Education as a University Discipline – The Department of Special Needs Education, UoO”. Johnsen, Berit H. & Skjorten, Miriam D. (eds.), *Education – Special Needs Education: An Introduction*. Oslo: Unipub 2001.

www.savethechildren.org

<http://www.cec.peped.org>

<http://www.edweek.org/index.html>

<http://www.dec-sped.org/journals.html>

DAREJAN GELADZE

Shota Rustaveli State University

Assist. Professor

MZIURI GELADZE

Batumi Public Primary School #9, teacher

ACTUALIZATION OF INCLUSIVE EDUCATION IN THE UNITED STATES OF AMERICA

SUMMARY

Today in the United States Legislation (Law of Persons with Disabilities Education »since 2002) all educational institutions in charge and his staff to treat children with disabilities as well as other children. Implement the necessary changes in their activities and programs in order to meet the needs of individual students about the education of persons with disabilities. According to statistics, abo-

ut 20% of the children have special educational needs of the 25's or that period of life. About 15% of 25-to-have-absorption problem. Discrimination against persons with disabilities and special educational needs of the child according to the law, if he is facing problems in the learning process and it takes a special resources and services, which, as a rule, does not need his peers. Baby needs a detailed and comprehensive and inclusive process of detecting it with different specialists involved.

It should be noted that the parents of children with special educational needs are directly involved in the ongoing process of improving the quality of education and access to public organizations active in creation. There are technical support and distribution network in the US, which is designed for the specific needs of students with disabilities in education programs by the Office and serves to connect the special education and technical assistance to national authorities.

US secondary school students with special needs as a result of the inclusion of certain medical procedures in schools. Medical procedures provide the school nurse or assistants. Medical procedures are the most primitive examples of child feeding, toilet withdrawal, giving medications, injections and so on. Sh. Children with physical disabilities require movement of teachers, teacher assistants or maintenance personnel for help.

US in recent years has increased the number of children receiving special education services, the need for which has led to improvements in the early detection of learning problems.

გვანცა ღვინჯილია

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე სკრიაბინის „პრომეთეს“ მისტიკური არსი და ფართო-ბონალური წარმოდგენები

სტატია ეძღვნება XIX–XX საუკუნეების მიჯნის კომპოზიტორის, პუბლიცისტის, პიანისტის, საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სკრიაბინის „პრომეთეს“ (ცეცხლის პომეს, თხზ. 60), რომელიც დაწერილია ორკესტრის, ფორტეპიანოს, ორღანის, გუნდის Ad libitum და შუქის პარტიისთვის 1908-1910 წლებში.

ნაწარმოების სრულფასოვანი შესრულება ტექნიკურად შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ ამერიკაში 1915 წელს, რადგან კარნეგი ჰოლში პრემიერის დროს გამოყენებული იყო ახალი ტექნიკური ხელსაწყო – Chromola. ეს ფერადი ორღანი, რომლის 15 კლავიშიც 12 სხვადასხვა ნათურასთან იყო მიერთებული, შექმნეს ელექტრო განათების სპეციალისტმა პრესტონ მილარმა და ჩელისტმა მოდესტ ალტშულერმა (<http://monoskop.org/Chromola>).

სკრიაბინის ბოლო პერიოდის ნაწარმოებებს თუ წარმოვიდგენთ ერთგვარ ციკლად, რომელშიც კომპოზიტორი უნივერსუმის იერარქიაში მუსიკის მისიის შეცნობას ლამობს, „პრომეთე“ მის უმნიშვნელოვანეს რგოლად შეიძლება აღვიქვათ. პითაგორას, კეპლერის, ნიუტონის, კასტელის მსგავსად, სკრიაბინსაც მიაჩნდა, რომ მუსიკა ყველაზე ღრმად წვდება სამყაროს არსს, რადგან ბგერებით ყველაზე ზუსტად გადმოიცემა მისტიკური შეგრძნებები. მუსიკის ზნეობრივ მისიად კომპოზიტორს ესახებოდა მსმენელის დარწმუნება ცოდვილი სამყაროს გარდაქმნის აუცილებლობაში. სკრიაბინის წინაშე იდგა ამოცანა როგორ

გადმოეცა სამყაროს იდუმალება ბგერებში. სამყაროს ემოციურ არსსა და მისთვის მახლობელ სამეცნიერო-ფილოსოფიურ ცნებებს კომპოზიტორი მუსიკო-პოეტური სახეების სისტემის ენაზე „თარგმნიდა“. ფერით-ტონალური წარმოდგენები კი მისი მისტიკური შინაარსის მუსიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.

სკრიაბინის ბოლო ნაწარმოებებში ფიქსირდება ავტორის პლანეტარული ცნობიერების იმგვარი გაფართოვება, რაც უთუოდ იყო განპირობებული სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიის, თეოსოფიის, ოკულტური ლიტერატურის ღრმა ცოდნით. 1904-1914 წლებში სკრიაბინი გაეცნო რიცხვმრავალ ლიტერატურას, მონაწილეობდა საერთაშორისო ფილოსოფიური კონგრესის მუშაობაში, გახლდათ მოსკოვის ფილოსოფიური საზოგადოების წევრი (<http://www.ivorr.narod.ru/> ...). ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ მისი ნაწარმოებების იდეურ-ესთეტიკურ საფუძველს მისთვის მახლობელი ფილოსოფოსების მსოფლალქმის ელემენტები და თეოსოფიური მოსაზრებანი შეადგენს. მართლაც, შოპენჰაუერის, ნიცშეს, რუსი სიმბოლისტების, იენის რომანტიკული სკოლის თხზულებები, ეპისკოპოს, თეოლოგ დიმიტრი ბრინანჩანინოვის თეოლოგიური ნააზრევით გატაცება მყარ ინტელექტუალურ ბაზას უქმნიდა კომპოზიტორს (Дельсон 1971: 338). თავდაპირველად იგი მოექცა ნიცშეს თეორიების აშკარა ზემოქმედების ქვეშ, რამაც პროვოცირება გაუკეთა საკუთარ თავში ღვთაებრივი საწყისის მძაფრ შეგრძნებას. იგი ხშირად ადარებდა თავს ღმერთს, რომელმაც მსმენელს არა მხოლოდ დაანახა კოსმოსის იდუმალება, არამედ მისანვდომიც გახადა იგი უბრალო მოკვდავთათვის (<http://americansymphony.org...>).

კომპოზიტორის ბოლო პერიოდის აპოკალიპტურ ძიებებში მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა ვლადიმერ სოლოვიოვის მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ ღვთაებრივი პირველსახის იდეა სამყაროს ერთიანობაში აისახა. არანაკლებ საინტერესოდ ესახებოდა მოსაზრებები ბერდიაევის მეტაისტორიის და ინდივიდუალური შემოქმედებითი აქტივობით ცივილიზაციის გეზის

შეცვლის შესაძლებლობაზე (<http://www.escholarship.org...>). მიუხედავად ზემოთქმულისა, ელენა ბლავაცკაიას ნააზრევი ყველაზე ორგანულად მოერგო სკრიაბინის მუსიკალურ-ფილოსოფიურ კოსმოგონიას (<http://www.ivorr.narod.ru/...>). „თეოსოფიის მაცნესთან“ ერთად სკრიაბინის სამაგიდო წიგნებს სწორედ მისი წმინდა ავტორიტეტის ბლავაცკაიას „საიდუმლო დოქტრინა“ წარმოადგენდა. კომპოზიტორის პირად ბიბლიოთეკაში შენახულია ამ თხზულების ფრანგული გამოცემის ხუთივე ტომი, რომლებიც შეიცავენ კომპოზიტორის ჩანიშვნებს. პირველი ტომი, რომელიც თეოსოფიის გასაღებს წარმოადგენს, კომპოზიტორს განსაკუთრებულად ჰქონდა დამუშავებული. საგულისხმოა, რომ სკრიაბინის პირადი მოსაზრებები მუსიკის მისტიკური და მაგიური მნიშვნელობის შესახებ ახლოს დგას ბლავაცკაიას მოსაზრებებთან, რაც ეპოქალური სინქრონული აზროვნების შედეგია და არა მექანიკური გავლენის. კომპოზიტორი მუსიკის ესქატოლოგიურ არსზე წლების მანძილზე წერდა, რამაც შემოქმედების ბოლო სისტემატიზებული და ღრმა ანალიზის ფორმა მიიღო. სკრიაბინი ნაწარმოებებსაც თავდაპირველად ვერბალური ტექსტის სახით აყალიბებდა, რითაც ერთგვარად აზუსტებდა იდეურ შინაარსს, რომლის გადმოცემაც შემდგომ მუსიკაში სურდა. ასე დაინერა „ექსტაზის“ პოემა და „წინამდებარე ქმედება“ (თუმც კი ამ უკანასკნელის მუსიკალური ორეულის შექმნა კომპოზიტორმა ვერ მოასწრო).

სკრიაბინი თანაზიარია იმ ეპოქალური პროცესებისა მეცნიერებაში, რომელთა შორის აინშტაინის ალბათობის თეორიამ აზრი დროსა და სივრცეზე დიამეტრალურად შეცვალა. კომპოზიტორის მუსიკალური ენის ტრანსფორმაციაც სწორედ ამ ეპოქალურ სამეცნიერო პროგრესთან რეზონირებს.

სკრიაბინი ნაწარმოებებში და თეორიულ მოსაზრებებშიც აქტიურად იყენებს ისეთ ტერმინებს, რომლებიც კვანტურ ფიზიკაში და თერმობირთვულ აფეთქებების ტექნოლოგიაში გვხვდება. კერძოდ, მეცნიერებაში გაჩნდა ტერმინები – კვარცის ფერები

და არომატები, თერმობირთვული ექსპერიმენტები, სკრიაბინიც ხშირად იყენებს სიტყვებს: ცეცხლი, ნათება, ალი. მინანქრები სხვადასხვა ნაწარმოებებზე ცხადყოფს სინათლისადმი მის მუსიკაში მინიჭებულ განსაკუთრებულ როლზე. ასე მაგ.: მეოთხე სონატას მინერილი აქვს სიტყვები „მწველი მზე“, ექსტაზის პოემას კი ამშვენებს შემდეგი ფრაზა: „ყოვლის მომცველი ხანძრით არის მოცული სამყარო“ (Михайлов 1966: 77). სკრიაბინის პლანეტარული ცნობიერების ზრდა და მასთან ერთად მუსიკალური ენის ტრანსფორმაცია აქტიურ ფაზაში შევიდა მეოთხე საფორტეპიანო სონატის დაწერიდან. მეხუთე სონატაში უკვე ტონალობაც იშლება, თხზ. 57 №1-ში აღარც საგასაღებო ნიშნებია და აღარც სამხმოვანება, შემოქმედების უკანასკნელი ხუთი წელი კი საერთოდ აღმოჩენების კასკადია. სკრიაბინის მუსიკის სტრუქტურა მე-20 საუკუნის ფიზიკის ახალი თეორიებივით იდუმალი ხდება.

ამ კონტექსტშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „პრომეთე“, რომელიც კომპოზიტორის სტილის მრავალი ნოვაციის გასაღებს წარმოადგენს.

მიუხედავად გარკვეული მინიშნებებისა თავად სათაურში, ამ შუქის სიმფონიას კონკრეტული ლიტერატურული პროგრამა მაინც არ გააჩნია.

ამ ნაწარმოების შექმნისას სკრიაბინმა ასახა ვაგნერის ოპერის „ღმერთების დამხობის“ ფინალით მიღებული შთაბეჭდილებებიც, რომელიც უკავშირდებოდა ცეცხლმოდებულ ვალჰალას და ევროპული ცივილიზაციის დასასრულს სიმბოლიზებდა. სკრიაბინს მიაჩნდა, რომ მის ბოლო ნაწარმოებებში კიდევ მეტად აგიზგიზდებოდა ცეცხლი (Сабанеев 1923: 189).

სამყაროს დასასრულის სკრიაბინისეული მოდელი თანმიმდევრულად პირველად სწორედ „პრომეთეში“ გამოიკვეთა, რაც მეტად ხატოვნად ჩამოაყალიბა უდიდესმა რუსმა თეორეტიკოსმა ბორის ასაფიევმა: „ძველი სამყაროს ცეცხლოვანი ნათლობის

შედეგად ღმერთის შექმნილის გარდაქმნა და ადამიანური ნებით ახლის შექმნა“.

ნაწარმოებში არ არსებობს ცენტრალური მუსიკალური თემა, გაიჟღერებს შემოქმედებითი მისწრაფებების, ნებელობითი საწყისის, გონების, საცეკვაო, სიამოვნების, მოძრაობის თემები, რომლებიც ერთი ძირიდან მომდინარეობენ, ტრანსფორმირდებიან, მაგრამ არ ვითარდებიან. სკრიაბინი ხაზს უსვამს თემების მსგავსებას, რადგან ისინი ერთიანი საწყისი ბგერათრიგადან, აკორდიდან, ამოიზრდება. ნაწარმოები სწორედ საყრდენი ფუნქციის მქონე ამ აკორდით იწყება, რომელსაც მოგვიანებით პრომეთე აკორდი შეარქვეს. საგულისხმოა, რომ კომპოზიტორმა ბოლო 5 საფორტეპიანო სონატაშიც ტონალური ჰარმონია შეცვალა აკორდით, რომელიც წარმოადგენდა ნაწარმოების მელლოდიურ და ჰარმონიულ წყაროს და ფაქტობრივად ტონიკის ფუნქციას ასრულებდა (Burkholder 2013: 803).

თუკი მანამდე ნაწარმოებებში სკრიაბინი ლაიტ-ჰარმონიის ტექნიკას იყენებდა, აქ მონო-ჰარმონიას მიმართა. ამიტომაც არის, რომ ეს ამოსავალი მუსიკალური იდეა მელოდიაც არის და ჰარმონიაც (Вольтер 1940: 144).

რას წარმოადგენს და რას გამოხატავს ნაწარმოების საწყისი აკორდი? სკრიაბინს სურდა შემოქმედებითად გამომხაურებოდა დებატების იმხანად აქტუალურ საგანს – დიდი აფეთქების თეორიას. კაცობრიობის ყურადღება ოდითგან იყო მიპყრობილი სამყაროს წარმოშობის საიდუმლოსკენ, როდესაც წინარექაოსში 18 მილიარდი წლის წინ მომხდარი აფეთქების შედეგად გაჩნდა დრო და სივრცე, ქაოსი, შავი ხვრელები, გაზები. აინშტაინის ველის თეორია სწორედ ასე ხსნიდა სამყაროს წარმოშობას.

სკრიაბინის აზრით, პრომეთე აკორდი სიმბოლიზებდა მატერიის, ენერჯის და ინფორმაციის ერთობას და როგორც ნერტილში მყოფობდა უსასრულო სამყარო, ისე ნაწარმოების ბგერითი ქსოვილიც საწყის აკორდში უნდა გადმოცემულიყო პოტენციის სახით. თუკი პრომეთე აკორდს წინარექაოსის

მდგომარეობის სიმბოლოდ აღვიქვამთ, ნაწარმოების დასაწყისი შესაძლოა მივიჩნიოთ სწორედ უდროობასა და უსივრცობაში მყოფობად, რადგან პირველი თემის ბგერები ვერსად ვერ განთავსდება, ვერ იშლება და ვერტიკალურად, აკორდად ყალიბდება. სკრიაბინის აზრით, წინარე ქაოსი მოქმედებაში მოვიდა რალაც იდუმალი რიტმით. კომპოზიტორი მიუთითებდა, რომ სურდა გადმოეცა ექსტაზის საზღვრებს გაცდენილი სული, რომელმაც შეიძინა ღვთაებრივი მაგია და იდუმალი რიტმით გამოიხმო ქაოსის დამანგრეველი ძალები.

ნაწარმოების ერთი აკორდიდან ამოზრდამ კილო-ჰარმონიული წყობის მონოტონურობა, კილო-ჰარმონიული და ფუნქციონალური კონტრასტების უქონლობა განაპირობა. ერთიანობის პრინციპის თანმიმდევრულად გადმოსაცემად მან შეუწრყა მელოდია და ჰარმონია, რის გამოც „მელოდია გადმოზრუნებული ჰარმონიაა“ (Вольтер 1940: 143). ერთიანი ფაქტურის, ჰარმონიული წყობის ერთიანი პრინციპის გარდა, კომპოზიტორმა თემათა ტრანსფორმაციის ერთიან გეგმასაც მიმართა. ყოველივე ამით მას სურდა გადმოეცა ის იდეა, რომ შემოქმედებითმა სულმა სამყარო და მეტაფიზიკური სისტემა ერთი ნებით, ერთი პრინციპით შექმნა, რის გამოც იგი ერთიანი და დაუნანვერებელია.

„პრომეთეს“ მისტიკური ჩანაფიქრის უმთავრესი ნოვატორული მხარე უკავშირდება სინათლის პარტიის შემოყვანას, რაც გამონვეული იყო კომპოზიტორის სინესთეზიით (ფერადი სმენა), კონცეპტუალურ დონეზე კი რუსი სიმბოლისტების ღვთაებრივი შუქის კონცეფციის გავლენით.

სინესთეზია ანუ ფერის და ბგერის ცნობიერებაში დაკავშირება გულისხმობდა გრძნობადი ელემენტების – სუნების, ფერების, ბგერების თუ ტონალობების – ექვივალენტობას.

ჯერ კიდევ ექსტაზის პოემაში მიუწერა სკრიაბინმა მომავალი თემებისა და ჰარმონიების ესკიზებს სანოტო ხაზების მარჯვნივ ფერების სახელწოდებები: ნ/ж/кp/зел/чepн.

„პრომეთეში“ მისი ფერითი კლავიატურის იდეა გულისხმობდა კლავიშების ფერად შუქის წყაროსთან დაკავშირებას, როდესაც ბგერები შესაბამის შუქს „გამოსცემდნენ“ და შეიცვლებოდა არა მხოლოდ ბგერითი ტალღების ფერი, არამედ მათი ფორმაც. ნანარმოები უნდა დასრულებულიყო თეთრი ფერის დამაბრმავებელი კაშკაშით. მას სურდა არა ფერითი სტრიქონის ეკრანიზაცია, არამედ ბგერითი ალქმის გამძაფრება ფერით და დარბაზის ფერით-თამაშში ჩაძირვა. თუკი ტრადიციულად მელოდია ერთი ინსტრუმენტიდან მეორეში გადადის, სკრიაბინის თემა ჟესტსა და შუქის პარტიაში გრძელდება, რაც კონტრაპუნქტის ახალ სახეობას ბადებს.

შუქის პარტია- Luce ამონერილია პარტიტურის პირველივე ხაზზე (ტრადიციულ სანოტო სისტემაში) ჰარმონიების ძირითადი ტონების სახით, რათა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს ტონალობა. შუქის პარტია ტონალობის ერთგვარი ინდიკატორია, რომელიც ტონალური პლანის ვიზუალიზაციას ახდენს, მისტიკური ხმოვანებების შერწყმა კი ფერადი შუქების ენასთან სინათლის სინესთეზიურ პოეზიას ბადებს (ГЛЕБОВ 1921: 49).

კონსტანტინე ბალმონტი წერდა: „მთელი მისი მუსიკა შუქისაა“ (<http://books.google.ge/books?id=IdrSpBKW06cC&pg=...>).

ამ ნანარმოების რუსეთში შესრულებისას სკრიაბინმა გამოიყენა მეგობრის, ელექტრონული ინჟინერიის პროფესორის, ალექსანდრე მოზერის მიერ შექმნილი პრიმიტიული ელექტრონული ორლანი, რომელიც ამჟამად სკრიაბინის სახელმწიფო მუზეუმში ინახება მოსკოვში. (<http://www.escholarship.org/help...>). ამ ხელსაწყოს გამოყენების შემთხვევები თვით მსოფლიოს მასშტაბით ძალზე იშვიათი იყო (<http://americansymphony.org/promethee...>). მოზერის ხელსაწომ ვერაფრით უზრუნველყო ნანარმოების სრულფასოვანი შესრულება და ოდნავადაც ვერ მიუახლოვდა სკრიაბინის ღრმა ჩანაფიქრს. მიუხედავად იმისა, რომ „პრომეთე“ კომპოზიტორის აზროვნების აპოგეად ითვლება, შესაძლოა, მაშინდელი კრიტიკის ცინიკური გამომხაურების მიზეზი

მოზერის აპარატიც გახდა: „თუ ამ გზით ივლიან კომპოზიტორები, მალე, შესაძლოა, ნამდვილი მთვარე, მზე ან წყალი მოითხოვონ. ცეცხლის პოემის შემდეგ ალბათ სურნელების სიმფონიას უნდა დაველოდოთ“ (Михайлов 1966: 82).

გაუმჯობესებული ხელსაწყოს დახმარებით ნიუ-იორკში შესრულებული „პრომეთე“ სენსაციად იქცა. თუმცა შუექის პარტია ხანდახან არ ემთხვეოდა სკრიაბინის ფერით-ტონალურ ცხრილს და კომპოზიტორი წინააღმდეგობაში შევიდა საკუთარ თეორიულ შეხედულებებთან. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ფუნქციონალური სისტემის მიღმა არსებული გარკვეული კილოური ელემენტები და ჰარმონიები ვერ იქნებოდა აღქმული მაჟორ-მინორული სისტემის ფარგლებში, ფერით-ტონალური ანალოგიები ხომ ტონალობისა და ფერის დაკავშირებას გულისხმობდა.

რა გახლდათ ამ ფერით-ტონალური ნოვაციის მიზანი, რისი გამოხატვა სურდა კომპოზიტორს ცეცხლის ალების გადმოცემით?

თუკი ვაგნერმა ცეცხლში შთანთქა ადამიანურ ვნებებზე დასული ღმერთების ცოდვილი სამყარო, სკრიაბინმა ამ ზნედაცემული სამყაროს ცეცხლოვანი ნათლობა მოახდინა, განწმინდა იგი და გვიჩვენა ახალი სამყაროს დაბადება ადამიანის ნების ჩარევით (Гленов 1921: 45).

საოცრად არის გადმოცემული გრანდიოზული კოსმოსის ცეცხლის უეცრად ჩაქრობის იმიტაცია; კოდის წინ გენერალური კულმინაცია ლოგიკურად და თანმიმდევრულად არაა შემზადებული, ამიტომ ხმოვანების მცირე ხანგრძლივობის გამო ფინალი მართლაც შოკის მომგვრელია.

ამგვარად, თუკი მესამე სიმფონიაში (ღვთაებრივი პოემა) შემოქმედის მისიის ჩამოყალიბების შემდეგ სკრიაბინმა „ექსტაზის პოემაში“ ექსტაზში შეცნობილი სამყარო გადმოსცა, „პრომეთეში“ ეს სამყარო ცეცხლოვანი ნათლობით განწმინდა, ხოლო მისტერიაში ქვეყნიერების გლობალური ცვლილების გადმოცემა დაგეგმა. ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ ახალი სამყაროს დაბადე-

ბის იდეა უფრო თანმიმდევრულად სწორედ მისტერიაში უნდა გახსნილიყო. სამყაროს არსში გარკვევის კუთხით ცეცხლის პოემა ერთგვარი საფეხური იყო, რომელმაც მოამწიფა მისტერიის ჩანაფიქრი. ეს ფანტასმაგორიული იდეა განუხორციელებელი დარჩა და შემორჩა მხოლოდ 1914, 1915 წლებში დაწერილი ვერბალური ტექსტის ფრაგმენტი, მუსიკის რამდენიმე ტაქტი და ჰარმონია.

საგულისხმოა, რომ „პრომეთე“ დამატებით აზრს სწორედ მისტერიასთან მიმართებაში ანალიზისას იძენს.

თუკი ცშუქის სიმფონიის მთავარი ნოვაცია მოძრავი ფერები იყო, კომპოზიტორის კრეატიულობა მისტერიის ჩანაფიქრში არნახულ მასშტაბებს აღწევდა, რასაც შემორჩენილი ვერბალური მასალა ცხადყოფს.

სკრიაბინის ჩანაფიქრის თანახმად, სინკრეტული მისტერია გააერთიანებდა ორკესტრს, შერეულ გუნდს, ცეკვას, ფერის პარტიას, რიტმულ ტექსტუალურ არტიკულაციას, სურნელებებს, ზარებს. პროცესიას უნდა ჩაეველო ზეციური ზარების ფონზე. „რატომ არ შეიძლება ისე გაკეთდეს, რომ ზეციდან ჟღერდეს ზარები. დიახ, ისინი ციდან უნდა ჟღერდნენ“ (Михайлов 1966: 86). მისტერია უნდა გაგრძელებულიყო 7 დღე, თითო დღე კი, სკრიაბინის აზრით, გულისხმობდა ეპოქებს, როდესაც დროის აჩქარების გამო კაცობრიობა მილიარდობით წლებს გაირბენდა.

კომპოზიტორს სურდა გამოეყენებინა იმხანად პრაქტიკაში დაუნერგავი არატემპერირებული ინსტრუმენტები, სპეციალური შრიფტით ჩაწერილიყო წარმოსახვითი ბგერები, რომლებიც რეალურად არც კი ისმის, გუნდს უნდა ეჩურჩულა. მისტერია გარკვეული ქმედების სახით უნდა გათამაშებულიყო ამფითეატრის ტიპის მოძრავ არქიტექტურაში. ყოველივე ეს დაგეგმილი ჰქონდა ინდოეთის ჰიმალაებში, სადაც, მისი რწმენით, კაცობრიობამ არსებობაც დაიწყო და დაასრულებდა კიდევ სასიცოცხლო ციკლს (Вольтер 1940: 117). სინათლის სიმფონიით განათებული ნაგებობა სკრიაბინს წარმოედგინა არა ქვის, არამედ გამჭვირვალე მოძრავ

შენობად, რომელიც დაიშლებოდა და კვლავ აინცობოდა. მუსიკასავით დენადი, მოძრავი არქიტექტურის ფორმას ნისლების და შუქების ცვალებადობა შეცვლიდა (Михайлов 1966: 87). მელოდია გადავიდოდა უესტში, შუქის ხაზში ან მოძრავ არქიტექტურაში.

ამგვარად, თუკი სამყაროს ცეცხლოვანი ნათლობა სკრიაბინმა შუქის სიმფონიით გადმოსცა, მისტიური რიტუალის გათამაშებას ჟღერადი არქიტექტურის სიმფონიით გეგმავდა. „პრომეთეს“, როგორც ხელოვნების ნიმუშს, ჰყავდა შემსრულებელიც და მსმენელიც, მისტერია კი, ხელოვნების ნიმუშის გარდა, მოქმედება-რიტუალიც იქნებოდა, რომელიც მასში სულით, სხეულით და გონებით ჩართულ მსურველებს შემსრულებლებად და მსმენელებად არ დაყოფდა.

რატომ აირჩია სკრიაბინმა საკუთარი იდეების გადმოსაცემად მისტერიის ჟანრი?

სამყაროს ფერიცვალების იდეის ხორცშესხმისთვის მისტერია, როგორც შემოქმედებითი მისწრაფებების უმაღლესი გამოხატულება და კაცობრიობის მისტიკური გამოცდილების უმაღლესი ფორმა, იდეალურად ესახებოდა (Гленов 1921: 47). მისტერიალური იდეა ეყრდნობოდა იმ რწმენას, რომ სამყაროს ქმნადობაში დევს ანალოგიის პრინციპი, ფიზიკური სულიერის ემანაციაა. ცვლილება ადამიანის ცნობიერებაში გამოხმაურებას ჰპოვებს მატერიალურ სამყაროში. შესაბამისად, მისტერიის დროს ექსტაზში შესული კაცობრიობა გარემომცველი სამყაროს გადალახვით მიდის დემატერიალიზაციისკენ (Вольтер 1940: 141).

სკრიაბინი გვთავაზობდა სამყაროს საშინელი სამსჯავროს ალტერნატივას, რადგან ხილული სამყაროს სასრულობა თანხლებული უნდა ყოფილიყო განახლების სიხარულით და არა შიშით.

ამ პროექტზე კომპოზიტორი 5 წელი ფიქრობდა. აცნობიერებდა რა მისტერიის სირთულეს და არარეალისტურობას, თავდაპირველად გენერალური რეპეტიციის მიზნით შექმნა პროლოგის 72 გვერდიანი ესკიზი – „წინასწარი ქმედება“, რომელსაც

ახლობლების წრეში „უსაფრთხო მისტერიად“ მოიხსენიებდნენ (Михайлов 1966: 94).

მიუხედავად იმისა, რომ სკრიაბინის მხოლოდ ფერით-ტონალურმა წარმოდგენებმა ჰპოვა გამოსატყულება კონკრეტულ ნაწარმოებში და არქიტექტურის სიმფონიის დაწერა ვერ მოეხსნო, თამამად ითქმის, რომ კომპოზიტორის შემოქმედებითი იდეები, მათი ფილოსოფიური საფუძვლებითურთ უპრეცედენტოა. თუმცა ამ ყოველივემ და ერთგვარმა სტილურმა ჩაკეტილობამ სკრიაბინი „კუნძულის ტიპის ხელოვანად“ (Михайлов 1966: 190) აქცია, რომლის მოღვაწეობაც რეალობისგან მონყვეტილობის და არაამქვეყნიურობის ტრაგედიად მესახება.

დამოწმებანი

Burkholder, Peter J., Donald Jay Grout and Claude V. Palisca (eds), *A History of Western Music*. 8th Edition. NY and London: W. W. Norton & Company, 2013

Вольтер, Н. Н. «Символика “Прометей”». *Александр Николаевич Скрябин*. М. – Л.: Музыка, 1940.

Дельсон, В. Ю. *Скрябин. Очерки жизни и творчества*. М.: Музыка, 1971.

Глебов, Игорь. *Скрябин. Опыт характеристики*. Петроград: Светозар, 1921.

Михайлов, М.К. *Александр Николаевич Скрябин*. М. – Л.: Музыка, 1966.

Сабанеев, Л. Л. *Скрябин*. 2-е изд. М. – П., 1923.

<http://monoskop.org/Chromola>

http://www.ivorr.narod.ru/blavatsk/blav_sovrem/100-let/bandura.htm

<http://americansymphony.org/promethee-le-poeme-du-feu-1910>

http://www.escholarship.org/help_copyright.html#reuse

http://books.google.ge/books?id=IdrSpBKW06cC&pg=PA66&source=gb_s_toc_r&cad=3#v=onepage&q&f=false

GVANTSA GVINJILIA

Vano Sarajishvili Tbilisi State

Conservatoire Assoc. Prof.

**MYSTICAL ESSENCE OF “PROMETHEUS” BY ALEXANDER
Scriabin AND
ITS COLOR AND TONAL REPRESENTATIONS**

SUMMARY

The article is dedicated to Prometheus: The Poem of Fire by Alexander Scriabin for piano, orchestra, optional choir, and clavier à lumières or “Chromola” (a color organ invented by Preston Millar). The composition was possible to be performed comprehensively from technical point of view only in the United States. Innovatory technical invention – Chromola was used during the premiere in the Carnegie Hall. The poem underlines the relation with V. Solovyov’s world integration as a concept of divine prototype idea, as well as with N. Berdyaev’s concept on changing civilization by individual creative act and meta-history, and scientific understanding of electricity by Russian symbolists. The influence of Helena Blavatsky’s occult theosophy ideas is also observed indirectly. Scriabin’s music also shares those epochal processes, where the theory of relativity by Albert Einstein changed the imagination about time and space. The work demonstrates the wideness of Scriabin’s planetary consciousness, new sound world.

Scriabin uses such terms in his creative work as well as in the title of this poem, which are met in quantum physics and thermonuclear explosion technology, by this reacting on the scientific achievements of his contemporary world. Even transformation of musical language in this poem is secret like new theories of the 20th century physics. The composer “translates” scientific-philosophical concepts into the language of poetic characters. By this work he wanted to describe what happened

in the world billions of years ago – the pre-chaos situation placed in a dot, great explosion, and emergence of chaos and black holes. Scriabin described the pre-chaos awakening and putting into operation at some secret rhythms.

The innovatory side of the work is connected with introduction of the light part that was caused by the composer's synesthesia, and at the conceptual level, by influence of Russian symbolists' divine light concept. The light part is a certain indicator of tonality and carries out visualization of tonal side. The composition presents synesthetic poetry of light. Mystic sounds were merged with the language of colorful lights. Thus, Scriabin visualized color representations of his own tonalities. Addition of the light part was not simply a method of creating an effective show, but the means of expressing that mystic experience, which has super-time and super-space nature. Scriabin established an inner model of cosmic reality. The composer showed us numerously that a human conscience can be tailored to any type of organization of matter. Such metamorphoses in music are related to using a lot of new methods of organizing the space.

NINO KALATOZI

Missouri-Columbia University (USA), PhD Student

A BRIEF OVERVIEW OF CAMPUS VIOLENCE ON U.S. COLLEGE CAMPUSES

Campus violence has become a national concern and a major issue facing institutions of higher education across the United States. Incidents of murder, sexual assault, and vandalism, especially the shooting rampage at Virginia Polytechnic and State University on April 16, 2007, as well as killings at Northern Illinois University on February 14, 2008 illustrate that the “ivory tower” that serves as the place for the intellectual growth of future generations, is no longer insulated from the influences of crime and violence which exist in the rest of society (Belknap & Erez 2007; Fisher et al. 1998; Morris 1993; Mustaine & Tewskbury 2007).

Many have persistently accepted the belief that campus violence is a recent phenomenon. What is interesting though is that assaults, vandalism, and violent acts on campus have been an issue of concern for faculty, staff, and students since the formation of the American institution of higher education (Frankhouser 1997; Sloan 2011, Smith 1989). Records indicate that violence on college campuses is an undeniable historical fact.

Student misconduct and violent behavior was a common theme in early colonial American higher education (Frankhouser 1997). Violence often took place between the scholars and townsfolk, and often between students themselves. For instance, Harvard University experienced “town vs. gown” conflicts in its early days. Corporal punishment at Harvard existed for nearly 100 years. Thomas Sargeant, who was accused of blasphemy, was publicly whipped and made to sit nude at

meals (Baker & Rubel 1980). Harvard tutor got physically assaulted by a group of students in 1751. Using college officials, the Harvard administration privately adjudicated and punished the offending students (Burton 2007).

Rebellion was a common occurrence among college students. Causes of rebellion included discipline of fellow students, poor food quality, and restriction of student freedom (Burton 2007; Goodchild 2007; Thelin 2007). The first riot at Harvard took place in 1766 because of bad butter that was served in the commons (Brubacher & Rudy 1968; Burton 2007). In 1768, approximately sixty Harvard students vandalized a tutor's room due to the belief that the tutor had locked a fellow student in the room without food as punishment for participating in a student protest (Burton 2007). Rioting caused the dismissal of a majority of Harvard College's senior class (Smith 1989) and the suspension of students at Princeton University in 1807. Princeton had a total of six big campus rebellions between 1800 and 1830. In 1802 students burnt a library at Princeton. Also, various outbuildings were set on fire to protest the instructional system in 1814 (Baker & Rubel 1980).

Riots and rebellions at Yale started in the 1760s but did not become severe until the early 1800's (Frankhouser 1997). Most of these riots were related to clashes with local fireman when a student shot fireman dead in 1858 (Smith 1989). A killing of a professor at the University of Virginia resulted in the summoning of armed constables to restore order (Frankhouser 1997). However, as historians note "most colleges of this time experienced violence and rebellion in reaction against strict discipline systems" (Frankhouser 1997: 6), i.e. against local campus issues only.

Later on, in the 1930s, students shifted their gears and got involved in extra-campus matters such as farm strikes, free speech, peace meetings, and compulsory ROTC (Frankhouser 1997). These issues were still local issues rather than national or state policies and students "were not making many waves nationally" (Frankhouser 1997: 6). More recently,

especially in 1960s, violence became part of student protests against the war in Vietnam and in favor of civil rights movement (Pezza 1995).

While campus safety has always been a concern for college administrators, community, parents, and students, campus safety did not become an issue open to the public till the brutal murder of Jeanne Ann Clery on Lehigh University campus in Pennsylvania in 1986. Pennsylvania became the first state to pass legislation to require all colleges within the state to report crime statistics publicly in 1988 (Bromley 1993). Later, states of New York, Wisconsin, Virginia, and Florida passed state legislation mandating various types of reporting. The state legislation varied widely in the types of institutions that were required to report, the types of information that was required to be reported, the time frame for making the reports, and how the information could be obtained (Bromley 1993).

Following the death of Jeanne Clery, public demand for accountability brought about the passage of the Federal Crime Awareness and Campus Security Act in 1990. Renamed and reauthorized by Congress in 1998, the Jeanne Clery Disclosure of Campus Security Policy and Campus Crime Statistics Act requires all institutions of higher education which receive federal funding to make an annual public report of campus crime statistics and campus crime policies (U.S. Department of Education Office of Postsecondary Education, The Campus Safety and Security Data Analysis Cutting Tool 2011).

Various instances of campus shootings, significant public concern, and the subsequent media attention have elicited a host of reactions and caused widespread institutional response to the issue of campus violence. Colleges and universities across the country have started to review and take measures to improve campus security and to insure a safe environment (Davies 2008). Campus violence has started to become the subject of wider discussion in the higher education literature. Campus violence is a serious issue, thus college administrators, faculty, and students need to be aware of the threats and dangers of campus

violence that can rise up at a moment's notice and shatter the belief that education institutions are safe havens from the ills of the outside world.

References:

Baker, K., & Rubel, R. (1980). *Violence and crime in schools*. Lexington: D.D. Heath & Co.

Belknap, J., & Erez, E. (2007). "Violence against women on college campuses: rape, intimate partner abuse, and sexual harassment". In Fisher, B. S., & Sloan, J. J. (Eds.), *Campus crime: Legal, social, and policy perspectives* (188-209). Springfield, IL: Charles C Thomas Publisher, LTD.

Bromley, M. L. (1993). "The impact of recently enacted statutes and civil lawsuits on security policies at post-secondary institutions". *Journal of Police and Criminal Psychology*, 9(2), 46-52.

Brubacher, J., & Rudy, W. (1968). *Higher education in transition: A history of American colleges and universities*. New York: Harper & Row.

Burton, J. D. (2007). "Collegiate living and Cambridge justice: Regulating the colonial Harvard student in the eighteenth century". In H. S. Wechsler, L. F. Goodchild, & L. Eisenmann (eds), *The History of Higher Education, ASHE reader* (3rd ed.), Boston, MA: Pearson.

Fisher, B. S., Sloan, J. J., Cullen, F. T., & Lu, C. (1998). "Crime in the ivory tower: The level and sources of student victimization". *Criminology*, 36(3), 671-710.

Frankhouser, W. (1997). "The ivory tower in violence America: An historical perspective". *Paper presented at the Annual Joint Meetings of the Popular Culture Association/American culture Association*, San Antonio, TX, March 26-29.

Goodchild, L. F. (2007). "History of higher education in the United

States". In H. S. Wechsler, L. F. Goodchild, & L. Eisenmann (Eds.), *The history of higher education* (pp. 36-48). Boston, MA: Pearson.

Morris, S. B. (1993). "The influences of campus characteristics on college crime rates". *Paper presented at the annual meeting of the Association for Institutional Research (AIR)*, Chicago, IL.

Mustaine, E. E., & Tewskbury, R. (2007). "The routine activities and criminal victimization of students: Lifestyle and related factors". In Fisher, B. S., & Sloan, J. J. (Eds.), *Campus crime: Legal, social, and policy perspectives* (147-166). Springfield, IL: Charles C Thomas Publisher, LTD.

Pezza, P. (1995). "College campus violence: The nature of the problem and its frequency". *Educational Psychology Review*, 7(1), 93-103.

Sloan, J., & Fisher, B. (2011). *The dark side of the ivory tower: Campus crime as a social problem*. Cambridge: Cambridge University Press.

Smith, M. (1989). "The ancestry of campus violence". In Sheril, J., & Siegel, D. (eds.), *Responding to Violence on Campus*, pp. 5-15. San Francisco, CA: Jossey-Bass Publications.

Thelin, J. R. (2007). "Colleges in the colonial era". In H. S. Wechsler, L. F. Goodchild, & L. Eisenmann (Eds.), *The history of higher education* (pp. 54-74). Boston, MA: Pearson.

U.S. Department of Education Office of Postsecondary Education, "The Campus Safety and Security Data Analysis Cutting Tool". <http://>

ნინო კალატოზი

მისურის უნივერსიტეტის (აშშ) დოქტორანტი

ძალადობის ფაქტების მოკლე ისტორია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებში reziune

ძალადობა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რაც ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროვნული მღელვარების საგნად იქცა. მკვლევარების, სექსუალური ძალადობისა და ვანდალიზმის შემთხვევებმა, განსაკუთრებით 2007 წლის 16 აპრილს ვირჯინიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, ნათლად აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების კერები, რომლებიც მომავალ თაობათა ინტელექტუალურ აღზრდას ემსახურება, უკვე აღარ არის იზოლირებული მათ ფარგლებს გარეთ არსებული დანაშაულისა და ძალადობისაგან.

ბევრს მტკიცედ სჯეროდა, რომ ძალადობა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ფენომენი იყო. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტებში არსებული ძალადობრივი ქმედებები, ჯერ კიდევ ამერიკის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფორმირების საწყის ეტაპზე წარმოადგენდა პრობლემატურ საკითხს როგორც სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული კადრისათვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. ისტორიული ჩანაწერები მიუთითებენ იმაზე, რომ ძალადობა უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში უდაო ისტორიული ფაქტია და ის საერთო პრობლემას წარმოადგენდა ჯერ კიდევ ადრეული კოლონიალური ამე-

რიკის მთელი უმაღლესი განათლების სისტემისთვის. თუმცა, ისტორიკოსების თქმით, კოლეჯების უმეტესობა აღშფოთებას გამოხატავდა მხოლოდ ადგილობრივი ძალადობრივი ფაქტების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტების უსაფრთხოება ყოველთვის წარმოადგენდა სასწავლებელთა ადმინისტრაციის, ადგილობრივი მოსახლეობის, მშობლებისა და სტუდენტების მთავარ საზრუნავს, ეს საკითხი არასოდეს გამოტანილა ღია საზოგადოებრივ სამსჯავროზე, ვიდრე 1986 წელს პენსილვანიის შტატის ლიჰაის უნივერსიტეტში ჯინ ქლერის სასტიკ მკვლელობამდე. ჯინ ქლერის მკვლელობის შემდეგ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მოთხოვნილებამ გამოიწვია ფედერალური დანაშაულის შემეცნების შესახებ კანონისა და საუნივერსიტეტო უსაფრთხოების 1990 წლის აქტის მიღება. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1998 წელს სახელწოდება შეცვლილი და ხელახლა დამტკიცებული ჯინ ქლერის მიერ მხილებული საუნივერსიტეტო უსაფრთხოების კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო კრიმინალური სტატისტიკის აქტი ავალდებულებს აშშ-ს ყველა იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც იღებს ფედერალურ დაფინანსებას, აწარმოოს და წარმოადგინოს ყოველწლიური საჯარო ანგარიში მის იურისდიქციაში შესულ უნივერსიტეტებში არსებული კრიმინალური სტატისტიკისა და უმაღლეს სასწავლებელში დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობების შესახებ.

მაცვალა (ბანია) ხოლუაჰვილი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ჯაზის ფენომენის გაგებისათვის ამერიკულ ლიტერატურაში

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ძალიან მოკლე პერიოდში ჯაზი განვითარდა უფრო მეტად, ვიდრე უბრალოდ მუსიკა. პოლიფონიის და დეცენტრალიზაციის გზით იგი უპირისპირდება ევროცენტრისტული კულტურის ჰეგემონიურ მოტივებს და ყალიბდება, როგორც ალტერნატიული ლიტერატურული ტრადიციის მიმზიდველი საშუალება. ლიტერატურისა და მუსიკის კანონთა სისტემების ურთიერთშერწყმამ განაპირობა ახალი, დიდი გამომსახველობის ენის შექმნა.

ჯაზის ზეგავლენა ლიტერატურაზე განსაკუთრებულ ხასიათს მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ღებულობს. მწერლები აქტიურად იყენებენ მუსიკალურ ხერხებს, როცა ქმნიან ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს: რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, რომლებიც „ფუგის“, „სონატის“, „ბლუზური კვადრატის“ და სხვა ფორმით გვხვდებიან.

ჯაზურმა მუსიკამ 20-იან წლებში გადალახა ყველა სოციალური და რასობრივი ბარიერი და 30-40-იან წლებში იგი განიცდის ევოლუციას. მის ნიაღში წარმოიშვა სუბკულტურები, თავისი ღირებულებებით, ცხოვრების სტილით ქცევის მანერით და ა.შ. ჯაზის სამყარო ცხოვრობს თავისი კანონებით, სადაც გარკვეული მეტყველების ფორმებია მიღებული, გამოიყენება სლენგი... ეს და კიდევ მრავალი რამ ჯაზისა და ხელოვნების სხვა დარგების ურთიერთშერწყმის და ურთიერთზეგავლენის საფუძველი ხდება. (ასე მაგ. „ჰარლემის რენესანსის“ პოეტების პოეზია. ლ. ჰიუზის

ლექსები გვაგონებენ ბლუზის ტექსტებს. ასევე ჯეკ კერუაკის რომანი „გზაზე“ და სხვა).

30-40-იან წლებში ჯაზი წარმოგვიდგება როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენა, რომელმაც განიცადა ტრანსფორმაცია მასობრივი კულტურის მოვლენიდან ელიტარულ ხელოვნებამდე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ იგი უცილობლად დიდ ზეგავლენას ახდენს ე. წ. ლიტერატურული ჯაზის ჩამოყალიბებაზე. ამისათვის კი აუცილებელია ჯაზის ფენომენისადმი კომპლექსური კულტუროლოგიური მიდგომა, რომელიც მოქმედებს მხატვრების, მწერლების, დრამატურგების, პოეტების და ზოგადად თანამედროვე კულტურის მუსიკალური ენის ჩამოყალიბებაზე.

აფრო-ამერიკული კულტურა კი ძველი, დომინირებული კულტურის მასალაზე დაყრდნობით, იმპროვიზაციის და ინტერპრეტაციის, ნარატიული და ექსპრესიული პოლიფონიის ზეგავლენით ქმნის ახალი ორიგინალური კულტურის ფორმებს. ყველაფერი ეს კი ლიტერატურული ჯაზის საფუძველია.

სწორედ აფრო-ამერიკული ლიტერატურა ქმნის სემიოტიკურ სისტემას, რომლის მიზანია გამოხატოს ის, რისი გამოხატვაც შეუძლებელია სიტყვებით და რაც თავისთავად ამ სახის ლიტერატურის შემდგომი განვითარების საფუძველსაც წარმოადგენს. ამ მიზნით ირღვევა ყველა საზღვარი თხრობის საშუალებებს, ლიტერატურასა და მუსიკას შორის. აფრო-ამერიკული ლიტერატურის მუსიკალურ-ლიტერატურული სინკრეტიზმი განაპირობებს მის ინტერმედიალურ ხასიათს. მუსიკა იძლევა სრულიად სხვა, დამატებით და სრულიად აუცილებელ ენას, რაც შეუძლებელია აღწერო და გადმოსცე სიტყვებით (unspeakable). მაგრამ იგი არ უნდა დარჩეს გადმოუცემელი (inexpressible). ასეთ ენად კი ყალიბდება ლიტერატურული ჯაზი, რომელიც შეიძლება ერთდროულად გავიგოთ როგორც მეტაფორული გამოთქმა და ახლადფორმირებული ლიტმცოდნეობითი ტერმინი. ამ ორი მნიშვნელობის სინთეზით ლიტერატურული ჯაზი წარმოგვიდგება როგორც თვითგამოხატვის ორიგინალური ნარატიული და ექსპრესიული სტრატეგია,

რომელიც თავის თავში აერთიანებს აფრო-ამერიკული მუსიკალური და ევროპული წერილობითი კულტურის ტრადიციებს.

ლიტერატურული ჯაზის ფესვები კი, რალა თქმა უნდა, უნდა ვეძებოთ ამავე სახელწოდების მუსიკალურ მიმართულებაში. ჰარლემის რენესანსმა მყარი საფუძველი ჩაუყარა აფრო-ამერიკელების წერილობით ლიტერატურულ ტრადიციებს და ლიტერატურული ჯაზის სტილისტიკას, ხოლო მისი ჟანრული გაფორმება უფრო მოგვიანო პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც უცილობლად უკავშირდება აფრო-ამერიკელების თვითშეგნების ამალვებას და სერიოზული სამეცნიერო ნაშრომების გამოჩენას. და თუ ლიტერატურული ჯაზი პირველადვე მოიაზრება აფრო-ამერიკული კულტურის ორიგინალურ აღმოჩენად, ზოგადად, იგი თუ არა მსოფლიო, მინიმუმ, მაინც არის ამერიკული კულტურის მოვლენა.

ჰარლემი ხდება ოცნების ქალაქი (the City) დიდი გადასახლების პერიოდში სოფლური სამხრეთიდან, რომელიც 1870-იან წლებში დაიწყო და პიკს 1910-1930-იან წლებში მიაღწია. "The wave of black people running from want and violence crested in the 1879 s the „80” s; the „90” s but was a steady stream in 1906... when Joe an Violet joined it. Like the others they were country people, but how soon country people forget”.

1910-20-იან წლებში ნახევარ მილიონამდე აფრო-ამერიკელმა დატოვა სამხრეთი და დაიწყო შუა დასავლეთში და ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქალაქებში დასახლება. ყველაზე მიმზიდველი ადგილი კი ნიუ-იორკი გახდა. 1926 წლისათვის კი ჰარლემი გახდა უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ შავი რაიონი მანჰეტენში – ის იყო ქალაქი ქალაქშიც კი, ის შავი ამერიკის დედაქალაქი გახდა.

მეტად საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ჯაზი იქცა აფრო-ამერიკული კულტურის ელემენტების მეტაფორული და სტრუქტურულ-აზრობრივი გადატანის საშუალებად ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებზე, რომელმაც თავისთავად გამოიწვია ლიტერატურული კანონების შეცვლა. იგი იქცა ლიტერატურუ-

ლი მეინსტრიმის ნაწილად, რაზეც ძალიან ბევრი ფაქტი მეტყველებს. ასე მაგალითად, 1993 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს ტონი მორისონს, რომლის რომანიც „Jazz“ ლიტერატურული ჯაზის ნათელი მაგალითია. იგი თავის თავში მის ყველა პრინციპს აერთიანებს:

1) რომანი შედგება რამდენიმე მთხრობელის რეტროსპექტიული ნარატივისგან, რაც თავისთავად ქმნის ერთგვარ განსაკუთრებულ ჯაზურ პოლიფონიურობას და ტრადიციული თხრობის იერარქიულობას არღვევს.

2) ნარატიული დეცენტრალიზაციის და დეიერარქიზაციის პრინციპის გამოყენებით, რომანი „გვიყვება“ თავის ისტორიას, რომელსაც ჰარლემის და მისი მობინადრეების ცხოვრებიდან აგებს.

3) ყველა გმირს რომანში თავისი ხმა აქვს, ასრულებს სოლო პარტიას და მხოლოდ ამ ყველა ხმის შეერთებით ერთ ორკესტრად (ან ჯაზ ბენდად) მკითხველი მომხდარის სრულ სურათს ღებულობს.

4) რთული რიტმიკის მქონე ნარატივის ზეგავლენა მომზადებულ მკითხველზე უტოლდება მუსიკალური ჯაზური კომპოზიციის ზეგავლენას.

ტონი მორისონი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ენას. იგი თავისი წიგნებით ცდილობს დაუბრუნოს გაქრობის გზაზე მყოფ ჯაზის კულტურას თავისი ჭეშმარიტი არსი, რაც ასე ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანია აფრო-ამერიკელთათვის. იგი ცდილობს გადაიტანოს ჯაზური მოტივები ლიტერატურულ ტრადიციებში, იმ მიზნით, რომ იგი გახდეს გამომსახველობის საშუალება, რომელიც ადაპტირებულია აფრო-ამერიკელი ხალხის ისტორიის მოსათხრობად. ჯაზი მორისონისათვის არ არის გართობა, იგი უფრო ტკივილის გაყუჩების და სიმშვიდის ნავთსაყუდელია.

“The pieces of Cholly’s life could become coherent only in the head of a musician. Only those who talk their talk through the gold of curved metal, or the touch of black-and white rectangles and taut skins and

strings echoing from wooden corridors, could give true form to his life. Only they would know how to connect the heart of a red watermelon to the asafetida bag to the muscadine to the flashlight on the behind to the fists of money to the lemonade on a Mason jar to a man called Blue and come up with what all of that meant in joy, in pain, in anger, in love and give it its final and pervading ache of freedom. Only a musician would sense, know without even knowing that he knew, that Cholly was free. Dangerously free (Morrison 2007: 159).

მორისონის სიტყვები შემდეგნაირად ჟღერს: “The book (Jazz) is a jazz gesture. Jazz is improvisational. You must be creative and innovative in performance. Even Errors take you on to a new level of attainment. Writing is another form of music. There was a time when black people needed the music. Now that it belongs to everybody, black people need something else which is theirs. That’s what novels can do, what writing can do. I write in order to replicate the information, the medicine, the balm we used to find in music” (Simawe 2000: 168).

ტონი მორისონი რომანში „ჯაზი“ ლიტერატურულ ენას იყენებს, რათა შექმნას მე-20 საუკუნის დასაწყისის ნიუ-იორკის განუმეორებელი ატმოსფერო, რომელიც გამსჭვალულია ჯაზით და იმ ცხოვრებისეული გამოცდილებით, რაც თან მოიტანეს სამხრეთიდან გადმოსახლებულმა შავკანიანებმა. ასევე ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა ქალაქის თემა. ნიუ-იორკი არა მხოლოდ უბრალო ფონია, რომელზეც ვითარდება მოვლენები, არამედ განსაკუთრებული კულტურულ-სოციალური გარემო, ერთდროულად კატალიზატორი და დამოუკიდებელი პერსონაჟი. თავისი ხასიათით და ნებით. The City ამ რომანში ნიუ-იორკია, ქალაქური ცხოვრების კვინტესენცია და მრავალი ბედისა თუ კულტურის საკონტაქტო ზონა.

ისტორიულ და კულტურულ რეტროსპექტივაში ნიუ-იორკი იქცა ბევრი აფრო-ამერიკელი გადმოსახლებულთათვის ბედის ძიების ადგილად და ეს თემა, მოგეხსენებათ, არც თუ ისე უცნობია მკვლევართათვის. 21-ე საუკუნის დასაწყისში ჰარლემში გად-

მოსახლებულ თითოეულ აფრო-ამერიკელში ორმაგი გადმოსახლების გამოცდილება აღიბეჭდება (double displacement – ორმაგი გადასახლება): ერთი მხრივ, ესაა თავისუფალი მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი საკუთარ სამშობლოში იყვნენ, მონობაში მოხვედრა სხვა კონტინენტზე, ხოლო მეორე მხრივ, გადასახლება ჩვეული, ფსიქოლოგიურად კომფორტული სოფლის რაიონებიდან ქალაქში – თავისი კანონებით, რიტმითა და ჩარჩოებით. ქალაქი მათთვის გაუღენთილია მუსიკით, ისინი მოხიბლული არიან ქალაქის ცხოვრებით და შეგნებით, რომ თავად არიან მისი ნაწილი. “I’m crazy about this City. Daylight slants like a razor cutting the buildings in half. In the top half I see looking faces and it’s not easy to tell which are people, which the word of stone masons. Below is shadow where any blase thing takes place; clarinets and lovemaking, fits and the voices of sorrowful women. A city like this one makes me dream toll and feel in on things. Hep. It’s the bight steel rocking above the shade below that does it. When I look at over strips of green grass lining the river, at church steeples and into the cream-and – copper halls of apartment buildings, I’m strong. Alone, yes, but top-notch and indestructible – like the City in 1926 when all the wars are over and there will never be another one. The people down there in the shadow are happy about that. At last, at last, everything’s ahead. The smart ones say so and people listening to them and reading what they write down agree: Here comes the new. Look out. There goes the sad stuff. The bad stuff. The things-nobody-could-help stuff. The way everybody was then and there. Forget that. History is over, You all, and everything’s ahead at last (Morrison 1993: 7).

ამ ნაწყვეტს შემოაქვს ქალაქის თემა რომანში, რომელიც შემდგომში ბევრი ინტერპრეტაციით და მრავალრიცხოვანი განმეორებით გვევლინება, როგორც განვითარებადი ჯაზური მელოდია. მთხრობელი საკმარისად ანონიმური და აბსტრაქტულია. ქალაქი სავსეა ბგერებით, მოლოდინით. მკითხველს შეუძლია დაიჭიროს ქალაქის განსაკუთრებული რიტმი, ამ ცხოვრების უბრალოება

(სასაუბრო ენის საშუალებით) და წარსულის ნაკვალევიც. ზეპირი და სამწერლო ენის გადახლართვა ინსტრუმენტალური ვარიაციების ბლუზურ სტრუქტურას და ჯაზურ ხერხებს იმეორებს.

მუსიკის თემა, მუსიკალური ინსტრუმენტები რომანის ტექსტში ჩნდებიან, როცა აუცილებელია ქალაქის ატმოსფეროს, მოვლენების არსის ან გრძნობების გადმოცემა. ჯაზი ქალაქის სინონიმი რჩება. მუსიკა ეს გაზაფხულის არომატია, სიყვარულის ვნება, მარტოობა, დანაკარგი, ახალ ცხოვრებაზე გადასვლის რიტუალი...

ერთ-ერთი ასეთი რიტუალი შეასრულეს ვაიოლეტმა და ჯომ, როცა მატარებლით ჩამოვიდნენ ქალაქში. მათ დატოვეს ვირჯინია და ახალი ცხოვრების გზას დაადგნენ ნიუ-იორკისკენ. შემთხვევითი არ არის, რომ ისინი ჩასხდნენ მატარებელში a “train-danced into it”. მისი მნიშვნელობა იმაშია, რომ გადადიან ძველი მდგომარეობიდან, სოფლური ცხოვრებიდან ახალ, ქალაქურ, თავისუფალ ცხოვრებაზე, რომელიც არ შეიძლებოდა რაიმე რიტუალით არ აღნიშნულიყო და თავად რიტუალი სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო თუ არა მუსიკალური და რიტმული მოქმედებით მორთული. “The train shivered with them at the thought but went on and sure enough there was ground up at the head and the trebling became the dancing under their feet. Joe stood up, his fingers clutching the baggage rack above his head. He felt the dancing better that way and told Violet to do the same” (Morrison 1993: 30).

ჯო და ვაიოლეტი ქალაქთან დიალოგში მასთან მიახლოებისთანავე შედიან: “They weren’t even there yet and the City was speaking to them. They were dancing. And like a million others, chests pounding, tracks controlling their feet they stared out the window for first=sight of the city that danced with them, proving already how much it loved them” (Morrison 1993: 32). ამ რიტუალის შესრულების შემდეგ რომანის გმირები სიამოვნებით ხდებიან ქალაქის მაცხოვრებლები. გადასახლების დისკურსი ხდება ავტორისა და ისტორიის ნარატიულ სტრატეგიად. დანაკარგი თუ მონაპოვარი ერთმანეთს ცვლი-

ან და ფორმულირდებიან ისე როგორც „თხრობის იდენტიფიკაცია“, ასევე როგორც „გმირების იდენტიფიკაცია“ (Рикер 1995: 159). ამის შესახებ აღნიშნავს მკვლევარი Anne-Marie Paquet-Dayris: “What Morrison calls “the voice of the talking book... as though the book were talking, writing itself, in a sense” actualizes the very notion of displacement. Narrative constructions and reconstructions reflect the characters’ legacy of personal dispossession and cultural dislocation. The narrative records and re-presents both the real and false hopes offered by the city. And as it first celebrates the advent of a new era, it directly comments on the meaning of relocation for “a million others” (Paquet-Dayris 2001).

რომანში გადაადგილების დისკურსის თხრობა ხდება ციკლური, ისე როგორც წარსულის ტრაგედიების მოგონებისგან თავისდაღწევის შეუძლებლობა და არსებული სიცარიელის შევსება. თავდაპირველად ის ყოვლისშთანთქმელ წრეს აღწერს (“That’s how that scandalizing threesome on Lenox Avenue began. What turned out different was who shot whom”) (Morrison 1993: 6). რომ შემდგომში აღწეროს კვლავ და კვლავ პატარა წრეები, სადაც გმირთა ისტორიებია მონათხრობი და ერთმანეთში გადახლართული. ისევე ბრუნდება ფირფიტის რიგის მეტაფორა ჯაზური ჩანანერით – თხრობის შეწყვეტა ამ წრისგან თითქმის შეუძლებელია, რათა ისტორია ბოლომდე იყოს მოთხრობილი და არ განწყდეს ტექსტის ქსოვილი.

ასე რომ, ლიტერატურული ჯაზი სწორედ ის ენობრივი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია „გამოუთქმელის“ გადმოცემა და აფრო-ამერიკული ცხოვრების რეალისტურად ასახვა.

დიახ, მწერლობა ჯაზია, იგი იმპროვიზაციას და თამაშს ემყარება. მუსიკა კი ყველაზე სახელოვნებო შრეა.

დამოწმებანი

Morrison, T. *The Bluest Eye*. N. Y.: vintage Books, 2007.

Simawe, S. A. (ed). *Black Orpheus: Music in African American Fiction from the Harlem Renaissance to Toni Morrison*. Garland Publishing, Inc. 2000.

Morrison, T. *Jazz*. N. Y.: Plume (Penguin Books USA), 1993.

Paquet-Deyris, A.-M. “Toni Morrison’s Jazz and the City”. *African American Review*, 2001, vol. 35, № 2. URL: <http://links.jstor.org>

Рикер, П. *Герменевтика. Этика. Политика. Московские лекции и интервью*. Москва: Ками, 1995.

MAKVALA (BAIA) KOGUASHVILI

Guram Tavartkiladze Teaching UIniversity &
Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

UNDERSANDING THE PHENOMENON OF JAZZ IN AMERICAN LITERATURE

SUMMARY

Mutual effects of music and literature have a long history in the human society. In the beginning of the 20th century jazz developed as a social and cultural phenomenon rather than a mere form of the music expression. During the 30s and 40s it acquires a peculiar nature. Jazz exerts profound influence on the formation of the modern artistic culture and of the music language. By this period jazz, as a phenomenon of popular culture, transforms into an elitist art holding tremendous sway over the development of the so-called *jazz writing*.

Through polyphony and decentralization jazz contradicts Euro-centrist culture hegemonic motifs and establishes itself as an alternative literary tradition. The blending of literature and music law systems

causes the production of a great expressive language, gaining its features as a result of eliminating of all the borders between literature and music. Arguably, musical-literary syncretism of the African-American literature underlies its intermediary character.

Toni Morison, a modern African American Nobel Prize winner author, makes efforts to transfer jazz tunes into the literary tradition and use it as one more tools of novel expression. In this respect the phenomenon of *jazz writing* is a matter of great interest as it is molded on the basis of European literature laws and the African American music traditions. It can be understood both as a metaphoric expression or/and a literary criticism term.

Toni Morison's novel "Jazz" incorporates all the principles of the jazz music. It consists of the retrospective narration of a number of story-tellers, – the device responsible for creating a sort of peculiar jazz polyphony. All these suggest the thought that literature is a kind of a jazz based on improvisation and performance.

ნესტან ჯებივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

რეფლექსია ამერიკულ ნოველაზე, როგორც საბჭოთა ჯრიბიკული დისკურსის ერთ-ერთი მანსიკიკიკი

როგორც ცნობილია, ესა თუ ის მხატვრული ტექსტი საკუთარ თავში მოიცავს ჟანრის ტრადიციას, ამა თუ იმ ლიტერატურული მიმართულებისათვის დამახასიკიკიკი ნიშან-თვისებებს, ასახავს ეპოქასა და იმ კულტურულ სივრცეს, რომელშიც ის იქმნება. ისტორიული პოეტიკა სწორედ ამ უმთავრესის კვლევისა და ნამოქრილ კითხვებზე პასუხის ძიებას გულისხმობს, რაც, ბუნებრივია, ტექსტის ინტერპრეტირების ამოუნურავი შესაძლებლობებიდან მხოლოდ ერთი ასპექტიკიკი. მსოფლმხედველობრივი კონცეპტები, ყველა მხატვრულ ნაწარმოებში რომ უდავოდ არსებობს, ყოველთვის არ დევს ზედაპირზე და მისი არც რეცეფცია და არც აღწერა იოლი არ არის. ასეთ შემთხვევაში ლიტერატურათმცოდნეობა, სალიტერატურო კრიტიკა ასრულებს მიმართულების მიმცემის როლს და ეხმარება მკითხველს ტექსტის გააზრებაში, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ამგვარი მცდელობისას დააბნიოს კიდეც რეციპიენტი.

საბჭოთა ლიტერატურული პროცესი რთული და არაერთგვაროვანი მოვლენა გახლდათ. მას აპოლოგეტურ ხასიკიკი და ტოტალიტარული რეჟიკიკის ხელოვნების სხვა ნიშნებთან ერთად ჰქონდა საყურადღებო ანტიუტოპიური დისკურსიკი, თუმცა ისტორიული ტენილების კვალდაკვალ მისი გამოვლენა განსხვავებული ფორმითა და დოზით ხდებოდა. საბჭოთა ეპოქის ლიტერატურათმცოდნეები ისევე, როგორც მწერლები, სშირად იძულებულნი ხდებოდნენ ანგარიში გაენიკიკი ხელისუფლებისათვის და იდეოლოგიური კონიუნქტურის შესაბამისად ნარმოეჩინათ

ესა თუ ის საკითხი. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა კრიტიკული რეფლექსია უცხოური მწერლობის ნიმუშებზე.

თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროდ მიიჩნევს დღევანდელი გადასახედიდან სოცრეალიზმის ეპოქისათვის ნიშანდობლივი ყალბი თუ ჭეშმარიტი ფასეულობების შესწავლას, მართებულად თვლის, რომ უნდა „ჩატარდეს საბჭოთა ლიტერატურის კონცეპტუალური თეორიულ-ისტორიული ანალიზი; გამოვლინდეს მისი ისტორიული განვითარების არსებითი და აუცილებელი ტენდენციები; გადაილახოს შეფასებისა და მიდგომების უკიდურესობები, როგორც აპოლოგეტიზმი, ასევე ნიჰილიზმი; მოხმობილი იქნას ის ემპირიული მასალა, რომელიც დაგვეხმარება დავაკონკრეტოთ პრობლემა და წარმოვაჩინოთ საყოველთაო მნიშვნელობის მქონე ტენდენციები“ (გაფრინდაშვილი 2014). ანალოგიური კვლევა მიემართება ქართულ საბჭოთა კრიტიკულ დისკურსსაც, რომლის ფარგლებში ერთი და იმავე ავტორის მიერ არაერთი განსხვავებული პათოსის მქონე პუბლიკაციაა შექმნილი, მოიცავს როგორც ქართულ, ისე უცხოურ მხატვრულ ლიტერატურას და კიდევ უფრო ცხადად აჩვენებს ლიტერატურული პროცესის იდეოლოგიზებულ ხასიათს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა 1930-50-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაში.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ იდეოლოგიურ კონტექსტში შექმნილი ტექსტია მე-20 საუკუნის ცნობილი ქართველი კრიტიკოსის გიორგი ნატროშვილის წერილი „როცა ცოცხლები ხმას არ იძლევიან“. სტატია ამერიკელი მწერლების (ირვინგი, პო, ბირსი ...) რამდენიმე ნოველას შეეხება და 1950 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. საგულისხმოა, რომ გაზეთი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო იყო, რომელსაც „იდეოლოგიური მესაჭის“ როლი ეკისრებოდა.

ნერილი შექმნილია ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც დემოკრატიული ქვეყნის, იმიჯის ეჭვქვეშ დასაყენებლად და მისი ყალბი ხასიათის საჩვენებლად. ამ მიზნით, ავტორი ამერიკული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლების ნაწარმოებთა არასწორ ინტერპრეტირებას ახდენს, რომ უფრო ღრმა საფუძველი მოუძებნოს და არსობრივი დატვირთვა მისცეს „კაპიტალისტურ ქვეყანაში“ ცხოვრებისა და საზოგადოების განვითარებისას ბუნებრივად წამოჭრილ მანკიერებებსა და წინააღმდეგობებს. „ამერიკელ ნოველისტებს თავიდანვე ძალიან უყვარდათ ათასნაირი საშინელების, უმაგალითო დანაშაულის, ფიზიკური და სულიერი სიმახინჯის, საერთოდ შემადრწუნებელი სანახაობების აღწერა და მხატვრული გადმოცემა“, – წერს კრიტიკოსი (ნატროშვილი 1950) და მკითხველს შეახსენებს მე-19 საუკუნის ისეთი ცნობილი მწერლების შემოქმედებას, როგორებიც არიან ვაშინგტონ ირვინგი და ედგარ პო. მისი თქმით, ამ თავისთავად გამორჩეული ხელწერის მქონე ოსტატების მემკვიდრეობაში „არგაგონილ და არაჩვეულებრივ კომმარებს“ მრავლად ვხვდებით, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ე. წ. „სასაფლაოს თემატიკაზე“ მათს ნაწარმოებებში, დასძენს, რომ „ირვინგმა თავის ფანტასტიურ ნოველში“ „საქმრო-მოჩვენება“ „მიცვალეზულ ჭაბუკსა და სიცოცხლით სავსე „ქალწულს“ ჯვარი დასწერა ერთი მეორეზე“ (ნატროშვილი 1950). ასეთ ნეგატიურ კონტექსტში წარმოსახავს კრიტიკოსი ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ განსაკუთრებით გამორჩეულ წარმომადგენელს. ცნობილია, რომ ვაშინგტონ ირვინგის სახელთან დიდი ამერიკული ლიტერატურის ცნებაა დაკავშირებული და მას იმ ავტორად მიიჩნევენ, რომელმაც „ახალი მიწისადმი იდეალისტური, ოდნავ რომანტიკული დამოკიდებულებისაკენ“ მოუწოდა ამერიკელებს (სფენქერენი 1994: 26).

ნატროშვილი ედგარ პოსაც ამ რიგის ამერიკელ მწერალთა შორის მოიაზრებს. დასძენს, რომ მისი ნოველების კრებულს თავად ამერიკელებმა უწოდეს „საშინელებათა ენციკლოპედია“.

„ედგარ პო უფრო შორს მიდიოდა. პესიმიზმისა და მისტიკის ამ ცნობილმა ტრუბადურმა აღწერა კაცის ცოცხლად დამარხვა გვირაბში, რომელიც სავსეა ადამიანთა ძვლებით (ნოველა „ერთი კასრი ამონტილიადო“), მან აღწერა გემი, რომლის მგზავრები ყველანი მიცვალებულნი არიან, დახატა უცნაური ადამიანები, რომლებსაც ვერ გაიგებ ცოცხლები არიან, თუ მკვდრები (ნოველები „მორელა“, „ლიგეია“ და სხვები)“, – ასე ახასიათებს ქართველი კრიტიკოსი (ნატროშვილი 1950) გამოჩენილ ამერიკელ მწერალს, რომელიც მართლაც იყო ცნობილი თავისი მაკაბრით, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მან უდიდესი გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპულ ლიტერატურაზე და არამხოლოდ მასზე, მის ნაწარმოებებს, განსაკუთრებით „ყორანს“, კარგად იცნობდა ქართველი მკითხველი, თუმცა ეს ყოველივე უგულვებელყო კრიტიკოსმა და მწერალი განქიქების საგნად აქცია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფის დემონიზაციისა და ამის „საფუძვლიანად“ არგუმენტაციის მიზნით, კრიტიკოსმა თავის ოპუსში კიდევ ერთი ამერიკელი ნოველისტის ამბროს ბირსის შემოქმედებაზე გაამახვილა ყურადღება. მან გამოყო ნოველა „სიროფის ლიტრა“, რომელშიც საუბარია სიროფის გამყიდველ საილას დიმერზე. ნაწარმოების სიუჟეტი კრიტიკოსის ირონიზირების საგნად არის ქცეული. სიროფის გამყიდველი გარდაცვალების შემდეგაც ვაჭრობს თავის კიოსკში. „ყველაფერი ეს მისტიკური ბოდეა და ავადმყოფური ფანტაზიააო, – წამოიძახებს მკითხველი. სავსებით მართალი ხარ, მკითხველო!“ – წერს გ. ნატროშვილი, რომელსაც ამგვარი მხატვრული რეფლექსია დამახასიათებელ ტენდენციად მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ქვეყნისათვის, სადაც ისეთი „გაიძვერული“ და „ყალთაბანდური“ საქმეები ხდება, „ყოველგვარ ავადმყოფურ ფანტაზიას“ რომ ჩრდილავენ.

ამგვარი ნარატივი, მხატვრული აზროვნების ერთგვარი უნივერსალიზაცია გიორგი ნატროშვილს კონკრეტულად ამერიკის

შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემის დისკრედიტაციისათვის სჭირდება. ის აქცენტს აკეთებს მისურის შტატის საოლქო პროკურორზე, მორის მილიგენსა და მის წიგნზე „მისურული ვალსი“ და ირონიულად შენიშნავს, რომ, თუ მწერალმა ბირსმა თავის ფანტასტიკურ ნოველაში საფლავიდან ერთი სიროფის გამყიდველი ქალი წამოაყენა, მისურის შტატში დემოკრატიული პარტიის ბოსმა ტომას პანდერგასტმა 60 ათას მიცვალებულს მიაღებინა არჩევნებში მონაწილეობა დემოკრატიული პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ. ეს ფაქტი მას ამერიკელი ავტორის მიერ გამოქვეყნებული წიგნიდან მოჰყავს და აქცენტს იმაზეც აკეთებს, რომ მორის მილიგენი იურისტია და ამდენად მისთვის უმნიშვნელოვანესია ფაქტები, განსხვავებით მწერლობისაგან, რომელშიც უმთავრესი როლი სწორედ მხატვრულ გამონაგონს ენიჭება.

ყოველივე ამას ნატროშვილი კარგად იყენებს, რომ „მისურული ვალსი“ შეაფასოს, როგორც განაჩენი, „იმპერიალისტური ამერიკის“ რეალური სახის ამსახველი პუბლიკაცია, თუმცა თვლის, რომ ეს ყოველივე ავტორის შეგნებული არჩევანი არ არის, წიგნმა ეს დანიშნულება თავისდაუნებურად შეიძინა.

ბუნებრივია, ნატროშვილი საკუთარ პოზიციას ამყარებს ლენინის ციტაციით, რომ ამერიკული ცივილიზაცია ძარცვაზეა დამყარებული. სწორედ ამ დებულების უნებლიე დასტურად მიიჩნევს ქართველი კრიტიკოსი მილიგენის წიგნს, რომელიც, მისივე თქმით, ზუსტ, დოკუმენტურ მოვლენებს ეფუძნება.

წერილში ყურადღებაა, ასევე, გამახვილებული, რომ წიგნში აღწერილ ქალაქ კანზას-სიტის სასაფლაოსა და 1930-იანი წლების ამერიკაში მაფიის ცნობილი ხელმძღვანელის ტომას პანდერგასტის ხელქვეითების მიერ გარდაცვლილთა გვარ-სახელებისა და გზებზე არსებული დიდი ნაგებობების მისამართების ჩანერის გზით ამომრჩეველთა სიებია გაზრდილი. სარკასტულად აღწერილი ეს ამბავი გიორგი ნატროშვილს „იმპერიალისტური ამერიკის“ ერთ-ერთ მახასიათებლად მიაჩნია. „ეს არის ქვეყანა, სადაც განუკითხავად ბატონობს დოლარი. ეს ყვითელი

სატანა, რომელიც სისხლითა და ტალახით არის მოსვრილი, განაგებს, ვაჭრობს, ჰყიდის და ყიდულობს ყველაფერს: აქ ჰყიდიან ხელოვნებას, მსახიობს, ლიტერატურას, ჰყიდიან და ჰყიდულობენ მწერლებს, თვით საკმაოდ სახელიანებსაც კი, როგორც ახლახან იყიდა უოლსტრიტმა ეპტონ სინკლერი და სინკლერ ლუისი“ (ნატროშვილი 1950). ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ მან ასეთ კონტექსტში მოიხსენია ასევე ცნობილი ამერიკელი მწერლები. ამ ტიპურ საბჭოთა იდეოლოგიზებულ ნარატივში კარგად ჩანს, როგორ ხდება დისკრედიტაცია ისეთი ფაქტისა, როგორიც არის გამომცემლობის მიერ მწერლისათვის ჰონორარის გადახდა. მაგრამ ამ წერილის ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის და ფიქრობს, რომ რუზველტმა იყიდა ამერიკის პრეზიდენტობა, რაც მას საკმაოდ ძვირი დაუჯდა. რა თქმა უნდა, აქ იგი გულისხმობს საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. ბოლოს ყოველივეს კი აფასებს მარქსის შეხედულებით, რომ „ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე“ არის „სახელმწიფოებრივი ოინბაზობის ოსტატი“, ასევე, დისკრედიტებულია პარლამენტი, სადაც, ლენინის თქმით, ყველაფერი ვაჭრობის საგანია. ეს ყოველივე კი ის ნიღაბია, რომელშიც „კაპიტალიზმი თავის საშინელ სახეს მალავს“.

წერილის ერთ-ერთი მთავარი პლასტია ისიც, რომ მსხვილ მაგნატებს შეუძლიათ იყიდონ არათუ ამერიკის პრეზიდენტი, არამედ თეთრი სახლიც და ამდენად მათთვის სულერთია, რომელი პარტია იქნება ხელისუფლებაში. კრიტიკოსი სტალინის სიტყვებით ახასიათებს „ბურჟუაზიულ დემოკრაციას“ და ხაზს უსვამს ბურჟუაზიულ სამყაროში ბანკების უდიდეს ზეგავლენას მთავრობებზე.

საინტერესოა, რომ მარქსის, ლენინისა და სტალინის ციტატებთან ერთად ნატროშვილს არ ავინყდება საბჭოთა ოფიციალისათვის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი მაქსიმ გორკი და მისი წუხილი ამერიკის მშრომელი ხალხის ძარცვის გამო. დახატულია განგსტერებისა და მათი ბოსების მიერ ჩვეულებ-

რივ მოქალაქეებზე ზენოლის აპოკალიფსური სურათი. საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად კრიტიკოსი ამჯერად იმონშებს ამერიკელ პუბლიცისტს ჰენრო როდსსა და მის წიგნს – „დამნაშავენი, რომელთა ღირსიც ვართ ჩვენ“. ხაზს უსვამს, რომ პუბლიცისტიც დაუფარავად საუბრობს იმდროინდელი ამერიკის საზოგადოებრივი ყოფის ნაკლოვან მხარეებსა და, მათ შორის, საარჩევნო პროცესიასთვის თანმდევ პრობლემებსა თუ ხდომილებებზე.

მიუხედავად წერილში მოხმობილი არაერთი ცნობილი ავტორისა, ნატროშვილი კვლავ მილიგენს უბრუნდება და 1934 წლის, ისტორიაში „სისხლიან არჩევნებად“ შესული, ასევე, 1948 წლის არჩევნების ნაკლოვან მხარეებზე პედალირებით ხატავს ამერიკის შეერთებული შტატების უარყოფით სურათს, რომ შემდგომ ამ ფონზე წარმოაჩინოს საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი და წარმატებული ყოფა. „მსოფლიოს ხალხები, საკუთარი გამოცდილების მაგალითზე დარწმუნდნენ, რომ კაპიტალისტური „დემოკრატია“ არის მშრომელთა მოტყუების, დაჩაგვრის და დამონების იარაღი. ხალხები იბრძვიან იმპერიალისტური მონობისგან განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლის დროს მილიონობით ადამიანებს გზას უნათებს საბჭოთა ქვეყანა, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, რომელმაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში განახორციელა ნამდვილი და ბოლომდე თანმიმდევრული დემოკრატიზმი, მიანიჭა ადამიანს მზიური თავისუფლება“ (ნატროშვილი 1950). ასეთი დასასრული, საერთოდ მთლიანად ამ წერილის შინაარსი ცხადად აჩვენებს, ერთი მხრივ, როგორ იქმნება მითი საბჭოთა ბედნიერი ცხოვრების შესახებ და, მეორე მხრივ, როგორ იმართება საბჭოთა მოქალაქეების ცნობიერება ლიტერატურული კრიტიკის მიერ, მით უფრო საარჩევნო წელს. აღსანიშნავია, რომ 1950 წელს გაიმართა სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

საინტერესოა რამდენიმე დეტალი. ერთი ის, რომ მოხმობილი წიგნები არ არის ახალი დასტამბული (ირვინგი – მოსკოვი, 1947;

ედგარ პო – მოსკოვი, 1946; მილიგენი – ნიუ-იორკი, 1948) და არც ქართულ ენაზეა გამოცემული, მეტიც, მილიგენის წიგნის ციტატებს ავტორი ცნობილი რუსი დრამატურგისა და პუბლიცისტის, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატის ნ. პოგოდინის სტატიიდან იმონებს და უშუალოდ არ იცნობს.

ეს წერილი საბჭოთა კრიტიკული დისკურსის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა, ძალზე ცალმხრივი და ტენდენციურია, პრობლემა წარმოდგენილია, როგორც ამერიკული კულტურის ზოგადი მახასიათებელი. სწორედ ამიტომ იწყება იგი მწერლებზე საუბრით. საკითხის ამგვარი დასმა საბჭოთა ტოტალიტარული ნარატივის ტიპური ნიმუშია, ირვინგისა და პოს შემოქმედების ამ კონტექსტში მოხმობა კი, ბუნებრივია, ამერიკული ლიტერატურის მიზანმიმართულ დაკნინებად აღიქმება, მით უფრო, რომ წერილში ამერიკული ლიტერატურის განვითარების ტენდენციებისა და მხატვრული თავისებურებების შესახებ ორიოდ სიტყვითაც კი არაფერია ნათქვამი. გარდა იმისა, რომ ასეთი დისკურსით ყალიბდებოდა მცდარი, თავისი ბუნებით, მტრული იდეოლოგიური კლიშეები, ამგვარი ნარატივი უცხოური კულტურის, ამ შემთხვევაში, ამერიკული ლიტერატურის მიმართ ნერგავდა ნიჰილიზმს და ამცირებდა მის ესთეტიკურ ღირებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ნატროშვილის სტატიისათვის ასეთი ნიშანდობლივი რადიკალიზმი 1930-50-იანი წლების საბჭოთა მწერლობასა და კრიტიკას ახასიათებს და ნაკლებად გვხვდება უკვე პოსტსტალინისტურ პერიოდში. 1960-იანი წლებიდან, იცვლება რა პოლიტიკური ვითარება, განსხვავებული რეჟიმისა ყალიბდება როგორც მხატვრულ, ისე კრიტიკულ ტექსტებში, რაც მოგვიანებით თავად ავტორმაც კარგად იგრძნო, რადგან არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ კრიტიკოსმა შემდგომში ეს წერილი არც ერთ თავის კრებულში არ შეიტანა.

დამოწმებანი

გაფრინდაშვილი, ნანა. „სოცრეალისტური დისკურსი და ქართული საბჭოთა ლიტერატურის რამდენიმე თავისებურება“, *სპეკალი*, №1, მოძიებულია 20. 09. 2014, მის.: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/1>.

ნატროშვილი, გიორგი. „როცა ცოცხლები ხმას არ იძლევიან“. *ლიტერატურა და ხელოვნება*, №8, 19 თებერვალი, 1950.

სვენქერენი, ქეთრინ ვან. *ამერიკული ლიტერატურა*. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 1994.

NESTAN KUTIVADZE

Akaki Tsereteli State University, Professor

REFLECTION OF THE AMERICAN SHORT STORY AS ONE OF THE CHARACTERISTICS OF SOVIET CRITICAL DISCOURSE

SUMMARY

As is well known, any literary text encompasses the tradition of a genre, features characteristic of the literary direction and reflects the period and the cultural space in which it is created. Historical Poetics means the study of the latter and finding the answers to the raised questions which, of course, is only one aspect of the inexhaustible possibilities of text interpretation. Ideological concepts that undoubtedly exist in every artistic work do not always lie on the surface and their reception and description is not always easy. In this case, literary studies and literary criticism play the role of a guide and help the reader to understand the text. However, such an effort might even confuse the recipient.

Soviet literary process was a complex and ambiguous phenomenon. Along with apologetic nature and other signs of art of a totalitarian re-

gime it had a strong anti-utopian discourse, however, it was revealed in different forms and extent in accordance with specific historic events. During the Soviet Era specialists in literature as well as the writers were often forced to take into consideration the requirements of the government and present various issues corresponding to the ideological conjuncture. In this regard, critical reflection on the samples of foreign literature was not the exception either.

The letter written by a famous critic of the 20th century Giorgi Natroshvili _ “When living beings remain silent” is the text created in such ideological context. The article is about several short stories of American writers (Irving, Poe, Bierce, Milligan...) and was published in the newspaper “Literature and Art” in 1950. It is noteworthy that the newspaper was a weekly publication of the Soviet Writers’ Union and the Art Division and it was responsible to play the role of “an ideological helmsman”.

In G. Natroshvili’s letter those works that contained “mysticism” and were created on “graveyard theme” were criticized. Besides, the article cited the quotations by Lenin, Stalin and Roosevelt. The author needed literary material in order to prove the advantage of “true consistent democracy implemented in the Soviet state against “bourgeois democracy”.

Moreover, with the help of such critical discourse the wrong ideological clichés, that were hostile by their nature, were formed. Such narrative of foreign culture inspired nihilism, in this particular case, towards American literature and deliberately diminished its aesthetic value.

ნინო ხვირიჯაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი

ანტონ ჩეხოვის პროზის გამოქაზილება უილიამ საროიანის შემოქმედებაში

(„ხურობელი“ და „პალატიის პარკი“)

მოთხრობა, ნოველა უილიამ საროიანის შემოქმედების ძირითადი ჟანრია. თავისი გზა ლიტერატურაში მწერალმა სწორედ როგორც მოთხრობელმა დაიწყო. ის ყოველთვის ერთგული რჩებოდა ამ ჟანრისა და სწორედ აქ გამოვლინდა როგორც სიტყვის არაჩვეულებრივი, საუცხხოო ოსტატი.

საროიანის მოთხრობებში შეინიშნება გარკვეული ტრადიცია, რომელიც მისი დებიუტის დროისათვის უკვე მყარად დამკვიდრდა როგორც ამერიკულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურაში. დაისახა მთელი მხატვრული მიმართულება, რომელიც საკმაოდ შესამჩნევი გახდა XX საუკუნის ხელოვნებაში. საროიანი იმდენად თვითმყოფადია, რომ ყოველთვის არ იგრძნობა მისი ამ მიმართულებასთან დაკავშირებულობა. მაგრამ რიგ მკვლევართა აზრით, ის ეჭვს არ იწვევს.

ალექსეი ზვერევი ლიტერატურის ამ მიმართულების ამოსავალ წერტილს ანტონ ჩეხოვის შემოქმედებაში ხედავს (Зверев 1982¹: 148). ჩეხოვის ჩანაწერებში, რომლებსაც ის 1891 წლიდან აწარმოებდა, ვკითხულობთ: „თუ გინდა რომ გახდე ოპტიმისტი და გაიგო ცხოვრება, ნუ დაუჯერებ იმას, რასაც ამბობენ და წერენ, არამედ თავად შენ დააკვირდი და ჩაწვი“ (Чехов 1954: 13). ამგვარი უარის თქმა არსებულ მხატვრულ გამოცდილებაზე დამახასიათებელია XX საუკუნის ზოგიერთი სხვა მწერლებისთვისაც, რომლებიც ლიტერატურულ სკოლას თუ არა, რაღაც მემკვიდრეობით ხაზს მაინც შეადგენდნენ. შესაძლოა,

თავად საროიანი ჩეხოვის ამ აფორიზმს არ იცნობდა, მაგრამ მით უფრო ნიშანდობლივია ამ ორი მწერლის მხატვრული ნააზრევის დამთხვევა. ამასთან დაკავშირებით ა.ზვერევი ორ დასკვნას აკეთებს: «Первый: уже на заре своего писательства Сароян предстал вполне сложившимся мастером. Второй: он не испытал заметных творческих воздействий ни со стороны современников, ни со стороны предшественников. Он просто начал сочинять рассказы и сразу сделался литературной индивидуальностью. Никакого накапливаемого и преумножаемого опыта для него не существовало. Существовал лишь опыт жизни, прежде всего своей собственной» (Зверев 1982²: 96).

ა. ჩეხოვის შემოქმედების გამოძახილებს – გააზრებულს თუ გაუთვითცნობიერებულს – მეცნიერები უილიამ საროიანის ბევრ ნაწარმოებში პოულობენ. უფრო ხშირად ამ გამოძახილებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ პირდაპირ იმიტაციას აქ ადგილი არა აქვს. საროიანის შემოქმედებაში ხდებოდა ბუნებრივი განვითარება მხატვრული მსოფლშეგრძნების, პოეტიკის, სტილისტიკის ზოგიერთი ასპექტისა, რომლებიც ჩეხოვის წარუშლელ კვალს ატარებდნენ. საროიანის თხრობაში ასეთი ნიშნები ყოველთვის არ ძევეს ტექსტის ზედაპირზე. ხდება ხოლმე, რომ ისინი ძალიან ღრმადაა ჩამალულნი და, რა თქმა უნდა, ცვლილებებს განიცდიან სხვა შემოქმედებითი მისწრაფებების ზემოქმედების ქვეშ. მაგრამ ტრადიცია მაინც იგრძნობა და მას ჩეხოვთან მივყავართ (Зверев 1989: 149).

საინტერესოა, თუ როგორ აღიქვამს ჩეხოვსა და მის შემოქმედებას თავად ამერიკელი მწერალი. ჩეხოვის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ ჟურნალ «Советская литература»-ს (ინგლისური გამოშვება – “Soviet Literature”) ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია უილიამ საროიანის მოთხრობა ჩეხოვზე – “A Short Story about Chekhov”. როდესაც აქ საროიანი თავის „ლიტერატურულ“ მასწავლებლებს ასახელებს, ჩეხოვს ის უცვლელად საპატიო ადგილზე აყენებს, მოიხსენიებს მას უდიდესი სინაზითა და აღ-

ტაცებით. „ღრმა სევდასა და შესანიშნავ იუმორთან შერწყმული სტილის სინატიფე,“ – აი რა ანცვიფრებს მას რუსი ოსტატის პროზასა და დრამაში. 1918 წელს უილიამ საროიანი, 12 წლის გაზეთების დამტარებელი ბიჭუნა კალიფორნიულ ქალაქ ფრეს-ნოში, საჯარო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი გახდა და იქ, სხვა მწერალთა შორის, რომლებიც ასე ძლიერ შეიყვარა, აღმოაჩინა თავისთვის ჩეხოვი: «Стал я читать рассказы Антона Чехова, и вдруг вскопчил и чуть не закричал: “Вот что мне надо делать! Я должен писать так, как этот человек!...” Я почувствовал, что если есть хоть что-либо важное во мне самом, в моем характере, жизни, намерениях, в моем здоровье и энергии, то это – желание писать, и Антон Чехов велел мне писать» (Saroian 1980: 102). საროიანი, როდესაც უკვე პროფესიონალი ლიტერატორი იყო და მოექცეოდა ხოლმე ჩიხში მუშაობისას, ჩერდებოდა და გადაიკითხავდა ჩეხოვის რამდენიმე გვერდს. «... снова становилось яснее, как писать дальше. Что же это было в Чехове, с чем я ощущал такую крепкую связь?» – სვამდა ის კითხვას და თვითონ პასუხობდა: «Пожалуй то, что он всегда оставался самим собой во всем, что писал [...] и в сравнительно короткий срок, в продолжение жизни, которая была такой занятой и наполненной и пронеслась так быстро, создал огромнейший мир, населенный реальными человеческими существами [...] это он их заметил и разглядел – он, Антон Павлович Чехов, человек, который в каждом умел найти нечто достойное и прекрасное и увидеть комическое во всяком притворстве, обмане, лжи, суетном тщеславии и просто глупости. Люди для него всегда остаются людьми, – иные простодушными, легко поддающимися обману, иные же до того умными и недоверчивыми, что готовы отогнать от себя и самое правду...» (Saroian 1980: 102).

უილიამ საროიანის მოსაზრებები კიდევ ერთხელ ამტკიცებს: ყველაზე უფრო განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობების მქონე მწერლები პოულობენ რაღაც მნიშვნელოვანს თავისთვის ჩეხოვის არამარტო ამა თუ იმ „ხერხებში“, არამედ მის

მსოფლშეგრძნობაში. შეუნელებელი სიყვარული ყველაფერი ცოცხალისადმი, ნათელი, წარმოსახვით სავსე იუმორი – ეს ნიშნები, რომლებიც ასეთ მიმზიდველობას ანიჭებენ საროიანის საუკეთესო ნაწარმოებებს, – განა არ ენათესავენა ისინი ჩეხოვს? მართალია, საროიანი არის ხოლმე ექსცენტრული, სენტიმენტალური, ნუგეშის მიმცემი, მის პროზაში ძლიერაა გამოკვეთილი ავტობიოგრაფიული სანყისი – ეს ყველაფერი „ანტიჩეხოვისეული“ ნიშნებია (თუ გამოვრიცხავთ ექსცენტრიკას მის ადრეულ იუმორისტიკაში). მაგრამ იმაშიც, თუ როგორ ინარჩუნებს საროიანი თავის ინდივიდუალობას მრავალი ათწლეულების განმავლობაში, აგრეთვე იგრძნობა ორიენტაცია ჩეხოვის ასეთივე უნარზე (Левидова: 726).

წინამდებარე სტატიის ამოცანაა, წარმოვადგინოთ უილიამ საროიანის ერთ-ერთი მოთხრობის „ველვეტის შარვალი“ (“Corduroy Pants”) და ანტონ ჩეხოვის მოთხრობის „ხურტკმელი“ («Крыжовник») შედარებითი ანალიზი, რაც სხვა მკვლევართა ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

დასახელებული მოთხრობების კვლევის ობიექტებად არჩევის ფაქტი განპირობებულია, პირველ რიგში, მათი სიუჟეტისა და თემის მსგავსებით: ორივე ნაწარმოებში სიუჟეტის ცენტრში დგას არა ადამიანი, არამედ ნივთი; ორივე ნაწარმოებში მთავარი გმირი ცდილობს განახორციელოს თავისი მატერიალური ოცნება ფულის თანდათანობითი დაგროვების გზით (განსხვავება ფიქსირდება მხოლოდ დროსა და შესაძენი ნივთის მასშტაბებში); ორივე ნაწარმოებში გმირებისა და მკითხველის წინაშე ისმება ერთი და იმავე მთავარი კითხვა – კითხვა ადამიანის ბედნიერებაზე. რა არის ბედნიერება და ვინ როგორ აღიქვამს მას? არის კი ის შესაძლებელი ადამიანისთვის? ხომ არ იქცევა ზოგჯერ მიღწეული ბედნიერება თავისებურ უბედურებად? თუ როგორია პასუხები ამ კითხვებზე განხილულ მოთხრობებში, გვიჩვენებს კვლევა. აქ, პრინციპში, ნაჩვენებია რუსული და ამერიკული ლიტერატურის სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული შრეები. **ამ**

ორი ნაწარმოების შეპირისპირებისას აღინიშნება მათი როგორც მსგავსი, ასევე განსხვავებული მომენტები, რომლებიც განსაკუთრებით შესამჩნევია ტექსტის სტრუქტურის დონეზე.

საროიანის გმირი ოცნებობს ველვეტის შარვალზე, ჩეხოვის გმირი კი – ხურტკმელზე, უფრო სწორედ მამულზე, სადაც დარგული იქნება ხურტკმლის ბუჩქები. როგორც ვხედავთ, ამ ნივთების დასახელება თავად მოთხრობების სათაურებადაა გამოტანილი: ეს არის “Corduroy Pants” და «Крыжовник» შესაბამისად, რაც თავიდანვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნაწარმოების მოქმედება ორივე შემთხვევაში ამ ნივთების ირგვლივ წარიმართება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ რუსი მწერლის ნაწარმოებში მთავარი ნივთის ფუნქცია ასევე ტანსაცმლის ატრიბუტს დაეკისრებოდა (როგორც საროიანთან). საქმე ისაა, რომ ჩეხოვის მოთხრობას, რომელიც შედის მის „პატარა ტრილოგიაში“, საფუძვლად დაედო ცნობილი იურისტ, ანატოლ კონის მიერ ლევ ტოლსტოისათვის მოყოლილი ამბავი ერთ პეტერბურგელ ჩინოვნიკზე და მის საპარადო მუნდირზე. ეს ჩინოვნიკი დიდხანს ოცნებობდა ოქრომკედით ამოქარგულ მუნდირზე, რომლის შესაკერად ფულს ზოგავდა. მუნდირი შეეკერეს, მაგრამ ჩინოვნიკმა მისი ჩაცმა ვეღარ მოასწრო, რადგანაც უახლოეს დროში საზეიმო მიღებები მოსალოდნელი არ იყო. მუნდირი შეინახეს, შემოდგომაზე კი აღმოჩნდა, რომ ქანდა მუნდირზე გამქრქალდა. ნახევარი წლის შემდეგ ჩინოვნიკი გარდაიცვლება და მუნდირს პირველად მხოლოდ მის გვამს ჩააცმევნ. „ხურტკმლის“ თავდაპირველი ჩანაფიქრიც პეტერბურგელი ჩინოვნიკის ამბავს გვაგონებს, რომელიც ავტორს, სხვადასხვა ვერსიების მიხედვით, გააცნო თავად ანატოლ კონიმ ან ლევ ტოლსტოიმ. მაგრამ ჩეხოვთან ტანსაცმლის ატრიბუტი კენკრამ შეცვალა. ისე კი ჩეხოვის გმირიც მოთხრობის პირველი ვარიანტის ბოლოს სასიკვდილოდაა განწირული: მას კუჭის კიბო აღმოაჩნდა და საკუთარ ხურტკმელს, რომელსაც მას თეფშზე მიაართმევნ, ის უკვე გულგრილად უყურებს

და მისი ჭამაც არ სურს. ე.ი. მანაც ვერ გამოიყენა, ვერ შეირგო თავისი ოცნების ობიექტი. მაგრამ შემდგომში ჩეხოვმა მოსალოდნელი სიკვდილის მოტივი თავისი ნაწარმოებიდან ამოიღო; ამით „ხურტკმლის“ საბოლოო ვარიანტს უფრო უახლოვდება საროიანის ტექსტი. მიყვებით ამ ორი მოთხრობის პარალელურ თანმიმდევრულ ანალიზს, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ მათ შორის არსებული მსგავსება თუ სხვაობა როგორც სიუჟეტში, ასევე თემატიკასა და პრობლემატიკაში.

ჩეხოვის მოთხრობის მთავარი გმირის, ნიკოლაი ივანიჩ ჩიმშა-გიმალაისკის (Николай Иванович Чимша-Гималайский) ამბავს გვიყვება მისი უფროსი ძმა ივან ივანიჩი (Иван Иванович). ჩვენ ვიგებთ, რომ ივან ივანიჩი ვეტერინარად მუშაობს, ნიკოლაი ივანიჩი კი ცხრამეტი წლის ასაკიდან დაახლოებით ორმოც წლამდე სახაზინო პალატაში მსახურობდა. მამა გლეხი იყო, შემდეგ მსახურობდა ჯარისკაცად, შემდეგ ოფიცრის ჩინი დაიმსახურა და შვილებს შთამომავლობითი აზნაურობა და საგვარეულო მამული დაუტოვა. ეს მამული, მართალია, მამის სიკვდილის შემდეგ ვალებში წაართვეს, მაგრამ ბავშვობა ძმებმა სოფელში გაატარეს. ისინი, როგორც გლეხის ბიჭები, დღე და ღამეს მინდორში და ტყეში ატარებდნენ, ცხენებს დარაჯობდნენ, თევზს იჭერდნენ. ეს სოფლის თავისუფლება განსაკუთრებით ნიკოლაის უყვარდა და სწორედ ის განიცდიდა უფრო მეტად მის დაკარგვას. ეს საწყალი, გაუბედავი ჩინოვნიკი იჯდა სახაზინო პალატაში და დარდობდა, რომ მამის მამული აღარ ჰქონდათ. მისი ოცნება იყო, შეესყიდა პატარა კარ-მიდამო სოფელში, სადაც ბაღში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ხურტკმელი. მისი ასეთი ფიქრები წლები გრძელდებოდა: «Мой брат тосковал в казенной палате. Годы проходили, а он все сидел на одном месте, писал все те же бумаги и думал все об одном и том же, как бы в деревню. И эта тоска у него мало-помалу вылилась в определенное желание, в мечту купить себе маленькую усадьбу где-нибудь на берегу реки или озера» (Чехов 1983: 172). ალბათ, ნიკოლაი ივანოვიჩის გაგე-

ბა სავსებით შესაძლებელია: მას სურს დაიბრუნოს მამისეული, დაკარგული, თუნდაც სხვისი მამულის ყიდვის გზით, მას სურს მოჰყავდეს საკუთარი ხურტკმელი და არა ყიდულობდეს მას ბაზარში. „საკუთარი“, „საკუთრება“ – აი ამ სიტყვებზე ფიქრით ტკებოდა ის და აი ეს იქნებოდა მისთვის ბედნიერება. ამ ბედნიერებაზე მისი ოცნების თავისებურ სიმბოლოდ, ნივთობრივ განსახიერებად იქცა სწორედ ხურტკმელი. იცხოვრო ქალაქის ხმაურისაგან მოშორებით და საკუთარ მიწაზე მშვიდად დატკებ ბედნიერებით – აი რაზე ფიქრობს ნიკოლაი ივანიჩი: «Брат [...], Николай, сидя у себя в канцелярии, мечтал о том, как он будет есть свои собственные щи, от которых идет такой вкусный запах по всему двору, есть на зеленой травке, спать на солнышке, сидеть по целым часам за воротами на лавочке и глядеть на поле и лес. [...] И рисовались у него в голове дорожки в саду, цветы, фрукты, скворечни, караси в прудах [...]. Эти воображаемые картины были различны, [...], но почему-то в каждой из них непременно был крыжовник. Ни одной усадьбы, ни одного поэтического угла он не мог себе представить без того, чтобы там не было крыжовника.

– Деревенская жизнь имеет свои удобства, – говорил он, бывало. – Сидишь на балконе, пьешь чай, а на пруде твои уточки плавают, пахнет так хорошо, и ... и крыжовник растет» (Чехов 1983: 173). ნიკოლაი ივანიჩი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ასეთი ცხოვრება მოუტანს მას ბედნიერებას. გარდა ამისა, მამულის შექენის ფაქტი მას საკუთარ თვალში გაზრდის, აამაღლებს, არასრულფასოვნობისაგან გაათავისუფლებს.

საროიანის გმირი, თოთხმეტი წლის მოზარდი, თავად გამოდის მთხრობელის როლში და გვიყვება თავის ამბავს. ის სულ პრობლემებს განიცდის შარვალთან დაკავშირებით, ვინაიდან მისი ოჯახის სიღარიბის გამო მისთვის წესიერ შარვალს ვერ ყიდულობენ. მოზარდი დადის ბიძამისის ძველი შარვლით, რომელიც მას არ ერგება, და განიცდის ამას: “I had only one pair of pants, my uncle’s, and they were very patched, very sewed, and not the

style. My uncle had worn these pants five years before he had turned them over to me, [...] and the pants didn't fit. [...] There were four pockets in my uncle's pants, but there wasn't one sound pocket in the lot" (Saroyan 1975: 101-102). ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ასეთი შარვლის მფლობელი ბედნიერებას ვერ მოიხვეჭს: "Naturally, I was very unhappy" (Saroyan 1975: 102). "I wore my uncle's pants for many months, and these were the unhappiest months of my life" (Saroyan 1975: 104). მოზარდის ძველი შარვალი დაცინვის ობიექტად იქცევა: "They were too big around the waist and too narrow at the cuff. If people turned to look at me twice, as they often do these days, it was only to wonder whose pants I was wearing" (Saroyan 1975: 101-102). "Now and then, however, [...] I ran after girls, feeling altogether gay and lighthearted, only to discover that I was being laughed at. It was my uncle's pants. They were not pants in which to run after a girl. They were unhappy, tragic, melancholy pants, and being in them, and running after a girl in them, was a very comic thing to see, and a very tragic thing to do" (Saroyan 1975: 105). ყმანვილი განიცდის ამას და სურს არა ნაჩუქარი, არამედ საკუთარი ნივთის (შარვლის) მფლობელი გახდეს (ისევე როგორც ნიკოლაი ივანიჩი): "Never mind giving me your old pants, I used to shout at them. Don't try to be kind to me. I don't want your old pants, and I don't want your new pants. I want my own pants, straight from the store, brand new, size, name, label, and guarantee. I want my own God damn pants, and nobody else's. I'm in the world, and I want my own pants" (Saroyan 1975: 103). ტანსაცმლის ახალი ატრიბუტის შექმნა მოზარდს ჭირდება თვითდამკვიდრებისათვის. ისევე როგორც ჩეხოვის გმირი, ის გრძნობს თავის არასრულფასოვნობას და ცდილობს შეავსოს ის. მას უნდა, მაგალითად, ეარშიყოს გოგონებს – ისე, რომ მას არ დასცინონ. ამისათვის კი, ესე იგი იმისათვის რომ თავი „დამაჯერებლად და თავისუფლად“ (“secure and snug”) (Saroyan 1975: 104) იგრძნოს“, მან იცის, რომ მას, სხვა ბიჭების მსგავსად, უნდა ეცვას „ესპანური ველვეტის შარვალი“ (Saroyan 1975: 104). მხო-

ლოდ ამ შემთხვევაში იქნება ის ნამდვილი მამაკაცი, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ის დაცული დაცინვისაგან. აი ასეთი ძალა აქვს მასზე ნივთს (ისევე როგორც ჩეხოვის გმირზე): “[...] and *Spanish corduroy pants* became the style. These were bell-bottomed, with a touch of red down there, and in many cases five-inch waists, and in several cases small decorations around the waist. Boys of fourteen in corduroy pants of this variety were boys who not only felt secure and snug, but knew they were in style, and consequently could do any number of gay and lighthearted things, such as running after girls, talking with them, and all the rest of it. I couldn’t” (Saroyan 1975: 104). “[...] and in time I would have my own pair of Spanish style corduroy pants. I would have covering and security [...]” (Saroyan 1975: 105).

როგორც ვხედავთ, ორივე გმირის სულიერი, ემოციური სამყარო ემორჩილება ერთადერთ ოცნება-მიზანს – ველვეტის შარვლის შექენას საროიანთან და მამულის (სადაც აუცილებლად უნდა იზრდებოდეს ხურტკმელი) – ჩეხოვთან. მაგრამ ფული საამისოდ არც ერთს აქვს და არც მეორეს. ისინი იწყებენ საჭირო თანხის შეგროვებას; თვალი გავადევნოთ, თუ რა გზას გადიან ისინი თავიანთი ოცნების განხორციელებამდე. მოზარდი აგროვებს ფულს, რომელსაც მას ჩუქნიან მშობლები, უარს ამბობს პირად სიამოვნებებსა და გართობებზე, რაც ასე უყვართ და სჭირდება ხოლმე ბავშვებს. ასეთ მსხვერპლს მოზარდი გაიღებს იმისათვის, რომ ცენტზე ცენტის დამატებით თანდათან შეაგროვოს ფული ახალი შარვლის საყიდლად: “I began saving up every penny and nickel and dime I could get hold of, and I began biding my time. Some day I would do down to the store and tell them I would like to buy a pair of the Spanish bell-bottomed pants, price no consideration. [...]. I was saving the pennies and nickels and dimes, and in time I would have my own pair of Spanish style corduroy pants” (Saroyan 1975: 105). შესაბამისი თანხის შეგროვებას მას ერთი წელი დასჭირდა და მთელი ეს წელიწადი მან, ფაქტობრივად,

ნივთის (ველვეტის შარვალი) „ტყვეობაში“ გაატარა: “A mournful year went by.”

ჩეხოვის გმირის მიერ ფულის შეგროვება ბევრად უფრო რთული პროცესი აღმოჩნდა და გასაკვირიც არ არის: სად მოზარდის შარვალი და სად საოცნებო მამულის მასშტაბები. მას ერთ წელიწადში შეგროვილი თანხა ნამდვილად ვერ გასწვდებოდა. ჩეხოვის ტექსტი გვიჩვენებს: ნიკოლაი ივანიჩი ოცნებობს საკუთარ მამულზე (და ხურტკმელზეც) ცხრამეტი წლიდან, როდესაც კანცელარიაში დაიწყო მუშაობა, და ამ დროიდანვე იწყებს ის ფულის შეგროვებას, თან კითხულობს ძალიან ბევრს. კითხულობს სასოფლო-სამეურნეო წიგნებს და რჩევა-დარიგებებს კალენდრებში (უნდა რომ წინასწარ მოემზადოს მამულის სამართავად), გაზეთებში კი ეცნობა განცხადებებს სხვადასხვა კარმიდამოების გაყიდვის შესახებ. ეს ყველაფერი მას სულიერად ასაზრდოებს: «Сельскохозяйственные книжки и всякие эти советы в календарях составляли его радость, любимую духовную пищу; он любил читать и газеты, но читал в них одни только объявления о том, что продаются столько-то десятин пашни и луга с усадьбой, рекой, садом, мельницей, с проточными прудами» (Чехов 1983: 173). მისი ძმის სიტყვებით, ნიკოლაი ივანიჩმა საშინელი გაჭირვება გადაიტანა იმ წლებში, როდესაც ფულს აგროვებდა: «Жил он скупко: недоедал, недопивал, одевался бог знает как, словно нищий, и всё копил и клал в банк. Страшно жадничал. Мне было больно глядеть на него, и я кое-что давал ему и посылал на праздниках, но он и это прятал. Уж коли задался человек идеей, то ничего не поделаешь. Годы шли, перевели его в другую губернию, минуло ему уже сорок лет, а он всё читал объявления в газетах и копил» (Чехов 1983: 173). როგორც ვხედავთ, ჩეხოვის გმირი ამ მომენტისთვის უკვე ოც წელზე მეტია, რაც აგროვებს ფულს, ნახევრად შიმშილობს, დამათხოვრებულია, მაგრამ საჭირო თანხა ჯერ მაინც ვერ მოაგროვა. ამიტომ, რომ დააჩქაროს მამულის შეძენის პროცესი, ის დგამს შემდეგ ნაბიჯს –

ცოლად ირთავს ულამაზო მდიდარ ქვრივს: «Всё с той же целью, чтобы купить себе усадьбу с крыжовником, он женился на старой, некрасивой вдове, без всякого чувства, а только потому, что у нее водились деньжонки. Он и с ней тоже жил скупой, держал ее впроголодь, а деньги ее положил в банк на свое имя. Раньше она была за почтмейстером и привыкла у него к пирогам и к наливкам, а у второго мужа и хлеба черного не видала вдоволь; стала чахнуть от такой жизни да года через три взяла и отдала богу душу» (Чехов 1983: 173_174). ნიკოლაი ივანიჩს კი ერთი ნუთიც არ უფიქრია, რომ თავად იყო დამნაშავე ცოლის სიკვდილში. სამაგიეროდ საჭირო თანხა მას უკვე ჰქონდა. ისევე როგორც საროიანის გმირი, მთელი ამ წლების განმავლობაში ის ნივთის (მამული + ხურტკმელი) “ტყვეობაში” იმყოფებოდა.

ჩვენ ფაქტიურად ანალიზის ბოლო ეტაპს მივუახლოვდით: ორივე გმირმა შეაგროვა საჭირო თანხა და ახლა კი უნდა გაირკვეს, თუ აღსრულდა მათი ოცნება და თუ მოიპოვეს მათ ბედნიერება ამდენი წვალების შემდეგ.

ცოლის სიკვდილის შემდეგ ნიკოლაი ივანიჩმა იყიდა მამული, თუმცა იქ არც ხილის ბაღი იყო, არც ხურტკმელი, არც გუბურები; მდინარე, მართალია, იყო, ოღონდ დაბინძურებული წყლით (მამულთან ახლოს ორი ქარხანა მუშაობდა). მაგრამ ნიკოლაი ივანიჩს ამაზე ბევრი არ უდარდია, გამოიწერა ხურტკმლის 20 ბუჩქი, დარგო და დაიწყო ცხოვრება, როგორც ნამდვილმა მემამულემ. შეიძლება ვთქვათ, რომ ნიკოლაი ივანიჩმა თავისი ოცნება განახორციელა. მას აქვს საკუთარი სახლი, საკუთარი მიწა და ამ მიწაზე იზრდება ხურტკმელი. ყველაფერი ისეა, როგორც ის ოცნებობდა. ამიტომ მას თავი ბედნიერად მიაჩნია. მაგრამ არის კი ის ნამდვილად ბედნიერი? ივან ივანიჩი ჩავიდა ძმასთან სანახავად. მისი პირველი შთაბეჭდილება ასეთია: «Было жарко. Везде канавы, заборы, изгороди, понасажены рядами елки, — и не знаешь, как проехать во двор, куда поставить лошадь. Иду к дому, а навстречу мне рыжая собака, толстая, **похожая на свинью**.

Хочется ей лаять, да лень. Вышла из кухни кухарка, голоногая, толстая, **тоже похожая на свинью**, и сказала, что барин отдыхает после обеда. Вхожу к брату, он сидит в постели, колени покрыты одеялом; **постарел, располнел, обрюзг**; щеки, нос и губы тянутся вперед, — того и гляди, **хрюкнет** в одеяло» (Чехов 1983: 174). კიდევაც რომ არ გავაგრძელოთ კითხვა, თექსტის ამ მონაკვეთში ავტორი ისე ოსტატურად გვანოდებს დეტალებს (პოхожая на свинью, тоже похожая на свинью, постарел, располнел, обрюзг, хрюкнет), რომ უკვე ნათელია, რა ატმოსფერო სუფევს ამ ასეთი ნვალებით ნაყიდ მამულში: ნიკოლაი ივანიჩი, რომელსაც მისი ძმა მოიხსენიებს როგორც „კეთილ, უწყინარ ადამიანს“, ახლა უკვე ნამდვილ ღორადაა ქცეული, ნამდვილ რუს მემამულედ და ბატონად წარმოგვიდგება, რომელიც «обжился тут, привык и вошел во вкус; кушал много, в бане мылся, полнел, уже судился с обществом и с обоими заводами и очень обижался, когда мужики не называли его ‘ваше высокоблагородие’» (Чехов 1983: 175). უფროსი ძმა ამჩნევს, რომ ბუნებით ნიკოლაი ივანიჩი აბსოლუტურად შეიცვალა – ნეგატიურისკენ: «Перемена жизни к лучшему, сытость, праздность развивают в русском человеке самомнение, самое наглое. Николай Иванович, который когда-то в казенной палате боялся даже для себя лично иметь собственные взгляды, теперь говорил одни только истины, и таким тоном, точно министр: ‘Образование необходимо, но для народа оно преждевременно’, ‘телесные наказания вообще вредны, но в некоторых случаях они полезны и незаменимы’».

— Я знаю народ и умею с ним обращаться, — говорил он. — Меня народ любит. Стоит мне только пальцем шевельнуть, и для меня народ сделает всё, что захочу» (Чехов 1983: 175).

ივან ივანიჩი ამჩნევს კიდევ ერთ არსებით დეტალს. საღამოს, როდესაც ძმები სვამდნენ ჩაის, მზარეულმა მოიტანა სუფრაზე პირველად მოკრეფილი ხურტკმელი – საკუთარი და არა ნაყიდი. უფროსი ძმის შეფასებით, ის მაგარი და მყავე იყო, მაგრამ

ნიკოლაი ივანიჩი ხარბად ჭამდა მას და გემოს აქებდა.

ნიკოლაი ივანიჩის „ბედნიერება“ მიღწეულია ჭემმარიტი ცხოვრებისეული დანიშნულების დაკარგვის ფასად, მაღალი ადამიანური იდეალის გაუგვანოების ფასად. რა თქმა უნდა, საკუთარ კარ-მიდამოზე ოცნება დანაშაული არ არის, მაგრამ დახარჯო ამ ოცნებაზე მთელი ცხოვრება, ამის გამო შეირთო ქალი, რომელიც არ გიყვარს, ფაქტიურად მიიყვანო ის სიკვდილამდე – შემდეგ კი, გასუქებულ ღორს დამსგავსებულმა, ჭამო მჟავე ხურტკმელი... ამას არ შეიძლება ბედნიერება ვუწოდოთ. მიზეზი კი შემდეგია: ჩვეული ცხოვრებისეული ყაიდა შეუმჩნევლად კლავს ადამიანში მაღალ აზრებსა და გრძნობებს, ჭემმარიტ ფასეულებებს ცვლის ანგარებით, ეგოიზმით, გაანგარიშების პროზაულობით.

საროიანის გმირი ყიდულობს ესპანურ ველვეტის შარვალს: “A mournful year went by. [...]. Well, I saved up enough money all right, and I went down to the store all right, and I bought a pair of the Spanish bell-bottomed corduroy pants all right [...].” (Saroyan 1975: 105-106). მას თითქოსდა უნდა უხაროდეს, მისი ოცნება ხომ ასრულდა. მაგრამ მოზარდის ოცნება სინამდვილეში არ განხორციელებულა, ის ოცნებად დარჩა: დაზოგილი ფულით მის მიერ ნაყიდი განსაკუთრებული ფასონის ესპანური ველვეტის შარვალი, რომლითაც ის ტკბებოდა სახლში მთელი თვე არდადეგების დროს, იქვე გამოდის მოდიდან, როგორც კი ყმანვილი ახალ სასწავლო წელს სკოლაში ბრუნდება: “[...] Well, [...] and I bought a pair of the Spanish bell-bottomed corduroy pants all right, but a month later when school opened and I went to school I was the only boy at school in this particular style of corduroy pants [...]. The new style corduroy pants were ended. The new style corduroy pants were very conservative, no bell-bottoms, no five-inch waists, no decorations. Just simple ordinary corduroy pants.” “It meant simply, I reasoned, that I would have to be, in everything I did, as gay and lighthearted as my pants. [...] I was very witty at every opportunity and had my ears boxed, and I laughed

very often and discovered that invariably when I laughed nobody else did. This was agony of the worst kind, so I quit school” (Saroyan 1975: 106). მაგრამ უნდა ითქვას, რომ თავად ამ ფაქტმა (ნივთის შექმნის განუხორციელებელი ოცნება) გარკვეული დადებითი როლი ითამაშა მოზარდის ხასიათისა და შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებაში. სწორედ „ესპანური ველვეტის შარვლის“ გამო, რომელიც მას არ ჰქონდა და რომლის არქონის გამოც არ იკარებდნენ მას ახლოსაც მისი თანატოლები, დაიწყო მან იმ დროს მოდური ფილოსოფოსების – შოპენჰაუერის, ნიცშესა და სპინოზას – შრომების კითხვა. საროიანის გმირი თანდათან სცილდება პირად საკითხებს, მას აინტერესებს ადამიანისა და საზოგადოებაში მისი პოზიციის პრობლემა: “[...] Nevertheless, when I was fourteen [...], my thoughts, profound and trivial alike, turned now and then to the theme of man in the world without pants [...]” (Saroyan 1975: 106). მოზარდი მიდის იმ აზრამდე, რომ შარვლის (ესე იგი რაიმე ნივთის) არქონა – ეს ჯერ კატასტროფა არ არის: “[...] that after all what is a pair of pants? And being without them is certainly not the end of the world, or the destruction of civilization” (Saroyan 1975: 101). ველვეტის შარვლის ყიდვასთან დაკავშირებული მარცხი საბოლოოდ აფხიზლებს მოთხრობის გმირს, ის საბოლოოდ ყალიბდება როგორც პიროვნება და, ჩეხოვის გმირისაგან განსხვავებით, თავისუფლდება ნივთის ბატონობისაგან, ნივთის „ტყვეობიდან“, რასაც ვერ ახერხებს ნიკოლაი ივანიჩი. ნივთების სამყაროსთან ბრძოლამ აამაღლა მოზარდი მათზე, ყოფაზე და, რა თქმა უნდა, ჩეხოვის გმირზეც. ის „ფილოსოფოსი“ ხდება, ე.ი. ფილოსოფიურად აღიქვამს სიცოცხლეს, ირწმუნებს, რომ მთავარი დედამიწაზე – ეს ადამიანია და მისი ადგილი სამყაროში: “I am sure I should not now be the philosopher I am if it were not for the trouble I had with Spanish bell-bottomed corduroy pants” (Saroyan 1975: 101). და ეს არის ნამდვილი ბედნიერება – ის ბედნიერება, რომელიც ვერ იპოვა ჩეხოვის გმირმა.

ღამოწმებანი

Saroyan, William. "A Short Story about Chekhov". *Soviet Literature*. Moscow, 1980. № 1. [citirebulia: Левидова, И.М. «От Шервуда Андерсона до Джона Чивера (Чехов и американские прозаики)». *Фундаментальная электронная библиотека «Русская литература и фольклор»*. http://feb_web.ru/feb/litnas/texts/ml2/ml2_714_.htm С. 714-729.]

Saroyan, William. "Selected Short Stories". (У.Сароян. «Избранные рассказы», на английском языке). Автор предисловия и составитель М.Коренева. Moscow: Progress Publishers 1975.

Зверев, А.М.¹ *Американский роман 20-30-х годов*. Москва: Худ. лит-ра, 1982.

Зверев, А.М.² *Грустный солнечный мир Сарояна*. Ереван: Советакан грех, 1982.

Зверев, А.М. *Современная американская новелла, 70-80-е годы*. Москва: Радуга, 1989.

Левидова, И.М. «От Шервуда Андерсона до Джона Чивера (Чехов и американские прозаики)». *Фундаментальная электронная библиотека «Русская литература и фольклор»*. http://feb_web.ru/feb/litnas/texts/ml2/ml2_714_.htm. С. 714-729.

Сароян, У. «Вельветовые штаны. Рассказ». *Вильям Сароян. Приключения Весли Джексона. Рассказы*. Москва: Худ. лит-ра, 1979. С.252-256.

Чехов, А.П. *Собрание сочинений в двенадцати томах. Том 1*. Москва: Худ. лит-ра, 1954.

Чехов, А.П. «Крыжовник». *А.П. Чехов. Дом с мезонином. Повести и рассказы*. Москва: Худ. лит-ра, 1983. С.170-178.

NINO KVIRIKADZE

Akaki Tsereteli State University, Teacher, Doctor of Philology

**THE ECHOES OF ANTON CHEKHOV'S FICTION IN
WILLIAM SAROYAN'S STORIES**

SUMMARY

Short story is the major genre in William Saroyan's creative work. He always remained faithful to the genre and established himself as an outstanding master of belles-lettres.

There is a certain tradition embodied in Saroyan's stories. It had been firmly established in American as well as world literature by the time of his debut. As a unified artistic tendency it became particularly noticeable in the 20th century art. Saroyan's connection with this tendency is not always self-evident but some literary critics believe that it cannot be doubted.

A.M. Zverev finds the origins of this tendency in Anton Chekhov's work. In his notes Chekhov writes: "If you want to become an optimist and understand life, do not believe what others say and write, but make observations yourself and grasp the essence/meaning." Such rejection of the artistic experience is typical to other 20th century writers as well. They definitely form a kind of hereditary line if not a literary school. Saroyan might not be familiar with Chekhovian 'aphorism' but then the coincidence of their views is even more striking.

Echoes of A. Chekhov's works, whether intentional or unconscious, can be traced in many of Saroyan's stories. More often than not they lead to the conclusion that there is no direct imitation. Saroyan developed his own unique poetics which bears an indelible mark of Chekhov's aesthetics.

In Saroyan's narratives such traces do not always lie on the surface of the text. Sometimes it happens that they are deeply hidden and modified by the writer's imagination. The purpose of this paper is to demonstrate and analyze such deeply hidden Chekhovian echoes in Saroyan's sto-

დავით მაზიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მინვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი

როზენანდის და გილდენსტარნის მოგზაურობა ჰიპერრეალობაში

წინამდებარე სტატიის შექმნა ორმა მწერალმა განაპირობა. პირველი არის თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგი ტომ სტოპარდი და მისი პიესა და ფილმი „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“. მეორე, იტალიელი მწერალი და სემიოლოგი უმბერტო ეკო და მისი ესეთა კრებული „ყალბის რწმენა“ – მოგზაურობა ჰიპერრეალობაში“ (*Faith In Fakes Travels in Hyperreality*), სადაც საუბარია პოსტმოდერნულ რეალობაში ამერიკის რეალობის, როგორც ჰიპერრეალობის შესახებ. აქედან გამომდინარეობს სტატიის სათაურიც. სტოპარდის პიესასა და ფილმის სხვადასხვა ეპიზოდზე დაყრდნობით მთავარი პერსონაჟების მოგზაურობა და რეალობა დაკავშირებულია იმ რეალობასთან, რასაც ამერიკის სიმულაკრული და ჰიპერრეალური რეალობა ჰქვია.

ჰაროლდ პინტერი 2005 წელს სტოკჰოლმში წაკითხულ საწიგნო-ბეღელ ლექციას ასე იწყებს: „1958 წელს ასეთი რამ დამინერია: არ არის მკვეთრი განსხვავება რეალურსა და ირეალურს, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის. ესა თუ ის მოვლენა, თავისთავად, არ არის მხოლოდ სიმართლე ან ტყუილი: ის შეიძლება ორივე ერთად იყოს“ (პინტერი 2011: 60). რთულია არ დაეთანხმო ნობელიანტ დრამატურგს, რადგან მისი ჩანაწერი იმ ეპოქის რეალობის ზუსტი გამოხატულებაა, რასაც პოსტმოდერნული ეპოქა ჰქვია, რომელსაც „ჟან ბოდრიარი“ – „სიმულაკრულ“, უმბერტო ეკო კი – „ჰიპერრეალურ“ სამყაროს უწოდებს. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი ამერიკაში დანახული სემიოტიკუ-

რეს.ნიშნების ანალიზისას ჰიპერრეალური რეალობის სათავედ ამერიკის სიმულაკრულ რეალობას მიიჩნევს (Baudrillard 1989: 27), რომელიც თავისი ფიქციური საფუძვლებით დომინირებს მთელს მსოფლიოში (Baudrillard 1989: 28). უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რას წარმოადგენს ამგვარი სამყარო, ეკოსაც და ბოდრიარსაც უოლტ დისნეის სამყაროს მაგალითი მოჰყავთ. ჟან ბოდრიარის აზრით, დისნეილენდი არის სიმულაკრების ყველა გახლართული დალაგების ზუსტი მოდელი. უპირველეს ყოვლისა, ის არის ილუზიათა და ფანტაზიათა თამაში (Nicol 2002: 97) (Baudrillard 1994: 12). ხოლო უმბერტო ეკო შენიშნავს, რომ „ასეთი ამერიკის იდეოლოგიას სურს იმიტაციის მეშვეობით დამაჯერებლობა დაწერგოს. თუმცა სარგებელი ამარცხებს იდეოლოგიას, რადგან მომხმარებლებს არა მხოლოდ გარანტირებული კარგისგან მიღებული ჟრუანტელი სურთ, არამედ ცუდისგან მიღებული ჟრჟოლაც. ამიტომაც დისნეილენდში მიკი მაუსის და კეთილი დათვის გვერდით ხელშესახები სიცხადით ასევე უნდა იყოს *მეტაფიზიკური ბოროტება* (მოჩვენებათა სახლი), და *ისტორიული ბოროტება* (მეკობრეები)...“ (Eco 1998: 57).

„დისნეის სამყაროს“ ანალიზისას აგრეთვე საფიქრებელია უოლტ დისნეის ერთ–ერთი უმთავრესი სიმბოლო, მიკი მაუსის მუდმივი ღიმილი. ჟან ბოდრიარი ამერიკელთა ღიმილზე საუბრისას შენიშნავს, რომ „ტაიმს სქუერზე“ მოსიარულე ადამიანების სახეზე აღბეჭდილი ღიმილის ადრესატი არა ვინმე სხვა, არამედ თავად ღიმილის პატრონია (Baudrillard 1989: 14). შემდეგ კი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების მხრიდან ყველანაირ სიტუაციაში ღიმილზე. ღიმილი მაშინაც კი, როცა არ იცი, რა პასუხი გასცე დასმულ კითხვას. მიცვალებულებსაც კი ღიმილი დასთამაშებთ სახეზე იმ იმედით, რომ მომავალ ცხოვრებაშიც გაუღიმებს ბედი. ამგვარ ღიმილს კი ბოდრიარი რეიგანის და რეკლამის ღიმილს ადარებს (Baudrillard 1989: 32). თავად რეკლამა, როგორც ცნობილია, იქმნება მასმედიის ტექნოლოგიებით და ვრცელდება მასმედიისავე საშუალებებით. შესაბამი-

სად, ბოდრიარის მსჯელობა ამერიკული ლიმილის შესახებ ლოგიკურად დაკავშირებულია მასმედიასთან ანუ სამყაროში ჰიპერრეალური და სიმულაკრული რეალობის მწარმოებელ ნომერ პირველ საშუალებასთან. ანუ თანამედროვე რეალობაში ადამიანური ლიმილი არა თავად საზოგადოების მიერ არის შექმნილი, არამედ, პირიქით, საზოგადოებისთვის არის შექმნილი და გავრცელებული იმ საშუალებებით, რომელსაც დისნეის და ჰოლივუდის სამყარო ჰქვია. ერთ-ერთი ჰოლივუდური მხატვრული ფილმის „კაცი ლამურა“ (*Batman*) (1989) პერსონაჟის, ჯოკერის მიზანიც ხომ მსგავსია, გაალიმოს მთელი გოტემი, ხოლო ამ ლიმილით შექმნას ბედნიერების ილუზია, რომელსაც იმ ქიმიური კოსმეტიკური საშუალებებით ცდილობს, რომელიც გამოიყენება ხელოვნური სილამაზის შექმნისთვისა და გაახალგაზრდავებისათვის, ისევე, როგორც 1998 წელს ენდრიუ ნიკოლის სცენარის მიხედვით გადაღებული პიტერ უირის ფილმის „ტრუმენის შოუ“ (*The Truemen Show*) მთლიანი სიუჟეტი, რომელშიც ჰოლივუდის ტიპის უზარმაზარ სტუდიაში შექმნილია ხელოვნური ქალაქი, რომელიც ტელევიზიის და მასმედიის საშუალებით პირდაპირ ეთერში გადასცემს იმგვარ უტოპიურ რეალობას, რომელსაც ბოდრიარი/ეკოს მიერ ნახსენები „დისნეის სამყარო“ მოიაზრებს, სადაც ყოველი პერსონაჟი არსებული რეალობით ბედნიერი და გალიმებულია. ამგვარ ლიმილებში ბოდრიარი შემდეგ გზავნილს ხედავს: „კარგია ეს ქვეყანა. მე ვარ კარგი. ჩვენ საუკეთესონი ვართ“ (Baudrillard 1989: 32). ბრენ ნიკოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოსტმოდერნული საზოგადოებისთვის რეალობა იქცა ეკრანის რეალობად, ხოლო ეკრანის რეალობა იქცა რეალურ რეალობად (Nicol 2002: 6), ანუ სიყალბე იქცა სიმართლედ და სიმართლე სიყალბედ. ამიტომ როგორც ბოდრიარი აღნიშნავს: „თუ ვირწმუნებთ, რომ მთელი დასავლური სამყარო ჰიპოსტაზირებულია ამერიკაში, ხოლო ამერიკა კალიფორნიაში და კალიფორნია დისნეის სამყაროში, მაშინ ეს უკანასკნელი დასავლეთის მიკროკოსმოსია“ (Baudrillard 1989: 54). გამოდის,

რომ თანამედროვე დასავლელი ადამიანი პირდაპირ მიერთებულია პოლივუდურ სტუდიებს და მათ სახეზე გამოსახული ზემოთ განხილული ლიმილიც შედეგია მათი „რეალობის“, რადგან როგორც თავად ბოდრიარი ამ თემის შეჯამებისას აღნიშნავს: „ამერიკაში კინემატოგრაფი ნამდვილია, რადგან ის იმ სივრცის, იმ ცხოვრების მომცველია, რომელიც კინემატოგრაფიულია. ამ ორს შორის საზღვარი, ის აბსტრაქცია, რაზეც ვდარდობთ, სინამდვილეში არ არსებობს, ცხოვრება კინოა“ (Baudrillard 1989: 97). ამგვარი კინემატოგრაფიული რეალობა არ არის მხოლოდ ამერიკის რეალობის ნაწილი, არამედ გლობალური მსოფლიოსიც, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებს უზარმაზარი ეკონომიკური და კულტურული გავლენა აქვს დანარჩენ მსოფლიოზე. ამის საილუსტრაციოდ უამრავ არგუმენტთაგან რამდენიმეც საკმარისია.

პირველი არის ამერიკის ფინანსური გავლენა მსოფლიოზე, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა აშშ-ში 2008 წელს არსებული ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, რომელიც დომინოს ეფექტით გადაედო ცივილიზებულ დასავლეთს და ფაქტიურად ამერიკის ფინანსური პრობლემა დასავლური სამყაროს პრობლემაც გახდა. ამ ეკონომიკური კრიზისის შედეგებს დღესაც ებრძვიან დასავლეთ ევროპის ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორებიცაა ესპანეთი და საბერძნეთი.

მეორე – კულტურულ-კინემატოგრაფიული გავლენა, რომელიც 2011 წელს პრინც უილიამის და ქეთ მიდლტონის ქორწილის დღეს გამოჩნდა. მსოფლიო პრესა ქორწილის მთავარი გმირების და უოლტ დისნეის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქმნილების „კონკიას“ პერსონაჟების მსგავსებაზე ალაპარაკდა.

მესამე ეს არის თანამედროვე რეალობაში კინემატოგრაფიული, პოლივუდური პერსონაჟის ბეტმენის გამოჩენა ჯერ მონტგომერში, მერილენდის შტატში, სადაც იგი ძვირადღირებული ლამბორჯინის მარკის ავტომობილით პოლიციამ საგზაო წესე-

ბის დარღვევისათვის გააჩერა, ხოლო შემდეგ „ჩიბეტმენის“ გამოჩენა იაპონიის ქალაქ ჩიბაში.

ჰიპერრეალური სამყაროს შექმნამ ზოგადად დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ თანამედროვე ეპოქასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, მეცნიერებასა თუ ტექნოლოგიურ განვითარებაზე. ჰიპერრეალური სამყაროს შექმნაზე, განვითარებასა და გავრცელებაზე მასმედიასთან ერთად გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკაც ზრუნავს, რის შესახებაც ბრენ ნიკოლი წერს: „რეალობა აღარ არის ის, რაც ჩვენ შეიძლება გვეგონოს, რომ თავისთავად არის, არამედ ის, რაც გვაეჭვებს, რომ მუდმივად ორგანიზებულია და აგებული ჩვენთვის მასმედიისა და გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკისაგან შემდგარი ორმაგი ინსტრუმენტის მეშვეობით“ (Nicol 2002: 5). ხოლო ამ ჰიპერრეალურ სამყაროს ზეგავლენაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის გავრცელებაზე და შედეგებზე უკეთესად სლოვენიელი ფილოსოფოსი სლავოი ჟიჟეკი საუბრობს: „ჩვენ ვიცით, რომ პრეზიდენტები ცრუობენ, მაგრამ მაინც ვუჭერთ მათ მხარს. ჩვენ ვიცით, რომ რეკლამის მწარმოებლები აზვიადებენ თავიანთი პროდუქტების ღირებულებას, თუმცა ჩვენ მაინც ვყიდულობთ მათ“ (Nicol 2002: 4). ბოდრიარის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ცხოვრობდე პოსტმოდერნიზმში ნიშნავს, განიცდიდე რეალობას როგორც სიყალბეს, ხოლო სიყალბეს – როგორც რეალობას“ (Nicol 2002: 6). ანუ, ამ ჰიპერრეალურ, გამოგონილ სამყაროს, მასმედიის, „დისნეის სამყაროს“ მოწყობის მაგალითით, პოლიფუდის ფილმების ზეგავლენით, როგორც სლავოი ჟიჟეკი ამბობს, პოლიტიკოსების და პრეზიდენტების ტყუილებთან ერთად გლობალური ფინანსური ორგანიზაციები და ზოგადად ფული ქმნის და წარმართავს თანამედროვე რეალობას.

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს თანამედროვე ბრიტანელ დრამატურგ ტომ სტოპარდთან და მის პიესა თუ ფილმთან – „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“?

კავშირი ერთობ თვალნათლივია. უპირველეს ყოვლისა, როზენკრანციცა და გილდენსტერნიც შექსპირის „ჰამლეტის“ მიხედვით სამეფო კართან ძალიან დაახლოებული პირები არიან და მეფე კლავდიუსის პოლიტიკის გამტარებელი. ეს ყველაფერი თანამედროვე სამყაროში რომ გადმოვიტანოთ და, ვფიქრობ, რომ უნდა გადმოვიტანოთ, რადგან ორივე პერსონაჟი სტოპარდის პიესისა და ფილმის მიხედვით ზუსტადაც რომ პოსტმოდერნული ეპოქის გმირები არიან (რის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებ), რომლებიც რაღაც საფასურის თუ უბრალოდ რაღაც პოლიტიკის ზეგავლენით თუ იმ შექმნილი რეალობის თუ ირეალობის გამო ემსახურებიან ისეთ პოლიტიკას, რომელიც ცდილობს მოკლას რეალობა, მოკლას სიმართლე და სამყაროში დაისადგუროს ტყუილმა და იმ ხელოვნურად შექმნილმა რეალობამ, რომელსაც, ერთი მხრივ, თანამედროვე სამყაროში „დისნეის სამყარო“ და სხვა ზემოთნახსენები ფაქტორები ქმნიან, ხოლო, მეორე მხრივ, შექსპირის „ჰამლეტში“ მეფე კლავდიუსი და მისი პოლიტიკა ცდილობს შექმნას. ტომ სტოპარდის ფილმისა და პიესის დასაწყისში მონეტების ანუ ფულის თამაშის ეპიზოდი შემთხვევითი ეპიზოდი არ არის; პირიქით, ის ძალიან დიდ სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ფული და მონეტა, როგორც მაკავშირებელი ამ პერსონაჟებისა, ერთი მხრივ, „ჰამლეტის“ სამყაროსთან და მასში წარმოდგენილ კლავდიუსის პოლიტიკასთან და, მეორე მხრივ, თანამედროვე სამყაროსთან და მასში გამეფებულ ფულის დიქტატთან. ხოლო გზაზე ნაპოვნი მონეტა, შემდეგ იმავე მონეტის იქვე დაკარგვა და მონეტის ერთი მხარის „აღჩუს“ (“Heads”) ზედიზედ მოსვლით მინიშნებულია, რომ როზენკრანცი და გილდენსტერნი მათ დაუკითხავად აღმოჩნდებიან იმ სამყაროში, შეასრულებენ იმ როლებს, ითამაშებენ იმ თამაშს, რომელიც მათთან შეუთანხმებლად დაინერა და დაიდგა მოთამაშე პროტაგონისტის მიერ, რომელიც ფილმის და პიესის კონტექსტის გათვალისწინებით ძალიან ჰგავს უილიამ შექსპირს; ამ ყველაფრის კავშირი ფულთან კიდევ უფრო

სიმბოლურ ელფერს სძენს ფულით ჰიპერრეალური სამყაროს შექმნასა და ამ გზით ადამიანთა ცხოვრების განსაზღვრას.

საზოგადოების ცხოვრების განსაზღვრის იდეურ ქრილში ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამერიკული ავტოსტრადების სემიოტიკური მნიშვნელობა, რომლის შესახებაც ბოდრიარი საკმაოდ ვრცლად საუბრობს. ამერიკის ცხოვრება ჰგავს ამერიკულ ავტოსტრადას, რომელიც ყველას ერთმანეთთან აკავშირებს და თავად განსაზღვრავს ამ კავშირების მოძრაობის წესებს, ხოლო თუ არ ემორჩილები დადგენილ წესებს, გაქვს ნიშანი “MUST EXIT” („უნდა გახვიდე“) (Baudrillard 1989: 52). გამოდის, რომ იმ ადამიანისთვის, რომელიც კინემატოგრაფიული რეალობით ცხოვრობს, განსაზღვრულია არა მხოლოდ გადაადგილება, არამედ ადგილ-სამყოფელი და, შესაძლოა, მომავალიც, რადგან თუ საზოგადოების რეალობა კინოს მსგავსია, კინოში დასასრულიც გადაღებულია. ალბათ ამიტომ ადარებს ბოდრიარი ავტოსტრადების მოძრაობის წესებსა და ნიშნებს მსოფლიოს მოწყობის წესებსა და ნიშნებს. ამ მხრივ “MUST EXIT” შესაძლოა ატარებდეს შემდეგ დატვირთვას: თუ ადამიანი არ არის განწევრიანებული ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ თუ იდეოლოგიურ ავტოსტრადაში ანუ დადგენილ, დადგმულ რეალობაში, მისი კავშირები და გადაადგილება შეზღუდულია და იგი ავტომატურად ამ ავტოსტრადის გარეთ რჩება.

სტოპარდის მთავარი გმირებიც პიესის დასაწყისში ხომ გზაზე მოემართებიან, სადაც ისინი თეატრს ხვდებიან, რისი მეშვეობითაც ისინი ელსინორის რეალობაში აღმოჩნდებიან, ანუ იმ რეალობაში, რომელსაც მოთამაშე მსახიობი მთავარ მოქმედ პერსონაჟებს სთავაზობს:

„ჩვენ შეგიყვანთ ინტრიგებისა და ილუზიების სამყაროში...“¹

(“We transport you into a world of intrigue and illusion...” (Stoppard 1967: 16)).

¹ ციტატების თარგმანი პიესიდან „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარი არიან“ ეკუთვნის სტატიის ავტორს.

ამგვარი ილუზიური რეალობის მიმართ საინტერესოა სტოპარდის მთავარი პერსონაჟების დამოკიდებულება, რომელსაც ავტორი გილდენსტერნის სიტყვებით ავლენს:

„**გილ:** ჩაგვითრიეს. ერთ გაუფრთხილებელ ნაბიჯს მეორე მოსდევს, მეორეს – მესამე, მესამეს ისევ პირველთან მივყავართ და ასე. ახლა თვალები ჭყიტე და ყურები ცქვითე. ფრთხილად იყავი და მიყევი ინსტრუქციებს. ყველაფერი კარგად იქნება.

–**როზ:** კი, მაგრამ როდის?!

–**გილ:** როცა ის მოხდება, რაც უნდა გადაწყდეს. აქ ერთგვარი ლოგიკაა – შენი გასაკეთებელი თავისით გაკეთდება. ამიტომ, არ ინერვიულო. მოდუნდი და იხალისე”.

(“**Guil:** We’ve been caught up. Your smallest action sets off another somewhere else, and is set off by it. Keep an eye open, an ear cocked. Tread warily, follow instructions. We will be all right.

Ros: For how long?

Guil: Till events have played themselves out. There’s a logic at work — it’s all done for you, don’t worry. Enjoy it. Relax...” (Stoppard 1967: 29).

გამოდის, რომ სტოპარდის პერსონაჟებისთვის, ისევე როგორც ბოდრიარის მიერ აღწერილი საზოგადოებისათვის, რეალობა დადგმული და შექმნილია.

პოსტმოდერნისტული კულტურის, აზროვნების თუ ზოგადად ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია თანამედროვე დასავლური საზოგადოების გაუცნობიერებლობა ე.წ. მაღალ კულტურაში. უმბერტო ეკო თავის წიგნში – „ყალბის რწმენა: მოგზაურობა ჰიპერრეალობაში“ (*Faith In Fakes Travels in Hyperreality*) სან ფრანცისკოს, ლოს ანჯელესისა და სანტა კრუზის ცვილის მუზეუმებში გამოფენილ ლეონარდო და ვინჩის რეპროდუქციული ნამუშევრებისა და იმ ხელოვნური ემოციური აურის შექმნით, რომელიც თანამედროვე მუსიკითა და განათების სისტემით შეიარაღებულ მუზეუმში სუფევს (Eco 1998: 16,17), რეპროდუქციული ხელოვნების ავტორებისგან თანამედროვე საზოგადოების, კერძოდ კი, ამ მუზეუმის დამთვალიერებ-

ლების მიმართ ასეთ გზავნილს ხედავს: „ის შორსაა, მილანში, ადგილი, რომელიც, ფლორენციის მსგავსად, მთლად რენესანსია. თქვენ შეიძლება ვერასოდეს მოხვდეთ იქ, მაგრამ ხმა გაფრთხილებთ, რომ ორიგინალი ფრესკა ამჟამად დაზიანებულია, თითქმის უხილავია და არ შესწევს ძალა მოგანიჭოთ ის ემოცია, რომელსაც განიჭებთ სამგანზომილებიანი ცვილი, რომელიც უფრო რეალურია და სრულყოფილი“ (Eco 1998: 18). ფრედრიკ ჯეიმსონის სიტყვებით რომ განვავრძოთ, პოსტმოდერნისტულმა ხელოვნებამ შეითვისა როგორც პოპ, ასევე მაღალი კულტურა, მათ შორის იმიჯური პროდუქციაც, ამიტომ ამგვარი იმიჯური სილამაზის შექმნით, როგორც ეს ეკოს და ვინჩის მაგალითშია მოყვანილი (დ.მ.), თანამედროვე ფსევდო-ესთეტიკური მანევრის საშუალებით იქმნება არა შემოქმედებითი, არამედ იდეოლოგიური სილამაზე (Jameson 1998: 135). ხელოვნებაში ასეთ რეპროდუქციას ჟან ბოდრიარი კოპირებას უწოდებს. „ადრე ტექნოლოგია ახდენდა ასლებს – მუსიკის ჩანაწერებს, მხატვრულ რეპროდუქციებს – მაგრამ ისინი აშკარად ორიგინალის ასლებს წარმოადგენდნენ და ჯერ კიდევ აღიქმებოდნენ ასეთებად. ახლა კი მეცნიერება და ტექნოლოგია იმდენად განვითარდა, რომ შექმნილი ასლები ისევე განურჩეველია ორიგინალებისაგან, როგორც კლონირებული ცხოველები ერთმანეთისაგან“ (Nicol 2002: 6). ამავე საკითხზე საინტერესოა ბოდრიარის მოსაზრება სიმულაკრუმის მუდვივი დაბადების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ყველაფერს ძალუძს ხელმეორედ დაბადება (Baudrillard 1989: 39, 40).

თანამედროვე ტექნოლოგიებით ამგვარი კოპირების და სიმულაკრუმის შექმნის ბრწყინვალე მაგალითია 2012 წელს ამერიკაში, კალიფორნიის შტატის ქალაქ კოაჩელას ფესტივალზე გაცოცხლებული ცნობილი რეპერის თუფაქ შაქურის კონცერტი, სადაც ჰოლოგრამის ფორმის ტექნოლოგიების მეშვეობით 1996 წელს გარდაცვლილმა მომღერალმა მეგობრებთან ერთად ცოცხალი კონცერტი გამართა.

ამგვარი რამ რეალურ სამყაროში პირველად განხორციელდა, თუ არ ჩავთვლით 2010 წელს იაპონური მედია კომპანია *Crypton Future Media*-ს მიერ შექმნილ იაპონელი პოპ ვარსკვლავის *hetcune mikus 3D* ჰოლოგრამის ტიპის კონცერტს, სადაც მიკუ ციფრული ავატარის მეშვეობით წარდგა მაყურებელთა წინაშე. თუმცა ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებას და მის რეალობაში ასახვას ისევ ჰოლივუდში ვხვდებით, ჯორჯ ლუკასის ფილმის „ვარსკვლავთა ომებში“ (*Star Wars*) სახით.

ამ გადმოსახედიდან სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი პოსტმოდერნისტი კოპირებული პერსონაჟები არიან, რომლებიც ჰიპერრეალური სამყაროს, პოპ კულტურის წარმომადგენლები არიან და მათთვის რენესანსული მაღალი კულტურა, რომელსაც შექსპირი და მისი „ჰამლეტი“ განასახიერებენ, ისევე გაუგებარია, როგორც თანამედროვე ჰიპერრეალური სამყარო.

უმბერტო ეკო თავის ერთ-ერთ ესეში „შუა საუკუნეების დაბრუნება“ (*The Return Of The Middle Ages*) საუბრობს პოსტმოდერნულობისა და შუა საუკუნეების ურთიერთკავშირზე. „შუა საუკუნეები არის სათავე ჩვენი თანამედროვეობის ყველა „ცხელი“ პრობლემისა და გასაკვირი არც არის, რომ ჩვენ ამ პერიოდს ვუბრუნდებით ყოველთვის, როცა თავს ვუსვამთ შეკითხვას საკუთარი წარმოშობის შესახებ“ (Eco 1998: 65). ვფიქრობ, ეს ციტატა განმარტავს იმ ჩანაფიქრს, რომელიც ჩადებულია ტომ სტოპარდის პიესასა და ფილმში, სადაც ჰიპერრეალურ სამყაროში მოგზაური მთავარი გმირები ცდილობენ საკუთარი იდენტობის გარკვევას, საკუთარი როლისა და არსის დადგენას შექსპირის ეპოქასა და მის თეატრში შესვლის გზით. გავიხსენოთ თეატრის დასის ხელმძღვანელის, მოთამაშე პროტაგონისტის მისამართით როზენკრანცის მიერ დასმული შეკითხვა: „და ვინ ვართ ჩვენ?“ (“And who are we?”) (Stoppard 1967: 16), რომელიც ფილმის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძალიან ჰგავს უილიამ შექსპირს, ანუ როზენკრანცი და გილდენსტერნი, რო-

გორც ასლები, საკუთარი თავის იდენტობას ორიგინალში შექსპირის „ჰამლეტი“ ეძებენ.

არიან თუ არა სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი პოსტმოდერნული ეპოქის გმირები?

ამ კითხვას თავად ტომ სტოპარდი საკუთარი პიესის მიხედვით გადაღებულ ფილმში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ უამრავი ეპიზოდით დადებითად პასუხობს. აღვნიშნავ რამდენიმეს. პირველი, შექსპირის „ჰამლეტის“ რეალობის სხვა პროტაგონისტებისგან განსხვავებით სტოპარდის მთავარი პერსონაჟები თანამედროვე ინგლისურით საუბრობენ. მეორე, ეპიზოდი, როცა ფილმის დასაწყისში, ტყეში შესვენებისა და საუბრისას როზენკრანცი ჯიბიდან იღებს საგზაულს და აკეთებს მაკდონალდსის „ბიგ მაკის“ მსგავს ჰამბურგერს (მაკდონალდსისა და „ბიგ მაკის“ შესახებ, როგორც პოსტმოდერნული ეპოქის ერთ-ერთ სიმბოლოზე, უმბერტო ეკოც საუბრობს თავის ესეთა კრებულში „ყალბის რწმენა: მოგზაურობა ჰიპერრეალობაში“) და ბოლოს – ეპიზოდი, რომელშიც ისევ როზენკრანცი ქალაქის თვითმფრინავს აკეთებს და ელსინორის სასახლეში შეაფრენს, მაგრამ ეს ქალაქის თვითმფრინავი მას უკანვე უბრუნდება. ანუ როზენკრანცი და გილდენსტერნი – თანამედროვე პერსონაჟებია, რასაც „ბიგ მაკის“ ეპიზოდთან ერთად თვითმფრინავის შესახებ ცოდნაც ადასტურებს. როზენკრანცი და გილდენსტერნი საკუთარი რაობის დადგენის მიზნით ცდილობენ შევიდნენ საკუთარ წარსულში, რომელსაც შექსპირის „ჰამლეტის“ სამყარო და ელსინორის სასახლე წარმოადგენს. უმბერტო ეკო ისევ წარსულის მნიშვნელობაზე ამბობს: „ამგვარად, ჭვრეტა შუა საკუნეებში ნიშნავს ჭვრეტას ჩვენს ყრმობაში, რაც იგივეა, ექიმი რომ გვეკითხება ჩვენი ბავშვობის შესახებ, რათა დაადგინოს ჩვენი ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან როცა ფსიქოანალიტიკოსი ატარებს პირველადი სცენის ფრთხილ გამოკვლევას, რომ ჩანვდეს ჩვენი ამჟამინდელი ნევროზის არსს“ (Eco 1998: 65). ასევე საინტერესოა ის წრე, რო-

მელსაც ფილმში როზენკრანცის მიერ გაშვებული თვითმფრინავი მოხაზავს. წრიულობაზე მინიშნება, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია „აბსურდის თეატრთან“, რომლის დიდ გავლენას ბეკეტის და პინტერის სახით თავად ტომ სტოპარდიც განიცდიდა; თუმცა ქალაქის თვითმფრინავის მიერ წრის შეკვრით სტოპარდმა შეკრა კავშირი პოსტმოდერნულ სამყაროსა (რომელსაც სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი წარმოადგენენ) და რენესანსულ სამყაროს შორის (რომელსაც შექსპირის პიესა „ჰამლეტი“ და ელსინორის სასახლე განასახიერებს), მაგრამ, ნიკო ყიასაშვილის ნათქვამისა არ იყოს, სტოპარდის პიესა შექსპირის „ჰამლეტის“ პაროდირების გზით ახალი დროის ევროპელი ადამიანის სულიერი კრიზისის გამომხატველად გვევლინება (ყიასაშვილი 1992: 129), რასაც მე დავამატებდი, რომელიც სტოპარდმა მთავარი პერსონაჟების „როზენკრანცის და გილდენსტერნის“ ჰიპერრეალურ სამყაროში მოგზაურობით გამოხატა.

დამოწმებანი

პინტერი, ჰაროლდ. „ხელოვნება, ჭეშმარიტება და პოლიტიკა“. *ლექციები, წაკითხული ნობელის პრემიის მიღებისას ლიტერატურის დარგში 2001–2010*. თარგმნა გია ჯოხაძემ. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2011.

ყიასაშვილი, ნიკო. *სკილასა და ქარიბდას შორის ანუ „რა ბრძანეთ, ბატონო ჯოის?“*. თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 1992.

Baudrillard, Jean. *America*. Verso, 1989.

Baudrillard, Jean. *Simulacra and Simulation*. Translated by Jean Baudrillard and Shelia Faria Glaser. University of Michigan, 1994.

Eco, Umberto. *Faith in Fakes Travel to Hyperreality*. Vintage, 1998.

Jameson, Fredric. *The Cultural Turn, selected writings on the postmodern 1983-1998*. Verso, 1998.

Nicol, Bran (ed.). *Postmodernism and the Contemporary Novel*. Edinburgh University Press, 2002.

Stoppard, Tom. *Rosencrantz and Guildenstern are Dead*. London: Faber and Faber, 1967.

DAVID MAZIASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited Lecturer

Doctor of Philology

“ROSENCRANTZ AND GUILDENSTERN’S TRAVEL IN HYPER-REALITY”

SUMMARY

The article shows that Postmodernist aesthetics influences a great deal on Modern British Playwright Tom Stoppard’s play and Film “Rosencrantz and Guildenstern are Dead”, as well as contemporary literature, arts and social reality. Such influence is expressed in the issue to define reality in contemporary life, differentiate original and falsified, right and wrong. Such uncertainty and chaos in modern life is caused by the sciences based on modern technologies and mass media whose micro cosmos has become America, California, in particular, Hollywood. It refers to replacement of reality with fictional actuality of the film, transformation of reality into the fictional one, so the screen reality became actual, real life itself.

To clarify specifics of Postmodernism and its essence, I want to mark off those scholars of Postmodernism, such as French philosopher Jean Baudrillard, Slovenian philosopher Slavoj Žižek, theorist of architecture Charles Jencks, literary critic Bran Nicol, American literary critic Fredric Jameson and Italian semiologist and writer Umberto Eco who made us to think about simulacra and hyper real, unreal world in pos-

modern time, which are hypostasized in American cities and Disney Land, as well as, Hollywood semiotic signs. The Article also examines technological achievements and the importance of global capitalist financial organizations, which are considered as the main factors of postmodern world.

For the complete analysis, the Article reviews all the above mentioned philosophical-semiotic and literary-aesthetical factors which had an influence on forming fictional image of Postmodernism.

The emphasis on the cultural-historical, social-political, philosophical, technological, scientific and financial importance of Postmodernism makes clear its influence on XX and XXI century Western culture and literature.

ნაგზარ მგელაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

თამარ ტანაძე

წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის
უნივერსიტეტის პროფესორი

ედვარდ საპირი – ამერიკული ლინგვისტური ანთროპოლოგიის ფუძემდებელი



ედვარდ საპირი (Edward Sapir) თანამედროვე ამერიკული ანთროპოლოგიური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი გახლდათ. ამასთან, იგი ამერიკული ლინგვისტური ანთროპოლოგიისა და ეთნოლინგვისტიკის ფუძემდებელი იყო. თავის დროზე თანამედროვე ანთროპოლოგიური სკოლის დამაარსებელმა ფრანც ბოასმა ახალგაზრდა მეცნიერს ურჩია ძველი კულტურები ენობრივი სამყაროს ფარგლებში შეესწავლა, ანუ ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები ეწარმოებინა. დღეს ყველა აღიარებს, რომ გამორჩეული ანთროპოლოგი, რომელიც ფრანც ბოასთან სწავლობდა, ედვარდ საპირი იყო, თუმცა, მიუხედავად იმისა რომ ედვარდ საპირის ინტერესი ენებისადმი დიდი იყო, იგი მხოლოდ კონკრეტული ლინგვისტური კვლევებით არ იყო დაკავებული. თანდათანობით ლინგვისტური ანთროპოლოგია ზოგადად ანთროპოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება გახდა და დამოუკიდებელი განვითარების ტენდენციებიც კი შეიძინა.

ედვარდ საპირი 1884 წლის 26 იანვარს გერმანიაში ლაუნენ-

ბურგში, ებრაულ ოჯახში დაიბადა. ახლა ეს ქალაქი პოლონეთის შემადგენლობაშია და ლემბორკად იწოდება. იქ იდიშის ენაზე საუბრობდნენ. ედვარდის ბავშვობაში ოჯახი ლივერპულში გადასახლდა, ხოლო 1894 წელს ამერიკაში, ნიუ-იორკში დაიდო ბინა. ე. საპირმა 1904 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავრა.

ედვარდ საპირი 1910-1925 წლებში ოტავაში, კანადის გეოლოგიური სამსახურის ეთნოგრაფიულ სექტორს ხელმძღვანელობდა. 1927-1931 წლებში იგი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი იყო, ხოლო 1931 წლიდან იელის უნივერსიტეტში ასწავლიდა. 1930 წლიდან ამერიკული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი გახდა. 1933 წლიდან მეცნიერი ამერიკული ლინგვისტური საზოგადოების, 1938 წელს კი ამერიკული ანთროპოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ედვარდ საპირი 1939 წლის 4 თებერვალს კონეკტიკუტში, ნიუ-ჰაივენში გარდაიცვალა.

მანამ, სანამ დაიბადებოდა ლინგვისტური ანთროპოლოგია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ანთროპოლოგია და ენათმეცნიერება, განსაკუთრებით შედარებითი ენათმეცნიერება, ისედაც ერთმანეთთან ძალზე ახლოს იდგნენ და თანამშრომლობის ფონზე კონტექსტურადაც ვითარდებოდნენ, თუმცა დამოკიდებულებათა ვექტორები დროთა განმავლობაში შეიცვალა. თავდაპირველად შედარებითი ენათმეცნიერება უფრო ეგზოტიკური ენებისა და ენათა ოჯახების წარმოშობისა და განვითარების პრობლემებს სწავლობდა. მოცემულ პერიოდში ლინგვისტიკაში რევოლუციები ჯერ კიდევ წინ იყო და იგი მაშინ დაიწყო, როცა ორ დისციპლინას შორის ტრანსფორმაციული და გენერაციული თეორიები გაჩნდა. ჰუმანიტარულ სფეროში თანმიმდევრულად ახალი ინტერდისციპლინარული მიმართულებები წარმოიქმნა და ამ მიმართულებებში ჩამოყალიბება ახალმა მეცნიერულმა ხედვებმა დაიწყო. ეს კი ფრანც ბოასის შორს მიმავალმა გეგმებმა და ჩანაფიქრებმა განსაზღვრა. ვინ შემოიყვანა

ლინგვისტიკა ანთროპოლოგიის სფეროში? ბუნებრივია, ფრანც ბოასმა. 1904 წელს, როცა ედვარდ საპირი ნიუ-იორკში ფრანც ბოასს შეხვდა და მასთან კონსულტაციები გაიარა, მან კლასიკურ ფილოლოგიას ამერიკის ინდიელთა ენების კვლევა არჩია, რითაც საფუძველი ლინგვისტური ანთროპოლოგიის შესწავლას მოუმზადა (იხ.: Seymourt-Smith 1986: 171; ასევე Garbarino 1997: 55, 64-65, 70, 82, 88). რატომ იყო ფრანც ბოასი ლინგვისტიკით დაინტერესებული? ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობდა. უპირველესად, მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე პრაქტიკაში მეცნიერის მიერ ჩატარებული სამუშაოების პერიოდში იგი შეეცადა ინუიტების ტომის ხასიათი და ბუნება შეეცნო. ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ამ აბორიგენული კულტურის გაცნობამ მას საშუალება მისცა ორიგინალური შეხედულებები განევითარებინა. ინუიტების ენა საკმაოდ რთული აგებულების აღმოჩნდა და, ზოგადად, ენობრივ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. შემდეგში მკვლევარი რიგ პრობლემას ანტიევიოლუციური რაკურსიდან ისტორიული პარტიკულარიზმის თეორიულ კონცეპტებთან მიმართებაში განიხილავდა. იდეებში გაიმიჯნა ისეთი ცნებები, როგორებიცაა რასა, ენა, კულტურა. მტკიცდებოდა, თითქოს ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. ფრანც ბოასი ასაბუთებდა, რომ ნებისმიერ ადამიანს გააჩნია უნარი ნებისმიერი ენის შესწავლისა, ასევე საკუთარი თავის სხვა კულტურულ ტრადიციებში ასიმილაციისა და ადაპტაციისა. ამასთან, სხვადასხვა საზოგადოება შეიძლება კულტურის ზოგიერთი ისეთი ასპექტის მატარებელი ყოფილიყო, რომელიც საკმაოდ მაღალგანვითარებული იყო და რომელიც მსოფლიოში სხვა ფასეულობებთან ერთად ვითარდებოდა. ამგვარად, უნდა გადასინჯულიყო იდეა იმის შესახებ, რომ საზოგადოება დასაშვებია „პრიმიტიული“ ყოფილიყო სხვადასხვა – ენობრივი, კულტურული და ბიოლოგიური მიმართულებით იმიტომ, რომ ევოლუციური თვალთახედვიდან ისინი ჩამორჩენილები იყვნენ. ფრანც ბოასის მხრიდან თითოეული საზოგადოება

აღქმული იყო, როგორც ფიზიკური თუ სოციალური გარემოს გათვალისწინებით, სპეციფიკური ადაპტაციური მექანიზმების საფუძველზე დამოუკიდებლად განვითარებადი უჯრედი (იხ.: Barfield 1997: 289–293).

შემდეგშიც ლინგვისტიკა ისეთი იყო, როგორც ფორმალური კვლევების სახით ანთროპოლოგიაში ფრანც ბოასმა შემოიტანა. მეცნიერული ტრადიცია ისტორიულ ლინგვისტიკას ეფუძნებოდა, მაგრამ ენის ფორმალიზაციის მცდელობები ყოველთვის შეინიშნებოდა. ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების, განსაკუთრებით, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ევროპა ფორმალური ლინგვისტიკის მიმართულებით თანმიმდევრულად მიდიოდა და საბოლოოდ ნავსაყუდელი უნივერსიტეტების ანთროპოლოგიურ ენათმეცნიერულ კათედრებსა და დეპარტამენტებში დაიდო.

საერთოდ, ინდიელთა ენებისადმი ინტელექტუალური ინტერესი ჯერ კიდევ მათი კოლონიზაციის პერიოდიდან დაიწყო. XVII საუკუნეში როჯერ უილიამსი (Roger Williams) ის პიროვნება იყო, რომელმაც როუდ-აისლენდი (Rhode Island) აღმოაჩინა და კონკრეტულ წყაროებზე დაყრდნობით ნარაგანსეტების¹ მცირე ლექსიკონი დააფუძნა (*A Small Dictionary of Narraganset ...*). XIX საუკუნეში სატომო ხალხებზე სოციოლინგვისტური დაკვირვებები მთავრობის მხრიდან – მათი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების დაწყების პერიოდიდანაც ხორციელდებოდა, მაგრამ ბევრი რამ მანამდეც გაკეთდა. დაიწერა მრავალი გამოკვლევა, მთელს ამერიკაში ტომთა დაჯგუფებების სტრუქტურის შესახებ არაერთი დასკვნა გაკეთდა, სანიმუშო გრამატიკული ხასიათის გამოკვლევები შესრულდა, ლექსიკონები, ფოლკლორულ და ეთნოლოგიურ მასალათა კრებულები შედგა. როცა დაგროვდა სათანადო მასალა, სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტურული თეორიები განვითარდა. მაშინ აშკარად გამოჩნდა, რომ ანთრო-

¹ დღეს ნარაგანსეტები არიან ვაშინგტონის ოლქის, როუდ-აისლენდის მკვიდრნი.

პოლოგიასა და ლინგვისტიკას, წარმომავლობის თვალსაზრისით, საერთო ინტელექტუალური ფესვები გააჩნდა, რომელიც სათავეს XIX საუკუნის მკვლევრებისაგან იღებდა. ინტერესი გაიზარდა იმ დროსაც, როცა არქეოლოგები ბერძნული ცივილიზაციის კვალს დაეძებნენ, მისი წარმოშობის საძირკვლებს ადგენდნენ, ფოლკლორისტიები კულტურის წარმომავლობის თავისებურებებს არკვევდნენ, მითოლოგიურ მოდელებში საერთო საკაცობრიო მეხსიერების კვალს აღადგენდნენ, კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლები კი ადამიანთა ყოფიერებაში ჩვეულებათა ჯგუფურ მოთხოვნილებებსა და ლინგვისტიურ ქცევებს იკვლევდნენ. ლინგვისტიკის სფეროში გარკვეული წარმატებები სანსკრიტის აღმოჩენების შემდეგ დაიწყო. ერთი სიტყვით, 1920-1960-იანი წლები ამერიკულ ანთროპოლოგიაში ინდიელთა ენების აღწერილობით კვლევებს მიეძღვნა, განსაკუთრებით, ენაში ყურადღება ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ თავისებურებებს, სინტაქსურ წყობას, სიტყვათა სემანტიკას მიეძღვნა (იხ.: Barfield 1997: 289-293). მეცნიერულ დარგებს შორის დამთხვევები და გადაკვეთები ძველ დროსაც არსებობდა. ბრიტანელი ინტელექტუალის სერ უილიამ ჯოუნსის მიერ, XVIII საუკუნის ბოლოს, მიეცა შედარებითი ისტორიული ლინგვისტიკის განვითარებას ბიძგი, რაც დღემდეც გრძელდება. ფოლკლორული ინტერესი არანაკლებ იყო გაღვივებული, მაგრამ ლინგვისტიკის სფეროდან მიღებულმა შედეგებმა მოლოდინებს გადააჭარბა. მაგალითად, XIX საუკუნეში იაკობ ლუდვიგ კარლ გრიმი, რომელიც გერმანელი ფილოლოგი, იურისტი და მითოლოგიის მკვლევარი გახლდათ, მითოლოგიის გარდა ეთნოლოგიისა და ფოლკლორის სხვა მიმართულებებშიც პიონერი იყო. იგი XIX საუკუნის ლინგვისტიკაში რეგულარული კონსონანტების ისტორიული აღმოჩენების დროს უკვე ინდოევროპულ ენათა დიფერენციაციას და ენათა შტოებს შორის განსხვავების ჩამოყალიბების პროცესს თვალყურს ადევნებდა. მისი ხედვა „გრიმის კანონებად“ იწოდება. დიდხანს მისი შეხედულებები ოფიციალურ

კონცეპტად მიიჩნეოდა, XX საუკუნეში სტრუქტურალისტური თეორიის აღმავლობის პერიოდშიც. ფერდინანდ სოსიურის ნაშრომებში მითითებულია, რომ დაუშვებელია ამას XX საუკუნის ლინგვისტიკაზე დიდი გავლენა არ მოეხდინა (დანვრ. იხ.: Barfield 1997: 289-293). ედვარდ საპირი ენის ფსიქოლოგიური და კულტურული ფუნქციის მრავალმხრივობით აღფრთოვანებული იყო. „ფონემის“ კონცეფცია, რომელმაც ლინგვისტიკაში არაერთხელ იჩინა თავი, მისი ინტერესების სფეროში იყო მოქცეული. 1933 წელს მან ამგვარ საკითხებს სპეციალური ნაშრომით – „ფონემის ფსიქოლოგიური რეალობა“ – მიუძღვნა (იხ.: Sapir 1949). ზოგადი განმარტებით, „ფონემა“ (phōnēma), რომელიც სამეტყველო ბგერას წარმოადგენს, ამა თუ იმ ენის ფონეტიკური სისტემის შემადგენელი ბგერითი ნაწილია, მაგრამ ის, რაც არ ცვლის მნიშვნელობასა და ფუნქციას – ბგერა, ბგერათა სისტემა – ფონემაა თუ არა? (იხ.: Sapir 1949). საბოლოოდ გაირკვა, რომ ფონემა მკვლევართა მიერ შეფასებული თეორიული ფიქცია კი არ იყო, არამედ მტკიცე შემეცნებითი კონსტრუქცია, რაც იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ საკითხში ჩაღრმავებულ მეცნიერებს საშუალება მისცა დაემტკიცებინათ, თითქოს არსებობს ბგერები, რომლებიც ბგერებს უარყოფენ, მაგრამ სიტყვის კონსტრუქციაში მონაწილეობენ.

ედვარდ საპირი ღრმად ერუდირებული მეცნიერი იყო, ჰუმანიტარულ სფეროში მრავალი განხრით მუშაობდა, მაგრამ უმთავრესად მაინც ანთროპოლოგიის ფარგლებში საქმიანობდა და დიდ განსწავლულობას ლინგვისტიკაში ავლენდა. მიუხედავად ამისა, მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ისეთი პრობლემები, რომლებიც სოციოლოგიას, პირველყოფილი საზოგადოების ბუნებას, დიფუზიონისტურ კონცეფციებს ეხებოდა.

პირველყოფილი და უდამწერლებო ხალხები, როგორც სხვადასხვა ტიპის სრულად ორგანიზებული სოციალური ჯგუფები, ჩვენს წინაშე ასევე სხვადასხვა კულტურული ნიშნებით წარმოსდგებოდნენ. ამ ხალხებს მხატვრული გამოხატვის ტრადიციუ-

ლი ფორმების საფუძველზე სულიერი კულტურის, რელიგიური რწმენისა თუ ჩვეულებების ისეთი სისტემები ჰქონდათ ჩამოყალიბებული, რომლებიც ენობრივი სიმბოლოების საშუალებით აზრსა და გრძნობაში ადექვატურად იყო გადმოცემული. ჯერ არ აღმოჩენილა ადამიანთა არც ერთი გაერთიანება, რომელთა საზოგადოებრივი ურთიერთობები სოციალური ორგანიზაციის პრინციპებს არ ეფუძნებოდა. ედვარდ საპირი ამის დასასაბუთებელ მაგალითად ჯგუფურ ქორწინებას მიიჩნევდა. იგი თვლიდა, რომ ჯგუფური ქორწინება არც ერთ ხალხში და არსად სოციალური ანარქიის გამოხატულებას არ წარმოადგენდა. პირიქით, ეს სოციალური კლასიფიკაციის გარკვეულ ტრადიციულ საშუალებათა მდგრადობის სპეციფიკური ნიმუში იყო. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ჯგუფურ ქორწინებას პრომიკუიტეტთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონია, როგორც მსგავს შეხედულებებს წინამორბედ მეცნიერთა თეორიებში ვხვდებოდით.

ედვარდ საპირი მიიჩნევდა, რომ ანთროპოლოგიურ კვლევებში პრიმიტიული ტიპის სოციალური ორგანიზაციის განხილვას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეკავებინა. არსებობს ისეთი საგანი, როგორიცაა პირველყოფილი საზოგადოების სოციოლოგია. სოციოლოგისათვის, რომელსაც სურს განვითარების ადრეული საფეხურებისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ურთიერთობებში გაერკვეს, ისე, როგორც თანამედროვე ცხოვრების სოციალურ არსსაც ჩანვდეს, მრავლისმომცემია „მემკვიდრეობითი ნახევრის“ (Hereditary Moiety) – ე. წ. სოციალური ერთეულის – ზუსტი გააზრება, რითაც ერთმანეთთან სხვადასხვა ფუნქციებით შეკავშირებული ტომი ორ ჯგუფად განიყოფებოდა. ედვარდ საპირს არამართებულად მიაჩნდა პირველყოფილ საზოგადოებაში იმგვარი მასალა დაენახა, რომელიც ჩვენი კულტურის წინარე ისტორიაზე არარეალური დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემდა. ბიოლოგიური ევოლუციის გავლენით ანთროპოლოგიის ძველი კლასიკოსები პირველყოფილი ცხოვრების ისეთ დამახასიათებელ ნიშნებს გამოყოფდნენ,

144

როგორებიცაა ტოტემიზმი, დედის ხაზის ნათესაური ჯგუფები, ჯგუფური ქორწინება, რომელთაც დღეს ძველი საზოგადოების ევოლუციაში განსაზღვრულ ადგილს ვაკუთვნებთ. საილუსტრაციოდ მეცნიერს მოჰყავდა ასეთი მაგალითი: არ არსებობს არანაირი ისტორიული მტკიცებულება იმისა, რომ ძველმა ტევტონურმა ტომებმა, საიდანაც სათავეს ანგლოსაქსური ცივილიზაცია იღებს, ოდესღაც ჯგუფური ქორწინების პერიოდი გაიარენ, ასევე უმცირესი დოზითაც არაა დამაჯერებელი მტკიცებულება მათში ტოტემისტური პერიოდის არსებობის შესახებ. არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იძულებული ვართ გავაკეთოთ დასკვნა ამ ხალხებში მატრილინეალური კლანის არსებობის შესახებ, თუმცა ადრეული პერიოდის ცნობილი ანთროპოლოგები შედარებითი მეთოდის საფუძველზე დარწმუნებული იყვნენ, რომ მსგავსი სოციალური მოვლენები დამახასიათებელი იყო ყველა ცივილიზებული ხალხისათვის. ეს მათთვის იმდენად ნათელი იყო, რომ სოციალური ურთიერთობების ანალოგიურ თანმიმდევრობას მთელ კაცობრიობას სთავაზობდნენ. ისინი ავსტრალიის, აფრიკის თუ სამხრეთ ამერიკის აბორიგენების მაგალითზე ცნობილ ჩვევებსა და საზოგადოებრივ კლასიფიკაციებს დაეჭვების გარეშე წინარეისტორიული პერიოდის ანგლოსაქსურ კულტურას აკუთვნებდნენ.

ერთი შეხედვით ჩანს, რომ თითქოს ფართო სოციოლოგიური კვლევებისათვის ანთროპოლოგიური მონაცემების სარგებლიანობის შესახებ შეხედულება კრიტიკულმა ანთროპოლოგიამ გაანადგურა. თუ ანთროპოლოგიამ სოციოლოგისათვის საზოგადოების წარმოშობისა და შორეული სოციალური განვითარების პროცესების სრულყოფილი დასურათება ვერ შეძლო, რომელიც მიმდინარეობდა მანამდე, სანამ ისტორია ჩაისახებოდა, მაშინ რა სერიოზული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ანთროპოლოგიის საგანს მთლიანი სოციოლოგიური თეორიისათვის? რა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთ სოციალურ საკითხებს, როგორებიცაა შავკანიან აფრიკელებ-

ში, ავსტრალიელებში თუ წითელკანიან ამერიკელებში კლანური ტოტემიზმის ან/და კლანური ეგზოგამიის არსს? სიმართლეა, რომ ანთროპოლოგიას არ შეუძლია იმაზე მეტი პრეტენზია განაცხადოს, რასაც იგი ადამიანის სოციალური შენობის ასაგებად იმარაგებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თითქოს ანთროპოლოგიური მონაცემები წყაროთა უბრალო გროვაა. პირიქით, სავსებით შესაძლებელია და ასეცაა, რომ დღეს ადამიანის სოციალური ქცევის შესახებ ანთროპოლოგიას უფრო მეტის თქმა შეუძლია, ვიდრე ოდესღაც ეს მას შეეძლო. ჩვენ უპირველესად უნდა ვისწავლოთ, რომ არ გვექონდეს ანთროპოლოგიური სწავლებისაგან ყველა შესაძლო მოთხოვნის დაკმაყოფილების მოლოდინი, მოთხოვნა, როგორც ეს მას თავდაპირველად ჰქონდა წაყენებული. ანთროპოლოგიის კლასიკური სკოლის მთავარი შეცდომა იყო ის, რომ კულტურულ ადამიანთან მიმართებაში პირველყოფილ ადამიანს იგი უყურებდა როგორც თავისებურ წინმსწრებ ტიპს, შესაბამისად, პირველყოფილი ადამიანის მნიშვნელობის ექსკლუზიური შეფასება გვიდასტურდებოდა. თვლიან, რომ თანამედროვე ანთროპოლოგიური თეორია, უმეტესწილად, ევოლუციური თეორიების შეცდომების აღიარებას დღესაც აგრძელებს. თანამედროვე ანთროპოლოგიური პერსპექტივა ფართოა და ნაკლებად ფორმალური. სოციოლოგს შეუძლია იმედოვნებდეს, რომ სოციალური ანთროპოლოგიიდან, გარკვეულწილად, მნიშვნელოვან მასალებს ამოკრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაძლებელია ეს გამოუყენებელი ფსევდოისტორია იყოს, რომელიც სახელდება, როგორც სოციალური ევოლუცია. ეს ნიშნავს, რომ სახეზეა პირველყოფილი და თანამედროვე სოციალური ორგანიზაციის ფორმებს შორის ისეთივე საინტერესო მსგავსებები, რამდენიც მათ შორის განსხვავება არსებობს. ედვარდ საპირს ევოლუციური სკოლის წარმომადგენელთა თეორიებისადმი აი ასეთი პესიმისტური დამოკიდებულებები ჰქონდა და, რეალურად, კრიტიკული ემოციები ფრანც ბოასისა და მისი მოწაფეების შეხედულებათა სოციოლინგვისტურ და ლინგვო-

კულტუროლოგიურ სიბრტყეში გააზრების ცდების პროცესში წარმოიშვნენ.

ედვარდ საპირის შემოქმედებაში ენობრივი ფენომენის კვლევის გვერდით ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება გენდერული პრობლემების შესწავლა იყო, რაც ისტორიული ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიურ-ფსიქოლინგვისტურ მონაცემებს ეფუძნებოდა. აქაც არაერთი ჰიპოთეზა გაჩნდა. ინდიელთა ენისა და ყოფის შესწავლამ მეცნიერებას ევროპელთათვის მრავალი გაუგებარი მოვლენის გასაღები გადასცა.

ლინგვისტური ანთროპოლოგიის სფეროში ედვარდ საპირის ყველა ძირითადი შეხედულება მანაც „კულტურული რელატივიზმის“ კონცეფციასთან იყო დაკავშირებული. იმ დროს, როცა იურიდიული, ფილოსოფიური და პოლიტიკური ცოდნის განვითარების საფუძველზე კულტურის შესახებ კონცეფციები გაჩნდა, დამუშავება დაიწყო დოქტრინამ „კულტურული რელატივიზმის“ შესახებ (დანვრ. იხ.: მგელაძე, ტუნაძე 2010: 311-322), რომლის ფარგლებშიც „ლინგვისტური რელატივიზმი“ ჩამოყალიბდა და თანმიმდევრულად განვითარდა. ამასაც ნიადაგი ფრანც ბოასმა შეუმზადა, მაგრამ საბოლოოდ, როგორც ლინგვისტური რელატივიზმის ცნება, ისე ლინგვისტური რელატივიზმის ფარგლებში განვითარებული ჰიპოთეზები ფრანც ბოასის მოწაფის ედვარდ საპირისა და მისი მოწაფის ბენჯამინ ლი უორფის² სახელებს დაუკავშირდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ფრანც ბოასის შეხედულებებს საფუძვლად ენის რელატივიზმიც ედო, რომელიც შემდეგ მის მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოლოგიურ სკოლაში სხვადასხვა მიმართულებით დამუშავდა. დადგინდა, რომ არცერთი ენა ადამიანის უნარის მოთხოვნილე-

2 ბენჯამინ ლი უორფმა, რომელიც, როგორც ცნობილია, პროფესიით ენათმეცნიერი არ იყო, აღნიშნული კუთხით მრავალმხრივ საინტერესო თვალსაზრისები შემოგვთავაზა. მისი გაგებით, სამყარო კალეიდოსკოპური ნაკადია, რომელსაც ადამიანის გონება ალაგებს. ეს კი ცნობიერებაში არსებული ენობრივი სისტემების მეშვეობით ხორციელდება. ჩვენ ვანანევრებთ გარემოს, მათ ცნებებად ვაცალკევებთ და იმ მნიშვნელობას მივაკუთვნებთ, რაც მშობლიური ენის მოდელშია კოდირებული.

ბისა და კულტურული მოთხოვნები მისი არ განიხილებოდა. ჰიპოთეზებიც, ამკარად, ამერიკის აბორიგენ მოსახლეობაში სავსე მუშაობის ფართოდ გაშლამ და ემპირიული ცოდნის გააზრებამ განსაზღვრა. შესაბამისად, ლინგვისტური კვლევებიდან ახალი ანთროპოლოგიური კონცეფციები მივიღეთ. ლიტერატურაში უკვე დადგენილია ედვარდ საპირისა და მისი მიმდევრების ძირითადი დასკვნების არსი, რომლითაც ლინგვისტთა ფართო წრეები წარმატებით სარგებლობდნენ. ასევე სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის მითითებულია, რომ სავსე ანთროპოლოგიური დაკვირვებების შედეგად მიღებული შედეგები ედვარდ საპირის იმ მიგნებას ეყრდნობოდა, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენ და ევროპის მოსახლეობის ინდოევროპულ ენებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა. მან ეს სხვაობა ენების ლექსიკურ სფეროსა და გრამატიკულ წყობას შორის მკაფიოდ გამოავლინა, მაგრამ აქ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ენობრივი განსხვავებანი კულტურული სხვაობების ამსახველიც იყო. თუკი, როგორც თავად ედვარდ საპირი აღნიშნავს, კულტურა არის ის, რასაც აკეთებს და ფიქრობს საზოგადოება, მაშინ, ბუნებრივია, სხვადასხვა კულტურის აზროვნებითი ასპექტები თავად მათი ენებით ყოფილიყო განპირობებული (დანვრ. იხ.: კიკვიძე 2011: 220). მართალია, ლინგვისტიკა, თავდაპირველად, ემპირიული თვალსაზრისით, თითქოს ევროპული ენების კვლევის ფონზე მიმდინარეობდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს: იმდენად დიდი იყო ინტერესი არაევროპული ენებისადმი, რამაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ თავი უფრო განსაკუთრებით იჩინა, რომ ამის საფუძველზე, საუკუნის შემდეგ, მწყობრად ჩამოყალიბებული მეცნიერება – ლინგვისტიკა – მივიღეთ. ლინგვისტიკასაც კი საფუძველი ისეთმა მეცნიერებამ ჩაუყარა, როგორც ანთროპოლოგია და მისი ერთ-ერთი მშობელიც ამერიკა იყო. აქვე ლინგვისტურ მოდელებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა სკოლები და თეორიები და ისეთი სოციოკულტურული ინტერპრეტაციები გაჩნდა, როგორებიცაა,

მაგალითად, სტრუქტურალიზმი და კოგნიტური ანთროპოლოგია, თუმცა სტრუქტურული და კოგნიტური ანთროპოლოგიის მიდგომებიც სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში ენობრივი კუთხით გაკრიტიკდა, როგორც „იდეალისტური“. ძირითადი აქცენტები საზოგადოების მატერიალური და ისტორიული განვითარების პრინციპების გათვალისწინებით ინტელექტუალურ-გონებრივ და საკომუნიკაციო კონცეპტებზე გაკეთდა. სოციალური ცხოვრებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ასახულ სხვადასხვა შეხედულებას შორის თვალშისაცემი განსხვავება იგრძნობოდა, რასაც ესა თუ ის ანთროპოლოგი ობიექტური მატერიალური პირობების პროდუქტად მიიჩნევდა, მაგალითად, მარქსისტი ანთროპოლოგები, სადაც კულტურული ეკოლოგიის სფეროში ნამოჭრილი პრობლემები სათანადო ადგილს იკავებდა. საერთოდ, შედარებითი ანთროპოლოგიური მიდგომები გულისხმობდა იმასაც, რომ საზოგადოება და კულტურა ერთ მთლიანობაში ვითარდებოდა. ესაა მატერიალური რეალობა და კონცეპტუალური კონსტრუქცია – აღნიშნულ განზომილებათა ურთიერთკავშირი დროსა და სივრცეში. დღეს იმაზეც საუბრობენ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა და სოციოლინგვისტიკა ძირეულ კონსტრუქციასა და ფორმალურ მოდელებს დასცილდა, ასევე დასცილდა ლინგვისტურ რელატივიზმსაც, იმ რელატივიზმს, რომლის უმთავრესი თეორიები საპირ-უორფის სახელებთან და მათ ჰიპოტეზებთანაა დაკავშირებული, ასევე იმ სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებთან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ყოველი ენა განსაკუთრებულ ლინგვისტურ გარემოსა და აზროვნების ავტონომიურ სისტემებს ბადებს. ისე, ეს ჰიპოტეზები ცნობილია როგორც კონკრეტულად „უორფის ჰიპოთეზა“. ფრანც ბოასის სკოლის ლინგვისტური ფრთის წარმომადგენელთა თვალსაზრისებმა ამერიკულ კულტურულ რელატივიზმზე და, საერთოდ, ლინგვისტურ ანთროპოლოგიაზე შესამჩნევი გავლენა მოახდინა, თუმცა შემდეგში რიგი თვალსაზრისი კოგნიტური ანთროპოლოგიის ფარგლებში წინააღმდე-

გობრივ ფონზე სერიოზული განხილვის საგნად იქცა (დანვრ. იხ.: Seymourt-Smith 1986: 171). ამ შემთხვევაშიც ჩვენ შეგვიძლია არსებული პრობლემა კონკრეტულად გამოვყოთ და ამასთან განვიხილოთ კიდევ: თუ კულტურა არის მორალი და ქცევა, რომლებიც სამყაროს აღქმასთანაა შესაბამისობაში და, ასევე, განსხვავებული ცხოვრების პირობებში არის საზოგადოების ნევრთა შემეცნება, ისე, როგორც ჩვენი დაკვირვება – თითქოს ხალხის ისტორიული გამოცდილების ფონზე კულტურა შემთხვევითი მოვლენაა, მაშინ ლოგიკურია ვიკითხოთ: სხვებთან მიმართებაში რანი ვართ ჩვენ? ვართ, როგორც სოციალური არსებანი თუ ისტორიის ჩვეულებრივი პროდუქტი (Sdr. Monaghan and Just 2000: 48-49). დღესაც ბევრი, განსაკუთრებით ამერიკელი ანთროპოლოგები, რელატივიზმში დოგმასა და იდეოლოგიას კი არ ხედავს, არამედ, უპირველესად, ემპირიულ ამოსავალს. ყველაზე უკეთ ეს სწორედ ლინგვისტური ანთროპოლოგიის წარმომადგენლებმა – ედვარდ საპირმა და მისმა მოწაფემ – ბენჯამინ ლი უორფმა გამოხატეს (დანვრ. იხ. Sapir 1929; Whorf 1956), რომლებმაც ლინგვისტური მონაცემები იმისათვის გამოიყენეს, რათა ისეთი განსაზღვრული კატეგორიები გამოეყოთ, როგორებიცაა დრო, სივრცე და რიცხვი, რომელთაც ენის დიფერენციაციის პროცესში სხვადასხვა გზით ვღებულობთ (მდრ. Monaghan and Just 2000: 48-49). ამან ედვარდ საპირი მიიყვანა განსაზღვრულ დასკვნებამდე. მრავალი კითხვა დაისვა, რადგან ლინგვისტური მოდელების გამოყენების პროცესში, სოციოკულტურული სისტემების ანალიზსა და ინტერპრეტაციაში, მეცნიერი არაერთი მეთოდოლოგიური და ფილოსოფიური ხასიათის სიძნელეებსაც შეხვდა. ედვარდ საპირის დასკვნების გამო ზოგიერთი ანთროპოლოგი ეჭვობდა იმის შესახებაც, რომ შეიძლება თუ არა ენის იმ საბაზო მოდელად ჩათვლა, რომელზედაც აზრისა და საკლასიფიკაციო პრინციპების სტრუქტურირება მოხდებოდა, ენობრივი მონაცემების საფუძველზე დასაშვები იყო თუ არა კულტურისა თუ სოციალურ ორგანიზაციათა პარა-

დიგმების შექმნა? თუ უბრალოდ ენა კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის ნიადაგზეც ენობრივი კოდები სოციოკულტურულადაც გაანალიზდება. თუ გავითვალისწინებთ ედვარდ საპირის საერთო კონცეპტუალურ სამყაროს, დავინახავთ, რომ საბოლოო ჯამში იგი ენას კულტურის სიმბოლურ გზამკვლევად გეზულობდა. მეცნიერი სხვადასხვა სტატიაში, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი „გრამატიკა და ენა“ (იხ.: Sapir 1949) იყო, აწვითარებდა თემას მსოფლიო ენების ურთიერთდაკავშირებულ იდეათა კონტექსტში. 1956 წელს სწორედ ამდაგვარი იდეები გაიზიარა და შემდეგ კიდევ უფრო განავრცო ედვარდ საპირის სტუდენტმა ბენჯამინ ლი უორფმა (იხ.: Whorf 1956). კულტურაში ენის ინტერპრეტაციის შესახებ ედვარდ საპირის შეხედულებები უორფმა საფუძვლად მის თეორიებს დაუდო და დაადგინა, რომ ენა დეტერმინირებული იყო გრამატიკული წყობით და ჩვეულებრივ ინსტრუმენტს კი არ წარმოადგენდა, არამედ შემეცნებითი სამყარო იყო. იგი აღიარებდა, რომ მაგიური ტექსტებისა და ფორმულების თარგმნა შეუძლებელი იყო. მათ განსაზღვრული მნიშვნელობები – სემანტიკა თითქოს არ გააჩნდათ და, ძირითადად, კულტურული დატვირთვა ჰქონდათ, თუნდაც იგივე ტრობრიანის კუნძულების მოსახლეობაში. იმისათვის, რომ მაგიური ტექსტი „თარგმნო“, ეთნოგრაფებმა უნდა მოახერხონ წყაროს მთლიანი განმარტებითი კონტექსტუალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ტექსტის თარგმანს არანაირი მნიშვნელობა არ ექნება (დანვრ. იხ.: Barfield 1997: 289–293). რეალურად ეს ენის სფეროში განვითარებული ფუნქციონალური თეორია იყო, კერძოდ, საფუძველი იმისა, რაც ბრიტანულ ანთროპოლოგიურ სკოლაში ფუნქციონალური სკოლის სახით განვითარდა. სწორედ ამ სფეროში ბრიტანულ ანთროპოლოგიურ სივრცეში საინტერესო თვალსაზრისები ყალიბდებოდა და ამას ბრიტანული სოციალური ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი – ბრანისლავ მალინოვსკი, შემდეგში კი – რ. ფერთი და ედვინ არდერი ახორციელებდა. გარკვეული სახით იმდროინდელი კვლე-

ვები შეიძლება ბრიტანული ლინგვისტური ანთროპოლოგიის სა-
თავეებად მივიჩნიოთ. ბრანისლავ მალინოვსკის შრომებიც ნაწი-
ლობრივ ტრობრიანის კუნძულების მკვიდრთა კულტურას ეხე-
ბოდა (იხ.: Malinowski 1935). სწორედ ამ და სხვა ნაშრომებშიც
მალინოვსკიმ ჩართო ნარკვევები ენის შესახებ და აბორიგენელ-
თა ენების თარგმნის პრობლემებსაც შეეხო. ისე, ამა თუ იმ
ხალხის კულტურის ცოდნა, საზოგადოების არქიტექტონიკის
გააზრება, ყოფის შესწავლა, ყველანაირი კომუნიკაციის შემეც-
ნება ანთროპოლოგიის საგნობრივ არეალში ყოველთვის და
ყველგან შედიოდა. უბრალოდ, მისი ძირითადი სფეროები XX
საუკუნის დასაწყისიდან სწორედ ამერიკასა და ბრიტანეთში გა-
მოიკვეთა. კვლევით მოდელებში მეთოდოლოგიური საკითხებიც
დაისვა. მაგალითად, ახერხებს თუ არა ანთროპოლოგი სამყარო-
ს, საზოგადოების, კულტურის „სხვისი თვალთა აქცეპტაცია?“. ამგვარი ხედვა ადრეც უნდა არსებულებო. ბოლო ხანებში გამო-
სულ ერთ-ერთ ანთროპოლოგიურ ნარკვევში ითქვა, რომ ასეთი
შეიძლება ყოფილიყო XVII საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდი-
ლოეთ მოგოლის პრინცის – დარა შუეკოხას – ნაშრომი „ოკეა-
ნეთა შერწყმა“, სადაც ერთმანეთთან შეპირისპირებულია ისლამი
და ინდუიზმი. ავტორი ცდილობს ინდუიზმი მუსლიმის თვა-
ლით განიხილოს (იხ.: Арутюнов, Рыжакова, 2004: 25), მაგრამ
მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, სწორედ ახლა და
სწორედ იმავე მეცნიერების ფარგლებში მსგავსი შედარებითი
მიდგომები აქტუალური ხდება.

ედვარდ საპირმა ახალი ანთროპოლოგიური სამყარო შექმნა
და ლინგვისტურ ანთროპოლოგიაში პირველი ადგილი დაიკავა.

დამოწმებანი

კიკვიძე, ზ. „ლინგვისტური ფარდობითობა და ენა, როგორც
იდენტობის „ლუზა“. *ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი I*
(პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლო-
გიასა და ანთროპოლოგიაში), ბათუმი, 2011.

მგელაძე, ნ.; ტუნაძე, თ. „ამერიკული ისტორიული სკოლა და კულტურული რელატივიზმი“. V საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში. ქუთაისი, 2010.

Garbarino, Merwin S. *Socioculture Theory in Anthropology: A Short History*. Illinois, 1977.

Barfield, Thomas (ed). *Linguistics and Anthropology: The Dictionary of Anthropology*. Oxford, 1997.

Malinowski, Bronislaw. *Coral Gardens and Their Magic*. New York, 1935.

Monaghan, Jonathan and Peter Just. *Social and Cultural Anthropology: A Very Short Introduction*. Oxford, New York, 2000.

Sapir, E. "The Status of Linguistics as a Science", *Language*, #5, 1929.

Sapir, E. "A Study of Phonetic Symbolism". *Journal of Experimental Psychology*, 12, 1949.

Sapir, E. "The Psychological Reality of the Phoneme", *Journal de Psychologie Normale et Pathologique* 30 (Translated and Reprinted in Sapir), 1949.

Sapir, E. "The Grammarian and his Language", *American Mercury*, 1, 1949.

Whorf, B. L. "Language, Thought and Reality". *Selected Writings of Benjamin Whorf*, Cambridge, Mass, 1956.

Арутюнов, С.А.; Рыжакова, С.И. *Культурная антропология*. Москва: Весь Мир, 2004.

NUGZAR MGELADZE

Shota Rustaveli State University, Professor

TEMUR TUNADZE

St. Tbel Abuseridze University, Professor

EDWARD SAPIR – THE FOUNDER OF THE AMERICAN LINGUISTIC ANTHROPOLOGY

SUMMARY

Edward Sapir was the best representative of the American Anthropological School. By the way, he was a founder of the American linguistic anthropology and ethno_linguistics. The founder of the anthropological school in America Franz Boas advised the young scientist to study the

ancient cultures of the world and develop Cultural Studies in linguistic sources. American anthropology has gradually become one of the most important directions of linguistic anthropology and gained independent development trends as well. Even today, linguistic anthropology takes one of the honorable places in four main vectors.

Edward Sapir was born on January 26, 1884 in Lauenburg, Germany in Jewish family. His parents moved to Liverpool first and then in 1894 settled down in New York. Edward Sapir graduated from the Columbia University in 1904. In 1910_1925 he led the Geological Society of Ethnography in Ottawa, Canada. He became the professor of Chicago University in 1927_1931. From 1930 he taught at Yale University. He became the member of American Art and Science in 1930. In 1933 – member of American linguists' society, in 1938 he was elected president of American Anthropological Association. Edward Sapir died in 1939 in Connecticut, New Haivene.

Edward Sapir left the very interesting studies in Sociology, language and culture. He studied the languages of the peoples of Central and North America. His special contribution to the development and shaping of the theoretical aspects of linguistic relativism should also be noted. More details about the American Linguistic Anthropology are discussed in this report as well as the Edward Sapir's contribution to the formulation of scientific fields.

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

„სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ ქართულ და ამერიკული ინგლისურის ფრაზეოლოგიებში

ადამიანის ქმედება განპირობებულია სოციალური და კულტურული ღირებულებებით, რადგანაც ის ერთდროულად კულტურისა და ცივილიზაციის პროდუქტია. ადამიანი ცდილობს მისი კულტურის ღირებულებები მშობლიურ ენაში ასახოს, თუმცა გაიზიაროს და არ ჩაიკეტოს თავის კულტურაში, გაიზიაროს ცივილიზაციის გამოცდილება, გაეცნოს მსოფლიო მონაპოვარს და ეს ყველაფერი სხვადასხვა ფორმით აისახება ენაში, ჩნდება ნასესხები ლექსიკური ფონდი.

ფრაზეოლოგიზმთა ღრმა არქეტიპული სტრუქტურის მთავარი ნიშანი არის ღირებულებები და მათი შეფასება. მათში კარგად ჩანს ადამიანის დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის, ისე მის ირგვლივ არსებული სამყაროს მიმართაც. ფრაზეოლოგიზმებში ხდება სამყაროს ენობრივი ხატის ასახვა, რომელიც ეფუძნება ზოგად ენობრივ ჭეშმარიტებებს, რომელშიც ასახვას ჰპოვებს საუკუნოვანი გამოცდილება და ხედვა საკუთარი კულტურის, სამყაროსა და კაცობრიობის შესახებ. ფრაზეოლოგიზმებმა გაუძღეს საუკუნეებს, ზოგიერთი მათგანი მოძველდა და ენის არქაულ ნაწილს შეუერთდა.

კონცეპტი ეს არის სემანტიკურად აბსტრაქტული ცნება, რომელსაც გააჩნია ინფორმაციული შრე, თუმცა შინაარსობრივად ზოგადია. ის შეიძლება ჩავთვალოთ ფრაზეოლოგიზმების, ანდაზების, აფორიზმების, გამოცანების და მაქსიმების სემანტიკურ ბირთვად, რომელშიც იმპლიცირებულია არქეტიპული ოპოზი-

ციები და რომლებსაც აქვს კულტურული ღირებულება. ერთი და იგივე კონცეპტები ზოგჯერ განსხვავებული სემანტიკით გვხვდებიან სხვადასხვა ენაში.

მეცნიერებს უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნეს საერთაშორისო მონაცემების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში. შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება და, ამავდროულად, ინტერკულტურული მოტივების გამოვლენის საფუძველზე კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა დადგენა.

ერთი შეხედვით ფრაზეოლოგიზმი რთული სპეციფიკის მქონე შენაერთია. მასში ჩადებული ცოდნა მოცემული ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია.

მოცემული აზრობრივი მოდელის შესაქმნელად ორივე ეთნოსი გვთავაზობს როგორც იდენტურ, ისე განსხვავებულ მეტაფორულ ხატებს. მათში ზედაპირულ დონეზე მოცემული ინფორმაცია სიღრმისეული დონის განზოგადებული მნიშვნელობის საფუძველია. ეს, ზოგ შემთხვევაში, ადამიანთა მიერ სამყაროს შემეცნების პროცესში (ბუნების კანონებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე და ა.შ.) დაკვირვებას ეყრდნობა, რიგ შემთხვევაში – საკუთარი სახელების ფიქსაციას. თითოეული, შესაბამის კონტექსტში აქტუალიზაციისას, მათში კოდირებულ იდენტურ ვნებას განსხვავებული აზრობრივი შეფერილობით გამოხატავს.

ერთი შეხედვით მარტივი და ყველასათვის გასაგები ფრაზეოლოგიზმი საკმაოდ რთული სპეციფიკის მქონე შენაერთია. მასში ჩადებული ცოდნა მოცემული ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია. შესაბამის „სიტუაციურ ნიშაში“ რეალიზებისას მუშაობას იწყებს მეტაფორული ძრავა, რომლის დროსაც მიმდინარე დემიფირირების პროცესი – განზოგადებული სიბრძნის

წვდომა მოცემული ეთნოსის მიერ სამყაროზე დაკვირვების შედეგად მიღებულ ცოდნას ემყარება. ეს პროცესი მოცემულ საგანთა და მოვლენათა შორის იმ ლოგიკურ მიმართებათა წვდომის საფუძველზე ხორციელდება, რაც დადგენილი და მიღებული ნორმა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, მის სააზროვნო სივრცეში.

„სიცოცხლისა“ და „სიკვდილის“ სემანტიკა უნივერსალურია მრავალი ხალხის ენობრივ ცნობიერებებში, მაგრამ ყოველი ნაციონალური კულტურა უნიკალურს ხდის მას. ადამიანი გამუდმებით ფიქრობს სიკვდილზე. დაგროვილი გამოცდილება, წარმოდგენები თუ ყოფითი ჩვეულებანი აისახება სიკვდილის სემანტიკის მრავალფეროვნებაში. ადამიანის კულტურა განუყრელადაა დაკავშირებული მის ეროვნებასთან. უცხო გარემო, სრულიად განსხვავებული რელიგიური ფაქტორი და ცხოვრების პირობები გავლენას ახდენს მასზე.

ჩვენი კვლევის საგანია კონცეპტების “სიცოცხლე” და “სიკვდილი” შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიურ ქრილში ორი ენის (ქართული და ამერიკული ინგლისურის) შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე.

ქართულში სიკვდილის სემანტიკა ემყარება ადამიანის წარმოდგენებს, რელიგიას. ძველად ფიქრობდნენ, რომ სიკვდილის დროს “ჩვენს სხეულში არსებული უხილავი ნივთიერება სიცოცხლისა – სული გაზის მსგავსად პირიდან ამოდის, ხოლო მის სავსებით ამოსვლას, ანუ დაღევას მოჰყვება სიკვდილი” (სახოკია 1979: 591).

ამ წარმოდგენებს ემყარება უამრავი ფრაზეოლოგიზმი, რომლის კომპეტენციაა **სული**. ესენია: **სულის ლევა// ამოსვლა// განტევება// ამოხდომა// გაქცევა//გაცხება//გაყრა, სულთაგან დაცლა**.

შედარებით გავრცობილი ვარიანტებია: **სულის ღმერთისათვის მიბარება, სულის ღმერთისათვის დალოცვა, სულის ცაში გაგზავნა**.

სულის დაღევა – სული დამელია შენს მაყურებელს, გულიც გამისკდა (ოთ. ჩხეიძე);

სულთაგან დაცლა – რას ეცილებოდა, სულთაგან რომ დაცალა (შოი არაგვისპირელი);

სულთა გაყრა – ვნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტკიცე (შოთა რუსთაველი);

სულის ამოსვლა – მაცალე სულის ამოსვლა, დამახუჭვინე თვალიო (ანა კალანდაძე);

სულის განტევა – აღარ უშველა არაფერმა, სულიც მალე განუტევა (ეკ. გაბაშვილი);

სულის ამოხდომა – რაღას ნახავ, წუხელ ამოხდა სული საწყალს (გ. გეგეშიძე);

სულის გაქცევა – სულნი გაიქცნეს, მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან (შოთა რუსთაველი);

სულის გაგზავნა ცაში – სწორედ მაშინ გაგზავნა სული ცაში, ბედნიერება რომ უახლოვდება (ჭ. ლომთათიძე);

სული ღმერთს დაულოცა – რა ექნა, რა რისთვის დაეტოვებინა? ერთი იცოდა, სული ღმერთს დაულოცა (აკ. ბელიაშვილი);

სული გააფრთხოვინა – ვიცი, თავზე დამადგება და სულს გამაფრთხოვინებს (შოი არაგვისპირელი);

სულის გაცხება – მალე სულიც გააფრთხო (ი. გოგებაშვილი);

სულის ღმერთისათვის მიბარება – კეკემ მალე მიაბარა თავისი ცოდვილი სული ღმერთს (ი. გოგებაშვილი);

ასეთი ფრაზეოლოგიზმებიც ამერიკულ ინგლისურშიც გვხვდება:

Out soul – სული განუტევა;

Came a rainy day – შავი დღეც დაუდგა;

Lose heart – სული გაეყარა;

Out of breath – სიკვდილს ებრძვის.

ქართულში ხშირად გამოიყენება ორი პარასკევი დარჩაო.

ხშირად „სიცოცხლეცა“ და „სიკვდილიც“ **მზეს**-თან არის დაკავშირებული:

ვნახოთ, ვისი მზეც გაშავდების (ალ. ყაზბეგი).

ნუ მომკლავ ჩემო ბინიკავ, ნუ დამიბნელებ მზესაო (ვაჟა).

სიკვდილის სემანტიკა ასევე უკავშირდება „ნუთისოფელს“, „თვალს“, „ხელს“, „მინას“, „ჭირს“.

ბევრი წავიდა ამ ნუთისოფლიდან სახელიანიც და უსახელოც (გ. გეგეშიძე);

ჩემი ნუთისოფელი დავლიე ასე უსიხარულოდ (შიო არაგვის-პირელი);

ადრიანად დახუჭა თვალები, ერთი დღე სიხარულისა არ ჰქონია (ჭ. ლომთათიძე);

მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან (რ. ინანიშვილი).

არც თუ იშვიათად ქართულში **სიკვდილის** სემანტიკა ვულგაროზმებითაა გადმოცემული:

უჭმელობით ფეხები გაფშოკა და ხევში გადავავდე (ეკ. გაბაშვილი);

შავმა მიწამ წაიღო ჩემი თევდორე (ილია);

ორ კვირაში თქვენი ჭირიც წაიღო (ილია).

წადებას უკავშირდება ფრაზეოლოგიზმი **წერილი წაიღო**. ასევე ხშირია ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორიცაა **გადმა გავიდა, გავიდა მარილზე, აღზევანს წავიდა მარილზე**.

ამერიკულ ინგლისურში სიკვდილის სემანტიკა გამოიხატება სრულიად განსხვავებული ფრაზეოლოგიზმებითაც;

Join one's ancestors – თქვენი ჭირიც წაიღო;

Late in the day – რალა დროსია, შავი დღეც დაუდგა;

Lay up against a rainy day – შავი დღე გაუთენდა;

Out of breath – სიკვდილს ებრძვის;

Pass into silence – მალე დაივიწყეს, ჩაძაღლდა;

Sands are running out the – აღსასრულიც მოუახლოვდა;

Send one to glory – საიქიოს გასტუმრება;

Sweep out of existence – აღიგავა პირისაგან მიწისა;

Late in the day – ხელიდან გამოგვეცალა;

ქართულში: მიწა ჩაგიკრავს გულში; ამერიკულ ინგლისურში
– Deep into the earth.

ქართულში: საიქიო გაზომა; ამერიკულ ინგლისურში – Came deep in.

მოცემული აზრობრივი მოდელის შესაქმნელად ორივე ეთნოსი გვთავაზობს როგორც იდენტურ, ისე განსხვავებულ მეტაფორულ ხატებს. მათში ზედაპირულ დონეზე მოცემული ინფორმაცია სიღრმისეული დონის — განზოგადებული მნიშვნელობის საფუძველია. ის ზოგ შემთხვევაში, ადამიანთა მიერ სამყაროს შემეცნების პროცესში (ბუნების კანონებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე და ა.შ.) დაკვირვებას ეყრდნობა, რიგ შემთხვევაში – საკუთარი სახელების ფიქსაციას. თითოეული, შესაბამის კონტექსტში აქტუალიზაციას, მათში კოდირებულ იდენტურ ცნებას განსხვავებული აზრობრივი შეფერილობით გამოხატავს – ზოგჯერ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი: ზოგჯერ ცალსახად დადებითი ან ცალსახად უარყოფითი კონოტაციით. რეალიზაციისას თითოეული ბუნებრივია, განსხვავებული შეფერილობის სპექტრის კონტექსტს საჭიროებს.

ჩ განხილულ კორპუსში ქართული და ამერიკული ინგლისურის მაგალითების შეპირისპირებითმა კვლევამ გამოავლინა, რომ თითოეული ეთნოსის ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სიბრძნე მათთვის სახასიათო კუთხით არის დაფიქსირებული. ამავდროულად, სინამდვილის ამსახველი მოვლენები მოცემული ხალხების მენტალური ხედვის ფარგლებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულად კატეგორიზდება.

ამგვარი შეპირისპირებითი კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისტორიულად და ცნობიერებით რადიკალურად განსხვავებული ხალხების ყოფითი და მენტალური სპეციფიკის, ეთნოფსიქიკური მოცემულობის როგორც განსხვავებული, ისე მსგავსი მსოფლმხედველობის გამოსავლენად.

დამოწმებანი

კიკონიშვილი, მ., აბალაკი, მ. „კონცეპტ 'სიკვდილის' სინონიმურ მნიშვნელობათა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები“. *საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში*. ბათუმი, 2010.

მიქაძე, მ. *ინგლისური იდიომები და ანდაზები ქართული ეკვივალენტებით*. ქუთაისი, 1998.

ომიძე, ს. *ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა*. თბილისი, 2009.

ონიანი, ალ. *ქართული იდიომები*. თბილისი, 1966.

სახოკია, თ. *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი, 1975.

Milner, G. *The Psychology of Communication*. London, 1968.

MANANA MIKADZE

Akaki Tsereteli State University, Professor

CONCEPT OF “LIFE” AND “DEATH” IN GEORGIAN AND ENGLISH PHRASES

SUMMARY

Linguists and folklorists have been analyzing phrases from different points of views. There are many definitions of phrases. We accept phrases as a short figurative sentence reflecting national culture, which contains folk wisdom, morals and traditions that are transmitted through generations in verbal and non-verbal communication metaphorically describing human activities. They are verbal expressions in their sense that makes the speech emotively charged and expressive; phrases are

universal as they reflect reality. At the same time, they are national and are used in everyday discourse both by teenagers and adults. They have become the common property of the nation and are the basis of the morality for given society. Phrases have communicative function and sometimes they are didactic.

Semantics of “Life and death” is universal in many people’s linguistic consciousness; hence each national culture makes it unique.

A human’s culture is inseparably connected to nationality. Foreign environment, absolutely different religious factor and living conditions affect him.

Cultural tradition might be modified through the historical process. The object of our research is the study of the concepts “Life”, “death” through the linguocultural cut on the basis of comparative analysis of Georgian and American English languages.

The present paper aims to interpret the phrases – a formula modeled as a certain concept in a given mentality – in the context of different cultures. On the basis of comparative study of American English and Georgian parallels, falling within the semantic model “everyone finds his/her match”, it is identified how, by what general and at the same time specific means, characteristic of each, the given stereotyped wisdom is created. Conclusions also cover the general theoretical aspect of the problem.

რუსუდან მიქაუბაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მარინა მიქაუბაძე

ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი

აშშ დომინანტური კულტურისა და აფროამერიკული სუბკულტურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის მე-20ს-ის 20-40-ანი წლები

აშშ დომინანტური კულტურა აერთიანებს როგორც ევროპელ, ისე აფრო-აზიური ქვეყნებიდან ჩამოსული ხალხების და მკვიდრი ამერიკელების კულტურებს, რომლებიც ერთმანეთს შეერწყა ახალ კონტინენტზე და შექმნა კულტურის ის მოზაიკური სახე, რითაც დღეს ამაცობს აშშ. თუმცა ამ კულტურებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აფროამერიკულ სუბკულტურას თავისი თვითმყოფადობით, მიზანდასახულობით, პოლიტიკური ელფერით, ეთნიკური და ენობრივი განსაკუთრებულობებით.

აფროამერიკული სუბკულტურის ჩამოყალიბება ამერიკის კონტინენტზე მე-17 საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. შავკანიანები აქ მონებად ჩამოიყვანეს მუშახელის დეფიციტის შესავსებად. საუკუნეების განმავლობაში მათმა არსებობამ ჩაკეტილ სივრცეში განაპირობა იმ მთელი რიგი კულტურების შენახვა და გადარჩენა, რაც მათ ნამოილეს თავიანთი ისტორიული სამშობლოდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შავკანიანები კოლონიური ამერიკის მოსახლეობის 5 % შეადგენდნენ და ისინი არ განიხილებოდნენ როგორც მნიშვნელოვანი სოციალური და ეთნიკური ერთეული. საუკუნეების განმავლობაში ახალ-ახალ მონათა ნაკადების შემოდინებამ აფრიკიდან მისცა მათ საშუალება კავშირი შეენარჩუნებინათ თავიანთ კულტურულ ფესვებთან, რაც კიდევ

უფრო ხელს უწყობდა აფროამერიკული სუბკულტურის ახალ კონტინენტზე სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

აფროამერიკელთა იდენტობის პრობლემამ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან იჩინა თავი, როცა სამოქალაქო ომის წლებში დღის წესრიგში დადგა მათი მონობიდან გათავისუფლების საკითხი. სწორედ მაშინ გააცნობიერა პირველად თეთრკანიანმა ამერიკამ, რომ მან თავის წიაღში მიიღო სრულიად ახალი ძალა აფროამერიკელთა სახით, რომელთაც დასახული ჰქონდათ მიზანი, იცოდნენ მისი მიღწევის გზები, ჰქონდათ სხვებისგან განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობა და რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე. თუმცა თეთრკანიან საზოგადოებასთან სრულ ინტეგრაციამდე მათ გაიარეს დიდი დაპირისპირებების გზა, მე-20 ს-ის 10-იანი წლების ურბანული გეტოები და 50-60-იანი წლების ანტირასისტული გამოსვლები.

აფროამერიკული სუბკულტურა სათავეს იღებს „ახალი ზანგების“ ნაციონალისტური მოძრაობიდან, რომელსაც მარკუს გარვეი ედგა სათავეში. მოძრაობის მიზანი იყო შავკანიანთა შეღწევა სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, გაერთიანებებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათივე ინიციატივით დაიწყო აქტიური შავკანიანი ახალგაზრდების თავმოყრა აშშ დიდ ქალაქებში, სადაც ჯერ კიდევ მე-19 ს-ის ბოლოდან დაიწყო ე.წ. შავკანიანთა გეტოების ჩამოყალიბება, რომლებიც მათი კულტურის ცენტრებად იქცნენ და ახალი კულტურული იმპულსები შესძინეს აშშ დომინანტურ კულტურას. ეს იყო ე.წ. „მუსიკალური რევოლუცია“ მე-20 ს-ის 20-30-იანი წლები იქცა „ჯაზის ხანად“, ვინაიდან „ჯაზში ჩაიკარგა ყველა ის პრობლემა, რომელიც ახალი თაობის წინაშე იდგა. ჯაზი გადაიქცა მანქანების ეპოქის ფოლკმუსიკად“ (Watson 1995: 198).

ჯაზის სამშობლო ახალი ორლენია, სადაც სამოქალაქო ომის შემდეგ ძლიერი მიგრაციული პროცესები დაიწყო, რომელმაც ხელი შეუწყო ლიბერალური გარემოს შექმნას. ეს ახალი აფროა-

მერიკული მუსიკა ფოლკლორული ტრადიციების და მოტივების თავისებურ სინთეზს წარმოადგენდა. მუსიკოსები თვითნასწავლნი იყვნენ, მაგრამ ახდენდნენ იმ მუსიკალური ცოდნის დემონსტრირებას, რაც მემკვიდრეობით ქონდათ მიღებული. აფროამერიკელი ჯაზმენები გამოირჩეოდნენ იმპროვიზაციის ნიჭით და სხვადასხვა ინსტრუმენტზე ვირტუოზული დაკვრით. მალე „ახალი ორლენის“ მუსიკა ქვეყნის ჩრდილოეთშიც გავრცელდა, მათ შორის ნიუ-იორკში, ბოსტონსა და ვაშინგტონში. თუმცა თავდაპირველად შავკანიანთა კულტურის მრავალი წარმომადგენელი ჯაზს ზიზღით უყურებდა. როგორც საქსაფონისტი გარვინ მუშელი იხსენებდა, „საშუალო ფენის შავკანიანთა ოჯახებში არავინ დაგაკვრევენებდა ბლუზს, ბუგი-ვუგის. ეს ცუდ ტონად ითვლებოდა“ (კაჭარავა 2008: 253).

აფროამერიკელთა ახალი მუსიკალური „ცხელი სტილი“ – ჯაზი უდიდეს პოპულარობას აღწევს 20-იანი წლების ურბანულ გეტოებში, რადგან ის მათი თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისაკენ იყო მიმართული. მუსიკის ამ სტილის აღმავლობას ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამაც. ქვეყანაში „მშრალი კანონი“ მოქმედებდა, რომელიც ძალაში 1923 წლამდე დარჩა. ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციისა და მოხმარების აკრძალვამ გეტოები ანდეგრანდის კულტურული ცხოვრების ცენტრებად აქცია. ასეთ კრიმინალურ გარეუბნებში სახელმწიფო კონტროლი ნაკლები იყო, აქ ნაკლებად მოქმედებდა ზოგადი აკრძალვები. ამ პერიოდში იწყება ე.წ. „ღამის კლუბების“ ხანა, მდიდარი თეთრკანიანები ღამლამობით ზანგთა უბნებში, მაგ. ჰარლემში მიდიოდნენ ამ მუსიკის მოსასმენად. 1931 წელს რევიუმ „ფლატუნით გასეირნებამ“ უდიდესი პოპულარობა მოუტანა 63-ე ქუჩაზე მდებარე მიუზიკ-ჰოლს. შავკანიანთა ცეკვებმა, ჯაზმა და პოპულარულმა მუსიკამ საბოლოოდ შექმნა ისეთი ცნობილი ცეკვები, როგორიცაა ჩარლსტონი, მიმი და თანაც ჰარლემში არსებულ სავოსის საცეკვაო დარბაზი ასობით თეთრკანიანს იზიდავდა (კაჭარავა

2008: 253). ამ კლუბებში დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა ისეთმა მუსიკოსებმა, როგორებიცაა ლ. არმსტრონგი, ჯ. ჯონსონი, დ. ელინგტონი, ფ. ჰენდერმანი, დ. რედმენი და სხვები.

ჯაზის უზომო პოპულარობის მიუხედავად საზოგადოების დამოკიდებულება – მის მიმართ არაერთგვაროვანი იყო. საზოგადოების ნაწილს ის საშიშად მიაჩნდა და მასში უხეშობას, მოუწესრიგებლობას, ხმაურს ხედავდა. თუმცა 30-იანი წლებიდან ჯაზში იწყება ახალი ყანრების გაჩენა: სვინგი, ბიბოპი, ბლუზი, მოგვიანებით ლათინური ჯაზი, ჯაზროკი, ქულჯაზი, არტჯაზი, ფიუჟენი და ა.შ. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ჯაზმა მოახერხა გაერღვია სუბკულტურის ჩაკეტილი საზღვრები და დომინანტურ კულტურაში დამკვიდრდა. როგორც სკოტ ფიცჯერალდი ამბობდა, „ჯაზი არ ეკუთვნის ერთ რასას ან კულტურას, არამედ ეს არის საჩუქარი, რაც ამერიკამ მისცა მთელს მსოფლიოს“ (Fraizer: 265). ჯაზი იქცა მძლავრ კულტურულ მიმდინარეობად და ერთგვარი პოპულარიზაცია მოახდინა აფროამერიკული სუბკულტურისა, მან გარკვეულად შეცვალა მიდგომა ისეთ ცნებებთან, როგორიცაა თეთრკანიანები და შავკანიანები, რადგან გარკვეული გარდატეხა მოახდინა საზოგადოების აზროვნებაში.

აფროამერიკული სუბკულტურის აღმავლობას ხელი შეუწყო ნიუ-იორკის შავკანიანთა გეტომ ჰარლემმა, სადაც მე-20 ს-ის 20-30-იან წლებში მოხდა ე.წ. „კულტურული აფეთქება“ კულტურის სხვადასხვა სფეროში, ამიტომაც ამ პერიოდს ხშირად უწოდებენ „ჰარლემის რენესანსს“. ჰარლემში ძირითადად სამხრეთიდან გადმოსული შავკანიანი მოსახლეობა ცხოვრობდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ აქ მათ შეეძლოთ ემუშავათ, მიეღოთ განათლება, უკეთესად ეცხოვრათ, არ ქონოდათ ლინჩის წესით გასამართლების შიში. ეს იყო მათი კულტურის განახლების შესაძლებლობაც, ძველი შეზღუდვებისაგან გათავისუფლება და ხელახალი დაბადება. აქ შეიქმნა “The New Negro Movement” („ახალი ზანგების მოძრაობა“), რომელმაც საფუძველი დაუდო როგორც აფროამე-

რიკელთა პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნების წინ წამო-
წევას, ისე მათი სუბკულტურის აყვავებას.

მოძრაობას სათავეში ედგა ჰუბერტ ჰარისონი, რომელმაც
1917 წელს შექმნა პირველი ანტირასისტული ორგანიზაცია „თა-
ვისუფლების ლიგა“ და დააარსა პირველი აფროამერიკული გა-
ზეთი “The Voice”. მოძრაობის იდეოლოგები კი გახდნენ ტომ
ბრუკი და ალან ლოკი, მათ ჩამოაყალიბეს კონცეფცია, რომე-
ლიც ემყარებოდა აფროამერიკული რასის რეაბილიტაციისა და
რესოციალიზაციის აუცილებლობას. მოძრაობის მთელი იდეა
კი შემდეგ ფრაზაში გამოიხატებოდა: „The negro would no longer
turn the other cheek“ (Huggins 2000: 58).

მოძრაობის სულისჩამდგმელები ცდილობდნენ დაემკვიდრე-
ბინათ აზროვნების ახალი სტილი, რომელიც ორიენტირებულ
იქნებოდა თვითრწმენასა და მიზანდასახულობაზე. მათი აზრით,
საუკეთესო პასუხი ძალადობაზე ძალადობა იქნებოდა. მოძრა-
ობის მთავარი მიზანი იყო რასობრივი და სოციალური თანას-
წორობის მიღწევა და სამართლიანობის აღსრულება. მათ მი-
აჩნდათ, რომ ბრძოლის ამგვარი ფორმებით ისინი შეძლებდნენ
ზანგთა ექსპლოატაციის შემცირებას და მათ ისეთ სფეროებში
დასაქმებას, რომლებზეც მანამდე შავკანიანებს ხელი არ მიუწ-
ვდებოდათ. ეს იყო ხმამალალი განაცხადი იმისა, რომ შავკანი-
ანებს აღარ სურდათ მეორე რანგის მოქალაქეები ყოფილიყვნენ.
ამიტომ მათ აქტიურად დაიწყეს საიზოლაციო ზონების ფარგლე-
ბის გადალახვა. უპ. ყოვლისა, ისეთ სტრუქტურებში, როგორი-
ცაა ჯარი, სამაშველო სამსახურები, პოლიცია და ა.შ.

მოძრაობისათვის მთავარ პრობლემას რასობრივი დისკრიმი-
ნაცია წარმოადგენდა, თუმცა, სამწუხაროდ, მათ მისი მოგვარე-
ბის რაიმე გეგმა არ შეუქმნავენ. ისინი ძირითადად პროპა-
განდისტული საქმიანობით იყვნენ დაკავებული, რასაც 3 გაზე-
თის საშუალებით ახორციელებდნენ: „The Crisis“, რომელიც 1910
წელს დაარსდა ვ. დუბოისის მიერ, „The Opportunity“ 1923 წელს
და „The Messenger“, რომელიც წლების განმავლობაში რჩებოდა

„ერთადერთ რადიკალურ შავკანიანთა გაზეთად“. მათი უმთავრესი ამოცანა სწორედ პრობლემების გაცხადება და შავკანიანთა საქმიანობისათვის მხარის დაჭერა გახლდათ. პარალელურად იქმნება მთელი რიგი ახალი ორგანიზაციები, მაგ. 1916 წელს შეიქმნა Universal Negro Protect Movement, 1922 წელს Liberty Citizens, რომლებიც გამოვიდნენ ანტირასისტული კოალიციის შექმნის იდეით. ასეთმა მიზანდასახულმა მოძრაობებმა ხელი შეუწყო ჰარლემის კულტურულ აღმავლობას.

მიუხედავად იმისა, რომ „ჰარლემის რენესანსში“ მოიაზრება რასობრივი და პირადი თავისუფლების პრინციპები, ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლა, იგი უპირველესად ჩამოყალიბდა მაინც როგორც კულტურული ფენომენი, ანუ ახალი აფროამერიკული ლიტერატურული, მუსიკალური, მხატვრული, ქორეოგრაფიული მოძრაობების საფუძველი.

ჰარლემში მცხოვრებმა ინტელექტუალებმა მიზნად დაისახეს ლიტერატურის და ხელოვნების სხვადასხვა დარგების დახმარებით ხელი შეეწყოთ აფროამერიკული რასისათვის დაებრუნებინათ სიამაყის გრძნობა. ჰარლემის ლიტერატურაში ჩამოყალიბდა ისეთი ახალი ლიტერატურული ფორმები და თემები, როგორიცაა ჯაზპოეზია, მთავარ თემებად იქცა კულტურული ნაციონალიზმი და რასობრივი უთანასწორობა, ლიტერატურაში ფოლკლორული თემების შემოტანა.

აფროამერიკელი მწერლების ახალმა თაობამ გადანყვიტა შეექმნა საკუთარი ხალხის ახალი იმიჯი, ახალი ესთეტიკური ფენომენი. ეს ესთეტიკური საფუძვლები 5 პუნქტად გააერთიანა „ჰარლემის რენესანსის“ ერთ-ერთმა იდეოლოგმა სტერონ ბრაუნმა.

1. აფრიკა უნდა გამხდარიყო რასისთვის სიამაყის და შთაგონების წყარო და რომანტიკულ საბურველში უნდა გაეხვია მათი ეთნიკური წარმომავლობა.

2. შავკანიანი ამერიკელის-გმირის სახის შექმნა, რომელიც იქნებოდა ვაჟკაცობის, თავისუფლებისათვის მებრძოლის სიმ-

ბოლო და უსამართლოდ ჩაგრული ადამიანის განსახიერება.

3. რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

4. საკუთარი თავის რეალიზაცია, კულტურის სხვადასხვა სფეროებში მხოლოდ შავკანიანებისათვის დამახასიათებელი ტენდენციების დამკვიდრება.

5. ლიტერატურაში ტრადიციული აფრიკული ფორმების და ფოლკლორის, მუსიკაში ტრადიციული საკრავების, ხოლო მხატვრობაში მკვეთრი ფერების და სპეციფიკური ორნამენტის გამოყენება.

„ჰარლემის რენესანსის“ ლიტერატურა აგებულია ზოგადსაკაცობრიო საკითხების განხილვაზე. ესაა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, თეთრსა და შავს, სიმართლესა და უსამართლობას შორის, მაგრამ აქ ჩნდება თვითმყოფადი ფორმები, დამახასიათებელი მარტო აფროამერიკული სუბკულტურისათვის. მაგ., ჯაზპოეზია, სადაც პოეზიაში შემოდის ფრაზათა გადანყოფის ახალი პრინციპი, სადაც დარღვეულია გრამატიკული წესები და ფრაზის სტრუქტურა, მაგრამ ხაზი გაესმის ლექსის იდეურ შინაარსს (ე.ე.კამინგსი). ჯაზპოეზია 50-იან წლებში აითვისეს ბიტნიკმა მწერლებმა, მაგ., ჯექ კერუაკი ხშირად მართავდა ლიტერატურულ პერფორმანსებს, სადაც ლექსებს მუსიკის თანხლებით კითხულობდა.

„ჰარლემის რენესანსის“ პერიოდის მწერლებისათვის უმთავრესი მაინც რასობრივი პრობლემა იყო და მთავარი მიზანი საკუთარი ღირსების დაცვა და წინ წამოწევა. მაგ., დ. დებოისი მიიჩნევდა, რომ აფროამერიკული ლიტერატურა ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანიდან „ბიძია თომას ქოხი“ იღებდა სათავეს და აღნიშნავდა, რომ „ამ წიგნმა მე შემანჯღღრია ისე, როგორც მიწისძვრამ“. ამავე აზრს იზიარებდნენ სხვა გამორჩეული ჰარლემელი მწერლებიც ჯ.ც.ჯონსონი და ლ. ჰიუზიც (Watson 1995: 66).

ჯეიმს ველდონ ჯონსონი ჰარლემში 1914 წელს ჩავიდა. ლიტერატურული კარიერა პუბლიცისტიკით დაიწყო, გახდა რა 20-იან წლებში პირველი აფროამერიკული ყოველდღიური გაზეთის „The

New York Age"-ის გამომცემელი. სარედაქტორო საქმიანობის პარალელურად იგი ლექსებსაც აქვეყნებდა. მის ნაწარმოებებს ახასიათებს ტრადიციული ლექსთწყობა, მუსიკალური ჟღერადობა და აფროამერიკული დიალექტისათვის დამახასიათებელი ბგერათა ასიმილაცია. განსაკუთრებით საინტერესოა მისი პროზაული ნაწარმოები „The Autobiography of the Ex-coloured Man“. მასში ის წარმოჩნდა როგორც ალტერნატიული ფასეულობების და მიდგომების მაძიებელი ადამიანი, სადაც ის ცდილობდა მოვლენები შეეფასებინა არა საკუთარი რასის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ გარეშე თვალით დაენახა სინამდვილე. ჯონსონმა თამამი დასკვნები გააკეთა რასობრივი დისკრიმინაციის და სოციალური თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. ერთის მხრივ, ის აკრიტიკებდა თეთრკანიანი საზოგადოების თვითკმაყოფილებას და მათი კულტურის დომინანტურ სტატუსს, მაგრამ აღიარებდა იმ ფაქტსაც, რომ მრავალსაუკუნოვანი მონობის შედეგად აფროამერიკული კულტურის იმპულსები შესუსტებული და ძნელად აღსადგენი იყო. იგი საშიშროებას ხედავდა „ახალი ზანგების“ მოძრაობაშიც, ვინაიდან მას შეეძლო რასა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადაეყვანა, რაც დამღუპველი იქნებოდა აფროამერიკელებისათვის: მიიყვანდა მათ თვითკმაყოფილებამდე და მათი ზენარმომავლობის შესახებ რწმენამდე. ჯონსონი სოციალური პრობლემების უმთავრეს საფუძვლად ამერიკის იმპერიალისტურ ხასიათს მიიჩნევდა. ჯ.ვ. ჯონსონმა გამორჩეული ადგილი დაიკავა არა მარტო აფროამერიკულ, არამედ ზოგადად მთელს ამერიკულ ლიტერატურაში, რადგანაც მისი თეორიული მსჯელობები თავისი ხასიათით უნივერსალურია და არა მხოლოდ აფროამერიკული სუბკულტურის ნორმებს ერგება.

აფროამერიკელ მწერალთა ერთ-ერთი გამორჩეული სახეა ლენგსტონ ჰიუზი. იგი 20-იან წლებში ჩამოვიდა ჰარლემში და 1925 წლიდან დაუახლოვდა „ახალი ზანგების“ მოძრაობას, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს მათი კონცეფცია, ესაა საკუთარი

თავისა და წარმომავლობის განსაკუთრებულობის რწმენა, რადიკალიზმი და ოპტიმიზმი. მიზანდასახულობა და მიზნის მიღწევის გზების ძიება თავს იჩენს მის ლექსებში, თუმცა აქვე იგი გვთავაზობს სოციალური პრობლემების მისეულ ხედვას და გადაჭრის გზებს.

„ახალი ზანგების“ მოძრაობის კონცეფციისაგან განსხვავებით, რომელიც აფროამერიკული რასის სამშობლოდ აფრიკას აღიარებს და ცდილობს მასთან კავშირის შენარჩუნებას, რაც გამოიხატა არამარტო ფოლკლორული ტრადიციების პროპაგანდით, არამედ შთაგონების წყაროს ძიებით აფრიკულ მოტივებში, ლ. ჰიუზი იმდენად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს აფროამერიკელთა სამშობლოს – აფრიკას, იგი მიიჩნევდა, რომ აფროამერიკული რასის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოცემულობა ამერიკა იყო. მისი აზრით, მთავარი იყო დამკვიდრება არა იმ კონტექსტში, რომელშიც აფროამერიკული რასა იყო ჩაგრული და დისკრიმინირებული, მარადიული ტანჯვისათვის განწირული უცხო მიწაზე, არამედ ძლიერი, თვითმყოფადი ამერიკის სრულუფლებიანი მოქალაქის რანგში და ამას გამოხატავდა კიდევ თავის პოეზიაში. დემოკრატიული შეხედულებების გამო იგი ამერიკული საზოგადოების ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი იყო. მისი „ხვალინდელი დემოკრატიის“ იდეა „Democracy will not come today, this year, not ever through compromise and fair. Freedom is a strong seed planted in a great need. I live here too. I want freedom just as you” (Hughes 1973: 13) არამარტო ანტირასისტული მოძრაობის, არამედ 50-იანი წლების თაობის მთავარი დევიზი გახდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის მწერლებმა მაინც ვერ მოახერხეს გამოემუშავებინათ ჩამოყალიბებული ლიტერატურული სტილი, პირიქით, მათ შემოქმედებაში შეინიშნება ფორმათა მკვეთრი გამარტივების ტენდენცია, რაც, შესაძლებელია, მათი აუდიტორიის ინტელექტუალური შესაძლებლობებით იყო განპირობებული. მიუხედავად კულტურული ცხოვრების მკვეთრი აღმავლობისა, ამ პერიოდში აფროამერიკელთათვის მაინც

მიუწვდომელი იყო სისტემური განათლება. თუმცა თანამედროვე კრიტიკას მიაჩნია, რომ, შესაძლებელია, ეს შეუსაბამობა გამოწვეული იყოს მათი მიზნების დუალისტური ხასიათით, როცა ერთმანეთს ეჯახებოდა, ერთის მხრივ, აფრიკული რასის განსაკუთრებულობის პროპაგანდის აუცილებლობა და, მეორეს მხრივ, „წმინდა“ ხელოვნების პარადიგმა.

20-30-იანი წლები არ წარმოადგენდა მარტო ჯაზის, კლუბური ცხოვრების და ბროდვეის მიუზიკლების პოპულარობის პერიოდს, მან არამარტო გადაატანინა საზოგადოებას დეპრესიის წლები, არამედ დიდი კვალი დააჩინა თავად ამერიკელთა აზროვნებას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომელიც ამ პერიოდში შეიქმნა. მცდელობა იმისა, რომ არსებული რეალობის და დომინანტური კულტურისაგან დამოუკიდებლად შეექმნათ ახალი, საკუთარი კულტურა, დღესაც რჩება აღფრთოვანებისა და შთაგონების წყაროდ. ჰარლემი კვლავ რჩება რწმენისა და მიზანდასახულობის სიმბოლოდ. ასევე იმის დასტურად, რომ კულტურული დიალოგის გზით შესაძლებელია მთელი რიგი პრობლემების მოგვარების ხელშეწყობა, ამ შემთხვევაში უკიდურესი ჩაგვრა და დისკრიმინაცია. იგი იქცა განახლების, თავისუფლების, აღორძინების სიმბოლოდ.

20-40-იანი წლების აფროამერიკულმა სუბკულტურამ დაგვანახა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერთიანი, მონოლითური ამერიკული კულტურის ჩამოყალიბებაში, მისცა მას ახალი იმპულსები, რაც გამოიხატა ახალი კულტურული ფორმების დამკვიდრებით, თუმცა მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული ჯგუფის, ამ შემთხვევაში აფროამერიკელთა თვითრეალიზაციასა და თვითდამკვიდრებაზე, თვითგამოხატვაზე ორიენტირება, რაც არის კიდევ სუბკულტურის არსი. დომინანტური კულტურა სუბკულტურების ხარჯზე იმდიდრებს თავს და მათ შორის მუდმივად მიმდინარეობს ურთიერთზემოქმედების პროცესი. აფროამერიკული სუბკულტურის აღმავლობამ ამ პერიოდ-

ში ხელი შეუწყო როგორც რასის კულტურულ წინსვლას, ისე მის ინტეგრაციას ამერიკულ საზოგადოებაში.

დამოწმებანი:

- კაჭარავა, ვ. *ამერიკა 20-იან წლებში*. თბ., 2008.
- შადური, გიორგი. *ლენგსტონ ჰიუზი: გზა პროტესტიდან სულიერებამდე: აფროამერიკული ისტორიის კონტექსტში*. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. შავი ზღვის უნივერსიტეტი. თბ., 2010. www.ibsu.edu.ge
- Baldwin, E. *Introducing Cultural Studies*. New York: Prentice Hall, 2004.
- Dennep, J. *Subcultures*. New York: Columbia University Press, 2002.
- Frazier, E.F. *Black Bourgeoisie*. London: The Free Press. 1957
- Gelder, K. Thomson S. *Club Cultures: Music, Media and Subcultural Capital*. Boston: University Press of New England. 1996.
- Gelder, K. Thomson S. *The Subcultural Reader*. Abington: Routledge Publisher, 1997.
- Huggins, I. N. *Harlem Renaissance*. London Oxford University Press: 2000.
- Hughes L. *Good Morning Revolution. Uncollected Social Protest Writings* , Laurence Hill, 1973
- Pierson, D. *Black Yankees: The Development of an Afro-American Subculture*. Boston: Massachusetts University Press, 1983
- Watson, S. *The Harlem Renaissance*. New York: Phantom Books, 1995.

RUSUDAN MIKAUTADZE

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

MARIAM MIKAUTADZE

Kutaisi Public School #21, Teacher

**INTERACTION BETWEEN THE USA DOMINANT CULTURE
AND AFRICAN-AMERICAN SUBCULTURE
20 – 40-IES OF THE 20TH CENTURY**

SUMMARY

The USA dominant culture is a mixture of various ethnic cultures. However, African-American subculture occupies a special place with its political and social character, originality, determination and linguistic uniqueness.

The rise of African-American subculture begins in the 20-ies of the 20th century when black intellectuals decided to create a new image of their people, their new aesthetic spirit. Their goal was to make Africa as a source of pride and inspiration, to create a black hero – a freedom-fighter and realize themselves in various fields of culture, inculcate traditional African forms and folk in literature, use folk music and traditional instruments in their new music and vivid colors and specific ornaments in paintings.

Cultural advancement of African Americans in the 20-40-ies of the 20th century gave to the USA dominant culture the “Jazz Era” and “Harlem Renaissance”. It became the means of self-expression and one of the reasons for fighting against segregation and discrimination. This subculture enriched the USA dominant culture with its unique nature, introduction of new genres in literature, focusing on folklore motives, new musical forms and improvisation.

ავთანდილ ნიკოლაიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

გრიგოლ რობაქიძე და ამერიკაში მოღვაწე ქართველი მწერლები

გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წწ.) ცხოვრების ემიგრანტული პერიოდი არა მარტო შემოქმედებითი თვალსაზრისითაა უაღრესად საინტერესო, არამედ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეებთან მწერლის პიროვნული ურთიერთობის თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, გრ. რობაქიძე ემიგრაციაში 1931 წელს წავიდა და ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე აქტიურად იყო დაკავშირებული ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. ამ ქვეყნებს შეხიზნულ ქართველ ემიგრანტებთან გრ. რობაქიძის პირად მიმონერას, რომლისგანაც დღესდღეობით მხოლოდ ნაწილია ცნობილი და ხელმისაწვდომი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის როგორც პირადი ცხოვრების უკეთ შესაცნობად, ისე ლიტერატურული მრწამსისა და მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის არსში უფრო საფუძვლიანად გასარკვევად.

გრ. რობაქიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ამ მემკვიდრეობის თავად ავტორისეული შეფასებაც ნათლად ადასტურებს. კერძოდ, მისივე თქმით, იგი მეგობრებისთვის გაგზავნილ პირად წერილებს მხოლოდ ადრესატებისთვის გასაცნობად კი არ წერდა, არამედ მომავალში მისი მოღვაწეობით დაინტერესებულ მკვლევართათვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციათა მისაწოდებლადაც.

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ქვემოთ შევეცდები მკითხველის ყურადღება გრ. რობაქი-

დის იმ ბარათებს მივაპყრო, რომელთა მეშვეობითაც მას ამერიკის კონტინენტზე დამკვიდრებულ ქართველ ემიგრანტებთან ჰქონდა დამყარებული საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა აკაკი პაპავასადმი (1890-1964 წწ.) გაგზავნილი წერილები.

ა. პაპავასთან და მის ოჯახთან გრ. რობაქიძის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი ჯერ კიდევ საქართველოში ჩაეყარა და ემიგრანტობის პერიოდში კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა. ა. პაპავა ემიგრაციაში 1921 წელს წავიდა და 1949 წლამდე გერმანიაში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში შექმნილი მისთვის არასასურველი პოლიტიკური ვითარების გამო კი მწერალი იძულებული გახდა არგენტინაში გადასახლებულიყო. ა. პაპავა გამონაკლისი არ ყოფილა და უსაფრთხოების მიზნით არგენტინას მაშინ სხვა ქართველმა ემიგრანტებმაც შეაფარეს თავი.

არგენტინაში ქართველ (და არა მარტო ქართველ) ემიგრანტთა გარკვეული ნაწილის გადასახლება იძულებით მიღებული გადაწყვეტილება იყო. როგორც ცნობილია, გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები, რომელნიც ნაცისტური ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობით დამოკიდებულებაში იყვნენ შემჩნეულნი, ომის დამთავრების შემდეგ რეალურად დადგნენ იმ საშიშროების წინაშე, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით მათ საბჭოთა კავშირში დააბრუნებდნენ, სადაც სამშობლოს ღალატის ბრალდებით გაასამართლებდნენ და უმკაცრესად დასჯიდნენ. ევროპის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ საფრთხისაგან მაშინ ჩვენი ემიგრანტების დაცვა შეეძლო, შვეიცარია იყო, რომელსაც, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოს, მეორე მსოფლიო ომში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ მას საზღვარი ისე მტკიცედ ჰქონდა ჩაკეტილი, რომ იქ გადასვლა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა.

როგორც გრ. რობაქიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ირკვევა, ზემოთ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, ევრო-

პიდან არგენტინაში გახიზვნას მაშინ ისიც აპირებდა, მაგრამ ხ. შავიშვილის დახმარებით მწერალს, მის მეუღლესა და მათ შვილობილს შვეიცარიაში არალეგალური გზით გადასვლა მოუხერხებიათ, იქაური ხელისუფლებისთვის თავშესაფარი უთხოვიათ და ლტოლვილთა სტატუსით ამ ქვეყნის ბინადარი გამხდარან.

ომის შემდგომ პერიოდში გერმანიიდან არგენტინაში ქართველ ემიგრანტთა მიგრაციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის ფაქტი იქცა, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლება, მათი პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პოლიტიკურად დევნილ უცხოელ მოქალაქეებს ოფიციალურად აძლევდა არგენტინაში ცხოვრების უფლებას. ასე გახდნენ აკაკი პაპავა, მისი ოჯახის წევრები და გრიგოლ რობაქიძის კიდევ ერთი მეგობარი, ცნობილი რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე 1949 წლიდან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესის ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ლომას დე სამორას ბინადარი.

არგენტინაში გადასასახლებლად აქტიური მზადება გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ნაწილს ომის დამთავრების შემდეგ დაუწყია. მიუხედავად საცხოვრებლად შვეიცარიაში გადასვლისა და ამ ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებით ოფიციალური ნებართვის მიღებისა, ევროპაში იმხანად შექმნილი არასასურველი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ამ ნაბიჯის გადადგმას გრ. რობაქიძეც აპირებდა. მაგალითად, 1948 წლის 25 ივლისს ა. პაპავასთვის გაგზავნილ წერილში იგი წერდა: **„ვიზა არგენტინისთვის: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ – ვემზადოთ ევროპის დატოვებისათვის... არგენტინაში გადასახლება შენთვისაც ძნელია და ჩემთვისაც – მაგრამ სხვა რა დაგვრჩენია?! წარმოვიდგინოთ: ატყდა ომი. პირველი ტალღა საბჭოთა ურდოების წალეკავს ევროპას – ეს მოსალოდნელია. შემდეგ – იმაშიც დარწმუნებული ვარ – ამ ტალღას ისე უკუაქცევენ ანგლო-ამერიკელები, რომ მთელი საბჭოეთისაგან კვალიც აღარ დარჩება – მაგრამ პირველ მოვარდნას საბჭოთა ზვავისა ვერც შენ გადაურჩები და ვერც მე. მჯერა: შენი აზ-**

რიც ასეთია. ვიზის ვადა გეცოდინება, ორი წელია – გვექონდეს, თუ გვარგუნეს: **ვიყოთ მზად გადახვეწისთვის. ასე სჯობია**“ (ხაზგასმა ჩემია – ა. ნ.) (რობაქიძე 2012, I: 436).

იმხანად ბერლინიდან ნიუ-იორკში უკვე გადასახლებულ მის უფროს მეგობარს, 1911-1915 წლებში გაზეთ „თემის“ რედაქტორ-გამომცემელს გიგო (გრიგოლ) დიასამიძეს (დაიბადა 1870 წელს, ემიგრაციაში წავიდა 1921 წელს, თავდაპირველად ცხოვრობდა პარიზსა და ბერლინში, შემდეგ – ნიუ-იორკში. გარდაიცვალა 1960 წელს) კი წერდა: „ჩვენი აქ „გამოქცევა“ მონაყო ერთმა ქართველმა. დაწვრილებით – შეხვედრისას... ჩვენ არ ვაპირებთ დავტოვოთ ევროპა – **ვიზისათვის (არგენტინაში გადასასახლებლად) მაინც ვზრუნავთ (ყოველ შემთხვევისათვის)**“ (რობაქიძე 2012, I: 584).

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში ცხოვრების შედეგად გრ. რობაქიძემ ზემოთ აღნიშნული საშიშროება თავიდან აიცილა და არგენტინაში გადასახლება საჭირო აღარ გახდა, იგი ამ ქვეყანაში ცხოვრებით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ყოფილა ორი უმთავრესი მიზეზის გამო. პირველი, იმიტომ, რომ ფაქტობრივად სრულიად უცხო გარემოში, ქართველი ემიგრანტებისაგან იზოლირებულად, უწევდა ცხოვრება და ამ ვაკუუმს მხოლოდლა მათთან წერილობითი ურთიერთობით ივსებდა; და მეორე, როგორც პოლიტიკურ ლტოლვილს, შვეიცარიის ხელისუფლებისაგან წერილობითი პირობა ჰქონდა ჩამორთმეული, პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას რომ არ მიიღებდა.

ხსენებულ გარემოებათა გამო, გრ. რობაქიძეს არგენტინაში გადასახლებაზე ფიქრი არც ზემოთ აღნიშნული საფრთხის გავლის შემდეგ შეუწყვეტია, მაგრამ ამ გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისაგან საბოლოოდ მაინც შეუკავებია თავი. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით ა. პაპავას 1950 წელს: „შეძლება რომ მქონდეს, გადმოვსახლდებოდი მანდ – შევუერთდებოდი შენს კერას და ამით ადვილად ჩავატარებდი უკანასკნელ დღეებს ამ სოფლად (ხომ იცი, ხანშიშესულისათვის ძნე-

ლია ახალი მეგობარის მოპოვება – მგონია, შეუძლებელიცაა). საღამოობით მოვუსხდებოდი სუფრას და ვიოცნებებდით და-კარგული სამშობლოს ირგვლივ. არაა ფული – ეს „ჭუჭყი ხელი-სა.“ რა ვქნათ?“ (რობაქიძე 2012, I: 443).

მეორეგან კი პიროვნული სიმარტოვითა და თანამემამულეთაგან იზოლირებულად ცხოვრებით განპირობებულ სულიერ სასონარკვეთას მის გაარგენტინებულ მეგობარს ამ სიტყვებით უმჟღავნებდა: „ექვსი წლის წინეთ დავცილდით ერთიმეორეს: შენ და მე. მოვესწრებით კიდევ ერთმანეთთან შეხვედრას? ძალიან მეეჭვება. ჩვენი დროის საშინელება ესაა: ცოცხალნიც და-კარგულნი ვართ ერთიმეორისათვის. ახალი მეგობრის „მოგება“ ძალიან ძნელია ხანშიშესულისათვის, თუ არ სრულიად შეუძლებელი... შენც რომ აქ იყვე შენი სახლობით, ჩემი დღევანდელი ყოფა გამიმსუბუქებოდა. აქ მხოლოდ ორიოდ ქართველია – ერთიმეორეს ხშირად ვერ ვნახულობთ. მიხეილ წერეთელი რომ მაინც იყვეს აქ – მისთვისაც, ტანჯულისათვის, კარგი იქნებოდა ჩემთან ახლო ყოფნა... სამშობლოს მონყვეტილნი, უცხოეთშიაც მონყვეტილნი ვართ ერთიმეორისაგან. ქვეყანა საგიჟედ იქცა დღეს – რა მოგველის, სად ვიპოვოთ ნუგეში?“ (რობაქიძე 2012, I: 441).

არგენტინაში გადასახლებაზე საოცნებოდ იმპულსს გრ. რობაქიძეს ისიც აძლევდა, რომ იმ ქვეყანას შეხიზნული ქართველი ემიგრანტები თავიანთ საქმიანობაში შეზღუდულნი არ იყვნენ და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებშიც ერთვებოდნენ აქტიურად. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ა. პაპავასთვის 1950 წლის 7 დეკემბერს გაგზავნილი ბარათის ეს ფრაგმენტი: „გავიგე: შენ და ვ. ნოზაძეს მანდ პოლიტიური ტონი აგილიათ გამოსვლებში. ამ ამბავმა შემაშინა. აქ, ევროპაში, პოლიტიური ატმოსფერო საგრძნობლად მოიღრუბლა. უნდა იცოდე ესეც: შვეიცარიის უწყებებს აქვთ ჩემი წერილობითი აღთქმა: არ მივიღო მონაწილეობა არავითარ პოლიტიკაში. მიზანში აღებული ვარ ბევრისაგან. მეშინია, მავნოს ჩემმა მონაწილეობამ

არგენტინაში გამოსულ კრებულში (იგულისხმება ვ. ნოზადის რედაქტორობით ბუენოს-აირესში 1951-1953 წლებში გამოცემული ქართული ჟურნალი „მამული“ (გამოვიდა სულ ექვსი ნომერი), რომლის მასალების შესაგროვებლად და გამოსაცემად იმხანად უკვე მიმდინარეობდა აქტიური მზადება – ა. ნ.). შესაძლოა არ მავნოს, მაგრამ, შენ იცი, „ფიქრი“ ერთია და „იჭვი“ კიდევ სხვა. ამ „იჭვსაც“ ვძლევდი, რომ ლენა (მწერლის მეუღლე – ა. ნ.) არ მყავდეს ავად ასე მძიმედ. გულის ტკივილით გწერ ამ სიტყვებს. ნუ დამემღურები. კიდევ მეტი: შემებრალე, ეხლა სიფრთხილე მმართებს მე... გწერ როგორც უფროსი ძმა უმცროს ძმას... ყოველი ჩემი ბარათი ამ ჟამად „ანდერძია“ და ანდერძის დამწერის გულწრფელობა წმინდაა. ვეღარ მიცნობ, რომ მნახო – ისე ვარ განადგურებული... ჩაუკვირდი ღრმად ჩემს ეხლანდელ ყოფას. ხშირად ცრემლებს ვღვრი ჩუმად“ (რობაქიძე 2012, I: 443).

აქტიური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პროცესებისაგან იძულებითი განდგომის მიუხედავად, გრ. რობაქიძე თვითიზოლიაციაში მაინც არ მოქცეულა და არა მარტო უბრალოდ ადევნებდა თვალს ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ საქმიანობას, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა მასში. ამ თვალსაზრისით მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კ. სალიას მიერ პარიზში 1948 წელს ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დაარსებისა და გამოცემის საქმეში.

ამერიკის კონტინენტზე, არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, 1951 წელს პირველი ქართული ბეჭდური ორგანოს – ჟურნალ „მამულის“ გამოცემას კი ა. პაპავასთვის 1951 წლის 15 ივლისს ჟენევიდან გაგზავნილი წერილით ამგვარად გამოეხმაურა: „ძვირფასო აკაკი! მივიღე „მამული“, 1 და 2 რვეული; მივიღე რედაქციისაგანაც – გადაეცი მადლობა ვიქტორ ნოზაძეს... ქართული კერა გაგიმართავთ არგენტინაში – ქართული ცეცხლი უცხოეთშიაც არ ჩაქრება. წავიკითხე წერილები: შენი, თამარის (იგულისხმება ა. პაპავას მეუღლე – ა. ნ.), ვიქტორის. ვიგზნე გადაჭრილი ფესვები მამულისა, რო-

180

მელნიც ტკივილად ირხევინ დღესაც ქართველობაში. ქართულ კერასთან ამ ტკივილის გადატანა არა თუ ადვილია, იგი ნაყოფიერიცაა. ეს კერა რომ იყოს აქ, ადვილად გადავიტანდი ჩემს უბედურებასაც“ (რობაქიძე 2012, I: 446).

გარდა ჟურნალ „მამულისა,“ არგენტინაში 1952 წელს ქართულ ენაზე მეორე პერიოდული ორგანოც გამოვიდა ა. პაპავას ძალისხმევითა და რედაქტორობით – სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საგანგებო რვეული „სახალხო საქმე.“ როგორც ცნობილია, ა. პაპავა ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების პერიოდში იყო ამ პარტიის აქტიური წევრი და თავისი პარტიული მოღვაწეობა მან ემიგრაციაში ყოფნის დროსაც განაგრძო. ხსენებული გაზეთიც, რომელიც ერთჯერადი გამოცემა იყო, ამ საქმიანობის გაგრძელებას წარმოადგენდა. დასახელებული გამოცემისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში გამოქვეყნებულ წერილებში ჩვენს ეროვნულ ყოფასთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხები იყო უმთავრესი განსჯის საგნად ქცეული. ა. პაპავასთვის 1952 წლის 30 დეკემბერს გაგზავნილი წერილით გრ. რობაქიძე ამ მოვლენასაც გამოეხმაურა ოპერატიულად და მას ასეთი შეფასება მისცა: „სახალხო საქმე.“ მომივიდა. გმადლობ! ძალიან კარგადაა შედგენილი. გამოცემა მისი სამამულიშვილო აქტად ჩაგეთვლება. ჩემს წერილში ერთი ბეჭდვითი შეცდომაც არაა“ (რობაქიძე 2012, I: 448).

გრ. რობაქიძე ა. პაპავასათვის მიწერილ ბარათებში მისი და მისი მეუღლის – თამარ პაპავას არგენტინული პერიოდის შემოქმედებასაც და იქ გამოცემულ მათ წიგნებსაც აძლევს სათანადო შეფასებას. მაგალითად, 1956 წლის 20 ივნისს გაგზავნილ წერილში ამასთან დაკავშირებით წერდა: „მივიღე თქვენი თხზულება **„მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“** (იგულისხმება აკაკი და თამარ პაპავას ერთობლივი ავტორობით ბუენოს-აირესში 1956 წელს გამოცემული ამ სახელწოდების წიგნი – ა. ნ.). გმადლობთ! მივიღე თანვე შენი წიგნი,

აკაკი: „**უცხო ჭიშკართან**“ (იგულისხმება 1956 წელს ა. პაპავას მიერ ბუენოს-აირესში გამოცემული ამ სახელწოდების პოეტური კრებული – ა. ნ.). გმადლობ! (გადაეცით ლეოს: ყდა პირველისა კარგია, ყდა მეორესი შესანიშნავი! დიდი ოსტატობა გამოუჩენია) (იგულისხმება ა. და თ. პაპავების სიძე, მხატვარი ლეო ქვიშვილი – ა. ნ.). რასაკვირველია, ორივეს დიდი ინტერესით ნავიკითხავ. ორივეს შესახებ მოგწერთ ორიოდ სიტყვას მაინც“ (რობაქიძე 2012, I: 450).

გრ. რობაქიძე მართლაც ასრულებს პირობას და იმავე წლის 23 დეკემბერს ა. პაპავას თავის მოსაზრებას ხსენებულ პოეტურ კრებულთან დაკავშირებით ამ სიტყვებით აუწყებს: „შენი წიგნაკი, წიგნაკი შაირთა, ნავიკითხე: ნავიკითხე ორჯერ. წერილში, რომელიც დართული აქვს წიგნაკს, შენ **ძალიან მკაცრად** ექცევი შენს შაირებს – არც შენს თავს ზოგავ“ (რობაქიძე 2012, I: 452).

მიუხედავად იმისა, რომ გრ. რობაქიძე ა. პაპავას პოეტურ კრებულში დაბეჭდილი ლექსების შესახებ კონკრეტულად არაფერს ამბობს, კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ იგი მისი მეგობრის პოეზიაზე საკმაოდ მაღალი აზრისა იყო.

კიდევ უფრო დიდი შეფასება მისცა გრ. რობაქიძემ ა. პაპავას მომდევნო პოეტურ კრებულს – „1500 წლოვან თბილისს,“ რომელიც პოეტმა სამხრეთ ამერიკის მეორე ქვეყნის – ჩილეს დედაქალაქ სანტიაგო-დე-ჩილეში გამოსცა 1960 წელს. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ქართული წიგნები, გარდა ბუენოს-აირესისა, სანტიაგო-დე-ჩილეშიც გამოდიოდა, რაც ჩილეში იმხანად მოღვაწე ქართველი მრეწველისა და ბიზნესმენის – ავთანდილ მერაბაშვილის დაფინანსებითა და აქტიური მონაწილეობით ხდებოდა. კერძოდ, სწორედ მისი პიროვნული ძალისხმევით გამოიცა ამ ქვეყნის დედაქალაქში ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნაშრომების სამი ტომი: 1. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთ მეტყველება (1957 წ.), 2. ვეფხისტყაოსნის მზის მეტყველება (1959 წ.) და 3. ვეფხისტყაოსნის 182

საზოგადოებით მეტყველება (1959 წ.), ასევე, გ. გამყრელიძის „გვიანი რთველი“ (1960 წ.) და სხვა წიგნები.

1960 წლის 8 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში გრ. რობაქიძე ა. პაპავას, რომელსაც „სამშობლოსადმი სიყვარულით ანთებულ მამულიშვილსა“ და „მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეს“ უწოდებდა, ზემოთ მოხსენიებულ მის კრებულთან დაკავშირებით წერდა: „ეს წიგნი შედარებით შენს წინა წიგნთან – „უცხო ქიშკართან“ – უფრო პოეტურად მეჩვენება. ყდა ლეოსი ძალიან მოხდენილი და ლამაზია“ (რობაქიძე 2012, I: 453).

მიუხედავად იმისა, რომ გრ. რობაქიძე ამერიკაში მცხოვრები მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებში ხშირად საუბრობს თავის სულიერ სასონარკვეთასა და დეპრესიაზე, იგი საკუთარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც არაერთგზის უსვამს ხაზს ყოველგვარი მოკრძალების გარეშე. მაგალითად, ა. პაპავასთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „მე სამშობლოს წინაშე მოვალეობა მოვიხადე!.. ჩემი წიგნი ანდერძია ქართველთა მიმართ, ხოლო მსოფლიოს მიმართ – **ადმოჩენაა**“ (ხაზგასმა ავტორისაა – ა. ნ.) (რობაქიძე 2012, I: 450).

საკუთარი ლიტერატურული ღვაწლის მეტი დამაჯერებლობით წარმოსაჩენად გრ. რობაქიძის პირად მიმონერაში დროდადრო მისი შემოქმედების შემფასებელთა მოსაზრებანიცაა ხოლმე კონკრეტულად დამონმებული. მაგალითად, გ. გამყრელიძეს 1962 წლის აგვისტოში წერდა: „1908 წელს წავიკითხე (წარმოვთქვი) ლექცია აკაკიზე. ილია ზურაბიშვილმა ამ ლექციას წერილი მიუძღვნა ამ სათაურით: „ამომავალი მზე.“ 1909 წელს წავიკითხე (წარმოვთქვი) ლექცია ნიკო ბარათაშვილზე. არჩილ ჯორჯაძემ, გაკვირვებულმა ჩემი ქართულით, ამ ლექციას ვრცელი წერილი უძღვნა, რომელიც შემდეგ შევიდა კრებულში მისი ნაწერებისა. 1911 წელს წავიკითხე (წარმოვთქვი) ლექცია ნიცშეზე. აკაკიმ ამ ლექციას გაზეთ „თემში“ უძღვნა წერილი, რომელიც ასე იწყებოდა: „ან განუტევე, მეუფეო, მო-

ნა შენი.“ გენიალური ინტუიციით წვდა აკაკი ფესვებს სწორედ იმისა, საითგანაც მე ვინყე გამოსვლა... გავრცელდა სიტყვა ჩემზე კოტე ბაქრაძისა: „სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული – გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა“ (რობაქიძე 2012, II: 57).

გარდა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა მიერ გამოთქმული ამგვარი შეხედულებებისა, გ. გამყრელიძისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გრ. რობაქიძე მისი შემოქმედების უცხოელ შემფასებელთა მოსაზრებებსაც იმონმებს და მის ემიგრანტ კოლეგას ასეთ ინფორმაციას აწვდის: ომის წინა წლებში შვედური ჟურნალის – „IDUN“ მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის დროს, როცა რესპოდენტებად მიწვეულ ცნობილ ავტორებს „ჩვენდროინდელი ლიტერატურის სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი უნდა დაესახელებინათ,“ ერთ-ერთმა მათგანმა – შვედმა მწერალმა ნენანდერ ნილსონმა ასეთ ნაწარმოებად მისი „ჩაკლული სული“ მიიჩნია (რობაქიძე 2012, II: 64).

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შემოქმედების ამგვარი განდიდების მაგალითები გრ. რობაქიძის პირად მიმონწერაში ადრეც გვხვდებოდა, მათმა რაოდენობამ განსაკუთრებით მაინც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმატა. ეს გარემოება იმ გულგრილმა დამოკიდებულებამაც განაპირობა მნიშვნელოვანწილად, რომელსაც ევროპის ლიტერატურული საზოგადოების დიდი ნაწილი გამოხატავდა ომის შემდგომ პერიოდში მისი, როგორც ჰიტლერიანელ მწერლად სახელდებული ავტორის, მიმართ.

ჰიტლერის მეხოტბე მწერლად გრ. რობაქიძის მიჩნევის საფუძვლად კი 1939 წელს გერმანულ ენაზე გამოსული მისი ის წიგნები იქცა, რომლებშიც გერმანული და იტალიური ფაშიზმის ლიდერების – ჰიტლერისა და მუსოლინის პოლიტიკური ღვაწლი იყო განდიდებული. განსხვავებით ომისდროინდელი ვითარებისაგან, როდესაც გერმანიაში მცხოვრები მწერალი ამ წიგნების გამოცემის გამო გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომა-

რეობაშიც იმყოფებოდა, მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ მას, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გერმანიაში ცხოვრების უფლებაც კი აღარ ჰქონდა. სწორედ ამის გამო გახდა იგი იძულებული ეს ქვეყანა დაეტოვებინა და საცხოვრებლად შვეიცარიაში გადასულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიას თავშეფარებულმა გრ. რობაქიძემ პოლიტიკურ დევნას თავი დააღწია, ზემოთ ხსენებული წიგნების ავტორობამ მის მწერლურ რეპუტაციაზე იმდენად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, რომ მისი შემოქმედება თითქმის მთლიანად აღმოჩნდა გარიყული ევროპული ლიტერატურული ცხოვრებისგან. მწერლის აქტიურ მცდელობას, როგორმე გაერღვია მის წინ აღმართული ეს ჯებირი, შედეგი არ მოჰყოლია.

ამერიკაში მცხოვრები მეგობრებისადმი გაგზავნილი გრ. რობაქიძის წერილები საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ იგი ამ საკითხზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, გიგო დიასამიძეს წერდა: „მივიღე შენი ბარათი – 18-8. 1948 თარიღით. პარიზითგან გადმომიგზავნა კ. სალიამ. ვერა მოგწერე რა ამ სამი წლის განმავლობაში, რადგან მეგონა: თითქოს ჩემს სახელს „ერიდებოდი“ მანდ. შენს ბარათში ხ. შავიშვილისადმი ნათქვამი იყო მოკითხვა მანდ მყოფ ქართველებსო – „სხვა“ დროს ჩემს სახელს უთუოდ ახსენებდი. „სარიდი“ კი არა იყო რა: მე ჩემს გერმანელ მეგობრებთან და ნაცნობებთან მიწერმოწერა სრულიად „თავისუფლად“ მაქვს გამართული... ჩემი ცნობილი წიგნი, რომელმაც არასასურველი ატმოსფერო შექმნა ჩემი სახელის გარშემო, ვერ იქნა ნამდვილად გაგებული ვერც მომხრეთა ბანაკში იქ გამოყვანილი პიროვნებისა და ვერც მის მოწინააღმდეგეთა შორის“ (რობაქიძე 2012, I: 582).

გიორგი გამყრელიძეს კი 1955 წლის 18 იანვარს შესწიოდა: „ხუთი წელი შესრულება თებერვალში ჩემი ცოლის ავად-გახდომითგან. ისიც საკვირველია, რომ ჯერ კიდევ ვუძღვებ თავს დატეხილ უბედურებას! ამას თან ერთვის ლიტერატურული „გა-

ნაპირება,“ გამოწვეული ჩემი წიგნით ჰიტლერზე. ჯერ კიდევ მაგრადაა ამართული „ჯებირი“ (რობაქიძე 2012: 43).

მწერალს ევროპული ლიტერატურული სამყაროსაგან სწორედ მისი ამგვარი „განაპირების“ შედეგად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ იმხანად უკვე გამოსაცემად გამზადებულ მის ახალ წიგნებს არც ერთი გამომცემლობა აღარ ლეზულობდა დასაბეჭდად.

გერმანელ ფაშისტებთან თითქოსდა სიახლოვის გამო გრ. რობაქიძეს ომის შემდგომ პერიოდში არა მარტო ევროპულ ლიტერატურულ სამყაროსთან ჰქონდა გართულებული დამოკიდებულება, არამედ გარკვეული დროის განმავლობაში შევეიცარებიდან გასვლაც კი ჰქონდა შეზღუდული.

ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ფაქტობრივი გარიყვით განპირობებულ სულიერ დეპრესიას გრ. რობაქიძეს კიდევ უფრო მეტად უმძაფრებდა მეუღლის უმძიმესი ავადმყოფობა და მატერიალური გაჭირვება, რის შესახებაც იგი ამერიკაში მცხოვრები მეგობრებისთვის გაგზავნილ წერილებშიც ხშირად საუბრობს ხოლმე. როგორც ამ მიმონერიდანაც ვგებულობთ, გრ. რობაქიძე შვიდი წლის განმავლობაში სანოლს მიჯაჭვულ და მეტყველების უნარწარმეულ მეუღლეს მარტოდმარტო უვლიდა გარდაცვალებამდე.

ამგვარი მდგომარეობის გამო სასწარკვეთილი მწერალი თავის მეგობრებს გულისტკივილით შესჩიოდა, რომ უმძიმესი ყოველდღიური შრომით მოქანცულსა და შეჭირვებულს შემოქმედებითი მუშაობისთვის უკვე აღარც დრო რჩებოდა და აღარც ენერგია. „უნდა ვამზადო: საუზმე, სადილი, სამხარი, ვანშამი. შემდეგ: ალაგება ბინისა, ხვეტა, წმენდა. შემდეგ: მოვლა ავადმყოფისა – ვასრულებ ფუნქციებს სათნოების დისა... ამასთან: უნდა გავართო ავადმყოფი, თანვე უნდა ვანუგეშო. დროდადრო მჭირდება რეცხვაც: და ათასგვარი სხვა წვრილმანი. დაკავებული ვარ დილის 8 საათიდან ღამის 18 საათამდე. მხოლოდ ნასადილევს თუ მეძლევა მოსვენება ერთი საათით. მოვიქანცე. მწერლობისათვის დრო აღარა მაქვს... ბევრი რამ მაქვს სათქმე-

ლი კაცობრიობისთვის. მარგუნებს ბედი სათქმელის დაწერას?“ (რობაქიძე 2012, II: 316).

ამას ემატებოდა ისიც, რომ ავადმყოფობის გამო მეუღლე იძულებული გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა, რის შედეგადაც ოჯახის მთავარ საარსებო სახსრად ქცეული მისი ყოველთვიური ხელფასიც დაიკარგა. სამწუხაროდ, ამ დროიდან მოყოლებული, გრიგოლი და სანოლს მიჯაჭვული მისი ცოლი ახლა მხოლოდ ლტოლვილებისთვის გამოყოფილი დახმარებით ირჩენდნენ თავს

მწერალს მისი ასეთი მძიმე მატერიალური მდგომარეობით შეწუხებული მეგობრები არა მარტო სიტყვიერად ამხნევებდნენ, არამედ ფინანსურ დახმარებასაც უწევდნენ შეძლებისდაგვარად. ერთ-ერთი მათგანი იყო ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტი ქართველი პოეტი გიორგი გამყრელიძე, რომელიც წერილებთან ერთად მას დროდადრო ხუთ-ხუთ დოლარსაც უგზავნიდა საჩუქრად. გრ. რობაქიძე ამგვარი თანადგომის გამო მეგობარ პოეტს ერთგან ამ სიტყვებით უხდიდა მადლობას: „შენი ბართი გუშინ მივიღე. მივიღე თანგამოყოლებული „ხუთიც.“ დიდათ გმადლობ. გამოვითვალე: ხუთჯერ გამოგიგზავნია. ეგებ მეტჯერ?.. გმადლობ.“

გ. გამყრელიძე გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავს ფულად დახმარებას მწერალს სხვა მეგობრებიც უწევდნენ. მაგალითად, ა. პაპავას მწერალი 1950 წლის 21 სექტემბერს გაგზავნილ წერილში წერდა: „დავბრუნდი თუ არა ციურიხიდან, დამხვდა ჩეკი – 10 დოლარი – შენგან გამოგზავნილი. მივიღე ფული. ეს იყო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და: მით უფრო გამახარებელი. დიდად გმადლობ... არ დაგივინწყებ ამ დახმარებას“ (რობაქიძე 2012, I: 441).

როგორც გრ. რობაქიძის ლიტერატურული წერილებიდანაც და პირადი მიმოწერიდანაც ნათლად ჩანს, იგი უცხოეთში მცხოვრები კოლეგების შემოქმედებით მოღვაწეობას არა მარტო უბრალოდ ადევნებდა თვალს, არამედ მათ მხატვრულ ქმნილებათა

შემფასებლის როლშიც გვევლინებოდა ხოლმე დროდადრო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ამერიკაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი მწერლის – გიორგი გამყრელიძის პოეტური შემოქმედების მისეული შეფასებანი.

გ. გამყრელიძე (დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში 1903 წელს) სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების პერიოდში გამოვიდა. კერძოდ, 1920 წელს გამოსცა პირველი პოეტური კრებული „შემოდგომის ჭიანურების“ სახელწოდებით, 1922 წელს კი მეორე წიგნი – „დალურსმული ხელები.“ გ. გამყრელიძის შემოქმედებითი ინტერესების ფორმირებაზე დიდად კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა მისმა ახლო ნათესაურმა სიახლოვემ პაოლო იაშვილთან (პაოლოსა და გიორგის მამები ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ) და პირადმეგობრულმა ურთიერთობამ „ცისფერყანწელებთან.“

გ. გამყრელიძე 1923 წელს სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა და ამ დროიდან მოყოლებული სამშობლოში არ დაბრუნებულა. თავდაპირველად იგი გერმანიაში ცხოვრობდა, 1941-1972 წლებში – ამერიკაში, შემდეგ კი საცხოვრებლად ისევ გერმანიაში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა 1975 წელს. ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში გ. გამყრელიძემ სამი წიგნი გამოსცა – ლექსების კრებულები: „ლურჯი მონოკლი“ (პარიზი, 1932 წ.) და „გვიანი რთველი“ (სანტიაგო-დე-ჩილე, 1960 წ.) და „ლექსები, მოთხრობები, თარგმანები უცხო პოეზიისა და ორნითოლოგიური ნარკვევები“ (ვაშინგტონი, 1963 წ.) (გ. გამყრელიძის შესახებ უფრო ვრცლად იხ: ნიკოლეიშვილი 2006: 485-528).

მიუხედავად იმისა, რომ გრ. რობაქიძე და გ. გამყრელიძე ერთიმეორეს პირადად არ იცნობდნენ, მიმონერის გზით ისინი მაინც საკმაოდ ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. კერძოდ, ამერიკაში მცხოვრებ უმცროს კოლეგას გრ. რობაქიძე გულახდილად ესაუბრებოდა თავის სულიერ სასოწარკვეთასა და პირადულ პრობლემებზე. თავის მხრივ, გ. გამყრელიძე არა მარტო სიტყვიერად თანაუგრძნობდა მის ევროპელ მეგობარს, არამედ წე-

რილთან ერთად გაგზავნილი ფულითაც უწევდა დახმარებას. გ. გამყრელიძის ამგვარი თანადგომა მისთვის პირადად უცნობი მეგობრისადმი უპირველეს ყოვლისა იმ დიდ ლიტერატურულ მიღწევათა გაცნობიერებით იყო განპირობებული, რომელიც გრ. რობაქიძეს, როგორც მწერალს, ჰქონდა მოპოვებული. ამ ამბით გულწრფელად გახარებული გრ. რობაქიძე გ. გამყრელიძეს ერთ-ერთ ბარათში წერდა: „ქართველთა შორის მხოლოდ მიხეილ წერეთელი წვდა შინადენას ჩემი შემოქმედებისა. ეხლა ვხედავ: შენც წვდენიხარ ერთს ვლინებას ამა „დენისას,“ წვდენიხარ, როგორც მგოსანი“ (რობაქიძე 2012, I: 609).

გ. გამყრელიძისათვის მიწერილი გრ. რობაქიძის პირადი ბარათები საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მათში ჩვენი საზოგადოებისათვის დღესაც ნაკლებად ცნობილი ამ ნიჭიერი პოეტის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული ღირსებებიცაა პროფესიული თვალთახედვით წარმოჩენილი. გრ. რობაქიძის მიერ პირადად უცნობი კოლეგის შემოქმედებაზე გამოთქმული ეს მოსაზრებანი მხოლოდ მის საამებლად ნათქვამ ქათინაურს რომ არ წარმოადგენდა, ეს ამბავი მან გ. გამყრელიძის პოეტურ ქმნილებებზე სხვადასხვა დროს დაბეჭდილი თავისი წერილებითაც დაადასტურა.

მაგალითად, 1953 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში გრ. რობაქიძე გ. გამყრელიძის პოეტური წარმატების განმსაზღვრელ არსებით თვისებად იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ იგი არა მარტო სისხლით წარმოადგენდა პ. იაშვილის ნათესავს, არამედ „მგოსნური გზებითაც... მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა“ (რობაქიძე 2012, I: 211). სანტიაგო-დე-ჩილეში 1960 წელს გამოცემულ გ. გამყრელიძის პოეტურ კრებულს – „გვიანი რთველი“ კი გრ. რობაქიძემ საკმაოდ ვრცელი რეცენზიაც მიუძღვნა და წიგნის არა მარტო პოზიტიური მხარეები წარმოაჩინა კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, არამედ ნაკლოვანებებიც.

გ. გამყრელიძე გამონაკლისი არ ყოფილა და ასეთ შეფასებებს გრ. რობაქიძე უცხოეთში მცხოვრებ იმ ქართველ ემიგრანტ მწერალთა შემოქმედებასაც აძლევდა, რომელთა სახელები ფაქტობრივად დღესაც თითქმის სრულიად უცნობია საქართველოში. მაგალითად, ბუენოს-აირესში გამოცემულ ჟურნალ „მამულში“ გამოქვეყნებული გიორგი ლოლუას ლექსის შესახებ წერდა: „ტფილისური ნატურ-მორტები“ ლოლუასი სხვა რიგის ლირიკაა. ასურათებულია ჩვენი დედა-ქალაქი: დილით. ეს „ასურათება“ შედეგია ნამდვილი. ქართველ მგოსანთა შორის ყველაზე უფრო მოხვდება იგი გულში ი. გრიშაშვილს, რომელიც ყველაზე უფრო გზნებს ძველს ტფილისს და ემარჯვება თანაც ამ გზნების მგოსნური გამოსახვა“ (რობაქიძე 2012, I: 212).

გ. ლოლუას შესახებ მკითხველს ორიოდ სიტყვით აქვე იმასაც ვაუწყებ, რომ იგი 1919 წელს დაიბადა სამეგრელოში. მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდა, ომის დამთავრების შემდეგ კი საცხოვრებლად კანადას მიაშურა და ქალაქ ჰამილტონის მკვიდრი გახდა, სადაც გარდაიცვალა 1990 წელს (გ. ლოლუას შესახებ უფრო დანვრილებით იხ: შარაძე 1993: 308-336).

აღბათ, არ შევცდებით, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, საბოლოოდ იმასაც თუ ვიტყვით, რომ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან ინტენსიური მიმონერით გრ. რობაქიძე იმ ილუზიური მიკროსამყაროს შექმნასაც ცდილობდა, რომელიც მას მარადიული ნატურის საგნად ქცეული სამშობლოსაგან ფიზიკური სიშორით გამოწვეულ ტკივილს რამდენადმე მაინც დაუცხრობდა და გაუქარვებდა.

დამოწმებანი

ნიკოლეიშვილი, ა. *ქართული ემიგრანტული მწერლობა*. ქუთაისი, 2006.

რობაქიძე, გრ., I. *ნაწერები*. ნიგნი IV, პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. თბილისი, 2012.

რობაკიძე, გრ., II. *პირადი მიმოწერა*. შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბილისი, 2012.

შარაძე, გ. *უცხოეთის ცის ქვეშ*. წიგნი მეორე. თბილისი, 1993.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Akaki Tsereteli State University, Professor

GRIGOL ROBAKIDZE AND THE WRITERS WORKING IN AMERICA

SUMMARY

Emigrant period of Grigol Robakidze's (1880-1962) life is extremely interesting in terms of not only his creative work but his personal relationship with his fellow migrant writers living abroad as well. Gr. Robakidze went into exile in 1931 and until his death had close contacts with our compatriots living in different countries of Europe and America. Gr. Robakidze's personal correspondence with Georgian emigrants sheltered in these countries is extremely important for having a better and thorough understanding of a personal life of the writer as well as his literary beliefs and ideological outlook. Considering the above, the paper analyzes Gr. Robakidze's personal correspondence with the emigrant writers living in Argentina and the United States: Akaki Papava, Giga Diasamidze and Giorgi Gamkrelidze. It should be noted that by means of the intense correspondence with the expatriates living in different countries of America and Europe Gr. Robakidze tried to create the illusory micro world that would relieve his pain caused by being physically far from his homeland that had become his eternal dream.

ბადრი ფორჩხიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

რიჩარდ რორტის თვალსაზრისი ცოდნისა და მეცნიერების შესახებ

თანამედროვე ფილოსოფიურ ლიტერატურაში ფართოდ გაჩაღებული დისკუსია ფილოსოფიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კრიზისის თაობაზე მძაფრად აირეკლა ამერიკელი ნეოპრაგმატიისტი და პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსის რიჩარდ რორტის თხზულებებში, სადაც მოცემულია დასავლური ფილოსოფიის ამჟამინდელი მდგომარეობის რადიკალურად-კრიტიკული შეფასება და წამოყენებულია ლიტერატურული კრიტიკის ეპისტემოლოგიის, ანგლოსაქსური ანალიტიკური ტრადიციისთვის მეტად არატიპიური, ე. წ. რეკონსტრუქციული ჩანაცვლების პროექტი. სწორედ ეს გახლავთ „პოსტმოდერნისტული ეპოქის“ ორიგინალური და სპეციფიკური აზროვნების პროექტი. აღნიშნული თხზულებანი ერთთავად განმსჭვალულია პროვოკაციული იდეებით, რომლებიც მუდმივად გვიბიძგებს კამათისაკენ და უტოპიური სამოციქულო წინასწარმეტყველებით, ოცდამეერთე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ფარდობითი პერსპექტივების შესახებ. აღნიშნულ შეხედულებებს, საკუთრივ ავტორის აღიარებით, ახასიათებთ უფრო მეტად კრიტიკული და „თერაპიული“ ზემოქმედების ეფექტი, ვიდრე სისტემურ-კონსტრუქციული ხასიათი (Rorty 1979: 7).

პირველ ყოვლისა, რორტის უმთავრესი კრიტიკის ობიექტად იქცა საკუთრივ ფილოსოფია: ერთი მხრივ, როგორც უნივერსალური და ყოვლისმომცველი ცოდნის სისტემა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. რაც ყველაზე მთავარია, მისთვის ყოვლად გაუმართლებელია

ფილოსოფიის გამოცხადება თანამედროვე კულტურის თეორიულ საფუძვლად და ძირითად ბირთვად, რაც მას ანიჭებდა ფუნდამენტური, საკანონმდებლო დისციპლინის სტატუსს, რეალობასთან ერთგვარი „პრივილეგირებული მიმართების“ კონტექსტში. დიდი ხნის განმავლობაში ევროპაში კულტივირებული გახლდათ ფილოსოფიის წარმმართველი ინტელექტუალური და სოციოკულტურული მისია, რამაც ასევე ფართო გავრცელება ჰპოვა თანამედროვეობაშიც. ამგვარად ჩამოყალიბდა ფილოსოფიის მკაცრად სისტემატიზირებული, ზოგადმეცნიერული, თეორიულ-მეთოდოლოგიური საბაზისო ეპისტემოლოგიური ცოდნა ყველა დანარჩენი კერძო სამეცნიერო დარგებისათვის. „მეცნიერებათა მეცნიერების“ კანონიკური ფლაგმანის ასეთნაირ თავისებურებას როორტი ანიჭებდა დასავლეთევროპული „ესენცი-ალისტური ტრადიციის“ კვალიფიკაციას, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) ფუნდამენტალიზმი და უნივერსალიზმი (ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური დასაბუთების უეჭველი არგუმენტის ძიება, დიუის გამოთქმით – „the quest for certainty“); სინამდვილის რედუქცია მეტაფიზიკურ სანყისებზე – „ატომებზე“, „იდეალურ ფორმებზე“, „მონადებზე“ – და გრძნობად მონაცემთა, ან რაციონალურ იდეათა „აბსოლუტურ“ სუბსტრატთა რელაციონირება ლოგიკური ცოდნის შინაარსის დადგენა. 2) რეპრეზენტაციონიზმი (ორიენტირება ობიექტური რეალობის „სარკისებურად ზუსტ“ ასახვაზე, ჭეშმარიტების კორესპოდენციული თეორიის მიხედვით); 3) დუალიზმი (ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური განსხვავების ასიმეტრული მოდელი „სუბიექტ-ობიექტის“ „შინაგანი-გარეგანის“, „რეალური-მოჩვენებითის“ „სქემა-შინაარსის“ და სხვა მსგავსი ტიპისა), – მოდელი, რომელშიც ერთ-ერთი ტერმინი იკავებს პრიორიტეტულ პოზიციას, ხოლო მეორე განიხილება როგორც მეორადი და პირველისაგან ნაწარმოები დაქვემდებარებული მხარე); 4) ლოგოცენტრიზმი (რაციონალურად ორიენტირებული გამოკვლევის სტრატეგია, რომელიც ემყარება რეპრეზენტაციული რეალობისა და ენის

გონივრულობისა და მოწესრიგებულობის წარმოდგენას).

დასავლური ფილოსოფიის შეფასებისას რორტი უახლოვდება პოსტმოდერნისტული „სპეკულაციის“ სქემას. ისიც, სხვებთან ერთად, ნიცშესა და ჰაიდეგერის კვალდაკვალ, მეტაფიზიკას იაზრებს, როგორც მოდერნის ფილოსოფიასა და მეცნიერებას უფართოესი გაგებით, აიგივებს რა მას მთელ კულტურასა და ისტორიულ ეპოქასთან, კერძოდ მის ქრისტიანულ, ან ონტოთეოლოგიურ ეპოქალურ საზრისთან (Heidegger 1957: 37–73). ამ თვალსაზრისით, ბიბლია, „მეტაფიზიკა“, „წმინდა გონების კრიტიკა“, „მეცნიერების ლოგიკა“ ერთი და იმავე დოზით გვეკლინებიან ამ „დიდებული ეპოქის“ პროდუქტებად. სხვაგვარად ეს შეიძლება დაკვალიფიცირდეს მეტაფიზიკური პარადიგმის დისკურსის, ან ნარატივის სახელწოდებით. იმდენად, რამდენადაც საკითხი ეხება წიგნების ეპოქას, რომლის ირგვლივ თავს იყრიან ტრადიციული ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი მითოლოგემების მიერ კონსტრუირებული, „ტრანსცენდენტალური დანიშნულების“ ისეთი ცნებები და კატეგორიები, როგორცაა აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმერთი, ყოფიერება, ბუნებისმეტყველება, თვითცნობიერება და სხვა. განმანათლებლობის ეპოქაში ტრანსფორმაციას განიცდიან და ღვთაებრივი ზეგრძნობადი არსი გადადის კვაზიღვთაებრივი „გონის“ რანგში, რაც ნიშნავს „ღვთისმეტყველის“ ჩანაცვლებას ე.წ. მეცნიერით, თუმცა აღნიშნული ტრანსფორმაცია თვისობრივად არ ცვლის დასავლეთევროპული კულტურის ორიენტირებას და საფუძვლებს. ასპარეზზე გამოდის განმანათლებლური სციენტისმი, რომელიც ხელუხლებლად გვიტოვებს სამყაროსთან რელიგიური მიმართების ფსიქოსოციალურ კონტექსტს, რომელიც გულისხმობს „რელიგიური მოთხოვნილებებით გაჯერებული ადამიანური პროექტების დამოწმებას არაადამიანური ავტორიტეტების მეშვეობით“ (Rorty 1989: 52). მეცხრამეტე საუკუნეში გამეფებული მეცნიერების პროგრესისა და ოპტიმიზმის ფილოსოფიის სციენტისტური რწმენა, რომელიც ასაზრდოებს „სპეკულარიზებულ ინტელექტუ-

ალთა“ მსოფლმხედველობას, რორტის სიტყვებით, გვევლინება „ქრისტიანული სიყვარულისა და ღვთისმოშიშების მორალურ ეკვივალენტად“ მისი უმაღლესობის – მეცნიერული ჭეშმარიტების წინაშე (Rorty 1982: 228). რელიგიურ-სციენტისტური მიმართება ონტოლოგიური დუალიზმის პირდაპირი მემკვიდრეა, რომელიც ინვეს ადამიანის „ცხოველმყოფელი სამყაროს“ გახლენას ორ პოლარულ სფეროდ: ყოფიერება თავისთავში და ყოფიერება თავისთვის, ტრანსცენდენტალურად და ემპირიულად, ანუ, ნიცშეს მიხედვით, გაორებული სამყარო წარმოგვიდგება – იმპეციენიური, ზეციური ჭეშმარიტებისა და ამპეციენიური, მიწიერი ამაოების დაუცხრომელ შეურიგებლობად. შემეცნებაც, ამის კვალობაზე, კოგნიტური სტატუსის მიხედვით, იყოფა ორ ნაწილად: მაღალ და დაბალ, აუცილებელ და შემთხვევით, უეჭველ და სავარაუდო, ობიექტურ და სუბიექტურ შემეცნებად (Rorty 1991: 35–37; 99). ეს გახლავთ ყველა დისციპლინა, რომელიც, რორტის აზრით, ოდითგანვე თან სდევს ონტოლოგიური ფილოსოფიური გაგების ტრადიციას, ამიტომაც ამ მეტაფიზიკური მარწუხებისაგან თავისდასაღწევად აუცილებელია მათი წინააღმდეგობათა გადაღახვა.

რაკი რორტის ფართომასშტაბიანი მეტაფილოსოფიური ცოდნის კრიტიკა მიმართულია ფუნდამენტური ფილოსოფიური კონცეფციების წინააღმდეგ, სპეციალური საკანონმდებლო დისციპლინის კუთხით, ამდენად, უფრო ვინრო, კონკრეტულისტორიული ასპექტით, მისი კრიტიკის ობიექტად გვევლინება თეორიულ-შემეცნებითი (ეპისტემოლოგიური) ტრადიცია, რომელიც, ამერიკელი ფილოსოფოსის აზრით, მომდინარეობს პლატონიდან, დეკარტესა და კანტის გავლით, თანამედროვე ანალიტიკურ სკოლამდე. ეს ტრადიცია შეიცავს რომელიღაც პლატონური თანშობილი იდეის მაგვარ ურყევ პრინციპზე ჩვენი ცოდნისა და დამაჯერებლობის დაფუძნების მისწრაფებას. ანალოგიურად კანტის აპრიორული მსჯელობების კატეგორიისა, ან რეალისტთა „ობიექტური სინამდვილისა“, ლოგიკურ პო-

ზიტვიცისტა „გრძობადი შთაბეჭდილებებისა“, გამოხატული ენობრივი თავისებურებებით, რა ფორმალურ ნიშნებსაც მიაწერენ ენას ანალიტიკური ფილოსოფოსები და სხვა.

XVIII-XX სს. გნოსეოლოგიურად ორიენტირებული ფილოსოფია ძირითადად იგებოდა, როგორც აპრიორული დისციპლინა, რაც ითვლებოდა თავისთავად ცხადი დებულებებისაგან აგებულ თეორიულ-შემეცნებით რეფლექსიად, რომელიც, კერძომეცნიერული, ან ჰუმანიტარული რეფლექსიისაგან განსხვავებით, ხელენიფება აბსოლუტურად უეჭველი და ცხადი ცოდნის შინაარსის ექსპლიკაციას. შესაბამისად, ეპისტემოლოგია, ცოდნის ემპირიული დაფუძნებისა და შემონშების მიზნით, როგორც წესი, უშვებდა ფენომენალური რედუქციის შესაძლებლობას, ანუ ცალკეულ თეორიულ დასკვნათა ენობრივი ფორმალიზების პროცედურას. რაც შეეხება ობიექტური მონაცემების შესაბამისობაში დადასტურებულ ცოდნას, ამ ტრადიციის შიგნით განიხილებოდა, როგორც „უეჭველი ჭეშმარიტების პარადიგმულ აუცილებლობათა თავმოყრა“, ანუ ე.წ. ზუსტი რეპრეზენტაციების ანსამბლი (Rorty 1979: 163). ეპისტემოლოგიურ ტრადიციას რორტი მიაკუთვნებს თანამედროვე ანალიტიკურ ფილოსოფიას. ფრეგეს, რასელის, კარნაპისა და მათ თანამოაზრეთა მიერ ნაწარმოები ფილოსოფოსობა, რომლის განვითარებასაც ცდილობენ დღევანდელი ამერიკელი პროფესიონალი ანალიტიკოსები, მოდიფიცირებულნი არიან კანტის ოცნებაზე – გადააქციონ ფილოსოფია კულტურის დანარჩენი ფორმების მიმართ შემფასებლურ-ღირებულებით დისციპლინად. ანალიტიკური ფილოსოფიის გნოსეოლოგიზმი ვლინდება რეპრეზენტაციულ-გამომსახველობითი აზრების მეშვეობით, რომელიც დევს ისეთ ცნებებში, როგორიცაა ფილოსოფიური პრობლემა, ცნობიერება, ცოდნა, თეორია, მეცნიერული მეთოდი და სხვა. „ტრანსცენდენტალურიდან“ „ლინგვისტურ“ კრიტიკაზე გადაორიენტირება საქმის დედაარსს არ ცვლის. ამიტომაც რორტი თვლის, რომ „ანალიტიკური ფილოსოფია“ წარმოადგენს მხო-

ლოდ კანტიანობის სახეცვლილ ვარიანტს, რომელიც წინანდელი ვარიანტებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ რეპრეზენტაციულობა ამ შემთხვევაში გაგებულია არა როგორც მენტალური აქტი, არამედ ენობრივი მოღვაწეობა, რომელიც შემეცნების უზრუნველყოფის საფუძვლად ცხადდება. ენის როლის ხაზგასმამ კარტეზიანულ-კანტიანური პრობლემატიკისგან განსხვავებული კორექტივის შეტანა ფილოსოფიაში ვერ განახორციელა, რის გამოც საკუთარი იმიჯი ვერ გაიუმჯობესა. ამიტომაც ანალიტიკური ფილოსოფია, მარადიული ქეშმარიტების კვლევა-ძიების ერთგვარი ნეიტრალური მოდელის კონსტრუირების კვლავინდებური მისწრაფებით, საყოველთაო კულტურული არეალის მოდელირების პრეტენზიას იჩემებს (Rorty 1982: 227). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რორტის მოღვაწეობის ადრეული პერიოდი, 60-იანი წლების ჩათვლით, როცა ის პრინსტონის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, ხასიათდება ნეოპოზიტივისტური მეცნიერული კვლევებით, როდესაც მისი დამოკიდებულება ანალიზური ფილოსოფიისადმი არა მარტო ჯერ კიდევ შორს იყო კრიტიკული შეფასებებისაგან, არამედ თვითონაც მონაწილეობდა ამ მიმართულების შესაბამისი ფილოსოფიური სკოლის დამკვიდრების პროცესში. მისი პირველი შრომებიც ძირითადად პრობლემურ-კონსტრუქციული ტენდენციის მატარებელია, რაც ანგლო-ამერიკული ფილოსოფიური აზროვნების ორგანული პროცესის ნაწილად განიხილება. თავის დროზე ამ მიმართულებას გუსტავ ბერგმანმა „ლინგვისტური შემობრუნება“ დაარქვა. უ. კუაინის განსაზღვრების მიხედვით, ამ ახალმა ლინგვისტიკურმა თუ სემანტიკურმა სტრატეგიამ მოიცვა XX ს. მეორე ნახევრის ევროპული ფილოსოფია; ამ შემობრუნების არსი კი გამოიხატებოდა, სუბსტანციონალური და ესენციონალური გაგებით, ფილოსოფიის კვლევის შესაძლებლობათა მიმართ თავდაჯერებული გულუბრყვილო რეალისტური წარმოდგენების რადიკალური ცვლილებით, როდესაც აღარ ვსაუბრობთ სამყაროზე, ისე, რომ რეალურად ვმსჯელობთ არა

სამყაროს შესახებ, არამედ სამყაროს მსჯელობის შესახებ. სწორედ ამან განაპირობა ენის თეორიული პრობლემატიკის წინ წამოწევა, ტრადიციულ პრობლემატიკასთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანი ასპექტით. აღნიშნული შემობრუნების შემდეგ, ათეული წლების განმავლობაში, ლინგვისტური თემატიკა ინარჩუნებდა დომინანტის ფუნქციებს ანალიტიკურ ფილოსოფიაში. ხ. პატნემის აზრით, დროთა განმავლობაში, ენის პრობლემური ანალიზის ოპტიმისტური განწყობა თანდათანობით გაფერმკრთალდა მასში სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და პრაგმატული კომპონენტების შემცირების პარალელურად. ამასთანავე, თავი იჩინა ქრონიკულმა გენეტიკურმა ავადმყოფობამაც, რასაც გნოსეოლოგიზმის სახელწოდებით მოიხსენიებენ და იგი კანტიანური აზროვნების ტრადიციებს უკავშირდება და იგი გამოიხატება ობიექტური კრიტერიუმებით ანალიტიკური არგუმენტების გამყარების გაზრდილი მოთხოვნებით. ამ მხრივ, ანალიტიკური ქეშმარიტების დოქტრინა წინანდელი დოქტრინებისგან არსებითად აღარ განსხვავდებოდა (Putnam 1983: 223). როორტი ერთ-ერთი პირველი მკვლევარი გახლდათ, რომელმაც კრიტიკულად განიხილა და შეაფასა ფილოსოფიური ცოდნის ტრანსფორმაციის აღნიშნული დინამიკა და 70-80-იან წწ. ანალიტიკური ფილოსოფიის „ლინგვისტური შემობრუნება“ ამხილა აპრიორიზმის ტენდენციების გამომჟღავნების გამო. მისი აზრით, ლინგვისტური ფილოსოფოსები მეცნიერების რომელ დარგშიც არ უნდა დამალულიყვნენ: ისტორიულ, სოციოლოგიურ, თუ საბუნებისმეტყველო ინსტანციებში, ისინი მაინც ვერ აცდებოდნენ იმ ლოგიკურ-თეორიული და ემპირიული ხასიათის წინააღმდეგობებს, რასაც ადგილი ჰქონდა ტრადიციული ფილოსოფიის შიგნით. „ლინგვისტური შემობრუნების“ მაინცირებელი ენის ფილოსოფოსები, თავიანთი ანალიტიკური დისციპლინებისათვის, გათვლას აკეთებდნენ „აპრიორული ცოდნის სივრცის“ შენარჩუნებაზე, რაც პირდაპირ ემსახურებოდა კანტის ტრანსცენდენტალური ნაგებობის ენობრივი კატეგორიებით ჩანაცვლების იდეას.

ასე აღმოჩნდა ენა ცდის ადგილას, გონებამ და ცნობიერებამ კი ადგილი დაუთმო ნატურალიზებულ ევოლუციურ ბიოლოგიასა და ემპირიულ ფსიქოლოგიას. ფილოსოფიის განმმენდისა და თეორიული ავტონომიურობის ანალიტიკურ-სციენტისტურ ძალისხმევას, საბოლოო ჯამში, სასურველი შედეგები მაინც არ მოჰყოლია (Davidson 1986: 446).

თანამედროვე ანალიტიკური ფილოსოფიის კრიზისმა გარდატეხა შეიტანა ევროპულ აზროვნებაში. საქმე ეხება ისტორიის ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ხელახალ რეაბილიტაციას და ანტიპოზიტივისტური განწყობილების გაძლიერებას. კუაინისა და დევიდსონის „ემპირიზმის დოგმის“ გადალახვა აღმოჩნდა სანყისი ეტაპი ეპისტემოლოგიურად ორიენტირებული ანალიტიკური ფილოსოფიის დისციპლინარულ პროგრამათა წინააღმდეგობების გზაზე; ამგვარად, ლოგიკური ანალიზის ცნებამ, რორტის შეფასებით, გამოააშკარავა ისეთი შინაგანი მანკიერებანი, რომლებმაც ანალიტიკური ფილოსოფია „ნელი თვითმკვლელობისთვის“ განირა. მაშასადამე, XX საუკუნის მიწურულისთვის, „კანტიანური“ ფილოსოფიის ანალიტიკურმა მოდელმა არაერთი არსებითი კომპრომისი დაუშვა საკუთარი კვლევა-ძიების სანყის პარადიგმებთან მიმართებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ისეთი შეხედულებების აღმოცენება, როგორცაა ტ. კუნის ანტიკუმულატივიზმი, პ. ფეირაბენდის „ანარქისტული მეთოდოლოგია“, უ. კუაინის, ჰ. გუდმენისა და დ. დევიდსონის ჰოლისტური და პრაგმატული კონცეფციები. ასევე ანალიტიკური ტრადიციის შიგნით, ენასთან მიმართებაში, ანტიფსიქოლოგისტური მიდგომების გვერდით, გამძაფრდა ნატურალისტური და ბიჰევიორისტული ტენდენციები. აღნიშნული რეაქცია ანალოგიური გახლდათ კანტიანური პრობლემატიკის მიმართ ნიცშესა და ჰაიდეგერის რეაქციისა. ამრიგად, პოსტპოზიტივისტური ფილოსოფიის საბოლოო სახე ასოცირდება ნიცშე-ჰაიდეგერი-დერიდას პარადიგმათა სინთეზისაკენ მისწრაფებით, რითაც ის კიდევ ერთხელ იმეორებს ევროპულ

ფილოსოფოსთა მიერ უკვე განვლილ გზას, რომელიც იწყება პლატონიზმის კრიტიკით და მთავრდება მთელი ფილოსოფიის, როგორც ასეთის, კრიტიკით.

დამოწმებანი

Davidson, D. “A Nice Derangement of Epitaphs “. *Truth and Interpretation: Perspectives on the Philosophy of Donald Davidson*. Oxford, 1986.

Heidegger, M. “Die onto-theo-logische Verfassung der Metaphysik”. *Identität und Differenz*. Pfullingen, 1957.

Putnam, H. “Philosophers and Human Understanding”. *Realism and Reason*. Cambridge, 1983.

Rorty, R. “Philosophy in America Today”. *Consequences of Pragmatism*. Minneapolis, 1982

Rorty, R. “Objectivity, Relativism, and Truth”. *Philosophical papers*. Vol. 1. Cambridge, 1991.

Rorty, R. *Contingency, Irony, and Solidarity*. Cambridge, 1989.

Rorty, R. *Philosophy and the Mirror of Nature*. Princeton, 1979.

BADRI PORCHKHIDZE

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

THE STANDPOINT OF RICHARD RORTY ABOUT KNOWLEDGE AND SCIENCE

SUMMARY

Richard Rorty suggests that there are two ways in which we can give meaning to our intellectual lives. On the one hand, we can strive to achieve an „immediate relation to a nonhuman reality“ by finding truths that correspond to the physical world; On the other hand, we can aim to „contribute to a community“, real or imagined. The former,

„realist view“ tries to „ground solidarity“ in objectivity; it seeks solutions to social problems from an „objective viewpoint“ beyond and above any specific, historically situated and limited, community. The latter, „pragmatic standpoint“ wishes to reduce objectivity to solidarity. In that way, pragmatist rejects the dualisms of truth justification, knowledge, opinion, or appearance reality. „Objectivity“ is replaced by the idea of „unforced agreement“, rationality quackery strict methodology by rationality as reasonableness, convergence on the truth by proliferation of ideas; and truth as correspondence by „truth as commendation“.

ირინა სარუხანოვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოციებული პროფესორი

პაულ ჰინდემიტი და უოლტ უიბმანი

პაულ ჰინდემიტი (1895–1963) XX საუკუნის ერთ–ერთი უდიდესი კომპოზიტორია. მუსიკატმცოდნეობაში ცნობილია აზრი, რომ ის მიეკუთვნება იმ „ოთხ ვეშაპს“, რომლებიც ზურგით ზიდავენ მთელ მოდერნისტულ მუსიკას – სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი და შესძინეს საწყისი იმპულსები მუსიკალური მოდერნიზმის შემდგომ განვითარებას. ესენია: არნოლდ შონბერგი, იგორ სტრავინსკი, ბელა ბარტოკი და პაულ ჰინდემიტი.

1940 წელს ჰინდემიტი იძულებულია დატოვოს გერმანია და წავიდეს ემიგრაციაში აშშ-ი, სადაც დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა იელის უნივერსიტეტთან არსებულ სამუსიკო სკოლაში (კონსერვატორიაში). ჰინდემიტი ხელმძღვანელობდა ძველებური ინსტრუმენტების კამერული ანსამბლის კლასს, კითხულობდა ლექციებს მუსიკის ისტორიაში და მიჰყავდა მეცადინეობები კომპოზიციაში. ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების მასალების მიხედვით ჰინდემიტმა დაწერა წიგნი „Я композитор“. წარმატებით ეწეოდა სადირიჟორო და შემოქმედებით საქმიანობას. შექმნა კვარტეტები, სონატები, ნაწარმოებები ფორტეპიანოსათვის. ბალანჩინის დასისტვის დაწერა ბალეტი „ოთხი ტემპერამენტი“. ამ პერიოდის ცენტრალური ნაწარმოები, რომელიც უშუალოდ ამერიკის კულტურას უკავშირდება, ფრანკლინ რუზველტის ხსნოვნისადმი მიძღვნილი რექვიემია. ტექსტისთვის ჰინდემიტმა მიმართა ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის (1819–1892) პოემას „როცა იასამანი უკანასკნელად აყვავდა ეზოში“ (“When Lilacs Last in the Dooryard Bloom’d”). თა-

ვის მხრივ პოემა უიტმენმა მიუძღვნა აბრაამ ლინკოლნს. პოემაში „როცა იასამანი უკანასკნელად აყვავდა ეზოში“ აღბეჭდილია პრეზიდენტის დაკრძალვა. კუბოს მიასვენებდნენ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე: ფილადელფიიდან ნიუ-იორკში, ნიუ-იორკიდან ჩიკაგოში. მოსახლეობა არ მალავდა ცრემლებს, რკინიგზის გასწვრივ მდგარი მიაგებდა პატივს და ამჟღავნებდა სიყვარულს მოკლული პრეზიდენტის მიმართ. უიტმენის პოემაში საკუთრივ ლინკოლნის სახე არ ფიგურირებს, მაგრამ მასში ასახულია უზომოდ სევდიანი განწყობა. მოკლული პრეზიდენტი უიტმენისთვის, როგორც მისი მილიონობით თანამემამულისათვის, დემოკრატიის იდეის პერსონიფიკაციას წარმოადგენდა. მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა შეძრა ამერიკა. უიტმენმა მიაგნო სათანადო სიტყვებს, მტკივნეულ ინტონაციას, რითაც მხატვრულად გადმოსცა ეროვნული გლოვა. უიტმენის, როგორც მსოფლიო დემოკრატიის მომღერალი პოეტის, პოემაში დემოკრატია იძენს გრანდიოზულ, კოსმიურ მასშტაბებს: „დემოკრატია მას წარმოუდგება როგორც უსასრულო ჯაჭვი თაობებისა, რომლებიც ათასწლოვან გზას მიჰყვებიან. ის მას, ასე ვთქვათ, პლანეტარულ ასპექტში აღიქვამს“ (Чуковский 1966: 14–15). უიტმენი დასტირის მოკლულ პრეზიდენტს, მაგრამ ამერიკის ამ ეროვნული გმირის პიროვნული თვითმყოფადობა, ფაქტობრივად, პოემაში არ ჩანს. რუსეთში უიტმენის უდიდესი დამფასებელი და მკვლევარი კორნეი ჩუკოვსკი თვლიდა, რომ პოემა რექვიემია ზოგადად ადამიანზე, ყველა მოყვარულის მიერ ყველა საყვარელი ადამიანის დატირება, თუმცა, პოეტის სიტყვებით, მხოლოდ მშობელი-დედა იყო მისთვის ლინკოლნზე ძვირფასი (Чуковский 1966: 27).

უიტმენის შედეგრი „როცა იასამანი უკანასკნელად აყვავდა ეზოში“ პრეზიდენტის დაკარგვით გამონვეულ მწუხარებასაც გამოხატავს და იმ ადამიანის რთულ გზასაც აღწერს, რომელიც სიკვდილს გაიაზრებს როგორც ახალი სიცოცხლის დასაწყისს. ისევ ჩუკოვსკის შეფასება: „კითხულობ მის ლექსებს პრეზი-

დენტ ლინკოლნზე და გერვენება, რომ სადღაც დიდებულ ტაძარში გესმის გრანდიოზულ ორლანზე შესრულებული რექვიემი. პოემა ქვითინით იწყება და წარმოუდგენელია, გაიგო, თუ რა საოცარი ხერხით მიაღწია უიტმენმა იმას, რომ მისი მოუქნელი სტრიქონები რიტმულ ქვითინს წარმოსახავენ. ქვითინი არ არის პირქუში, რაც უფრო შორს მიდის, მით უფრო მკვეთრად ისმის სასიხარულო გამარჯვება ტკივილზე, თანდათან მწუხარების გარდაქმნა საყოველთაო მსოფლიო აღფრთოვანებად“ (Чуковский 1966: 42).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწერილი ჰინდემიტის რექვიემი „როცა იასამანი უკანასკნელად აყვავდა ეზოში“ (“When Lilacs Last in The Dooryard Bloom’d”) ქვესათაურით „მათ ხსოვნას, ვინც გვიყვარს“ (A Requiem”For those we love”) აღიქმებოდა, როგორც ამ ომში დაღუპულების მუსიკალური ძეგლი და იმავდროულად როგორც სამადლობელი იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც ემიგრაციის მძიმე წლებში კომპოზიტორს მოქალაქეობა მიანიჭა. რექვიემი რუზველტის ხსოვნას ეძღვნება. რექვიემის შექმნა ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფაქტია ჰინდემიტის გვიანი პერიოდისა. კომპოზიტორი, რომელმაც ირონიული ანტირომანტიკოსის და გროტესკის ოსტატის სახელი დაიმკვიდრა, ცხოვრების მეორე ნახევარში შექმნა ნაწარმოები, რომელმაც არა მხოლოდ ავტორის სიმწიფე, არამედ ორი მსოფლიო ომგამოვლილი მთელი თაობის გამოცდილება ასახა. პოეტსა და კომპოზიტორს აერთიანებთ მოვლენების კოსმიური განზოგადოება, რამაც რთულად გარდატეხა ორივე შემოქმედის სამოქალაქო პათოსი. ჰინდემიტის დაინტერესება უიტმენის პოეზიით მისი ლექსების ჰიპნოზური მუსიკალობით შეიძლება აიხსნას. უიტმენის პოეზია არ ექვემდებარება ტრადიციულ ჟანრულ განსაზღვრას. ის პოეტის თავისუფალი მედიტაციებია, მრავალფეროვანი სურათების ჯაჭვი, რომლებიც მხატვრული ფანტაზიის ძალით ასოციაციურად არიან გაერთიანებული. არსებითად, ჰინდემიტის რექვიემი წარმოადგენს კონსტრუქციების გრძელ ჯაჭვს, რომლებიც ტექ-

სტის და მუსიკის პირდაპირი აზრობრივი კავშირით გამოირჩევიან. უიტმენის ლექსთწყობის მუსიკალობა რექვიემის როგორც სიმფონიური განვითარების ლოგიკაში, ასევე ლაიტმოტივურ კომპოზიციურ ტექნიკაშიც აისახა. სამი სიმბოლური სახის (ჩიტი, იასამანი, ვარსკვლავი) მონაცვლეობა ქმნის ლაიტმოტივებს. პოემის ბოლო სტრიქონები სამივეს აერთიანებს:

„იასამანი და ვარსკვლავი და ჩიტი შეუერთდნენ/ჩაეწნენ ჩემი სულის გალობას,

იქ, სურნელოვანი ფიჭვებისა და კედარების ბინდბუნდებში“¹.

“Iilac and star and bird, twined with the chant of my soul,
There in the fragrant pines, and the cedars dusk and dim”.

ამ პოემის სიმბოლიკას ასე ხსნიან: ვარსკვლავი ლინკოლნია, იასამანი – ადამიანთა სიყვარული. რამდენად სწორია სიმბოლოების აღქმა ასეთი პირდაპირი გაგებით? უნდა ითქვას, რომ თვითონ უიტმენი ასეთ კომენტარებს არ ეწინააღმდეგებოდა. ეს სიმბოლოები, რომლებიც მიმოფანტულია მთელ ნაწარმოებში უმაღლესი დაძაბულობის მომენტებში, თითქოს შექმნილნი არიან ბგერებით გადმოსაცემად. ჰინდემიტი ჰქმნის ჰარმონიის კონცეფციის ლირიულ ვარიანტს. რექვიემის მუსიკაში ლირიული საწყისი დომინირებს. პირველ რიგში, ეს მუდმივი შინაგანი მიმართებაა, ინტიმურობა, სევდა. რექვიემის ლირიზმს აძლიერებს მღერადი სტიქიის ბატონობა, რაც განაპირობებს მუსიკის სასიმღერო-ჰიმნურ ხასიათს. სასიმღერო-ჰიმნური ხასიათი ვლინდება ყველანაირ სოლო და საგუნდო ვარიანტებში და ეს სავსებით თავსებადია ფაქიზ სულიერ აღსარებასთან.

თავიდანვე გულითადობა იქმნება ბარიტონის პირველივე სოლოთი – „როცა იასამანი უკანასკნელად აყვავდა ეზოში“ – „When lilacs last in the dooryard“ (რექვიემის მეორე ნომერი; პირველი ნომერი არის პრელუდია – საორკესტრო შესავალი). სიმ-

1 ქართული თარგმანი ეკუთვნის ი. ცხვედიანს

ღერა მოგვითხრობს ჩამოვარდნილ ვარსკვლავზე და აყვავებულ იასამანზე:

„როდესაც იასამანი უკანასკნელად აყვავდა ეზოში,
და დიადი ვარსკვლავი ადრიანად გადმოეკიდა დასავლეთის
ღამეულ ციდან,

მე ვგლოვობდი, და კვლავაც ვიგლოვებ ყოველ გაზაფხულზე.
მარადგანახლებადო გაზაფხულო, შენ მოგაქვს ჩემთვის სა-
მება,

აყვავებული იასამანი და დასავლეთის ვარსკვლავი,
და ფიქრები მასზე, ვინც მიყვარს“.

“When lilacs last in the door-yard bloomed,
And the great star early drooped in the western sky in the night,
I mourn'd and yet shall mourn with ever-returning spring.
O ever-returning spring! trinity sure to me you bring,
Lilac blooming perennial, and drooping star in the west,
And thought of him I love.”

რექვიემის სტრუქტურულ წინამორბედად ბახის ვნებანი შეიძლება მივიჩნიოთ. ამაზე მიანიშნებს ცალკეული ნომრების სისრულე, განვითარების (გაშლის) აუჩქარებლობა, კოლორიტის მკაცრი თავშეკავებულობა, სოლისტების, გუნდის და ორკესტრის სიმეტრიული მონაცვლეობა (Левая, Леонтьева 1974: 310–311). როგორც ცნობილია, ჰინდემიტი უაღრესად აფასებდა ბახს. ჰინდემიტის „ბახიანელობის“ გვირგვინია ჰინდემიტის პოლიფონიური ციკლი „ლუდუს ტონალის“, რომელშიც მოხდა ბახისეული ტრადიციის და ჰინდემიტის მუსიკალური მეტყველების უნიკალური სინთეზი. რექვიემის ცალკეული ნომრები, ძველებური მუსიკის მსგავსად, იწყება ინსტრუმენტალური პრელუდიებით. საგუნდო ეპიზოდები, როგორც ეს ბახთანაა, პოლიფონიური ხასიათისაა.

რექვიემის მნიშვნელოვანი ლირიული სახეა მომღერალი შამ-ვი. ნანარმოების მესამე ნომერი წარმოადგენს მეცო სოპრანოს არიოზოს „ჭაობის მიყრუებულ ბნელ კუნჭულებში“ („In the swamp, in secluded recesses“):

„ჭაობის მიყრუებულ, მიკარგულ, ბნელ კუნჭულებში
მორცხვი, დამალული ჩიტი გალობს.
მარტოხელა შაშვი,
განმარტოებული განდეგილი, თავს რომ არიდებს დასახლებებს,
მღერის თავისთვის.
მღერის და ამ სიმღერას სისხლს ამოაყოლებს ყელიდან,
სიცოცხლის სიმღერას, სიკვდილისგან დამხსნელს (რადგანაც მე, ძვირფასო ძმაო, კარგად ვუწყი, რომ არ მღეროდე, მოკვდებოდი.)“

„In the swamp in secluded recesses,
A shy and hidden bird is warbling a song.
Solitary the thrush,
The hermit withdrawn to himself, avoiding the settlements,
Sings by himself a song.
Song of the bleeding throat,
Death's outlet song of life, (for well dear brother I know,
If thou wast not granted to sing, thou would'st surely die)“.

ლირიული სახე იცვლება გრანდიოზული საგუნდო მარშით, ბარიტონის სოლირებით “Over the breast of the spring” – „გაზაფხულის მკერდზე“ (რექვიემის მეოთხე ნომერი შეესაბამება პოემის მეხუთე და მეექვსე სტროფებს):

„გაზაფხულის მკერდზე, ხმელეთზე, ქალაქებს შორის,
ხეივანებსა და ბებერ ტყეებში, სადაც სულ ახლახანს მიწიდან ამოიჭვრიტა იამ და თვალი ჰკიდა ნაცრისფერ ნამსხვრევეებს,
მინდვრის ბალახში ხეივანთა აქეთ და იქეთ, ჩაუვლის უსასრულო ბალახს,

ჩაუვლის ყვითელ პურის თავთუხებს,
რომლის თითოეული მარცვალი ყავისფერნიადაგიანი მინ-
დვრებიდან აღმოცენდა,

ჩაუვლის თეთრად და ვარდისფრად მოყვავილე ვაშლის ყვა-
ვილებს ხილნარებში,

ჩაუვლის და თან მიაქვს ცხედარი მისი სამუდამო განსასვე-
ნებლისაკენ,

ჩაივლის და დღისით და ღამით მოგზაურობს „კუბო“.

“Over the breast of the spring, the land, amid cities,

Amid lanes and through old woods, where lately the violets peep’d
from the ground, spotting the gray debris

Amid the grass in the fields each side of the lanes, passing the endless
grass,

Passing the yellow-spear’d wheat, every grain from its shroud in the
dark-brown fields uprisen, Passing the apple-tree blows of white and
pink in the orchards,

Carrying a corpse to where it shall rest in the grave,

Night and day journeys a coffin”.

მარშის შემდეგ კვლავ ბრუნდება ვარვსკვლავის ლირიული
სახის“ მომაჯადოებელი სტატიკა – „დასავლეთის ღამეულ ცა-
ზე მოცურავო ვარვსკვლავო“ (“Western orb sailing the Heaven”),
რომელსაც ბარიტონი და გუნდი ასრულებენ.

მომდეგენო სახე – შაშვის და მეცო-სოპრანოს ლაიტტემბრი –
კიდევ უფრო აღრმავებს წინა ნომრის ლირიულ ემოციურ ხა-
სიათს. მეცო-სოპრანოს არიაა „იმღერე ჭაობში“ (“Sing on in the
swamp”).

შემდეგი ნომერი ბარიტონის სიმღერა გუნდთან ერთად (№7)
სავსეა ალერსით,ზრუნვით, სიყვარულით – „ო, როგორ ვიგა-
ლობებ“ (“How shall I warble myself”).

ბარიტონის სიმღერა გადაიზრდება ჰიმნში – რეკვიემის ყველა-
ზე შთამბეჭდავ საგუნდო ნომერში (№8) – „ახალი ტკბილი ბალა-
ხი ფეხქვეშ“ (“With the Fresh Sweet Herbage Under Foot”). ნომერი

წარმოადგენს ფართოდ განვითარებულ ორმაგ ფუგას. ამ ნომერს მოჰყვება სოლისტების დუეტის (მეცო-სოპრანო და ბარიტონი, №9) ლირიული კულმინაცია „იგალობე, მონაცრისფრო ფრინველო“ (“Sing On, You Gray-brown Bird”) ექსპრესიულად უღერადი ჰიმნით „იმათთვის, ვინც გვიყვარს“.

შემდეგ საგუნდო ნომერს (№10) შესაძლებელია „სიკვდილის სადიდებელი“ დაერქვას (Death Carol - Chorus) – „მოდი, სიყვარულო, და ანუგეშე სიკვდილი“ (“Come, Lovely And Soothing Death”). ჰინდემიტან ეს თავშეკავებული სარაბანდაა, რომელიც საცეკვაო ხასიათის მუსიკით იცვლება და ის სიკვდილის სადიდებელ საცეკვაო მუსიკასთან ასოცირდება. ამას მოსდევს ემოციური და ბატალური სახეების ორომტრიალი (№11) ბარიტონის და გუნდის შესრულებით „ერთხმად ჩემ სულთან“ (“To The Tally Of My Soul”).

№12 “Passing the visions, passing the night” წარმოადგენს თავისებურ ტრაგიკულ-გროტესკულ გამარჯვებას, რომელიც სრულდება ეპილოგით „და მაინც შევინარჩუნებ ყოველივე ფასეულს“ (“Yet each to keep and all”), ჩუმი გამომშვიდებით, დასაწყისის განწყობის, როგორც წარსულის ექოს, დაბრუნებით. საგუნდო უნისონების სიტყვების ფონს “Lilac and star and bird”, როგორც ჩრდილი, ეფინება პოემის სანყისი სიტყვები „როცა იასამანი უკანასკნელად აყვავდა ეზოში“.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის საკვანძო პრობლემა მუსიკისა და სიტყვის განონანსწორებისა ჰინდემიტს საკმაოდ ტრადიციულად აქვს გადაწყვეტილი. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში (ბრეხტი, რილკე), პოეტური ტექსტის არჩევის მთავარ კრიტერიუმად აღებული აქვს მსოფლმხედველობის ერთიანობა, ზნეობრივი პოზიციების თანხვედრა. ლექსები, რომლებსაც ირჩევდა კომპოზიტორი, მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენდა და ამიტომ პოეტური ტექსტის სახეები ახდენენ ყველაფრის პროეცირებას, მელოდიკით დაწყებული და ფორმით და ფაქტურით დამთავრებული (Киселёв 2009: 20). როდესაც ახ-

დენ პოეტური და მუსიკალური ტექსტის შედარებით ანალიზს, ნათლად ჩანს, რომ ჰინდემიტის რექვიემი უიტმენის ტექსტის სახისმეტყველების ანალოგია და ზოგ შემთხვევაში ტექსტის ილუსტრირებაც კი. კომპოზიტორი პოეტური ლექსის საზომის დარღვევას კი არ ცდილობს, არამედ მხოლოდ მის უმნიშვნელო ადაპტირებას საკუთარ მეტრორიტმულ შეგრძნებასთან.

დამოწმებანი:

Киселёв, П. *Хоровое творчество Хиндемита*. Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата искусствоведения. М.: Московская гос. консерватория им. П.И. Чайковского, 2009.

Левая, Т., О. Леонтьева, О. *Пауль Хиндемит*, М.: Музыка, 1974.

Уитмен, Уолт. *Стихотворения и поэмы*. Библиотека всемирной литературы. Т.119, М.: Художественная литература, 1976.

Чуковский, К. *Мой Уитмен*. М.: Прогресс, 1966.

www. Poet Corner Walt Whitman. When Lilacs Last in the Door-Yard Bloom'd

IRINA SARUKHANOVA

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

PAUL HINDEMITH AND WALT WHITMAN

SUMMARY

Paul Hindemith is one of the greatest composers of the twentieth century. Musicological science relates it to those “four whales” which keeps all the new music and which laid the foundation and gave the initial impulse for its further development. This is Arnold Schoenberg, Igor Stravinsky, Bela Bartok, Paul Hindemith. 30s heyday of diverse creative activity Hindemith: teaches composition at the Berlin Music High School, touring the world as a conductor, soloist and violist performer on ancient instrument viola d’ amour. He is the author of nume-

rous works in various genres. However, since the end of 1934 his name disappears from all concert programs: the second composition after the German composer Richard Strauss, the greatest German composer, isn't performed in Nazi Germany any more as by the verdict of Goebbels it was declared the representative of "degenerative" art and "culturally and politically unacceptable". In 1940, Hindemith was forced to immigrate to the United States, where he began teaching at the School of Music (Conservatory) at Yale University. In one of the central works he is closely associated with America, Requiem devoted to the memory of Franklin Roosevelt. As the text of the poem Hindemith addressed to the poem of American poet Walt Whitman's "When lilacs blooming in the spring". Poems in turn were devoted to Abraham Lincoln. The requiem written after the World War II, with the subtitle "In memory of those whom we love", was perceived as a musical monument to the fallen in the war and at the same time as a tribute to the country that gave the composer the right of citizenship in very difficult years of emigration. Composing the Requiem – is one of the most remarkable facts in the late work of Hindemith.

TAMAR SIRADZE

Shota Rustaveli State University, Professor

EDITH WHARTON'S NEW YORK

Edith Wharton wrote *The Age of Innocence* in six months, between September 1919 and March 1920. She was writing about the world - Old New York - in which she had grown up, a world that had already vanished. But writing from a temporal and geographical distance, and through the magnifying lens of retrospect, she was able to enrich her portrait of a society and of a moment in time with everything she had learned and experienced since, with everything she knew about passion and obligation, about the perils of personal fear and social convention, about renunciation and regret, youth and age, memory and fantasy, anticipation and disappointment; America and Europe.

Having read the novel, one can open it at random and be instantly returned to the enthralling if progressively more unhappy inner life of Newland Archer, married to one woman and infatuated with another. One can attend the choreographed dinners and lawn parties, ride in carriages and on ferries, and eavesdrop on seemingly straightforward conversations that conceal—that barely conceal—layers of nuance, subtext, unspoken longing, suppressed declarations of love and overt demarcations of territory. We get to know the characters so well that we know instantly how each major figure is responding to a bit of new information or a changed view of the situation. After a while the author no longer needs to tell us.

No one has written more incisively not just about a historical period and a particular social milieu but about something more timeless—the ardor with which we flee and return to the prison of conditioning and convenience. Wharton's graceful sentences create dramatic, populous tableaux and peel back layer after layer of artifice and pretense, of what

we say and how we wish to appear, revealing the hidden kernel of what human beings are like, alone and together.

After the Civil War ended in 1865, Americans enjoyed a robust economy driven by the rapid growth of banking, railroads, and industry - a period referred to as the Gilded Age. A few investors, sometimes called “robber barons,” used their fortunes to build such notable New York institutions as the American Museum of Natural History (1869), the Metropolitan Museum of Art (1872), and the Metropolitan Opera House (1883).

The social importance of opera-going plays an especially significant role in *The Age of Innocence*. Wharton notes that New York City’s Metropolitan Opera House was intended to “compete in costliness and splendor with those of the great European capitals.” (Wharton 2009:17). It became the hub of a world in which the type of carriage waiting outside signified the owner’s wealth and social position. Traveling in a private brougham, a landau, or a Brown coupé can be compared to driving a luxury sports-car, a minivan, or a jeep - the mode of transport indicating economic status and family size as well as personal taste.

During the Gilded Age, social classes in New York City became increasingly stratified. Money mattered, but the way a family made its fortune - and how long they had possessed it - counted most of all. In the 1890s, social adviser Samuel Ward McAllister and society matron Caroline Astor created “the Four Hundred,” a list composed of a carefully selected group of upper-class families deemed the social elite.

A strict dress code applied to both men and women for evening engagements. For gentlemen, getting “dressed for dinner” meant changing from a suit into a tuxedo. For women, even the colors and textures of their dresses were coded. Ellen Olenska’s clothes and accessories reflect her unconventional European taste. At the opera, she wears a diamond headdress and a dark blue velvet gown with a clasp under her bosom. This “Josephine look” or Empire waist contrasted with the

plunging necklines covered by lace that most fashionable American women wore.

Divorce in the late nineteenth century was rare, expensive, and difficult to obtain. Despite a political philosophy based on one's "pursuit of happiness," an American marriage could not be dissolved for so subjective a quest. Divorce was illegal in many states; others allowed it for adultery only. Some courts would grant a divorce in cases of abandonment or abuse—usually after a prolonged interval. Remarriage, sometimes even for the innocent spouse, was seldom granted. Property laws, lack of education, and diminished work opportunities discouraged many women from seeking a divorce. The social price was high. Slander and alienation were costs not to be taken lightly in a society such as Old New York, where a respectable name was one's most valuable asset. Still, from 1889 to 1906, the United States had the highest divorce rate in the world.

In December 1908, Teddy Wharton told his wife that he had embezzled \$50,000 from her trust funds and had purchased a Boston apartment where he was living with a mistress. It was not until September 1911 that Edith Wharton left America permanently, entrusting her husband to sell their Massachusetts home, The Mount. Even then, her fear of the social repercussions kept her from immediately seeking a divorce. But Teddy's increasingly manic-depressive behavior ultimately led her to petition the French court for a divorce on grounds of adultery in 1913—after twenty-eight years of marriage.

Wharton's own courage is reflected in several of her female protagonists, and her fiction consistently takes up the subject of marriage and divorce, including the cost of divorce for children. But nowhere is it more at the center of the drama than in *The Age of Innocence*, as the Mingott-Archer-Welland families push lawyer Newland Archer to take the case of the Countess Ellen Olenska. As Newland somewhat ironically tells a family member, "European society is not given to divorce: Countess Olenska thought she would be conforming to American ideas

in asking for her freedom.” Whatever cruelty Ellen may have suffered from her husband, the family believes that nothing is worse than a scandalous divorce. The novel’s final dinner party demonstrates how far one New York family will go in the 1870s in order to remain ostensibly innocent.

“Our ideas about marriage and divorce are particularly old-fashioned. Our legislation favors divorce—our social customs don’t.” – says Newland Archer to Ellen Olenska in *The Age of Innocence*.

Edith Wharton’s *The Age of Innocence* (1920) begins at the opera on a January evening in the early 1870s. All of fashionable New York is there to see soprano Christine Nilsson sing in *Faust*. Among them is Newland Archer, an affluent lawyer in his thirties, who is “sincerely yet placidly in love” with the beautiful May Welland. Newland never questions that his fiancée, May, will be the perfect wife—especially since they both come from distinguished families—until her cousin, the exotic Countess Ellen Olenska, returns suddenly home after many years spent in Europe. From the moment Ellen enters the opera in a European-style dress that reveals too much shoulder, she shocks Old New York. When she soon buys a home in an artists’ area, she faces criticism from her family. When she attends Sabbath evening music parties with the married Jewish businessman, Julius Beaufort, she encounters more censure. But when she wants to divorce her Polish husband, Count Olenski, she risks public disgrace.

The family believes their only hope for social respectability lies in Newland—if he can only persuade Ellen to withdraw her petition for divorce. At first he takes the case so that her secrets will remain hidden from those less sympathetic. But with time, Newland not only falls in love with Ellen—despite his impending wedding to May—he also begins to see the hypocrisy of his world. In a society that believes “divorce is always unpleasant” because of the scandal that results for the family, Newland’s deepest beliefs are challenged. Will he follow the wishes of his family and convince Ellen to remain in an oppressive

marriage? Or will he risk his own name and encourage Ellen to seek the divorce she wants?

The Age of Innocence re-creates New York's Gilded Age, but it also has a great deal to say to the twenty-first century. Ellen's wish to be accepted in America will strike a chord with anyone who's ever felt like an outsider in her own family. Newland's struggle should be familiar to everyone who has ever weighed the social cost of following his desires. The couple's illicit romance—and their commitment not to hurt those around them—linger in the reader's mind with all the persistence of a lifelong regret.

Flowers are important symbols in Edith Wharton's *The Age of Innocence*. Many Victorian families had a book on the "language of flowers" in their home, or even a flower dictionary. Giving flowers was not only a way to express wealth, but also a way to communicate a subtle message.

Every morning during his engagement, Newland Archer sends lilies-of-the-valley to May Welland. Lilies-of-the-valley symbolizes purity, modesty, and return of happiness. Newland believes May to be as naïve and innocent as these white flowers suggest.

After Newland's first visit to Ellen Olenska's home, he sends her a bouquet of yellow roses. The message of a yellow rose is more complicated. Yellow roses can represent jealousy, infidelity, friendship, or a decrease of love.

"His eyes lit on a cluster of yellow roses. He had never seen any as sun-golden before, and his first impulse was to send them to May instead of the lilies. But they did not look like her—there was something too rich, too strong, in their fiery beauty" (Wharton 2009:37).

Edith Wharton's 1920 Pulitzer Prize winning novel, *The Age of Innocence*, is a story about how people never communicate their real feelings. Wharton suggests at the end of her book, set twenty-five years after the start that the next generation is more open, but I'm not sure even a hundred years later, in our own times, if this is true. The love triangle of Newland Archer, his fiancée May Welland, and her older co-

usin, Ellen Olenska is shown through the viewpoint of Newland's mind. Edith Wharton does an excellent job of taking on a male point-of-view, considering the cultural restrictions of her time, and her consideration for the minds of people from the 1870s.

The Age of Innocence is a story of culture and manners and their impact on people. Newland Archer knows what he's suppose to do, and how other people are suppose to act, but within his own mind he wants to be different, and imagines that maybe other people do too, but his life is frustrated by the few clues he gets to verify his theories. He thinks he has the perfect young woman lined up to be his wife and then he meets a woman who has run away from her husband, a Count no less, abandoning wealth and position, to flaunt traditional behavior.

Countess Ellen Olenska is described as looking old at thirty, and nowhere near as beautiful as her younger cousin May, at twenty-two. Yet, Newland Archer finds himself more attracted to Ellen. Plenty of other men do too, and readers are never sure how many men are chasing Ellen, or how many are catching her. Many men want to make her their mistress, but we are never told the details of the relationships because we only get to know what Archer knows. He gets conflicting information from Ellen and the people who know her. Archer is never sure what May is thinking, or Ellen. He often plays games, telling himself if this happens, he'll do this, and it means that, but they never work out like he plans.

People today still do not say what they are thinking but instead communicate with a strategy like the old Battleship game, where players try to guess the location of hidden ships on a grid. Readers following along behind Newland Archer and watch his strategic plans and waits with him to see if his remarks hit anything in the minds of May and Ellen, and then ponders along with Archer about May and Ellen's commands back and if they offer any clues to what they are thinking. Even to the end, what May knows about Archer's feelings for Ellen is ambiguous

to the reader, but Wharton lets us know that May is no dummy and is playing her own game with as much passion as Newland's.

We know even less about what Countess Olenska is thinking. Is Archer someone special to her, or is he just one of many men that she plays along. And does Archer really want to know? Edith Wharton has written a beautiful masterpiece about the battle between the sexes. The ending is perfect. Reading this novel makes me, and I assume other readers, wonder why people don't just say what they are thinking. My guess is we're afraid of shattering our fantasies. Our expectations of other people are all built on fantasy, speculation and desires. If men knew what women were thinking, it would be crushing blows to our egos and sexual fantasies. If women knew what men were thinking it would be the end of romance.

Supposedly, Wharton knew this. Perhaps, Countess Olenska knew this, and from the last scene apparently Newland Archer knew this, and we are given hints that even May eventually learned this truth. But we never know anything for sure, because Wharton knew that, too.

Edith Wharton's creative practice is a brilliant example of realistic exposition of social picture of the United States of America at the turn of the 19th-20th centuries, the so called *fin de siècle* period. Her famous novel "*The Age of Innocence*" is a panorama of New York upper class. Among New York City's upper class of the 1870s, before the advent of electric lights, telephones or motor vehicles, there was a small cluster of aristocratic families that ruled New York's social life. To those at the apex of the social world one's occupation or abilities were secondary to heredity and family connections, and one's reputation and outward appearance was of foremost importance.

The paper deals with the significant features and peculiarities of New York depicted by Edith Wharton. On the example of showing relationships between the protagonists of the novel the author offers a realistic image of her New York and sharply criticizes the ostentation and falsity that hinder existence of frank and candid as well as desirable relations between humans.

References:

Coote, S. *The Penguin Short History of English Literature*. Penguin Books, 1993.

Ousby, I. *The Wordsworth Companion to Literature in English*. Wordsworth Reference, Cambridge, 1992.

Sanders, Andrew. *The Short Oxford History of the English Literature*. Oxford: Blackwell, 1996.

Wharton, E. *The Age of Innocence*. Penguin, 2009.

თამარ სირაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ედით უორტონის ნიუ იორკი

რეზიუმე

ედით უორტონის შემოქმედება მე-19 — მე-20 საუკუნეების მიჯნის ამერიკის შეერთებული შტატების სოციალური სურათის რეალისტურად ჩვენების შესანიშნავი მაგალითია. მისი ცნობილი რომანი „უმანკოების ხანა“ ძველი ნიუ იორკის მაღალი საზოგადოების პანორამაა. 1870-იან წლებში, ელექტროენერჯის, ტელეფონების თუ ავტომობილების გამოჩენამდე, ნიუ იორკის სოციალური ცხოვრება არისტოკრატიული ოჯახების და გვარების მცირე ჯგუფის მიერ იმართებოდა. სოციალური კიბის მწვერვალზე მყოფთათვის პროფესიას და უნარ-ჩვევებს ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც მემკვიდრეობითობას და ოჯახურ ურთიერთობებს, უმთავრესი კი იყო რეპუტაცია და გარეგნული წესრიგი.

ნაშრომი განიხილავს ედით უორტონის მიერ დახატული ნიუ იორკის საყურადღებო ნიშან-თვისებებს. მთავარი პერსონაჟების ურთიერთობის წარმოჩენის მაგალითზე ავტორი გვთავა-

ზობს თანადროული ნიუ იორკის რეალისტურ სურათს და მკაცრად აკრიტიკებს იმ მოჩვენებითობას და სიყალბეს, რაც ხელს უშლის ადამიანების შორის გულახდილი და სასურველი ურთიერთობების არსებობას.

ირაქლი ცხვიდიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ჯონ დოს პასოსი და მისი რომანი მანჰატენ ბრანსფერი

*მე დოს პასოსს ჩვენი დროის უდიდეს
მწერლად მივიჩნევ.
უან პოლ სარტრი¹*

ატლანტის ოკეანეში, ტენერიფედან – კანარების ერთ-ერთი კუნძულიდან – ჩრდილოეთით 400 კილომეტრში, დღევანდელი ევროკავშირის განაპირას, ერთი პატარა, ულამაზესი არქიპელაგია, რომელიც პორტუგალიის ავტონომიურ რეგიონს წარმოადგენს². ეს არქიპელაგი სამი კუნძულისაგან შედგება და რამდენადაც მათგან ყველაზე დიდს მადეირა ჰქვია³, თავად არქიპელაგსაც ამ სახელს უწოდებენ.

2004 წლის 20 სექტემბერს პატარა, მთაგორიანი კუნძულის, მადეირას ასევე პატარა დაბა პონტა დო სოლში მე-20 საუკუნის მნიშვნელოვანი ამერიკელი მწერლის, ჯონ დოს პასოსის სახელობის კულტურის ცენტრი (Centro Cultural John Dos Passos)⁴ გაიხ-

1 ეს აზრი სარტრმა გამოთქვა წერილში *ჯონ დოს პასოსი და 1919*: “I regard Dos Passos as the greatest writer of our time” (Sartre 1971: 80).

2 ეს დაუსახლებელი არქიპელაგი 1419 წელს, „დიდ აღმოჩენათა“ ხანაში, აღმოაჩინეს პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა. კუნძულზე პირველი მოსახლეები 1420 წლიდან გამოჩნდნენ. არქიპელაგის ფართობი დაახლოებით 800 კვადრატული კილომეტრია, ხოლო მისი მოსახლეობა 300000 მაცხოვრებელს თუ აღწევს.

3 მადეირას არქიპელაგის 93% უჭირავს. აქვე, კუნძულის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს მადეირას ავტონომიური ოლქის დედაქალაქი ფუნკალი. ბუნებრივ გეოლოგიურ „ამფითეატრში“ გაშენებული, ზღვის ყურიდან მთის ფერდობებზე შეფენილი ამ ხუთსაუკუნოვანი ქალაქის ზოგიერთი უბანი და ქუჩა ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

4 2006 წელს სწორედ ამ ცენტრმა ჩაატარა კუნძულ მადეირაზე ჯონ დოს პასოსის შემოქმედებისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ჯონ დოს

სნა შენობაში, რომლის ფასადზეც დიდი დათვის თანავარსკვლავედის შვიდი ვარსკვლავია გამოსახული და რომელსაც დღესაც *Villa Passos*-ს ეძახიან, ვინაიდან იგი მწერლის 1812 წელს დაბადებული ბაბუის, მანუელ იოაკიმ დოს პასოსის ნათესავებს ეკუთვნოდათ⁵.

1830 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მანუელ იოაკიმ დოს პასოსი რაღაც ფათერაკს გადაჰყრია და იძულებული გამხდარა, პონტა დო სოლიდან ამერიკაში გაქცეულიყო⁶, სადაც ჯერ ბოლტიმორში დამკვიდრებულა, შემდეგ კი ფილადელფიაში გადასახლებულა და ცოლად შეურთავს ამერიკელი გოგონა ლუსი ქეთელი. მათ 7 შვილი შესძენიათ, რომელთაგან ნაბოლარა, ჯონ რენდოლფი, მომავალი მწერლის მამა, 1844 წელს დაბადებულა ფილადელფიაში. ჯონ რენდოლფს, რომელიც საკმაოდ ნიჭიერი და, როგორც დოს პასოსი იგონებს, ანალიტიკური აზროვნების უნარით დაჯილდოვებული ადამიანი ყოფილა, პენსილვანიის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეცია-

პასოსის შემოქმედების საყოველთაოდ ცნობილ სპეციალისტებთან ერთად მწერლის პირველი ქართული მკვლევარი, ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი, ან გარდაცვლილი პროფესორი ვახტანგ ამალალობელიც მონაწილეობდა. კონფერენციაზე მკვლევარმა ნაიკითხა მოხსენება სათაურით „ჯონ დოს პასოსი 1921 წლის საქართველოს ანექსიის შესახებ“, სადაც განიხილა დოს პასოსის ორი ვიზიტი საქართველოში 1920-იან წლებში და მწერლის მოგზაურობის შთაბეჭდილებები, რომლებიც ამ უკანასკნელმა აღწერა ესეებში „გასაბჭოებელი კავკასია“ (1922), „როსინანტი ისევ გ'ზაზეა“ (1922), „აღმოსავლეთის ექსპრესი“ (1927), „ყველა ქვეყანაში“ (1936). 2010 წელს გამომცემლობამ Cambridge Scholars Publishing წიგნად გამოსცა კონფერენციის მასალები: იხ. Maria Zina Goncalves de Abreu and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), John Dos Passos: Biography and Critical Essays. Cambridge Scholars Publishing, 2010.

5 ეს სახლი აშენებულია მე-19 საუკუნის I ნახევარში, თუმცა მან დღევანდელი სახე 1930-იანი წლების ბოლოს შეიძინა, როცა ფორტუნატო პიტამ, დოს პასოსის ბოლო ნათესავმა, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა, სახლი შეაკეთა. შემდგომი რესტავრაციანახლების მიუხედავად, შენობას დღემდე აქვს შენარჩუნებული მამინდელი იერი. 1996 წელს ეს შენობა მადეირას მთავრობამ შეიძინა მარია ამალია პიტა ტელესის, დოს პასოსის უკანასკნელი მემკვიდრისაგან. ამჟამად იგი სახელმწიფო კულტურული და კვლევითი დაწესებულება და პონტა დო სოლის ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლია.

6 დანერჩილებით ჯონ დოს პასოსის წინაპრებზე, ამერიკაში მათ ემიგრაციასა თუ მწერლის პორტუგალიურ ფესვებზე იხ. მიგელ ოლივეირას წიგნში *From "A Man without a Country" to "An American by Choice": John Dos Passos and Migration*. Norderstedt: Books on Demand GmbH, 2013.

ლობის სალამოს კურსები დაუმთავრებია და მოგვიანებით ნიუ იორკში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადვოკატი გამხდარა (Dos Passos 1968: 20)⁷. 1896 წელს ჯონს და ლუსი ედისონ სპრიგ მედისონს, რომლებიც ოფიციალურად დაქორწინებულნი არ იყვნენ, ვაჟი შეეძინათ. იმის გამო, რომ მშობლები ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ, ბავშვისათვის ჯექ მედისონი დაურქმევიათ და მხოლოდ მოგვიანებით მიუღია მას მამის გვარი და ჯონ როდერიგო დოს პასოსი გამხდარა.

ჯონ რენდოლფი საკმაოდ მზრუნველი მამა ყოფილა – სწორედ მან შეაყვარა პატარა ჯექს მხატვრული ლიტერატურის კითხვა ადრეული ასაკიდანვე. შემდგომში მწერალი იგონებდა, რომ პირველი წიგნები, რომლებიც მამამ წასაკითხად მისცა, საზღვაო-სათავგადასავლო რომანები იყო. სწორედ ამ წიგნებმა შეაყვარა მას ზღვა პატარაობიდანვე და საზღვაო კარიერაზე ოცნებაც კი დააწყებინა, სანამ დარწმუნდებოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო მისი ახლომხედველობის გამო, თუმცა ზღვისა და მოგზაურობის სიყვარული დოს პასოსს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა (Dos Passos 1968: 24). მამამვე წაიყვანა პირველად 9 წლის ბიჭი მისი წინაპრების სამშობლოში – მადეირაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე (1896-1970) დოს პასოსი მადეირას სულ სამჯერ ესტუმრა, მას ადრეული ასაკიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა თავისი პორტუგალიური ფესვები და სადაც უნდა წასულიყო ბავშვობაში, ადრეულ სიჭაბუკესა თუ ახალგაზრდობაში, თავს ყველგან გარიყულად და მარტოსულად გრძნობდა, საკუთარ თავს „უსამშობლო კაცად“ (*‘a man without a country’*), „ორმაგ უცხოელად“ (*‘double foreigner’*), გაურკვეველი ნაციონალური იდენტობის აუტსაიდერად აღიქვამდა. ასეთი განცდა-განწყობილებებითაა გამსჭვალული მისი

7 სტატილაში გადმოცემული ინფორმაცია ჯონ დოს პასოსის წინაპრებისა და ბავშვობის შესახებ ძირითადად მწერლის მოგონებებს ეფუძნება, რომლებიც მან აღწერა მემუარების წიგნში: Dos Passos, John. *The Best Times. An Informal Memoir*. New York: Signet Books, 1968.

პროზის ის პასაჟები, სადაც მხატვრულ გამონაგონს ავტობიოგრაფიული ელემენტები ერწყმის⁸. უსამშობლობის განცდაც და კაპიტალიზმის მანკიერი მხარეების წინააღმდეგ ამბოხიც გარკვეულწილად სწორედ მწერლის პორტუგალიური წარმომავლობით შეიძლება აიხსნას. თავისი სიყვარული წინაპრების სამშობლოსადმი დოს პასოსმა გამოხატა კიდევ მემუარეების წიგნში *საუკეთესო დრონი. არაოფიციალური მემუარე*⁹, რომელშიც პონტა დო სოლს იგი აღწერს როგორც „მთებში ღრმად ჩაფლულ პანანინა ქალაქს ფუნკალიდან აღმოსავლეთით, რამდენიმე მილის დაშორებით“ (Dos Passos 1968: 15).

მოგვიანებით მწერალი იხსენებს თავის პირველ ვიზიტს მადეირაზე მშობლებთან ერთად 1905 წლის მაისში. ოჯახი გემიდან ფუნკალში გადამსხდარა, შემდეგ კი ნათესავები მოუნახულებიათ პონტა დო სოლში. ამ ვიზიტიდან დოს პასოსის მეხსიერებას ყველაზე მეტად ფუნკალის „სურნელები“ შემორჩენია; თუ პრუსტს ჩაიში ჩამბალი ორცხობილას გემო უცოცხლებდა „დაკარგულ დროს“ და ბავშვობის განცდა-შეგრძნებებს, დოს პასოსის ცნობიერებაში მამამისის სახე და მისი ბავშვობის დროინდელი მადეირა ნესვის სუნთან ასოცირდებოდა. მწერალი იხსენებდა: „მამაჩემის სახე ჩემს ცნობიერებაში ნესვის სუნთან ასოცირდება. ჩემი გონების რომელიღაც კუნჭულში დღემდე შემორჩენილია ბავშვობის მოგონება – მაგიდა და უზარმაზარი ყვითელი ნესვის დასაჭრე-

8 ამ თემას დეტალურად განიხილავს კარლოს აზევედო ესეიში “The Colors of a Nation: Portugal in John Dos Passos’s Stream-of-Memory”. In: G. Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010, p. 14-22.

9 თავისი მეგობრის, რამსეი მარვინისათვის მწერალს ისიც კი უთქვამს, შემეძლო მთელი საუკუნე გამეტარებინა მადეირაზეო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დოს პასოსის დამოკიდებულება პორტუგალიისადმი და პორტუგალიელი ხალხისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდობისას, არაერთგვაროვანი, წინააღმდეგობრივი იყო და ნეგატიურ განწყობილებებსაც მოიცავდა. ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დანვრილებით იხ. დოს პასოსის აღიარებული ბიოგრაფოსის, თაუნსენდ ლუდინგტონის ესეი: Ludington, Townsend. “John Dos Passos: A Major American Modernist”. In: G. Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010, p. 2-13.

ლად დახრილი მამაჩემის მზეზე ალაპლაპებული მელოტი თავი... ალბათ ძალიან პატარა ვიყავი, ვინაიდან ამ სურათხატში ყველაფერი დიდად წარმომიდგება” (Dos Passos 1968: 12).

მიუხედავად იმისა, რომ დოს პასოსმა 1919 წლის შემოდგომაზე პორტუგალიაში იმოგზაურა, იგი მაღეირას მეორედ მხოლოდ 1921 წლის მარტის მიწურულს ეწვია, როცა ევროპისაკენ მიემშურებოდა ე. ე. კამინგსთან¹⁰ ერთად. მწერალმა მეგობართან ერთად ქალაქი დაათვალიერა და მიუხედავად იმისა, რომ ფუნკალში მხოლოდ რამდენიმე საათი გაჩერებულან, ნათესავების მონახულებაც მოასწრო (Dos Passos 1968: 102).

დოს პასოსის მცდელობა, პორტუგალიურ ენაზე, ლექსიკონის დაუხმარებლად გაეშიფრა პორტუგალიელების ნაციონალური ეპოსი *ლუზიადები*¹¹, ცხადჰყოფს მის მისწრაფებას, უფრო ღრმად შეეცნო თავისი ფესვები.

მესამედ და უკანასკნელად დოს პასოსი მაღეირას მეუღლესთან, ელიზაბეტ ჰოლრიჯ დოს პასოსთან, და ქალიშვილთან, ლუსისთან ერთად ესტუმრა 1960 წლის ივლისში. მწერალს ინტერვიუ ჩამოართვა ადგილობრივმა გაზეთმა *Diario de Noticias*¹², სადაც მან აღნიშნა, რომ იგი ამაყობდა თავისი წარმომავლობითა და წინაპრებით და მოიბოდიშა იმის გამო, რომ პორტუგალიურად ვერ ლაპარაკობდა პრაქტიკის ნაკლებობის გამო. მწერალმა იქვე აღიარა, რომ მას შეეძლო პორტუგალიურ ენაზე კითხვა და აღფრთოვანებული იყო პორტუგალიელი მოდერნისტი პოეტით,

10 ედვარდ ესტლინ კამინგსი (E. E. Cummings, იგივე e e cummings, 1894-1962) – მნიშვნელოვანი ამერიკელი მოდერნისტი პოეტი, მხატვარი, ესეისტი, პროზაიკოსი და დრამატურგი; მისი მემკვიდრეობა მოიცავს დაახლოებით 2900-მდე ლექსს, ორ ავტობიოგრაფიულ რომანს, ოთხ პიესასა და რამდენიმე ესეის, ასევე უამრავ ნახატსა და ფერწერულ ტილოს.

11 *ლუზიადები (Os Lusíadas)* – ლუის ვაზ დე კამოესის (Luís Vaz de Camões, 1524-1580; ასევე ხშირად იხმარება ანგლიციზირებული ფორმა Camoens – კამოენსი) ეპიკური პოემა, სადაც აღწერილია პორტუგალიელ ზღვაოსანთა მოგზაურობანი და აღმოჩენები მე-15-16 საუკუნეებში. დაიწერა დაახლ. 1556 წელს, ხოლო გამოქვეყნდა 1572 წელს. მიჩნეულია პორტუგალიელთა ნაციონალურ ეპოსად.

12 ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთის 1960 წლის 16 ივლისის ნომერში.

ფერნანდო პესოათი.¹³ ამავე ინტერვიუში მწერალმა თავისი და-ინტერესება პორტუგალით იმითაც გამოხატა, რომ განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ – დაენერა ესეების კრებული პორტუგალიური კულტურის შესახებ. დოს პასოსი მიიწვიეს პონტადო სოლშიც, სადაც მას ქალაქის მერმა დიდი პატივი მიაგო და ჩინებული დახვედრაც მოუწყო. მის პატივსაცემად მისი კუზენის, ფორტუნატო პიტას მემკვიდრეების სახლზე გააკრეს აბრა წარწერით: „ამ სახლში დაიბადნენ გამოჩენილი ამერიკელი მწერლის, ჯონ დოს პასოსის წინაპრები. იგი ესტუმრა ამ მუნიციპალიტეტს 1960 წლის 20 ივლისს. პონტადო სოლის მერიისაგან“. ადგილობრივი გაზეთები აჭრელდა ინფორმაციით დოს პასოსის ვიზიტის შესახებ.

დოს პასოსის მოგონებები პორტუგალიასა და მადეირაზე, განსაკუთრებით იქ მისი ადრეული ვიზიტების შესახებ, შეიძლება განვიხილოთ როგორც „კამერის თვალის“¹⁴ მეთოდით დახატული სურათები პორტუგალიისა და მადეირას საზოგადოებებისა და მათი ცხოვრების წესისა; მწერალი აშკარად თუ ფარულად წარმოაჩინს მისი წინაპრების სამშობლოში მდიდართა და ღარიბთა შორის არსებულ უზარმაზარ უფსკრულს. შესაძლოა, პორტუგალიელთა ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვებისაგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმაც გარკვეულწილად განაპირობა დოს

13 ფერნანდო პესოა (Fernando António Nogueira Pessoa, 1888-1935) – პორტუგალიელი პოეტი, მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი, გამომცემელი და ფილოსოფოსი; მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა და პორტუგალიურენოვანი პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

14 „კამერის თვალი“ (‘Camera-Eye’) – როგორც წესი, „კამერის თვალის“ პასაჟები დაწერილია „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით და დოს პასოსის ერთგვარ ავტობიოგრაფიულ ‘Künstlerroman’-ს (გერმ. რომანი ხელოვანის და მისი ჩამოყალიბების შესახებ) წარმოადგენს. ამ მეთოდს მწერალი განსაკუთრებით სრულყოფილად და მასშტაბურად იყენებს თავის პანორამულ ტრილოგიაში *აშშ (U.S.A., 1930-1936)*. ალბათ 50-ე „კამერის თვალი“ შეიცავს ტრილოგიის ყველაზე ცნობილ სტრიქონს, რომელიც ნიკოლა საკოსა და ბართოლომეო ვანზეტის (იტალიელი ანარქისტები, რომლებსაც ბრალი დასაფეს ორი ადამიანის მკვლელობაში ბრეინთრის (მასაჩუსეტსი, აშშ) ფენსაცმლის ფაბრიკის შეიარაღებული ძარცვისა და 1927 წელს სიკვდილით დასაჯეს; ამ ამბავს დიდი საერთაშორისო რეზონანსი და საპროტესტო გამოსვლების ტალღა მოჰყვა) სიკვდილით დასჯას შეეხება: „ჩვენ ორი ვართ“ („all right we are two nations“).

პასოსის ჩამოყალიბება კაპიტალიზმის სოციალური წყობის კრიტიკოსად და პოლიტიკურ აქტივისტად. რასაკვირველია, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებაც და ამერიკის სინამდვილაც აძლევდა მწერალს ამის საფუძველს – იგი ხომ მსოფლიო ომების, უპრეცედენტო პოლიტიკური არასტაბილურობის, ე. წ. „წითელი ტერორის“ ('Red Scare'), თავისუფლებასა და ეგალიტარიანიზმზე „ამერიკული ოცნების“ მსხვერვის, ერთი სიტყვით, მძაფრი სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების ეპოქაში ცხოვრობდა.

მადეირაზე ბოლო ვიზიტის შემდეგ მწერალმა მხოლოდ 10 წელი იცოცხლა – 1970 წლის 28 სექტემბერს მთელს მსოფლიოში გავრცელდა ცნობა ჯონ დოს პასოსის გარდაცვალების შესახებ.

...

თუ პორტუგალიასთან გენეტიკურად იყო დაკავშირებული, დოს პასოსს ზოგადვერობულ კულტურასთან საერთოდ და კერძოდ კი ევროპულ მოდერნისტულ ხელოვნებასთან კიდევ უფრო ღრმა შემოქმედებითი და ინტელექტუალური დაფები აკავშირებდა – მის შემოქმედებით ტემპერამენტზე, მსოფლმხედველობასა თუ მხატვრულ კონცეფციებზე გავლენას პორტუგალიურ ფესვებთან ერთად ევროპული მოდერნიზმის ესთეტიკაც ახდენდა. ამ უკანასკნელისათვის ნიშანდობლივი „საზღვრების წაშლა“ ფაქტსა და გამონაგონს შორის დოს პასოსის მხატვრული პროზისა თუ ესეისტიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებათაგანია.

ევროპაში ხეტიალისა და განსწავლის წლებმა დიდი ზეგავლენა იქონია დოს პასოსის მსოფლმხედველობისა და ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე. | მსოფლიო ომის დროს, ისევე როგორც ერნესტ ჰემინგუეი, იგი სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლად მსახურობდა; ომის შემდეგ პარიზს მიაშურა, სადაც, ჰემინგუეისთან ერთად, ე. წ. „დაკარგული თაობის“¹⁵

15 „დაკარგული თაობა“ – „თქვენ დაკარგული თაობა ხართ“ („You are a lost generation“) – ამ სიტყვებით მიმართა გერტრუდ სტიინმა ჰემინგუეის, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს სიტყვები თავისი რომანის „აღმოსვლის მზე“ ეპიგრაფად გამოიყენა; იგულისხმება ამერიკელ მწერალთა და ინტელექტუალები | მსოფლიო ომგამოვლილი თაობა, რომლის დიდმა ნაწილმაც ამერიკა დატოვა და ევროპას მიაშურა ამერიკის ახალი კულტურული

ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად იქცა.¹⁶ სწორედ ევროპული ოდისეას წლებში ეზიარა დოს პასოსი მოდერნისტულ ფერწერას, მუსიკასა და ლიტერატურას, რამაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას ამერიკული ავანგარდული ხელოვნების ცენტრალურ ფიგურად. თაუნსენდ ლუდინგტონის მართებული მოსაზრებით, დოს პასოსის ადრეული შემოქმედების გათვალისწინება აუცილებელია ამერიკული მოდერნიზმის გასაგებად (Ludington 2010: 2-14).

დოს პასოსის კრიტიკული დამოკიდებულება ამერიკულ ლიტერატურაში ღრმად ფესვგადგმული დრომოჭმული კონვენციებისადმი მის პირველივე ესეში – *ამერიკული ლიტერატურის წინააღმდეგ (Against American Literature, 1916)* ვლინდება. ეს ტექსტი მან გამოაქვეყნა ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ჟურნალში *The New Republic*. მართალია, ესე ორიგინალობით არ გამოირჩევა – კონვენციურ ლიტერატურას ახალი ლიტერატურული თაობის უამრავი სხვა წარმომადგენელიც აკრიტიკებდა ამერიკაში, მაგრამ იგი თავისთავად საინტერესოა როგორც დოს პასოსის ლიტერატურული გემოვნების გამომსახველი ტექსტი, სამწერლო კარიერის დასაწყისშივე ლიტერატურული ფორმების განახლებისაკენ მისი მისწრაფების დამადასტურებელი დოკუმენტი.

უნივერსიტეტის დამთავრებიდან მალევე, 1916 წლის ოქტომბრის დასაწყისში დოს პასოსი ესპანეთში გაემგზავრა ხელოვნე-

იდენტობის გამოსაჭედად „ახალი სამყაროს“ ნაპირებიდან ძალიან შორს; ფაქტობრივად, სწორედ ამ თაობამ შექმნა ის, რასაც შეიძლება „ამერიკული მოდერნიზმის ევროპული სკოლა“ ვუწოდოთ; ჩვეულებრივ „დაკარგულ თაობას“ მიაკუთვნებენ: თვითონ დოს პასოსს, ჰემინგუეის, სკოტ ფიცჯერალდს, ე. ე. კამინგსს, არჩიბალდ მაკლიშს, ჰარტ კრინის, ერის მარია რემარკს და მრავალ სხვა მწერალს, რომელთაც პარიზი აქციეს თავიანთი მოღვაწეობის ასპარეზად 1920-იან წლებში.

16 დოს პასოსისა და ჰემინგუეის მეგობრობა და იმავდროულად რთული, დაძაბული ურთიერთობები ცალკე თემაა. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: Rodenberg, Hans-Peter. „Dear Dos/Dear Hem” – Ernest Hemingway and John Dos Passos: A Turbulent Relationship in Turbulent Times”. In: G. Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010, p. 23-48.

ბისა და არქიტექტურის შესასწავლად, საიდანაც უკან 1917 წლის იანვარში დაბრუნდა მამის გარდაცვალების გამო, იმავე წლის ივნისში კი ისევ ევროპას მიაშურა, რათა სასწრაფო დახმარების ქვედანაყოფს შეერთებოდა. ევროპაში გამგზავრებამდე მომავალ მწერალს მოდერნისტული ხელოვნების რამდენიმე გამოფენა ენახა და უკვე განიცდიდა კიდევ ამ „ახალი ხელოვნების“ ესთეტიკის ზეგავლენას. ვირჯინია ვულფისა არ იყოს, რომელიც წერდა, „1910 წლის დეკემბერში ვიგრძენი, რომ ადამიანის ბუნება შეიცვალა“, ისიც გრძნობდა ლიტერატურაში ყავლგასული სენტიმენტებისა თუ ფორმების რღვევისა და ახლის ძიების აუცილებლობას. ეს ყოველივე, ისევე როგორც იმ პერიოდის მისი პირადი მიმონერა მეგობრებსა და თანამოაზრეებთან, მოწმობს, რომ დოს პასოსი თავიდანვე მძაფრად უპირისპირდებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების კონვენციურ ნორმებს; სხვა მოდერნისტების დარად, ისიც ნათლად ხედავდა ძველი სოციალური, კულტურული თუ სულიერი ღირებულებების რღვევისა და გადაფასების პროცესს, და კაცობრიობას აღიქვამდა როგორც მასობრივ ორგანიზაციებთან განუწყვეტელ ბრძოლაში ჩაბმულს – მილიტარიზაციასა თუ სამხედრო ორგანიზაციებთან *სამ ჯარისკაცში (Three Soldiers, 1921)*, ქალაქსა და ინდუსტრიასთან *მანჰეტენ ტრანსფერში (Manhattan Transfer, 1925)* ანდა, ცოტა მოგვიანებით, მონოპოლისტურ კაპიტალიზმთან ტრილოგიაში *აშშ (U.S.A., 1930-1936)*.¹⁷

1918 წელს დოს პასოსი პარიზშია და ანთროპოლოგიას ეუფლება სორბონის უნივერსიტეტში; ისევ ბრუნდება ამერიკის შეერთებულ შტატებში და 1922 წლის ზაფხულში ხელოვნებას შეისწავლის ჰამილტონ ისტერ ფილდის¹⁸ გრაფიკულ ხელოვნებათა

17 დოს პასოსის მოდერნისტად ჩამოყალიბების გზა ასევე ნათლად აირეკლება მის ხელოვნებასა და პოეზიაში, კერძოდ კი ერთადერთ პოეტურ კრებულში *A Pushcart at the Curb (1922)*, რაც ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

18 ჰამილტონ ისტერ ფილდი (Hamilton Easter Field, 1873–1922) – მნიშვნელოვანი ამერიკელი მხატვარი, მასწავლებელი, მწერალი, კრიტიკოსი, კოლექციონერი და მეცენატი.

საზაფხულო სკოლაში ოუგანქუიტში (იორკის საგრაფო, მეინის შტატი, აშშ). სანამ თავისი დროის ერთ-ერთ წამყვან რომანისტად იქცეოდა, ხატავს – იმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმისა და კუბიზმის ელემენტების შერწყმით ცდილობს შექმნას თავისი უნიკალური სტილი, თუმცა დიდ მხატვრად არასოდეს უღიარებიათ. და, რალა თქმა უნდა, 20-იან წლებშიც, ისევე როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე, ბევრს მოგზაურობს და ორჯერ საბჭოთა კავშირსაც კი ეწვევა, რათა საკუთარი თვალთ ნახოს ბოლშევიკური რევოლუციის შედეგები და უშუალოდ დააკვირდეს იქ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ექსპერიმენტებსა თუ გარდაქმნებს.¹⁹

1925 წელს მწერალი აქვეყნებს რომანს *მანჰეტენ ტრანსფერი*, რითაც ერთბაშად იქცევა ამერიკული მოდერნიზმის წამყვან ფიგურად და სახელმძღვანელო ავტორად.

...

მანჰეტენ ტრანსფერი დოს პასოსის მესამე რომანი და მისი პირველი ექსპერიმენტული ნარატივია, პანორამული ტრილოგიის *აშშ* ერთგვარი კარიბჭე, რომლის მთავარი თემა თვით ნიუ იორკია – ამერიკული მოდერნიზმის კვინტესენციური მატერიალური ქალაქი. ამ რომანში მწერალი პირველად მიმართავს ექსპერიმენტულ სამწერლო ტექნიკასა და კოლაჟს თხრობაში. წმინდად ტექნიკური თვალსაზრისით *მანჰეტენ ტრანსფერზე* აშკარაა ჯეიმზ ჯოისის *ულისეს (Ulysses, 1922)*²⁰, ტომას სტერნზ ელიოტის *ბერ-*

19 სოციალიზმის, კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიით განწყობილი დოს პასოსი ორჯერ ესტუმრა საბჭოთა რესპუბლიკებს და, მათ შორის, საქართველოსაც – პირველად 1921 წლის შემოდგომაზე (საქართველოს გასაბჭოებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ხოლო მეორედ 1928 წელს, როცა საბჭოთა კავშირში 6 თვე დაჰყო და იქედან საბჭოური სისტემით სრულიად იმედგაცრუებული დაბრუნდა. საქართველოში დოს პასოსის ვიზიტების შესახებ იხ. ვახტანგ ამაღლობელის წერილები, მათ შორის: Amaglobeli, Vakhtang. "John Dos Passos on the Annexation of Georgia in 1921". In: G. Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010, p. 56-62.

20 ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც დოს პასოსის პროზაზე ჯოისის მხატვრული მეთოდის ზეგავლენას გამოკვლევა მიუძღვნა, მარშალ მაკლუჰენი იყო – იხ. McLuhan, Marshall. „John Dos Passos: Technique vs. Sensibility“. In: Allen Belkind (ed.), *Dos Passos, the*

წი მიწის (*The Waste Land*, 1922) და საბჭოთა კინორეჟისორის სერგეი ეიზენშტეინის²¹ კინემატოგრაფიული მონტაჟის ტექნიკის ზეგავლენა.

რომანის გამოქვეყნებას არაერთი დადებითი გამოხმაურება და მაღალი შეფასება მოჰყვა. სინკლერ ლუისმა²² იგი შეაფასა, როგორც „უმნიშვნელოვანესი რომანი ... მწერლობის მთელი ახალი სკოლის გარიჟრაჟი“ (Lewis 1977), „სულისშემძვრელი სიმფონია“, რომელიც წარმოგვიდგენს „ნიუ იორკის პანორამას, სუნს, ხმაურს, სულს“ (Lewis 1988: 68-69), ხოლო დევიდ ჰერბერტ ლორენსმა²³ მას უწოდა „საუკეთესო თანამედროვე წიგნი ნიუ იორკის შესახებ, რომელიც ოდესმე წამიკითხავს“ (Lawrence 1927). რომანის ევროპული გამოცემის ანოტაციაში ერნესტ ჰემინგუეი წერდა, რომ ჯონ დოს პასოსი ერთადერთი იყო ამერიკელ მწერალთა შორის, ვინც „შეძლო ევროპელებისათვის ეჩვენებინა ის ამერიკა, რომელსაც ისინი რეალურად ნახულობენ, როცა იქ ჩადიან“.

მანკეტენ ტრანსფერი ე. წ. „ქალაქური/ურბანული“ რომანია, სადაც ნიუ იორკი წარმოსახულია როგორც ისტორიის მოცემული ფაზის სიმბოლო და, თავად დოს პასოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სანიტარული ცივილიზაციის, გამეცნიერებული მსოფ-

Critics, and the Writer's Intention. Carbondale and Edwardsville: Southern Illinois University Press, 1971, p. 227-241. ჯოისისა და დოს პასოსის ურბანული ესთეტიკის შედარებითი ანალიზისათვის იხ. დესმონდ ჰარდინგის მონოგრაფია: Harding, Desmond. *Writing the City: Urban Visions and Literary Modernism*. NY: Routledge, 2003.

21 სერგეი ეიზენშტეინი (1898-1948) – საბჭოთა ეპოქის რუსი კინორეჟისორი, მონტაჟის ტექნიკის თეორიის ავტორი და მისი პრაქტიკაში განმარტოვებული; მისი ცნობილი ფილმებია: *ჯაეშნოსანი პოტიომკინი* (1925), *ოქტომბერი* (1928), *ალექსანდრე ნეველი* (1938), *ივანე მრისხანე* (1944). დოს პასოსმა 1928 წელს საბჭოთა კავშირში ვიზიტისას პირადად გაიცნო ეიზენშტეინი.

22 სინკლერ ლუისი (Sinclair Lewis, 1885-1951) – ამერიკელი პროზაიკოსი და დრამატურგი, ნობელიანტი (მიენიჭა 1930 წელს).

23 დევიდ ჰერბერტ ლორენსი (David Herbert Lawrence, 1885-1930) – მნიშვნელოვანი ინგლისელი მოდერნისტი მწერალი, პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ავტორი თავის დროზე ისეთი სკანდალური რომანებისა, როგორც იყო *ვაჟი შეიღები და საყვარლები* (Sons and Lovers, 1913), *შეყვარებული ქალები* (Women in Love, 1920), *ლედი ჩეტერლის საყვარელი* (Lady Chatterly's Lover, 1928) და სხვა. თავის ნაწარმოებებში აწარმოებდა მხატვრულ პოლიემიკას ყალბ და ფარისევლურ ვიქტორიანულ ზნეობრივ ნორმებთან.

ლიოს ახალი წესრიგის“ განსხეულება, იმ მსოფლიოსი, რომელ-მაც საკუთარი თავი „გამომათაყვანებელ ინდუსტრიულ სისტემას“ დაუმონა (Dos Passos 1916: 115-120). მწერლის თქმით, „ეს იყო მცდელობა, შემექმნა ქალაქის ცხოვრების ქრონიკა. ეს იყო რომანი უამრავი სხვადასხვაგვარი ადამიანის შესახებ. დიდ ქალაქში იმდენი რამ ხდება, რომ შეუძლებელია ეს ყოველივე ერთი ადამიანის ცხოვრებაში ჩაატო. მე მსურდა, რომ თხრობა ძალიან დატვირთული ყოფილიყო“ (Dos Passos 1988: 238). დოს პასოსი წიგნს ახასიათებდა როგორც „თანამედროვე ქრონიკას“, რასაც რომანის იმდროინდელი კრიტიკული რეცეფციაც ეთანხმებოდა – კრიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ იგი წარმოადგენდა თანამედროვეობის რეპრეზენტაციას: „სამყარო გამოჭერილი“ „*en dishabille*“ (Stuart 1988: 67); „წიგნი მოიცავს არა მარტო ასი თუ მეტი პერსონაჟს, არამედ მთელი ქალაქის ზრდისა და გადაგვარების ოცდახუთ წელიწადს“ (Lewis 1988: 69); „დღევანდელი ნიუ იორკის გამაღიზიანებელი მოუსვენრობის აკუმულაცია“ (Lawrence 1988: 18).

ეპოქა თუ ისტორიის ფაზა, რომლის მხატვრულ-დოკუმენტურ სურათსაც დოს პასოსი გვიხატავს, დროის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს მოიცავს. რომანის თხრობა ეფუძნება კონკრეტულ ქრონოტოპს – მე-20 საუკუნის პირველ ოცდახუთ წელიწადს ნიუ იორკის ისტორიაში. რომანში მოქმედების ათვისის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ 1898 წელი ანუ, „გაზის განათების“ ეპოქის ნიუ იორკის მეგალოპოლისად ტრანსფორმაციის დასაწყისი, რასაც საძირკველი ჩაუყარა „დიდი ნიუ იორკის კანონპროექტმა“ (Greater New York Bill, 1898). ეს ის ხანაა, როცა ევროპელი ემიგრანტები თუ ამერიკული სოფლების მოსახლეობა უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ახალი მეტროპოლიისაკენ.

რომანი იწყება იმის აღწერით, თუ როგორ უახლოვდება ბორანი ნიუ იორკის ნავსადგურს. ტექსტის საწყისი აბზაცი წარმოად-

გენს რომანის პირველ 'vignette'-ს²⁴, ერთგვარ ეპიგრაფს, რომელიც *მანჰეტენ ტრანსფერის* თვრამეტივე თავს აქვს წამძღვარებული. ეს სტილური ხერხი დოს პასოსმა პირველად სწორედ ამ რომანში გამოიყენა. პირველი 'vignette', ამ თავის სათაურთან ერთად ("Ferryslip"²⁵), მიანიშნებს, რომ ნიუ იორკი დინამიური, გარესამყაროსათვის ღია, გახსნილი ადგილია, სადაც განუწყვეტლივ შეედინება თუ გაედინება ადამიანთა ნაკადი. როგორც რობერტ ოლტერი აღნიშნავს, „ნიუ იორკი წარმოგვიდგება როგორც სატრანზიტო ადგილი და ამერიკის დაბნელებულ სულში შესასვლელი პორტი“ (Alter 2005: 140). აღსანიშნავია, რომ აქედან თხრობა ერთბაშად სულ სხვა ეპიზოდზე გადადის, სადაც აღწერილია ნიუ იორკის რომელიღაც საავადმყოფოში ბავშვის დაბადება და მაშინვე კვლავ გადაინაცვლებს სულ სხვა სცენაზე, რომელიც ბორანზე თამაშდება. ამგვარი ფრაგმენტირებული თხრობის სტრუქტურა დამახასიათებელია მთელი რომანისათვის და მისი ერთ-ერთი ფუნქციაა შინაგანი და გარეგანი სივრცეების მთელი სპექტრის შეპირისპირება მე-20 საუკუნის დასაწყისის ამერიკის კულტურული პეიზაჟის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გადმოსაცემად.

მანჰეტენ ტრანსფერის მეორე თავს „მეტროპოლისი“ ("Metropolis") ჰქვია, რითაც მწერალი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ რომანის ცენტრალური თემა ქალაქია. ამ თავის 'vignette'-ში ავტორი უძველეს ისტორიულ და ბიბლიურ ქალაქებს (რომი, კონსტანტინოპოლი, ათენი, ბაბილონი, ნინევია) ჩამოთვლის და ერთმანეთს უპირისპირებს მათ და თანამედროვე ქალაქების სამშენებლო მასალებს. ამავე თავში დოს პასოსი აგვიღწერს ურბანული პეიზაჟის ისეთ ნაირგვაროვან ელემენტებს, როგორიცაა სხვადასხვა ტიპის შენობები, ქუჩები, მაღაზიები, სატრანსპორტო

24 vignette – მოკლე იმპრესიონისტული სცენა, ეპიზოდი ან აღწერილობა, რომელიც მკითხველს წარმოდგენას უქმნის პერსონაჟზე, სამოქმედო გარემოზე, იდეაზე ან თემაზე.

25 Ferryslip – დოკის სპეციალური მონყობილობა, რომლის საშუალებითაც ბორანს იღებენ ნავსადგურში. ზუსტი ქართული შესატყვისი ვერ მოვიძიე.

საშუალებები, სარეკლამო ბანერები და ადამიანები – უბრალო გამვლელები, პოლიციელები, ბავშვები, მათხოვრები.

მეორე თავის დასაწყისში ერთ-ერთი პროტაგონისტი, ედ თეთჩერი საავადმყოფოდან გამოსვლისას შემთხვევით მოკრავს თვალს სტატიის სათაურს იატაკზე დაგდებულ ჟურნალში: „მორტონი²⁶ ხელს აწერს“ „დიდი ნიუ იორკის“ კანონპროექტს. ასრულებს ნიუ იორკის მსოფლიოს მეორე მეტროპოლისად გადაქცევის აქტს²⁷ (“MORTON SIGNS THE GREATER NEW YORK BILL. Completes the Act Making New York World’s second Metropolis”) (Dos Passos 1963: 12). ეს სათაური გვამცნობს ნიუ იორკის მეტროპოლიის კონსოლიდაციის ფაქტს, რომელიც განხორციელდა მანჰეტენის გუბერნატორის, ლევი მორტონის მიერ მიღებული კანონპროექტის შედეგად. ამ კანონის ძალით ერთ მეგალოპოლისად გაერთიანდა მანჰეტენი, ბრუკლინი, სტეიტ აილენდი, ქუინზი და ბრონქსის აღმოსავლეთ ნაწილი. ამ ფაქტის მოხსენიებით დოს პასოსი იმთავითვე ხაზს უსვამს ქალაქის სიდიადეს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ იგი აქ იყენებს თხრობის ტექნიკას, რომელიც რომანის სტილურ ორიგინალობას განსაზღვრავს. ჟურნალიზმის ენის გამოყენება და სტატიის სათაურის „ჩამონტაჟება“ ტექსტში მწერალს ყოვლისმომცველი სურათის დასახატად სჭირდება. როგორც თავადვე აღნიშნავდა, „თხრობაში ყველაფერი უნდა შევიდეს. სიმღერები და ლოზუნგები, პოლიტიკური მისწრაფებანი და ცრურწმენები, იდეალები, იმედები, იმედგაცრუებანი, თაღლითობები, ამონარიდები ყოველდღიური გაზეთებიდან“ (Dos Passos 1988: 271-272). ფაქტობრივად, მთელი რომანის მანძილზე გვხვდება არა მარტო საგაზეთო სტატიების სათაურები, არამედ ნაწყვეტები საგაზეთო სტატიებიდან, რომლებიც მკითხველს აწვდის ინფორმაციას პოლიტიკური თუ ეკო-

26 ლევი პარსონს მორტონი (Levi Parsons Morton, 1824-1920) – ამერიკის 22-ე ვიცე-პრეზიდენტი. 1894 წელს აირჩიეს ნიუ იორკის 31-ე გუბერნატორად.

27 რომანის ტექსტიდან დამონმებული ყველა ციტატის თარგმანი ეკუთვნის ესეის ავტორს.

ნომიკური ვითარების შესახებ, სენსაციურ ახალ ამბებს, სარეკლამო განცხადებებს და ა. შ. თხრობაში ასევე ხშირად „ჩამონტაჟებული“ საგზაო ნიშნები, ბილბორდები, აბრები, სიმღერების ტექსტები და პოპულარული კულტურის სხვა ელემენტები, რომლებშიც ავთენტური მასალა და მხატვრული გამონაგონი ერთმანეთს ერწყმის. თხრობის ამგვარი ტექნიკის მოშველიებით დოს პასოსი ცდილობს „დაიჭიროს“ ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების ტონალობა და არსი და დამაჯერებლად წარმოგვიდგინოს თანამედროვეობა. ამავე დროს დოს პასოსისათვის მანჰეტენის ცხოვრება, ამერიკის ცხოვრება, სინკლერ ლუისის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მარადიული კაცობრიობის სისხლი და ხორცია“. რომანში ერის ძალმოსილება აირეკლება ყოველდღიური ცხოვრების დეტალებში, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული ცხოვრების მეტაფორებთან. ამიტომაც დრო და სივრცე ერთმანეთს გადაენწყება და ხდება ისტორიული დროის „სპატიალიზაცია“.²⁸ ისტორიული დროის ამგვარი „სივრცედ ქცევა“ ავტორის მითიურ ხედვაზე მიუთითებს. დოს პასოსმა კარგად იცოდა, რომ მითოშემოქმედის ხედვა სინქრონულია, იგი ქმნის არქეტიპულ პერსონაჟებს, რომლებიც მოქმედებენ ზედროულ სამყაროში და ასრულებენ მარადგანმეორებად მოქმედებებს²⁹; და პირიქით, ისტორიკოსის ხედვა დიაქრონულია, იგი კი არ ქმნის, არამედ აღწესსავს ადამიანურ არსებობას ტემპორალურ თანამიმდევრობაში. *მანჰეტენ ტრანსფერში* ორივე ხედვაა განსხეულებული – მისი სტრუქტურა გამუდმებით წარმოქმნის

28 Spatialization – სპატიალიზაცია, იგივე დროის სივრცედ ქცევა, ეს ტერმინი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა და დამკვიდრა ჯოზეფ ფრენკმა. იხ.: Frank, Joseph. „Spatial Form in Modern Literature“. In: Michael Hoffmann and Patrick Murphy (eds.), *Essentials of the Theory of Fiction*. Durham and London: Duke UP, 1988.

29 „მარადიული დაბრუნების“ დოქტრინა რომანის მხატვრული კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რაც სორცმესხმულია როგორც სიმბოლიკისა და ლაიტმოტივების (მაგალითად, „მბრუნავი კარი“ („Revolving Doors“)), რომელიც, როგორც ერთისა და იმავეს დაუსრულებელი წრებრუნვის სიმბოლო, არაერთგზის მეორდება რომანში და ლაიტმოტივად იქცევა, საბოლოო ჯამში კი, რომანის ბოლო, მე-3 ნაწილის მე-3 თავის სათაურადაც კი გვევლინება, ასევე სტრუქტურის დონეზეც (რომანის წრიული ფორმა).

დაძაბულობას რომანის დიაქრონულ და სინქრონულ პოლუსებს შორის. მანჰეტენი ამგვარად იქცევა მოუხელთებელი „საგანთა ცენტრის“ (“center of things”) მეტაფორად. როგორც დესმონდ ჰარდინგი აღნიშნავს, რომანში მანჰეტენის მითიური იდეა უპირისპირდება ქალაქის დიაქრონულ რეალობას, ხოლო ასეთი ნაკითხვა ქალაქს, ქალაქის ცნობიერებას ტრანსისტორიული კონტინუუმის კონტექსტში მოაქცევს (Harding 2003: 127). თავად დოს პასოსი ნიუ იორკს ადარებდა ერთგვარ „ცუდად დახატულ კარიკატურას“, „ჭკუიდან შეშლილ ბაბილონს“. ნიუ იორკი მწერლისათვის იყო, ერთი მხრივ, ინდუსტრიული სახეებისა და აჩრდილების უზარმაზარი პანორამა, მეორე მხრივ კი, სიცოცხლით სავსე, ცხოველმყოფელი მეტროპოლისი, რომელიც მას მოაგონებს „ნინევიას და ბაბილონს, ქალდეველთა ქალაქ ურს, იმ დიდებულ ქალაქებს, რომლებიც მითიური ურჩხულებივით ილანდებიან ჰორიზონტს მიღმა ებრაულ თქმულებებში“. ეს პარალელი უძველეს ბიბლიურ თუ ისტორიულ ქალაქებსა და თანამედროვე მეგალოპოლისს შორის მწერალს შემოაქვს მეორე თავის „მეტროპოლისი“ ეპიგრაფში:

“There were Babylon and Nineveh: they were built of brick. Athens was gold marble columns. Rome was help up on broad arches of rubble. In Constantinople the minarets flame like great candles round the Golden Horn... Steel, glass, tile, concrete will be the materials of the skyscrapers. Crammed on the narrow island the millionwindowed buildings will jut glittering, pyramid on pyramid like the white cloudhead above a thunderstorm” (Dos Passos 1963: 12).

ამ პასაჟში, ერთი მხრივ, ქალაქის არქიტექტურული განზომილება განსაზღვრავს მის თანადროულ ხასიათს; მეორე მხრივ, ისევე როგორც ზოგადად მოდერნისტულ დისკურსში, ქალაქი გააზრებულია როგორც ლოკალური, ასევე უნივერსალური თვალსაზრისით, როგორც ერთგვარი ისტორიულ-კულტურული პალიმფსესტი, რომელშიც ერთი ენა გადანერილია მეორეზე. ეს არ არის მხოლოდ ერთი ქალაქი, არამედ ყველა დროის ყველა ქა-

ლაქის განსხეულებაა, მარადიული, მითიური ქალაქი, ერთდროულად ისტორიულიც და ტრანსისტორიულიც. *მანჰეტენ ტრანსფერში* დოს პასოსი ერთმანეთს უპირისპირებს ნიუ იორკის, როგორც ისტორიული ქალაქის, ისტორიულ (დიაქრონულ) და მიტოსურ (სინქრონულ) ასპექტებს.

მანჰეტენ ტრანსფერი პოლიფონიური რომანია, ერთგვარი კალეიდოსკოპი, რომელშიც უამრავი პერსონაჟის ცხოვრების გზა თუ ბედი პარალელურად მიედინება და ტექსტის რომელიღაც ნერტილში გადაჰკვეთს ერთმანეთს, თუმცაღა რომანის მთავარი გმირი მაინც ნიუ იორკია, ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ინდივიდუალური მოქმედი პირი. დოს პასოსის ნიუ იორკი ერთგვარ მასიურ ურბანულ პალიმფსესტს წარმოადგენს, რომელიც „დასერილია“ ინდუსტრიული სახეებითა და ურთიერთგადამკვეთ ცხოვრების გზათა ენერგიული რიტმებით. ამავე დროს, საუკუნის პირველი ათწლეულების მეგალოპოლისის მშვენიერებაც ვლინდება ეპიფანიის ძნელად მოსახელთებელ გაელვებებში. ნიუ იორკი, როგორც ქალაქი-კულტურა თუ ქალაქი-ცივილიზაცია, განსხეულებულია ქალაქის ქუჩებში, ხიდებში, ტროტუარებში, უბნებში, რომლებიც ერთად წარმოქმნიან დიქოტომიას ეთნიკურ ჯგუფებსა და კლასებს შორის. ქალაქი წარმოგვიდგება როგორც ამერიკის კულტურული პეიზაჟის ცენტრი – როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი აღნიშნავს, „the terrible thing about having New York go stale on you is that there’s nowhere else. It’s the top of the world“.

ტექსტში აშკარად ჩანს ავტორის ამბივალენტური დამოკიდებულება ნიუ იორკისადმი: ერთი მხრივ, ესაა მარად მფეთქავი რიტმებით აღვსილი, მუდამ განვითარებადი, ცოცხალი და ცხოველმყოფელი სივრცე, ხოლო მეორე მხრივ, ფანტასმაგორიული, ყოველსმთანმეტმელი, ინდიფერენტული მონსტრი, რომელიც ყოველგვარ ინდივიდუალობას ახშობს და სხვადასხვა ჯურისა თუ სოციალური ფენის პერსონაჟებს ან ფიზიკურად ანადგურებს, როგორც, მაგალითად, ბად კორპენინგსა და სტენ ემერის, ანდა

– სულიერად, როგორც ელენ თეთჩერს, ანდა სულაც განდევნის მას, როგორც ჟურნალისტსა და ხელმოცარულ ხელოვანს, ჯიმი ჰერფს.

ბად კოპერნიცის ბედი ტიპური მაგალითია იმისა, თუ როგორ ანადგურებს ქალაქი „ამერიკულ ოცნებასაც“ და ამ „ოცნებას“ გამოდევნებულ ინდივიდსაც. იგი ქალაქში სოფლიდან ჩადის სამუშაოს მოსაძებნად, მაგრამ საბოლოოდ, შიმშილისაგან ღონემიხდილი, თავს იკლავს რომანის პირველი ნაწილის ბოლოს.

საინტერესოა, თუ რა ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ცივილიზაციით შერყვნილი ურბანული/გარეგანი სივრცე პერსონაჟთა ცნობიერებასა თუ საქციელზე/მინაგან სივრცეზე. რომანში ხშირად გვხვდება სარეკლამო აბრები თუ ლოზუნგები, როგორც მზარდი მატერიალისტური სულისკვეთებისა და კონსიუმერის ვიზუალური დასტური. სწორედ მატერიალიზმი და მომხმარებლური საზოგადოება განსაზღვრავს *მანჰეტენ ტრანსფერის* ერთ-ერთ ძირითად თემას – წარმატება-წარუმატებლობის დიქტომიას. პირველი თავის დასაწყისში ებრაელი ემიგრანტი, ანონიმური პერსონაჟი, ჟილეტის რეკლამის – ეკონომიკური წარმატების კულტის აშკარა გამოხატულების – ნახვის შემდეგ ადგება და წვერს გაიპარსავს. ეს ეპიზოდი ჰიპერბოლურად გვიხატავს მატერიალური წარმატებისაკენ საყოველთაო მისწრაფების ტენდენციას, რის გამოც ებრაელი უარს ამბობს საკუთარ კულტურულ იდენტობაზე და, ფაქტობრივად, სამართებით იგი საკუთარ ფესვებს იჭრის, კარგავს ინდივიდუალობას და ანონიმური, უსახო მასის, ჰომოგენური, დეპერსონალიზებული ურბანული პეიზაჟის, „მეინსტრიმული კულტურის“ ნაწილად იქცევა, კულტურისა, რომელიც ყოველგვარი ინდივიდუალობის გამოვლენის ნიველირებასა და სტანდარტიზაციას ახდენს. ეს ეპიზოდი, ერთი მხრივ, აირეკლავს იმდროინდელ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტს – მასობრივი წარმოებისა და მასობრივი მოხმარების ტენდენციებს, ხოლო მეორე მხრივ, რომანის ერთ-ერთ ძირითად თემას ქალაქის მაცხოვრებელთა ანონიმურ მასასთან აკავშირებს

– ასე იქცევა მატერიალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა და დეჰუმანიზაციის პროცესი ნიუ იორკის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად.

რეკლამების გარდა, თანამედროვე ურბანული სივრცის სახეს *მანჰეტენ ტრანსფერში* უამრავი სხვა სიახლეც განსაზღვრავს და მათ შორის, ალბათ, უმნიშვნელოვანესია ცათამბჯენები და სატრანსპორტო საშუალებები. ცათამბჯენი წარმოგვიდგება ქალაქის მეტონიმიად და იმ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოდ რომანის სახეთა სისტემაში, რომელიც ქალაქის გამანადგურებელ ძლევამოსილებას განასახიერებს და ასოციაციურად ბაბილონის გოდოლის მშენებლობისათვის ადამიანთა დასჯის ბიბლიურ გადმოცემას უკავშირდება. რომანის მეორე თავის ეპიგრაფის უძველეს ქალაქებს და თანამედროვე მეგალოპოლისს, მიუხედავად სამშენებლო მასალების განსხვავებისა, აერთიანებთ ის გარემოება, რომ ორივე სადამსჯელო და დესტრუქციულ ძალას წარმოადგენს ინდივიდისათვის. მაგალითად, იმ პასაჟში, რომელიც სტენ ემერის ტრაგიკულად დაღუპვას აგვიღწერს, ზემოხსენებული ეპიგრაფის ქალაქები რეფრენივით მეორდება, ხოლო სიმთვრალისაგან გონარეული სტენის სიტყვები „ნეტავ ცათამბჯენი ვიყო“ (“*Kerist I wish I was a skyscraper*” (Dos Passos 1963: 252), იკითხება როგორც მისი მოახლოებული სიკვდილის წინათგონობა.

სატრანსპორტო საშუალებები – ელმავალი, ავტობუსი, ტაქსი, მეტრო – ასევე ურბანული პეიზაჟის პერმანენტული ელემენტებია, რაც, ისევე როგორც თვით რომანის სათაურიც, ხაზს უსვამს ქალაქის ცხოვრების რიტმს, დაუსრულებელ მოძრაობას, თანამედროვეობის აჩქარებულ ტემპს და, თუ უფრო განვაზოგადებთ, ყოფიერების მსწრაფლწარმავლობასაც. დაუსრულებელი მოძრაობის, გადაადგილებისა და განუწყვეტელი ცვლილებების, გარდაქმნებისა თუ გარდამავლობის იდეა ასევე უკავშირდება სამკვიდრო ადგილს, კერიას, რომელსაც რომანის ძირითადი პერსონაჟები მოკლებულნი არიან: მაგალითად, ელენ თეთჩერი სულ სასტუმროებში ცხოვრობს, გამუდმებით გზაზეა და საჯარო სივ-

რცეში ტრიალებს. გარდა იმისა, რომ ურბანული/გარეგანი სივრცის განუყოფელი ელემენტია, სატრანსპორტო საშუალებები გზის, ძიების მითოლოგიმასთანაც ასოცირდება, თავშესაფრის, საყრდენის, სამკვიდროს თუ ბედნიერების ძიებისა, რისთვისაც მთავარი პროტაგონისტი, ჯიმი ჰერფი სწორედ სატრანსპორტო საშუალებებს იყენებს – ჯერ ბორნით ტოვებს ქალაქს, შემდეგ კი, რომანის ბოლოს, სატვირთო მანქანით.

ურბანული სივრცე თავისი სიმბოლიზმით რომანში მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულების ნიუ იორკის ისტორიულ სინამდვილესაც წარმოგვიჩენს და პერსონაჟებისა და ქალაქის ურთიერთზემოქმედებასაც. ძიების მითოლოგიური მოტივი აქ, ფაქტობრივად, ტრანსფორმირდება და დეგრადირდება წარმატების კულტისაკენ, მატერიალური კეთილდღეობისაკენ თვითმიზნურ მისწრაფებად. მთელი რიგი პერსონაჟებისა, მეტროპოლისის დომინანტური, გლობალური ატმოსფეროს გავლენით, დაუცხრომლად ცდილობს სოციალური სტატუსისა და ეკონომიკური წარმატების მიღწევას, თუმცაღა ამ მიზნების განხორციელებას მათთვის არც პიროვნული კმაყოფილება მოაქვს და არც ბედნიერება.

ელენ თეთჩერი, რომლის დაბადებაც რომანის პირველი თავის დასაწყისშივეა მოხსენიებული, ამის ნათელი მაგალითია. ქალაქურ ყოფას იგი საბოლოოდ შინაგან სიცარიელემდე და საკუთარი ინდივიდუალობის, საკუთარი პრინციპების უარყოფამდე მიჰყავს. იმ ორი ათწლეულის მანძილზე, რომელსაც რომანის სიუჟეტი მოიცავს, იგი ახერხებს გზა გაიკაფოს დაბალი საშუალო ფენიდან მაღალი კლასისაკენ და ბოლოს წარმატებულ მსახიობად იქცევა, წარმატებულად, მაგრამ – უბედურად.

ელენი, მისი ცხოვრების გზა, ფაქტობრივად, თავად ქალაქს განასახიერებს, ქალაქური ცხოვრების ხმაურთან, მშფოთვარე სტილსა და სიცარიელეს. ნიუ იორკის მეტონიმიად განვიხილავთ, თუ როგორც ცალკე აღებულ, ინდივიდუალურ პერსონაჟს, ელენი იმ პარადოქსების ხორცშესხმაა, რომლებსაც დოს პასოსი ააშკარავებს *მანჰეტენ ტრანსფერში*. კერძოდ, ელენი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს

და ამაცობს თავისი დამოუკიდებლობით, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებლობის უარყოფის ყველაზე უარეს გზას დაადგება – სოციალური და მატერიალური მიზნების მისაღწევად დაქორწინდება.

ელენის ცხოვრებისეული გზა გვიჩვენებს, თუ როგორ ემორჩილება იგი თანდათანობით ქალაქური ცხოვრების მატერიალურ და ფუტურო ღირებულებებს. ისევე როგორც ებრაელი, ისიც ჰომოგენური, სტანდარტიზებული მეინსტრიმული საზოგადოების, უსახო, ანონიმური მასის ინდივიდუალობადაკარგულ ნაწილად იქცევა. ქალაქური ცხოვრების გარეგანი, ვიზუალური მხარისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებას პერსონაჟები, საბოლოო ჯამში, დეჰუმანიზაციისა და შინაგანი იდენტობის დაკარგვისაკენ მიჰყავს. ფაქტობრივად, ქალაქის დომინანტური კულტურა სრულ, ტოტალურ ჰეგემონიას ამყარებს ადამიანებზე და ნებისმიერი ინდივიდუალური მცდელობა მისგან თავის დაღწევისა მარცხისთვისაა განწირული. ჯიმი ჰერფი, მთავარი პროტაგონისტი, რომანის ერთადერთი პერსონაჟია, რომელიც არ ნებდება მეინსტრიმული მატერიალური კულტურის ზეგავლენას, ქალაქის დამთრგუნველ, დესტრუქციულ ძალას და პოულობს გამოსავალს. რომანის ბოლო ნაწილში იგი გვევლინება ხელმოცარულ, წარუმატებელ კაცად და მისი ეს წარუმატებლობა მხოლოდ მატერიალური მიზეზებით ანდა წარმატების მითით არ არის განპირობებული – კიდევ უფრო ემოციურ, პიროვნულ დონეზე ამის მიზეზი თვით ქალაქია. მესამე ნაწილის მეოთხე თავში, რომლის სათაურია „ცათამბჯენი“ („Skyscraper“), უფულო, ცოლთან გაყრილი და საკუთარ ცხოვრებაზე ჩაფიქრებული ჯიმი ლამის ქალაქში დაეხეტება. მის შინაგან მონოლოგებში აშკარად ჩანს, რომ იგი დაბნეულია, ვერ გადაუნყვებია, როგორ მოიქცეს, რა გზა აირჩიოს. ეს ყოყმანი თუ თითქოსდა გამოუვალნი მდგომარეობა ხაზგასმულია პერსონაჟის წრიული მოძრაობებით³⁰, რომლებსაც იგი არსაითკენ მიჰყავს:

30 ეს „წრიული მოძრაობები“, ერთგვარი „მაგიურ წრეზე“ ტრიალი ასოციაციურად ისევ ერთისა და იმავეს მარადიული წრებრუნვის, „მარადიული დაბრუნების“ დოქტრინას უკავშირდება.

„და ის წრეებს უვლის და უვლის საცხოვრებელი ბინების კორპუსებს მოზუზუნეფანჯრებიანი ცათამბჯენის კარის ძიებაში, უვლის და უვლის, კარი კი არა და არ ჩანს” (“And he walks round blocks and blocks looking for the door of the humming tinselwindowed skyscraper, round blocks and blocks and still no door” (Dos Passos 1963: 365).

ცათამბჯენი აქაც თავად მეგალოპოლისის მეტონიმიად გვევლინება, რომლის არსიც მთავარი პერსონაჟისათვის მოუხელთებელი, გაუგებარი რჩება – ის ვერ პოულობს მასში შესასვლელ კარს. ჯიმის წინაშე ასეთი არჩევანია:

„ორი განუყოფელი არჩევანიდან ერთი: ჭუჭყიანი, რბილი პერანგით წასვლა ანდა დარჩენა გაქათქათებულ საყელოში. რა აზრი აქვს მთელი ცხოვრების ამ გამანადგურებელი ქალაქისაგან გაქცევაში გატარებას?” (“one of two inalienable alternatives: go away in a dirty soft shirt or stay in a clean Arrow collar. What’s the use of spending your whole life fleeing the City of Destruction?” (Dos Passos 1963: 365-366).

მხოლოდ რომანის ბოლოს ვგებულობთ პროტაგონისტის საბოლოო გადაწყვეტილებას: ის „ჭუჭყიანი პერანგით“ გარბის გამანადგურებელი ქალაქისაგან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ამერიკული ოცნება“ ამერიკელი ერის დაბადებისთანავე მისი ნაციონალური მითოლოგიის ერთ-ერთ საძირკველად და კულტურული უნიკალურობის განმსაზღვრელ ფენომენად იქცა, ამ კონცეპტის ეთიკური განზომილების გაუკუღმართების ჩვენება *მანკეტენ ტრანსფერში* განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს – ეკონომიკური წარმატება და მატერიალური კეთილდღეობა უმეტესად უკანონო გზითა და ეთიკური ნორმების დარღვევით მიიღწევა. არც განათლება და არც კეთილშობილება მისი მიღწევის გარანტია სულაც არ არის. ფული და სიმდიდრე არსებით როლს თამაშობს ქალაქის იდენტობის რეპრეზენტაციაში და მისი მაცხოვრებლების ამ იდენტობის

ნაწილად ქცევის აუცილებელი წინაპირობაა. ის ფაქტი, რომ *მანჰეტენ ტრანსფერში* სხვადასხვა კუთხითაა ნაჩვენები ამერიკული ოცნების მსხვერვეა, თავად მწერლის სოციალურ-პოლიტიკურ მრწამსს, მაშინდელი ამერიკის კრიტიკულ და ნაწილობრივ იმედგაცრუებულ ნაკითხვას აირეკლავს.

რომანი გვიხატავს იმდროინდელი ამერიკული პოპულარული კულტურისა და საზოგადოების ფართო, ყოვლისმომცველ პანორამას, რითაც იგი ამერიკული კულტურის ფუძემდებლურ, დემოკრატიულ განზომილებას განასხეულებს. *მანჰეტენ ტრანსფერი* აირეკლავს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სინამდვილეს და იმასაც გვიჩვენებს, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს სინამდვილე ინდივიდებზე, ადამიანთა ბედზე, ანუ შინაგან სიფრცეზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის რეპრეზენტაცია მხოლოდ სოციალური კრიტიკით არ შემოიფარგლება – დოს პასოსი ამერიკული კულტურის ნაკლსაც გვიჩვენებს და დადებით მხარეებსაც. როგორც მაიკლ გოულდი აღნიშნავს, „დოს პასოსმა კარგიც იცის და ცუდიც და ორივეს შესახებ მოგვითხრობს. ის საოცრად პატიოსანია. ის ზუსტია“ (Gold 1988: 73). მწერლის მიერ დახატულ ამ ნაირგვაროვან მოზაიკას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ენის გამოყენება რომანში – აქ შეგხვდებათ პოპულარული კულტურის წერილობითი თუ ზეპირი არტეფაქტების (საგაზეთო/საჟურნალე სტატიების სათაურები, ლოზუნგები, სიმღერები და ა. შ.) ენა, ასევე ის, რასაც დოს პასოსი „ხალხის მეტყველებას“ უწოდებდა. *მანჰეტენ ტრანსფერში* გამოყენებულია სხვადასხვა სამეტყველო სტილი თუ მანერა – კრეოლთა სლენგით დაწყებული და ემიგრანტთა დამტკრეული ინგლისურით დამთავრებული. ეს ნარევი პერსონაჟების განსხვავებულ ეთნიკურ წარმომავლობაზეც მეტყველებს, მათ სოციალურ სტატუსსაც წარმოაჩენს და ქალაქის მულტიკულტურულ პეიზაჟსაც გვიხატავს. *მანჰეტენ ტრანსფერში* წარმოსახული ნიუ იორკი, ფაქტობრივად, მთელი ამერიკელი ერის სინეკდოკეს წარმოადგენს.

მანკეტენ ტრანსფერი მოგვითხრობს უამრავი პერსონაჟის ცხოვრების გზის შესახებ, რომელიც მათ ქალაქის ზემოქმედების შედეგად აირჩიეს. ქალაქი რომანში გააზრებულია როგორც ნაციონალური იდენტობის განსხეულება, ხოლო ეპიგრაფებში, დიალოგებში, აღწერილობებში, საგაზეთო სტატიების ნაწყვეტებსა თუ სიმღერებში არეკლილი ერის ისეთი ისტორიული თუ კულტურული ნიშანსვებები, როგორცაა კოლონიზაცია, დამოუკიდებლობა, ემიგრაციის ტალღები, საბირჟო კრიზისი და სხვ., რომანის ერთგვარ კულტურულ-ისტორიულ ჩარჩოს ქმნის. გარკვეულწილად დოს პასოსის თხრობის ტექნიკის ნაირგვაროვნება გამომდინარეობს მისი განზრახვიდან, გამოსახოს ამერიკის ცხოვრების მრავალფეროვნება და ეროვნული ხასიათის არსი.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯიმი ჰერფი ერთადერთი პერსონაჟია რომანში, რომელიც ნიუ იორკის დამთრგუნველი ძალაუფლებისა თუ ზეგავლენისაგან თავის დაღწევის გზას სთავაზობს მკითხველს. უმუშევარი, უფულო და სრულიად მარტო დარჩენილი, იგი იწყებს უმისამართო და უსაზმნო მოგზაურობას მის წინაშე გადაშლილ ვრცელ კონტინენტზე, რითაც, ერთი მხრივ, არქეტიპულ, ამერიკის ფუძემდებლური მითების მაძიებელ გმირად იქცევა, ხოლო მეორე მხრივ, განამტკიცებს ამერიკულ რწმენას, რომ მუდამ შესაძლებელია ყველაფრის ახლიდან დაწყება. ამ თვალსაზრისით ჯიმი ჰერფი განასახიერებს თვით დოს პასოსის რწმენას ამერიკული იდეალებისა და კულტურისადმი. მანკეტენ ტრანსფერიც, როგორც „თანამედროვე ქრონიკა“, სცდება დროის ფარგლებს და იკითხება როგორც ამერიკის კულტურული იდენტობის მხატვრული ხორცშესხმა.

დამოწმებანი

Alter, Robert. *Imagined Cities: Urban Experience and the Language of the Novel*. New Haven and London: Yale University Press, 2005.

Amaglobeli, Vakhtang. “John Dos Passos on the Annexation of Ge-
244

orgia in 1921". Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010.

Azevedo, Carlos. "The Colors of a Nation: Portugal in John Dos Passos's Stream-of-Memory". In: G. Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010.

Dos Passos, John. *The Best Times. An Informal Memoir*. New York: Signet Books, 1968.

Dos Passos, John. *Manhattan Transfer*. Boston: Houghton Mifflin Company, 1963.

Dos Passos, John. "A Humble Protest". *Harvard Monthly* 62, June 1916.

Dos Passos, John. "Contemporary Chronicles". In: Donald Pizer (ed.), *John Dos Passos. The Major Nonfictional Prose*. Detroit: Wayne State University Press, 1988.

Dos Passos, John. "What Makes a Novelist". In: Donald Pizer (ed.), *John Dos Passos. The Major Nonfictional Prose*. Detroit: Wayne State University Press, 1988.

Frank, Joseph. "Spatial Form in Modern Literature". In: Michael Hoffmann and Patrick Murphy (eds.), *Essentials of the Theory of Fiction*. Durham and London: Duke UP, 1988.

Gold, Michael. «Review». In: Barry Maine (ed.), *Dos Passos. The Critical Heritage*. London: Routledge, 1988.

Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010.

Harding, Desmond. *Writing the City: Urban Visions and Literary Modernism*. NY: Routledge, 2003.

Hook, Andrew (ed.). *Dos Passos: A Collection of Critical Essays*. Englewood Cliffs, N. J.: Prentice-Hall, Inc., 1974.

Lawrence, D. H. "A Review of *Manhattan Transfer*". *Calendar of Modern Letters*, IV, April, 1927.

Lawrence, D. H. "Review". In: Barry Maine (ed.), *Dos Passos. The Critical Heritage*. London: Routledge, 1988.

Lewis, Sinclair. *John Dos Passos' Manhattan Transfer*. Folcroft Library Editions, 1977.

Lewis, Sinclair. "Manhattan at Last!". In: Barry Maine (ed.), *Dos Passos. The Critical Heritage*. London: Routledge, 1988.

Ludington, Townsend. "John Dos Passos: A Major American Modernist". In: G. Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010.

McLuhan, Marshall. "John Dos Passos: Technique vs. Sensibility". In: Allen Belkind (ed.), *Dos Passos, the Critics, and the Writer's Intention*. Carbondale and Edwardsville: Southern Illinois University Press, 1971.

Øliveira, Miguel. *From "A Man without a Country" to "An American by Choice": John Dos Passos and Migration*. Norderstedt: Books on Demand GmbH, 2013.

Rodenberg, Hans-Peter. "Dear Dos/Dear Hem" - Ernest Hemingway and John Dos Passos: A Turbulent Relationship in Turbulent Times. In: G. Goncalves de Abreu, Maria Zina and Bernardo Guido de Vasconcelos (eds.), *John Dos Passos: Biography and Critical Essays*. Cambridge Scholars Publishing, 2010.

Sartre, Jean-Paul. "John Dos Passos and 1919". In: Allen Belkind (ed.), *Dos Passos, the Critics, and the Writer's Intention*. Carbondale and Edwardsville: Southern Illinois University Press, 1971.

Stuart, Henry Longan. "Review". In: Barry Maine (ed.), *Dos Passos. The Critical Heritage*. London: Routledge, 1988.

IRAKLI TSKHVEDIANI

Akaki Tsereteli State University, Professor

JOHN DOS PASSOS AND HIS NOVEL *MANHATTAN TRANSFER*

SUMMARY

The paper discusses the ways in which the Portuguese roots of an eminent American modernist John Dos Passos as well as the years of his ‘European Odyssey’ and the aesthetics of modernist arts affected his thinking and writings. It focuses on John Dos Passos’s third novel and his first experimental narrative *Manhattan Transfer* (1925), analyzing its narrative techniques, structure and urban imagery. *Manhattan Transfer* is viewed as a city novel representing the urban realities of New York City in the first decades of the 20th century as a synecdoche of American culture and way of life. The paper also explores the ways in which the novel represents the consciousness of its characters in relation to the modern urban space.

თინათინ თვალთახვილი

მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის
ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი

„ჩაჩულო“ ჟოსმოსში

1977 წლის აგვისტოსა და სექტემბერში აშშ-დან გაიგზავნა კოსმიურ სივრცეში „ნასას“ პროგრამით ორი ხომალდი. ამისთვის კი საგანგებოდ შეიქმნა მასალა: დედამიწის ბუნებრივი ხმების ჩანაწერები, ერთნინადადებიანი მისალმება 55 ენაზე, საერთო ხანგრძლივობის კლასიკური და ხალხური მუსიკის ფრაგმენტებს შორის, რომელიც 90 წუთს შეადგენდა; კრებულში შეიტანეს ქართული სიმღერის „ჩაკრულოს“ ფრაგმენტებიც. საინტერესოა, როგორ მოხვდა ამ ჩანაწერებში ეს სიმღერა და საერთოდ ვინ არიან ამ სიმღერის შემსრულებლები. მივყვეთ თანმიმდევრულად. მომღერალი როსტომ საგინაშვილი იგონებს: „მე ვმღეროდი გურჯაანის ანსამბლში; ანსამბლი ემზადებოდა ოლიმპიადაზე წამოსასვლელად. ამისათვის კი გურჯაანის ხელმძღვანელობამ მოიწვია კონსულტანტად ანზორ კავსაძე და ჯანო ბაგრატიონი. რეპეტიციები მიდიოდა, „შენ ხარ ვენახი“ უნდა ესწავლებინათ. შემსრულებლებს ბატონი ანზორი ცალ-ცალკე გვამეორებინებდა. ჩემთან რომ მოვიდა, მითხრა: „აბა გაიმეორეო“. გავიმეორე, ისევ გამამეორებინა; სიხარულით მკითხა: „არ გინდა, ბოშო, ჩემთან წამოხვიდე, იმღერო? ეხლა იქ გურჯაანში რომ გეტყვიან, სახელმწიფო ანსამბლში უნდა იმღერო, თან შემოდგომაზე საფრანგეთში მივდივართ და წავიყვანთო...“ მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დონე ეყოფოდა სახელმწიფო ანსამბლს. გავიდა ხანი... ჩამოვედი თბილისში, მაშინ სახელმწიფო ანსამბლი მუშაობდა რკინიგზელთა სახლში, შევედი: „ო, როსტომ, მოდი, მოდი“. როგორც კი დამინახა, მაშინვე დაუძახა ბიჭებს... ერთი მიმიკუნა იყო გოშაძე. „აბა დაიწყე, ბოშო, სიმღერა“. პირველს ამბობდა მიშა, მე მეორე ხმას... შეგროვდნენ მთელი ბიჭები დარბაზში. აღ-

ფრთოვანება ვერ დამალეს... „ოთხმოც მანეთს დაგინიშნავ, ბოშო. დღეიდან ჩარიცხული ხარ ანსამბლში“, – მითხრა ბატონმა ანზორმა...

იმ პერიოდში აშშ-ში მზადდებოდა „ნასას“ პროექტით ორი კოსმიური ხომალდი. პროექტის ფოლკლორის მიმართულებას ხელმძღვანელობდა ცნობილი ეთნო-მუსიკოლოგი ალან ლომაქსი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ქართულ ფოლკლორს. მან ჩანაწერი ქართული სიმღერებისა რადიო „ამერიკის ხმის“ ფონდში მოიძია; არჩევანი „ჩაკრულოზე“ შეაჩერა. აი რას იგონებს ანზორ ერქომაიშვილი: „მე დავინტერესდი და ვკითხე ბატონ ლომაქს, თუ შეიძლება მეთქი მითხრათ, ვინ იყვნენ შემსრულებლები, ვინ ასრულებდა სიმღერას მეთქი. ლომაქსმა კი მითხრა: „მე ახლა არ შემიძლია მოგასმენინოთ, იმიტომ რომ აქ არ მაქვსო“. მე გამოგიგზავნიო, მითხრა... რამოდენიმე დღე ერთად ვიყავით ბატონი ლომაქსი და მე. სამწუხაროდ, რომ ჩამოვედი, გავიგე, რომ ის მალე გარდაიცვალა და დარჩა პირობა შეუსრულებელი“.

ახალგაზრდა მომღერალი კარლ ლინი მოგვითხრობს: „შემთხვევით გავიგე, რომ 90 წელს გამოიცა სპეციალური წიგნი „დედამინის ლილინი“ („ჩურჩული“) („Murmurs of Earth“) მცირე ტირაჟით. ამ დისკზე ყველაფერი იყო ჩანერილი, ფოტოები და მუსიკა: მოცარტი, ლუი არმსტრონგი და სხვა... ყველაფერი მითითებული იყო, სიმღერის სათაური, ავტორი, შემსრულებელი... და ქართულ სიმღერაზე ეწერა მხოლოდ „ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“. ვაჟთა ანსამბლი“. მეტი არაფერი. ამ ჩანაწერებში კოსმოსში მთლიანად არ არის „ჩაკრულო“. არის მხოლოდ ბოლო მომენტი – მთელი გუნდის შემოსვლა...“ სწორედ, როსტომ საგინაშვილი ამ ადგილზე მიუთითებს და ამტკიცებს, რომ „გუნდის შემოსვლა ზუსტად ანზორმა გააკეთა... მე რომ მოვედი ანსამბლში, უკვე ასე იმღერებოდა, მანამდე კი თავიდან ბოლომდე იმღერებოდა სოლისტების მიერ“.

ბევრი ვარაუდი იყო, თუ ვინ ასრულებდა კოსმოსში გაგზავნილ „ჩაკრულოს“, თუმცა მომღერალთა რეალური სახელები დაუდ-

გენელი რჩებოდა. „ლომაქსმა არ იცოდა, – გვიამბობს ა. ერქო-
მაიშვილი, – თუ როგორ ჩაინერა „ჩაკრულო“, მაგრამ შემდეგ,
როგორც „ამერიკის ხმის“ თანამშრომლებმა მითხრეს, კერძოდ
ლადო გაბაშვილმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ ჩანაწე-
რის მოპოვებაში, ეს სიმღერა ჩაუნერიათ ამერიკაში გასტროლის
დროს. საგინაშვილის თქმით: „ეს შეიძლება ჩაენერათ ნებისმიერ
დროს კონცერტზე. ისე, რომ ამას ჩვენ ვერც კი გავიგებდით“.
ერქომაიშვილმა ისევ მოიძია ინფორმაცია და სთხოვა მის მეგობ-
რებს ამერიკაში, როგორმე მოესმენინებინათ ეს ჩანაწერი, რომე-
ლიც ყურად იღო ბატონმა კარლ ლინინქმა. მან მართლაც მოიძია
ეს ჩანაწერი და გამოაგზავნა. აღმოჩნდა, რომ „ჩაკრულოს“ ას-
რულებდა ქართული ხალხური სიმღერის აკადემიური ანსამბლი
ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით: სოლისტები კი გახლდათ
როსტომ საგინაშვილი და ილია ზაქაიძე.

ქართული ხალხური სიმღერების ლეგენდარული შემსრულებე-
ლი ილია ზაქაიძე დუშეთის რაიონში დაიბადა და გაიზარდა. მე-
ოთხე კლასში იყო, როცა სკოლაში ბავშვთა ანსამბლი ჩამოყალიბ-
და და იქ შეუყვანიათ. მოგვიანებით მოზრდილი დუშეთის ახლად
შექმნილი ფოლკლორული ანსამბლის წევრი გახდა. ოლიმპიადებ-
ზე კონცერტებით ხშირად გამოდიოდა...

1951 წელს თბილისში მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარ-
მატებით გამოვიდა, შეასრულა სიმღერა „ბალადა ვეფხისა და
მოყმისა“, სწორედ ამ სიმღერამ მოუტანა მას საყოველთაო აღი-
არება. ამის შემდეგ დაიწყო სოლო კარიერა. რამდენიმე წლის
შემდეგ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამ-
ბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვალერიან ცაგარეიშვილმა სო-
ლისტად მიიწვია. ანსამბლში 50 წელი მღეროდა.

ილია განთქმული იყო როგორც ქართლ-კახური სიმღერების
გამორჩეული შემსრულებელი. გურული სიმღერები არ ეხერ-
ხებოდა და ამაზე ჯემალ ჭკუასელი ბევრს ხუმრობდა ხოლ-
მე.

მას მუსიკალური განათლება არ ჰქონდა მიღებული, ნოტებიც კი არ იცოდა. მისი კოლეგები იხსენებდნენ, სიმღერის შესრულებას ვერ ვასწავლიდითო. ილიას შესრულების თავისებური ტექნიკა ჰქონდა და ისე მღეროდა, როგორც მისი ხმა მოითხოვდა. ამბობდა: „სიმღერა შენით უნდა შექმნა, მოაჩუქურთმო და შენით რალაც უნდა შემატო“. ის ფილმში „ხევისბერი გოჩა“ გადაიღეს ქორწილის სცენაში, რომ მღერიან, სწორედ ის მღერის „კარკუჩით ჩამაიყვანეს ქალი ლამაზი...“ როგორც ანზორ ერქომაიშვილი ამბობს, რეზო ლალიძემ სიმღერა სწორედ ილიასათვის დაწერაო. ის რომ სცენაზე გადიოდა და სიმღერას იწყებდა, მთელი დარბაზი ტიროდა. ყველამ იცოდა მისი ტრაგედიის შესახებ (სამი შვილი ერთმანეთის მიყოლებით მიაბარა მინას). ფეხზე დგომის ძალას კვლავ სიმღერა აძლევდა, რომელსაც შეუდარებელი ოსტატობით ასრულებდა.

„ერისიონს“ მაშინ „საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ ერქვა. როსტომ საგინაშვილისა და ილია ზაქაიძის დუეტი ანსამბლის ხელმძღვანელ ანზორ კავსაძის იდეით შედგა. როსტომ საგინაშვილი იგონებს: „ილია ზაქაიძე ჩემი პარტნიორი და დიდი მეგობარი გახლდათ. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ამბობდნენ, რომ ჩვენი დუეტი შეუდარებელი იყო... ნიჭიერი და კარგი ადამიანი ბედმა დაჩაგრა. სამწუხაროდ, გვარის გამგრძელებელი არ დარჩა. ერთ-ერთ გასტროლზე ჩიკაგოში „ჩაკრულო“ ვიმღერეთ და დარბაზი ტაშით დაინგრა. რამდენჯერმე მოგვინია მადლობის ნიშნად თავის დახრა. იმდენჯერ დაფუკარით თავი, რომ უცებ წელი გამიშეშდა და ველარ გავიშალე. ილია ჩუმად მეუბნებოდა, გაიშალე წელში, სცენიდან გავიდეთო, მაგრამ მე ვერ ვიშლებოდი. ბოლოს მოხრილი გავტრიალდი და კულისებამდე ძლივს მივაღწიე, ამას ილია ხშირად იხსენებდა“.

„იცი, რომ დედამინაზე 200-მდე ერია, – ამბობს საგინაშვილი, – და აქედან 25 საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებს შეარჩევნ

კოსმოსში გასაგზავნად და ერთ-ერთი შენი ქვეყნის სიმღერაა და შენი ნამღერია... დღემდე ვფიქრობ, ეს ღვთის ნება იყო...”

„ჩაკრულო“ მსოფლიო პოლიფონიის ერთ-ერთი შედეგურია. საინტერესოა, ვინ და როდის შექმნა მისი ტექსტი. როგორც ცნობილია, არსებობს ამ სიმღერის 5 ლექსი. მაგრამ მათი სტილი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. მოგვყავს ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ვარიანტის პირველი ნაწილი:

„ხიდისთავს შეეკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია,
ჩაუხტეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავამტვრიოთ ბანია.
მუხრან ბატონის ყრმობითა, ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა
დეკეული ვერ გავზარდე, კალო ვერ ვლენე მოზვრითა“.

დასაფიქრებელია, რომ უკვე სიმღერის მეორე ნაწილში ჩვენ გვხვდება რადიკალურად განსხვავებული ტექსტი, რომელიც ატარებს გმირულ-პატრიოტულ თემას. სწორედ ეს თემაა პირველი ნაწილის ტექსტს რომ აქვემდებარებს მეორესთან. კერძოდ ამ ნაწილს:

„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო, თელავში თუშმა დაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა, საომრად ჯვარი დაგწერა“.

ეს ფრაზებია, სიმღერას რომ ანიჭებს გმირულ ეპოსს, რაც შემდგომ საბჭოთა წყობილების პერიოდში მას უკვე აღიქვამდნენ როგორც „რევოლუციურ“ სიმღერას.

საერთოდ, პირველი და მეორე ნაწილის ლოგიკური გადაბმამა დიდი ხანია აწვალედა ქართველ ფოლკლორისტებს. თავის დროზე ვახუშტი კოტეტიშვილიც კი ცდილობდა შესაბამისი ტექსტის მოძიებას. სპეციალისტებს მწერალი და მთარგმნელი დავით წერედიანი შეუერთდა და „ჩაკრულოს“ პირველი ნაწილისათვის შესაბამისი ლექსის ძიებამ დამაფიქრებელი შედეგი გამოიღო. აღმოჩნდა, რომ ფრაგმენტები ტიციან ტაბიძის ლექსიდანაა ამოღებული, რომელიც შეიძლება ხალხურიც იყოს:

„სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლულიც ვარ სამჯერა,
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა“.

დღეს კი უკვე პატრიოტული და ამალღებული განწყობისათვის ლექსის დასაწყისი მთლიანად შეიცვალა.

„მცხეთას დამისხდნენ ზარები, მოსვლასა ხმობენ მტრისასა,
ამაჰყვა არაგვს ძახილი, მუხლს ვინ შაიბამს მგლისასა“.

საერთოდ, ქართულ ხალხურ სიმღერებში სიტყვების შეცვლა ტრადიციული მოვლენაა და ხშირად ერთსა და იმავე სიმღერას სხვადასხვა ტექსტები აქვს. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ „ჩაკრულოს“ ტექსტმაც დეფორმირება განიცადა. კოსმოსში კი ჟღერს „ჩაკრულოს“ ტექსტის პირველი ვარიანტი („ხიდის-თავს...“).

მას შემდეგ, რაც კოსმოსურმა ხომალდმა „ვოიჯერმა“ მზის სისტემაში 35 წლის წინ ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“ გაიტანა, ფირფიტაზე არაფერი გვსმენია. სულ ახლახან „ნასამ“ – ამერიკის აერონავტიკის და კოსმოსის ადმინისტრაციამ – ფირფიტის შესახებ ახალი ინფორმაცია გაავრცელა. სექტემბრის შუა რიცხვებში „ვოიჯერმა“ მზის სისტემა პირველად დატოვა და ის ვარსკვლავთა შორის სივრცეში გადავიდა.

დამოწმებანი

ქვარცხავა, მ. „სად არის ახლა კოსმოსში გაგზავნილი „ჩაკრულო“. *ამერიკის ხმა, აუდიო რუბრიკა: გალილეო*. <http://www.amerikiskhma.com/content/galileo-chakrulo/1757303.html>

კენჭიაშვილი, თ. „ხშირად ვიხსენებ ერთ კადრს“. *პრესა.ჯი*. <http://presa.ge/new/?m=art&AID=29600>

როდონაია, ნ. „რატომ შეიქმნა „ჩაკრულოსათვის“ ტექსტის ახალი ვარიანტი?“ რადიო *თავისუფლება, რუბრიკა: მეათე სტუდია*.

<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1768984.html>

TINATIN TVALIASHVILI

Meliton Balanchivadze Central Musical School, Teacher

“CHAKRULO” IN SPACE

SUMMARY

Two spacecrafts were launched by NASA from the USA in August and September of 1977. Records of natural sounds of Earth, greetings in 55 languages, musical selections of classical and folk music were selected for this occasion. Georgian folk song Chakrulo was included in 90-minute selection of music. Especially interesting is soloist Rostom Saginashvili's recollection of how he started singing in ensemble of Gurjaani and how then he continued singing in State Ensemble of Georgian folk song headed by Anzor Kavsadze. Especially interesting is the process of work on Chakrulo.

Musical selections of folk songs for the record were chaired by a folklorist and ethnomusicologist Alan Lomax, who knew Georgian folklore very well. He selected Chakrulo. Anzor ErkomaiShvili's reminiscences are interesting. He got interested in the singers of Chakrulo when he heard the song performed in space. Sometime later he found out that Chakrulo was sung by State Ensemble of Georgian folk song headed by Anzor Kavsadze, and Ilia Zakaidze and Rostom Saginashvili were soloist and they even didn't know that their voices were heard in Space. The paper deals with the part of Chakrulo selected for the record and the fate of its performers.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობები,
პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა,
განათლება, საზოგადოება

GEORGIAN-AMERICAN RELATIONS,
POLITICS, HISTORY, ECONOMICS,
EDUCATION & SOCIETY

AMERICAN VALUES AND COMMUNICATION STYLES

Communication is the exchange of messages – information we want to share with another person. We communicate our values and culture in e-mails, conversation, speech, reports, advertisements and virtually all forms of messages. Therefore, they need to be passed through accordingly so that to create a positive impact on the receivers. From this perspective, the aim of the article is to discuss American values and communication styles that have significant impact on business and other relations which eventually largely determines success of the outcome.

To start with, many people believe that the United States is a mixture of many different cultures. The frequently used metaphor to reflect this assumption is the “melting pot”. In other words, many different people from all over the world bring their cultures here and throw them into an American pot. This mixture is then stirred and heated until various cultures melt together.

USA is indeed a culturally diverse society. However, there is also a dominant culture and immigrants became a part of this culture. Americans themselves say they are more tolerant and open-minded than their parents. This is quite true given the fact that homosexuality, human cloning, pre-marital sex and having a child out of wedlock are considered more morally acceptable today than in the past.

On the other hand, there is a group of people who believe the economic system is unfair to middle- and working-class Americans, and only 17 percent believe Wall Street executives share fundamental American values. All-in-all, two-thirds think the country is heading in the wrong

direction, 69 percent believe the country's values have deteriorated since the 1970s and nearly half say values will further weaken over the next 10 years.

In 1970 Robin Williams – an American actor identified the following core American Values:

- Equal Opportunity
- Practicality and Efficiency
- Achievement and Success
- Material Comfort
- Freedom
- Activity and Work
- Democracy and Enterprise
- Progress
- Science (Macionis 2005: 66)

Some people regard America as simply another European culture. But this is not true. The first immigrants who came to America were not typical Europeans. Many of them ran away from Europe to avoid political or religious oppression. Others were criminals who were sent to the “New World” by the British.

Most of the immigrants shared those beliefs and values that Europeans did not conform to and this in a sense created certain frictions. Some social scientists even state that they were exaggerated and perpetuated in the United States because of its unique physical and social environment.

If we think carefully and focus on core American values, we will come up with the following list: freedom, equality, democracy, helper, defender against tyranny. There are also such values that are part of the history: capitalism, independence, strength, rightness and righteousness, God, freedom of religion, family, wealth, faith, entertainment and happiness. These values have helped America to become the country it is. To be more specific, capitalism and strength have made America great, but they have generated their own set of inequalities. Our wealth is

unequaled, but Jesus taught that our faith should make wealth meaningless. Equality is a wonderful ideal, but frankly, not everyone is created equal. Freedom is fine until we see our money-obsessed entertainment and happiness apparatus assaulting us with base immorality, cowardly news, and stupidity.

The true American value is that America is a nation of compromises. The Constitution is a document of concessions between constantly competing interests. Americans weigh the power of the people against the strength of the government.

The values listed above largely determine communication styles of Americans. In different contexts they use different styles. For one thing, Americans like debating issues directly and openly which sometimes lets them be seen as aggressive and even rude. Respectively, when in meeting situations there is a deadlock, we should address it with feeling and directly. Such a thing is often regarded by more harmony seeking cultures as the sign of breakdown in meaningful discussions whereas in the USA people welcome it and even regard it as a sign of definite progress.

When first being introduced, Americans can seem very friendly and polite and may say things like “Hi, how are you doing? Have a nice day!” This should be regarded as part of the protocol of the language and not as a gesture of establishing close relations.

Compared to many European cultures, Americans are much more open when talking about their private affairs and, respectively, may as well ask very personal questions at the early stage of relationship which may be humiliating and intrusive for various people.

Americans identify themselves in terms of what they do. For example, if you meet an American at a party, after the greeting s/he will immediately tell you who he is and what he does. The primary source of his/her identity is who he is – his father and his birthplace. Status is based upon family and heritage, not what he does as an individual.

Another significant finding is that Americans feel individually responsible because they place much emphasis on independence, self-reliance and individual achievement. One often feels guilty for not trying harder, being more competitive with others or taking advantage of an opportunity. In contrast, in many non-western cultures where the extended family and heritage are important, when one fails, others associated to him/her, has a sense of shame.

The values given above also have their impact on the way Americans conduct business meetings. To be more specific, compared to other cultures, where relationships are more important, they “get down to business” much more quickly. To compare with other traditional, rural cultures, some time needs to be allowed to get acquainted with others and determine their status before discussing business issues.

Because of the great emphasis on independence, individual achievement and relying on oneself, when an American is not able to achieve something, s/he feels individually responsible whereas in those cultures where heritage and extended families are important, failure of one person affects those that are connected with him or her and, that’s why, there is a sense of shame.

These values have a great impact on the way Americans conduct business meetings. Compared to people from other cultures, where relationships are more significant, they tend to get down to business more quickly. They are almost always regarded as “pushy” and in a hurry to conduct business before developing relations.

At the end, positive and negative aspects of American cultural values are worth mentioning. These values do not apply to every situation in America and there are exceptions. For example, Americans need to feel that they belong to a group. For example, during national holidays or international crises Americans get united and strengthen ties even more closely.

References:

Macionis, John J. *Sociology*. 10th ed. Upper Saddle River, New Jersey: Pearson Prentice Hall, 2005

Seymour, Martin Lipset. *American Exceptionalism: A Double-Edged Sword*. New York: W.W. Norton, 1996.

ლელა აბდუშელიშვილი

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ამერიკული ღირებულებები და კომუნიკაციის ფორმები

რეზიუმე

კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა სხვა ადამიანებთან. ელექტრონული შეტყობინებების, საუბრის, მეტყველების, ანგარიშების, რეკლამებისა და საერთოდ ყველა სახის შეტყობინებების მეშვეობით ჩვენ ერთმანეთს გადავცემთ ჩვენს ღირებულებებსა და კულტურის ელემენტებს. მოხსენების მიზანია, საზოგადოებას გააცნოს ამერიკული ღირებულებები და კომუნიკაციის ტიპები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საქმიან თუ სხვა სახის ურთიერთობებზე.

გივი აბალოშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკურსების შედარებითი ანალიზი

მოცემული ნაშრომი შეეხება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსებს და მათ შედარებით ანალიზს. ჩვენ შევეცდებით გამოვავლინოთ ძირითადი ნარატივები ამ ორი საზოგადოების პოლიტიკური დისკურსების ფარგლებში და გავავლოთ პარალელები, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. განვიხილავთ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში თანამედროვე დასავლური სტანდარტების დანერგვას და შევუპირისპირებთ მათ ჯერ კიდევ არსებულ საბჭოური პერიოდის ანაქრონისტულ ნარატივებს თანამედროვე და ძველი იდეოლოგიების დაპირისპირების კონტექსტში. რადგანაც ღირებულებების დანერგვა და აქტუალიზება (ჩვენს შემთხვევაში – დასავლური ღირებულებებისა) ხდება ძირითადად ენის მეშვეობით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული (დომინანტი თუ ოპოზიციური) დისკურსების შესწავლასა და მათ შედარებას განვითარებული დასავლური საზოგადოებების პოლიტიკურ დისკურსებთან. განვიხილება აგრეთვე ამ ორ საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური იდეოლოგიები და შესაბამისი დისკურსები, როგორც მათი ლინგვისტური გამოვლინებები.

როგორც ჩვენს წინა ნაშრომებში აღინიშნა, ქართული პოლიტიკური დისკურსი ატარებს შემდეგ ძირითად თვისებებს: წარსულზე ორიენტირებულობა, შავ-თეთრი მენტალობა, მეტადრე პერსონებზე, ვიდრე იდეებზე ორიენტაცია (Ad hominem).

ფიგურატიული ენა, რომელსაც მიმართავენ პოლიტიკოსები, მნიშვნელოვანწილად შედგება მეტაფორებისა და ეფემიზმებისაგან. ქართული ენა იძლევა ფიგურატიული მეტყველების მრავალ მაგალითს (ძირითადად მეტაფორები). გარდა ამისა, ქართული

პოლიტიკური აზროვნება (მენტალური ტიპი) მეტწილად წარმოადგენს მეტაფორულ აზროვნებას. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქართული პოლიტიკური დისკურსი იყო სავსე მეტაფორებითა და ფიგურატიული ენით ზოგადად. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აზროვნებდა მეტაფორულად და მისი მსოფლმხედველობა იმყოფებოდა მენტალური განვითარების ეთნომითოლოგიურ საფეხურზე.

თუკი ქართული პოლიტიკური აზროვნების ფარგლებში იკვეთება წარსულზე/მომავალზე ორიენტირებული შეხედულებების ურთიერთდაპირისპირება, იგივეს ვერ ვიტყვით ამერიკულ დისკურსზეც, რადგანაც იგი ზოგადად მომავალზეა ორიენტირებული და ამასთანავე მასში აქტუალური არ არის თაობათა შორის მსოფლმხედველობრივი განსხვავება, რაც ასე მწვავედ იჩენს თავს ქართულ საზოგადოებაში (აქედან, განსხვავება მსოფლმხედველობებშიც: ქართული ორიენტირებულია წარსულზე, გარდასული დიდების კვლავ მოპოვებაზე, ამერიკული კი მომავალ მიღწევებზეა ორიენტირებული).

საინტერესოა აგრეთვე ნაციონალისტური ტრენდების აქტუალიზება და მტრის ხატის წარმოჩენა გარეშე საფრთხის წარმოქმნისას. 11 სექტემბრის ტერაქტმა გამოიწვია ამერიკელი ხალხის კონსოლიდაცია მიუხედავად განსხვავებებისა პოლიტიკურ შეხედულებებში, რაც არ მოხდა საქართველოში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

რაც შეეხება კონვენციონალურ მეტაფორებს აღნიშნულ ორ დისკურსში, აქ იკვეთება ორი ძირითადი მეტაფორა, რომლებიც თითქმის ერთმანეთის იდენტური არიან ფორმის (და, სავარაუდოდ, შინაარსის) მიხედვით: American Dream (ამერიკული ოცნება) – ქართული ოცნება (Georgian Dream). ერთი მოსაზრების მიხედვით, ამ მეტაფორის ამერიკულმა ვერსიამ დროთა განმავლობაში დაკარგა აქტუალობა, ის აღარ (ან ვეღარ) ასახავს ამერიკული ნაციის რეალურ ასპირაციებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუკი მეტაფორის ამერიკული ვარიანტი საკმაოდ დიდი ხნის

განმავლობაში ინარჩუნებდა აქტუალობას, შესაძლებელია, მისმა ქართულმა ანალოგმა დაკარგოს მნიშვნელობა დროის ზუსტად იმ მონაკვეთში, რაც უდრის მისი, როგორც ტერმინის დამამკვიდრებელი პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს, რადგანაც: „მეტაფორა იცვლება და განსაკუთრებით იცვლება მისი გამოყენების სიხშირე. ნებისმიერი ბუნებრივი ენის სემანტიკა შეიცავს მრავალფეროვან მეტაფორულ მოდელებს. რაც შეეხება პოლიტიკას, ემპირიული კავშირი მეტაფორის ცვლილებასა და პოლიტიკურ ცვლილებებს შორის თითქოსდა არ მიაწინებს, თუ რომელია ამ ორ ცვლილებას შორის კაუზალური, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი (რ. დ. ანდერსონი) მიიჩნევს, რომ მეტაფორული ცვლილება წინ უსწრებს პოლიტიკურ ცვლილებებს, რასაც ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითები და ანალიზი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაშვებია და სავსებით შესაძლებელი, რომ მეტაფორული ცვლილება წინ უსწრებდეს პოლიტიკურს. ამგვარად, როგორც მეტაფორებს, ისე პოლიტიკას შეუძლიათ სისტემატიური ცვლილება. მეტაფორის ცვლილება ყოველთვის დაკავშირებულია პოლიტიკურ ცვლილებებთან, როგორც არ უნდა იყოს მათი კაუზალობა“ (ბერეკაშვილი 2010).

პოლიტიკური დაპირისპირება ქართულ დისკურსში მეტაფორულად გამოიხატება როგორც ომი: „არჩევნები – ომია“ ან „პოლიტიკა – ომია“. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსთან დაკავშირებით: POLITICS IS WAR (პოლიტიკა ომია). იკვეთება აგრეთვე კლასობრივი ბრძოლის მეტაფორები ქართულ დისკურსში: „...მეტაფორული პარალელები თანამედროვე პოლიტიკურ მოძრაობათა და კლასობრივი ბრძოლის პერიოდის ლიდერებს გამონათქვამებს შორის. მაგალითისთვის, მმართველი პარტიის მიერ მათი მთავარი მოწინააღმდეგის რუსეთის აგენტად შერაცხვა – საბჭოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო პოლიტიკური მოწინააღმდეგის ანალოგიური ბრალდების მეშვეობით ჩამოშორება. მსგავსი მეტაფორების

პარალელები საკმაოდ ბუნებრივია – საქართველოში ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის მეტაფორები იყო ნებადართული, ახლანდელ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმული თაობა კი სწორედ საბჭოთა პერიოდში არის გაზრდილი“ (ჭანტურაძე 2012).

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში მკვლევრები გამოყოფენ სამი ძირითადი ნაციონალური ნარატივის არსებობას: „პირველი ნარატივი „ძველი“ ანუ „კლასიკური“ და „მონოლითური“ ნარატივია, ესაა ქართველი ერის ხსნისა და გადარჩენის ისტორია (history and story): თუ როგორ გადარჩა ქართველი ერი მრავალსაუკუნოვანი შემოსევებისა და იმპერიული აგრესიის მიუხედავად. ამავე დროს, მას ესქატოლოგიური განზომილება აქვს – ანმყო ყოველთვის ტრაგიკულია, ხოლო მომავალი – ნათელი. მეორე სახის ნარატივს კი „ახალი ინტელექტუალები“ მოგვითხრობდნენ. ესაა „ვარდების რევოლუცია“ („Rose Revolution“), რომელიც 2003 წლის ნოემბერში პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომითა და მიხეილ სააკაშვილის ეპოქის დასაწყისით აღინიშნა. „ვარდების რევოლუცია“ „კოსმოგონიური“ ნარატივია, რომელიც შევარდნაძის კორუფციული ქაოსიდან ახალი ნაციისა და „ძლიერი ქართული სახელმწიფოს“ შექმნის შესახებ გვესაუბრება. III ნარატივი – ესაა „მართლმადიდებლობა როგორც ქართველთა გენეტიკური“ რელიგია. ნარატივი – III პრეტენზიას აცხადებს, რომ ისაა ქართული კულტურის ერთადერთი სრულფასოვანი რეპრეზენტატორი. ქართული ეკლესია დღეს ქართველი ერის ნაციონალური ეკლესიაა, ხოლო მისი ნარატივი ნაციონალური რელიგია. სწორედ ამ სამი ნარატივის ურთიერთდიფუზია და ბრძოლა განსაზღვრავს დღევანდელ ქართულ ნაციონალიზმს (მათირიშვილი 2010).

იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ლიბერალურ ქართულ დისკურსს საფუძველი დაუდო მერაბ მამარდაშვილმა და ამ დისკურსის მახასიათებელია ნაკლებად „მეტაფიზიკურობა“ და მეტი პრაგმატიზმი. რაც შეეხება „მეტაფიზიკურისა“ და პრაგ-

მატულის დაპირისპირებას ამერიკულ დისკურსში, იგი ძირითადად მემარჯვენე (რესპუბლიკურ/კონსერვატიულ/რელიგიურ) და მემარცხენე (დემოკრატი/ლიბერალ/პროგრესულ (progressive) დისკურსების ფარგლებში უნდა იქნას განხილული. ამ დაპირისპირების მთავარი მახასიათებელი კი ტრადიციულისა და ლიბერალურის ურთიერთმიმართებაა, სადაც ტრადიციულის მომხრეებად კონსერვატორები (რესპუბლიკელები), ხოლო ყოველგვარი სიახლის დამწერგავად ლიბერალები (დემოკრატები) მოიაზრებიან. ამ უმთავრესი დებატის ერთ-ერთი დეტალია კონსერვატორთა მიერ ტერმინ „ლიბერალისთვის“ სპეციფიკური კონოტაციის მინიჭება. იგი გამოიყენება ყოველივე ამერიკული ღირებულების საწინააღმდეგოს აღსანიშნად, რასაც კონსერვატორები საკმაოდ ეფექტურად იყენებენ დისკურსის ფრეიმინგის მხრივ. სხვა სიტყვებით, ტერმინი „ლიბერალი“ უარყოფითი პოლიტიკური იარაღია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართულ პოლიტიკურ დისკურსშიც ბოლო რამოდენიმე წელია ლიბერალობამ, როგორც იდეოლოგიამ, შეიძინა მკვეთრად უარყოფითი კონოტაცია და იგი დამამცირებელი ფორმითაც გამოიყენება – „ლიბერასტი“, რაც ზუსტი კალკია რუსულ რეაქციონისტულ დისკურსში წარმოქმნილი იდეოლოგიური კლიშესი: либераст.

კიდევ ერთი პარალელი, რომელიც შეიძლება გავავლოთ ამერიკულსა და ქართულ დისკურსებს შორის, ესაა ლიდერების მიერ რელიგიური შინაარსისა და ფორმის ნარატივების გამოყენება, როგორც რიტორიკული კონტენტი. რელიგიური ნარატივი მკვეთრადაა გამომხატული ამერიკის პრეზიდენტთა დისკურსში, დაწყებული საინაგურაციო მიმართვებითა და გაგრძელებული ყოველდღიური პოლიტიკური კომუნიკაციით. საქართველოში კი ამ სტრატეგიას გამოკვეთილად მხოლოდ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყენებდა. მისი ნარატივი გაჯერებული იყო რელიგიური კატეგორიებით და რაღაც გაგებით საერო და რელიგიური დისკურსების ნაზავს წარმოადგენდა. რაც შეეხება განსხვავებას ქართულსა და ამერიკულ პოლიტიკურ

დისკურსებს შორის, დღესდღეობით პირველში მკვეთრადაა გამიჯნული საერო და სასულიერო ნარატივები, რადგანაც რელიგიური ნარატივის წარმოებისა და ინტერპრეტაციის ფუნქცია საქართველოში მკვეთრად ეკლესიის პრეროგატივაა; პოლიტიკური ლიდერები კი მხოლოდ ადასტურებენ აღნიშნულ ნარატივს (როგორც მმართველი ძალა, ასევე ოპოზიციური). ამერიკაში კი არ არსებობს ერთიანი (ცენტრალიზებული) რელიგიური ნარატივი, როგორც ასეთი და, შესაბამისად, ლიდერები რაღაც გაგებით ამ სახის დისკურსის აქტუალიზების ფუნქციასაც ითავსებენ. ამასთანავე, თუკი ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში არ არის მკვეთრი ხაზი გავლენიანი საერო და რელიგიურ ნარატივებს შორის (ისინი საერთო ჩარჩოს ფარგლებში მოიაზრება), ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ეს ორი მკვეთრად გამიჯნულია და რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ, რაც იწვევს შემდგომი ინტერპრეტირების აუცილებლობას. სხვა ტერმინებით, არ არსებობს საერთო დისკურსული შესაბამისობა. ამასთანავე, თუკი ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებში მსოფლმხედველობრივი განსხვავება ამავე დროს რელიგიურ შეხედულებებში განსხვავებასაც ნიშნავს, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ანტაგონიზმი მხოლოდ პოლიტიკური სფეროთი შემოიფარგლება, რადგანაც რელიგიურ საკითხებში დაპირისპირებული მხარეები (დომინანტი და ოპოზიციური დისკურსები) ერთსულოვნებას ინარჩუნებენ (ისინი არ აფიქსირებენ განსხვავებულ შეხედულებებს). შესაბამისად, თუკი ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში ისეთ საკითხებს, როგორიცაა აბორტის, იარაღის შეძენა/შენახვა/ტარება, ჯანდაცვის საყოველთაოობა და მსგავსი სხვა განიხილება სეკულარულ-რელიგიური ნარატივების საერთო ჩარჩოში, საქართველოში ისინი მხოლოდ სეკულარული დებატების თემას წარმოადგენს. საინტერესოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამერიკულ დისკურსში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ერთმანეთთან კავშირში მოიაზრება და ამავე დროს ისინი შეიძლება არ ქმნიდნენ ლოგიკურ ჯაჭვს შე-

საბამისობის მხრივ. მაგალითად, აბორტის მოწინააღმდეგე მხარე (რესპუბლიკელები) ამავე დროს მხარს უჭერს იარაღის შექმნა/შენახვა/ტარების უფლებას (Anti abortion / pro gun). იგივე პოლიტიკური პარტია წინააღმდეგია სოციალური დახმარებების, საყოველთაო ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის მიზნით რეგულაციებისა. ქართულ პოლიტიკურ დისკურსში კი იდეოლოგიურ დონეზე სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში მკვეთრი დაპირისპირება არ შეიმჩნევა, გარდა ქვეყნის საგარეო კურსისა.

დამოწმებანი

ბერეკაშვილი, თამარ. „ზოგიერთი თანამედროვე პოლიტიკური მეტაფორის შესახებ“. *ჟურნალი სემიოტიკა*, №4, 2010. Available: <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/04/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%94/>

შათირიშვილი, ზაზა. *ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები*. 2010. ავაილაბლე: http://social_democrats_georgia.blogspot.com/2010/06/blog_post_27.html

ჭანტურიძე, ლაშა. *კლასობრივი ბრძოლის მეტაფორა ქართულ პოლიტიკურ სიტყვაში*. 2012. Available: <https://stateinterest.wordpress.com/2012/08/23/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A4/>

GIVI AMAGLOBELI

International Black Sea University, Assist. Professor

**COMPARATIVE ANALYSIS OF GEORGIAN AND
AMERICAN POLITICAL DISCOURSES**

SUMMARY

The purpose of the given work is a general analysis of Political Discourses of Georgian and American societies. There is a need in Georgia to adopt Western values while still trying to emancipate from the remains of the Soviet mentality type. This is one of the basic reasons of the given work as contemporary Georgian political discourse needs to be formed according to Western values and concepts. In order to achieve this goal the language that is used in political and public spheres in general needs to be purified from the anachronistic elements of the Soviet era. We will try to define and compare basic narratives in political discourses of the two society and find common as well as differing points.

ქეთევან ანთელავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ამერიკელი ქალი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე: „ჯაშმარიბი ქალურობის ჯულბიდან“ – „ახალი ტიპის ქალამდე“

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე სუფრაჟისტი, ფემინისტი და კეკლუცი ლამაზმანების (*the flappers*) პარალელურად ამერიკაში გამოიკვეთა მთელი რიგი საერთო ნიშნებით გაერთიანებული ქალთა ჯგუფი. ასეთი ქალი იყო ქალაქში მცხოვრები, საშუალო ან მაღალი კლასის წარმომადგენელი, შეძლებული ბიზნესმენის ან მაღალანაზღაურებადი მამაკაცის მეუღლე ან ქალიშვილი, რომელსაც ხარისხიანი განათლება ჰქონდა მიღებული. მოგვიანებით საუნივერსიტეტო განათლება ამ პორტრეტის აუცილებელი კომპონენტი გახდა. ასეთივე განუყოფელი მახასიათებელი იყო, დაუოჯახებელი სტატუსი, ან გათხოვილობის შემთხვევაში ოჯახის გარეთ დასაქმებულობა. ეს ახალი რეალობა სულაც არ გულისხმობდა ქალის სახლის გარემოდან ხელოვნურად ამოგლეჯას. როდესაც ქალი ქორწინდებოდა, ის კვლავინდებურად ოჯახს უძღვნიდა თავს (ზოგ შემთხვევაში სამსახურის დათმობის ხარჯზეც), უბრალოდ, საქმე ის გახლდათ, რომ ოჯახი და სახლის მართვა ამ დროისთვის რადიკალურად შეიცვალა და უმთავრესად ქალის ინტერესებსა და მოთხოვნებს დაექვემდებარა. ქალის დომინანტურ როლს ოჯახში ბუნებრივად მოჰყვა საზოგადოებაში მისი როლის ზრდა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გააქტიურება. მართალია, ამ ტიპის ქალმა დამაჯერებლობა და ძალები პროგრესივიზმის ეპოქაში შეიძინა, ამ პროცესის ჩანასახი და პირველი ნიშნები უკვე 1870–1880-იან წლებში გამოჩნდა. ნახევარი საუკუნით ადრე კი მაღალი სა-

ზოგადოების ამერიკელ ქალს სრულიად სხვაგვარი მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული.

მკვლევარი ბარბარა უელთერი ამ საკითხისადმი მიძღვნილ ქრესტომატიულ სტატიაში წერს, რომ საზოგადოების და თავად ქალის მიერ მისი როლის აღქმა მე-19 საუკუნის დასაწყისსა და შუა წლებში ოთხ ძირითად ღირსებას ეფუძნებოდა. ესენი იყო: ღვთისმოსავობა, უმნიკვლობა, მორჩილება და მეოჯახეობა, რომელთა დაცვა უპირობოდ აუცილებელი იყო და ეს ღირსებები ქალს დედის, ქალიშვილის, დის და ცოლის როლში სრული რეალიზაციის საშუალებას აძლევდა (Welter 1966: 158).

მკაცრი საზოგადოებრივი ჩარჩოების, ქალთა ყურნალები-სა და ლიტერატურის აქტიური პროპაგანდის მიუხედავად, მე-19 საუკუნეში საზოგადოებაში მიმდინარე რეფორმატორულმა მოძრაობამ, მიგრაციამ, ინდუსტრიალიზაციამ და სამოქალაქო ომმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ყველა იმ ფასეულობის ერთადერთობა, რომელიც „ჭეშმარიტ ქალს“ თანდაყოლილი და ღვთით ნაბოძები უნდა ჰქონოდა. ქალს უკვე გაუჩნდა არჩევანი: მას შეეძლო წაყენებულ მოთხოვნებს უპირობოდ დამორჩილებოდა და „ღირსეული და სავსე“ ცხოვრებით ეცხოვრა, და შეეძლო, ბედნიერება სახლის კედლებს მიღმა ეძებნა, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ყველაფერი დაეკარგა. ქალთა სწრაფვა მეტი დამოუკიდებლობისკენ სხვადასხვა სფეროებში აშკარად საგრძნობი გახდა და ამ ტენდენციამ შეუქცევადი სახე მიიღო. ბარბარა უელთერი თავისი სტატიის დასკვნით ნაწილში აღნიშნავს:

„ამგვარი ვითარება უცვლელი ვერ დარჩებოდა, რადგან თავად „ჭეშმარიტი ქალურობა“ შეიცავდა ფარულ ნაღმს: თუ ქალი სრულყოფილების ეტალონი იყო, როგორც ამას მისგან მოითხოვდნენ და მოელოდნენ, ის მით უფრო აქტიურად უნდა ჩართულიყო საზოგადოებრივ საქმიანობაში ქვეყნის საკეთილდღეოდ“ (Welter 1966: 174).

მკვლევარი მერი ქელი მართებულად მიიჩნევს, რომ, ერთი მხრივ, უელთერის ნაშრომი და, მეორე მხრივ, მასზე არსებული კრიტიკული ესაეები და სტატიები ცხადყოფენ, რომ ჭემმარიტი ქალურობის ფენომენი ისეთივე არაერთგვაროვანი და რთული იყო, როგორც ამ იდეოლოგიის ადრესატი – ომისშემდგომი პერიოდის ქალი (Kelley 2001: 78).

ბოლო ათწლეულების მანძილზე ისტორიკოსებმა და ლიტერატურის კრიტიკოსებმა უელთერისეული ქალურობის ოთხი ძირითადი კომპონენტის ინტერპრეტაცია და დასკვნები ეჭვქვეშ დააყენეს. გაჩნდა მოსაზრება, რომ, დაქვემდებარებული სტატუსის აღიარების ნაცვლად, იმ ეპოქის მანდილოსნებმა სრულიად გააზრებულად ქალურობის პრინციპები საზოგადოებაში თავიანთი როლის გასაძლიერებლად გამოიყენეს. ბარბარა უელთერისეული „ჭემმარიტი ქალურობის კულტი“ ქალებს, უდაოდ, უმკაცრეს ჩარჩოებში აქცევდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სწორედ ამ წიაღში გაჩნდა თავისუფლების ის სივრცე, რომელმაც სხვადასხვა სფეროებში ქალთა შესაძლებლობების გაფართოების პერსპექტივა დასახა.

უელთერის შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებისა და ლიტერატურის კრიტიკოსების მტკიცებით, უპირობო მორჩილების ფენომენმა სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში ქალებისთვის აქტუალობა და სიმწვავე დაკარგა. ლორი გინზბერგი ნაშრომში, რომელიც მე-19 საუკუნის ამერიკული საზოგადოების ფორმირებაში ქალთა მზარდ როლს ეხება, ამტკიცებს, რომ, მაგალითისათვის, ღვთისმოსაობის კომპონენტი ქალებმა ომის შემდგომ პერიოდში გონივრულად გამოიყენეს საქველმოქმედო და შემდეგ რეფორმატორულ საქმიანობაში გააქტიურებისა და, საბოლოოდ, ამ სფეროებში მონინავე პოზიციების დასამკვიდრებლად (Ginzberg 1990: 86).

მერი ქელი ერთ-ერთი იმ მკვლევართაგანია, ვინც სთვლის, რომ იქ, სადაც ბარბარა უელთერი იდეოლოგიის პირდაპირ, ერთმნიშვნელოვან გავლენას ხედავდა, მისთვის იგივე რეალობა

წინააღმდეგობებით, დაძაბულობითა და გაურკვეველობით იყო სავსე. თუ უელთერისთვის რომანების გმირი ქალები უსიტყვო მორჩილებას განასახიერებდნენ, მერი ქელის მტკიცებით, არსებობდა მხატვრული სივრცე, სადაც ქალი მეამბოხე და შეურიგებელი იყო (Kelley 2001: 76).

ანალოგიური წინააღმდეგობრივი სიტუაციაა უელთერისეული „სისპეტაკის“ ცნებასთან დაკავშირებით. ქეროლ სმით როზენბერგი ერთ-ერთ წერილში ამ ცნების განსხვავებულ, სახეცვლილ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. სისპეტაკე და უმნიკვლობა, რომელიც ჭეშმარიტი ქალურობის კულტის აუცილებელი კომპონენტი იყო და რომლის არარსებობა ქალურობის დაკარგვის ტოლფასად ფასდებოდა, მათ ზნეობრივი სტანდარტების ასამაღლებლად საბრძოლო იარაღად და შემდეგ რეფორმატორული მოძრაობის წარსამართად გამოიყენეს (Smith-Rosenberg 1985: 112).

ამ მიზეზთა ერთობლიობით აიხსნება ის გარემოება, რომ საუკუნეების მიჯნაზე ახალი ტიპის ქალის გამოჩენა მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ამ ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესი ევოლუციური განვითარების პრინციპებსა და ლოგიკურ კანონზომიერებებს ეფუძნებოდა. განვიხილოთ ამ პროცესის რამდენიმე საკვანძო ეტაპი.

სამოქალაქო ომის დროს პატრიოტიზმისა და ჰუმანურობის სახელით, ასობით ათასმა ქალმა მიატოვა სახლი და სანიტარული კომისიის საშუალებით, რომელიც მთელს ჩრდილოეთში იყო გავრცელებული, შეუდგა სახსრების მოძიებას, დაჭრილების მოვლასა და საკვების მომზადებას საველე ჰოსპიტალებისთვის. ჯარისკაცების ქვრივებზე და ოჯახებზე ზრუნვამ ქალებს სიღარიბესა და უსამართლობაზე აუხილა თვალი. თუმცა იყვნენ ქალები, რომლებიც მკვეთრად ემიჯნებოდნენ სიღატაკესა და პროსტიტუციასთან მებრძოლი რეფორმატორების ჯგუფს, შეგნებულად უარყოფდნენ ფემინიზმსა და რადიკალურ იდეებს და მხოლოდ ქველმოქმედებაზე იყვნენ ორიენტირებული. ბურჟუა-

ზიული წრის ეს ქალბატონები სახლებში აღარ დაბრუნდნენ და თავიანთი ყურადღება ახლად აღმოცენებული ქალაქების საჭიროებებზე გადაიტანეს.

მკვლევრები სმიტ-როზენბერგი (Smith-Rosenberg –1985: 173) და მერი ბიული (Buhle 1971: 49) მიიჩნევენ, რომ ამ ქალებმა გადააფასეს ღვთისმოსაობის, მორჩილების და მეოჯახეობის კულტურული ურყეობა და გაბატონებული „ჭეშმარიტი ქალურობის კულტი“ ახალ საჭიროებებს მიუსადაგეს.

სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე აქტიურად დაიწყო ისეთი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც გააუმჯობესებდა ინდუსტრიალიზაციით გამოწვეულ მძიმე შედეგებს. იმის გათვალისწინებით, რომ ახალ რეალობაში ბურჟუა ქალების სამიზნე არაერთგვაროვანი იყო, ამ პერიოდში შექმნილი ქალთა კლუბები ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: ერთი იყო მუშათა კლასის ქალების ინტერესების დაცვა, მეორე – თავად ბურჟუაზიული ფენის ინტელექტუალური და სოციალური ინტერესების წარმოჩენა და რადგანაც 1860-1870-იან წლებში მათი ზრუნვის ობიექტი ქალები მონოლითურ ჯგუფს არ წარმოადგენდნენ, ამ მრავალფეროვნების დასაკმაყოფილებლად ქალთა კლუბებმა მრავალპროფილიანი საქმიანობა განავითარეს: საფეიქრო მრეწველობაში დაკავებული ქალების საქმიანობით დაწყებული, ქალთა სკოლებითა და სამედიცინო დაწესებულებებით დამთავრებული. პოპულარული იყო ასევე ინტელექტუალური მიმართულების კლუბები, რომლებიც ლექციებს, მობილურ ბიბლიოთეკებსა და სადისკუსიო შეხვედრებს აწყობდნენ სხვადასხვა თემებზე. ამდენად, ეს მოძრაობა სახლის გარეთ დასაქმების მსურველ რესპექტაბელურ ქალბატონებსაც აკმაყოფილებდა და პროფესიული და საზოგადოებრივი ინტერესების მქონე მანდილოსნებსაც. მე-19 საუკუნის ბოლოს ქალთა „ერთსქესიანი“ გაერთიანებების მზარდი პოპულარობა და წარმატება ისტორიკოს ნენსი უოლოხის საყურადღებო დაკვირვებით შეიძლება აიხსნას. იგი წერს, რომ ამ ორგანიზაციებში ქალებმა სრულად გააცნო-

ბიერეს გენდერული იდენტობა და შეძლეს ამ იდენტობით ეამაყათ და მეორე, მამაკაცებისგან განსხვავებით, ისინი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდნენ როგორც თანამშრომლები და არა როგორც კონკურენტები (Woloch 2002: 181).

ამერიკულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად 1870-იანი წლებისთვის ბურჟუაზიული კლასის შიგნით ქალთა ახალი ტიპი ჩამოყალიბდა: შექმნილი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში თავდაჯერებული და დამოუკიდებელი, იგი მიღებული გამოცდილების შედეგად განათლებისა და დასაქმების თანასწორ პირობებს მოითხოვს, რასაც, ლოგიკურად, ხმის მიცემის მოთხოვნა მოჰყვება. ამ გზით ის ახალი ხედვების ცხოვრებაში გატარებას ისახავს მიზნად. ასეთ ცვლილებებზე საზოგადოების რეაქციამ არ დააყოვნა. სმით-როზენბერგი ამ პროცესების ანალიზისას აღნიშნავს:

„ბურჟუა ქალთა ბრძოლით შექმნილმა გამოცდილებამ, მართვის უნარებმა და ახალმა მოთხოვნებმა შეამფოთა მათი ქმრები. შეძლებდნენ რესპუბლიკურ ოჯახის დედები და მათი შინაბერა დები ერთდროულად კომპეტენტური ყოფილიყვნენ პოლიტიკისა და მათი საჭიროებების საკითხში და ამავე დროს ქეშმარიტი ქალურობის ერთგული დარჩენილიყვნენ? და თუ 1860-1870-იანი წლების ოჯახის დედები შემფოთების საგანი იყვნენ, მათი ქალიშვილები უკვე რეალურ საფრთხეს წარმოადგენდნენ“ (Smith-Rosenberg 1985: 176).

სწორედ ეს „ქალიშვილები“ გამოდიან ასპარეზზე 1880-90-იან წლებში და ქმნიან სრულიად ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფენომენს – ახალი ტიპის ქალს.

ეს ტერმინი – ახალი ტიპის ქალი (*the New Woman*) – სოციოლოგიურ და ისტორიოგრაფულ სივრცეში ლიტერატურიდანაა შემოსული და მწერალ ჰენრი ჯეიმზის შემოქმედებას უკავშირდება. რომანებში *Daisy Miller* და *The Portrait of a Lady* ჯეიმზი აღწერს ახალგაზრდა, შეძლებულ, გაუთხოვარ ქალს, რომელიც არ ცნობს თავს მოხვეულ პირობითობებს, მზადაა დამოუკიდე-

ბელი მოქმედებისათვის და წარმოადგენს ამერიკული საზოგადოების უნიკალურ პროდუქტს, რომლის არსი ყველაზე კარგად ევროპულ სივრცეში იშლება.

ქეროლ სმიტ-როზენბერგი სარგებლობს ჰენრი ჯეიმზის მიერ შექმნილი ხატებით და პრიორიტეტების ნაწილობრივი შეცვლის შედეგად ახალი ტიპის ქალის ასეთ სახეს გვთავაზობს: ახალი ტიპის ქალი, მისი აზრით, 1850-იანიდან 1900-იან წლამდე შუალედშია დაბადებული; ბურჟუაზიული კეთილდღეობის გონივრულად გამოყენების ფონზე საფუძვლიანად განათლებული და პროფესიონალური უნარების მქონეა; ხშირ შემთხვევაში გაუთხოვარი; იმ ხანად უხვად აღმოცენებული სახელისუფლებო ან რაიმე სხვა სახის სტრუქტურაში განევრიანებული და პროფესიულად დასაქმებული; დამკვიდრებული პირობითობების უარყოფა და საკუთარი თავისუფლებებისა და თვითრეალიზაციისთვის ბრძოლა მისთვის ბუნებრივია; ის იმ ბურჟუაზიული გარემოსა და ოჯახის პირმოა, რომელშიაც ქალთა პირველი დამოუკიდებელი სტრუქტურები შეიქმნა. სმიტ-როზენბერგი მიიჩნევს, რომ ეს ახალგაზრდა ქალები ახალი როლისა და შესაძლებლობების ატმოსფეროში აღიზარდნენ და სრულად შეითვითხორცეს ის (Smith-Rosenberg 1985: 176).

ამერიკის ისტორიის მკვლევარი ნენსი უოლოხი აღნიშნავს, რომ ჩიკაგოს ჰულ ჰაუსის თავშესაფრის დამაარსებელი ჯეინ ადამსი, რომელმაც ჰარმონიულად შეითავსა ვიქტორიანული ეპოქის ყველა ღირსება და საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქის როლი, 1890-იანი წლების ახალი ტიპის ქალის განსახიერება იყო (Woloch 2002: 180). ჯეინ ადამსის მსგავსად, ახალი ტიპის ქალებს გაულრმავდათ გენდერული თვითშეფასება და მათი მისიის აღქმა. შედეგად, მე-19 საუკუნის ბოლოს ქალთა კულტურა საზოგადოებრივ ასპარეზზე მეტი დამაჯერებლობით დამკვიდრდა.

მკვლევრები ახალი ტიპის ქალთა რამოდენიმე თაობას განასხვავებენ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით ხასიათდება.

პირველი თაობა, ქრონოლოგიურ რაკურსს თუ ავირჩევთ, 1870-1880-იან წლებში სწავლობდა ქალთა კოლეჯებში და 1880-იან წლებსა და პირველ მსოფლიო ომს შორის პერიოდში მოახერხა პროფესიული რეალიზაცია. ეს ქალები ფემინისტური იდეების თამამი გამხმოვანებლები იყვნენ და რასობრივ, სქესობრივ და სოციალურ უსამართლობას არ ურიგდებოდნენ. თუმცა მათთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იყო ბურჟუაზიული ფასეულობები და მათი საქმიანობა ხშირად საზოგადოების მოთხოვნებზე ორიენტირებული იყო.

მეორე თაობა 1890-იან წლებში იღებს განათლებას და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იწყებს აქტიურ მოღვაწეობას. აქტიური პოლიტიკური ინტერესების პარალელურად, ამ თაობას აქცენტი თვითრეალიზაციაზე გადააქვს და საზოგადოებრივი ინტერესების მსახურების ტრადიციული გაგების უარყოფისა და უფრო გამომწვევი ქცევის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. ამიტომაც ამ თაობის ქალთა არტისტულობა და ხელოვნებით დაინტერესება თვალშისაცემია.

კიდევ ერთი თვალში საცემი განსხვავება ამ ორ თაობას შორის ისაა, რომ მეორე თაობის წარმომადგენლებმა აბსოლუტური თანასწორობისთვის ბრძოლა დაიასახეს მიზნად, რომელიც ყველა სფეროში მამაკაცებთან გათანაბრებას გულისხმობდა. მოკლედ შეჭრილი თმა, სიგარეტის მოწევა, თავისუფალი სექსუალური ურთიერთობები ამ ტენდენციის ფორმალური გამოვლინება იყო. ამ ეტაპზე „ჭეშმარიტი ქალურობის კულტის“ კვალი აღარ შეიმჩნევა და ასეთი რადიკალიზმი ისევე ძნელად მისაღები იყო პირველი თაობის ახალი ტიპის ქალებისთვის, როგორც თავის დროზე მათი საქმიანობა – რესპექტაბელური საზოგადოებისთვის.

თუ მაგალითისთვის ხელოვნების პროპაგანდისა და მეცენატობის სფეროში დაკავებულ ქალებს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ სამოქალაქო ომამდელ და უშუალოდ მის შემდგომ პერიოდში ქალთათვის დასაშვებად მიჩნეული საქველმოქმედო საქ-

მიანობის, ქარგვისა და სახლის დეკორირების პარალელურად, ასპარეზზე გამოჩნდნენ ქალები, რომელთაც თავიანთი ინტერესებითა და მისწრაფებებით საზოგადოებრივ ჩარჩოებს გასცდნენ. სარა კინგ პიტერმა 1854 წელს შექმნა ქალთა ხელოვნების აკადემია, რომელიც, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული მრავალპროფილიანი ორგანიზაცია იყო. ეს დაწესებულება ფუნქციონირებდა როგორც ევროპული მხატვრობის ასლების საცავი, კოლექციონერების მიერ ნათხოვები ნახატებით დაკომპლექტებული გალერეა, ლიტერატურული კითხვის ცენტრი და დიზაინის სკოლა ხელმოკლე ქალთათვის. მართალია, აკადემიამ დიდ ხანს არ იარსება, მაგრამ შეამზადა ქენდის უილერის ბევრად უფრო წარმატებული და მასობრივი, დეკორატიული ხელოვნების საზოგადოების (the New York Society of Decorative Art, NYSDA, 1877) გაჩენა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქალთა დასაქმების, გემოვნებისა და თვითშეგნების ამაღლებაში. ამავე პერიოდში კოლექციონერ ქალთა არსებობაც საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და სტანდარტების გარღვევაზე მეტყველებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ები როკფელერისა და გერთრუდ ვანდერბილთის მიერ დაარსებული თანამედროვე ხელოვნების (the Museum of Modern Art, MOMA, 1929) და თანამედროვე ამერიკული ხელოვნების (Whitney Museum of American Art, 1931) მუზეუმები თვისობრივად ახალი საფეხური იყო ხელოვნების სფეროში მოღვაწე ქალთა საქმიანობაში. იგნორირებული და „საფრთხის შემცველი“ მიმართულებების (ავანგარდი და თანამედროვე ამერიკული ხელოვნება) არჩევა, მამაკაცთა კონკურენტულ სივრცეში ტოლფას მოთამაშედ წარმოჩენა და საკუთარი მისწრაფებებისა და იდეების წარმატებული ინსტიტუციონალიზაცია უკვე ე.წ. ახალი ტიპის ქალისათვის დამახასიათებელი მისწრაფებებისა და ქმედების მაჩვენებელი იყო.

რამდენად განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავიც არ უნდა იყოს ქალთა ეს ორი ტიპი: მე-19 საუკუნის ჭეშმარიტი ქალურობის განსახიერება და ე.წ. ახალი ტიპის ქალი, მათ შორის ევოლუციური კავშირი ეჭვს არ იწვევს. უმკაცრეს ჩარჩოებში ყოფნის მიუხედავად, სწორედ ვიქტორიანული ტრადიციებით აღზრდილმა ქალბატონებმა მოახერხეს გაეფართოვებინათ ქალურობის საზღვრები, რამაც სხვადასხვა სფეროებში მათი შესაძლებლობების გაფართოების პერსპექტივა დასახა. მე-19 საუკუნის ჭეშმარიტი ქალურობის ეტალონის ე.წ. ახალ ქალად გარდასახვა ამ ქალთა შეურიგებლობითა და მათი დაუღალავი მცდელობებით იყო განპირობებული.

საუკუნეების მიჯნის საზოგადოებრივ და კულტურის სფეროში სრულფასოვან მოთამაშედ დამკვიდრებული ახალი ტიპის ქალი, რომელმაც ფასეული ცვლილებების განხორციელება შეძლო, „ჭეშმარიტი ქალურობის“ ნიაღში გაჩნდა და გარკვეულწილად მისი იდეური მემკვიდრე იყო.

დამოწმებანი

Buhle, Mari Jo. *Women and American Socialism, 1870-1920*. Urbana: University of Illinois, 1981.

Ginzberg, Lori D. *Women and the Work of Benevolence: Morality, and Class in the 19th Century United States*. New Haven, Connecticut: Yale University Press, 1990.

Kelley, Mary. “Beyond the Boundaries”. *Journal of the Early Republic*, Vol. 21, No. 1 (Spring), 2001, pp. 73-78. Published by: [University of Pennsylvania Press](http://www.jstor.org/stable/3125096), Article Stable URL: <http://www.jstor.org/stable/3125096>.

Smith-Rosenberg, Carroll. *Disorderly Conduct. Visions of Gender in Victorian America*. Oxford: Oxford University Press, 1985.

Welter, Barbara. "The Cult of True Womanhood: 1829-1960". *American Quarterly*, Vol.1 18, No.2 Part1 (Summer 1966) pp. 151-174. The John Hopkins University Press. <http://www.jstor.org/stable/2711179> accessed: 30/11/2013 11:05

Woloch, Nancy. *Women and the American Experience a concise History*. New York: McGraw Hill, 2002.

KETEVAN ANTELAVA

Ivane Javakhishviuli Tbilisi State University, PhD Student

AMERICAN WOMEN AT THE TURN OF THE XIX-XX CENTURIES: "FROM THE CULT OF TRUE WOMAN- HOOD" – TO "THE NEW WOMEN"

SUMMARY

At the turn of the 20th century America had witnessed the advance of the New Woman, who was actively involved in social, political, and cultural activities and succeeded in achieving her goals.

The New Woman reached the peak of her abilities and effectiveness in the progressive era, although she had predecessors in the 1870s and 1880s. Middle or upper class, she was usually a town dweller, the wife or a daughter of a business or professional man, and was well-educated. Later, university education became a necessary feature of this portrait. Marital status also mattered. If unmarried, she might have been employed outside home, most likely in a profession dominated by women, and she might have maintained her own home instead of living with a family. If she married, she usually would have given up paid work and devoted herself to the family. However, managing a household had changed to women's advantage and led to their dominating role in the family, and consequently, in the public sphere as well.

This paper examines the transformation of the 19th century Victori-

an American woman to the rebellious and socially active 20th century female.

ქმის ყველა მკვიდრი ამერიკელის წინაშე დგას; ეს ის ფაქტებია,
რომელსაც უნდა იცნობდეს ყველა არა მკვიდრი ამერიკელი.

დამოწმებანი

Native Words-Native Warriors. *Boarding Schools: Struggling with Cultural Repression*. Retrieved October 9, 2013, from <http://nmai.si.edu/education/codetalkers/html/chapter3.html>

National Relief Charities. *Strong, Self-Sufficient American Indian Communities*. 2014. Retrieved September 12, 2013, from http://www.nrcprograms.org/site/PageServer?pagename=naa_livingconditions

RSH Web Hosting. *Racism, Justice and the American Indian*. 2013. Retrieved September 9, 2014, from <http://clevelandsearch.com/Native-Americans.html>

Robwrite, Rob. *Problems Facing Native Americans in the Modern World*. 2011. Retrieved September 25, 2014 from <http://robwrite.hubpages.com/hub/Problems-Facing-Native-American-Indians-in-the-Modern-World>

TEA CHUMBURIDZE

International Black Sea University, PhD Student

**THE PROBLEM OF NATIVE AMERICANS: INTEGRATION OR
ASSIMILATION?**

SUMMARY

When American people think of slavery, their minds create images of Africans inhumanely crowded aboard ships, or of blacks stooped to pick cotton in the southern part of the country. But they don't conjure images of American Indians chained in coffles and marched to ports like Boston and Charleston, and then shipped to other ports in the Atlantic world.

The purpose of this article is to explore and evaluate a forgotten story of American Indian slavery; even today Native Americans remain among the most economically disadvantaged groups in the United States.

This ethnic unit represents an important part of the culture of the United States. While these people have lived on this land for thousands of years, today their numbers are decreasing.

რუსიდან დაუპვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი

ოთარ ზალდასტანიშვილი - ქართული მშენებელი ამერიკაში

მას შემდეგ, რაც ძვ.წ. II საუკუნეში ფილონ ალექსანდრიელმა „მსოფლიოს შვიდი საოცრების“ სია შეადგინა, არაერთხელ იყო ამ სიის შეცვლის, შევსების, ან „მერვე საოცრებად“ თავისი ეპოქის საოცრების შეტანის მცდელობა. XXI საუკუნის „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ მიჩნეულია სპარსეთის ყურეში განხორციელებული პროექტი „პალმა ჯუმეირა“ – პალმის ფორმის ხელოვნური კუნძულების კომპლექსი ზღვაში, რომელიც ასევე ხელოვნური ატოლით არის შემოფარგლული. როგორც აღმომჩნდა, ადამიანის ხელით შექმნილი ეს მეორე ძეგლია, დიდი ჩინური კედლის შემდეგ, რომელიც კოსმოსიდან ჩანს. ამ უნიკალური პროექტის შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია პრესის, ტელევიზიის, ინტერნეტის საშუალებით და ქართული საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია, თუმცა ყველამ როდი იცის, რომ ამ პროექტის ავტორი ჩვენი თანამემამულე, ემიგრანტი ოთარ ზალდასტანიშვილია. 1988 წელს ოთარი ქართველ მკითხველს პირველად რ. კორინთელმა გააცნო „ლიტერატურულ საქართველოში“ (კორინთელი 1988: 12-13), ზალდასტანიშვილების ოჯახი კი – 1993 წელს გურამ შარაძემ წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“ (შარაძე 1993: 146-155). ოთარ ზალდასტანიშვილს ჩვენც მივუძღვენით რამდენიმე სტატია (დაუშვილი 2008: 9; 2011: 42-43; 2012¹; 2012²: 52) და სატელევიზიო სიუჟეტი.

საქართველოში უკეთ იცნობენ ოთარის ძმას, ამერიკელ ბიზნესმენ გივი ზალდასტანიშვილს, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და 2001 წელს ამერიკული აკადემიაც დააარსა.

გივი გახლდათ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საარქივო კომისიის წევრი. ამის გამო გურამ შარაძის ხელმძღვანელობით ლევილიდან და ჰარვარდიდან ჩამოტანილი ემიგრანტული არქივების საპარლამენტო კომისიის წევრებს არაერთხელ მოგვინია გივისთან შეხვედრა. ერთი შეხვედრის დროს მასთან, სხვა ემიგრანტებთან და მაშინ ამერიკაში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტთან, მის ძმისშვილ ლიზი ზალდასტანიშვილთან შეხვედრის დროს პარლამენტში, სადაც ახალჩამოტანილ ემიგრანტულ არქივებზე ვმუშაობდით, საპარლამენტო კომისიის წევრებმა ფოტოც კი გადავიღეთ. 80 წელს მიღწეული გივი 2007 წელს თბილისში გარდაიცვალა.

ოთარის და გივის მამა სოლომონ ზალდასტანიშვილი ეროვნული არმიის პილკოვნიკი, დამოუკიდებლობის კომიტეტისა და სამხედრო ცენტრის წევრი და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. აჯანყების დამარცხებისა და სისხლში ჩახშობის შემდეგ დაიწყო სასტიკი რეპრესიები. სოლომონმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულებთან ერთად საიდუმლოდ დატოვა საქართველო და თურქეთის გზით საფრანგეთში გაიხიზნა. მისი მიუნხენში 1956 წელს გამოცემული წიგნი „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“ (ზალდასტანიშვილი 1959), თვითმხილველის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომია ამ დიდებულ და ტრაგიკულ მოვლენებზე. ეს ნაშრომი 1999 წელს საქართველოშიც გამოიცა (ზალდასტანიშვილი 1999).

1925 წლის დასაწყისში საფრანგეთში სოლომონის ოჯახის წევრები – მეუღლე მარი ხირსელი და შვილები გივი და ოთარიც ჩავიდნენ. როცა საქართველოდან ნაიყვანეს, გივი 5 წლისა იყო, ოთარი – 2-ს. საფრანგეთში 17 წელი იცხოვრეს, მაგრამ ბავშვებმა ქართული ცნობიერება და ენა შეინარჩუნეს იმის წყალობით, რომ ყოველ კვირას დედა ქართულ სადილს ამზადებდა და მათ ოჯახში ქართველები იკრიბებოდნენ. განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდათ ქაქუცა, რომელთანაც მეგობრობა პარიზშიც გაგრძელდა და ბოლოს დანათესავდნენ კიდევ – ოთარის ნათ-

ლია გახდა. ზალდასტანიშვილები სხვა ქართველებთან ერთად აღნიშნავდნენ შობა-ახალ წელს, აღდგომას, ნინოობას, 26 მაისს და სხვა ქართულ დღესასწაულებს. ასე რომ მშობლებმა გივი და ოთარი საფრანგეთში ქართული ტრადიციითაც აღზარდეს და შესანიშნავი ევროპული განათლებაც მისცეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს უამრავ სხვა ემიგრანტთან ერთად სოლომონი ზალდასტანიშვილიც ჩაება ტყვეთა გათავისუფლების კამპანიაში. ქართველ ტყვეთა გამოსახსნელად რუმინეთშიც ჩავიდა და დიდი ბრძოლით მიაღწია 500 ქართველის ბანაკიდან გამოყვანას, მაგრამ დაავადდა და 1941 წლის დეკემბერში ბუქარესტის საავადმყოფოში ტვინის ანთებით გარდაიცვალა.

სოლომონ ზალდასტანიშვილის მეუღლემ და ვაჟმა გივიმ 1947 წელს დატოვეს ომგადახდილი და დანგრეული ევროპა და ამერიკაში გადასახლდნენ, სადაც უკვე ცხოვრობდა ოთარი. საფრანგეთში სკოლადამთავრებულმა გივიმ ჰარვარდის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, მარიმ კი ჟრა-კერვა დაიწყო, რათა შვილებს მატერიალურად დახმარებოდა. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ გივიმ ბიზნესს მიჰყო ხელი. გივიზე სამი წლით უმცროსი ოთარი 1922 წელს დაიბადა თბილისში. ოთარმა პარიზის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ სწავლა გააგრძელა სორბონის უნივერსიტეტში, 1946 წელს კი ამერიკაში, ჰარვარდის უნივერსიტეტში. გატაცებული იყო დიდი ქართველი მეცნიერების – მუსხელიშვილისა და ვეკუას შრომებით და მათ თეორიებზე დაყრდნობით 1952 წელს სახელგანთქმულ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილთან ერთად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აეროდინამიკასა და ნიადაგის მექანიკაში (რომელიც შემდეგ ძალიან გამოადგა ჯუშეირასათვის ზღვაში ხელოვნური ნიადაგის შექმნისას), გახდა აეროდინამიკის კათედრის გამგის მოადგილე და, როგორც პროფესორმა, დაიწყო ლექციების კითხვა აეროდინამიკაში. ჰქონდა უამრავი თეორიული ნაშრომი და პატენტი

(business. highbeam.com › ... › Northeastern United States).

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, 1949 წელს ოთარ ზალდასტანიშვილმა მუშაობა დაიწყო ბოსტონში სამშენებლო კომპანიაში. 1952 წელს გახდა კომპანიის პარტნიორი, 1964-1989 წლებში იყო პრეზიდენტი, 1989-1997 წლებში დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1971 წელს ფირმას სახელი შეეცვალა და დაერქვა „Zaldastani Assotiaits incorporated“. მისი ხელმძღვანელობით 25 ინჟინერი ახორციელებდა სხვადასხვა დიდ სამშენებლო პროექტებს. ზალდასტანიშვილს შესრულებული აქვს პროექტების რეკორდული რაოდენობა – 1000-ზე მეტი ამერიკაში, ევროპაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. მათ შორისაა: ბოსტონის საერთაშორისო აეროპორტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტადიონისა და ბრაუნის უნივერსიტეტის მოიჯანის აუდიტორიის აღდგენის პროექტები, სასახლეები ვაშინგტონსა და ამერიკის სხვა ქალაქებში, მალლივი შენობები საფრანგეთში, ალჟირში, ერაყში, აშშ მემორიალი მეორე ფრონტის გახსნისას ნორმანდიაში დესანტის გადასხმის ადგილას და, ბოლოს, „ჯუმეირას“ გენერალური გეგმა საუდის არაბეთში. ის იყო პიონერი სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკის განვითარებაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ავტოსტრადის ზედა სივრცის გამოყენება. მის სახელს უკავშირდება მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ინოვაციები (www.crunchbase.com › People).

ოთარ ზალდასტანიშვილს საინჟინრო დარგში სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან უამრავი ჯილდო აქვს მიღებული. მათ შორის სამოქალაქო ინჟინერიის ამერიკის საზოგადოებისაგან. ამ ჯილდოს, როგორც წესი, არაამერიკელებს აძლევენ. იყო უილოკის კოლეჯის, ბოსტონის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრისა და ბრუკსის სკოლის კურატორი. დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, აქტიურად მონაწილეობდა ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. 1950-იან წლებში ოთარ და გივი ზალდასტანიშვილები სათვისტომოს თავმჯდომარეები იყვნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ოთარ ზალდასტანიშვილის

თავმჯდომარეობა. 8 წელი იყო ეროვნული ორგანიზაციის, 1958 წელს დაარსებული „საქართველოს ასოციაციის“ პრეზიდენტი, რომლის მიზანიც იყო საქართველოსა და მისი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა. როცა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ზალდასტანიშვილი 1961 წელს მესამედ აირჩიეს ასოციაციის პრეზიდენტად, გაზეთი „ქართული აზრი“, რომელიც ნიუ-იორკში იბეჭდებოდა, წერდა: „საზოგადოების მხრივ ეს იყო უდიდესი მადლობის გამოხატულება თავისი თავმჯდომარის მიმართ. მართლაც, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უდიდესი ცვლილება მოხდა ქართული სათვისტომოს ისტორიაში, მან მოიპოვა შეერთებულ შტატებში არსებულ კორპორაციებისა და საზოგადოებების უფლება და გადაიქცა იმ ოფიციალურ დაწესებულებად, რომლის მიმართაც სახელმწიფო გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს: მას იცავს, მფარველობს და ეხმარება“ („ქართული აზრი“ 1961: 4). სხვათა შორის, ასოციაციის პრეზიდენტი 1966-1974 წლებში გივი იყო. ასეთივე აქტიური გახლდათ ოთარ ზალდასტანიშვილის ქალიშვილი ლიზი, რომელიც 1995-2001 წლებში იყო ასოციაციის პრეზიდენტი.

ოთარი მჭიდროდ თანამშრომლობდა გაერთიანებული საზღვრების ყოფილ თავმჯდომარე ჯონ-მალხაზ შალიკაშვილთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროექტებზე შავ ზღვაზე, სუფსაში, ახალი პორტის გეგმაზე. თავის ძმას გივის თბილისში ამერიკული აკადემიის დაარსებაში, შემდეგ კი აკადემიის საუკეთესო სტუდენტებს ჰარვარდისა და სიმსონის კოლეჯებში სწავლის გაგრძელებაში ეხმარებოდა.

რაც შეეხება ჯუმეირას, „პალმა“ ეწოდება იმიტომ, რომ 2 დაშორებული კუნძული დუბაის სანაპიროსთან 17-ტოტიან პალმის ხეს ქმნის. იგი ნახევარმთვარის ფორმის რიფებით არის გარშემორტყმული, თვითონ არქიპელაგი 200 კუნძულისაგან შედგება. არქიპელაგზე 100 ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, ათასი ვილა, პენტჰაუზი და 5000 კერძო ბინა. „პალმაზე“ უძრავი ქონება ერ-

თიდან შვიდ მილიონამდე მერყეობს და ეს ერთადერთი ადგილია დუბაის მახლობლად, სადაც არამუსლიმს მინის შექმნის უფლება აქვს. მშენებლობა ჯერ ბოლომდე არაა დასრულებული, თუმცა კი მას დღეში 20000 სტუმრის მომსახურება შეუძლია. მინის, ვილების, სახლების ყიდვის პროცესი უკვე დიდი ხნის დაწყებულია. მაგალითად, ბექჰემბმა აპარტამენტებში 12 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. პალმას გვერდით ახალი არქიპელაგი შენდება, რომელიც დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ანალოგიაა და ამის გამო მას „მსოფლიოს“ უწოდებენ.

სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ამ „მერვე საოცრების“ შესახებ არსებულ უამრავ ინფორმაციაში არ არის მითითებული დამპროექტებელის ვინაობა, ემიგრანტობის გამო. შეიძლება იმიტომაც, რომ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ოთარ ზალდასტანიშვილის საქმიანობა. მაგრამ უფრო სამწუხაროა ის, რომ საქართველოში ასეთ დიდ პიროვნებას არ იცნობენ. ამის დასტურია ისიც, რომ მის გარდაცვალებას 2005 წლის 9 აგვისტოს მხოლოდ ერთი ქართული გაზეთი გამოეხმაურა მოკრძალებული ნეკროლოგიით („24 საათი“ 2005: 4). ოთარ ზალდასტანიშვილი 83 წლის გარდაიცვალა. დაკრძალეს 11 აგვისტოს მაუთ ობუზრნის სასაფლაოზე. დაკრძალვას მსოფლიოს უამრავი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დაესწრო. იმ დღეს წესი აუგეს და სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინეს თბილისშიც, ფერისცვალების ტაძარში.

დამოწმებანი

დაუშვილი, რ. „დუბაის სულთანმა მერვე საოცრებად წოდებულ „პალმა ჯუმერიას“ პროექტი მხოლოდ ქართველს ანდო“. თბილისელები, 2008, 21-27 V, №21.

დაუშვილი, რ. *FAMOUS GEORGIANS* ოთარ ზალდასტანიშვილი – „პალმა ჯუმერიას“ პალმის ხელოვნური კუნძულების კომპლექსის ავტორი“. *Prime Time*, 2011, №33, 15 VIII.

დაუშვილი, რ. „ჯუშვირა – მსოფლიოს მერვე საოცრება“. 2012, 8 II, www.kvirispalitra.ge/.../10833-othar-zaldastanishvili-x.

დაუშვილი, რ. 'FAMOUS GEORGIANS სოლომონ ზალდასტანიშვილი'. *Prime Time*, 2012, №33, 27 VIII.

ზალდასტანიშვილი, ს. *საქართველოს 1924 წლის ამბოხება*. მიუნხენი, 1956.

ზალდასტანიშვილი, ს. *საქართველოს 1924 წლის ამბოხება*. თბილისი, 1999

კორინთელი, რ. „ოთარ ზალდასტანიშვილი“. *ლიტერატურული საქართველო*, 1988, 27 V.

„ოთარ ზალდასტანიშვილი“. 24 *საათი*, 2005, №188, 18 VIII.

„ქართულ სათვისტომოში“. *ქართული აზრი*. ნიუ-იორკი, 1961, №42.

შარაძე, გ. „სოლომონ ზალდასტანიშვილი“. გ. შარაძე, *უცხოეთის ცის ქვეშ*. ტ. II. თბილისი, 1993.

business.highbeam.com > ... > Northeastern United States

www.crunchbase.com > People

RUSUDAN DAUSHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Visiting Professor

OTAR ZALDASTANISHVILI – GEORGIAN BUILDER IN THE US

SUMMARY

The article is about American engineer Othar Zaldastanishvili. Othar's father – Solomon Zaldastanishvili used to be a colonel of national army and was one of the leaders of insurrection against Soviet Russia. After defeat of the revolt the Zaldastanishvili family migrated to France. Othar graduated from Higher Technical school of Paris, in the following Sorbon University and in 1946 a Harvard university. In

1952 alongside the famous aircraft designer Alexander Kartvelishvili, maintained a thesis for a doctor's degree in aerodynamics and soil mechanics, became a deputy head of department of Aerodynamics and professor. He was giving lectures in Aerodynamics. He was an author of numerous theoretical works and patents. At the same time in 1949 he started to work in Construction Company in Boston and later became its president. In 1971 company was named as "Zaldastani Assotiaits Incorporated". Firm has accomplished a record number of projects – more than 1000, in the US, Europe, Africa and Middle East. Among them there are: Boston international airport, reconstruction projects of Harvard University's stadium and Braun University's Moihan's lecture hall, palaces in Washington and other cities, skyscrapers in France, Algeria, Iraq, US memorial during the opening of second front in Normandy at the place of landing troops and after all "of the eighth wonder of the world's" "Palma Jumeira's" general plan in Saudi Arabia. He was a pioneer in development of building construction's technique, important construction innovations in the field of engineering are linked to his name and he has received many rewards from various organizations. Among them there was from "American Society of Civil Engineering". As a rule this award is given to Americans. Zaldastanishvili used to be a curator of: Uilok College, Harvard University, Medical centre of Boston University and School of Brooks. He was an active member of New York's Georgian association of fellow-countrymen and in 1950 its three time chairman. He used to be a president during 8 years of "Georgia's Association" that was founded in 1958, whichever's goal was promote Georgia and its cultural heritage. He was in close cooperation with the US's united Headquarter's 13th chairman John-Malkhaz Shalikashvili and other prominent statesmen about projects of Georgia's economic development. Also, Zaldastanishvili was supporting his brother, a businessman Givi Zaldastanishvili in founding American Academy and also helping excellent students to proceed with their studies in Harvard and Simson colleges.

Otar Zaldastanishvili died in 2005, 83 years old. A lot of world's famous scientists and public figures attended his burial on Maut Osborne's cemetery. On the same day Christian ritual and funeral rites were held in his homeland in Tbilisi Transfiguration Cathedral.

გიორგი ღაჭუაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აშშ ანტიტრასტული ხანონმდებლობა და ეკონომიკური პოლიტიკა

ანტიტრასტული (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის არსებობა ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისა და თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ეკონომიკური თავისუფლების იდეა აშშ ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია და, შესაბამისად, მისი შემზღუდავი ნებისმიერი რამ ამერიკული საზოგადოების ცნობიერებისა და ცხოვრების პრინციპებისათვის კატეგორიულად მიუღებელია.

აშშ ანტიტრასტული კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს შერმანისა და კლეიტონის ცნობილ საკანონმდებლო აქტებს, წარმოადგენს კანონთა პაკეტს, მიმართულს ბაზრის წარმატებული ფუნქციონირებისა და კომპანიებსა და საქმიან წრეებს შორის კონკურენციის რეგულირებაზე. ეს არის კანონების, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი ნორმების საკმაოდ რთული და განშტოებული ქსელი, რომელიც აშშ ისტორიის უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში იქმნებოდა. ყველა ამ ღონისძიებას საერთო ფესვები გააჩნია და ისინი მიმართულნი არიან ბაზარზე კომპანიების ქმედებების რეგულირებაზე, მათ შორის დაბალეფექტიანების, მომხმარებლისა თუ მწარმოებლის მიმართ არაკეთილსინდისიერების, უბრალოდ – ფართო საზოგადოებისათვის ზიანის მომტანების შეზღუდვაზე.

აღნიშნული კანონმდებლობა რამდენიმე ძირითად აქტს მოიცავს. კერძოდ:

ჯერ კიდევ 1890 წელს მიღებულ იქნა ე.წ. შერმანის ანტიმონოპოლიური კანონი, რომელიც აშშ ეკონომიკური პოლიტიკის

კის ბირთვს წარმოადგენს. ამ კანონის მიხედვით, კანონგარეშედ ითვლება „ნებისმიერი კონტრაქტი და გაერთიანება ტრესტის ან ნებისმიერი სხვა ფორმით, ასევე საიდუმლო შეთანხმება, რომელიც მიმართულია შტატებს შორის ან უცხოურ სახელმწიფოებთან ვაჭრობის შეზღუდვაზე“.¹

ამ კანონში ასევე აღნიშნულია, რომ ყოველი პირი, რომელიც მონოპოლიზირებას უკეთებს (ან თუნდაც ცდილობს) რამდენიმე შტატს შორის ან უცხოელ სახელმწიფოებთან სავაჭრო ოპერაციებს ან მის ცალკეულ სფეროს, ჩაითვლება კანონდამრღვევად. ამასთან, 1974 წელს შეტანილი ცვლილების თანახმად, აღნიშნული დარღვევა მძიმე დანაშაულად ითვლება (Долан /Линдсей 1992: 383).

ფედერალური ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ამ კანონის შესრულებას აკონტროლებენ, მთელ რიგ შემთხვევებში საკმაო წარმატებას აღწევდნენ ანტიმონოპოლიური პროგრამების რეალიზებაში. თუმცა მე-20 საუკუნის დასაწყისში არაერთი ეჭვი გამოითქვა გატარებული ღონისძიებების ყოვლისმომცველობასთან დაკავშირებით. საქმე იმაშია, რომ შერმანის კანონში არაფერი იყო ნათქვამი შეერთების შედეგად წარმოქმნილ მონოპოლიებზე.

გარდა ამისა, საქმიანობის ბევრი ფორმა, რომლებიც ზღუდავდნენ კონკურენციას თავისუფალ ბაზარზე, ამ კანონში ზოგადად და ორაზროვნად იყო დეფინიცირებული. ამიტომ მალევე, 1914 წელს მიღებულ იქნა ე.წ. კლეიტონის კანონი², რომლის ძირითად პოსტულატებს წარმოადგენდა შემდეგი:

- აიკრძალა დისკრიმინაციის პრაქტიკულად ყველა ფორმა საფასო პოლიტიკაში;
- შეიზღუდა იძულებითი ასორტიმენტის საქონლის რეალიზაცია, გაყიდვა;

1 The Antitrust Laws, Federal Trade Commission, protecting America’s consumers, available at: <https://www.ftc.gov/tips-advice/competition-guidance/guide-antitrust-laws/antitrust-laws>

2 ხელმისაწვდომია: <http://www.britannica.com/event/Clayton-Antitrust-Act>

- აიკრძალა კონკურენტების აქციის შექმნით კომპანიების შერწყმა, თუკი ასეთი ქმედებები ამცირებდნენ კონკურენციას;

- აიკრძალა თანამდებობების შეთავსება სხვადასხვა კომპანიების და გაერთიანებების დირექტორთა საბჭოებში და ა.შ.

პარალელურად, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მოახდინა „ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ“ კანონის³ რატიფიცირება, რომელიც ერთგვარად ავსებდა კლეიტონის კანონს. აღნიშნული აქტის საფუძველზე, ვაჭრობის ფედერალურ კომისიას მიენიჭა უფლება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განესაზღვრა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. გარდა ამისა, იგი თვალყურს ადევნებდა სარეკლამო საქმიანობას, იცავდა რა მომხმარებლებს ამ სფეროში ტყუილისა და არასწორი ინფორმაციისაგან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ვაჭრობის ფედერალური კომისიის მნიშვნელობა მდგომარეობდა არა იმდენად ბიზნესის წარმოების არაკანონიერი საშუალებებისა და მეთოდების ვრცელ აღწერასა და განმარტებაში, არამედ მონოპოლიური სტრუქტურების ზეგავლენისაგან თავისუფალი დამოუკიდებელი ინსტიტუციის შექმნაში, რომელსაც უფლება ჰქონდა სასამართლო საქმისწარმოება წამოეწყო.

კლეიტონის კანონი საკმაოდ კარგად შექმნილი დოკუმენტი აღმოჩნდა და მასში შეტანილ იქნა მხოლოდ ორი შესწორება. ესენია:

1. რობინსონ-პატმანის კანონი – 1936 წელს;
2. სელლერის კანონი – 1950 წელს.

პირველმა მათგანმა გაამკაცრა საფასო პოლიტიკის სფეროში არსებული დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ნორმები, ხოლო მეორემ კიდევ უფრო ხისტად მოახდინა კომპანიათა შერწყმის პრაქტიკის რეგლამენტირება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი ანტიმონოპო-

3 ხელმისაწვდომია: <https://www.ftc.gov/enforcement/statutes/federal-trade-commission-act>

ლიური კანონმდებლობა უფლებას აძლევს ფედერალურ ხელისუფლებას სასამართლო საქმისწარმოება აღძრას კომპანიებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამასთან, დასჯის ფორმათა შესაძლო სპექტრი საკმაოდ ვრცელია და იგი მერყეობს ფულადი ჯარიმიდან თავისუფლების აღკვეთამდე. აქვე დავძენთ, რომ ამ უკანასკნელმა, 1974 წლის ცვლილების შემდეგ, საკმაოდ გავრცელებული ხასიათი შეიძინა.

დამნაშავე ფირმების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლო აკრძალვა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში — სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის დეცენტრალიზაციის, რამდენიმე მცირე სანარმოოდ დაყოფის შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ “American Telephone and Telegraph”-ის მაგალითი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ მას შერმანის კანონის დარღვევის შედეგად მიაღდა ზარალი, უფლება აქვს აღძრას საქმე და მისი გამართლების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია. მსგავსი ტიპის საქმეების განხილვა და შესაბამისი საქმისწარმოება ამერიკული სასამართლო პრაქტიკის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, განსაკუთრებით უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

არსებობს მოსაზრება, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა აუცილებელია მხოლოდ დიდი ქვეყნებისათვის და ეკონომიკის მცირე მასშტაბების მქონე სახელმწიფოებისათვის ეს აუცილებელი არ არის. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოში რამდენიმე წლის წინ ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოსაზრებას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება, თუმცა ამ მიმართულებით მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობა მაინც აუცილებლად მიგვაჩნია. აქვე დავძენთ, რომ მარეგულირებელი ფუნქციით ხელისუფლების ორგანოების აღჭურვა არ უნდა გადაიზარდოს მათი მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნაში, რისი განეიტ-

რალების ნაცად საშუალებად გვესახება საზოგადოებრივი მონიტორინგის არსებობა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

საბოლოოდ დავძენთ, რომ ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკა ეფუძნება თავისუფალ მენარმეობას, საკუთრების უფლებას, თავისუფლებას გადანყვეტილების მიღებასა და არჩევანის გაკეთებაში, მაშინ როდესაც ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა თუ ბიზნეს-საქმიანობის სფეროებში მონოპოლიური წარმონაქმნების გაჩენა იწვევს არსებული რესურსების არაეფექტიან განაწილებასა და ფასების მატებას, რაც განსაკუთრებით დამანგრეველია მცირე, რესურსულად მწირი ქვეყნების ეკონომიკებისათვის.

სწორედ ამიტომ წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნქციას კონკურენციის, როგორც საკვანძო ეკონომიკური მექანიზმის, შენარჩუნება და ეკონომიკის მონოპოლიზირების წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც განვლილი ისტორიული პერიოდი გვიჩვენებს, ეკონომიკის მართვაში ლიბერალური მიდგომების პრევალირების მიუხედავად, განვითარების ვერც ერთ პერიოდში ვერ მოხდა სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებლის, როლის სრული იგნორირება. უბრალოდ, საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ როგორი მეთოდებით ხორციელდება აღნიშნული რეგულირება და რომელ სფეროებს ეხება იგი.

დამოწმებანი

The Antitrust Laws, Federal Trade Commission, protecting America's consumers, available at: <https://www.ftc.gov/tips-advice/competition-guidance/guide-antitrust-laws/antitrust-laws>

Sherman Anti-Trust Act (1890), available at: <http://www.ourdocuments.gov/doc.php?flash=true&doc=51>

Antitrust Division Manual, Fifth Edition (Last Updated April 2015), Chapter II: Statutory Provisions and Guidelines of the Antitrust Division, available at: <http://www.justice.gov/atr/file/761131/download>

Долан, Эдвин Дж.; Линдсей, Дейвид Е. *Рынок: микроэкономическая модель*. Санкт-Петербург, 1992.

GEORGE GAVTADZE

Akaki Tsereteli State University, Professor

USA ANTITRUST LAW AND ECONOMIC POLITICS

SUMMARY

Existence of antitrust law is very crucial for proper functioning of a country's economy and for promotion to maintain market fair competition. The United States antitrust law is a collection of laws including well known Sherman and Clayton Antitrust Acts which aim is to regulate the conduct and organization of market and to promote fair competition. Healthy economy is based on free entrepreneurship, right of property, free decision making and choice. The emergence of monopolistic growth in different fields or business activity causes ineffective distribution of existing resources and rise in prices, that is especially destructive for small economies. That is why one of the main functions of a state is to maintain competition and to fight against monopolization.

TINATIN GVENETADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD Student

THE COMPARATIVE ANALYSIS OF JUVENILE DIVERSION AND MEDIATION PROGRAMS IN GEORGIA, US AND EUROPE

The issue of underage criminals is a very sensitive topic for every country worldwide. The main subjects of the topic – juveniles are the young people who have not yet reached the legal age and thus cannot be held fully responsible for their actions. The general topic of the Juvenile Legal Law is very sensitive in its core since the subjects of the law are children. There regulations that are in the place in most of the developed countries are designed to protect those subjected to the justice and make sure that their actions and even crimes committed at this age will not affect negatively their future. Most of the Juvenile Justice systems (such as in EU states) are created to make sure that those who are convicted will be fully re-socialized with the society afterwards.

Because of the abovementioned sensitivity of the phenomenon it is one of the most difficult problems to handle on every concerned government's part. The subject of underage criminals has not been properly looked after in Georgia for decades. Since the breakup of the Soviet Union the topic has been neglected and the system has not been reformed for over a decade since Georgia gained independence. The System of justice has remained the same as during the soviet period (more or less) for the prolonged period of President Shevardnadze's rule. Even though the system of alternate punishments and restorative justice has been practiced in Europe and United States since yearly 1970-es these types of progressive changes have not been made in Georgia's Criminal

Justice System. Youth convicted of crime were sent to the same freedom restriction facilities as adults. The penitential units in Georgia were not specialized to receive juveniles and thus internationally recognized standards of juvenile justice were violated. One of the most crucial ideas of having child rehabilitated and re-socialized in the society after the punishment was never fulfilled since the prisons did not have necessary tools or conditions to promote such development. Also the criminal empowerment and the disastrous conditions in Georgian prison did not help the matter. Juveniles accused of minor offences could have been detained for 72 hours and then sent to the regular criminal court, after which they would be sent to a regular prison since there was no juvenile facility for children aged 14-17 in the capital. Even the small amount of time spent in such a facility effected very negatively mental and social development of the underage and the end result was opposite of desired rehabilitation and resocialization, not to mention having criminal record, which reduced the chances of finding an employment. Only after the Rose Revolution in 2003 the newly elected government started the series of reforms in the abovementioned system and by the year 2006 issue of underage criminals was finally part of the agenda (Juvenile Justice...2010).

The penitential system in Georgia was in a disastrous condition long before Georgia's independence. The best part of the Diversion and Mediation Program is the maximum exclusion of the penitential system involvement in the cases of Juveniles. The new program that was offered substantially differed from the existing order. There was no program as such until 2010 and all the juvenile cases were dealt with regular courts. The changes offered the whole new perspective of restorative justice to those suspected of criminal activity. This particular reform shows the positive transformation of Georgia towards western democratic values and its willingness to comply at its best to the European standards.

Most of the reforms made in Georgia since independence describes the transformation process. Becoming a democratic State after the 70

years of Communist rule is a tough goal. I believe that evaluation of this specific Juvenile Diversion and Mediation program and just the overall discussion of the Juvenile Justice demonstrates the transformation process of this particular system and the changes that it has undergone from the Soviet legacy to the new democratic and liberal approaches, that are set according to internationally recognized practices and illustrates a transformation process from the old ways toward the new.

Since the independence in 1991 Georgia has taken few steps to improve the conditions of juvenile Justice System and bring it closer to the EU standards. For instance “Georgia acceded to the Convention on the Rights of Child (CRC) in 1994” a year before adopting the constitution in 1995. Georgia became a member of the Council of Europe in 1999 and a Party to the European Convention on Human Rights in 2000 (O’Donnell 2010: 4).

Country kept the soviet legacy in terms of Juvenile Justice System and the changes have not been made with the gaining of independence. Most of the components of the system did not correspond with the internationally recognized standards.

“At independence, Georgia had only a few components of a juvenile justice system. There were neither juvenile courts, nor juvenile judges. Persons aged 14–15 years accused of a serious crime and those aged 16–17 years accused of any crime were tried by ordinary criminal courts, under special provisions of the Criminal Code and the Code of Criminal Procedure. There was one special correctional facility for convicted offenders aged 14–17 years, in the capital. Adolescent boys charged with an offence were detained in special sections of facilities for the detention of accused adults; adolescent girls were detained in the women’s detention centre (prison No. 5).

Children under age 14 involved in criminal activities could be sent to a school for children with antisocial behavior by the Commission on Minors, an administrative body composed of representatives of the local government, police and others. As in other countries of the for-

mer USSR, the Ministry of Internal Affairs had a unit called ‘Minors’ Inspectorate’ that supervised children involved in antisocial behavior, including underage offenders, adolescents considered at risk of offending and those released after serving sentences” (O’Donnell 2010: 4).

As indicated above the transformation process that the country was undergoing after the gaining of independence mostly bypassed the Juvenile Justice system. Even though the necessity of the changes and the need for the reform of the Legal system in general was quite obvious to the newly elected government after the revolution. Some changes were made but the problem was prioritized only later when the President Saakashvili’s initiated “zero tolerance” policy has highly effected the numbers of convicted and the problem of juveniles was pushed up on the scale (Juvenile Justice...2010).

When president Saakashvili took over the country in 2004 with more than 96% of the vote on the elections, he initiated the new attitude towards the fight with crime and corruption, which won him the support and trust from his international counterparts and improved Georgia’s relations and its image in the eyes of the outside world. At the time the changes in the governmental institutions, within the government itself, reforms and new policies were viewed as the new beginning for the country and road that would lead to the better future. Even though president Saakashvili’s reforms are considered to be of mixed success today, at the time the effect of some the reforms conducted were immediate. The rate of corruption in the country was drastically reduced and the World Bank named Georgia number one economic reformer in the world.

The success of the changes gave the new government the encouragement to keep the chosen path and considering Georgia’s history of criminal activity and its high number of criminal authorities in all of the post soviet space, president Saakashvili announced the new policy of “zero tolerance” towards the crime in 2005. At the time, most probably the questions of underage criminals was not part of the agenda and if I

may I would speculate that the government did not expect or anticipate the effect this particular policy would have in the increase of the number of accused and convicted juveniles. For I would like to believe that had they expected the high increase of numbers they would be prepared to deal with them according the international standards, which was not the case.

“In 2005, 475 juveniles were convicted, and 104 were given custodial sentences; in 2006, 1,002 were convicted, and 340 given custodial sentences (i.e., 123 per cent increase in convictions and 325 per cent increase in custodial sentences). Since then, the number of convictions has grown slightly, from a low 68 per cent in 2006 to a high 74 per cent in 2008. Most convictions are of juveniles aged 16–17 years, and most for property offences (62 per cent in 2007; 72 per cent in 2005)” (O’Donnell 2010: 14).

Couple of years later the “zero tolerance” policy shifted its focus towards other areas like terrorism and became of less relevance in the regards of juveniles, though we should mention that some “observers agree that the growing number of convictions in 2006 reflects a real Crime wave and cannot be attributed entirely to stricter law enforcement.” (O’Donnell 2010: 5).

As already mentioned In 2005 The Criminal Justice Reform Strategy was prepared, which was universal for entire criminal justice system and was adopted in 2006.

“While many elements of the Strategy (e.g., reinforcing the rights of the defense to discovery) are beneficial for both juveniles and adults, some elements that may be appropriate for adults (allowing the police to detain suspects for 48 hours without a court order) are not compatible with the rights of juveniles. The proposed introduction of trial by jury for persons accused of serious offences is another example of a reform that is inappropriate for the trial of juveniles.

The section of the Strategy on crime prevention makes no special reference to juveniles” (O’Donnell 2010: 8).

“Other important amendments to the Code of Criminal Procedure were made in 2006 and 2007.

One eliminated the detention before trial of juveniles accused of minor offences; another made the presence of a defense council mandatory as from the initial interrogation of a juvenile as well as during trial; and a third required judges, prosecutors and interrogators who participate in proceedings regarding juveniles to have special training” (O’Donnell 2010: 9).

All of the mentioned above must be viewed as pieces of the puzzle since no specific strategy was adopted for juvenile justice until 2009. The adoption of juvenile justice action plan was one of the objectives of 2007-2009 juvenile justice projects but taking any real steps for the changes was not made. The political situation once again became unstable in 2008 and the juvenile justice reform has lost its relevance until later time which was finally adopted in May 2009.

UNICEF in their Assessment of Juvenile Justice Reform in Georgia indicates: “The Strategy is comprehensive, addressing the need for prevention, diversion, reduction of pretrial detention, more ‘child-friendly’ hearings, greater use of alternative sentences, including community service and restorative justice, improved conditions in detention and correctional facilities, reform of the early release system, programs to assist offenders continue their education or find employment and the further training of juvenile justice professionals. The Strategy responds positively too many of the recommendations of the Committee on the Rights of the Child as well as to recommendations made by the situation analysis and the present assessment. It is based on a frank assessment of recent data on offending and sentencing, while also recognizing the need to collect data on additional indicators and to improve the reliability of data” (O’Donnell 2010: 9).

Juvenile Diversion and Mediation Program started on November 15, 2010. It was initiated by the Ministry of Justice of Georgia in partnership with the Ministry of Corrections and Legal Assistance. The initia-

tive is part of the National Strategy and Action Plan on Juvenile Justice (2009-2013). UNICEF acts as the co-chair alongside the Ministry of Justice on the inter-agency Juvenile Justice Working Group (Diversion and Mediation Program. (n.d.). para.1).

Juvenile Diversion and Mediation Program is a new mechanism for exemption from criminal responsibility. The program's main objective is to give a chance to a minor, and to promote the establishment of a law-abiding citizen. This is an important step in the introduction of crime liberalization, no criminal record, reduction of the number of convicts and prisoners, as well as the prosecutor and the court of the resources.

According to the program, juveniles who commit minor crimes for the first time may be diverted away from the judicial system and become the participants of the Mediation Program (Diversion and Mediation Program (n.d.). para.4).

What is mediation? "Mediation is used to settle disputes. When two parties are unable to settle a dispute, they will often use mediation in order to reach an agreement" (Mediation .(n.d.). Michigan Mediation, para. 1).

A victim - offender mediation (VOM) is a process which provides victims of primarily property crimes and minor assaults, the opportunity to meet their offenders. The meetings are usually arranged in a safe setting and have a structure and protocol (Restorative Justice Through Dialogue. (n.d.), para.3). The goal of arranging such meeting is to hold offenders directly accountable while providing support and assistance to victims. With the actual involvement of trained mediators, the victims give the offenders an insight about how the crime affected them; receive answers to their questions like: why them? What was the push factor? etc. and be directly involved in developing a plan where the offender is financially held accountable for the damage they caused. The offenders are directly responsible for their behavior and therefore must learn the full impact of what they did and create a plan for making

amends, to those they have violated (Restorative Justice Through Dialogue. (n.d.), para.4).

“Victim - offender mediation is one of the clearest expressions of restorative justice, a movement that has receiving a great deal of attention throughout North America and Europe. Current juvenile and criminal justice systems are primarily offender-driven, with a retributive “trail ‘em, nail ‘em, and jail ‘em” perspective that views crime as an offense against the State and offers little help to crime victims” (Restorative Justice Through Dialogue. (n.d.), para.4).

“The use of dialogue and negotiation among victims, victimized communities, and offenders is emphasized. In truth, the essence of what is being called restorative justice is deeply rooted in the traditional practices of many indigenous people throughout the world, such as American Indians, Pacific Islanders, the Maori in New Zealand, and First Nation people in Canada” (Restorative Justice Through Dialogue. (n.d.), para.5).

Keeping youth from being processed through Juvenile Justice System in case of a delinquency has become a top priority for many states. Mainly the aim is to protect the youth from having a stigma of being “processed” through Justice System and the legal courts of the country. For many of the states the new ways of handling Juvenile delinquency is the most common practice at this point and entering the Juvenile Justice System is considered to be the last resort when no other viable option is left. Diversion programs vary in their character and structure across the world. Some of them have common feature but still each system is unique to the environment it operates within. Also they characterize in cost savings, since it excludes the participation of Juvenile Justice Court Judges, public defender, institution and etc. Such alternative approach to crime punishment is most popular in European, mostly West European and North American States, also in Australia and New Zealand. Even Though United States has the practice of Diversion Program for Juveniles the extent of such programs is much less than in any of the

European states since these “countries are less punitive toward Juvenile offenders than the United States” (Siegel & Welsh 2009: 592). The practice and technical details are diverse in each country, though they all do have common similarities.

After the sharp rise of the vandalism in Netherlands and the costs that accompanied such actions the government decided to implement a pre-court Diversion Program that was called “Het Alternatief” (The Alternative), (Siegel & Welsh 2009: 592). It started as a pilot project in Rotterdam in early 1970-es and quickly spread through the whole territory of the country. “Het Alternatief” is now a national program and operates in 65 locations across the Netherlands. Its applicable for youth aged 12 to 18 who are caught for the first and unlike Georgian program, second time on act of vandalism and offence. They are offered to avoid all the formal prosecution proceedings by participating in program. If the candidate agrees they are provided assistance by specially trained councilors who aid them in finding employment, housing or help out with educational issues when they agree to repair the damage they have caused. If the program is successfully completed, all the charges are dropped, but if it is not then the special report is written and sent back to the prosecutor. Evaluation of the program shows that it’s effective in reducing the future act of vandalism and offence by 63 % (Siegel & Welsh 2009: 592).

Ministry of Justice of France together with community associations have created the “Maisons de Justice” (Siegel & Welsh 2009: 592)., which is one of the most well-known pretrial diversion programs for the Juvenile offenders in France. They offer alternative justice approaches to minor offenders and juveniles with other legal problems across the country. One of the approaches offered to the offenders is mediation, where the trained staff members work with the offender, victim and sometimes the family members of the offender. The end result usually is the apology and compensation given to the victim without any legal justice proceedings. Though there has never been an evaluation of the

program or the community justice centers they are widely credited and settle disputes much faster than through the justice proceedings.

Even though United States Justice System is quite strict to crime and offenders in general, there are some mediation programs that may be operated by different organizations and take active participation in Mediation programs including the government financed initiatives like:

Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention (OJJDP). “Through comprehensive and coordinated efforts at the federal, state, and local levels, OJP’s Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention (OJJDP) contributes to the reduction of youth crime and violence.

OJJDP continues to strengthen the nation’s juvenile justice system, and supports prevention and early intervention programs that are making a difference for young people and their communities. Other OJP components, including the Bureau of Justice Assistance, the National Institute of Justice, and the Office for Victims of Crime, also provide programming and research support for outreach to juveniles and their families” (U.S Department...).

Yet another initiative is a joint effort of the Dayton Mediation Center and The Montgomery County Juvenile Court. This program engages youth in a conversation about issues or problems they face that have lead them to be involved with the Court system. The program empowers youth to communicate with the complainant to address their own conflicts and to provide an alternative to the Court process. First time offenders are often given this opportunity. The Center believes that when youth are engaged in their own conversations they often become more responsive towards avoiding conflict in the future. Good Shepherd Mediation Program in Philadelphia The Juvenile Offenders Diversion Programs (JODP) and Youth Delinquency and Violence Prevention (YDVP) workshops are restorative justice-based initiatives designed to reduce and prevent delinquent behavior among youths. These programs offer at-risk and delinquent juveniles the opportunity to learn

constructive ways to manage conflict, control their anger, and make better decisions in their lives. Recidivism statistics show that juveniles who go through the juvenile offender adjudication process have a 44.4% chance of being rearrested within three years while youths who attend a juvenile offender diversion workshop have less than a 24% chance of recidivating within the same amount of time.

Queens Adolescent Diversion Program (QADP) has two main panels:

- **Site-Based Program** This program utilizes a Team Mentoring Model to unite youth and mentor groups in sets of 15 specialized workshops held in a supervised, structured, multicultural setting. Workshops address issues such as anger management, cultural respect, effective communication and conflict-resolution, and strategies for achieving academic and vocational success. Youth also receive homework assistance and individual counseling. In addition, they are encouraged to develop and organize community projects. These projects service both the community at large while providing opportunities for the youth to develop improved senses of self-worth and leadership potential.

- **Community-Based Program** Mentor / Mentee pairs meet for approximately 6-8 hours weekly in the youth's home and/or community. Mentors offer individualized attention and engage youth in activities that foster self-awareness, positive socialization and academic achievement. Mentors also help their mentees address school, family and personal challenges, meet with parents, visit the youth's school to assess academic status and help the youths set goals related to education, family life, and socialization (Community Mediation...2009).

These examples of such experience described above give us opportunity to compare the local program operation in Georgia to those that are probated in some other states, who have been using the alternative dispute resolution options for almost 40 years now.

“In Georgia, the prosecutor has the discretionary authority upon the possibility of criminal liability to diverse juvenile who has committed

a minor offense for the first time, if he admits to commit a crime and is willing to pay damages and apologize to the victim. After making a decision on diversion, the prosecutor contacts with the social worker and transfers it to the juvenile court. Social worker develops a minor bio-psycho-social portrait, which is determined on the basis of which promise to have a positive impact on juvenile and contribute to its improvement. Then, under the mediation, which includes elements of restorative justice, the parties agree on the terms of the contract, including minor responsibilities and obligation. The agreement was signed by the juvenile, his parents, prosecutors, social workers and injured.

According to the terms of the agreement, the juvenile will be given to the provision of services and the realignment of responsibilities to the victim or society” (Diversion and Mediation Program. (n.d.). para.5).

At this point the Diversion and Mediation Program operates on full extent and on the whole territory of Georgia. Since 2010 up until now, there have been more than 250 diversified Juveniles (Diversion and Mediation Program. (n.d.). para.10).

One of the most important tasks is to correctly evaluate the results of the program and to identify whether it’s a success or failure. As we have mentioned above most of the states use statistical data for evaluation the effectiveness of the program. The success demonstrated by the international standards, according to which the program is considered successful in case the repeated offense is less than 20% (Juvenile Diversion and Mediation Program Results. (n.d.)., para. 3). But most of these programs have the timeframe of five years after the completion of the program by the juvenile, before they consider the program to be successfully completed. Since the program started in November 2010 it is still very early to have an objective evaluation of it, basically it has been operating a little over three years and we are still two years short of data for judgment. If we aim to evaluate the Juvenile Diversion and Mediation Program objectively then we have to take into consideration all of the factors that may influence the results. Many of the program

participants that have already successfully completed the program and fulfilled the requirements indicated in their contracts have not yet reached the full legal age – 18, though some of the participants have, which makes them adults and thus in case of a recurrence they will not be considered to be Juvenile offenders and will not be included in the data of Juvenile Criminal Activity. So at this point in the process it would be best to evaluate the success of the program by identifying the repetition or lack of the crime before the diverted reach full legal age.

Though not everyone is satisfied with the program as it is and express harsh critic about the changing the nature of prosecutions mentioned Tamaz Akhobadze Former Project Manager at Center for Crime Prevention and Innovative Programs. “When the prosecutor makes a decision to stop the criminal prosecution, during Mediation the offender signs a civil contract, but in case of violation the civil contract the criminal prosecution will be renewed, which according to many is unacceptable, but we believe that the main ideology of “No Harm” is kept and the system works right” (Tamaz Akhobadze. Interview with expert). He also mentioned that since many of the prosecutors were not very optimistic about the project the system of stimulation and encouragement was created. Since its prosecutors decision to divert the offender, those who were willing to try the new system and gave it a chance, were sent to retraining abroad to learn more about the practice and its benefits. “Many of the prosecutors wanted to be in the room during the victim offender meetings, to say the last words, to deliver the morale, to make sure that the process was genuine, so we allowed them if they want to they may be present” (Tamaz Akhobadze. Interview with expert).

Georgian American University professor and former Judge Nino Gvenetadze criticized the program for including only minor offence and leaving out the drug use, since it’s one of the most problematic issues of the Georgian youth at the moment. Even though some of the criticism was acknowledged and gross offence participants (non-violent) may also be diversified, Gvenetadze thinks that it is not enough and the

system still needs to evolve. (Nino Gvenetadze. Interview with expert). Teona Kuchava – UNICEF’s Specialist of Juvenile Justice also agrees with the idea and noted that the program requires changing and addressing other needs like education, household behavior and etc. “Just like the “Broken Window” policy in US we need to aim for the causes not the results.” So in the evaluation process not just the repetition of the crime should be evaluated but other components as well like: academic advance before and after mediation, relationship quality with family members before and after mediation, communications with others of same age and etc. (Teona Kuchava. Interview with expert). As for the data and figures on November 19th in Radisson Blue Iveria an International conference was held devoted to the 3 year Juvenile Diversion and Mediation Program. Ministry of Justice provided the statistics of 95% success of the program. From 463 diverse Juveniles only 24 (5%) have committed repeated offences (Juvenile Diversion and Mediation Program Results. (n.d.), para. 3). The success of the program in Georgia is demonstrated by the international standards as well, according to which the program is considered successful in case the repeated offense is less than 20%” (Juvenile Diversion and Mediation Program Results. (n.d.), para. 3).

In conclusion we would like to state that Juvenile Justice Mediation program for underage criminals implemented in Georgia since 2010 was successful in terms of repeated crime prevention and maintaining the strong damage control. All of the interview experts consider the program to be one of the most successful reforms executed in Georgia and argue that even though some of the opinions may vary the end result of the program is just undeniable. Juveniles are diverted from criminal justice prosecution, avoid all the legal procedures that are usually in place, victim and the offender meet face to face and have a chance to actually converse with each other, forgive and be forgiven and child receives a second chance to do things right.

As for the preserving the prospects of intellectual and carrier deve-

336

lopments of those, who were recruited under the program, it's been only three years and some of the participants have not even completed the program yet. We agree with the opinion expressed above that the crime prevention can most effectively be reached through fighting the causes of deviational behavior, educational level and strengthening of family bonds are the key components, thus the program should evolve and include more thorough emotional and physiological control. Since such practice, which mostly is the responsibility of educational institution, is almost non-existent or ineffective in Georgia the offenders would greatly benefit from it.

References

Diversion and Mediation Program. (n.d.). Website of Main Procuracy. Retrieved February 23, 2014, from http://pog.gov.ge/eng/projects/current?info_id=86.

Guidelines for Victim-Sensitive Victim-Offender Mediation: Restorative Justice Through Dialogue. (n.d.). Guidelines for Victim-Sensitive Victim-Offender Mediation: Restorative Justice Through Dialogue. Retrieved February 23, 2014, from https://www.ncjrs.gov/ovc_archives/reports/96517-gdlines_victims-sens/guide4.html.

Juvenile Diversion and Mediation Program Results Were Summarized at International Conference. (n.d.). Website of Main Procuracy. Retrieved February 23, 2014, from http://pog.gov.ge/eng/news?info_id=214.

Juvenile Justice Report. (2010). (n.d.). UNICEF Georgia.

Mediation. (n.d.). Michigan Mediation. Retrieved February 23, 2014, from: <http://www.gvsu.edu/arbitration/michigan-mediation%208.htm?gclid=CJiOpYbj3LwCFQjjwgodZmsABQ>.

O'Donnell, D. (n.d.). Assessment of Juvenile Justice Reform Achievements in Georgia. <http://www.unicef.org/georgia/>. Retrieved February 23, 2014, from http://www.unicef.org/ceecis/UNICEF_JJGeo.

Siegel, L. J., & Welsh, B. (2009). *Juvenile delinquency: theory, practice, and law* (10th ed.). Belmont, CA: Wadsworth/ Cengage Learning

UN Committee on the Rights of the Child (CRC), CRC General Comment No. 10 (2007):

Children's Rights in Juvenile Justice, 25 April 2007, CRC/C/GC/10, Retrieved February 23, 2014, from: <http://www.refworld.org/docid/4670fca12.html>

U.S Department of Justice Office of Justice Programs. Juvenile Justice, retrieved February 23, 2014, from: <http://ojp.gov/programs/juvjustice.htm>

Community Mediation Services. (2009) Youth Development Services February 23, 2014, from: <http://mediatenyc.org/programs/youth-development-programs/>

Gvenetadze N, Chairperson of Supreme Court of Georgia. Interview with expert. Interview conducted by Tinatin Gvenetadze. 2013, September.

Kutchava T, Specialist of Juvenile Justice, UNICEF. Interview with expert. Interview conducted by Tinatin Gvenetadze. 2013, January.

Akhobadze T, Former Project Manager at Center for Crime Prevention and Innovative Programs. Interview with expert. Interview conducted by Tinatin Gvenetadze. 2013, September.

თინათინ გვენეტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

**არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის
პროგრამების შედარებითი ანალიზი საქართველოში,
აშშ-სა და ევროპაში**

არასრულწლოვანი კრიმინალები და ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები ნებისმიერი ქვეყნისათვის ძალიან სენსიტიური საკითხია. განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი რეგულაციები შექმნილია სამართლებრივ სისტემაში მოხვედრილი არასრულწლოვნების დასაცავად. მსოფლიო არასრულწლოვანთა სამართლებრივი სისტემების დიდი ნაწილი (როგორც ევროკავშირის ქვეყნებში) ისეა შექმნილი, რათა მსჯავრდებულთა საზოგადოებაში სრული რესოციალიზაცია იყოს შესაძლებელი სასჯელის მოხდის შემდეგ.

აღდგენითი სამართალი დანაშაულის აღქმისა და ვიქტიმიზაციის ალტერნატიულ სტრუქტურას გთავაზობს (Restorative Justice Through Dialogue. (n.d.), para.5). კრიმინალის დასჯის ალტერნატიული მეთოდები განსაკუთრებით პოპულარულია დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა აღდგენითი სამართლის მიერ არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ახალი მექანიზმია. აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია არასრულწლოვანს მისცეს შანსი და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების

პრაქტიკაში არსებობს განრიდებისა და მედიაციის პროგრამები არასრულწლოვნებისათვის, ასეთი პროგრამების მასშტაბი გაცილებით უფრო ნაკლებია ვიდრე ევროპის ქვეყნებში, ვინაიდან ევროპულ „ქვეყნებში არასრულწლოვანთა კრიმინალი ნაკლებად დასჯადია ვიდრე შეერთებულ შტატებში“ (Siegel, L. J., & Welsh, B., 2009: 592).

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, არასრულწლოვანთა სამართლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში (2009-2013). (Diversion and Mediation Program. (n.d.). para.1). ვინაიდან პროგრამის ქართული ვერსია საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება, განვიხილავთ განრიდებისა და მედიაციის არსებულ პრაქტიკებს შეერთებულ შტატებში და ვეცდებით მოვახდინოთ მისი ქართულ მოდელთან შედარება.

ჰასილ ჯაჰარაჰა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

რ. რეიგანის 1984 წლის საპრეზიდენტო კამპანიის ზოგიერთი გზავნილი

სანამ 1984 წლის არჩევნებზე დავიწყებდეთ საუბარს, ალბათ უპრიანი იქნება რეიგანის 1980 წლის საარჩევნო პლატფორმაც გავიხსენოთ. ვინაიდან ამომრჩეველი სწორედაც რომ წინა დაპირებების შესრულების მიხედვით აფასებს პრეზიდენტის მცდელობას, მეორე ვადითაც დარჩეს თეთრ სახლში.

1980 წლის წინასაარჩევნო პოლიტიკურ პლატფორმაში კი რესპუბლიკელები ტრადიციულად დეცენტრალიზაციის, დაბალი გადასახადების და ფედერალური ადმინისტრაციის შემცირების მომხრენი იყვნენ. გარდა ამისა, მოითხოვდნენ უზარმაზარი ფედერალური პროგრამების შეკვეცას, სადაც, მათი აზრით, უამრავი ზედმეტი თანხა იხარჯებოდა. მით უმეტეს, რომ, როგორც ისინი თვლიდნენ, დემოკრატთა წყალობით ქვეყანა აგონიისკენ მიემართებოდა და თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდს განიცდიდა, რაც, სხვასთან ერთად, ინფლაციის უმაღლესი დონითა და 8 მილიონი უმუშევრითაც იყო განპირობებული. რესპუბლიკელთა აზრით, დემოკრატებმა საერთაშორისო ასპარეზზეც თითქმის ყველგან დათმეს პოზიციები და მსოფლიოში კომუნიზმის აღზევებას ვერაფერი დაუპირისპირეს (Republican Party ... 1980).

კარტერის ადმინისტრაციის წარუმატებლობამ უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადანყვების საქმეში მნიშვნელოვანწილად შეარყია ამერიკელთა რწმენა რეზველტისეული „ახალი კურსის“ – მემკვიდრეობაზე დაფუძ-

ნებულ ეტატიზმის ეფექტიანობაზე, და როდესაც რეიგანმა მათ საკმაოდ მყიფე, მაგრამ გარეგნულად ეფექტური, ტრადიციულ ამერიკულ ფასეულობებთან შეზავებული კონსერვატიული რევოლუციის მოდელი შესთავაზა, მათ მიიღეს ეს გამოწვევა და რეიგანის დაპირებებს მისცეს ხმა.

რეიგანს მართლაც მძიმე მემკვიდრეობა დახვდა და მისდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან მნიშვნელოვანწილად შეასრულა კიდევ დანაპირები და საკმაოდ პირნათელი წარსდგა თავის თანამემამულეების წინაშე 1984 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მაგრამ ეს არ იყო ადვილი გზა. პირველი ვადა ძალზე მძიმე და პრინციპული გადაწყვეტილებების პერიოდი იყო.

თავის გამოსვლაში კონგრესის წინაშე 1981 წლის 28 აპრილს რეიგანმა განაცხადა, ჩვენი მთავრობა ძალზე დიდია და იგი ძალზე ბევრს ხარჯავსო. „მთავრობის ხარჯები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე თვით ეკონომიკა. უზარმაზარი ეროვნული ვალი, რომელიც დაგვიგროვდა, მთავრობის მაღალი ხარჯების შედეგია. დადგა დრო, შევცვალოთ ეს დიეტა და შევცვალოთ იგი სწორი მიმართულებით“ (Schneider 2003: 350).

რეიგანმა სერიოზულად შეამცირა მთელი რიგი სოციალური პროგრამები, რამაც მრავალ ადამიანში დიდი აღშფოთება გამოიწვია. კერძოდ, საყოველთაო მორიგების კანონით (Omnibus Reconciliation Act) შეიკვეცა 136 მილიარდის ფედერალური ხარჯები 1982–84 წლებში. ამის შედეგად შემცირდა ან საერთოდ გაუქმდა 200 ფედერალური სოციალური ხასიათის პროგრამა. მათ შორის ფედერალური ხარჯები ისეთ სფეროებში, როგორც განათლება, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სახლთმშენებლობა, დახმარება ქალაქებისადმი, უფასო ტალონები საკვებზე, კვლევები სინთეტიურ საწვავზე და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები.

ეს მოქმედება ძირითადად ულარიბეს ფენას შეეხო. ის პროგრამები, რომლებიც საშუალო ფენას ეკუთვნოდა, პოლიტიკუ-

რი თვალსაზრისით ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო. მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფა, მედიქინა, სამოქალაქო მომსახურება, ვეტერანთა პენსიები. ლარობთა პროგრამებს კი თავისი არსებობის აუცილებლობა უნდა დაემტკიცებინათ. თუმცა რეიგანმა შეინარჩუნა პროგრამები, მისი აზრით, იმათთვის, ვისაც მართლაც სჭირდებოდა დახმარება. ესენი კი იყვნენ ისინი, ვისაც სამუშაო არ გააჩნდა ხანდაზმული ასაკის, ინვალიდობისა და ავადმყოფობის გამო. ამავე დროს რეიგანმა „ახალი ფედერალიზმის“ – მიხედვით ფედერალური პროგრამების 40% გადასცა შტატებს, რათა მათ უკეთ განესაზღვრათ ბენეფიციართა აუცილებლობა და უფრო ყაირათიანად ემართათ ეს პროგრამები, მათ შორის საკვები ჩეკები და კეთილდღეობის პროგრამები. აქედან გამომდინარე შტატებმა კი დაიკმაყოფილეს თავისი ამბიციები, მაგრამ მათ მართლაც მოუწიათ თავისი ბიუჯეტების გაზრდა და, რაც მთავარია, მეტი ექსპერიმენტების ჩატარება არსებული პროგრამების უკეთ მართვისთვის, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების უფრო აქტიური გამოყენება და ა.შ. (Blum ... 1989: 810–813).

სამაგიეროდ ახალმა პრეზიდენტმა ამერიკელთა დიდი ნაწილის გული მოიგო საშემოსავლო გადასახადების დაპირებული შემცირების მეშვეობით. იგი მათ შემცირებას 30 პროცენტით გეგმავდა, მაგრამ კონგრესმა მხოლოდ 23 პროცენტით შეამცირებინა, თუმცა ესეც უკვე დიდი წარმატება იყო.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად გადასახადების შემცირებისა, რასაც ეკონომიკა უნდა გამოეცოცხლებინა, 1981 და 1982 წლები უმძიმესი იყო და ნეგატიური პროცესები არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ (გარდა ინფლაციისა). 1982 წელს უმუშევრობამ – 10,7 პროცენტს მიაღწია, ასეთი დონის უმუშევრობა მხოლოდ დიდი დეპრესიის ტრადიკულ წლებში თუ იყო. ეს იყო უმძიმესი პერიოდი და რეიგანომიკის ყველაზე ერთგული მომხრეებიც კი სასონარკვეთილებამ მოიცვა. თვლიდნენ, რომ რეიგანომიკა არ მუშაობდა და რაღაც ჩვეულ მექანიზმებს უნდა

დაბრუნებოდნენ, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა რეიგანის ვაჟკაცობა, სიჯიუტეც, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. თუმცა ზოგიერთი თვლიდა, რომ ეს სიჯიუტე მისი უცოდინარობის შედეგი უფრო იყო. რეიგანმა მტკიცედ განაცხადა – Stay the course, ანუ გავაგრძელოთ ეს კურსი და არა მარტო გამოაცხადა, არამედ ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია ამ კურსიდან. ეს ლოზუნგი 1982 წლის შუალედური არჩევნების დროს გამოიყენა 14 შტატში მოგზაურობისას. ეს ფრაზა მის 1982 წლის საბიუჯეტო მიმართვაშიც გამოიყენა და ამ ლოზუნგს 1984 წლის არჩევნებშიც იყენებდა და საბოლოოდ თვლიდა, რომ ამ კურსმა გაამართლა.

1985 წლის 28 მაისის ტელეგამოსვლაში იგი სიამაყით აჯამებდა ამ ქმედების შედეგებს: „1981 წელს ჩვენი კრიტიკოსები ბრალს გვდებდნენ, რომ თქვენი შემოსავლების შენარჩუნებით ინფლაცია იფეთქებდა და ჩვენი ეკონომიკა დაინგრეოდა. მაგრამ ჩვენ მაინც შევამცირეთ გადასახადები დაახლოებით 25 პროცენტით და, პირიქით, შევამცირეთ ინფლაცია, შევამცირეთ პროცენტული განაკვეთები და ბოლო 30 წლის მანძილზე ყველაზე აქტიური ეკონომიკური ზრდა მივიღეთ“ (The Annals of America Volume 21, 1987: 569). 1984 წლის არჩევნებშიც იმას ამბობდა, რომ ამ გზით ამერიკა გამოვიდა კარტერის დროინდელი კრიზისიდან, თუმცა ამერიკელი მკვლევარი გერი უილსი თვლის, რომ იგი სწორედაც რომ რეიგანის მიერ პროვოცირებული რეცესიიდან გამოვიდა, რომლის დროსაც ამერიკამ უფრო მეტი დოვლათი დაკარგა 2 წელიწადში, ვიდრე კარტერის პრეზიდენტობის 6 წელიწადში. მართალია, ინფლაცია შემცირდაო, მაგრამ ეს 600 მილიარდის ხარჯზე მოხდა, რომელიც მოაკლდა მთლიან შიდა პროდუქტს. ასევე თითო მოქალაქემ საშუალოდ 1000 დოლარი დაკარგაო და ოჯახმა კი – 3000 (Wills 1988: 427).

ასეთივე მკაცრი ხასიათი და დიდი ნებისყოფა გამომამჟღავნა რეიგანმა საავიაციო დისპეჩერთა გაფიცვისას 1981 წლის აგვისტოში და აჩვენა, რომ იგი არა მარტო სიტყვის, არამედ საქმის კაციც იყო. მან სამსახურში აღარ დააბრუნა ის დისპე-

ჩერები, რომელთაც რეიგანის მიერ დათქმულ ვადაში არ განა-
ახლეს თავისი საქმიანობა და რისკის ქვეშ დააყენეს მრავალი
ავიამგზავრის სიცოცხლე. როგორც რეიგანის ყოფილი თანა-
შემწე, შემდეგ კი მისი ბიოგრაფი პეგი ნუნანი აღნიშნავდა, მიუ-
ხედავად იმისა, რომ ეს წმინდა საშინაო პოლიტიკის საქმე იყო,
რეიგანის მტკიცე მოქმედება ამ კრიზისულ ვითარებაში მთელმა
მსოფლიომ კარგად დაინახა. მომავალში ამან გავლენა იქონია
საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაზე. „ეს ჯერ კიდევ რეიგან-
მაც არ იცოდა. მან მხოლოდ ის გააკეთა, რაც სწორედ მიაჩ-
ნდა“ – (Noonan 2002: 221). რეიგანში შეყვარებული ნუნანისგან
განსხვავებით, „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტმა ჰეინს ჯონ-
სონმა დაწერა, რომ სიმტკიცე კი სასურველი თვისებაა პრეზი-
დენტისთვის, მაგრამ ოპონენტის დამარცხების დაუცხრომელი
სურვილი შეიძლება სახიფათო იყოს საგარეო პოლიტიკაში, რო-
მელიც ძალისა და დიპლომატიის მეტად დელიკატურ და პრო-
ფესიულ კომბინაციას მოითხოვს (Hayard 2009: 174).

არჩევნებისთვის პრეზიდენტის პოპულარობამ ძალიან იმატა
1982 წლის მისი ყველაზე დაბალი რეიტინგის მომენტიდან. სა-
ინტერესოა, რომ 1983 წლის გელოპის გამოკითხვით ამომრჩე-
ველთა 44 % თავს დემოკრატებს მიაკუთვნებდა, 25% – რეს-
პუბლიკელებს და 31 კი – დამოუკიდებლებს (Schlesinger 2002:
4140). ალბათ, ეს ჯერ კიდევ 1983 წელს დაწყებული ეკონომი-
კის გამოცოცხლებამდე იყო, მაგრამ მაინც ნიშანდობლივი ფაქ-
ტია და გვიჩვენებს, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში ვითარება
რადიკალურად შეიცვალა რეიგანის სასარგებლოდ.

1984 წლისთვის ინფლაცია დაეცა, გადასახადები შემცირდა,
უმუშევრობაც შემცირდა, ეროვნული შემოსავალიც იზრდებო-
და. საერთაშორისო ასპექტში შეიარაღების ზრდისა და რეიგა-
ნის რიტორიკის მეშვეობით ამერიკელები სულ უფრო რწმუნდე-
ბოდნენ, რომ იგი რეალურად იცავდა ამერიკის უსაფრთხოებას
და მის საერთაშორისო პრესტიჟს. ამას ლოს ანჟელესში ჩატა-
რებული ოლიმპიადის პატრიოტული სულისკვეთებაც დაემატა

და საერთოდ პატრიოტიზმის ბუმი იყო. საინტერესოა, რომ მიუხედავად ეკონომიკური გამოცოცხლებისა, როგორც სხვადასხვა ინტერვიუერი და ეგზიტპოლების ორგანიზატორი აღიარებდა, ბევრი უფრო მეტ ყურადღებას რეიგანის ლიდერობის უნარს, პატრიოტიზმსა და ოპტიმიზმს აქცევდა.

საერთაშორისო ასპექტში პრეზიდენტობის მეორე ვადა რეიგანს მშვიდობისმყოფლის როლში ეხატებოდა. მან უკვე ააღორძინა ამერიკის სამხედრო ძლევამოსილება და ძლიერის პოზიციიდან სურდა კომპრომისების ძიება საბჭოთა კავშირთან ანუ მშვიდობის კანდიდატის ძალის პოზიციიდან. თავის მხრივ, მონდელი აკრიტიკებდა რეიგანის აგრესიულ პოლიტიკას, მაგრამ ამერიკელებს ძლიერის მხრიდან მშვიდობა ერჩივნათ (Печатнов, Маныкин 2012: 526–527). მართალია, არჩევნების დროს საგარეო პრობლემატიკა არ არის ხოლმე მთავარი ამერიკელებისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

ამ კამპანიის დროსაც განმეორდა რეიგანის 1980 წლის კამპანიის შეკითხვა: თუ გრძნობდნენ ამერიკელები თავს უკეთ, ვიდრე ოთხი წლის წინ. ამჯერად გამოკითხვების მიხედვით ჩანდა, რომ ამერიკელთა უმრავლესობის პასუხი უფრო პოზიტიური იყო, ვიდრე 1980 წელს.

ასე რომ 1984 წელს რეიგანი უაღრესად კარგად მომზადებული შეხვდა და, როგორც ზოგიერთი ამბობდა, იგი „განწირული იყო გამარჯვებისთვის“. როგორც ამერიკელი ისტორიკოსები ლარი შვაიკარტი და მაიკლ ალლენი წერდნენ „შეერთებული შტატების პატრიოტთა ისტორიაში“, უკვე არჩევნების დასაწყისშივე რეიგანის ბუნებრივმა ოპტიმიზმმა და ქვეყნის მდგომარეობის სწრაფმა გაუმჯობესებამ იგი ფაქტობრივად დაუმარცხებელ კანდიდატად აქციეს (Schweikart and Allen 2004:759). მართლაც, ალბათ, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ 1980 წელს მიცემული დაპირებების უდიდესი ნაწილი შეასრულა!!!!!!!

მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ყველაზე ხელსაყრელ ვითარებაშიც წარმატების მისაღწევად მაქსიმალური ძალისხმე-

ვაა საჭირო. მაგალითად, 1948 წელს რესპუბლიკელები იმდენად იყვნენ დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში, რომ რესპუბლიკური პარტიის რუპორმა გაზეთმა „ჩიკაგო ტრიბიუნმა“ – არჩევნების ხმების დათვლის დასრულებამდე რესპუბლიკელი კანდიდატი თომას დიუი პრეზიდენტად გამოაცხადა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეუპოვარმა და ენერგიულმა ჰარი ტრუმენმა გაიმარჯვა.

ამიტომაც საარჩევნო კამპანიის დროს რეიგანის გუნდმა განსაკუთრებით ნიჭიერი ხალხი და მაღალი კლასის პროფესიონალები შეაგროვა საუკეთესო სარეკლამო სააგენტოებიდან, რომლებიც იქ სამრეწველო პროდუქციის რეკლამით იყვნენ დაკავებული. მათ რამოდენიმე მიმართულებით წაიყვანეს რეკლამა და განსაკუთრებულ აქცენტს ამერიკულ ყოფაზე და მის იდეალებზე აკეთებდნენ, ასევე პატრიოტიზმზე და ოპტიმიზმზე. იყო უფრო კონკრეტული კლიპებიც, მაგალითად, გადასახადებზე. ზოგიერთს მიაჩნია, რომ განსაკუთრებული ეფექტი გამოიწვია ე.წ. დათვის კლიპმა, რომელიც საბჭოთა საფრთხეზე მიანიშნებდა (Owen 1991: 30). იგი დათვის პოტენციურ გამჩრებელ დათვის ტოლფას ძლიერ ძალაზე მიუთითებდა. კლიპი რეიგანის სურათით მთავრდებოდა, რომელიც მზად იყო მშვიდობისთვის.

თუმცა 1984 წლის კამპანიის საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ კლიპად თამამად შეიძლება ჩაითვალოს რეკლამის დიდი სპეცილისტის ჰელ რინის (Hal Riney) მიერ მომზადებული კლიპი „დღეს კვლავ დილაა ამერიკაში“. იგი საერთოდ პოლიტიკური რეკლამის ისტორიაშიც გამორჩეულ ადგილს იკავებს. თავად რინიც ამერიკული რეკლამის ისტორიაში ძალზე ცნობილი კაცი იყო, და როდესაც იგი 2008 წელს გარდაიცვალა, სარეკლამო საქმესთან დაკავშირებულ გაზეთებში მას საუკეთესო მოღვაწედ ნათლავდნენ რეკლამის ბიზნესში“ (Adweek, March 15, 2008), (Advertising Age, March 31, 2008). „დათვის კლიპიც“ მისი გადაღებული იყო.

ამბობენ, რომ ყველაფერი გენიალური უბრალოა და ამ კლიპის უბრალოება და სიმარტივე მართლაც გენიალური აღმოჩნდა. მან ამერიკელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული როლიც ითამაშა რეიგანის თითქოს და ისედაც გარანტირებულ გამარჯვებაში. კლიპი პატარა და დიდი ამერიკული ქალაქების ცხოვრებას აჩვენებს გარიჟრაჟზე და 59 წამი გრძელდება. ამერიკული ცხოვრების იდილიურ სურათებს კი შემდეგი ტექსტი დაედო: „კვლავ დილაა ამერიკაში. დღეს უფრო მეტი ქალი და კაცი წავა სამსახურში ვიდრე ოდესმე ამერიკის ისტორიაში. საპროცენტო განაკვეთების წყალობით, რომელიც 1980 წლის სარეკორდო დონის ნახევარია. დღეს დაახლოებით 2000 ოჯახი იყიდის ახალ სახლს, ეს უფრო მეტია ვიდრე ოდესმე, ბოლო ოთხი წლის მანძილზე. დღეს შუადღისას 6500 ახალგაზრდა ამერიკელი კაცი და ქალი დაქორწინდება, და ვინაიდან ინფლაცია წინა ოთხი წლის წინანდელთან შედარებით განახევრდა, მათ მშვიდად შეუძლიათ უყურონ მომავალს. კვლავ დილაა ამერიკაში და რონალდ რეიგანის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა უფრო ამაყია, და უფრო ძლიარია და უკეთესია. რატომ უნდა გვინდოდეს იქ დაბრუნება, საცა ოთხი წლის წინ ვიყავით?“

ამ კლიპის ძალა მის უმაღლეს ხარისხთან ერთად იმაში იყო, რომ, რაც იქ ითქვა, ძირითადად მართალი იყო. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის მისაღწევად ამერიკამ გრძელი და მძიმე გზა გაიარა. ისიც მართალია, ეს „ახალი დილა“ – ყველასთვის არ გათენებულა და ვისაც სახელმწიფო დახმარება შეუმცირეს, სულაც არ იყო კარგ ხასიათზე, მაგრამ ისე მოხდა, რომ 1984 წლის არჩევნებისთვის ამერიკელთა დიდი ნაწილი მაინც უფრო კმაყოფილი იყო რეიგანის მოღვაწეობით.

ამავე დროს ამერიკელები ისე იყვნენ შეწუხებული მათ გარშემო მიმდინარე უმსგავსო მოვლენებით, რომლებიც არ შეეფერებოდა მათ წარმოდგენასა და რწმენას, ამერიკის ძღვევამოსილების შემცირებით 1960-იან და 70-იან წლებში, რამაც სე-

რიოზული მორალური კრიზისიც გამოიწვია, რომ სიამოვნებით მიიღეს რეიგანის გზავნილი, რომ ამერიკაში ყველაფერი კვლავ კარგად არის და ამერიკაში კვლავ დილაა. ამიტომაც კამპანიის დროს იგი ნაკლებ ყურადღებას ამახვილებდა მისი პირველი ვადის მოვლენებზე, რაც ალბათ ლოგიკური იქნებოდა და ამერიკელებს პირდაპირ ამ დამამშვიდებელ გზავნილს აწვდიდა. მეორე მხრივ, ალბათ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მან ამ პირველი ვადის დროს ბევრი არც თუ პოპულარული და მრავალი ამერიკელისთვის საკმაოდ მიუღებელი გადაწყვეტილება მიიღო და ამის გახსენებას, შეიძლება, კიდევ უფრო გაელიზიანებინა მის წინააღმდეგ განწყობილი ხალხი. ამიტომაც ძირითადად პირდაპირ შედეგზე და სიმშვიდეზე გაამახვილა ყურადღება.

აქედან გამომდინარე საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელები ცდილობდნენ მთავარი აქცენტი რეიგანის პიროვნებაზე გაეკეთებინათ და უოლტერ მონდეილის სახელის და ფიგურის იგნორირების პოლიტიკას აწარმოებდნენ, რათა ეს რეიგანის პრეზიდენტობის შეფასების თავისებური რეფერენდუმი ყოფილიყო.

თავის მხრივ მონდეილის სტრატეგია იყო ელიარებინა რეიგანის პოპულარობა, მაგრამ გაეკრიტიკებინა მისი პოლიტიკა. მისი აზრით, გადასახადის შემცირება მდიდრებს აწყობდათ, ხოლო რეიგანის კონსერვატიული მიდგომა აბორტებისა და სკოლაში ლოცვის მიმართ ამერიკელთა ძირითადი ნაწილის მოსაზრებისგან განსხვავდებოდა. მონდეილი აკრიტიკებდა დეფიციტის პოლიტიკას და აღნიშნავდა, რომ ეს ამერიკის გრძელვადიანი ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. მონდეილი იმასაც ხშირად იმეორებდა, რომ რეიგანი დაბერდა პრეზიდენტობისთვისო. ამ საარჩევნო კურსის გატარებისას მონდეილმა ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა. დემოკრატების კონვენტზე სან ფრანცისკოში მან საქვეყნოდ განაცხადა: „ჩემი პირველი ვადის მანძილზე მე შევამცირებ რეიგანის ბიუჯეტის დეფიციტს ორი მესამედით. ეს უნდა გაკეთდეს, ეს უნდა გაკეთდეს. ბატონი რეიგა-

ნიც გაზრდის გადასახადებს და მეც ამასვე გავაკეთებ. მაგრამ ის არ გეტყვით ამის შესახებ, მე კი ეხლა უკვე გითხარით“.

ბუნებრივია, რესპუბლიკელებმა ეს – მშვენივრად გამოიყენეს და კიდევ უფრო გაამძაფრეს დემოკრატიების, როგორც „გადასახადებისა და ხარჯების ზრდის მომხრე ლიბერალების“ კრიტიკა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ისტორიაში პირველი ვიცე პრეზიდენტობის კანდიდატი ქალი ჯერალდინ ფერარო და მისი მეუღლე არჩევნების პროცესში ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს.

ამ არჩევნებში ყველა ელოდა, რომ რეიგანის ასაკი, რომელიც უკვე 73 წლის იყო, სერიოზულ პრობლემებს წარმოშობდა, მაგრამ რეიგანმა ეს საკითხიც უშუალოდ და იუმორის გრძნობით მოხსნა. როდესაც მონდელითან მეორე ტელედებატის დროს 28 ოქტომბერს რეიგანს ჰკითხეს, თუ როგორი იყო, ამერიკის ყველაზე ასაკოვან პრეზიდენტად ყოფნა და რამე ეჭვები ხომ არ იყო მისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ამ ასაკში, რეიგანმა ყველა განაიარაღა თავისი პასუხით: „მინდა იცოდეთ, რომ ასაკს ამ კამპანიის თემად არ გავხდი. მე არ მინდა პოლიტიკური მიზნებით გამოვიყენო ჩემი ოპონენტის ასაკი და გამოუცდელობა“. ამაზე ყველამ ბევრი იცინა თავად მონდელის ჩათვლით და მართლაც ეს საკითხი ამოღებულ იქნა არჩევნებიდან. ბუნებრივია, რეიგანის იუმორი ვერაფერს შეცვლიდა, იგი მართლაც კარგ ფიზიკურ ფორმაში რომ არ ყოფილიყო.

ამ არჩევნების დროს იმანაც დიდი როლი ითამაშა, რომ პირადად რეიგანს მის მთავრობაში მომხდარი დარღვევები თუ კორუპციის ფაქტები არანაირად არ შეხებია და მისი რეპუტაცია არ შეუბღალავს. მისი მოწინააღმდეგენი მას „ტეფლონის პრეზიდენტსაც კი უწოდებდნენ. თუმცა მეგობრები მას „დიდ კომუნაკატორად“ თვლიდნენ. ამერიკელი მკვლევრები დევიდ კროტო და ჰოინეს უილიამი იმასაც კი წერდნენ, რომ რეიგანის პრეზიდენტობა იყო „სტილის ტრიუმფი არსზე“ (Croteau and William 1994: 20).

შესაბამისად მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე რეიგანი თავის კონკურენტს სულ ორნიშნა ციფრით უსწრებდა სხვადასხვა გამოკითხვებში და 15 პროცენტზე დაბლა არ ჩამოსულა ეს განსხვავება (American President: A Reference Resource, Ronald Reagan). მაგრამ თავად არჩევნების შედეგმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეს მართლაც რომ რეიგანის ტრიუმფი იყო. ეს მისი პირადი პოპულარობის დადასტურება იყო, მაგრამ მნიშვნელოვანწილად საზოგადოების მიერ მისი ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერასაც ნიშნავდა, განსაკუთრებით გადასახადების დაწვევასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 1984 წლის არჩევნებზე ბოლო 25 წლის მანძილზე პირველად გაიზარდა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ანუ უფრო სწორედ მონაწილეთა პროცენტი. ვინაიდან არჩევნებმა იმ ამერიკელთა ყურადღებაც მიიპყრო, რომლებიც ძალიან გულგატეხილნი იყვნენ ამერიკის ბოლოდროინდელი მდგომარეობით და მისი ადგილით მსოფლიოში.

1984 წლის არჩევნების საბოლოო შედეგები იყო უბრალოდ თავბრუდამხვევი. ასეთი მონაცემები ნიქსონის 1972 წლის არჩევნების გარდა არავის ჰქონია. რეიგანმა მიიღო 5445593 ხმა, მონდელიმა კი მხოლოდ 37 567 331. რეიგანმა 49 შტატში გაიმარჯვა და საარჩევნო კომისიის 538 ხმიდან 525 მიიღო. მონდელიმა მხოლოდ საკუთარ შტატ მინესოტაში გაიმარჯვა და იქაც ხმების საკმაოდ მცირე რაოდენობით – 0.2 პროცენტი. ამომრჩეველთა ხმები მან მხოლოდ კოლუმბიის ოლქში მიიღო, სადაც რესპუბლიკელებს არასოდეს აძლევდნენ ხმებს.

რეიგანმა უშუალოდ რესპუბლიკელების გარდა ე.წ. დამოუკიდებელ ამომრჩეველთა უმრავლესობის და დემოკრატთა ერთი მეხუთედის ხმაც კი მიიღო. ახალგაზრდებში XX საუკუნეში ყველა რესპუბლიკელ კანდიდატზე მეტი ხმა მიიღო. რესპუბლიკელთა ტრადიციული მომხრეები – თეთრი პროტესტანტები, პატარა ქალაქებისა და აგრარული რაიონების მცხოვრებნი, კოლეჯის კურსდამთავრებულები, მაღალი ფენის ამერიკელები

ბი, თეთრი საყელო მენეჯერები და პროფესიონალები კვლავ რეიგანის მხარეს იყვნენ. კათოლიკეების დიდმა ნაწილმა, რომლებიც ტრადიციულად დემოკრატებს გულშემმატკივრობდნენ, ისევე როგორც 1980 წელს, რეიგანს მისცა ხმა. რეიგანის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე მაღალკვალიფიცირებულ და არაკვალიფიცირებულ მუშათა დიდმა ნაწილმა, ისევე როგორც საშუალო შემოსავლის ხალხის დიდმა რაოდენობამ (American President: A Reference Resource, Ronald Reagan).

რეიგანის გამარჯვება უფრო მეტად მისი პერსონალური წარმატება იყო ვიდრე პარტიის გამარჯვება, სხვათა შორის ისევე როგორც დ. ეიზენჰაუერის შემთხვევაში 1950-იან წლებში. დემოკრატებმა ქვედა პალატაში შეინარჩუნეს უმრავლესობა, რესპუბლიკელებმა კი – სენატში, რომელიც 1986 წელს დაკარგეს.

უდიდესი როლი ითამაშეს ე.წ. რეიგანის დემოკრატებმა, რომელთაც 1980 წელსაც მას მისცეს ხმა. ეს იყვნენ თეთრკანიანი სამხრეთელები და ჩრდილოეთის ლურჯი საყელოები, რომლებიც თვლიდნენ, რომ სწორედ რეიგანმა უზრუნველყო ეკონომიკური აღმავლობა, და ამავე დროს მასში ძლიერ ეროვნულ ლიდერს ხედავდნენ, რომელმაც ქვეყნის უსაფრთხოება კვლავ მაღალ დონეზე აიყვანა, კარტერისგან განსხვავებით. მათ მიაჩნდათ, რომ დემოკრატიული პარტია ღარიბებსა და უმცირესობებს საშუალო კლასის ხარჯზე ეხმარებოდა (Roper Center, Public Opinion Archives, US Elections, How Groups Voted in 1984).

მონდელიმა მხოლოდ ორ რასობრივ და ეთნიკურ უმცირესობაში მიიღო მეტი ხმები. მას შავკანიანთა 91 პროცენტმა მისცა ხმა და ესპანურენოვანთა ე.წ. ჰისპანიკების 66 პროცენტი მიიღო. სხვათა შორის მონდელის მარცხის მიზეზი ისიც იყო, რომ იგი დისკრედიტირებული ჯიმი კარტერის ადმინისტრაციის ვიცე პრეზიდენტი იყო (Kennedy, Cohen 2013: 947).

რეიგანის ტრიუმფი კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საარჩევნო კამპანიის სწორედ წარმართვა და მაღალი რანგის პროფესიონალების მეშვეობით სწორი გზავნი-

ლების გაკეთება, თუმცა, ალბათ, დემოკრატიულ საზოგადოებაში მაინც მართალი საქმე და მართალი სიტყვაა წარმატების რეალური სანიღარი. შემოქმედება კი უკვე წარმატების ხარისხს აუმჯობესებს და ზოგჯერ დრამატულადაც, როგორც ეს 1984 წელს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დამოწმებანი

The Annals of America Volume 21, 1977-1986 Enciclopedia Britannica, inc., Chicago, 1987.

Adweek, March 25, 2008 http://www.adweek.com/news/advertising_branding/ad_legend_hal_riney_dies_75_95362?page=3

AdvertisingAge, March 31, 2008 http://adage.com/article/news/hal_riney_ad_industry_s_true_creative_giants_dies_75/126027/

American President: A Reference Resource, Ronald Reagan <http://millercenter.org/academic/americanpresident/truman/essays/biography/6n>

Schneider, Gregory L. (ed.). *Conservatism in America Since 1930*. New York and London: New-York University Press., 2003.

Croteau, David and William, Hoynes. *By Invitation Only: How the Media Limit Political Debate*. Monroe, ME: Common Courage Press, 1994.

Blum, John M., McFeely, William S., Morgan, Edmund S., Schlesinger, Jr Arthur M, Stamp Kenneth M., Woodward C. Vann. *The National Experience: A History of the United State*. San Diego , N.Y.: Harcourt Brace Jovanovich, Publishers, 1989.

Hayard, Steven F. *The Age of Reagan, The Conservative Counterrevolution 1980-1989*. N.Y.: Three Rivers Press, 2009.

Kennedy, David M., Cohen, Lizabeth. *The American Pageant*. Wadsworth Cengage Learning, 2013.

Noonan, Peggy. *When Character was King, A Story of Ronald Reagan*. Penguin Books, 2002.

Schlesinger, Arthur M. Jr. (Ed). History of American Presidential Elections 1789-2001, Volume X, 1972-1984. Philadelphia: Chelsea House Publishers, 2002.

Schweikart, Larry and Allen, Michael. *A Patriots History of the United States*. Sentinel, 2004.

Wills, Garry, *Reagan's America*. Penguin Books, 1988.

Republican Party Platforms: Republican Party Platform of 1980, <http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=25844#axzz1RfqBCCBp>

Roper center, Public Opinion Archives, US Elections, How Groups Voted in 1984 http://www.ropercenter.uconn.edu/elections/how_groups_voted/voted_84.html

Печатнов, В.О., Маныкин, А. С. *История внешней политики США. Международные отношения*. Москва, 2012.

VASIL KACHARAVA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor
Head of TSU American Studies Institute

SOME OF THE MESSAGES OF RONALD REAGAN'S PRESIDENTIAL CAMPAIGN IN OF 1984 SUMMARY

The present paper examines some of main political messages of the presidential campaign, which from our point of view in many ways ensured absolutely triumphal victory of Ronald Reagan in 1984. Undoubtedly, the main reason of this unbelievable success was that in spite very difficult, tough and sometimes unpopular decisions during the first term Reagan really improved the situation and mostly kept his promises of 1980. R Reagan's policy *Stay the Course* was critical for the survival of the Reaganomics. Also, accurate and professional management of the

campaign was also very important element of the election process. The way in which the presidential campaign delivered to regular citizens main elements of the achievements of Reagan's first term turned out to be extremely effective. The goals of the second term were clearly and precisely explained.

Political TV advertisements, created by eminent specialist of the field Hal Riney – *Morning in America* and *Bear in the Woods* were one of the strongest sides of the presidential campaign. The first ad described already achieved success of Reagan Administration in the creating economic stability and future perspectives for the further social and economic developments. The second one was about possible soviet threat and necessity“ to be strong and be ready for peace at the same time”. The ‘Morning in America’ has become the best campaign advertisement not only in 1984, but in overall American political history. Its simple and clear message expressed what Americans had received in previous 4 years and almost pictured what they wanted to see in their future. The result of this brilliant campaign was that almost all social, economic, age or sex groups voted for Reagan.

ქაბარინა ჯანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის აკადემიური დოქტორი

ამერიკის შეერთებული შტატები და ქართველი ემიგრანტები

1992 წლის 24 მარტს საქართველომ და აშშ სახელმწიფომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს. ამ წლების განმავლობაში აშშ-მა არაერთხელ დაადასტურა, რომ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს.

აშშ და ქართველი ემიგრანტები. ემიგრანტთა თემა ისეთივე დიდია, როგორც თავად აშშ. რას წარმოადგენს ეს მითიური ქვეყანა საქართველოსათვის და იქ მყოფი ემიგრანტებისათვის და რა პერსპექტივა აქვს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას?

ემიგრაცია – ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი...

უამრავი ნიჭიერი ადამიანი დაეკარგა საქართველოს და, სამწუხაროდ, ეს დანაკარგი დღითიდღე უფრო და უფრო მძიმე ფორმებს იძენს.

ჩვენი ქვეყნის მძიმე ბედის გამო ოდითგანვე წყდებოდნენ ფესვებს ქართველები და ამის მიზეზი ათასგვარი და მტკივნეული იყო: მონათა ბაზარი, რეჟიმს გაქცევა, ეკონომიკური რესურსების ძიება, ომი, ხელოვნების და სპორტის მაღალი საფეხურებისკენ სწრაფვა და სხვა მრავალი რამ შეიძლება ჩამოვთვალოთ და ჩამოვცრემლოთ „დაკარგულების“ – „გასამართლებლად“.

ამ სტატიაში მინდა მოგითხროთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიგრირებული ქართველების და მათი ცხოვრების შესახებ.

იმ ინფორმაციით, რომელიც იბეჭდებოდა XIX საუკუნის II

ნახევარში, ქართველებისათვის ამერიკა შორეულ, მაგრამ მიმზიდველ ქვეყნად იქცა. ინფორმაციასთან ერთად ამერიკაც ნელ-ნელა „შემოდოდა“ საქართველოში. 1867 წელს თბილისის ერთ-ერთ უძველეს სასტუმროს „ამერიკა“ უწოდეს. 1880 წელს თბილისში „ზინგერის“ მაღაზია გაიხსნა, 1890 წელს კი „საბანკო თეატრის“ შენობაში (დღევანდელი გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი) ჩატარდა **ედისონის** ფონოგრაფის პირველი საჯარო სეანსი (გერსამია 1989: 133).

პირველი ოფიციალური ცნობა ქართველთა აშშ-ში სტუმრობის შესახებ ჩნდება 1890 წელს.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან 1917 წლამდე 150-მდე გურულმა ცხენოსანმა გააცნო ამერიკასა და ევროპას თავიანთი ნიჭი და შემოქმედება. პირველი გასვლა აშშ-ში შედგა 1892 წელს. ეს ის დროა, როდესაც აშშ სახელმწიფოებრიობის 100 წლისთავს ზეიმობდა. ამასთან დაკავშირებით ენციკლოპედიური გრანდიოზული სანახაობები და მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული საუკეთესო ცხენოსნები („ამერიკის ისტორია“ 1870: 7). ამ მისიით საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის წარმომადგენელი თომას ოლივერი, რომელმაც აშშ-ს კონსულის საქართველოში და იქ მომუშავე ზემოჩიბათელი კირილე ჯორბენაძის დახმარებით ოზურგეთსა და ლანჩხუთში შეკრიბა 10-კაციანი გუნდი ივანე მახარაძის მეთაურობით. აქედან იღებს სათავეს გურული ცხენოსნების ამერიკული თავგადასავალი, რომელიც დაახლოებით 30 წელი გაგრძელდა. თავდაპირველად ისინი მარსელში ჩავიდნენ, იქიდან პარიზში, შემდეგ ჰავრში და იქიდან საოკეანო ხომალდით ჩავიდნენ ამერიკაში. ცხენოსნები მონაწილეობას ღებულობდნენ ამერიკულ „შაპიტო ცირკში“ გამართულ სანახაობებში. მაცურებლებისათვის ყველაზე საინტერესო სანახაობად იქცა გურულების ჯირითი, ცეკვა და სიმღერა. ამ ჯგუფში შედიოდა სახელგანთქმული ცხენოსანი ლუკა ჩხარტიშვილი. ისინი ცნობილ „ბუფალო ბილის“ ცირკში გამო-

დიოდნენ და მთელი ამერიკისა და ევროპის გაცემა მოახერხეს საცხენოსნო ოსტატობით. ცხენოსანთა ჯგუფის წევრები მამაკაცების გარდა იყვნენ ქალბატონებიც. ლუკა ჩხარტიშვილი ამერიკაში ცნობილი იყო პრინცის ტიტულით. ყველაზე ცნობილი შოუ, სადაც გურულებს მოუწიათ გამოსვლა, იყო ბაფალო ბილის „უაილდ უესტ“ (Wild West) შოუ – ველური დასავლეთის შოუ. იმ დროისათვის ასეთი წარმოდგენები სიახლე იყო მაყურებლისათვის. ამ შოუს იმთავითვე უდიდესი წარმატება ხვდა წილად. გურულ ვაჟკაცებს არც ქალბატონები უდებდნენ ტოლს ცხენოსნობაში. პირველი გურული ქალბატონები, რომლებიც ამერიკაში მოხვდნენ, იყვნენ ფრიდა მაგალობლიშვილი, დები მარო და ბარბარე ზაქარეიშვილები, ქრისტიანე ცინცაძე. გურული ცხენოსნების გამოსვლებს ამერიკაში ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები უილსონი და თეოდორ რუზველტი. ეს უკანასკნელი ისე აღფრთოვანდა მოჯირითე გიორგი ჩხაიძის ოსტატობით, რომ მას სამახსოვროდ ოქროს ბეჭედი და ლანგარი გადასცა (თევდორაძე 2014: 6).

შემდეგ უკვე 1910 წელს 30 ქალბატონისა და მამაკაცისგან შემდგარი ქართველთა ჯგუფი ძმები რიდინგების ცირკის არენაზე გამოსვლით იწვევდა მაყურებლის აღტაცებას.

პირველ მსოფლიო ომამდე სულ ცოტა ხნით ადრე კი აშშ-ს ორმოცდაათამდე ქართველი ესტუმრა და დასავლეთ სანაპიროზე რკინიგზის გაყვანის სამუშაოებში აქტიურად ჩაერთნენ. ზოგიერთი მათგანი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და შორეულ კონტინენტზე არჩია დამკვიდრება.

მაგრამ პირველ დიდ ტალღას ქართველი ემიგრანტებისა 1921 წელს საბჭოთა რეჟიმს გამოქცეული არისტოკრატია, სამხედრო პირების და პოლიტიკური პირების ოჯახები შეადგენდნენ. ინგლისურის არმცოდნე და ეკონომიკურად მძიმე პირობებში მყოფმა ქართველებმა ურთულესი დღეები გადაიტანეს. ზოგიერთი ვერ შეეგუა ამერიკული ცხოვრების წესს და ევროპაში დაბრუნებულები გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, თურ-

ქეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში ემიგრირებულ თანამემამულეებს შეუერთდნენ. ზოგიერთნი კი დაქორწინდნენ ამერიკელ ქალბატონებზე ან დაივინყეს თავიანთი წარმომავლობითი სიამაყე და თავის გადასარჩენად არანაირ სამუშაოს არ თაკილობდნენ.

ქართველი ემიგრანტების მეორე ტალღა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე გამოჩნდა ამერიკაში: რომელშიც ძირითადად ომში ტყვედნამყოფი ქართველები და მათი ოჯახები შედიოდნენ (საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემთხვევაში მათ მინიმუმ ციხე ელოდათ). ამ ჯგუფში ასევე საბჭოთა რეჟიმს ომამდე გამოქცეული ქართველობაც შედიოდა.

ემიგრანტების ამ ნაწილს წინასგან განსხვავებით ნამდვილად გაუმართლა, რადგან მათი უფლებების დასაცავად და ახალი ცხოვრების დაწყებისთვის ხელშესაწყობად სპეციალურმა ორგანიზაციებმა იზრუნეს (მათ შორის „ტოლსტოის საზოგადოება“). დაასაქმეს სამხედრო, ინდუსტრიის, იურისპრუდენციის თუ სხვა პროფესიულ სფეროებში.

მესამე ტალღის ემიგრანტები ეკონომიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო, ბიზნეს თუ სხვა ოჯახური მიზეზების გამო ეწვივნენ შორეულ კონტინენტს და ძირითადი დასახლებები ნიუ-იორკის, ვაშინგტონის, ბოსტონის, დეტროიტის, ჩიკაგოს, სიეტლის, ატლანტასა და ლოს-ანჯელესის სიახლოვეს შექმნეს.

მაგრამ... სამშობლოსგან შორს ზოგიერთმა მათგანმა შეძლო სახელის მოხვეჭა და დაფასებულ მოქალაქედ გახდომა.

ქართული გული და სული მეგობრობს და თანამშრომლობს აშშ-ში მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენლებთან.

სწორედ ამ ურთიერთობებით შეძლეს ქართველებმა ოკეანის გადაღმა გაეცოცხლებინათ საქართველო და ქართული სიტყვა. 2003 წლიდან დღემდე გამოდის ქართული გაზეთი „მამული“, რომლის რედაქტორია ჩვენს ქალაქში დაბადებული და გაზრდილი მანუჩარ კაჭახიძე („მკითხველის გვერდი“ 2010: 10).

ნამდვილად დიდ საქმეს აკეთებს ბატონი მანუჩარი, თვითონ მონატრებული, სხვებს ანუგეშებს და ხვალის იმედს აძლევს და გულს უვსებს დიდი სიყვარულით. გაზეთთან ერთად არსებობს ქართული გენი და ქართული ჟინი, რომელსაც ანსამბლი „ფესვები“ ჰქვია, ალბათ ხვდებით, რატომ უწოდეს „ფესვები“ მათ ანსამბლს ქართველმა ემიგრანტებმა. ეს ის ფესვებია, რომელიც ადრე თუ გვიან დაბრუნდება მის მონატრებულ სამშობლოში. ემიგრაციაში ჟურნალს განსხვავებული მკითხველი ჰყავს, ისეთი, როგორსაც საქართველოში ვერ იპოვი – სამშობლოს სიშორის გამო, ყოველგვარი მშობლიურისგან ოკეანისგაღმა მყოფი, შვილებშიტოვებული დედებისთვის სხვანაირად მტკივნეულია საქართველოში მიმდინარე ნეგატიური მოვლენები, ავტორებს ბენვის ხიდზე უწევთ გავლა, რომ თითოეულმა უბრად ნათქვამმა სიტყვამ ემიგრანტის გულისტკენა არ გამოიწვიოს. ამიტომაცაა, რომ „მამული“ ერთადერთი ქართული სიტყვაა, რომელიც მათი ოჯახის კარებს აღებს.

არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში წასულთა სავარაუდო რაოდენობა 30.000-დან 100.000-მდე მერყეობს. მათ 85-90% ქალები შეადგენენ, დაარსებულია ქართველთა მცირერიცხოვანი სათვისტომო, რომლის ძირითად ნაწილს 1993 წლის შემდეგ საქართველოდან ემიგრირებული ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენენ. ნაწილი მეცნიერების, კულტურის, სპორტის, მცირე ბიზნესის სფეროში მოღვაწეობს, ნაწილი კი დროებით სამუშაოზეა დაკავებული.

აშშ-ში არსებული ქართული დიასპორების სტრუქტურა და შემადგენლობა სხვადასხვაგვარია. ყველაზე ძველი მათ შორის არის „საქართველოს ასოციაცია“ – „Georgian Association“, რომელიც 1932 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობრების მიერ იქნა დაარსებული (დაუშვილი 2009: 85).

1931 წ. აშშ-ში ქართული სათვისტომოს დაარსების ორგანიზატორებს შორის აღსანიშნავია თავადი გიორგი მაჩაბელი და პავლე კვარაცხელია, რომელიც სათვისტომოს პირველი

თავმჯდომარე იყო. გიორგი მაჩაბელი პარფიუმერული ფირმის „Prince Machabeli“-ს დამაარსებელი მილიონერი იყო. დღეს ასოციაციას ბ-ნი მამუკა წერეთელი ხელმძღვანელობს, სათაო ოფისი კოლუმბიის ოლქში, ვაშინგტონში მდებარეობს. „საქართველოს ასოციაციის“ წარმომადგენლობა ნიუ-იორკშიც არის, რომელსაც სათავეში ბ-ნი შალვა სარუხანიშვილი უდგას. აღმასრულებელი დირექტორია მაკა გაბელია.

„ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭო“-ს (America-Georgia Business Council, <http://www.agbdc.com>) აღმასრულებელი დირექტორია მამუკა წერეთელი. ორგანიზაცია მიზნად ისახავს ინვესტიციების მოზიდვასა და ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას.

ნიუ-იორკის საზოგადოება „ამირანი“ 2004 წელს ქ-ნ ელისო ნიკლაურის თაოსნობით დაარსდა. ძირითადად, სამეცნიერო და კულტურის სფეროს წარმომადგენელ ქართველ თანამემამულეებს, სახელოვან ქალბატონებს აერთიანებს.

ასევე ნიუ-იორკში, ქუინსში, მოქმედებს ქართული ორგანიზაცია საპროდიუსერო ცენტრი – „გელანი“, რომელსაც გელა და ნიკოლოზ გელაშვილები ხელმძღვანელობენ. მათი ვებ-გვერდი: <http://www.gelanyusa.com/>, რომელზეც ცოტა ხნის წინ ჩაერთო და ფუნქციონირებს ქართული რადიო.

მათი თაოსნობით ბევრი კეთილი ეროვნული საქმეა წამოწყებული, მათ შორის „ქართული რთველი ამერიკაში“, ლანკასტერში, პენსილვანიის შტატში უკვე ორჯერ ჩატარდა. ყურძნის დაკრეფა-დანურვაში ქართველებთან ერთად ამერიკელებიც სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას.

ბ-ნი შოთა ვაშაკიძე 25 წელია აშშ-ში მოღვაწეობს. იგი ქართული სათვისტომო „კვალის“ თავმჯდომარეა. კოორდინირებას უწევს ქართველ მეცნიერებს და ხელს უწყობს საქართველოსთან კავშირის დამყარებაში.

ბ-ნი შოთა ვაშაკიძე ბოლო 4 წელია სანახევროდ საქართველოშიც მოღვაწეობს, სახელდობრ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დააარსა სამეცნიერო ცენტრი „კვალ“, რომელიც საქართველოდან აშშ-ში აგზავნის ნიჭიერ, წარჩინებულ სტუდენტებს. ბოლო 4 წლის განმავლობაში ცენტრმა ამერიკაში 75 სტუდენტი გააგზავნა. „კვალს“ საქართველოში ამერიკის საელჩოსთან ერთად რამდენიმე პროექტი აქვს. სათვისტომო გამოსცემს ინტერნეტ-გაზეთს: <http://www.kvali.com>; ასოციაცია: „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“-ს (“American Friends of Georgia”), თავმჯდომარეა ბატონი კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი (სიკო სიდამონ-ერისთავი აშშ-ში 1921 წ. ჩავიდა. ქართველებთან ერთად ჩრდ. კავკასიელები შემოიკრიბა და 1937 წელს კავკასიური საზოგადოება „ალავერდი“ დააარსა) (ჩოხელი 1993: 121—145).

„ქართული კულტურული ჯგუფი“-ს (“The Georgian Cultural Group”) პრეზიდენტია ბატონი იაკობ (იაშა) მიხელსონ-შამელაშვილი. საპროდიუსერო/კინო ჯგუფი ლოს-ანჯელესი, კალიფორნია. ფილადელფიაში გამოიცემა გაზეთი „ერთობა“ – www.gazetierto.com, რედაქტორ-გამომცემელი: ნუკრი მუმლაძე, სარედაქციო კოლეგია: მერაბ კერვალიშვილი, სოლომონ გული-საშვილი, ია ბერიძე-კინმარიშვილი, გიული წერეთელი, ლელა ვაშაკიძე, გურამ სეხნიაშვილი (კანადა), ლია ხაბეიშვილი (საქართველო), მიხეილ მუმლაძე (საქართველო).

“თბილისი-New York” კომპანია „საქართველოს საერთაშორისო პრესის“ მიერ 2008 წელს დაფუძნებული ყოველთვიური გაზეთი “თბილისი-New York”. მთ. რედაქტორი: მაია ერისთავი.

გაზეთი ბეჭდავს ობიექტურ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, პრობლემებსა და წარმატებებზე. აშშ-ში მისი ოფიციალური წარმომადგენელია თამარ ფრანგიშვილი.

ნიუ-იორკში მოქმედებს კორპორაციასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლა „გრაალი-ქართული სახლი ნიუ-იორკში“, სადაც ქართულ ენას, ლიტერატურას

და საქართველოს ისტორიას სწავლობს 60-მდე ბავშვი. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ამერიკის ქართველობას უდიდეს სულიერ დახმარებას უწევს. მეუფე დიმიტრი (შიოლაშვილი) დაინიშნა აშშ-ში და კანადაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსად.

ამჟამად ნიუ-იორკში მამა ალექსანდრე (თანდილაშვილი) სწირავს. მამა ალექსანდრეს უშუალო მცდელობით და ქართველი მრევლის შენაწირებით ნიუ-იორკში მიწის საყიდლად და ქართული ეკლესიის ასაშენებლად თანხა გროვდება. მრევლი, ძირითადად, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში იკრიბება. პირველი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ნიუ-იორკში 2003 წლის 28 აგვისტოს დაარსდა. ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილი აქტიურად შეუდგა ეკლესიისათვის ადგილისა და შენობის საყიდლად საჭირო თანხის შეგროვებას. ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

2008 წლის აგვისტოს მიძიმე დღეებში, როცა რუსეთმა საქართველოზე არნახული აგრესია განახორციელა, აშშ-სა და კანადაში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქებში, გაეროს, რუსეთის საელჩოსა და გენერალური საკონსულოს შენობების წინ ქართული სათვისტომოების მიერ ორგანიზებული განუწყვეტელი საპროტესტო აქციები იმართებოდა.

ნოსტალგია ემიგრანტებში შემოქმედებით ძალებს აღვიძებს; ახალ, ფართო, შეუზღუდავ გასაქანს აძლევს მათ აზრებს, განცდებსა და ემიგრაციით გამოწვეულ განწყობილებას.

ამგვარად, აშშ-ში ქართველთა ემიგრაცია დღემდე ინტენსიურად გრძელდება და ძირითადად ეს ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით გამეფებული სიდუხჭირის გამოისობით ხდება. ქართველი კაცი ემიგრაციის პერიოდშიც ახერხებს შექმნას ქართველთა სავანე, სადაც ქართული გენი თავის ფესვებს არასოდეს დაკარგავს.

დამოწმებანი:

- გერსამია, თ. *ძველი თბილისი*. თბილისი, 1989.
თევდორაძე, ზ. ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“. 2014.
ამერიკის ისტორია. გაზეთი *დროება*. 1870, N 5.
მკითხველის გვერდი. გაზეთი *მამული*. 2010, N 61.
დაუშვილი, რ. ქართული ემიგრაციის პოლიტიკა 1920–1930.
ჟურ. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*. N 1 (5), თბი-
ლისი, 2009.
ჩოხელი, ა. *ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო*.
თბილისი, 1993.

<http://www.agbdc.com>

<http://www.kvali.com>

www.gazetiertoeba.com

EKATERINE KAKHIDZE

Akaki Tsereteli State University, Doctor of History

THE UNITED STATES AND GEORGIAN IMMIGRANTS SUMMARY

The present paper deals with some historical aspects of Georgian-American relations as well as some of the most prominent Georgian immigrants currently living and working in the United States.

Since 2003 Georgian newspaper “Mamuli” has been published by Editor Manuchar Kachakhidze who was born and brought up in Kutaisi. There is also a folk song and dance ensemble “Pesvebi” which means ‘roots’. It’s clear why the Georgian immigrants gave this name to it - they are firmly tied to their homeland and cannot be cut off from their ancestral roots.

The US Department of State firmly supports Georgian immigrants in their initiatives and endeavors.

Mrs. Giuli Alasania has declared that festivals “Geo-star” and “Anabana” is analogous to the festival “Chveneburebi” in Georgia and are held in order to discover new talents and smart people living and working in the USA.

Georgians wholeheartedly co-operate with other residents of the USA, thus deepening all kinds of relations between the two countries.

ნუარი ხარაძე

ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის
სასახლის მასწავლებელი

ერაქლე ორბელიანი

როგორც ცნობილია, გასულ საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველები აქტიურად მოღვაწეობდნენ. მათ უდიდესი კვალი დატოვეს როგორც ამ ქვეყნის, ასევე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამ უდიდეს ადამიანთა შორის იყო ცნობილი პიანისტი და „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის პირველი დირექტორი ერეკლე ორბელიანი.

„ამერიკის ხმის“ პირველმა გადაცემამ 1942 წლის 24 თებერვალს გაიჟღერა ეთერში. აშშ უკვე ჩართული იყო მეორე მსოფლიო ომში. რადგან ომის დაწყებისთანავე ნაცისტურმა გერმანიამ მსოფლიო მასშტაბით მხარდაჭერის მიზნით რადიოგადაცემები დაიწყო, ამიტომ „ამერიკის ხმის“ რეპორტაჟი გერმანულ ენაზე გადაიცა: „ეთერშია ამერიკის ხმა! ყოველდღიურად, ამ დროს ჩვენ გაგაცნობთ ახალ ამბებს ომის შესახებ, რომელიც ზოგჯერ კარგი, ხოლო ზოგჯერ სამწუხარო იქნება! ასეა თუ ისე, ჩვენი მიზანი ერთია – გაუწყობთ სიმართლეს.“ რადიო წამყვანი კი გახლდათ იულიამ ჰარლანი. ხოლო „ამერიკის ხმის“ პირველი ქართული გადაცემა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 1951 წლის 26 მაისს ნიუ-ორკიდან გადაიცა. წამყვანი კი იყო ერეკლე ორბელიანი. ის მეფე ერეკლე მეორეს შთამომავალი ბაგრატიონი გახლდათ – ორბელიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც ამასთანავე ამერიკაში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახლდათ. გაყვეთ ერეკლე ორბელიანის გენეტიკას. 1801 წელს ბატონიშვილთა ერთი ჯგუფი – იოანე, ბაგრატი და მიხეილი – ალექსანდრე პირველის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე მიიწვიეს

პეტერბურგში. როგორც კი გამოცხადდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ მანიფესტი, ისინი, სამწუხაროდ, აღარ ჩამოუშვეს სამშობლოში. ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები არაერთხელ გადაუსახლებიათ სამშობლოდან. მხოლოდ რამოდენიმემ მოახერხა აქ დარჩენა. მათ შორის იყო ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი ერეკლე მეორის მოსახელე ერეკლე ბატონიშვილი. ის, მისი მეუღლე და ქალიშვილი ქართულ მიწაზე განისვენებენ. ხოლო მისმა მოსახელე შვილიშვილმა ერეკლე ორბელიანმა ალექსანდრე ბატონიშვილის ბედი გაიზიარა და ემიგრაციაში გარდაიცვალა.

ერეკლე ორბელიანი დაიბადა 1901 წელს თბილისში, ნოემბერში. მამა მდიდარი მემამულე გახლდათ, მეფის არმიის ოფიცერი, ბორჩალოს მიწის მფლობელი. ის ყველგან ჩოხით დადიოდა. დედა კი ელისაბედ ბაგრატიონი, ერეკლე ბატონიშვილისა და თამარ ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „საზანდარის“ ფსევდონიმით ცნობილი, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ორი გაზეთის: ფრანგული „ჟორჟი იმპედანტის“ და ინგლისური „ჯორჯიან მესენჯერის“ დამაარსებელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ის ფრანგული ენის კათედრის პროფესორი იყო. ერეკლეს ძმის შესახებ კი ცოტა რამ არის ცნობილი. მშობლებმა უფროსს ვაჟს სახელგანთქმული სარდლის თამაზ ორბელიანის სახელი დაარქვეს, უმცროსს კი, როგორც აღვნიშნეთ, პაპის – ერეკლესი. თამაზი, როგორც უცხო ენების კარგი მცოდნე, თარჯიმნად მუშაობდა სამშობლოში, მერე კი უკვალოდ გაქრა.

ერეკლე ორბელიანმა კარგად იცოდა უცხო ენები. ამასთანავე მან ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა მუსიკალური ნიჭი. თბილისში ქართული გიმნაზიისა და კონსერვატორიის დასრულების შემდეგ მან სწავლა გერმანიაში განაგრძო – შემდეგ კი საფრანგეთსა და იტალიაში. ის აქტიურად ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. ევროპის მერე კონცერტებით მოიარა ამერიკის შეერთებული შტა-

ტები და ლათინური ამერიკის ქალაქები. საინტერესოა, რომ ის გამოდიოდა იტალიელ ბენიამინო ჯილესთან ერთად. მას ძალიან დიდი წარმატება და პრესის გამოხმაურება ჰქონდა. რადგან ის საქართველოს ოკუპაციის დროს გასტროლით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამშობლოში ველარ დაბრუნდა. 1924 წელს ის პარიზში ცხოვრობდა. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას. 1930 წელს კი ის ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა და 1931 წლის ბოლოს სამი კონცერტი მისცა. „ასტორ გალერეაში“ გამართულ კონცერტს (12 ნოემბერი) პრესამ დიდი ყურადღებით გამოეხმაურა; მეორე კონცერტის შესახებ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერდა, რომ მსმენელი აღფრთოვანებით ესალმებოდა „ყოფილ ქართველ თავადს, რომელმაც ტიტულს მუსიკოსობა ამჯობინა“. მესამე კონცერტი კი 4 დეკემბერს სტენვეის დარბაზში გამართა, რომელზეც აუარებელი ხალხი დაესწრო, რამაც განაპირობა ერეკლეს წარმატებული საშემსრულებლო კარიერა. გამოჩენილი კომპოზიტორი სერგეი რახმანინოვი, რომელიც ოჯახის მეგობარი და თამარ გრუზინსკაიას სალონის ხშირი სტუმარი იყო, მასზე ამბობდა: „ჩემს შემდეგ ჩემს ნაწარმოებებს ყველაზე უკეთ ირაკლი ორბელიანი ასრულებსო.“ საინტერესოა, გარდა იმისა, რომ ის იყო წარმატებული პიანისტი, ასევე წერდა მუსიკას, რომანსებს ემიგრანტი პოეტების შალვა ამირეჯიბისა და სიმონ ბერეჟიანის ლექსებზე. ამ ნაწარმოებებს ის ხშირად ასრულებდა. სამწუხაროდ, სუსტი ჯანმრთელობის გამო მან მუსიკალური კარიერა ველარ გააგრძელა.

1920–1930 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველთა რაოდენობა ათეულს არ აღემატებოდა. ორბელიანმა საჭიროდ გახადა ქართული სათვისტომოს დაარსება. ის ამ სათვისტომოს ხელმძღვანელად ორჯერ იქნა არჩეული. მან ამერიკის ადმინისტრაციის ნდობა დაიმსახურა. როგორც პიანისტი და კომპოზიტორი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებებში. დამოუკიდებლობისა და „წმინდა ნინოს ხსენების დღეს“ სათვისტომოს წევრები უხმაუროდ, შინაურულად აღნიშნავდნენ

ხოლმე, მაგრამ 1935 წელს მას ფართო სახე მისცეს და უცხოელებიც მიიწვიეს. საკონცერტო დატვირთვით კი აქტიურად მონაწილეობდა ერეკლე ორბელიანი.

1941 წელს სან-ფრანცისკოში მერი ლი მაკნაიტზე დაქორწინდა, მაგრამ 1945 წელს ისე გაშორდა, რომ მემკვიდრე არ დარჩენია. რახან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქართველთა რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 200-მდე გაიზარდა, საქართველოს გათავისუფლების იმედგაცრუების შემდეგ, საჭირო გახდა დაეარსებინათ ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს საკითხს დააყენებდა ამერიკის ადმინისტრაციის წინაშე.

ერეკლე ორბელიანის ბინაზე 1950 წლის 20 ნოემბერს შეიკრიბა: თეიმურაზ ბაგრატიონი, ლეო დუმბაძე და პავლე კვარაცხელია, რომლებმაც დააარსეს „ქართველ-ამერიკელთა ლიგა.“ მემორანდუმი გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას: „ჩვენი ერის ინტერესების აუცილებლობა მოითხოვს, ამ გადამწყვეტ მომენტში აქ ისმოდეს საქართველოს ხმა.“

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საქართველოს საკითხის წამოწევისა და მსოფლიოს წინაშე მისი დაყენების უდიდესი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადამწყვეტილებით რადიო სადგურ „ამერიკის ხმის“ რედაქციაში ქართულ ენაზე მაუწყებლობის დაწყებამ. ხელისუფლებამ კი დიდი პატივით ყურადღება შეაჩერა ერეკლე ორბელიანზე, რომელსაც დაევალა ქართული რედაქციის მოწყობა და კადრებით დაკომპლექტება. (სწორედ „ამერიკის ხმას“ უკავშირდება ისეთი ცნობილი წამყვანების სახელები, როგორებიცაა: კიკა ქალელი, რამაზ ჯაბადარი, ლუკა ბეთანელი, ეთერ ფიჩხაძე და სხვები.)

1951 წლის 26 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ აჩენსონმა ამერიკის მთავრობის სახელით ქართველ ერს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა, რომელსაც სხვა ერები შეუერთდნენ. შეიქმნა გაერთიანებული რედაქცია, რომლის ხელმძღვანელად ერეკლე ორბელიანი დაინიშნა. სამწუ-

ხაროდ, ის მალე გარდაიცვალა 1954 წლის 31 მარტს და დაკრძალულია ნიუ-ორკში.

P. S. დაარსების დღიდან „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას მაუწყებლობა არ შეუწყვეტია. თუმცა აშშ-ს საერთაშორისო მაუწყებლობის მმართველთა საბჭოს 2007 წლის რეკომენდაციით, რომელიც აშშ-ს მაშინდელი საბიუჯეტო განაცხადში აისახა, 2008 წლიდან უნდა შეწყვეტილიყო „ამერიკის ხმის“ გადაცემები ქართულ და უზბეკურ ენებზე. მაგრამ საქართველო-რუსეთის ომმა „ამერიკის ხმის“ ქართული სამსახურის ბედი რადიკალურად შეცვალა. ქართულ ენაზე მოსაუბრე ამერიკული რადიოს ნახევარსაათიანი გადაცემები შეწყვეტის ნაცვლად გაიზარდა ერთი საათით.

დამოწმებანი

გაბრიჭიძე, მ. „ერეკლე ორბელიანი 'ამერიკის ხმის' ქართული რედაქციის პირველი დირექტორი (ინტერვიუ რუსუდან დაუმვილთან)“. გაზეთი *კვირის პალიტრა*, <http://www.kvirispalitra.ge/history/8205-erekle-orbeliani-qamerikis-khmisq-qarthuli-redaquiis-pirveli-direqtori.html>

მჭედლიძე, დ. „რადიო 'ამერიკის ხმის' სამსახური 60 წლისაა (სარედაქციო წერილი)“. *Media.ge*, <http://www.media.ge/ge/portal/articles/41255/>

უტიაშვილი, ნ. „ვინ იყო ქართველი თავადი, რომელმაც აშშ ადმინისტრაციის ნდობა დაიმსახურა?“. გაზეთი *თბილისელები*, http://www.tbilisebi.ge/?mas_id=1687&jurn_id=49&rubr_id=27

NUKRI KARKADZE

Baghdadi Youth House, Teacher

EREKLE ORBELIANI

SUMMARY

Erekle Orbeliani was a musician, composer, radio host, a person whose name is associated with the First Georgian program of the Voice of America aired from New York on May 26, 1951. First to speak to the audience was Erekle Orbeliani. He was King Erekle II's descendant - one of the last of the Orbelians. He was one of the initiators and leaders of the foundation of Georgian Diaspora in the USA.

In 1801 the group of royal princes (batonishvili) – Ioane, Bagrati and Mikheil were invited to the ceremony of the coronation of Tsar Alexander I in St. Petersburg. As soon as Tsar Alexander published his manifesto declaring the East Georgian kingdom of Kartlo-Kakheti irrevocably joined to the Russian empire, they unfortunately were not able to go back to their home country. The representatives of the Bagrationi Dynasty were constantly forced to relocate. However some of them managed to stay in the country. Among these people was Prince Royal Alexander's son, Erekle. His grandson Erekle Orbeliani died in emigration just as Prince Royal Alexander had. He was good at foreign languages. He got professional musical education in Tbilisi. He was an active participant at concerts in France and Italy. After his arrival from Europe he left for the USA and Latin America. Because of situation in Georgia (during his visit Georgia was occupied he was not able to go back to Georgia. In 1930 he settled in the USA and in 11 he had grandiose concerts at the Concert Hall of Astor Gallery and Steinway Hall. He earned the trust of the US administration. The US government's decision to start radio programs of the Voice of America in Georgia was

helpful and brought the issue of Georgia to the front. The US authorities treated him with great respect. On May 22, 1951 on behalf of the USA government the US Secretary of State Dean Acheson congratulated all the Georgian people on Georgia's Independence Day. Unfortunately Erekle Orbeliani soon died and was buried in New York.

გიორგი ჯიბაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის დოქტორი

ოპერაცია „ოვერლორდის“ მომზადების სამხედრო ტექნიკური ასპექტები

კვებეკის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ ოპერაცია „ოვერლორდის“ მომზადება კიდევ უფრო ჩქარი ტემპით გაგრძელდა. კვებეკის შეხვედრის დასრულებიდან მოკლე ხანში გენერალი დ. ეიზენჰაუერი უმაღლეს მთავარსარდლად, ხოლო გენერალი ბ. მონტგომერი საექსპედიციო არმიის ხელმძღვანელად დაინიშნენ. ეიზენჰაუერის მოადგილე ავიაციის მარშალი ა. ტედერი გახდა (Леоунхейм, Лэнгли, Манфред 1995: 473). ავიაციის მარშალ ტ. ლი-მელორის საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა, ხოლო ადმირალ ბ. რამსეის სამხედრო საზღვაო ფლოტის მეთაურობა დაეკისრა. ეიზენჰაუერის შტაბის უფროსად გენერალი ბ. სმიტი დაინიშნა, რომლის მოადგილეობა გენერალ ფ. მორგანს დაევალა. „ოვერლორდის“ მომზადება გენერალ ფ. მორგანის მეთაურობით, რომელსაც მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი შტაბის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა ეკავა, 1943 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა. გეგმის მიხედვით ოპერაციის მასშტაბები და ნორმანდიის სანაპიროზე განსახორციელებელი პირველი შტურმი იმ დროისათვის მოკავშირეთა ძალების განკარგულებაში არსებულ სადესანტო საშუალებების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. გენერალ მორგანისათვის მიცემული დირექტივით პირველი შტურმი სამი დივიზიის მონაწილეობით უნდა განხორციელებულიყო, რომელსაც მყისვე ორი დივიზია დაეხმარებოდა. აღნიშნული დირექტივის მიხედვით მორგანის მიერ წარმოდგენილი გეგმა სამი დივიზიის კანსა (საუბარია ნორმანდიაში მდებარე ქალაქ-

ზე) და კარანტანს შორის სანაპიროზე გადასხმას ითვალისწინებდა. გენერალს სურდა ჯარის ნაწილი კარანტანის ჩრდილოეთით შერბურთან ახლოს გადაესხა, თუმცა, მისი აზრით, ამას შეიძლებოდა ძალების დაქსაქსვა გამოეწვია, რადგან კარანტანის დაჭაობებული ადგილიდან შეტევის განხორციელება საარმიო დაჯგუფებებს შორის კავშირის დამყარებასა და კოორდინირებულ მოქმედებას გაართულებდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როგორც ეიზენჰაუერი, ისე მონტგომერი გენერალ მორგანისაგან განსხვავებით მიიჩნევდნენ, რომ ლა-მანშზე პირველი შტურმი უფრო დიდი ძალების მონაწილეობით უნდა განხორციელებულიყო, ვიდრე ეს ამ უკანასკნელის გეგმაში იყო წარმოდგენილი. მათი შეხედულებით, მონინალმდეგეზე სწრაფი წარმატების მისაღწევად საჭირო იყო არა სამი, არამედ ხუთი დივიზია, რათა მოკავშირეთა ძალებს კონტინენტზე გადასხმიდან უმოკლეს დროში შეტევისათვის რაც შეიძლება დიდი პლაცდარმის დაკავება შეძლებოდათ. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობდა, თუ სად გამოეძებნათ მოკავშირეებს ხუთი დივიზიის გადასასხმელად საჭირო სადესანტო გემები. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მათ უკვე მოეხდინათ „ოვერლორდისათვის“ საჭირო გემების ტრანსპორტირება (Черчилль 1991: 317), თუმცა არსებული გემების რაოდენობა ლა-მანშის ფორსირებისათვის მაინც არასაკმარისი იყო. მართალია, ხმელთაშუა ზღვაში ორი დივიზიის გადასხმისათვის სამყოფი სადესანტო გემების რაოდენობა არსებობდა, თუმცა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები ოპერაცია „ენვილისათვის“ – მოკავშირეთა ძალების სამხრეთ საფრანგეთში შეჭრისათვის იყო გათვალისწინებული. აღნიშნული სამხედრო ღონისძიების ძირითადი დანიშნულება, რომელიც „ოვერლორდთან“ ერთად უნდა განხორციელებულიყო, ჩრდილოეთ საფრანგეთიდან გერმანული ძალების მოხსნის უზრუნველყოფაში მდგომარეობდა. იმ შემთხვევაში თუ „ენვილის“ მასშტაბები შემცირდებოდა, მაშინ ის ვერანაირ დახმარებას გაუწევდა

მოკავშირეთა ძირითად ოპერაციას „ოვერლორდს“. საბოლოო გადაწყვეტილება გენერალმა ეიზენჰაუერმა ინგლისის შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტთან გამართული შეხვედრის შემდეგ 1944 წლის მარტში მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას ეიზენჰაუერის ხმელთაშუა ზღვის რაიონში არსებული სიტუაციის გაცნობამ შეუწყო ხელი. აქ ყოფნით ამერიკელ გენერალს პირადად შეეძლო საკუთარი თვალით ეხილა და შეეფასებინა ადგილზე არსებული სადესანტო საშუალებების საბრძოლო რესურსი. გადანყდა, რომ „ენვილისათვის“ განკუთვნილი ერთი დივიზიის გადასასხმელად საკმარისი რაოდენობის გემები ლა-მანშის ფორსირებისათვის გამოეყენებინათ. ხოლო კონტინენტზე გადასასხმელ დამატებით ერთი დივიზიისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების დანაკლისი – მოკავშირეებს ოპერაცია „ოვერლორდის“ განხორციელებამდე დარჩენილ დროში დაემზადებინათ. ამისათვის კი, გენერლის აზრით, საჭირო იყო ლა-მანშზე შტურმი ივნისის სავსემთვარეობამდე გადაევადებინათ. ეიზენჰაუერის შეხედულებას მხარი აშშ-ინგლისის შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტებმაც დაუჭირეს. ამასთანავე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დიდ ბრიტანეთს და აშშ-ს „ოვერლორდის“ განსახორციელებლად განსაზღვრული სამი დივიზიისათვის თითო-თითო დივიზიაც დაემატებინათ, რათა ლა-მანშის ფორსირების პირველი ეტაპისათვის საჭირო დივიზიათა საერთო რაოდენობა ხუთამდე გაზრდილიყო (Черчилль 1991: 317). როდესაც „ოვერლორდის“ მასშტაბები განისაზღვრა, მოკავშირეები ინტენსიურ წრთვნებს შეუდგნენ. სადესანტო ოპერაციების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული დეტალები დამუშავებულ იქნა კომბინირებულ ოპერაციათა შტაბის მიერ ადმირალ ლ. მაუნტბეტენის ხელმძღვანელობით. სწავლებათა დამამთავრებელ ეტაპზე, რომელიც მაისის თვეში მიმდინარეობდა და სადაც შეიარაღებული ძალების სამივე სახეობა მონაწილეობდა, გათვალისწინებულ იქნა ყველა წინამორბე-

დი მასშტაბური სამხედრო მეცადინეობათა გაკვეთილები, მათ შორის დიეპის მწარე გამოცდილებაც.

1944 წლის აპრილისათვის მოკავშირეთა გეგმებმა დასრულებული სახე მიიღეს. უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ინგლისის მეორე არმიას გენერალ მ. დემპსის ხელმძღვანელობით სამი დივიზია სანაპიროზე კანის ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით უნდა გადაესხა. მანამდე კი რამოდენიმე საათით ადრე საჰაერო სადესანტო დივიზიას კანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში ხიდები უნდა დაეკავებინა და აღმოსავლეთ ფლანგის დაცვა უზრუნველყო. ინგლისელთა მარჯვენა ფლანგზე კი აშშ-ს პირველი არმიის ერთი დივიზია გენერალ ო. ბრედლის მეთაურობით მდინარე ვირის აღმოსავლეთ, ხოლო მეორე მის ჩრდილოეთ სანაპიროზე უნდა გადამსხდარიყო. ამ უკანასკნელის დასახმარებლად კი გათვალისწინებული იყო საჰაერო სადესანტო ორი დივიზიის ქვეყნის სიღრმეში გადასროლა (Черчилль 1991: 320). მოკავშირეთა შეტევის პირველ ობიექტებად კანი, ბაიე, იზინი და კარანტანი მოიაზრებოდა. ამ პუნქტების დაკავების შემდეგ ამერიკელებს კოტანტენის ნახევარკუნძულისა და მისი ჩრდილოეთით მდებარე ქ. შერბურის ოკუპაცია უნდა მოეხდინათ. ინგლისელებს კი მოწინააღმდეგის მხრიდან აღმოსავლეთით კონტრშეტევის შემთხვევაში ამერიკელთა ფლანგი უნდა დაეცვათ და აეროდრომების მოსაწყობად კანის სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი დაეკავებინათ. მოკავშირეები იმედოვნებდნენ, რომ ლა-მანშის ფორსირებიდან სამი კვირის განმავლობაში მათი საჯარისო ნაწილები აღმოსავლეთით პარიზის მიმართულებით შეძლებდნენ გაჭრილიყვნენ, ხოლო დასავლეთით ბრეტანის პორტებს დაიკავებდნენ. რაც შეეხება ფლოტს – მის მთავარ ამოცანას მოკავშირეთა ჯარების ლა-მანშზე უსაფრთხოდ გადაყვანა და მათ ხელთ არსებული საშუალებებით გადასხმის მხარდაჭერა წარმოადგენდა. ამის შემდეგ ფლოტს ზღვის მდგომარეობისა და მტრის მოქმედების მიუხედავად დროულად უნდა უზ-

რუნველყო დამხმარე ძალისა და საბრძოლო მასალების ტრანსპორტირება (Черчилль 1991: 320).

მოკავშირეებისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლა-მანშე ფორსირებისას მენინავე საჯარისო შენაერთების ჰაერიდან დაცვის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ არხზე შეტევამდე რამდენიმე ხნით ადრე მონინაალმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, მოკავშირეთა მხრიდან საფრანგეთის სანაპიროების ინტენსიური დაბომბვა ხორციელდებოდა. იბომბებოდა გერმანელთა სამხედრო კომუნიკაციები, აეროდრომები, სარადარო სისტემები. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა სამხედრო საჰაერო ძალების უპირველეს ამოცანას, როგორც ზღვიდან ისე ჰაერიდან, საკუთარი გემებისა და ბადრაგების დაცვა წარმოადგენდა, რათა მათ უსაფრთხოდ მოეხდინათ საჯარისო ნაწილების დანიშნულების ადგილამდე გადაყვანა (Черчилль 1991: 323).

მოკავშირეთა ფართომასშტაბიანი შეტევის მზადების შესახებ, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო მონინაალმდეგისათვის, მაგრამ გერმანელებმა არ იცოდნენ, თუ დროის რომელ მონაკვეთში და კონკრეტულად სად მოხდებოდა კონტინენტზე შეჭრა. დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით განხორციელება მოკავშირეთა მხრიდან დიდ ძალისხმევასა და შემოქმედებასაც კი მოითხოვდა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მკაცრი ზომების მიღებასაც არ ერიდებოდნენ. ლა-მანშის ფორსირებამდე რამდენიმე კვირით ადრე აიკრძალა სანაპირო ზოლში თავისუფალი გადაადგილება, გაძლიერდა ცენზურა, შეწყდა საფოსტო ამანათებისა და წერილების გაგზავნა, საელჩოებს აიკრძალათ დაშიფრული ტელეგრამებით სარგებლობა, შეფერხებით მუშაობდა დიპლომატიური ფოსტაც (Черчилль 1991: 323). ამგვარი ზომების მიღებით მოკავშირეები ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას ცდილობდნენ. თან მკაცრად ასაიდუმლოებდნენ ნებისმიერ ინფორმაციას ოპერაცია „ოვერლორდის“ შესახებ, თანაც შეცდომაში შეჰყავდათ მონინაალმდეგე, თით-

ქოს ისინი დუვრის სრუტისა და არა ნორმანდიის მიმართულე-
ბით აპირებდნენ შეტევას. მოკავშირეები ამ მიმართულებითაც
არ იშურებდნენ ძალისხმევას: კენტსა და სასექსში ხდებოდა
საჯარისო ნაწილების თავმოყრის იმიტაცია, სამხრეთ-აღმოს-
ავლეთ ინგლისის პორტებში ისინი გემების მაკეტების აგე-
ბით იყვნენ დაკავებულები, სანაპიროს ტერიტორიაზე სადე-
სანტო სწავლებებს მართავდნენ, რასაც თან ახლდა რადიო-
გადამცემების გაძლიერებული მუშაობა. იმ რაიონებში, სადაც
მოკავშირეები არ გეგმავდნენ გადასხმას, მათი მხრიდან ინ-
ტენსიური დაზვერვითი სამუშაოები ხორციელდებოდა, ვიდ-
რე იმ რაიონში, სადაც რეალურად უნდა მომხდარიყო კონ-
ტინენტზე შეჭრა. ყოველივე ამან კი, ინგლისის პრემიერის
აზრით, საუკეთესო შედეგი გამოიღო. გერმანიის უმაღლესი
მთავარსარდლობა აბსოლუტურად დარწმუნებული იყო იმა-
ში, რომ მოკავშირეთა მთავარ სამიზნეს პა-დე-კალე წარმო-
ადგენდა. მიუხედავად მოკავშირეთა მხრიდან ასეთი მასშტა-
ბური სამხედრო მზადებისა, მონინალმდეგისათვის სრული-
ად მოულოდნელი აღმოჩნდა „არხის“ ფორსირების დრო და
ადგილი. ოპერაცია „ოვერლორდის“ დაწყების წინ გერმანიის
მთავარსარდლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა
იმის შესახებ, თუ კონტინენტის რომელ კონკრეტულ უბან-
ზე მიიტანდნენ იერიშს მოკავშირეთა ჯარები. ფელდმარშალი
რუნდშტედტი მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ სადე-
სანტო შეტევა პა-დე-კალეზე განხორციელდებოდა, რადგანაც
ეს იყო ყველაზე მოკლე და შედარებით ადვილად შესაღწევი
საზღვაო გზა გერმანიის გულისაკენ. საინტერესოა, რომ გ.
რუნდშტედტს ეთანხმებოდა აგრეთვე გერმანელი გენერალი ე.
რომელი. მაგრამ ჰიტლერისა და მისი შტაბისათვის ცნობილი
გახდა, რომ ბრძოლის მთავარი არენა ნორმანდია იქნებოდა.
თუმცა, ჩერჩილის ცნობით, მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა
ჯარები კონტინენტზე შეიჭრნენ, გერმანიის სამხედრო ხელ-
მძღვანელობა ჯერ კიდევ ბოლომდე დარწმუნებული არ იყო

იმაში, თუ კონტინენტის რომელ მონაკვეთზე მიიტანდა მონინალმდეგე მთავარ დარტყმას (Черчилль 1991: 347).

1944 წლის გაზაფხულისათვის ბრიტანეთის კუნძულებზე უკვე თავმოყრილი იყო მოკავშირეთა მნიშვნელოვანი ძალები ჩრდილოეთ საფრანგეთში შესაჭრელად. ოპერაციის განხორციელების წინ ინგლის-ამერიკის ავიაციამ მასირებულად დაბომბა მონინალმდეგის თავდაცვითი პოზიციები. 6 ივნისის დილით კი საფრანგეთის სანაპიროს 5 უბანზე მოკავშირეთა საზღვაო დესანტის კონტინენტზე გადასხმის ოპერაცია დაიწყო. მოკავშირეებს გერმანელთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ეს იმით იყო გამონვეული, რომ გერმანელები ინგლის-ამერიკის ჯარების ევროპაში შეჭრას პა-დე-კალეს რაიონში მოელოდნენ და ყველაზე მეტად ეს ადგილი ჰქონდათ გამაგრებული. ნორმანდიაში შეჭრას კი ისინი სათუოდ მიიჩნევდნენ (Типпельскирх 1957: 396). უნდა აღინიშნოს, რომ ლა-მანშის ფორსირების ოპერაცია ძალზე დეტალურად იყო მომზადებული. თავისი მასშტაბების, ტექნიკური საშუალებების, მონაწილეთა რაოდენობისა და ორგანიზაციის თვალსაზრისით ის უნიკალური იყო სამხედრო ისტორიაში. ოპერაციის უნიკალურობაზე და გრანდიოზულობაზე ისიც მეტყველებს, რომ 1944 წლის ივნისის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე კონცენტრირებული საექსპედიციო ძალების რიცხვი 2 მილიონ 876 ათას 439 ადამიანს აღწევდა. საწყის ეტაპზე „ოვერლორდის“ ჩატარებისათვის მოკავშირეებმა თავი მოუყარეს 39 დივიზიას. მათი სამხედრო საჰაერო ძალები 11 ათას საბრძოლო და 2 ათასზე მეტ სატრანსპორტო თვითმფრინავს ითვლიდა. სამხედრო საზღვაო ძალების განკარგულებაში კი იყო სხვადასხვა ტიპის 6 ათასამდე საბრძოლო და სადესანტო გემი (Eisenhower 1948: 53). აღსანიშნავია, რომ „ოვერლორდის“ დაწყებიდან პირველი 6 დღის განმავლობაში კონტინენტზე გადასხმულ იქნა 326 ათასი ჯარისკაცი. გადაიტვირთა 54 ათასი სხვადასხვა სახეობის მანქანა და 104 ათასი ტონა

საბრძოლო მასალა. სადესანტო გემების მნიშვნელოვანი დანაკარგების მიუხედავად სანაპიროზე გადასხმული ჯარისკაცების მომარაგება შეუფერხებლად მიმდინარეობდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერის ცნობით, ამ პროცესში ყოველდღიურად, საბრძოლო მასალებით დატვირთული, 200 დიდი და მცირე სხვადასხვა ტიპის გემი მონაწილეობდა, რაც მათი რაოდენობისა და ცუდი ამინდის გათვალისწინებით იოლი საქმე არ იყო. მიუხედავად ამ სირთულეებისა მოკავშირეებმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს. ამაში განსაკუთრებით გამორჩეული როლი დიდი ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტმა შეასრულა, რომლის მეზღვაურები ნებისმიერი რისკის ფასად მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ (Черчилль 1991: 351). რაც შეეხება გერმანელებს, მათ ამ დროისათვის დასავლეთ ევროპაში 60, ნორმანდიაში კი მხოლოდ 10 დივიზია ჰყავდათ. ამასთან მათი დიდი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პა-დე-კალეს რაიონში იყო განლაგებული. საფრანგეთის აეროდრომებზე თავმოყრილი იყო გერმანელთა 500 თვითმფრინავი, რომელთაგან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მხოლოდ 90 ბომბდამშენი და 70 გამანადგურებელი იყო (Типпельскирх 1957: 396).

ამგვარად, ინგლის-ამერიკის ჯარებს მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდათ მოწინააღმდეგის ძალებთან შედარებით, რამაც განაპირობა კიდევ ოპერაცია „ოვერლორდის“ წარმატება. უკვე 12 ივნისისათვის მოკავშირეებმა 80 კილომეტრამდე გააფართოვეს დაკავებული პლაცდარმი და ფრონტის სიღრმეში 17 კილომეტრით შეიჭრნენ. თუმცა მათი შემდგომი შეტევები, ვიდრე გათვალისწინებული იყო, შედარებით ნელი ტემპით წარიმართა.

დაბოწმებანი

Eisenhower, D. *Crusade in Europe*. N. Y. 1948.

Лоунхейм, Френсис Л., Лэнгли, Гарольд Л., Манфред, Джонас (ред.). *Секретная переписка Рузвельта и Черчилля в период войны*. Москва: Терра, 1995.

Черчилль, У. *Вторая мировая война. Кн. 3*. Москва: Воениздат, 1991.

Типпельскирх, К. *История второй мировой войны*. Москва: Изд. иностр. лит., 1956.

GIORGI KVITASHVILI

Akaki Tsereteli State University, Doctor of History

MILITARY TECHNICAL ASPECTS OF OPERATION “OVERLORD”

SUMMARY

The paper is concerned with some technical and military aspects of the operation “Overlord”. The author deals with theoretical as well as practical details of this extremely wide-scale military operation carried out by the allies. He concludes that it was an unprecedented and unique operation in history in terms of organizational skills, the number of soldiers involved and technical equipments used.

მარია მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის
მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

აახაი ჰავაზა გაზეთი „ქართული აზრის“ ფურცლებზე

იმ მრავალრიცხოვან ჟურნალ-გაზეთთა ფონზე, რომლებიც 1921 წლის ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების ძალისხმევით ევროპასა და ამერიკაში გამოდიოდა, ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და ხანგრძლივობით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გაზეთ „ქართულ აზრს“.

მისი პირველი ნომერი 1955 წლის 1 დეკემბერს გამოვიდა ნიუ-იორკში და ისიც ემიგრაციაში გამომავალ პერიოდიკის მსგავსად ანტიკომუნისტური ხასიათისა იყო. „ქართული აზრის“ პირველი ნომრის მონინავე სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „მეორე მსოფლიო ომმა ქართულ ემიგრაციაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა: პირველ ემიგრაციას მოემატა სამშობლოს თავისუფლებისათვის იარაღით ნაბრძოლი ახალგაზრდობა და ამით ემიგრაცია გაიზარდა, უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ამასთან ქართველობა მთელს მსოფლიოში მიმოიფანტა და ამ გარემოებამ პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს არსებობის საჭიროება გაზარდა. „ქართული აზრი“ ეცდება თავი გაინთავისუფლოს გავლენათა პარტიული და ჯგუფური შეფასებისაგან და ქართული ემიგრაციის პოლიტიკური საქმიანობის და ცხოვრების და რამდენადაც ამის საშუალებას „რკინის ფარდა“ იძლევა, საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ მშობლიურ ენაზე მართალი ინფორმაცია მიანოდოს, რაც გააადვილებს დაფანტული ქართველების სულიერად და იდეურად დაახლოებას და შეგვამძებინებს შევინახოთ ის უკვდავი ქართული სული, რომელმაც ჩვენი ეროვნული სახე დღემდე მოგვატანინა.“

გაზეთში ასევე მითითებული იყო შემდეგი: „გაზეთი იქნება ყველა ქართველის თავისუფალი ტრიბუნა, რომელიც დასტამბავს ყველა ქართველის (ცხადია, გარდა კომუნისტისა) სტატიას, მიუხედავად იმისა, რედაქცია იზიარებს თუ არა მის აზრს.“

მონინავე სტატია აღნიშნავს ასევე იმ მნიშვნელოვან ფაქტზეც: „პირველი შემთხვევაა, რომ შეერთებულ შტატებში ნაბეჭდი ქართული გაზეთი გამოდის. ეს გარემოება რედაქციას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს: შინაარსით, ინფორმაციის სისწორით და საკითხებისადმი ობიექტური მიდგომით გაზეთი უნდა გახდეს ქართველების დიდი წარსულისა და სახელისათვის შესაფერის ორგანოდ. ამ მძიმე ტვირთის აწევას მხოლოდ ის ენა გვაბედვინებს, რომ სამშობლოს მოყვარული ქართველობა დახმარებას არ მოგვაკლებს.“

ნითელ ტირანიასთან საქართველოს ბრძოლის უკვე 35 წლის ისტორია აქვს. ამან შეინირა მრავალი ათასი საუკეთესო მამულიშვილის სიცოცხლე. მიუხედავად ამისა, საქართველო სულიერად გაუტეხელია და დღესაც ისევე, როგორც წარსულში, მხოლოდ შესაფერის მომენტს ელის თავის ეროვნულ სახელმწიფოებრივობის აღსადგენად. იქ ხალხს წართმეული აქვს აზრის გამოთქმის უფლება. ამიტომ ემიგრაციის – რომელსაც არავინ უზღუდავს სიტყვის თავისუფლებას – უწმინდესი მოვალეობაა სწეროს და ილაპარაკოს ქართველი ერის ჭირ-ვარამზე და ყველგან, მთელ ქვეყანაში, საქართველოს ეროვნულ გამათავისუფლებელი ბრძოლის თანამგრძნობი ეძებოს („ქართული აზრი“ 1955: 1).

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველთა გაზეთის „ქართული აზრის“ დევიზი იყო აბრამ ლინკოლნის სიტყვები: „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმათლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

„ქართული აზრი“ ნიუ-იორკში 1955 წლის დეკემბრიდან 1974 წლის ოქტომბრამდე გამოდიოდა. მისი რედაქტორ-

რი იყო დ. სინდიკელი (დ. შინჯიკელი, შინჯიკაშვილი). გაზეთის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდა გ. გაბლიანი, ს. კაიშაური, გ. ლოლუა, ვ. სონგულია და გ. ზალდასტანიშვილი.

„ქართული აზრის“ ფურცლებზე ბევრი საინტერესო წერილი, ნარკვევი თუ მხატვრული ნაწარმოები არის გამოქვეყნებული. მათ შორის დავასახელებთ აკაკი პაპავას (65–66) სტატიას „პატიოსანი და ძვირფასი თვლები“, რომელშიც ავტორი აღნიშნავდა: „საქართველოს სუვერენობის აღდგენა იყო არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ ერის სახელმწიფოებრივი ენერგიისა და ტრადიციების, შინაგანი მთლიანობისა და ბრძოლების პირდაპირი შედეგი“ („ქართული აზრი“ 1964: 5).

აქედან გამომდინარე აკაკი პაპავას დიდ ისტორიულ მოვლენად მიაჩნდა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება. რუსთა შემოჭრის მიზეზად კი მწერალს საქართველოში არსებული სხვადასხვა პარტიების დაპირისპირება მიაჩნდა: „არჩილ ჯორჯაძის გვერდით უნდა დამდგარიყო ნოე ჟორდანიას... ორივენი კი უნდა ილიას გზას გაჰყოლოდნენ. სხვა „ამბები“ ინტერნაციონალიზმისა მხოლოდ „ზედნაშენი“ უნდა გამხდარიყო და ეს ნამდვილად ასე გახდა“ („ქართული აზრი“ 1963: 4).

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ ერთ დიდ ნაბიჯად აკაკი პაპავა თვლის ქართველ თავად-აზნაურთა 1917 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებას, მიმართულს ეროვნული საბჭოს მოწვევისა და საქართველოს სახელმწიფოს შექმნისაკენ. ამ აქტს თავისი მნიშვნელობით იგი უტოლებს 1917 წლის 17 სექტემბრის ქართველი სამღვდელოების მიერ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და კათალიკოსის არჩევის ფაქტს, რომელიც წინ უსწრებდა 1917 წლის 19 ნოემბერს გამართულ „ეროვნულ ყრილობას“.

სწორედ „ეროვნული ყრილობა იქცა 26 მაისის ქართულ პარლამენტად და ერის სუვერენობის დოკუმენტი ქვეყანას ამცნო.

აქ ერთი მეორედან გამოდის, პირველი მეორეს ქვაკუთხედა“ („ქართული აზრი“ 1964: 5).

აკაკი პაპავა ამ სტატიაში ყურადღებას ამახვილებს ხსენებული ყრილობის ორ განცხადებაზე, რომლებიც შეეხება ეროვნული დამფუძნებელი კრების მონვევასა და ქართველი თავადაზნაურობის მიერ მთელი ქონების გაერთიანებული ქართველი ერისათვის გადაცემას. „ჩვენ ვნახეთ ეს შედეგადებული, ერთეულად ჩამოსხმული საქართველო ყველა მისი წოდებით, კლასით, წრეებითა და პარტიებით. ამან წარმოშვა დიადი დღე 26 მაისისა“ („ქართული აზრი“ 1964: 5).

1962 წელს ნიუ-იორკში გამოიცა აკაკი პაპავას უკანასკნელი ლექსთა კრებული „მონამეთობა“, რომლის შესახებ გაზეთ „ქართული აზრის“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „გამოვიდა აკაკი პაპავას ლექსთა კრებულის მე-4 წიგნი. წიგნი შეიცავს 32 ლექსს და ავტორისავე წინასიტყვაობას. წინასიტყვაობაში მოთხრობილ „ცოდვათა“ ახსნა, უნდა ვიგულისხმოთ, უფრო ეროვნულ-თავისუფლებისათვის ბრძოლებში განვლილი ეკლიანი გზის მიმოხილვად, ვიდრე პირდაპირი გაგებით „ცოდვათა“ მონანიებად, ან შენდობის თხოვნა. სხვანაირად ხომ აუხსნელი იქნებოდა ამავე წიგნში სოლომონის, ვახტანგ მეფის და სულხან-საბა ორბელიანის ოდის წერა?! ყოველ ლექსში ჩაქსოვილია ღრმა პატრიოტიზმი და ბრძოლის ყიჟინა. როგორც თვითონ ავტორი ამბობს, „შენს დესპანს ჭმუნვა არ დასწოლია და არც დაღლის დრო არა ჰქონია“. ავტორი ამ სიტყვებით ქართულ ეროვნულ ემიგრაციას კიდევ ერთხელ აგონებს, რომ „მას არც დაღლის დრო აქვს და არც ჭმუნვის მიზეზი. ეს მოწოდებაა, რომ ემიგრაციამ თავისი წმინდა მოვალეობა შეასრულოს და ყველა მდგომარეობაში იყოს თავისი ქვეყნის დესპანი“ („ქართული აზრი“ 1962: 4).

ამ სიტყვებიდან გამომდინარე ჩანს, რომ პოეტს თვალსაჩინოდ აქვს წარმოდგენილი თავისი პოლიტიკური შეხედულებები და ის უკვე შორს დგას ქართული ემიგრაციისათვის დამახასიათებელი „გულუბრყვილო სტუმრობისა“ და „პოლიტიკური რო-

მანტიკისაგან“, რომელსაც იგი კიდევ ერთხელ შეახსენებს მათ დავის ლექსში „არ დაიჯერო“:

„ბოლოს ყოველსა შეიპყრობს ძრწოლად,
ლეგიონები წამოვლენ ბრძოლად,
დაიძვრის ტალღა მტრის ჩასაქოლად,
იხმობს შენს დესპანს წინ გასაძლოლად“.

„ქართული აზრის“ ფურცლებზე აკაკი პაპავას დაბეჭდილი სტატიებია: „26 მაისის ურღვევი პალატი“ (57, 58, 81), „რუსთა-ველიანას“ ეპილოგის გამო“ (59-60); „პატიოსანი და ძვირფასი თვლები“ (65-66); „მწარე საუბარი აჩრდილთან“ (გაუტეხელის ფსევდონიმით), (62-63); „ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები“ (85, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94).

ასე რომ, გაზეთ „ქართული აზრის“ ფურცლებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ავტორ თანამშრომელ-კორესპონდენტებს შორის ცნობილი პოლიტიკური ემიგრანტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი პაპავა და ამავდროულად გაზეთის ფურცლებზე მის შემოქმედებასაც დიდ შეფასებას აძლევდნენ.

დამოწმებანი

პაპავა, აკაკი. *ლექსები. მოწამეთობა. შესავლის მაგიერ მოწამეთობის გამო*. ნიუ-იორკი, 1962. – ფ. 278. ს. 43. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.

პაპავა, აკაკი. „ოცდაექვსი მაისის ურღვევი პალატი“. *ქართული აზრი*, № 57–58. აგვისტო, ნიუ-იორკი, 1963. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.

პაპავა, აკაკი. „მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის“. *ბედი ქართლისა*, – 47, პარიზი, 1964.

პაპავა, აკაკი. „პატიოსანი და ძვირფასი თვლები“. *ქართული აზრი*, №65–66, ივნისი, ნიუ-იორკი, 1964. – ფ.278. ს. 146.

თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.

შინდიკელი, მ. პაპავა, აკაკი. *ქართული აზრი*, 74. ნიუ-იორკი, 1964.

„მონინავე წერილი“, *ქართული აზრი*, 1, ნიუ-იორკი, 1955.

MARIAM MARJANISHVILI

Kutaisi State Historical Museum, Researcher

Doctor of Philology

SUMMARY

AKAKI PAPA VA – ON THE PAGES OF THE “GEORGIAN THOUGHT”

Among numerous journals and newspapers which were published in America and Europe by the Georgian political emigration in 1921, one of the most important places was occupied by a newspaper “Georgian thought” which was distinguished by the variety of genres.

The newspaper was published in New York in 1955-74. Its editor was D. Sindikeli (D. Shinjikeli, Shinjikashvili). The editorial board of the newspaper consisted of G. Gabliani, S. Kaishauri, G. Loloa, V. Songulia and G. Zaldastanishvili.

“The Georgian thought” was the first printed body which came out in America. It was an anti-communist periodical newspaper which published articles by political emigrants from different countries all over the world.

On the pages of “The Georgian thought” there were a lot of interesting letters, sketches and fiction. Among them, we will name Akaki Papava, his article “Honest and dear eyes” in which the author remarked:

“The revival of Georgian sovereignty was not an accidental process, it is the direct result of state energy and traditions, inner unity and struggle”.

Akaki Papava’s articles published on the pages of “The Georgian thought” are: “Unbroken palate of May 26”, “On Rustaveli epilogue”, “Small and dear eyes”, “Bitter talk with ghost” (under the nickname G-A Utekheli); “Eristavi of Ksani and its last Eristavis”.

In 1962, the last collection of poems (“Motsametoba”) by Akaki Papava was published in New York. In “The Georgian thought”, we read: “The 4th collection of poems by Akaki Papava was published. The book contains 32 poems and the author’s preface”.

Thus, Akaki Papava’s publications were popular in “The Georgian thought” and the same newspaper gave his creative work great appreciation.

ელენე მაქმარიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

შეერთებული შტატების იმიჯი მსოფლიოში და საქართველოში: შედარებითი ანალიზი

შეერთებული შტატებისადმი ინტერესის, მისდამი სიმპათიის ზრდა ევროპაში მეორე მსოფლიო ომთან და მის შედეგებთან არის დაკავშირებული. ამის მიზეზი, უმთავრესად, ის დიდი დახმარება იყო, რომელიც შტატებმა ომით დანგრეულ ქვეყნებს გაუწია. საბჭოთა კავშირში კი, შესაბამისად, საქართველოშიც, ცივი ომის გაჩაღებასთან ერთად, დაიწყო აქტიური ანტიამერიკული პროპაგანდა და იმ სტერეოტიპების შექმნა, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დღემდე არსებობს. თუმცა, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში შეერთებული შტატების იმიჯი არაერთგვაროვანია და, ზოგადად, უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი, რაც ასევე ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობებით და იმ ყოველმხრივი დახმარებით არის განპირობებული, რომელიც მან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაუწია და დღემდე უწევს.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯი, პრაქტიკულად, სრულიად შეუსწავლელი საკითხია. არავის უცდია იმის გარკვევა, თუ რას ფიქრობდნენ საქართველოს მოქალაქეები შეერთებულ შტატებზე ცივი ომის წლებში, რამდენად იმყოფებოდნენ საბჭოთა პროპაგანდისა და იმ ანტიამერიკული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ, რომელთა დანერგვასაც კომუნისტები ცდილობდნენ. ასევე არ ჩატარებულა სერიოზული გამოკითხვა, თუ რას ფიქრობენ ჩვენი თანამოქალაქეები მსოფლიოს ამ უძლიერეს სახელმწიფოზე დღეს, თუ არ ჩავთვლით ჩემს სტუდენტებს, რომლებსაც ყოველწლიურად ვთხოვ შესაბა-

მისი გამოკითხვის ჩატარებას, ამერიკისმცოდნეობის შესავლის კურსის ფარგლებში.

ქვეყნის იმიჯი მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად წარმატებულია ეს სახელმწიფო, როგორი ცხოვრების წესია იქ დამკვიდრებული, როგორ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას ატარებს, ვინ არის მისი ლიდერი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გათავისუფლდა იმ ძველი სტერეოტიპებისაგან, რომლებიც თავის დროზე საბჭოთა ხალხის თვალში ამერიკის შეერთებული შტატების, ამერიკელების და ყოველივე ამერიკულის შესახებ ოდესღაც ჩამოყალიბდა, სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილებამ მაჩვენა, რომ მათი უმრავლესობა შეერთებულ შტატებს აიდეალებს. ყოველ მათ ესეიში ხაზგასმულია, რომ ამერიკა ზესახელმწიფოა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში; მისი მოქალაქეები ყველა დემოკრატიული უფლებით სარგებლობენ, რაც ქართველი სტუდენტებისთვის სრულ თავისუფლებასთან არის გაიგივებული; ისინი დარწმუნებულები არიან, რომ იქ ცხოვრების შემთხვევაში ყველა მათი ოცნება ასრულდება და სულ არ ფიქრობენ იმაზე, რომ ამისთვის დიდი შრომა დასჭირდებათ. როგორც წესი, ისინი ამერიკული ფილმების, პოპ-მუსიკის ტყვეობაში არიან, მოსწონთ ამერიკული სწრაფი კვების ობიექტები, რომლებიც საქართველოში მომრავლდა, სვამენ კოკა-კოლას, იყენებენ ამერიკულ სლენგს, ცდილობენ მიბაძონ ამერიკული ცხოვრების წესს, იმდენად, რომ აღნიშნავენ ისეთ ამერიკულ დღესასწაულებს, როგორიც არის შველოუინი, რომელსაც საქართველოსთან კავშირი საერთოდ არ აქვს. მოკლედ, საკუთარ ქვეყანაში მათ ყოველივე ამერიკულის გადმოღება სურთ, რაც ზოგჯერ კომიკურ ხასიათს ატარებს და, განსაკუთრებით, უფროსი თაობის ტრადიციონალისტებს აღიზიანებს. „ამერიკელებს სურთ, რომ მათ მიბაძონ,“ – განაცხადა პრეზიდენტმა კენედიმ თავის საინაუგურაციო სიტყვაში

(Kennedy 2011: 340). თუ ამერიკის პრეზიდენტის ამ სიტყვებს დაეუჯერებთ, დარწმუნებული ვარ, ამერიკელები კმაყოფილი იქნებიან იმით, რაც დღეს, კონკრეტულად, საქართველოში და, ზოგადად, მსოფლიოში ხდება.

ამერიკის იმიჯის ცვლილებაზე დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და ის როლი, რომელსაც მათში შეერთებული შტატები თამაშობს. ამაზე მეტყველებს ის გამოკითხვები, რომლებსაც Pew-ს კვლევითი ცენტრი (Pew Research Center) მრავალ ქვეყანაში ყოველწლიურად ატარებს. მისი ერთ-ერთი პროექტის „ამერიკის იმიჯი მსოფლიოში“ მიზანი იყო მსოფლიოში ამერიკისა და ტერორიზმის წინააღმდეგ შტატების ბრძოლისადმი დამოკიდებულების გარკვევა. კვლევა ტარდებოდა 2002-2006 წლებში მსოფლიოს 50 ქვეყანაში. კითხვები ასევე ეხებოდა დამოკიდებულებას ამერიკის ღირებულებების, ხალხის მიმართ. გამოიკითხა 110 000-მდე ადამიანი.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების იმიჯის დინამიკა იმ კონკრეტულ ქვეყნებში, რომელიც ჩემთვის საინტერესოა, შემდეგია: 2007 წლისთვის გერმანიაში ამერიკას დადებითად განიხილავდა გამოკითხულთა 37%, მაშინ როდესაც 2000 წელს ეს მონაცემი 78%-ს უდრიდა, საფრანგეთში, შესაბამისად, 78-დან 23%-მდე შემცირდა, თურქეთში კი – 52-დან 12%-მდე (America's Image in the World).

რაც შეეხება საქართველოს, ამ დროს, ჩვენი სტუდენტების არაოფიციალური გამოკითხვიდან გამომდინარე, ამერიკის იმიჯი უაღრესად დადებითი იყო (გამოკითხულთა დაახლოებით 80%), რაც შეიძლება ჩვენს ქვეყნებს შორის იმ დროს არსებული განსაკუთრებით თბილი ურთიერთობისა და ჩვენთვის განეული უდიდესი დახმარების შედეგით აიხსნას. კეთილგანწყობა გამოაშკარავდა 2005 წლის 9 მაისს, როდესაც თბილისს, პირველად საქართველოს ისტორიაში, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ესტუმრა, რომელიც დიდი ზარზხემით მიიღეს მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლებით

ხვდებოდნენ. გარდა ამისა, ჩვენი მოკავშირეობა ქართული სამხედრო შენაერთების ერაყში ე.წ. ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობითაც გამოიხატა. შესაბამისად, ერაყში მიმდინარე მოვლენებში შტატების როლი ვერ გახდებოდა საქართველოში მისი იმიჯის შელახვის მიზეზი, რაც სხვა ქვეყნებში მოხდა.

სამაგიეროდ, რუსეთში იმავე წლებში საპირისპირო დინამიკა შეინიშნებოდა, თანაც ამერიკის იმიჯი ამ ქვეყანაში განსაკუთრებით ცვალებადი აღმოჩნდა: 2000 – 37, 2002 – 61, 2003 – 36, 2004 – 47, 2005 – 52 და 2006 – 43% (1999/2000 survey trends). ასეთი არასტაბილურობის მიზეზები ცალკე კვლევის საგანია. ამისთვის უნდა გავიხსენოთ იმ წლებში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, მათში შტატების როლი და რუსეთის დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი.

საინტერესოა, რომ ინდონეზიის, პაკისტანის, თურქეთის, იორდანისა და ლიბანის მოსახლეობის უმრავლესობა შეერთებულ შტატებში სამხედრო საფრთხის შესაძლებლობასაც კი ხედავდა. უფრო მეტიც, შტატების ზოგიერთი მოკავშირის, მაგალითად, საფრანგეთის, ესპანეთის, თურქეთის, ასევე ინდოეთის, ჩინეთის და, რასაკვირველია, რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მსოფლიო მშვიდობისთვის უფრო სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევდა სწორედ ამერიკელების ამ ე.წ. სამშვიდობო ოპერაციას ერაყში და არა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს, ან ჩრდილოეთ კორეასა თუ ირანს. ამგვარად, ანტიამერიკული განწყობილება საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მოედო. BBC-სა და გელაპის (Gallup) გამოკითხვამაც დაადასტურა ამერიკის იმიჯის პრობლემები მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიამერიკანიზმი გლობალური მოვლენა გახდა, ის მაინც განსაკუთრებით ძლიერია მუსლიმურ სამყაროში. 2006 წელს გამოკითხული ხუთი, უპირატესად, მუსლიმური ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედზე ნაკლები დადებითად აღიქვამდა შეერთებულ შტატებს. ერაყის ომის შემდეგ მუსლიმური ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესო-

ბა შეერთებულ შტატებს ისლამის მტრად თვლიდა (America's Image in the World).

საინტერესოა, როგორ აღიქვამდნენ მსოფლიოში თვით ამერიკელებს და მათ ღირებულებებს. Pew-ს კვლევაზე დაყრდნობით, დადებით მხარედ დასახელებული იყო მათი შრომისმოყვარეობა და მოხერხებულობა, ზემოთ აღნიშნულ მუსლიმურ ქვეყნებში მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს ამერიკელები პატიოსან ადამიანებად, უმრავლესობას კი – ხარბებად და უხეშებად, უზრდელებად და ამორალურებად მიაჩნია. საქართველოში შტატებისადმი უარყოფითად განწყობილი ადამიანები ამერიკელებს სწორედ ასეთებად აღიქვამენ. ამას ემატება სხვა არასახარბიელო ეპითეტებიც: იმპერიალისტები, უღმერთოები, „მასონები“ და ა.შ.

განსაკუთრებით დიდი განსხვავებაა ამერიკელების თვითშეფასებასა და დანარჩენი მსოფლიოს მიერ ამერიკელების აღქმაში მათ რელიგიურობასთან დაკავშირებით. სხვათაშორის, დასავლეთ ევროპელები (საფრანგეთში, შოლანდიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში) ამერიკას ღრმად რელიგიურ ქვეყნად თვლიან. ეს აჩვენა 2005 წლის გამოკითხვამ. მაშინ, როდესაც თვით ამერიკაში მოსახლეობის 58%-ს მიაჩნია, რომ შეერთებული შტატები საკმარისად რელიგიური არ არის. ასევე ფიქრობენ მუსლიმურ ქვეყნებშიც. ამ უკანასკნელში ანტიამერიკანიზმის მთავარი მიზეზი არის შტატების მიერ ისრაელის აშკარა მხარდაჭერა. მუსლიმებისთვის ასევე მიუღებელია ანტიტერორისტული ომი, რომელსაც ისინი უწოდებენ ომს შტატებისადმი არამეგობრულად განწყობილი მუსლიმური მთავრობებისა და ჯგუფების წინააღმდეგ (America's Image in the World 2005).

ფრანგების 18%-ს, ესპანელების 19%-ს და რუსების 21%-ს მიაჩნია, რომ ამერიკელებმა თავისი პოლიტიკის შემუშავებისას ანგარიში უნდა გაუწიონ მათი ქვეყნის ინტერესებსაც.

ბევრ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ შეერთებული შტატები უმნიშვნელო როლს თამაშობს კაცობრიობის გლობალური პრობ-

ლემების მოგვარებაში. ამერიკელები, რასაკვირველია, ამას არ ეთანხმებიან და ფიქრობენ, რომ ძალიან ბევრს აკეთებენ ამ მმართველებით. თუმცა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავების ზრდაში შეერთებული შტატების ბრალს თვით ამერიკელებიც აღიარებენ.

მსოფლიოში განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი იყო პრეზიდენტი ბუში და მისი ადმინისტრაცია. იმ ცხრა ქვეყანაში, რომელიც მხარს უჭერდა შეერთებული შტატების ომს ტერორიზმთან, შვიდში მოსახლეობას ეჭვი ეპარებოდა, რომ ის ნამდვილად საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ იყო მმართველი. თანაც ასე იყო არა მარტო მუსლიმურ მაროკოსა და თურქეთში, არამედ საფრანგეთსა და გერმანიაშიც. მათი აზრით, ამერიკელების ნამდვილი მიზანი იყო მახლობელი აღმოსავლეთის ნავთობზე კონტროლის დამყარება და მსოფლიოში ბატონობა (იქვე).

ბუშის ადმინისტრაციის საქართველოსადმი კარგი დამოკიდებულების გამო ის აქ არ გამხდარა კრიტიკის ობიექტი და ანტიამერიკანიზმის ზრდა უფრო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეინიშნებოდა. საქართველოს მოქალაქეებს იმ ომის დროს ამერიკიდან მეტი და უფრო ქმედითი დახმარების მიღების იმედი ჰქონდათ, რაც გაუცრუვდათ. შესაბამისად, შტატებისადმი დამოკიდებულებაშიც გარკვეული ცვლილება მოხდა. გაიზარდა მის კრიტიკოსთა რაოდენობა.

ანტიამერიკანიზმის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება, ზოგადად, ძალის გამოყენებისადმი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) მოსახლეობის პაციფისტური განწყობილება შეერთებული შტატებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ზრდაში გამოიხატა. მათ არ მოსწონთ ის, რომ ამერიკელები საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას შეიარაღებული გზით ცდილობენ. ევროპაში, კერძოდ, ნორვეგიაში ანტიამერიკანიზმის ზრდის კარგი მაგალითი მოჰყავს მაიკლ

როკლენდს სტატიაში „ამერიკის საგარეო პოლიტიკა ჯორჯ ვაშინგტონიდან ჯორჯ ბუშამდე“, რომელიც ჩვენს კრებულში გამოაქვეყნა და რომელშიც ბუშის ადმინისტრაციას აკრიტიკებს. ის წერს: „ნორვეგიიდან მოწვეულმა ლექტორმა, რომელიც საკუთარ თავს კონსერვატორად მიიჩნევს და რომელმაც რატგერის უნივერსიტეტში ჩემს სტუდენტებს წაუკითხა ლექცია თემაზე „ქვეყნის გარედან დანახული შეერთებული შტატები“, ცოტა ხნის წინ ასეთი შენიშვნა გააკეთა: „ჯორჯ ბუში საერთოდ არ არის კონსერვატორი. ის არის რადიკალი ნაციონალისტი. ჩვენ კი ევროპელებმა ძალიან კარგად ვიცით, ვინ არიან რადიკალი ნაციონალისტები.“ მან ისიც დაამატა, რომ 9/11-მდე ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ნორვეგიელთა 88% დადებითად იყო განწყობილი შეერთებული შტატების მიმართ. როდესაც 9/11-ის მერე მათ იგივე შეკითხვა დაუსვეს, ეს ციფრი, რაღა თქმა უნდა, თანაგრძნობის გამო, 99%-მდე გაიზარდა. ჩემმა ნორვეგიელმა კოლეგამ სტუდენტებს ახალი კვლევების შედეგები გააცნო, სადაც მაჩვენებელი 23%-მდე იყო დაცემული. ეს ტრაგედიაა. ქვეყანას, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში გარკვეული ნათესაობის განცდა და განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება აკავშირებდა შეერთებულ შტატებთან, დღეს ასეთი წარმოდგენა აქვს ჩვენზე. ამ ფაქტმა აუცილებლად უნდა აიძულოს ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, სერიოზულად გადახედოს საკუთარ მიზნებს. ისიც ცხადია, რომ მხოლოდ ნორვეგიელები არ ფიქრობენ ასე“ (როკლენდი 2006: 118-119).

ბუშის ადმინისტრაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გარდა, მსოფლიოს უდიდეს ნაწილში, გლობალიზაციის შედეგად, ამერიკული იდეებისა და წეს-ჩვეულებების საყოველთაო გავრცელებამაც შეუწყო ხელი მოსახლეობის ამერიკანიზაციის წინააღმდეგ განწყობის გაღრმავებას. ერთის მხრივ, შეინიშნება ამერიკული პოპკულტურის, მისი მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მიმართ კეთილგანწყობა და, მეორე მხრივ, ამე-

რიკანიზაციის გამო უკმაყოფილება. მაგალითად, 42 ქვეყნიდან 35-ში 2002 წელს გამოკითხულთა უმრავლესობა ამერიკული იდეებისა და წეს-ჩვეულებების გავრცელებას უარყოფითად აფასებდა (What the World Thinks in 2002). ვფიქრობ, მსგავსი შედეგი დღეს შეიძლება საქართველოშიც მივიღოთ.

თვითონ ამერიკელები ასეთ ვითარებას ხსნიან იმით, რომ შეერთებული შტატებისა და იმავე ევროპული სახელმწიფოების მთავარ ღირებულებებს შორის განსხვავება არსებობს, განსაკუთრებით, ეს ინდივიდუალიზმსა და პირად პასუხისმგებლობას ეხება. ამერიკელები უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევენ ხელისუფლების მიერ პირადი თავისუფლების შელახვის ნებისმიერ მცდელობას, ვიდრე ეს რომელიმე სხვა ქვეყანაში ხდება. ასევე მათ, როგორც იმიგრანტების ერს, იმიგრაციისადმი ბევრად უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე ევროპელებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ, რელიგიურობის თვალსაზრისით, შტატები მსოფლიოში ყველაზე მულტიკონფესიური და ტოლერანტული სახელმწიფოა.

მიუხედავად ამისა, ამერიკელებსა და ევროპელებს შორის არსებული ერთადერთი პრობლემა შეერთებული შტატების პოლიტიკაა და არა განსხვავება პოლიტიკისა და საზოგადოების შესახებ ფილოსოფიურ ან იდეოლოგიურ ხედვას შორის. უპირველეს ყოვლისა, ევროპელებს შტატებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება სურთ თავდაცვისა და დიპლომატიურ სფეროებში. ზემოთ აღნიშნულმა კვლევამ საინტერესო და მოულოდნელი შედეგი აჩვენა: ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ჩინეთს შეერთებულ შტატებზე უკეთესი იმიჯი ჰქონდა! (America's Image in the World).

ბოლო წლების ტენდენცია მსოფლიოში შტატების იმიჯის გაუმჯობესებაზე მეტყველებს. სამეცნიერო კვლევების ცენტრის 2013 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ 38-დან 28 ქვეყანაში შეერთებულ შტატებს დადებითი იმიჯი ჰქონდა. მაგალითად, 8 ევროპული ქვეყნიდან 7-ში, მათ შორის, იტალიაში გა-

მოკითხულთა სამი მეოთხედი, პოლონეთში ორი მესამედი და საფრანგეთში 64 პროცენტი ასე ფიქრობს (Stokes 2013). განსაკუთრებით აფასებენ ამერიკას აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. ბოლო წლების ყველა ეს გამოკითხვა მონიშნავს იმას, რომ ანტიამერიკანიზმი და საზოგადოების ანტიპათია შტატების პრეზიდენტისადმი მსოფლიოს ბევრ კუთხეში ისეთი აღარ არის, როგორც ბუშის ადმინისტრაციისას იყო. ამავე დროს, მას შემდეგ, რაც 2009 წელი ამერიკის იმიჯისთვის „თაფლობის თვედ“ ითვლებოდა, ბოლო ხანს მისი გაუარესების პროცესი შეინიშნება. (Stokes, Special to CNN, 2013). ქვეყანა, სადაც შტატებს დღეისთვის განსაკუთრებით პოზიტიური იმიჯი აქვს, არის ბანგლადეში (76%) (Stokes 2015).

იმავე წლებში საქართველოში სტუდენტთა მიერ ჩატარებული გამოკითხვები შეერთებული შტატების იმიჯის გაუარესების ტენდენციაზე მიგვანიშნებს. მიუხედავად სულ უფრო მზარდი ინფორმაციული ნაკადისა, ისევე, როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, საქართველოშიც ამერიკის იმიჯი დიდწილად მითოლოგიზირებულია. უმთავრესად, ძველი თაობის წარმომადგენლები (თუმცა მათ შორის ახალგაზრდებიც არიან!) თვლიან, რომ ამერიკელები ევროპელებთან შედარებით უფრო წარმატებულები, თავდაჯერებულები, დამოუკიდებლები, მაგრამ ამავე დროს ნაკლებერუდირებულები არიან (გრიბოვსკაია 2005: 101). სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობა კარგად არ იცნობს ამერიკულ ღირებულებებს, მასზე ხშირად ცალმხრივი წარმოდგენა აქვს და ის, უმთავრესად, პოლივეუდის ფილმებიდან აქვს შექმნილი.

ბოლო ხანს ამერიკა განსაკუთრებით ნეგატიურად არის წარმოდგენილი რუსულ ტელეგადაცემებში, ტოკპოუებსა თუ ახალ ამბებში, რომლებიც უკრაინის მოვლენებთან არის დაკავშირებული. ხშირად ამ პოლიტიკურ ტელეგადაცემებში შტატებს ცივი ომის დროინდელი ტერმინოლოგიით „ამკობენ“. ასე რომ, დღეს რუსეთში ამერიკის იმიჯს ცივი ომის გადმონაშთები გან-

საზღვრავს (თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ომი ბოლომდე დასრულებულია).

მიუხედავად ზემოთ მითითებული ტენდენციებისა, თანამედროვე საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობისთვის შეერთებული შტატები მაინც მიმზიდველ, საოცნებო ქვეყნად, ე.წ. დემოკრატიის „შუქურად“ რჩება. ამის უპირველესი მიზეზი ის პოლიტიკა არის, რომელიც ადამიანის ხელშეუვალ უფლებებს „სიცოცხლეს, თავისუფლებასა და ბედნიერებისაკენ სწრაფვას“ იცავს და რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში დაფიქსირდა. ძირითადად, ის გულისხმობს ლიბერალიზმს, ინდივიდუალიზმსა და მატერიალურ კეთილდღეობას. ბუნებრივია, ამ უმთავრესი ამერიკული ღირებულებების საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გავრცელება არაერთგვაროვნად აღიქმება. ზოგიერთი თვლის, რომ შეერთებულ შტატებს, ამ სულიერად ღარიბ ქვეყანას, იმპერიული ზრახვები ამოძრავებს და მათი ტრადიციული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობისთვის ძირის გამოთხრას ცდილობს. ეს ადამიანები უპირისპირებენ მას რუსეთს, როგორც სულიერად მდიდარ ქვეყანას, რომელიც, ამერიკისგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ქვეყანაა, თანაც ახლო მეზობელი, რომელსაც „საქართველოსთვის დიდი არაფერი დაუშავებია“. ამ უკანასკნელთან ეკონომიკური ურთიერთობაც ქვეყნისთვის უფრო მომგებიანია, რუსები თავისი მენტალიტეტით ქართველებთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე „შორეული“ ამერიკელები. არც რუსებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების დავინწყება შეიძლება. ასეთი შეხედულებები დააფიქსირეს ჩემმა სტუდენტებმა ბოლო ორი წლის გამოკითხვისას. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები ძირითადად ასაკოვანი ხალხია, რომელთა დიდი ნაწილი შეერთებულ შტატებს კარგად არ იცნობს. მათი დიდი ნაწილი რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ არის. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს არც მეზობლის სპეცსამსახურებისა და საქართველოში ძლიერი მეხუთე კოლონის არსებობა.

ამერიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი, ვფიქრობ, მაინც ის არის, რომ საქართველო ბოლომდე ვერ ფლობს ობიექტურ ინფორმაციას ამერიკელი ხალხის ცხოვრების, მისი კულტურისა და ხელოვნების, მისი ღირებულებების შესახებ. არ იცის, თუ რა მნიშვნელოვანია ამერიკელებისთვის ოჯახი, ერთგულება, ყველაფერი, რაც ზოგადსაკაცობრიოა.

საქართველოში, რომელსაც შტატებთან სტრატეგიული ურთიერთობა აკავშირებს, ამერიკის მიმართ განსაკუთრებული მოლოდინი და ერთგვარი „სიყვარული“ იკვეთება, „სიყვარული“ ყველაფერი ამერიკულის მიმართ. უპირველესად, მნიშვნელოვანია ის ფასეულობები, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში ასე თუ ისე მკვიდრდება და რითაც ქვეყანას სურს ზესახელმწიფოს მიბაძოს. ამერიკის მიმართ პოზიტიური აზრის ფორმირებას განსაკუთრებით ხელს უწყობს აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოსადმი საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს შტატებმა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია ოფიციალურად დაგმო. არ მოიძებნება არც ერთი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც შტატები არ ლობირებდეს საქართველოს ინტერესებს. სწორედ ამიტომ და, ამასთან ერთად, ტერორიზმის საფრთხიდან გამომდინარე, საქართველო ამერიკის სამშვიდობო ოპერაციებში აქტიურად არის ჩართული.

ერთ-ერთი გამოკითხვისას, რომელიც ერთმა ჩემმა სტუდენტმა სოციალური ქსელის მეგობრებს შორის ჩაატარა, მის მიერ დასმულ შეკითხვებს საქართველოში შეერთებული შტატების იმიჯის შესახებ, 100-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხულთა 85% აშშ-ის მიმართ პოზიტიურად იყო განწყობილი და საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირედ სწორედ მას ასახელებდა. გამოკითხულებმა განსაკუთრებით გამოყვეს აშშ-საქართველოს ურთიერთობა საერთაშორისო ასპარეზზე და შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მნიშვნელოვანი როლი ქართული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბე-

ბასა და განვითარებაში. თუმცა, გამოკითხულთა ნაწილისთვის ამერიკული ფასეულობების გავრცელება მტკივნეულად აღიქმება. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ადამიანთა განწყობა, რომელსაც ინტერნეტი არ აქვს, შესაძლოა უფრო რადიკალური იყოს (საუბარია, მოსახლეობის დაახლოებით 25%-ზე ან მეტზე). მათთვის შტატები განსხვავებულ კონფესიებთან ასოცირდება, რაც მოსახლეობის ამ ნაწილისთვის სრულიად მიუღებელია და მართლმადიდებლობისთვის საფრთხედ აღიქმება.

კითხვამ, რომელიც ერაყის ომს შეეხებოდა, გამოკვეთა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ერაყის ომში შტატებს არ ამართლებდა. ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან მსოფლიოში ჩატარებული კვლევები ამერიკის იმიჯის შესახებ, როგორც დავინახეთ, იგივეს გვიჩვენებს. შემდეგი კითხვის შემთხვევაში, რომელიც შტატების ავღანეთის ოპერაციას ეხებოდა, ერაყის საპირისპირო ვითარება გამოიკვეთა. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიესალმება ტერორისტებთან ბრძოლას და საქართველოს მონაწილეობას ISAF-ის ოპერაციაში.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 65% ამერიკას რელიგიურ ქვეყნად აღიქვამს. უბრალოდ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ მის მულტიკონფესიურ გარემოზე.

ამერიკის იმიჯზე საქართველოში ასევე დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ხელისუფლების კურსი დასავლეთისკენ. ქვეყნის ლიდერებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების ვიზიტები შეერთებული შტატების უმაღლეს ემელონებში და ასევე წარმოებული პოლიტიკა ადამიანებს კეთილად განწყობს ამერიკის მიმართ. მაგრამ ისინი, ვისთვისაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის იდეოლოგიური ჩარჩოებია მისაღები, ხელისუფლების ამდაგვარ ნაბიჯებს მკვეთრად უარყოფითად აფასებენ. და ბოლოს, ეს ადამიანები საკმაოდ ნეგატიურად არიან განწყობილი ამერიკული თუ ამერიკელ ბიზნესმენტა ფონდების მიმართ, რაც უპირველესად აღნიშნული ფონდების საქმიანობის არცოდნის შედეგია. ამით სარგებლობენ დაინტერესებული პოლიტიკური

ჯგუფები და ხშირად ამ საბაბს ანტიამერიკული განწყობის ჩამოყალიბებისთვის იყენებენ. მაგალითად, ზოგიერთისთვის სოროსელი ლამის გინებად აღიქმება.

ცხოვრების წესი, ფასეულობები, მატერიალური კეთილდღეობა, ქვეყნებს შორის კეთილგანწყობა, აშშ-ის ლობირება საქართველოს სასარგებლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ლიბერალიზმი, ინდივიდუალიზმი – ყოველივე ეს განაპირობებს შეერთებული შტატების პოზიტიურ იმიჯს საქართველოში. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ადამიანების რაოდენობა გაიზარდა. თავი წამოყვეს ევრაზიულ სივრცეში საქართველოს გაერთიანების მომხრეებმა და, შესაბამისად, შეერთებული შტატებისადმი არაკეთილგანწყობილმა ადამიანებმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა შტატების მიმართ მაინც კეთილგანწყობილია.

იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც დღეს მსოფლიოში არსებობს, ასევე იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც შტატები მათ გადალახვაში თამაშობს, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ რას ფიქრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე მსოფლიოში.

დამოწმებანი

გრიბოვსკაია, ირინა. „ამერიკული ღირებულებები და ამერიკის იმიჯი ბელორუსიაში“, *ამერიკის შესწავლის საკითხები*, III. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ.95-103.

როკლენდი, მაიკლ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა ჯორჯ ვაშინგტონიდან ჯორჯ ბუშამდე“, *ამერიკის შესწავლის საკითხები*, IV. გამომცემლობა „კლიო“, თბილისი, 2006, გვ. 112-119.

“America’s Image in the World: Findings from the Pew Global Attitudes Project”. PewResearchGlobal, Attitudes & Trends. <http://www.pewresearch.org>

pewglobal.org/2007/03/14/americas-image-in-the-world-findings-from-the-pew-global-attitudes-project/

Cirilli, Kevin. "World Poll: Image of U.S. Declines:", *POLITICO*, <http://www.politico.com/story/2013/03/world-poll-image-of-us-declines-88816.html>

Kennedy, John F. "Inaugural Address, 1961". Larry Scheikart, DaveDougherty, and Michael Allen (eds), *The Patriot's History. Reader: Essential Documents for Every American*. New York, Peguin Group, 2011, p. 339-342.

Ray, Julie. "Global Image of U.S. Leadership Rebounds", April 10, 2014, <http://www.gallup.com/poll/168425/global-image-leadership-rebounds.aspx>

Stokes, Bruce. "America's International Image Slipping", *Pew Research Center*, July 26, 2013, <http://www.pewglobal.org/2013/07/26/americas-international-image-slipping/>

Stokes, Bruce. "America's International Image Slipping", Special to CNN, July 26th, 2013 <http://globalpublicsquare.blogs.cnn.com/2013/07/26/americas-international-image-slipping/>

Stokes, Bruce. "Obama Heads to India, Where the Public Is Warm to Him", *Pew Research Center*, January 22, 2015, <http://www.pewresearch.org/fact-tank/2015/01/22/obama-heads-to-india-where-the-public-is-warm-to-him/>

1999/2000 survey trends provided by the Office of Research, U.S. Department of State, <http://www.pewglobal.org/2007/03/14/americas-image-in-the-world-findings-from-the-pew-global-attitudes-project/>

"What the World Thinks in 2002, How Global Publics View: Their Lives, Their Countries, The World, America, Introduction and Summary". *Pew Research Center*. <http://www.people-press.org/2002/12/04/what-the-world-thinks-in-2002/>

ELENE MEDZMARIASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor
Vice-president, Georgian Association for American Studies

SUMMARY

U.S. IMAGE IN GEORGIA AND THE WORLD: COMPARATIVE ANALYSIS

In the paper the author tries to:

- Consider and compare the United States image in modern Georgia and the World on the base of various sources.
- Answer the following questions: What determines respondents' opinion on the United States - age, education or profession, stereotypes, relations between countries, or even something else? What are the reasons of the positive or negative image and its change in our country?

After answering these questions and using comparative analysis, the author underlines the reasons of the US positive or negative image in various countries and Georgia.

The author concludes that in Georgia the United States has more positive than negative image, especially among the new generation, though Anti-Americanism has increased in the past two years in the country. Lifestyle, values, material prosperity, and friendly relations between our countries, the lobbying of Georgia in the international organizations, liberalism, and individualism - all this promotes a positive image of the United States in Georgia.

ოთარ ნიკოლიაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესახებ

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მისი არსებობის მანძილზე (1918–1921 წლები), სამწუხაროდ, ისეთი მძლავრი საერთაშორისო მხარდამჭერები არ ჰყოლია, რომელნიც მისი სუვერენიტეტის დაცვას შეეცდებოდნენ. გერმანიაზე ორიენტირებულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კრაზი განიცადა, გამარჯვებულმა ძალებმა კი ნაკლები გულშემატკივრობა გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი. სწორედ ზემოთქმულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ინდიფერენტული, ხოლო დიდი ბრიტანეთის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი. დასახელებული ქვეყნებისა და სხვა გავლენიანი სახელმწიფოების ამგვარმა პოლიტიკამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველომ მაშინ სულ მალე დაკარგა დამოუკიდებლობა.

მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი ამერიკის ოფიციალური ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულებისა, ამერიკული პოლიტიკური ელიტა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი მაინც რომ იჩენდა საკმაოდ აინტერესებას, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები, რომლებიც 1918-1921 წლებში ქვეყნდებოდა საქართველოს შესახებ ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და გავლენიან გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“. ხსენებულ პუბლიკაციათა ავტორებად ხშირ შემთხვევაში ისეთი

ცნობილი ჟურნალისტები გვევლინებიან, როგორებიც იყვნენ: ედვინ ჯეიმსი – „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მთავარი რედაქტორი 1932-1951 წლებში, უალტერ დურანტი – „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი 1922-1936 წლებში, ჰერმან ბერნშტეინი – გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც 1930-1933 წლებში ალბანეთში შეერთებული შტატების ელჩადაც კი მოღვაწეობდა და სხვები.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ 1918-1921 წლებში „ნიუ-იორკ ტაიმსში“ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, მაინც უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან მასალად აღნიშნული პერიოდის საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად და სიღრმისეულად გასააზრებლად.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რაზეც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ საქართველოსადმი მიძღვნილ სტატიებში მახვილდება ყურადღება, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო აღიარებაა. სამწუხაროდ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული საკითხისადმი მსოფლიოს იმჟამინდელ ჰეგემონ სახელმწიფოთა დამოკიდებულება არა მხოლოდ ნიჰილისტური, არამედ მკვეთრად უარყოფითიც კი იყო. თუმცა, ობიექტურობისთვის ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მსგავსი განწყობა მხოლოდ საქართველოს მიმართ არ არსებობდა და ანალოგიური დამოკიდებულება ამ სახელმწიფოთა უმეტესობას მაშინ თითქმის ყველა ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნის მიმართ ჰქონდა.

ნათქვამის დასტურად, თუნდაც, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1920 წლის 10 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიაც გამოდგება, სათაურით „უარი ლიტვის აღიარებას“ (“No Recognition for Lithuania”). ხსენებულ პუბლიკაციაში გაჟღერებულია ოფიციალური ვაშინგტონის პოზიცია იმის თაობაზე, რომ იგი მხოლოდ რუსეთის ერთიანობის პრინციპს აღიარებდა, ხოლო ლიტვის, ესტონეთის, უკრაინისა და საქართველოს „ე. წ. მთავრობებს“ (გა-

ზეთის მიერ გამოყენებული ტერმინია) მსგავსი იმედი არ უნდა ჰქონოდათ. მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობისთვის დავიმონ-მებ ფრაგმენტს ხსენებული სტატიიდან: „ევროპასა და აზიაში, ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე, წარმოიქმნა 17 ე. წ. ხელისუფ-ლება. მათ შორის არიან ესტონეთის, ლივონიის, ლიტვის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ კარელიის ე. წ. მთავრობები. აღნიშნული „რესპუბლიკები“ მიისწრაფვიან აღი-არება მოიპოვონ შეერთებული შტატებისგან. პრეზიდენტი უილ-სონი (საუბარია ამერიკის 28-ე პრეზიდენტ ვუდრო უილსონზე – ო. ნ.) და მდივანი ლანსინგი (იგულისხმება ამერიკის 42-ე სახელ-მწიფო მდივანი რობერტ ლანსინგი 1915-1920 წწ. – ო. ნ.) მიიჩნე-ვენ, რომ არაგონივრული ნაბიჯი იქნება მათთან ურთიერთობის დამყარებით ზიანი მიადგეს რუსეთის ერთიანობის პრინციპსა და ლეგიტიმურ მთავრობას. სწორედ ამ მიზეზით ჩვენ არ ვაპირებთ ვაღიაროთ რომელიმე ზემოთხსენებული „რესპუბლიკა“, გარდა პოლონეთისა და ფინეთისა, რომელთა ცნობაც ვერსალის ხელ-შეკრულებითაა გათვალისწინებული” („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 10 თებ. 1920 წ.).

შეერთებული შტატების ამავე პოზიციას ადასტურებს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1920 წლის 18 თებერვლის პუბლიკაციაც, რომელ-შიც ნათქვამია: „კონტრ-ადმირალმა (Rear Admiral) niuton a. Mak-qalim (Newton A. McCully), რომელიც წარმოადგენს შეერთებულ შტატებს ანტიბოლშევიკურ ძალებში, მოქმედს სამხრეთ კავკასი-აში, 6 თებერვალს, ანტისაბჭოთა ლიდერს, გენერალ დენიკინს, თავისივე შტაბბინაში აცნობა იმის თაობაზე, რომ შეერთებული შტატები არ უერთდება პარიზში მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 18 თებერვალი, 1920 წ.).

მიუხედავად მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისადმი ამგვარი მკვეთრად უარყო-ფითი დამოკიდებულებისა, საქართველოს იმჟამინდელმა ხელი-

სუფლებამ მაინც შეძლო საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეული წარმატებების მოპოვება.

აღნიშნულის დასტურად გამოდგება დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან რუსეთთან საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ძალითაც საბჭოეთმა ოფიციალურად ცნო ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი. მთლიანობაში კი, 1920 წლისათვის, საქართველო, როგორც დე-ფაქტოდ, ისე დე-იურედ, მსოფლიოს 14 ქვეყანას ჰყავდა ნალიარები. ამის პარალელურად, მისი მთავრობა აქტიურ ღონისძიებებს ატარებდა ერთა ლიგაში განწევრიანებისათვის. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1920 წლის 28 აპრილის პუბლიკაცია გვამცნობს, საქართველოს ამ ორგანიზაციის წევრობაზე განაცხადი ისლანდიასთან, სან-მარინოსთან და ლუქსემბურგთან ერთად შეუტანია.

სამწუხაროდ, დიდი ბრიტანეთის მკვეთრად ანტაგონისტური დამოკიდებულების გამო, ჩვენი ქვეყნის ერთა ლიგაში მიღება არ მოხდა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე 24 სახელმწიფომ. საკითხის დადებითად გადასაწყვეტად საჭირო 16 ხმის ნაცვლად დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მიიღო ათი ხმა, ოთხმა ქვეყანამ თავი შეიკავა, ათი კი წინააღმდეგი წავიდა. ამდენად, 1920 წლის 16 დეკემბერს გამართულ სხდომაზე საქართველოს ოფიციალურად ეთქვა უარი ერთა ლიგის წევრობაზე.

აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა მოკავშირე სახელმწიფოების უმრავლესობამ, ცოტა მოგვიანებით, 1921 წლის იანვარში, ზემოთქმული გადაწყვეტილების გამოსწორების მიზნით, ოფიციალურად აღიარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯი არა თუ საკმარისი არ აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად, არამედ გარკვეულწილად დამაჩქარებელი ფაქტორიც კი გამოდგა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიისთვის. საინტერესოა ისიც, რომ თავისი ოპერატიულობით გამორჩეული „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ერთა ლიგაში გა-

მართულ ზემოთქმულ კენჭისყრას მხოლოდ სამ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით ეხმაურება.

საბჭოთა რუსეთის მიერ წარმოებული კოლონიური პოლიტიკის უმძიმესმა შედეგებმა უბიძგა ოკუპირებულ კავკასიურ რესპუბლიკათა დევნილ მთავრობებს ჩამოეყალიბებინათ საერთო პოლიტიკური, სამხედრო და სავაჭრო-ეკონომიკური ერთობა. ასე შეიქმნა 1921 წლის 10 ივნისს პარიზში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის მონაწილეობით „ოთხთა საბჭო“. მოგვიანებით, 1925 წლისათვის, სომხეთის მიერ ხსენებულ კავშირში მონაწილეობაზე უარის თქმის შემდეგ, „ოთხთა საბჭო“ „სამთა საბჭოდ“ გადაკეთდა.

დასავლეთის სხვა საინფორმაციო საშუალებებთან ერთად, ზემოხსენებულ მოვლენას გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ გამოეხმაურა შემდეგი სტატიით: „საფრანგეთის მთავრობის აშკარა ძალისხმევით, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის დევნილმა მთავრობებმა ჩამოაყალიბეს კავშირი. აღნიშნული შეთანხმება გაფორმებულ იქნა პარიზში 10 ივნისს... დელეგატები, რომლებიც იმავე დღეს ოფიციალურად მიიღო პრემიერმა ბრაიანმა, იყვნენ აპარონიანი (ავეტის აპარონიანი – სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე – ო. ნ.) სომხეთიდან, თოფჩიბაშევი (ალიმარდან თოფჩიბაშევი – აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე – ო. ნ.) აზერბაიჯანიდან, ავალოვი (ზურაბ ავალიშვილი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, პირველი კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი – ო. ნ.) საქართველოდან და ჩემოევი (აბდულ „ტაპა“ ჩერმოევი – ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი – ო. ნ.)...“

„ტემპსის“ (საუბარია 1861–1942 წლებში პარიზში გამომავალ გაზეთ „Le Temps“-ზე – ო. ნ.) ინფორმაციით, აღნიშნული დევნილი მთავრობების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებისადმი ნაკლები ნდობა არსებობს. მაგრამ გაზეთი მკითხველებს იქვე

იმასაც შეახსენებდა, რომ არც ისე დიდი ხნის წინ, ჩეხოსლოვაკი-ისა და იუგოსლავიის მაშინდელი მმართველები სწორედ საფრანგეთში სახავდნენ იმ სამომავლო გეგმებს, რომლებიც რეალობას წარმოადგენდა.

გაზეთის ხაზგასმით, „ტემპსის“ სიმპატიები ახალი კონფედერაციის შექმნისკენ იხრებოდა. მისი მიზნების მიმოხილვის ბოლოს კი რედაქცია ასკვნიდა, რომ „საფრანგეთი სიამოვნებით უმასპინძლებდა კავკასიელი პატრიოტების ყველა ამგვარ წამოწყებას,... რადგან იგი, ტრადიციულად, მეგობარია ყველასი, ვინც კი თავისუფლებისთვის იბრძვის“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 23 ივნისი, 1921 წ.).

ის, რომ ზემოთქმული სიტყვები მხოლოდ ლამაზ დაპირებად არ დარჩენილა, გარკვეულწილად ეს დრომაც დაადასტურა. ცივილიზებული დასავლეთის ქვეყნებიდან სწორედ საფრანგეთი იყო ის ქვეყანა, რომელშიც უკანასკნელად გაუქმდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა და იგი ეროვნული მთავრობის ლეგაციად გადაკეთდა. ფრანგული ხელისუფლების ასეთმა მხარდაჭერამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ ოფიციალური სამთავრობო პირებისა და ზოგადად ქართული პოლიტიკური მნიშვნელოვანმა ნაწილმა სწორედ აღნიშნულ ქვეყანაში მოიყარა თავი.

მიუხედავად ამგვარი მხარდაჭერისა და თანადგომისა, საფრანგეთ – საბჭოთა კავშირს შორის 1932 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული თავდაუსხმელობის პაქტიდან გამომდინარე, ოფიციალური პარიზი ვალდებული გახდა 1933 წელს გაეუქმებინა საქართველოს ეროვნული მთავრობის ლეგაცია. ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე სამწუხარო ამ ამბავს მალე ისიც დაემატა, რომ 1934 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად მიიღეს ერთა ლიგის წევრად. ყველაფერმა ამან კი ერთიორად გაართულა საქართველოს პრობლემის საერთაშორისო ასპარეზზე დაყენებისა და მისით მსოფლიო თანამეგობრობის დაინტერესების საკითხი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იმჟამინდელი მსოფლიოს ჰეგემონი სახელმწიფოები საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის „საზღვაო კარიბჭედ“ წოდებული ბათუმის, ისე მთელი აჭარის რეგიონის ცხოვრებაშიც. ეს მოვლენა არსებითად იყო განპირობებული მათი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით ხსენებული რეგიონისადმი. პირველ ყოვლისა სწორედ ამ მოვლენით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაბეჭდილ პუბლიკაციათა უმეტესობა ბათუმისადმია მიძღვნილი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ბათუმის შეფასების დროს აღნიშნულ პუბლიკაციათა ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, ქალაქის უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილმდებარეობა და მისი უდიდესი სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალია. გაზეთის შეფასებით, ბათუმი მის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 320 მილის მოშორებით მდებარე ნოვოროსიისკთან (საპორტო ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, კრასნოდარის მხარეში) ერთად, უმნიშვნელოვანეს პორტს წარმოადგენდა შავი ზღვის კავკასიის სანაპირო ზოლზე („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1918 წლის 28 მაისი).

გაზეთის 1920 წლის 29 მარტის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორის შეფასებით, კომერციული ინტერესის მხრივ „შავი ზღვის პორტებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, განსაკუთრებით კი ბათუმს, რომელსაც შეუძლია განუზავდრელი ოდენობის სანავი გაატაროს. ამდენად, ეს ქალაქი წარმოადგენს კარიბჭეს საქართველოსთვის, აზერბაიჯანისთვისა და სპარსეთისთვის“.

ბათუმის, როგორც სტრატეგიულად უაღრესად ხელსაყრელი ადგილმდებარეობის მქონე პორტის, დიდ საერთაშორისო მნიშვნელობაზე „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1920 წლის 22 თებერვლის პუბლიკაციაშიც მახვილდება ყურადღება, რომელშიც ნათქვამია,

რომ „ამერიკული ნავთობკომპანიები თავიანთ პროდუქციას ბათუმის პორტში უფრო იაფად ჰყიდიან, ვიდრე სხვაგან“.

1918 წლის 6 მარტს გამოქვეყნებული სტატია კი ყურადღებას იმ განსაკუთრებულ ფაქტს მიაპყრობს, რომ ხსენებული პორტი, როგორც ტრანსკავკასიური რკინიგზის უკანასკნელი პუნქტი, „შემადგენელი ნაწილია ბაქო-თბილისის რკინიგზისა, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია კასპიის ზღვის ნავთობის საბადოებთან“. ამავე მოსაზრებას ამყარებს „ნიუ-იორკ ტაიმის“ კიდევ ერთი პუბლიკაცია, რომელშიც საქართველოს მთავრობის მხრიდან სტრატეგიული ობიექტების ნაციონალიზაციაზეც არის ყურადღება გამახვილებული. კერძოდ, მასში ნათქვამია: „საქართველომ თავისი მიწების ნაციონალიზაცია მოახდინა, თანაც ისე, რომ წინა მფლობელებისთვის არანაირი კომპენსაცია არ გადაუხდიათ. აღნიშნული ობიექტებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ტრანსკავკასიური რკინიგზა, რომელიც სათავეს შავი ზღვისპირას მდებარე ბათუმიდან იღებს“ („ნიუ-იორკ ტაიმის“, 2 ნოემბერი, 1919 წ.).

პირველ ყოვლისა სწორედ ბათუმის ამგვარი დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილმდებარეობითა და სავაჭრო-ეკონომიკური როლით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ამ ქალაქზე თავისი გავლენის გავრცელებას არაერთი სახელმწიფო ცდილობს – იქნებოდნენ ესენი მეზობელი, თუ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პრობლემას „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ არა მარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მიუძღვნა პუბლიკაციები, არამედ ჩვენი ქვეყნის გასაბჭოების შემდგომაც.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხსენებული სტატეიების საკმაო ნაწილი მხოლოდ ბათუმისადმი კი არ არის მიძღვნილი, არამედ აღნიშნული პრობლემა რეგიონთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა კონტექსტშიცაა განხილული.

როგორც ცნობილია, კავკასიაში თურქეთის სამხედრო აგრესიის შეჩერება მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის მიწურულს

მოხერხდა. კერძოდ, 1918 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული მუდროსის ზავით თურქეთი იძულებული გახდა მთლიანად დაეთმო თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში. აღნიშნულ მოვლენას „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ გამოეხმაურა. პუბლიკაციაში საზავო ხელშეკრულებიდან ამონარიდიც კი არის მოყვანილი, რომელიც ბათუმს ეხება. სტატიის ავტორის ინფორმაციით, „მოკავშირეთა ოფიცრები განახორციელებდნენ კონტროლს იმუამად თურქეთის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა რკინიგზაზე, მათ შორის, ამიერკავკასიაშიც; მათი განლაგება უნდა მოხდეს თავისუფლად, მოკავშირეთა ნების სრული გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, თუ რა დამოკიდებულება იქნება მოსახლეობაში. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მოკავშირეთა მხრიდან ბათუმის ოკუპაციასაც. თურქეთს არა აქვს უფლება პროტესტი განაცხადოს მოკავშირეთა ბაქოში შესვლაზე“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 3 ნოემბერი, 1918 წ.).

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიაში თურქეთის აგრესიის ალაგმვას საქართველოსთვის ბევრი არაფერი მოუტანია სასიკეთო, რადგან ამ აგრესორის ადგილი ბათუმისა და მთლიანად რეგიონის ახალმა ოკუპანტმა – დიდმა ბრიტანეთმა დაიკავა. აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ სტატიებში არა მხოლოდ ინგლისის ინტერესებსა და მის მიერ გატარებულ პოლიტიკაზეა გამახვილებული ყურადღება, არამედ ქართული მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებაზეც ოკუპანტებისადმი.

„ნიუ-იორკ ტაიმსში“ ბათუმის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიათა შორის ისეთ პუბლიკაციებსაც ვხვდებით, რომლებშიც არა მხოლოდ იქ შექმნილ სიტუაციაზეა საუბარი, არამედ ქალაქის მნიშვნელოვან როლზეც მთელ რეგიონში მიმდინარე მოვლენათა კონტექსტში. მაგალითად, როგორც ცნობილია, 1920 წლის 24 სექტემბერს სომხეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. თუმცა მან თურქეთისათვის სათანადო სამხედრო წინააღმდეგობის განევა ვერ შეძლო და თურქეთს არმიამ, ქაზიმ ქარაბეჯირის მეთაურობით, 30 ოქტომბერს ჯერ ქალაქი ყარსი, 7 ნოემბერს კი ქალა-

ქი ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი) დაიკავა. სომხეთის მთავრობა, ერევნისა და ერზირაჰის დაკარგვის საფრთხის გამო, იძულებული გახდა დახმარებისათვის საბჭოთა რუსეთისთვის მიემართა და ალექსანდროპოლის საზავო ხელშეკრულების პირობებს დათანხმებოდა. ამრიგად, 1920 წლის 2 დეკემბერი სომხეთის ისტორიაში ორ ტრაგიკულ მოვლენას უკავშირდება – საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და ალექსანდროპოლის საზავო ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის ძალითაც ქვეყანამ თავისი პირვანდელი საზღვრების დაახლოებით ორმოცდაათი პროცენტი დაკარგა თურქეთის სასარგებლოდ.

ეს ყველაფერი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ სომხეთ-თურქეთის ხსენებულ ომს „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ გამოეხმაურა და ამ მოვლენებში ბათუმის, როგორც საზღვაო ქალაქის, როლზეც გაამახვილა ყურადღება.

საინტერესოდ აღწერს გაზეთი ოკუპაციის წინარე სიტუაციას საქართველოში. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სტატიები უშუალოდ საქართველოდან, კერძოდ კი თბილისიდან და ბათუმიდან მიწვდილ ინფორმაციას ემყარებოდა. აღნიშნულ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყებოდა, რომ საბჭოთა რუსეთის მხრიდან „მეხუთე კოლონის“ გამოყენებისა და საქართველოს საზღვრებთან საოკუპაციო სამხედრო ძალის მობილიზაციის გამო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. აი, როგორ აღწერს ზემოხსენებულ სიტუაციას თავად გაზეთი: „როგორც რუს ბოლშევიკთა ძალების კონცენტრაციიდან ჩანს, ისინი სამხედრო კამპანიისათვის ემზადებიან, რათა კავკასიის რუკიდან გააქრონ საქართველოს რესპუბლიკა.

საბჭოთა მძიმე სამხედრო შეიარაღება მობილიზებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საპორტო ქალაქ ტუაფსესთან და გაგრასთან... როგორც სანდო წყაროზე დაყრდნობით ბათუმიდან შევიტყვეთ, აქ ერთი ქართული გარნიზონი აჯანყდა. აღნიშნულმა ფაქტმა ხალხში პანიკა გამოიწვია, ხალხი ნავსადგურებში გარბის

და გემებში სხდება, რათა როგორმე ბოლშევიკთა ჯარის შემოსვლამდე თავი გადაირჩინოს – („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 24 დეკემბერი, 1920 წ.).

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დაპირისპირებასთან დაკავშირებულ მოვლენებში ბათუმის ძალზე მნიშვნელოვან როლზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, აი, როგორ ახასიათებს ჩვენს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას გაზეთის 1921 წლის 19 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია სათაურით „გავრცელებული ცნობით, საბჭოთა ჯარმა თბილისი აიღო“:

„სარწმუნო ინფორმაციით, საბჭოთა არმიამ თბილისის ოკუპაცია მოახდინა. საქართველოს მთავრობა და მოკავშირეთა წარმომადგენლები ბათუმში გაემგზავრნენ, სადაც შეერთებული შტატების კონსული მოზერი და „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის“ ბევრი თანამშრომელიც იმყოფებიან. ბათუმში არის ასევე შეერთებული შტატების ორი გამანადგურებელი ტორპედოს ნავი „ბარკერი“ (Barker) და „ვიპლი“ (Whipple).

რუსული ჯარების მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციასთან დაკავშირებით კიდევ უფრო დეტალურ ინფორმაციას გვანვდის გაზეთის მომდევნო ნომერი. პუბლიკაციის ავტორის ცნობით, „მოსკოვის ხელისუფლებისა და თურქების შეთანხმების შემდეგ, ბოლშევიკურმა ჯარებმა ააოხრეს საქართველოს რესპუბლიკა. ქართულმა მთავრობამ კი მანამდე დატოვა თბილისი, სანამ მას საბჭოთა ძალები დაიკავებდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა შეჩერდა ქუთაისში, თბილისიდან ბათუმში რკინიგზით მიმავალ გზაზე. შეტაკებები მოხდა სოჭსა და გაგრას შორის, შავ ზღვაზე. ბოლშევიკები ცდილობენ გააკონტროლონ შავი ზღვისპირეთის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი, მათ შორის ბათუმიც, როგორც უმთავრესი. ბოლშევიკები შავი ზღვიდანაც უტევენ საქართველოს. მათი დამხმარე ორი კრეისერი მათივე კავალერიის მხარდამხარ ბომბავს სოჭს. თბილისში დროებითი საბჭოთა ხელისუფლება იქნა დამყარებული. სამი რუსული დივიზია

მიიწვევს „აღმოსავლეთის პარიზად“ წოდებული თბილისისაკენ, რომელიც კავკასიონის მთების სამხრეთით მდებარეობს... სარწმუნოა, რომ მოსკოვი გამოხატავს სურვილს თბილისი აქციოს სამხედრო ბაზად, საიდანაც პირდაპირ შეძლებს სპარსეთში ჯარების შეყვანას. ფრანგული კრეისერი ვალდეკ-რუსო (Waldeck-Rousseau) კონსტანტინოპოლიდან ბათუმისკენ გამოემართა.

როგორც ბათუმიდან იტყობინება ამერიკის წარმომადგენელი ჩარლზ მოზერი, რომლის ოფისიც ცოტა ხნის წინ თბილისში იყო განთავსებული, ყველა ამერიკელი უსაფრთხოდაა. მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ თბილისში არსებული მდიდარი მალაზიები და სასახლეები განძარცვული იქნება. მათ შორის, ვინც ცოტა ხნის წინ თბილისში მოღვაწეობდა, იყვნენ: ამერიკის კონსული (1919–1921 წლებში – ო. ნ.) ჯონ რანდოლფი (John Randolph) და ვიცე-კონსული (1917–1921 წლებში – ო. ნ.) ჰუკერ დულიტლი (Hooker A. Doolittle), ასევე ამერიკის სავაჭრო აგენტები: გრიფინი (Griffin), სმიტი (Smythe) და პერდიკარისი (Perdicaris), „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის“ დირექტორი ერნესტ იაროუ (Ernest A. Yarrow) თავისი მეუღლით...“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 20 თებერვალი, 1921 წ.).

დამონმებული პუბლიკაციისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ მისი მეშვეობით რედაქციამ თავის მკითხველებს ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ თბილისის დატოვების, ქუთაისში გადასვლის, ბოლშევიკური ჯარების მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამხობისა და თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამბავი ამ ტრაგიკული მოვლენის რეალურად მოხდენამდე ხუთი დღით ადრე აუწყა ფართო საზოგადოებას თითქმის ზედმიწევნითი სიზუსტით, რაც პირადად ჩემთვის ძნელად ასახსნელ ფაქტს წარმოადგენს.

იმ დროისათვის (19-20 თებერვალი) კი, როცა ხსენებული წერილი იწერებოდა, საქართველოს მთავრობა არა თუ თბილისიდან არ აპირებდა სადმე წასვლას, არამედ ქართულმა არმიამ მტერს უკანაც კი დაახევინა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას თუნდაც ის

ფაქტიც ადასტურებს, რომ აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთი დღის შემდეგ, 21 თებერვალს, სწორედ თბილისში მოწვეულმა დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს პირველი კონსტიტუცია.

ბოლო სტატია, რომელიც „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ბათუმის შესახებ გამოქვეყნდა, 1921 წლის 23 აპრილით თარიღდება. მასში ბათუმსა და ზოგადად მთელს საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის შემდგომი პერიოდია განხილული.

დასკვნის სახით, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ 1918-1921 წლებში „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ჩვენი ქვეყნის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, მიუხედავად მათში არსებული ინფორმაციული უზუსტობებისა და მოვლენათა არაობიექტური შეფასებებისა, მაინც უნდა მივიჩნიოთ საგულისხმო მასალად აღნიშნული პერიოდის საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად და სიღრმისეულად გასააზრებლად.

დამოწმებანი

გაზეთ *ნიუ-იორკ ტაიმსის* 1918-1921 წლების ნომრები.
საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. თბილისი, 2003.
<http://burusi.wordpress.com>
<http://politicalgraveyard.com/geo/ZZ/GG.html>

OTAR NIKOLEISHVILI

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

**AMERICAN PRESS OF 1918-1921 ON THE
DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA
(Based on the publications in “The New York Times”)**

The Democratic Republic of Georgia unfortunately did not have a strong international support that could try to defend its sovereignty. Foreign policy aimed at Germany failed after the end of World War I, and the victorious forces had little sympathy for our country and its independence. The indifference of the United States and the negative attitude of Great Britain towards the sovereignty of our country can serve as a clear proof of this fact. Such political position of the above mentioned countries and other influential states actually cost Georgia its independence.

Despite the official political attitude of the USA government towards the sovereignty of Georgian Republic, American political authorities were interested in the events taking place in our country. It is well seen in the numerous articles on Georgia published in the years 1918-1921 in “The New York Times”, one of the most prestigious and influential newspapers of the USA. These articles were mostly written by such well-known journalists as: Edwin James, general editor of “The New York Times” in 1932-1951, Walter Durant, chairman of the Moscow branch of “The New York Times” in 1922-1936, Herman Bernstein, newspaper reporter who served as an American Ambassador in Albania in 1930-1933, and others.

It will not be an exaggeration if we say that the above mentioned articles published in 1918-1921 in “The New York Times”, despite certain inaccuracies, should be considered to be a significant material for studying the international attitude towards the events taking place in Georgia at that period.

რუსუდან ნიშნინიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ამერიკაში გამოქვეყნებული ალბომი: „100 ყველაზე გახმაურებული მოვლენა“ და ერთი ქართული ოჯახის დრამატული ისტორია

ამერიკამ მაინც სამი ყაიდის ქართველი იცოდა: იოსებ სტალინი, პრენს ალექს მდივანი (და მისი და-ძმები) და ჯორჯ პაპაშვილი...

სამი სრულიად განსხვავებული ყაიდის ქართველი...

სამივე ფრიად ცნობილი და პოპულარული...

ქართველი ემიგრანტი გივი კობახიძე ვაშინგტონ-ტომპარკში დანერგლ წერილში იხსენებდა 30-იანი წლების ამერიკაში გამოქვეყნებულ ალბომს: „100 ყველაზე გახმაურებული მოვლენა.“ ამ ასიდან ერთ-ერთი თურმე, პრენს მდივანის ისტორია ყოფილა... სანამ მასზე დაიწყებდეს საუბარს, წერილის ავტორი სანფრანცისკოში მცხოვრები ქართველი თავადიშვილის – სვიმონ დადიანის თავსგადამხდარ ერთ შემთხვევას გაიხსენებს და იმას უამბობს მკითხველს. დავაზუსტებ, სვიმონ დადიანი ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ნიკოლოზ (კოკი) დადიანის ვაჟი გახლდათ (*მეორე ქორწინებიდან*).

ერთხელ სვიმონ დადიანი თავის უფროს ამერიკელ მეგობარს ნვეულებზე მიუპატიჟებია. მაღალი საზოგადოება შეკრებილიყო. და როცა სხვებთან ერთად ის ერთ-ერთ პიროვნებას წარუდგინეს როგორც ქართველი თავადი, იმას ხმამაღლა, დაცინვით და დაურიდებლად უთქვამს:

„– ააა, ქართველი, თავადი?! „პრენს მდივანი- ჰა! „იოლი ფულის თავადი!“ „პრენს მდივანი!“... ეს ყმანვილი ქართველი თავადი ყოფილა,“– მიმართა შეკრებილთ.

„–„პრენს მდივნის“ ლანდსმანი („country“) და თანაც რალაც უშნოდ ილრიჯებოდაო,“ – დანერს გივი კობახიძე (კობახიძე 1993: 4).

საკმაოდ უხერხული სიტუაცია შექმნილა. ერთხანს ყველა დუმდა. თითოეული იქ მყოფი მიხვდა, რასაც გულისხმობდა ამერიკელი, მაგრამ სვიმონ დადიანი არ დაიბნა, არ გაემიჯნა სხვა ქართველს, არ შერცხვა, უარი არ უთქვამს არც მასზე, არც მის საქციელზე და რაც მთავარია, არც საკუთარ წარმომავლობაზე. არადა, ამ მოულოდნელობისაგან ბევრს აებნეოდა თავგზა. ნუ დაგვაზინყდება, რომ ამ დროისათვის სვიმონი მხოლოდ 15-16 წლისაა. ამბავი კი ასე გაგრძელებულია:

„–Dდიად, მე ვარ ქართველი, „პრენს მდივანის“ თანამემამულე... თქვენ ვინ ხართ?

– მე?! —დამცინავი გაკვირვებით უთქვამს მას, – მე ვარ ამერიკელი!

– აჰაა, აჰაა! თქვენ ხართ ამერიკელი?! „აღ კაპონე!!!“ „აღ კაპონე!!!“ აღ კაპონე!!!“ – შესძახა სვიმონმა და გადახედა საზოგადოებას, თანაც თითი მიუშვირა ავცია სტუმარს და განაგრძო: ეს ჯენტლმენი ამერიკელია, აღ კაპონეს countryman... იოლი ფულის განგსტერი!“ (კობახიძე 1993: 4).

აი, მაშინ კი არეულა მონასტერი... ამერიკელი სტუმარი ცუდად აღზრდილი ქართველისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა... გაუგებრობა ისევ სვიმონ დადიანის ხმამაღლა დასმულ შეკითხვას გაუფანტავს:

„– რატომ არ შევეკითხებით საკუთარ თავს: რატომ ცდილობენ მილიონერი ამერიკელი ქალბატონები იოლი „პრინცესობის“ ტიტულის მოპოვებას?“

კითხვამ ბევრს გაუჩინა აზრის გამოთქმის სურვილი და... ბოლოს, ყველა დაეთანხმა ყმანვილ თავადს...

და მაინც, ვინ იყვნენ ესცმდივნები?

ამ ოჯახზე ძალიან ბევრს წერდა როგორც ევროპული, ისე ამერიკული პრესა, ბექდავდა „მყვირალა“ სათაურებით: სიმპა-

თით და ირონიითაც... ამ ოჯახის თითოეული წევრი „იმსახურებდა“ საზოგადოების და ჟურნალისტების გამორჩეულ ყურადღებას. ბევრ რამეზე წერდნენ, მაგრამ ძირითადი მაინც მათი პირადი ცხოვრება იყო. აუხსნელი, იმავდროულად, არანაკლებ გასაოცარი, თანაც შეკითხვებით სავსე. არადა, რასაკვირველია, ამ ოჯახის თითოეულ წევრს თავისი გამორჩეული კეთილშობილება, განათლება და ხიბლი ჰქონდა, მაგრამ პარალელურად გაჩნდა ფრაზაც: მექორწილე მდივნები.

ქორწილები – მდიდრული, ულამაზესი და გემოვნებიანი მაღალი საზოგადოებით, ანუ გამორჩეული სტუმრებით, უამრავი ულამაზესი ყვავილით, გულში გამკრთალი გაოცებით, დაკვირვებული თვალით, ბევრი სიცილითა და მხიარულებით სავსე. ხმაურიანი, დოვლათიანი ქორწინებები და გან-ქორწინებები ამერიკელი მულტიმილიონერების ქალიშვილებთან და პოლივუდელ საყოველთაოდ აღიარებულ კინოვარსკვლავებთან... და რაც მთავარია, ხშირად.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ გენერალი ზაქარია მდივანი მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად ჯერ კონსტანტინეპოლში ჩავიდა, შემდეგ ისინი პარიზში დასახლდნენ. უკვე 20-იანი წლების ბოლოს ოჯახი შეერთებულ შტატებში გადავიდა...

შვილები – სერგი, დავითი, ალექსი, ნინო და რუსუდანი.

ყველაზე პოპულარული მაინც ალექს მდივანი იყო, თუმცა ქორწინებებით მას არც დანარჩენი და-ძმა ჩამორჩებოდა.

„ალექსი მდივანი სრულიადაც არ იყო სააუგო პიროვნება, იყო კეთილი, გულისხმიერი და კარგი ქართველი,“ – წერდა გივი კობახიძე. აქვე დავიმონმებ ერთ მოზრდილ ამონარიდს ისტორიკოს რუსუდან დაუშვილის წერილიდან:

ალექსი „ეხმარებოდა არა მარტო მოხუც, ავადმყოფ მამას და გაჭირვებულ ახლობლებს, არამედ ცდილობდა თავისი სიმდიდრისთვის საზოგადოებრივი დანიშნულება მიეცა – დახმარებას უწევდა საქართველოს საელჩოს პარიზში, ქართულ ორგანიზა-

ციებს; საქართველოს საკითხის გამო ხშირად აწყობდა შეხვედრებს დეპუტატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, თავისი ხარჯით აცმევდა და გზავნიდა დელეგაციებს იმ კონგრესებზე, სადაც იდგა „საქართველოს საკითხი.“ „თვითონაც მიდიოდა, როცა ამის საჭიროება ჩნდებოდა“ (დაუშვილი 2012: 4).

არ ვიცი, ზუსტად როგორ მოხდა, მაგრამ ცნობილი და ემიგრაციის საქმეებში უდავოდ ჩახედული კაცის – გივი კობახიძისავე ცნობით, სწორედ ალექსიმ „ჯერ თავი „გაიპრინცა“ და მერე... შეეუღლა, რათა ისიც „გაეპრინცესებინა.“ თუმცა, შეუღლებაზე ოდნავ მოგვიანებით.

პრინცი – სამეფო სახლის შთამომავლის მდგომარეობა, რომელიც უკვე სხვა „ხიზლს“ სძენს ამ ტიტულის მქონეს. ასეთი ხუმრობაც გავრცელებულა, თითქოს ზაქარია მდივანს ეთქვას, თავადობა შეილება გადმომცეს და არა პირიქითო.

აქვე აღვნიშნავ, ჯორჯ პაპაშვილზე დაწერილ წერილებში არაერთგან შეხვედებით ფრაზას, რომ მწერალი ყოველთვის (*ინტერვიუებში, შეხვედრებზე...*), თანაც ხაზგასმით, აღნიშნავს, რომ ის ქართველია, მაგრამ თავადი არ არის, არამედ უბრალო გლეხი. თავის ბესტსელერშიც შემთხვევას „ხელიდან არ გაუშვებს“ და... ეგებს, ოდნავ ქილიკითაც დაწერს; მისის კლივენდონი გიორგის გაიცნობს:

„ – თქვენ უცხოელი ხართ? რუსი?

– არა, მადამ, მე ქართველი ვარ!

– ჰო. მაშინ თავადი იქნებით. მგონი, ყველანი თავადები ხართ.

– არა, მადამ, მე გლეხი ვარ!

– გეტყობათ, ძალიან თავმდაბალი ხართ. სხვები ყველანი თავადობას იჩემებენ” (პაპაშვილები 1966: 142).

გარდა იმისა, რომ ალექსი განათლებული, კარგი გარეგნობის და, როგორც ვთქვი, კეთილშობილებითა და, ზოგადად, სიყვარულით სავსე კაცი იყო, მდიდარ ამერიკელ ქალბატონებს ნოდების „ცდუნებაც“ ძალიან იზიდავდა. დასტურ, როგორი იდუ-

მალეობით სავსეა: ისტორიული სამშობლოდან უსასტიკესი ბოლ-შევიკური რევოლუციის გამო „გამოქცეული“ არისტოკრატები, რომელთა განათლებაში, მანერებსა და თავდაჭერაში წამითაც არ შეგეპარებოდათ ეჭვი. მეტიც, მათთან დაახლოებას უამრავი ადამიანი ცდილობდა... კემბრიჯის კურსდამთავრებული, „ნიუ-იორკ-ბანკის“ ფრანგული ფილიალის მოხელე, კარგად მღეროდა, ცეკვავდა, პოლოს თამაშობდა... პრინცი ალექს მდივანი.

პირველი ქორწინება, რომელმაც დიდი გამოცახილი გამოინ-ვია, იყო ალექსი მდივანის შეუღლება ბენვეულის მაგნატის 21 წლის ქალიშვილთან ლუიზა ასტორ ვან ალენთან, რომელიც, სამწუხაროდ, მაინცადამაინც დიდხანს არ გაგრძელებულა და „გადაიჩრდილა“ მეორე – უმდიდრეს ამერიკელ ვულვორტების შთამომავალ ბარბარა ჰიუტონთან ქორწილით. როგორც ამ-ბობენ, იმხანად მსოფლიოში ის ყველაზე მდიდარი ქალბატონი გახლდათ. „ამ ქორწილმა კი ნამდვილად აახმაურა მთელი შე-ერთებული შტატები. ჯვრისწერა პარიზში შედგა და იმხანად ევროპული და ამერიკული პრესისათვის ეს პირველ გვერდებ-ზე გაშუქებული მასალა იყო: ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში შესრულებული რიტუ-ალი, პომპეზურად მორთული გარემო, საგანგებოდ გამოწყო-ბილი ადამიანები“ სტუმრებს რომ ხვდებოდნენ და მონვეულთა შორის, რასაკვირველია, საქართველოს მთავრობის წევრებიც იყვნენ... ცოლ-ქმარი სიამოვნებით პოზირებდა ფოტოაპარატე-ბის წინ. ამას მოჰყვა საოცარი მოგზაურობები და უმდიდრესი საზეიმო შეხვედრები, არაჩვეულებრივი დღეები და... დაცილე-ბა. 1935 წელს გაზეთებში პირველმა „ყვითელმა სტატიებმა“ გაჟონეს. ისევ ბარბარა (რომელსაც მერე, უკვე მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ასეთ სახელსაც გამოუძებნიან: „სერიუ-ლი პატარძალი“) პრესასთან განაცხადებს, რომ „ყველაზე ღირ-სეულ მამაკაცს“ ეყრება.

1935 წელს ალექს მდივანმა, ზოგიერთი ცნობით, თავის ახლო მეგობართან, სალვადორ დალისთან და მეგობარ ქალბატონთან

ერთად დას, რუსუდანს ესპანეთში (პალამოში) ჩააკითხა. დას და სიძეს სტუმრობდა. იქედან წამოსული მოულოდნელად ავტოკატასტროფაში (რადაც უცნაურად, სწორედ ბარბარას ნაჩუქარი „როლს-როისით“) დაიღუპა; საზოგადოება ბარბარა ჰიუტონთან გაყრის მძიმე პროცედურის გამო მის სტრესულ მდგომარეობას აბრალებდა... უკვე ასაკში, ბარბარა დიდი სიყვარულითა და გულდანყვევით იგონებდა „კეთილი გულის, მაღალი სულის, ალერსიან და მზრუნველ,“ ყველასაგან გამორჩეულ ალექს მდივანს.

ამ ოჯახის კიდევ ერთ ნევრს გამოვარჩევ. თავადაც ნიჭიერი მოქანდაკე პრინცესა რუსუდან მდივანი იმხანად სახელგანთქმული ესპანელი მხატვარ-მონუმენტალისტის ხოსე მარია სერტის ჯერ მონაფე გახდა, შემდეგ მეორე ცოლი (მის პირველ მეუღლესთან გაშორების შემდეგ). მის პროფესიულ ოსტატობაზე და ნამუშევრებზე ბევრი არაფრის თქმაა შესაძლებელი, მაგრამ ერთი ნამუშევრის შესახებ მაინც აღვნიშნოთ – ქართველი მწერლის, ნიკოლო მინიშვილის ბიუსტი. საფრანგეთში მყოფ ნიკოლოს შეხვდა და ნამუშევარიც შეიქმნა; როგორ გაჩნდა იდეა, რამდენ ხანში გაკეთდა, რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება... ახლა უკვე ძნელია, შეუძლებელიც კი, ამის გარკვევა. დარჩა მხოლოდ ნამუშევრის ფოტო; ვფიქრობ, საინტერესო ნამუშევარია (ეს ფოტო მწერლის ვაჟის, ბ-ნ ილამაზ მიწიშვილის ოჯახში ინახება). ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, ისაა, რომ ნიკოლო მინიშვილს ამ ოჯახთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. თავის დოკუმენტურ პროზაში „ეპოპეა“ მწერალი გენერალ ზაქარია მდივანის ლიტერატურულ პორტრეტს დახატავს. ისინი სტამბოლში შეხვდნენ ერთმანეთს. დასხდნენ. საუბარი თავისთავად აენყო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ორივენი გულახდილნი იყვნენ. გულწრფელია ზაქარია მდივანი. და ნიკოლოც მოიგონებს:

„ყველაფერს მეუბნება და ჩვენი საუბარი ისეთია, თითქოს ნაბლის ბუძვით დაფენილ გზაზე მიდიოდეს ფეხშიშველი კაცი.“

„მწარეა ასეთ გზაზე სიარული, მაგრამ როცა სხვა გზა არაა – ასეთი გზით მიდიხარ, თუნდაც ფეხშიშველი“ (მინიშვილი 1929: 47).

ზაქარია მდივანს მთელი თვის განმავლობაში წერილის მიწერაც ვერ მოეხერხებინა ცოლ-შვილთან. და მაინც, როგორი იყო „პრინციების მამა“? ვრცელ ამონარიდს მოვიტან:

„ის იყო მაღალი, ევროპიულად გამონყობილი ახოვანი კაცი, რომელსაც კიდევ არ ხრიდა ნელში სამოცი ნელინადი და ის მწუხარება, რომელიც ავსებდა ამ ჟამად მის გულს და მის ოთახს ამ სასტუმროში. ის იდგა ჩემ წინ სწორი, ცისფერი თვალებით, თეთრ თმიანი... და ჰგავდა ინგლისელ დეპუტატს – კონსერვატორთა პარტიიდან. სწევდა პაპიროზს პაპიროსზე და განაგრძობდა:

– გესმის, ქაჯან, რას ნიშნავს ეს, გესმის? მე ვიყავი იმპერატორის ახლობელი კაცი, „სვიტის“ ლენერალი. „მე ვიყავი ცნობილი ნიჟეგოროდის პოლკის უფროსი; ვიყავი შეძლებული კაცი; მიყვარდა ცოლ-შვილი და არავინ არ მძულდა...

ეხლა არაფერიც აღარა ვარ. ცოლ-შვილი ჩემი უცხო მხარესაა გადავარდნილი და მე ჩაგირავებული ვარ ამ ცხვირმოუხოცელი ბერძენის ხელში, რომლის ვალი ბორკილივით მიჭერს ამ სასტუმროში...

გესმის, რას ნიშნავს ეს?!..“

მკითხველსაც ესმის და არა მხოლოდ ზაქარია მდივანის თანამოსაუბრეს; ქართველ მწერალს, რომელიც გულდამძიმებული დატოვებს იქაურობას და სიბნელეს შეერევა. თუმცა, მანამდე უხმოდ დაემშვიდობება ნაცნობს, რომელიც თავის თბილ და „რბილ ხელს“ გამოუწვდის დასამშვიდობებლად და გალიმებული მაინც ეტყვის:

„– შეგეშინდა? რა უყოთ. ასეთია ცხოვრება. ზოგი ჩვენი ბრალია. ზოგიც კიდევ სხვისი. შენ რა გიჭირს“ – თავის მეტი დასაკარგი არაფერი გაქვს. შემოიარე ხვალ, უთუოდ შემოიარე და

ვიფიქროთ რამე მაგ ოხერ თავზედაც. იქნებ, რამე მოვიფიქროთ. ნუ მოიწყენ...“ (მინიშვილი 1929: 49-50).

ისე მოხდება, რომ მდივანი უფრო ადრე გაემგზავრება საფრანგეთში; ნიკოლო მას და მის ოჯახს მოგვიანებით შეხვდება. რუსუდანიც მუშაობას შეუდგება და ის ბიუსტიც გაკეთდება... შემდეგ ყოველი მათგანის ცხოვრება უჩვეულოდ გაგრძელდება...

ამ ოჯახის თითოეული წევრის დრამატული ცხოვრების ისტორია და ფინალი ამერიკელი მკითხველისათვის ყოველთვის საინტერესო და ცნობისმოყვარეობით სავსე გახლდათ. ისტორიული გადასახედიდან კი არაერთი თვალსაზრისით საყურადღებო და ანგარიშგასაწევი.

დამოწმებანი

მინიშვილი, ნ. *ეპოპეა*. თბილისი, 1929.

პაპაშვილები, გიორგი და ელენე. *ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს*. თბილისი, 1966.

კობახიძე, გ. გაზ. *თბილისი*, №23, 5.02 1993.

დაუშვილი, რ. გაზ. *პრაიმ ტაიმი*, №12, 26.03 2012.

RUSUDAN NISHNIANIDZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

SUMMARY

ALBUM PUBLISHED IN THE US: “100 SENSATIONAL FACTS ABOVE ALL” AND A DRAMATIC HISTORY OF ONE GEORGIAN FAMILY

The US knew 3 types of Georgians: Joseph Stalin, Prince Alex Mdivani (and his brothers and sisters) and George Papashvily ...

3 totally different mannered Georgians...

All 3 of them famous and popular...

In a letter written in Washington – Tompark, Mr. Givi Kobakhidze was recalling an album that was published in the US in the 30s: “100 sensational facts above all.” One out of this hundred happened to be a history of prince Mdivani... Family of General Zaqaria Mdivani left the motherland after its loss of independence. European as well as American press was writing a lot about this family, was printing with “loud” titles: with a sympathy and irony as well...

Each member of this family “deserved” distinctive attention of society and journalists. They were writing about many things but it was still mainly their private life. Unexplained, at the same time, amazing and full of questions.

Georgian writer Nikolo Micishvili had very close relationship with this family. One of his collections of “Georgian chronicles” is called “Epopee.” This is a sample of documentary prose. Here there are no characters that are created by literature association nevertheless true personalities. In this interesting book there is drawn numerous amusing portraits. Among them there is a literary silhouette of “General Mdivani.”

History of a dramatic life of each member of this family and final al-

ways used to be interesting and full of curiosity for American reader. It is very important and trustworthy from historic point of view.

ჰასილ ფარაჰი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული ექსპერიმენტული მეთოდები

დღეს საერთაშორისო ტერორიზმი მსოფლიო სტაბილურობა-სა და უშიშროებას უდიდეს საფრთხეს უქმნის. 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში აღ-ქაიდას მსოფლიო ტერორისტული ქსელის ინიციატივით გან-ხორციელებული მასშტაბური, სისხლიანი ტერორისტული აქტე-ბის შემდეგ ბევრი საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პოლიტოლოგი თუ სოციოლოგი საერთაშორისო ურთიერთობებ-ში ახალი პერიოდის დაწყებაზე ალაპარაკდა. გლობალიზაციამ მანამდე ლოკალურად მიჩნეული ბევრი პრობლემა მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების ქვეშ მოაქცია. ამ კუთხით არც ტერორიზმია გამონაკლისი, რომლის აღმოფხვრას აშშ-ს მთავ-რობა ახალი მეთოდების გამოყენებით ცდილობს.

ჯ.ბუშის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული აშშ-ს კონ-ტრტერორისტული სტრატეგია დღესაც აშშ-ს საგარეო პოლი-ტიკის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციად ითვლება. 2001 წლის 11 სექტემბრამდე ამერიკის მმართველი ელიტა გრძნობდა, რომ საერთაშორისო ტერორიზმი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრებოდა, მაგრამ მისი წარმოქმნის მიზეზებს ჯერ კიდევ ღრმად ვერ აანალიზებდა. ბევრი პოლიტიკოსი ექსტრემიზმს ბოროტებად თვლიდა, რომლის აღმოფხვრაც აუცილებელი ხდებოდა. ასე მაგალითად, 1994 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ერთ-ერთი გამოსვლის დროს საერთაშორისო ტე-რორიზმის პრობლემებს დიდი ყურადღება დაუთმო და განა-ცხადა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ დანარჩენი მსოფლიოს ძირითად პრი-

ორიტეტად უნდა გადაქცეულიყო (www.state.gov/www/global/terrorism/980921_pres_terror.htm). ტერორიზმის ეროვნული კომისიის მიერ 2000 წლის ივნისში მომზადებული ანგარიში ყურადღებას ტერორისტული საფრთხის თავიდან აცილების რამდენიმე მეთოდის პრიორიტეტულობაზე ამახვილებდა (სამხედრო, ეკონომიკური, დაზვერვითი, ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური იზოლაცია და ა.შ.) (National Commission 2000: 4-5).

2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ თეთრმა სახლმა, კონგრესის მხარდაჭერით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და ეროვნული პროგრამები შეიმუშავა. „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია“ ორი ძირითადი ამოცანის შესრულებას ითვალისწინებს: დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატები, მისი მოქალაქეები, მეგობრები და მოკავშირეები მთელ მსოფლიოში ტერორისტული შეტევებისაგან და შექმნას ტერორიზმის ფუნქციონირებისათვის მაქსიმალურად არახელსაყრელი გარემო. ამ ამოცანის შესრულების მიზნით მთავრობამ ე. წ. „ოთხი D“-ს სტრატეგია წარმოადგინა: 1. Defend – დაცვა; 2. Defeat – განადგურება; 3. Deny – უარის თქმა; 4. Diminish – შემცირება (<http://cyberleninka.ru/article/n/protivodeystvie-terrorizmu-v-ssha-opyt-i-problemy>).

ბუნებრივია, რომ ანტიტერორისტული სტრატეგიის მთავარ მიმართულებას აშშ-ს ინტერესების და მოქალაქეების დაცვა წარმოადგენს, როგორც აშშ-ს ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ, აგრეთვე ტერორისტული საფრთხის აღმოჩენა და ნეიტრალიზაცია მაქსიმალურად ადრეულ სტადიაზე (Стратегия борьбы с терроризмом Соединенных Штатов Америки. URL: <http://studies.agentura.ru/tr/reform/uscounterterrorsystem/>). აღნიშნული სტრატეგიის უზრუნველყოფის ინსტრუმენტად მთელი ამერიკული ძლიერების სპექტრი იქცევა: ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო, ინფორმაციული და ა.შ. ჯერ კიდევ ჯ. ბუში-უმცროსის პრეზიდენტობის დროს შემუშავდა პროგრამა აშშ-სა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის ერთობლი-

ვი ანტიტერორისტული საქმიანობის შესახებ. მისი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტებია: ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციების წარმოება, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასა და ფინანსურ ოპერაციებზე კონტროლის დანერგვა. XXI საუკუნეში ბევრი ამერიკელი ექსპერტი უფრო ხმამაღლა და ხშირად საუბრობს და აფრთხილებს საკუთარ მთავრობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ადვილად მისაწვდომი კომპიუტერული ქსელის გამოყენებით. ასე მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი წარმომადგენელი, მარვლენგსტონი აფრთხილებს მთავრობას, რომ აშშ „ელექტრონული პერლ ჰარბორისთვის“ უნდა ემზადოს. (http://vlg.ucoz.com/index/6_ssha_i_borba_s_mezhdunarodnym_terrorizmom/0-19). აშშ-ის მთავრობის ინიციატივით ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან შესაძლო კიბერშეტევების თავიდან აცილების პროგრამის შემუშავება და განხორციელება ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ დაიწყო, რომელსაც ობამას ადმინისტრაციაც წარმატებით აგრძელებს.

აშშ-ში და სხვა ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზისის შექმნას. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ ბევრი სამართლებრივი დებულება თუ ნორმატიული აქტი არ არის სათანადოდ კონკრეტიზებული. აღნიშნული ფაქტორი ამერიკულ სპეცსამსახურებს და საერთოდ სამართალდამცავ ორგანოებს ხელს უშლის, იმოქმედონ კონკრეტულ სიტუაციებში. აშშ-ში არ არსებობს ყოვლისმომცველი ფედერალური კანონი ტერორისტული აქტის განსაზღვრის თაობაზე. ტერორისტულ აქტად შეიძლება ჩაითვალოს აფეთქების მცდელობა ან ორგანიზება, შეიარაღებული ძარცვა, მკვლელობა, ხანძრის გაჩენა, თავდასხმა, მძევლების აყვანა, შენობების, საელჩოებისა და სატრანსპორტო სა-

შუალეხების ხელში ჩაგდება. ყველა ეს ქმედება დასჯადია ფედერალური ან ცალკეული შტატების კანონებით და ხშირ შემთხვევაში ტერორისტულ აქტად კვალიფიცირდება.

ბევრი ამერიკელი ექსპერტი თვლის, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი ხდება მიდგომების ძირფესვიანად შეცვლა. მათი აზრით, მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით ტერორიზმის აღმოფხვრა არ მოხერხდება. აუცილებელი ხდება საზოგადოებაში ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და ტოლერანტული გარემოს შექმნა, რომელიც ტერორიზმის განვითარებას ნოყიერ ნიადაგს გამოაცლის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ კომპლექსური უშიშროების სისტემის ფორმირებაზე უდიდესი მატერიალური საშუალებები კონცენტრირდება. ამ სფეროში ვაშინგტონი აქტიურად თანამშრომლობს სხვა ქვეყნებთან. ყალიბდება ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების მთელი სპექტრი, თუმცა XXI საუკუნის ყველაზე დიდი ბოროტების დამარცხების გზაზე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს. ბევრი მიმართულებით ტერორიზმთან ბრძოლა ნაკლებად ეფექტურია და თუ ეს არ გამოსწორდება, მაშინ ტერორიზმის მასშტაბები დროთა მანძილზე კიდევ უფრო გაიზრდება.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ პრეზიდენტ ჯ. ბუშის ინიციატივით „ტერორისტული საფრთხის თავიდან აცილების გაერთიანებული ცენტრი“ (Terrorist Threat Integration Center) შეიქმნა, რომელიც თავის მოღვაწეობას პრეზიდენტ ობამას მმართველობის დროსაც აგრძელებს. მისი მთავარი ამოცანაა: „მიზანმიმართული, მუდმივი და ეფექტური ანტიტერორისტული საქმიანობის წარმოება და შეგროვებული ინფორმაციების საფუძვლებზე საერთო გეგმის შემუშავება“ (http://vlg.ucoz.com/index/6_ssha_i_borba_s_mezhdunarodnym_terrorizmom/0-20). ის რამდენიმე მთავარ პოსტულატს ემყარება: „ტერორისტების ფიზიკური ლიკვიდაცია; ტერორისტებთან თანამშრომლობაში

და დემოკრატიული ნორმების დარღვევაში შემჩნეულ ქვეყნებზე პოლიტიკურ-ეკონომიკური ზენოლა; რადიკალური შეხედულებების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის გაძლიერება; ავტორიტარულ სახელმწიფოებში დემოკრატიული ძალების მხარდაჭერა; ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში რეფორმების გატარება ეკონომიკური განვითარების სტიმულირების მიზნით, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს რეფორმირება, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა; პოლიტიკური რეფორმების გატარება: სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების აღდგენა, „პრობლემური რეგიონების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული ნორმების ეტაპობრივი დამკვიდრება; სხვადასხვა კონფესიებისა და ტრადიციების მიმართ კულტურული და რელიგიური შემწყნარებლობა“ (<http://www.dslib.net/vseobwaja-istoria/jevoljucija-amerikanskih-konceptualnyh-vzgljadov-na-prirodu-mezhdunarodnogo.html>).

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მისთვის ფინანსური ბაზისის გამოცლა ითვლება. ამ კუთხით ცალკეული სახელმწიფოების შესაძლებლობები სერიოზულად შეზღუდულია. ტერორისტული ქსელები ფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს ლეგალური კომერციული საქმიანობით, ნარკოტრეფიკით და აგრეთვე სხვადასხვა ისლამური ფონდების ანგარიშებიდან მოიპოვებენ. ტრანსნაციონალური ფინანსური ნაკადების არსებობის პირობებში, საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე, ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსირებისა და შემოსავლების წყაროების დადგენა რთულდება. გლობალური ანტიტერორისტული კამპანიის დაწყების შემდეგ საბანკო სფეროში ფულის არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა მკვეთრად გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ტერორისტული დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება, პრინციპში, ოფიციალური საბანკო სისტემის გვერდის ავლით არის შესაძლებელი. მის გარდა ფინანსური სახსრების გადაქაჩვის მთელი რიგი არალეგალური არხე-

ბი მოქმედებენ, რომელთა გამოვლენისა და თვალთვალის შანსი მინიმალურია” (Cronin 2002: 31.).

ბოლო ხანებში გამოიყოფა ტერორისტული ქსელის ორგანიზაციის სამი ძირითადი სახეობა, რომელთა დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობს: „პირველი“ – ეს არის სეგმენტირებული, პოლიცენტრისტული, იდეოლოგიურად ინტეგრირებული ქსელი (SPIN – segmented, polycentric, ideologically integrated network). ის ყველაზე სახიფათო, მონოლითური და ამასთან ერთად, შედარებით გასაგები მოდელია. მეორეა მრავალდარგობრივი ტერორისტული დაჯგუფებები (multiple-issue-terrorism), რომლებიც პირველისაგან იდეოლოგიური მოუწინაველობით განსხვავდებიან. მათ მრავალმხრივი მიზნები ამოძრავებთ, ხოლო მოტივები ამორფულია. მსგავს ტერორისტულ ორგანიზაციებში ძირითადად სხვადასხვა ფენის ადამიანები ერთიანდებიან, დანყებული კრიმინალებიდან დამთავრებული ჩრდილოვანი ბიზნესის წარმომადგენლებით. ზოგჯერ ასეთი სახის ქსელების შერწყმის საფუძველზე იქმნება ქსელური კონგლომერატები, რომელთა შესაძლებლობებიც ანალიტიკურ შეფასებას არ ექვემდებარებიან. მესამეა ვიწრო სპეციალობის მქონე ტერორისტული დაჯგუფებები (single-issue-terrorism). ამ სახის ორგანიზაციები შეიძლება ბევრი იყოს, თუმცა ყველანი ისინი ერთი სახის მოთხოვნებზე კონცენტრირდებიან. როგორც ნესი, ამ ჯგუფებს მიეკუთვნებიან მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალები, მწვანეები, გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები და ა.შ. სხვა საქმეა, რომ ისინი სოციალური ბაზის შეზღუდულობის გამო მსოფლიო წესრიგს ვერ ემუქრებიან” (Hoffman 2003: 3).

ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური თვალსაზრისით მოხრჩობა აშშ-ს მთავრობის ანტიტერორისტული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტად იქცა. ჯერ კიდევ 2006 წლის სექტემბრის ბოლოს პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ანტიტერორისტული

ბრძოლის დაფინანსების“ შესახებ, რომლის მიხედვით ტერორიზმი მსოფლიო სტაბილურობას, მშვიდობას და მისი მოქალაქეების კეთილდღეობას ემუქრება. ყველა სახელმწიფოს მიმართ გაკეთდა მოწოდება ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანებისა და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების აღკვეთის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტით მსოფლიო თანამეგობრობას შესთავაზეს „დაეფიქსირებინა საკუთარი პოლიტიკური ნება ტერორიზმის აბსოლუტური მიუღებლობისა და მის დაფინანსებაზე უარის თქმის თაობაზე“ (http://vlg.ucoz.com/index/6_ssha_i_borba_s_mezhdunarodnym_terrorizmom/0-21). ამრიგად, ვაშინგტონი საკუთარ მონინააღმდეგედ არა მარტო ტერორისტულ ქსელებს, არამედ მათ დამფინანსებელ სახელმწიფოებს, ორგანიზაციებსა თუ კერძო პირებსაც აღიარებს.

ზემოაღნიშნულის ჭრილში უნდა განვიხილოთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული ეკონომიკური მეთოდები, რომლებშიც ყველაზე ეფექტურად ითვლება: 1) ეკონომიკური დახმარების პროგრამების შემუშავება იმ ქვეყნებისადმი, რომლებიც ტერორიზმს უარყოფენ; 2) ეკონომიკური სანქციების დაწესება ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოების მიმართ; 3) ელექტრონული ფულის სისტემის განვითარება. განვითარებული სახელმწიფოები ეკონომიკურ დახმარებას უწევენ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საკუთარ ტერიტორიაზე ტერორიზმს ებრძვიან. ამ ინსტრუმენტს განსაკუთრებით აქტიურად ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს. ამერიკული დახმარების ყველაზე დიდ მიმღებ სახელმწიფოებად ეგვიპტე, ერაყი, პაკისტანი და ავღანეთი ითვლებიან, რომლებსაც ვაშინგტონი მხარს სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ სფეროშიც უჭერს. ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებს შორის ყველაზე უხვ ამერიკულ დახმარებას ისრაელი ღებულობს.

თეთრი სახლი არასასურველ სახელმწიფოებზე ზეწოლას ეკონომიკური სანქციების მეშვეობით ახდენს, რაც, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად გამართლებული ტაქტიკაა. საინტერესოა,

რომ აშშ სანქციების პოლიტიკას იყენებს არა მხოლოდ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ტერორიზმს უჭერენ მხარს, არამედ იმათ მიმართაც, ვინც საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიულ ნორმებს არღვევს ან ემუქრება მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტს. ამის საუკეთესო მაგალითია რუსეთის მიმართ დანესებული ყოვლისმომცველი ეკონომიკური სანქციები, რომლებმაც რუსეთის ეკონომიკა კრაზის წინაშე დააყენა. ცნობილია ფაქტები, როდესაც აშშ-მ დაბლოკა ტერორიზმის დაფინანსებაში შემჩნეული ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფოების ფინანსური ანგარიშები: „მაგალითად, ჯერ კიდევ 1979 წელს ამერიკის მთავრობამ ირანში მომხდარი ისლამური რევოლუციის საპასუხოდ ამერიკული ბანკების ანგარიშებზე არსებული ირანის კუთვნილი ფული დაბლოკა, რომლებიც ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გახსნილი“ (Хмылев 2010: 62).

ელექტრონული ფულის სისტემა ტერორიზმის წინააღმდეგ ეკონომიკური ბრძოლის მნიშვნელოვანი ტექნიკური ელემენტია. ევროპის ცენტრალური ბანკი ელექტრონული ფულის ცნებაში გულისხმობს ფულადი ღირებულების ელექტრონულ შენახვას ტექნიკურ მონყობილობაზე, რომელიც ტრანზაქციის მოსახდენად საბანკო ანგარიშებს არ საჭიროებს და წარმდგენისთვის მოქმედებს როგორც ასანაზღაურებელი ინსტრუმენტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი ფული ციფრული ფორმის ჩვეულებრივ ინფორმაციას წარმოადგენს და შეუძლია ნებისმიერი სახის ფინანსურ ოპერაციაში ფუნქციონირება. დაშვების კოდის არსებობის შემთხვევაში, მისი გაუქმება ან გადაცემა იოლად ხდება. ამერიკის სამთავრობო სტრუქტურებს თითოეული ფინანსური წყაროს აღმოჩენა და თითოეული ადამიანის საქმიანი რეპუტაციის შემოწმება შეუძლიათ, ხოლო თუ დადასტურდა მათი ტერორიზმთან კავშირი, ფინანსური ანგარიშების დაბლოკვა ხდება. ამრიგად, ტერორიზმის წინააღმდეგ ეკონომიკური ბრძოლის მეთოდები ანტიტერორისტული საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღია.

დასმეწმეზბანი:

Cronin, A. K. “Rethinking Sovereignty: American Strategy in the Age of Terror”. *Survival*, Summer 2002, Vol. 44. № 2, pp. 119-139.

Cronin, A. K. “Behind the Curve: Globalization and International Terrorism”. *International Security*, Winter 2000/03, Vol. 27, No 3, pp.30-58.

Hoffman, B. *Al Qaeda Trends in Terrorism and Future Potentialities: An Assessment*. RAND Papers. P-8078. Santa Monica, 2003.

National Commission on Terrorism. *Countering the Changing Threat of International Terrorism*. Washington, June 2000.

Хмылев, В. Л. *Современные международные отношения*. Томск, 2010.

www.state.gov/www/global/terrorism/980921_pres_terror.htm

<http://cyberleninka.ru/article/n/protivodeystvie-terrorizmu-v-ssha-opyt-i-problemy>

Стратегия борьбы с терроризмом Соединенных Штатов Америки. URL: <http://studies.agentura.ru/tr/reform/uscounterterror-system/>

http://vlg.ucoz.com/index/6_ssha_i_borba_s_mezhdunarodnym_terrorizmom/0-19

http://vlg.ucoz.com/index/6_ssha_i_borba_s_mezhdunarodnym_terrorizmom/0-20

<http://www.dslib.net/vseobwaja-istoria/jevoljucija-amerikanskih-konceptualnyh-vzgljadov-na-prirodu-mezhdunarodnogo.html>

http://vlg.ucoz.com/index/6_ssha_i_borba_s_mezhdunarodnym_terrorizmom/0-21

VASIL PERADZE

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

AMERICAN ECONOMIC TOOLS IN THE FIGHT AGAINST TERRORISM

The most effective American economic methods in the fight against terrorism are the following: 1. Economic aid to the countries fighting against terrorism; 2. Putting economic sanctions on the countries supporting terrorism; 3. Development of e-money system.

Developed countries provide economic support to the countries fighting terrorism on their territories. The White House uses economic sanctions as a means of pressure on the countries supporting terrorism which is an absolutely justified tactics. It should be noted that USA applies economic sanctions not only to the countries supporting terrorism but to the states violating democratic values and posing threat for the sovereignty of their neighbors.

E-money system is an important technical element of the anti-terrorist economic tools actively used by the US government.

ამირან (სიმონ) თავართქილაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ხონტაქსტში, რეალობა და მომავალი

საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის ვექტორი რამდენიმე საბაზო მიზანზე გადის. პირველ რიგში, ცხადია, ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებამდე ეს არის ასოცირებული წევრობის სპეციალური სტატუსი. ამ სტატუსის მისაღწევად შეიქმნა ე.წ. „ახალი გზა“, ევროკავშირის თავისებური „მაპი“. საუბარია აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულებაზე, რომელიც ევროკავშირმა რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ 1999 წელს, ექვს ქვეყანასთან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, უკრაინა და მოლდოვა) გააფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირისა და ამ ქვეყნებს შორის გაღრმავებულ ეკონომიკურ დაახლოებას.

საქართველო, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, კარგახანია სარგებლობს ევროკავშირის მიერ მინიჭებული განზოგადებული პრეფერენციების გაფართოებული სისტემით, ანუ GSP+-ით. იგი ითვალისწინებს ქართული ექსპორტის თითქმის უტარიფო დაშვებას ევროკავშირის ბაზარზე. ქართული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე საკმაოდ სერიოზული პრეფერენსირების სისტემით სარგებლობს. 10000 სატარიფო პოზიციიდან, რომელთაც ევროკავშირის ერთიანი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს, დღეს 9300 დასახელების პროდუქციაა. ამის მიუხედავად, ევროპის ბაზარზე საქართველოდან მხოლოდ რამდენიმე ათეული დასახელების

პროდუქცია გადის. აქედან GSP+-ის შეღავათების რეჟიმს უშუალოდ 34 დასახელების პროდუქცია ექვემდებარება. 2008 წლიდან კი ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს ხელშეკრულებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

ევროპა მხარს უჭერს იმ ქვეყნების ნახალისებას, რომლებიც მისი პოლიტიკურად სტრატეგიულ პარტნიორებად მოიაზრებიან. დღესაც, თუ კი ევროკავშირი აშკარად გრძნობს, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობს და ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობს, მასთან ნახალისების მიზნით, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას ქმნის. დღეს საქართველო სწორედ ამ ფრილში განიხილება. საქმე სწორედ იმაშია, თუ რამდენად სწორად და დროულად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მარტივად არ ფორმდება. მის მომზადებას წინ უძღვის გრძელვადიანი მოლაპარაკების პროცესი, როდესაც მხარეები ერთმანეთს რეგულაციების შესახებ კონკრეტული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნას აყალიბებენ.

2009 წლის მარტში გამოქვეყნდა ევროკომისიის ექსპერტთა სპეციალური მისიის დასკვნა. დასკვნაში დელიკატურად და დიპლომატიური ენით აღნიშნულია, რომ საქართველოში აუცილებელია შესაბამისი რეფორმების განხორციელება, მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულება მიჩნეულია აუცილებლად ამ შეთანხმების გასაფორმებლად.

2010 წლის ნოემბერში, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ღიად მიანიშნა, რომ ქვეყანას მათ განსახორციელებლად „მეტი ძალისხმევა“ სჭირდება. ეს იყო საქართველოს ხელისუფლების პირველი გაფრთხილება. აღნიშნა ისიც, რომ „სავაჭრო მოლაპა-

რაკეტებისთვის დროის განსაზღვრა საქართველოს ხელშია“. მაგრამ გავიდა კიდევ ორი წელი და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყანა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გასაფორმებლად კი არა, მოლაპარაკებების დასაწყებადაც არ იყო მზად. ასეთი მემკვიდრეობა დახვდა ახალ არჩეულ ხელისუფლებას. ინტენსიური საქმიანობის მიუხედავად, ჯერჯერობით დასრულებული არ არის ევროკავშირის მხრიდან შეფასებებისა და კონსულტაციების პროცესი. საქართველოს ყოფილ მთავრობას, მრავალჯერადად დეკლარირებული სურვილის გარდა, რომ მსგავსი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ის, რომ ევროკავშირის და ევროკომისიის მრავალჯერადი შეხსენების მიუხედავად, რამდენიმე წელია საქართველოს მთავრობა ჯიუტად არ ასრულებდა ევროკავშირის 4 მოთხოვნიდან არც ერთს. აღნიშნულ მოთხოვნებს კი ევროკავშირი განიხილავს თავისუფალი ვაჭრობის დადების წინაპირობად. ეს ოთხი მოთხოვნაა: სტატისტიკის უწყებისა და სტატისტიკის სისტემის რეფორმირება, შრომის კოდექსის შეცვლა, სურსათის უვნებლობის პრობლემის მოგვარება, ანტიმონოპოლიური რეგულირების უზრუნველყოფა. არც ერთი მიმართულებით საქართველოს 2013 წლამდე ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. ძირითადად, კარგად ორგანიზებული პიარ კამპანიით ამ მოთხოვნების ფარგლებში მხოლოდ „ზოგიერთი“ და ისიც „ფასადური“ ცვლილებები განხორციელდა. თითქოსდა შეიცვალა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, მაგრამ ის პუნქტები და მუხლები, რაც ამ კანონმდებლობაში შევიდა, რეალურად ქართულ ბაზრებზე არსებულ მდგომარეობას არ და ვერ ცვლის. ყოველივე ადვილად შეამჩნიეს ევროკავშირის ექსპერტებმა, ჯერ კიდევ კანონპროექტის განხილვამდე და განხილვის პროცესში არაერთი რეკომენდაცია გამოიგზავნა, მაგრამ... მოლაპარაკების „ლუფტი“ დიდი არაა, მაგრამ შედეგი — მოლაპარაკებით აღებულ ვალდებულებათა იმპლემენტაციაზეა დამოკიდებული. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საქმე გაკეთდეს სწორად.

მოკლედ, გავიდა 5 წელი, მოლაპარაკებები ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ანუ საქართველომ ვერ შეასრულა მოლაპარაკების დანაშაულისათვის საჭირო მინიმალური მოთხოვნები. ევროკავშირის ექსპერტები ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ საფუძვლიან ეჭვნარევ აზრს: „თუ რამდენად იყო მზად საქართველო ინტენსიური მოლაპარაკებების ეტაპზე გადასასვლელად“.

საყურადღებოა, რომ ამ პროცესების პარალელურად საქართველოში ე.წ. სახელისუფლებო ბეჭდურ და ტელე მედიაში სულ უფრო და უფრო მეტად წარმოჩინდა იმ ექსპერტ სპეციალისტთა მოსაზრებები, რომლებიც მკითხველისა და მსმენელისათვის აჩენდა კითხვას, „თუ რამდენად მისაღებია მსგავსი ხელშეკრულება ისეთი სახით, როგორსაც ევროკავშირი მოითხოვს? რომ ევროპას მხოლოდ თავისი ინტერესები ამოძრავებს და თავისი საქონლის ბაზარი სჭირდება“ და სხვა. რითაც შეფარულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. მით უმეტეს, როცა იმჟამს ხელისუფლებაში მყოფმა ლიბერტარიანული მსოფლმხედველობის ადამიანებმა საქართველოს ეკონომიკა გარკვეულ კალაპოტში უკვე მოაქციეს. მათი ხედვით, ეს იყო ღია ბაზრის პრინციპი, რითაც ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ შესაძლებლობების დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ცალსახაა, რომ საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცემი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედება ევროპელთა მხრიდანაც კეთილგანწყობილი და მხოლოდ პოლიტიკური გადანაწევტილებაა, რადგან პრაგმატული თვალსაზრისით საქართველო ძალზე მცირე ბაზარია – ევროპული სავაჭრო სივრცის საერთო ბრუნვაში ჩვენი წილი, ალბათ, 00,01 პროცენტი თუ იქნება.

საყურადღებოა, რომ დღეისათვის ევროპელებს იგი მხოლოდ სამხრეთ კორეასთან აქვთ გაფორმებული.

რას მოუტანს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოს?

ბევრად უფრო გადავილდება საქართველოდან ნებისმიერი სახეობის პროდუქტის ექსპორტი ევროკავშირში. ჩვენ ვიცით, რომ ვაჭრობაში ძირითადი ბარიერები არის არა ტარიფები, არამედ საკანონმდებლო გარემო და ამის გამო ძალიან რთულდება საქონლის შეღწევა ბაზარზე. აქ, უწინარეს ყოვლისა, საუბარია ტექნიკურ რეგლამენტებზე. მაგრამ, თუ ტექნიკური რეგლამენტები იქნა ჰარმონიზებული ევროკავშირთან, უკვე შესაძლებელი იქნება შეთანხმების დადება ხარისხის შესაბამისობის შეფასების სისტემების ურთიერთცნობაზე. ამის მიღწევა ძალიან მნიშვნელოვანია.

ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ევროპული სტანდარტები მაღალი და მომსახურება ხარისხიანია და თუ საქართველო ამ სტანდარტებში ჩაჯდება, მისთვის ღიაა არა მარტო ევროპული, არამედ ყველაზე მსყიდველუნარიანი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარიც. შესაბამისად, ბევრად უფრო ადვილად მიიღწევა აშშ-სთან ანალოგიური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება. ასევე გადავილდება ქართული პროდუქციის მარკეტინგი.

მას შემდეგ, რაც ახალი საქართველო ევროპული ბაზრის ნაწილად იქცევა, ბევრად მიმზიდველი ვხდებით ფინანსურად ყველაზე დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყნების, ამერიკელი და ევროპელი, იგივე იაპონელი და ჩვენი მეზობელი ქვეყნის ინვესტორებისთვის, რადგან, საქართველოში მუშახელის და ადგილობრივი ნედლეულის სიახლის, სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გათვალისწინებით, საკუთარ ბრენდულ ნაწარმს უკვე ჩვენთან შექმნიან. ბიზნესის ყველა ლოგიკით, ინვესტორი აქ აამუშავებს მაღალი ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე საწარმოს, რადგან საქონელს ევროპულ ქვეყნებში ყოველგვარი ბარიერის, ბაჟისა და დამატებითი ფორმალობების გარეშე შეიტანს.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ცნობილი კვლევითი ჯგუფის CASE-ს კვლევამ, Global Insight-თან ერთად აჩვენა, რომ ევ-

442

როპასთან ღრმა და ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას (DSFTA-ს) მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს ეკონომიკაზე. განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც ქვეყანას უკვე აქვს გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობები. კვლევის მიხედვით, მაგალითისთვის: ხელშეკრულების დადებიდან 5 წლის განმავლობაში შესაძლებელია საფეიქრო პროდუქციის გამოშვება დაახლოებით 55 %-ით გაიზარდოს. DCFTA-ამ დადებითად შეიძლება იმოქმედოს სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების გამოშვებაზე, რამაც 5 წლის შემდეგ შეიძლება 21 %-ით მოიმატოს. 19% ზრდა შეიძლება ჰქონდეს ქიმიური, რეზინის და პლასტმასის პროდუქციის წარმოებასაც. ვაჭრობის რეჟიმის პოზიტიური გავლენა აისახება მეტალურგიაზეც, რომლის წარმოება შესაძლებელია 30 %-ით გაიზარდოს. მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ DCFTA-ს ამოქმედებამ რეალურად შესაძლებელია საქართველოში ხელფასების დონე გაზარდოს და ა.შ. ყოველივე ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ზრდის მეტი პერსპექტივა შესაძლებელია იმ დარგებს ქონდეთ, რომლებიც შრომის მაღალი ინტენსივობით ხასიათდებიან (მეტალურგია, საფეიქრო წარმოება და ა.შ.). ამასთანავე, თავისუფალმა სავაჭრო რეჟიმმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი დადებითი იმპულსები შემატოს საექსპორტო პროდუქციის ზრდას. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მთლიანი ქართული ექსპორტის ზრდის ტემპმა შესაძლებელია 13 % ზრდას მიაღწიოს. შესაძლებელია მნიშვნელოვნად მოიმატოს ლითონის ნაწარმის ექსპორტმა, ასევე სასურსათო პროდუქტებისა და სასმელის ექსპორტმა (განსაკუთრებით ნატურალური ღვინოებისა და სპირტიანი სასმელების). საფეიქრო პროდუქციის ექსპორტის ზრდამ კი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში შესაძლოა 158 % შეადგინოს. ზრდის პერსპექტივა აქვს ავეჯის, ტყავგალანტერიის, საიუველირო ნაკეთობების, სათამაშოების, სპორტული ინვენტარის ექსპორტს და სხვა.

რა არის ის მთავარი მოთხოვნები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს მოლაპარაკებების ეტაპამდე მისასვლელად?

უნდა გვეკონდეს სტანდარტების ისეთი განვითარებული სისტემა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება; ასევე, შესაბამისი ევროპული სტანდარტის დონე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტატისტიკაში; კონკურენციის სფერო უნდა იყოს რეგულირებადი. მნიშვნელოვან სფეროდ განიხილება ასევე ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ძალიან მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც ევროკავშირი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს, არის სანიტარია და ფიტოსანიტარია. საუბარია სურსათის უვნებლობაზე.

დღეს მოლაპარაკებების პროცესზე კეთილსასურველ გავლენას მოახდენს საქართველოს შრომის ახალი კოდექსი, თუმცა წარსულში შრომის ახალი კოდექსის მიღების აუცილებლობა ევროკავშირის ძირითად პირობებში თავიდანვე, ჯერ კიდევ 2008 წელს განისაზღვრა, მაგრამ „ნაციონალურ“ ხელისუფლებას მის შესრულებაზე არც უფიქრია.

ქართული პროდუქცია რომ ევროპაში შევიდეს, საექსპორტო საქონელმა საერთაშორისო აღიარების მქონე სასერტიფიკაციო ცენტრებში სერტიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს და ჰარმონიზებული სტანდარტები დაინერგოს, რასაც რამდენიმე წელი და სერიოზული ინვესტიციის მოძიება დასჭირდება. სერიოზული ინვესტიცია კი, რეალურად, მხოლოდ ამ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამიტომ საქართველოს მზაობას ვილნიუსის სამიტიანთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასოცირების ხელშეკრულება არის გზა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისაკენ. ეს არ არის ფანტაზია და ამის მიღწევა საქართველოსთვის აბსოლუტურად შესაძლებელია. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საკითხთა უმრავლესობა დამუშავდა და შესაბამისი დოკუმენტაცია ევროკავშირში გადაიგზავნა. სავარაუდოდ, 2013 წლის ბოლომდე იმ ვადების გან-

საზღვრაც მოხდება, როდესაც ფორმალური მოლაპარაკებების დანყება შესაძლებელი გახდება. ეს, ალბათ, 2014 წლის მეორე ნახევარი იქნება. თავად ის ფაქტი, რომ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება რეალობა გახდეს, ძალზედ დადებითია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია.

AMIRAN (SIMON) TAVARTKILADZE

Guram Tavartkiladze Teaching University, Professor

SUMMARY

TRADE POLICY OF GEORGIA AND FREE TRADE AGREEMENT WITH THE EUROPEAN UNION IN THE CONTEXT OF US-GEORGIA RELATIONS: REALITY AND FUTURE

The track of Georgia's integration with the West crosses several basic goals. First and foremost, of course, it is membership of NATO and the European Union. Europe supports those countries, which are considered its strategic partners politically. Today, when the EU really sees that less developed country tries to follow democratic standards and does not give up important principles of the European civilization, as an encouragement, the EU creates opportunities to sign a free trade agreement with such country. Today, Georgia is put on such a lookout. Definitely, signing of a free trade agreement with any concrete country is oriented on some positive result. However, cooperation of this scale with such conglomerate as the European Union can be viewed also as kind of an indirect guarantee of Georgia's security.

It is worth emphasizing that a free trade agreement is one of the components of the association agreement. Presumably, until the end of 2013 the dates when formal talks could be started on this issue will be agreed upon. It looks like it will be the first half of 2014. The very fact that free trade with Europe may become real, is very positive.

ხატია ცირაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ხვებეკური სეპარატიზმის ასპექტები

კვებეკური სეპარატიზმი თავისი არსებობით ამტკიცებს, რომ სეპარატიზმი ერთდროულად საშიშია და დაშლით ემუქრება როგორც განვითარებად ქვეყნებს, ასევე ეკონომიკურად ძლიერ, დემოკრატიული ინსტიტუტების საუკუნოვანი ტრადიციების მქონე სახელმწიფოებს. მათ რიცხვში კანადის ფედერაციას, უდავოდ, უჭირავს ღირსეული ადგილი. კანადის ფედერალიზმის კრიზისზე საუბარი XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ქვეყანაში ეთნიკური საკითხი მთელი სიმწვავეით 80-90-იან წლებში დადგა. დეცენტრალიზაციის პროცესის დაწყების მთავარი მიზეზი ქვეყნის ფრანგულენოვან პროვინციაში – კვებეკში არსებული სეპარატისტული მოძრაობა გახდა. 1976 წელს კვებეკის პროვინციის ადგილობრივ არჩევნებში სეპარატისტულმა პოლიტიკურმა ძალამ – „კვებეკის პარტიამ“ გაიმარჯვა და პროვინციის ხელისუფლებაში მოვიდა. „კვებეკის პარტიის“ ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1980 და 1995 წლებში კვებეკში ჩატარდა რეფერენდუმი კანადის ფედერაციიდან კვებეკის პროვინციის გამოყოფის შესახებ. სეპარატისტებს მოსახლეობის 49,5%-მა მხარი დაუჭირა და ქვეყანა დაშლას რამდენიმე ათასი ადამიანის ხმამ გადაარჩინა. კვებეკის საკითხს თან დაერთო ფედერალურ-პროვინციული ურთიერთობების გამწვავება ქვეყნის სხვა ინგლისურენოვან პროვინციებთან. ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ ხმამაღლა დაიწყო საუბარი კანადაზე, როგორც „მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დეცენტრალიზებულ ფედერაციაზე“ (*The Toronto Star*, 2008: 26/04). კანადის ცენტრალური ხელისუფლების მთავარ ამოცანას ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება წარმოადგენდა. საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტი

პროვინციებთან ურთიერთობის დარეგულირება გახდა, რომელთა შორის თავისი სიმწვავით კვებეკის საკითხი გამოირჩეოდა.

კვებეკი 1867 წლის 1 ივლისს ინგლისის დედოფლის მიერ დამტკიცებული ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის შესახებ აქტის საფუძველზე შეიქმნა. ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო ქვეყნის ახალ კონსტიტუციას. კანადის ფედერაციის შემადგენლობაში კვებეკთან ერთად სამი ჩრდილოეთ ამერიკული პროვინცია: ონტარიო, ნიუ-ბრანსუიკი და ახალი შოტლანდია შევიდა. დღეს კანადის ფედერაციის პროვინციათა რიცხვი ათს შეადგენს. კვებეკი თავისი ეთნიკური შემადგენლობით და ისტორიული წარსულით სხვა პროვინციებისაგან გამოირჩევა. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პროვინცია ფრანგმა კოლონიზატორებმა 1608 წელს დააარსეს და მას „ახალი საფრანგეთი“ უწოდეს. კვებეკის პროვინცია 1763 წლამდე საფრანგეთის კოლონიას წარმოადგენდა. „ახალი საფრანგეთი“, საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის დადებული პარიზის ხელშეკრულების თანახმად, 1763 წელს ბრიტანეთის მფლობელობაში გადავიდა და მისი სახელწოდება კვებეკით შეიცვალა. პროვინციის ტერიტორია მოიცავს 1.542 056 კვ.კმ-ს, რაც კანადის ფედერაციის მთელი ტერიტორიის 15%-ია, სადაც ცხოვრობს 8 028 400 ადამიანი, ქვეყნის მთელი მოსახლეობის 23.6%. კვებეკის მოსახლეობის 80% ფრანგოკანადელია. სწორედ კვებეკის პროვინციაში კომპაქტურად დასახლებული ფრანგულენოვანი მოსახლეობა იყო კანადის კონფედერაციის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც 1949 წელს დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი ფედერაციული სახელმწიფო გახდა.

კვებეკური სეპარატიზმი, მსოფლიოში არსებული სხვა სეპარატისტული მოძრაობების მსგავსად, კომპლექსური ხასიათის მიზეზებით ხასიათდება. საკითხის მეცნიერული კვლევის შედეგად გამოვყოფთ კვებეკური სეპარატიზმის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორც არის: სოციალურ-ეკონომიკური, კულ-

ტურულ-ლინგვისტური, დემოგრაფიული, სამართლებრივი ფაქტორები.

სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი. კანადის მთელი ისტორიის განმავლობაში ქვეყნის პროვინციები არათანაბრად ვითარდებოდა, რისი მიზეზიც, უპირველეს ყოვლისა, ფედერაციის ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ცენტრალური ხელისუფლება ინტერესს გამოხატავდა ქვეყნის მდიდარი ცენტრალური კანადის, ონტარიოს მიმართ, რაც განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობით (აშშ-სთან სიახლოვე) და ემიგრაციული ნაკადის ისტორიული მიმართულებით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამგვარი პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბდა ძლიერი ონტარიო და შედარებით ღარიბი პროვინციები, რომლებსაც ეკონომიკურად აშშ-სთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდა, ვიდრე თავად კანადასთან («*Канада на пороге 70-80 годов*», 1980:234). მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში უმუშევრობის მაჩვენებელი ონტარიოსთან შედარებით კვებეკში ოთხჯერ მაღალი იყო. პროვინციის ეკონომიკას, ძირითადად, წარმართავდა და აკონტროლებდა ანგლოკანადური და ამერიკული კაპიტალი. კვებეკის განვითარებას ხელს უშლიდა ქვეყნის საგადასახადო სისტემა, რომელიც ონტარიოს სასარგებლოდ ფუნქციონირებდა და ზღუდავდა კვებეკის წარმოებას (Tremblay 1998: 65).

პროვინციის ეკონომიკურ ჩამორჩენას თან დაერთო ფრანგოკანადელების არათანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა კანადაში და თვით კვებეკში. „ფრანგოკანადელებს დაბალი სამსახურეობრივი პოზიციები ეკავათ. ფრანგოკანადელების მხოლოდ 5%-ს ჰქონდა მაღალანაზღაურებადი სამუშაო“ (Rioux 1998: 91).

პროვინციის ეკონომიკური ჩამორჩენა განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ წონას კანადის ფედერაციაში, რომელიც ძალიან დაბალი იყო. ეს აისახებოდა მისი არაპროპორციული წარმომადგენლობით კანადის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ ხელისუფლება-

ში ყოველთვის იყო რამდენიმე ფრანგოკანადელი პოლიტიკოსი, მათ შორის ქვეყნის პრემიერ-მინისტრებიც, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების სტრუქტურებში აბსოლუტური უმრავლესობით ანგლოკანადელები იყვნენ წარმოდგენილი.

დღემოგრაფიული და ეთნოლინგვისტური ასპექტი. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფრანგოკანადელი მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. თუ 1961 წელს პროვინციის მოსახლეობა კანადის მოსახლეობის 29%-ს შეადგენდა, 1966 წელს 24%-მდე შემცირდა, 1971 წლის მონაცემებით კი 23%-მდე. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ფრანგოკანადელების ასიმილაცია ინგლისურენოვან პროვინციებში. შობადობის მაჩვენებელი კვებეკში სხვა პროვინციებთან შედარებით დაბალი იყო. XX საუკუნის 70-იან წლებში პროვინციის მოსახლეობის რიცხვი განსაკუთრებით შემცირდა. ერთი წლის განმავლობაში პროვინცია 415 ათასმა ადამიანმა დატოვა. მოსახლეობის ნაკადების მასიური გასვლა პროვინციიდან განპირობებული იყო ორი საკითხით: კვებეკში ნაციონალური საკითხის გამწვავებით და ადგილობრივი ხელისუფლების მიზანმიმართული ენობრივი პოლიტიკით. 1968 წელს კვებეკის ნაციონალურმა ასამბლეამ მიიღო 101-ე კანონი ფრანგული ენის შესახებ. აღნიშნულმა კანონმა ფრანგული ენის ცოდნა პროვინციაში შემოსული ყველა ემიგრანტისათვის აუცილებელი გახადა. ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, კვებეკმა ყოველწლიურად 60 ათასზე მეტი ემიგრანტი არ უნდა მიიღოს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ 101-ე კანონის შემოღებით ფრანგულენოვანი ემიგრანტების შემოსვლა პროვინციაში წაახალისა და, შესაბამისად, ინგლისურენოვან ემიგრანტთა ნაკადები შეზღუდა. სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგია, რომ პროვინციაში ემიგრანტები ძირითადად არიან იმ ქვეყნებიდან, სადაც ფრანგულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს, ან როგორც უცხო ენა უპირატესობით სარგებლობს (საფრანგეთი, ჰაიტი, ლიბია და სხვა). ფრანგული ენის შესწავლის სავალდებულო ხასიათს სე-

პარატისტი პოლიტიკური ძალები ფრანგოფონების ინგლისურენოვან მოსახლეობაში ასიმილაციის რეალური საფრთხით ხსნიან. 101-ე ენის კანონი, მათი აზრით, ხელს უწყობს ფრანგული ეთნოსის ერთიანობას, იცავს ფრანგულ ენასა და კულტურას პროვინციაში. სეპარატისტები არგუმენტად იყენებენ ლინგვისტურ სტატისტიკას. 1951 წლის მონაცემებით, ფრანგული ენა პროვინციაში იცოდა მოსახლეობის 62.5%-მა, ინგლისური ენა – 11.6%-მა. 1961 წელს ფრანგულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 61.9%-მდე შემცირდა. 1971 წელს – 60.9%-მდე, 1991 წლის მონაცემებით 58% გახდა (Report 1967:23).

სეპარატისტების მიერ მიღებულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა, ინგლისურენოვანი მოსახლეობის გადინებამ პროვინციიდან კვებეკის მოსახლეობა მონოეთნიკური გახადა. 2013 წლის მონაცემებით, ფრანგულად საუბრობს მოსახლეობის 79.1%, ინგლისურ ენაზე – 7.7%, ალოფონები – 11.6% და აბორიგენები – 0.6%. „კვებეკში დამოუკიდებლობის იდეის მხარდაჭერის მთავარი მიზეზი ინგლისური ენის მეშვეობით ფრანგულენოვანი მოსახლეობის ასიმილაციის შიში იყო. ფრანგული ენა არასოდეს ყოფილა კანადაში უმრავლესობის ენა და დღეს უმცირესობის ენა დაცვას საჭიროებს“, – აცხადებდა ცნობილი სეპარატისტული მოძრაობის ლიდერი – ბობ დოილი (Harrison, Marsen 1995:80). “როგორც ყველა ეთნიკურ უმცირესობათა ნაციონალიზმი, კვებეკური სეპარატიზმიც შეიცავს ასიმილაციის შიშს და სეპარატიზმის მთავარ ამოცანას ფრანგოკანადელი ეთნოსისა და ფრანგული ენის გადარჩენა წარმოადგენს. რუსი მეცნიერი მ. მიროვი კვებეკის სეპარატიზმს შემდეგ ფორმულირებას აძლევს: „მთავარი ნიშანი, რითაც „ჩვენ“ „სხვებისგან“ განვსხვავდებით, არის არა კონფესია და სისხლით ნათესაობა, არამედ ენა. სწორედ ენასთან ახდენს ინდივიდი იდენტიფიკაციას. კვებეკური სეპარატიზმის ასპექტებს შორის სწორედ ენა არის გადამწყვეტი ფაქტორი” (Миров 1999: 67).

კანადის ფედერალიზმის კრიზისის მიზეზებზე საინტერესო

კვლევას გვთავაზობს დანიელ კელემენი: „ფედერაციული წყობა ეს არის სახიფათო პოლიტიკური თამაში ცენტრალურ ხელისუფლებასა და პროვინციებს შორის. თუ ამ თამაშში ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს, ფედერაცია ემსგავსება უნიტარულ სახელმწიფოს. თუ პროვინციის ხელისუფლება აღწევს განსაკუთრებულ წარმატებებს, მას უმძაფრდება ავტონომიურობის სურვილი. მდგრად ფედერალურ სახელმწიფოს განაპირობებს ოთხი ძირითადი მახასიათებელი: სტრუქტურული, სასამართლო, სოციალურ-კულტურული და პარტიზანული. კვებეკური სეპარატიზმის ისტორიამ აჩვენა, რომ კანადაში ფედერალიზმის ეს ქვაკუთხედები არ იყო განვითარებული, ან საერთოდ არ არსებობდა. განსაკუთრებით კი სოციალურ-კულტურული მხარე. კანადელებს არ ჰქონდათ ერთიანი სოციალურ-კულტურული თვითშეგნება“ (Doran 1996: 104).

აბორიგენების საკითხი. კვებეკური სეპარატიზმის საუბრი-სას იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ცალკე აღებული თავად წარმოადგენს კანადის ფედერალიზმის მნიშვნელოვან პრობლემას და ამავე დროს კავშირი აქვს კვებეკში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. საუბარია კანადის აბორიგენულ მოსახლეობაზე. 2010 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, კანადაში აბორიგენული მოსახლეობის რიცხვი 1.1 მილ. ადამიანს არ აღემატება. აქედან 69% ინდიელია, 26% – მეტიისი, 5% – ესკიმოსი. აბორიგენი მოსახლეობა კანადის მთელი მოსახლეობის 0.6%-ს შეადგენს და ისინი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში რეზერვაციებში ცხოვრობენ. XX საუკუნის 80-90-იან წლებში აბორიგენულმა მოსახლეობამ მთელი რიგი მოთხოვნები წაუყენა ცენტრალურ ხელისუფლებას: ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება, მოსახლეობისათვის მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა და თვითმყოფადი კულტურის განვითარებისთვის საჭირო შესაბამისი გარემოს შექმნა.

კვებეკში აბორიგენი მოსახლეობა პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში რეზერვაციებში ცხოვრობს. ისინი მხარს არ უჭერენ კანადის ფედერაციიდან კვებეკის გამოყოფის საკითხს და, ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში, საკუთარი მიწებით კვებეკის პროვინციიდან გამოყოფას აპირებენ, რაც კვებეკელი სეპარატისტებისთვის სრულიად მიუღებელია. მათთვის კვებეკი ერთიანია, პროვინციის დადგენილ გეოგრაფიულ საზღვრებში.

კვებეკური სეპარატიზმის სამართლებრივი საფუძვლები. ისმის კითხვა – აქვს კი კვებეკის სეპარატისტულ მისწრაფებებს სამართლებრივი საფუძვლები კანადის კონსტიტუციაში? 1867 წლის ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის შესახებ აქტი, რომელსაც 1967 წელს კონსტიტუციური აქტი ეწოდა, ითვალისწინებს კანადის ფედერაციაში ახალი პროვინციების მიღების საკითხს. ფედერაციიდან პროვინციების გამოყოფის საკითხი ქვეყნის კონსტიტუციაში ღიად არის დატოვებული და რომელიმე პროვინციის სეცესიის საკითხი სამართლებრივ საფუძვლებს კონსტიტუციაში არ პოულობს. 1982 წელს კონსტიტუციური რეფორმის ფარგლებში კანადის კონსტიტუციამ რეპატრიაცია განიცადა, თუმცა პროვინციის გამოყოფის საკითხი კვლავ ღიად დარჩა. სამართლის სპეციალისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონსტიტუციის განსხვავებული გაგება ინგლისურენოვან და ფრანგულენოვან კანადაში (ფრანგოკანადელები მიიჩნევენ, რომ მათ ანგლოკანადელებთან ერთად შექმნეს კანადის სახელმწიფო. შესაბამისად, ნებისმიერ დროს აქვთ უფლება დატოვონ ფედერაცია. ეს არის ე.წ. „ერი-დამფუძნებლების“ თეორია), კანადის კონსტიტუციაში პროვინციის გამოყოფის საკითხის შესახებ ზუსტი სამართლებრივი ფორმულირება არ არსებობს.

ამგვარად, კანადის ფედერაციაში XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოქმნილი კვებეკური სეპარატიზმი საუკუნეების მანძილზე ქვეყანაში არსებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარების შედეგია. იგი, მსოფლიოში არსებუ-

ლი სხვა სეპარატისტული მოძრაობების მსგავსად, კომპლექსური ხასიათის მიზეზებით იკვებება. მათ შორის მნიშვნელოვანია: სოციალურ-პოლიტიკური, დემოგრაფიულ-ლინგვისტური, სამართლებრივი ასპექტები. კვებეკური სეპარატიზმის მიზეზების კომპლექსურ და რთულ ხასიათს კვებეკის ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობის საკითხიც განაპირობებს. დღეს, ეკონომიკურად განვითარებულ კვებეკში, სეპარატიზმის ასპექტებზე საუბრის დროს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მნიშვნელობას კარგავს. სეპარატიზმის მთავარ მამოძრავებელ ძალად კულტურულ-ლინგვისტური ასპექტი რჩება. სწორედ ფრანგული ენისა და კულტურის გადარჩენა და შენარჩუნება წარმოადგენს სეპარატისტული მოძრაობის მთავარ მიზანს. ამ მიზნისთვის ბრძოლა დღესაც იმსახურებს ფრანგულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილის აქტიურ, ემოციურ მხარდაჭერას. კვებეკის საკითხი კანადის ფედერაციაში კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება.

დამოწმებანი

Doran, C.F. “Will Canada Unravel?” *Foreign Affairs*, 1996, September/October.

Harrison, B. and Marsen, L. *Languages in Canada*. Ottawa, 1995.

Montpetit, Eric. “Easing Dissatisfaction with Canadian Federalism?” *Canadian Political Science Review* 2 (3), September 2008.

Bothwell, R. *The Penguin History of Canada*. Toronto: Penguin Canada, 2006.

Rober, J. C. *Du Canada Francais au Quebec libre*. Paris, 1974.

Rioux, M. *Quebec in Question*. Toronto, 1998.

Report of the Royal Commission on Bilingualism and Biculturalism, Book 3, Ottawa, 1967.

Tremblay, R. *Independance et Marche Commun Quebec*. Montreal, 1998.

The Toronto Star, April, 2008

Канада на пороге 70-80 годов. Москва, 1980.

Миров, М. «Квебек отвергает исторический выбор». *Век 20 и мир, 1999, №10.*

Соколов, В. И. «Глобализация и аборигенное население Канады». *США-ЭПИ, 2002, №6.*

Черкасов, А. Ш. «Промышленное освоение и коренные народы Канады». *США-ЭПИ, 2006, №10.*

KHATIA TSIRAMUA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD Student

SUMMARY

ASPECTS OF QUEBEC SEPARATISM

The article is devoted to the research of the purposes of Quebec separatism in 1960s. Separatism in Canada is the consequence of the complicated social-political processes which exist and developed there during a century. Likewise the separatism movements in the world, it is nourished on complex reasons. Research of aspects and analysis are extremely important for understanding and objective evaluation of the subject. The author of the paper considers the social-economic, demographic-linguistic and legal aspects referring to the research of Canadian, American and Russian scientists and experts. There is a very interesting view of Canadian aborigine population as well from the angle of Quebec separatism. The abovementioned separatism aspects were variously acute in different periods of the Quebec problems. The author considers the changes in the demographics and linguistics of the Quebec province as a main aspect. Thus, cultural-linguistic problems are forwarded as the main determinative, rather than social-economic factors.

გამომცემლობის დირექტორი: მალხაზ დობრაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: მალვინა დავითიანი

კორექტორი: ნინო კვიციანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: შორენა ხუნდაძე

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში

ქალაქის ზომა 60X84 1/16
ნაბეჭდი ფორმა 29